ჰანს-დიტერ ოტო

სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია

სალამინიდან ერაყის ომამდე

ტომი I

სალამინიდან ცუშიმამდე

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი
არჩილ ჩაჩხიანი

თბილისი
2018

ჰანს-დიტერ ოტო სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია ტომი I

ISBN 978-9941-27-734-4
9 789941 277344

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიულ სამსახურში

თბილისი
2018

Hans-Dieter Otto

LEXIKON DER MILITÄRISCHEN IRRTÜMER

Von Salamis bis zum Irak-Krieg

HERBIG

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

დ.პ. 7 – 50.16

„დამტკიცებულია"

საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
02.05.2018 წლის N344 ბრძანებით

ჰანს-დიტერ ოტო

სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია

სალამინიდან ერაყის ომამდე

მიუნხენი
2004

ტომი I

სალამინიდან ცუშიმამდე

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი
არჩილ ჩაჩხიანი

თბილისი
2018

UPC (უაკ)355.4+355.48+355.42
L-81

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩაჩხიანი

სარედაქციო კოლეგია:
ისტორიის დოქტორი **არსენ გვიმრაძე**
ისტორიის დოქტორი **გოგი ცხოვრებაძე**

წინამდებარე ნაშრომი გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნის, „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე", ქართულ ენაზე გამოცემული გადამუშავებული და რედაქტირებული ვერსიაა. ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება – კაცობრიობის 2500 წლიანი ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთია გამოყოფილი და მოიცავს მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს – ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700-1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლების ომებში, საომარ კამპანიებსა თუ ცალკეულ ბრძოლებში ადამიანთა მიერ ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა. ქართული ვერსიის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, წიგნი ორ ტომად წარმოვადგინეთ. პირველი ტომი თემატურად მოიცავს საომარი კამპანიების განხილვას სალამინის ბრძოლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, რუსეთ-იაპონიის ომის ცუშიმას ბრძოლის ჩათვლით. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 1905 წლის ჩათვლით.

წიგნში შეტანილი ათასამდე განმარტების, შენიშვნისა თუ კომენტარის შემეცნებითი ხასიათიდან გამომდინარე, მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

სარედაქციო კოლეგია დიდი ინტერესით მიიღებს მკითხველთა მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

გამოცემის რედაქტორი **ქეთევან ოსეფაიშვილი**
მთარგმნელი **ლია დათინაშვილი**
სტილისტი **თინათინ პავლიაშვილი**
დამკაბადონებელი **სოფიო გოცაძე**
ტექნიკური რედაქტორი პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**
ტექნიკური ჯგუფის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი **დავით ჩოგოვაძე**

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის
აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი №1. 29.01.2018 წელი.

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.
© არჩილ ჩაჩხიანი, 2018.

ISBN 978-9941-27-733-7 (ორივე ტომის)
ISBN 978-9941-27-734-4 (პირველი ტომის)

100 წელი

საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

100 YEARS

Of Georgia's First
Democratic Republic

ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მე-100 წლისთავს

სარჩევი

სარჩევი 7
რედაქტორისგან 9
შესავალი 21
ყოველი საქმის შემოქმედი 23

თავი I
შეცდომები. ძვ.წ. 500 – ახ.წ. 1000 წლები

§1.1. „მკვდრებით გაივსო ზღვის სანაპირო და რიფები...“ (სალამინი, ძვ.წ. 480 წლის 28 სექტემბერი) 29
§1.2. გავგამელას ბრძოლა (მდინარე ტიგროსთან, ძვ.წ. 331 წლის 1 ოქტომბერი) 45
§1.3. კანეს „ნახევარმთვარე“ (ძვ.წ. 216 წლის 2 აგვისტო) 57
§1.4. გემი მეწამული იალქნებით (აქციუმი, ძვ.წ. 31 წლის 2 სექტემბერი) 71
§1.5. არმინიუსის ტრიუმფი (ტევტობურგის ტყე, ახ.წ. 9 წლის ოქტომბერი) 83
§1.6. „ამ ნიშნით გაიმარჯვებ!” (მულვიოს ხიდი, 312 წლის 28 ოქტომბერი) 97
§1.7. ოტო I და ბრძოლა მომთაბარე უნგრელებთან (ლეხფელდი, 955 წლის 10 აგვისტო) 111

თავი II
შეცდომები. 1000 – 1700 წლები

§2.1. უფლის სამსჯავრო (რომი, 1167 წლის მაისი-აგვისტო) 127
§2.2. ალყის მოხსნა – განსაკუთრებული დასასრული (გაიარის ციხესიმაგრე, 1204 წლის გაზაფხული) 141
§2.3. მონღოლების შემოსევა (ლეგნიცა – 1241 წლის 9 აპრილი და მოჰის ველი მდინარე შაიოსთან – 1241 წლის 11 აპრილი) 153
§2.4. კრესის კატასტროფა (კრესი, 1346 წლის 26 აგვისტო) 175
§2.5. არმადის თავდასხმა (ლა-მანშის სრუტე, 1588 წლის ივლისი-აგვისტო) 187
§2.6. დაგვიანებული შეხვედრა (კინსეილი, 1601 წლის 24 დეკემბერი) 205
§2.7. „წინ მიდიოდა მხედარი თეთრონით...“ (ლიუცენი, 1632 წლის 16 ნოემბერი) 217

თავი III
შეცდომები. 1700 – 1914 წლები

§3.1. ცხენით მგზავრობა ოპოლესკენ (მოლვიცი, 1741 წლის 10 აპრილი) 239
§3.2. ფლანგის გაბედული მარში და ირიბი საბრძოლო წყობა (ლეითენი, 1757 წლის 5 დეკემბერი) 255
§3.3. „ავსტრიული ცხენი” (ჰოხკირხი, 1758 წლის 14 ოქტომბერი) 275
§3.4. ციხესიმაგრის მითი (კოლბერგი – 1758, 1760, 1807, 1945 წლები) 289
§3.5. ნაპოლეონი მდინარე ნილოსთან (აბუ-ქირი, 1798 წლის 1 აგვისტო) 307

§3.6. „ვისურვებდი, რომ ყოფილიყო ღამე...“ (ვატერლოო, 1815 წლის 18 ივნისი) 335
§3.7. სისწრაფის გამარჯვება (კონიგრაცი, 1866 წლის 3 ივლისი) 365
§3.8. შებრუნებული ფრონტი (ვიონვილი, 1870 წლის 16 აგვისტო) 393
§3.9. რუსული ფლოტის საბედისწერო მოგზაურობა (ცუშიმა, 1905 წლის 27-28 მაისი) 419

ისტორიულ წყაროებში სამხედრო მოქმედებების შესახებ ასახული მცდარი წარმოდგენები 447
ომში შეცდომების დაშვების ძირითადი მიზეზები 457
დასკვნა 471
რედაქტორის ბოლოთქმა 473
ბიბლიოგრაფია 479
სახელთა საძიებელი 483

რედაქტორისგან

ალბათ ორიგინალურები არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ კაცობრიობის ისტორია ომებისა და ბრძოლების ისტორიაა. არავინ იცის როდის და სად აწარმოა ადამიანთა საზოგადოებამ პირველად ომი ან როდის დასრულდება ეს სამწუხარო ისტორია. ერთი რამ კი ცხადია, რომ ომი ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახდა ადამის მოდგმის აქტიური ცხოვრებისა, როგორიც მისი დაბადება და გარდაცვალება, წარმატება და წარუმატებლობა, ინტელექ-ტუალური აღმასვლა თუ შემოქმედებითი რემისია. არავინ დაობს იმის შესახებაც, რომ ადამიანთა სულიერი, ინტელექტუალური, მატერიალური და ზოგადად, სოციალური აქტიურობის ფართო სპექტრიდან, ომის წარმოება ალბათ ყველაზე უარყოფითი, ყველაზე უკადრისი და ყველაზე არასასურველი საქმიანობაა.

არავინ იცის ზუსტად როდის აიღო ადამიანმა ხელში პირველად საბრძოლო იარაღი და შემოსძახა საომარი ყიჟინა, არავინ იცის როდის დაღვარა მან პირველად მოყვასის სისხლი და დაიპყრო მისი მიწა და ქონება, არავინ იცის რა იარაღითა და მეთოდებით იბრძოდა იგი დასაბამიდან და მოუტანა თუ არა ამ ომმა მას სასურველი შედეგი. ბოლომდე იხრჩობოდა კაცობრიობა უხსოვარი წარსულის „მატერიალისტურ წუმპეში" თუ მის ამგვარ აქტიურობას გარკვეული ნათელი წერტილებიც ახლდა თან? და შემდეგაც, საუკუნეებისა და ათწლეულების განმავლობაში დედამიწაზე ალბათ არ ყოფილა მშვიდობისა და საყოველთაო თანხმობის თუნდაც ერთი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც კაცობრიობის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სიდიდის ომსა თუ ცალკეულ სამხედრო კონფლიქტში არ ყოფილიყო ჩაბმული.

არსებულ ფორმატში ჩვენ არ ვაპირებთ ომების ხასიათისა და ბუნების კვლევას. ჩვენ არ ვაპირებთ მათი გამომწვევი მიზეზებისა და მიღწეული პოლიტიკური შედეგების ანალიზს. ჩვენ არ ვაპირებთ ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკეული ბრძოლების შესწავლას ომის თეორიისა და სამხედრო ხელოვნების კანონების მიხედვით და აქედან გამომდინარე შორს-მიმავალი დასკვნების გაკეთებას. ერთი რამ კი ცხადია – ადამიანთა მოდგმამ ვერაფრით ვერ შეძლო მიეღწია საყოველთაო თანხმობისათვის და მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე დაევიწყებინა პირველ-ყოფილი სისასტიკე, სიძულვილი და მტრობა.

ისტორია ხშირად მეორდება და მეორდება საზარელი გარდუვალობით. დღესაც, XXI საუკუნეში კაცობრიობა ისევ ომების ქარცეცხლშია გახვეული. და აქ ისევ ისმის ერთი შეხედვით არაორდინარული კითხვა – მხოლოდ პირველყოფილი ჟინის დასაკმაყოფილებლად ომობს ადამიანი თუ გარკვეული დადებითი შტრიხებიც შეიძლება მოუვუძებნოთ ამ არაჰუმანურ მოვლენას?

XX საუკუნის დასაწყისისათვის კაცობრიობამ შეძლო თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის", როგორც ამას თავის დროზე დიდი

პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წინასწარმეტყველებდა რაიხსტაგში თავისი უკანასკნელი გამოსვლისას, 1890 წლის 14 მაისს... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი" დამყარდა. დაიწყო დასავლურ ისტორიოგრაფიაში „დიად ომად" წოდებული I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწევდა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული აზრის მთავარ აპოლოგეტად და წინასწარ-მეტყველად, როცა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციას უყრიდა საფუძვლებს. და ამავე დროს, ამ საქმეში კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს – „ომი ღმერთისაგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევაო" – ამბობდა იგი.

ღმერთისაგან მართულ სამყაროში ომის როლსა და ომში „ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა" რა მოგახსენოთ, მაგრამ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი, ნამდვილად შეიცვალა. და საერთოდ, ადამიანთა მოდგმის მიერ წარმოებული ნებისმიერი დიდ-პატარა ომი საფუძვლიანად ცვლიდა და განსაზღვრავდა შემდგომ მსოფლიო წესრიგს. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ომის ბუნება და ხასიათი დიდად არ შეცვლილა. იგი ესადაგებოდა დროსა და ეპოქას, ადგილის გეოგრაფიასა და ისტორიულ გამოცდილებას, სახელმწიფო პოლიტიკასა და მმართველთა ნებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ პროგრესს, საღ თუ არაჯანსაღ აზრს. ეს ომები კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა მონაკვეთებზე სხვადასხვა ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად. და მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ომის ბუნება და არც მისი ხასიათი დიდად არ შეცვლილა.

მეორე დიდი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსისა და სტრატეგოსის, თანამედროვე ომის ფილოსოფიის ფუძემდებლის, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცისა არ იყოს, „იგი ნამდვილი ქამელეონივით, მხოლოდ ოდნავ იცვლიდა თავის დამახასიათებელ ნიშნებს გარემოს შესაბამისად. და თუ ომს განვიხილავთ, როგორც ტოტალურ ფენომენს, ვნახავთ, რომ მისი დომინან-ტური ტენდენციები ომს განსაკუთრებულ ტრიადად აქცევს, რომელიც შედგება პირველყოფილი სისასტიკის, სიძულვილისა და მტრობისგან, რომე-ლიც უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნების ბრმა ძალა; შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის; და დაქვემდებარების ელემენტისგან, რომელიც განიხილება როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს. პირველი ამ სამი ასპექტისაგან უპირატესად ხალხს შეეხება, მეორე მეთაურსა და მის ჯარს; მესამე კი – მთავრობას".

სწორედ ესაა კლაუზევიცის განსაკუთრებული და თუ გნებავთ, „შესანიშნავი ტრიადის" არსი.

კლაუზევიცისეული „განსაკუთრებული" თუ „შესანიშნავი" ტრიადის ფილოსოფიური საფუძვლების განხილვას და მისი გნოსეოლოგიური ფესვების კვლევას არ ვაპირებთ, მაგრამ ტრიადის მეორე ელემენტზე, რომელიც „შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან შედგება, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის" და დამოკიდებულია ომის საბრძოლო ელემენტზე, ანუ ჯარსა და მის მეთაურზე, აუცილებლად შევჩერდებით. გარკვეულწილად შევეხებით მესამე ელემენტსაც – „პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს", რამეთუ ომის წარმოება, ზოგადად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აქტივობის ყველაზე უფრო მძიმე, საპასუხისმგებლო და კრიტიკული ფორმაა, სადაც უკვე „დიდი სტრატეგიები" განსაზღვრავენ განვითარებული მოვლენების ალგორითმს და მთავრობა იღებს მის წარმართვაზე სრულ პასუხისმგებლობას.

და აქ უკვე მივდივართ იმ გარდაუვალ რეალობამდე, რომ ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი, როგორც ტრიადის მეორე და მესამე ელემენტის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, ცოცხალი არსებაა და იგი დაცული არ არის სისუსტეებისა და შეცდომებისგან. ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკეული ბრძოლების მიმდინარეობა და ბედი კი, ძალიან ხშირად სწორედ ადამიანთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე იყო დამოკიდებული და მათ შედეგებსაც იგი განსაზღვრავდა. აქ ყველაფერი ძალიან მარტივი და ნათელია. შეცდომებს უშვებდნენ წარსულშიც და უშვებენ დღესაც სახელმწიფოთა მეთაურები და მმართველები, შეიარაღებული ძალების შტაბები, ჯარების სახეობების, გვარეობებისა თუ შენაერთების სარდლობები, სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურები თუ ცალკეული ოფიცრები, თვით რიგითი მებრძოლები.

ომს ჯარისკაცი არ იგებს და არ აგებს. არც საომარი კამპანიის შედეგებია მასზე დამოკიდებული და არც ცალკეული სამხედრო ოპერაციისა. აქ ინსტიტუციებისა და მათი აქტივობების სხვა დონეებსა და პასუხისმგებლობის სხვა ხარისხებზეა საუბარი. ჯარისკაცი და სამხედრო ქვედანაყოფი ტაქტიკური დონის მოთამაშეა და მასზე მხოლოდ ბრძოლის ბედია დამოკიდებული, საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, მართვასა და აღსრულებას ქვეყნის შეიარაღებული ძალები ანხორციელებენ ოპერატიულ და ზოგჯერ სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ომის წარმოებაზე პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივაა პოლიტიკური ნების, სახელმწიფო სიძლიერის ყველა კომპონენტისა და რესურსის ჩართულობის კუთხით. სწორედ იგი განსაზღვრავს ომის წარმოების ყველა საკითხს, ომის პოლიტიკური მდგენელისა და გნებავთ „დიდი სტრატეგიის" ჩართვით.

ამ საკითხების უფრო ნათლად წარმოსაჩენად კი, 2004 წელს მიუნხენში გამოცემულ ერთ საინტერესო ნაშრომს შემოგთავაზებთ, სადაც არსებითად კლაუზევიცის „ტრიადის" მეორე და მესამე ელემენტების

გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, მათ რეალიზაციაზეა საუბარი. ისტორიული მაგალითების კონტექსტში განვიხილავთ თუ რამდენადაა დამოკიდებული ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკული ბრძოლების შედეგები ადამიანურ ფაქტორზე და ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და გადაცდომებზე.

თქვენს წინაშეა გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნი „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე". ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. ავტორი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით აანალიზებს რა ომის ხასიათსა და ბუნებას, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ომი ადამიანის ბუნების ნაწილია და თავისთავად კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილიც, ისევე როგორც ადამიანის თანმდევი შეცდომები. ანუ, ეს არის ბუნებითი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისთავად ეწინააღმდეგება ადამიანთა კეთილდღეობისაკენ მისწრაფებას, თუმცა არსებობს ნაკლები წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მომავალში ადამიანები ომზე უარს იტყვიან. მაგრამ მომავლის ომებში შეცდომები ნაკლებად იქნება ან სულაც აღარ იარსებებს.

და კიდევ ერთი, რაშიც არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, ის მოსაზრებაა, რომ რადგან ომები და მასში დაშვებული შეცდომები ადამიანის ბუნებითი მდგომარეობაა, უნდა გავითვალისწინოთ მთავარი – არ შეიძლება ისტორიულ ჭეშმარიტებად ვაქციოთ ესა თუ ის სუბიექტური აზრი, რადგან სწორედ აქედან იღებს სათავეს შეცდომების დიდი უმრავლესობა. აქ აუცილებლად უნდა მივმართოთ არა მხოლოდ ფაქტების კომენტირებას, არამედ მის ღრმა ანალიზს, ანალიტიკურ კვლევას, რათა ომების, და ზოგადად სამხედრო ისტორიის საკითხების უმართებულოდ და დამახინჯებულად გადმოცემა არ იქცეს იარაღად შარლატანების ხელში.

ავტორის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მეტად ინფორმაციული და ტევადია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება – კაცობრიობის 2500 წლიანი ომების ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას, სამხედრო ოპარაციას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთი და შესაბამისი თავია გამოყოფილი, რაც ქრონოლოგიურად მოიცავს ჩარჩოს – ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700-1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლებში წარმოებული ომების, საომარი კამპანიების, სამხედრო ოპერაციებისა თუ ცალკეული ბრძოლების დროს ადამიანთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა.

წიგნში განხილული და გაანალიზებულია ის რეალობა თუ როგორ ცვლიდა ეპოქა და დრო ომის ბუნებასა და ხასიათს, როგორ ვითარდებოდა სამხედრო ტექნოლოგიები, ჯარების ორგანიზაციები და დოქტრინები – სამხედრო სტრატეგიები და ტაქტიკები.

ბუნებრივია, ასეთი რთული და ამბიციური ამოცანის გადაწყვეტა მარტივ საქმეს ნამდვილად არ წარმოადგენდა და შესაბამისად, გერმანელი ავტორის მიერ წარმოდგენილი ეს წიგნიც დაზღვეული არ არის ცალკეული უზუსტობების, ლაფსუსებისა და შეცდომებისგანაც კი. მიუხედავად ამისა, ჰანს-დიტერ ოტოს ნაშრომი არ კარგავს თავის ხიბლსა და მნიშვნელობას. იგი მსუბუქი, გასაგები ენითაა დაწერილი და სასიამოვნოდ იკითხება. ნათლად შეიმჩნევა ის საერთო გროტესკული ხაზიც, რაც მთელ ნაშრომს გასდევს. ზემოთ აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი, სარედაქციო ჯგუფის მიერ დიდი მუშაობა იქნა გაწეული და წიგნიც შესაბამისი განმარტებებითა და ჩასწორებებით, შენიშვნებითა და კომენტარებით, განხილულ მოვლენათა ანალიზითა თუ დასკვნებით შეივსო, რაც თვითოეული გვერდის სქოლიოშია გამოტანილი.

გარდა ამისა, წიგნს დავუმატეთ ისტორიულ პერსონაჟთა სახელების, აგრეთვე გეოგრაფიული და სპეციალური სამხედრო ობიექტებისა თუ ტერმინების სახელთა საძიებელი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატება – ნაშრომში წარმოდგენილი პერსონაჟების უკეთ იდენტიფიცირებისა და მოვლენებისა და პროცესების სრულყოფილად აღქმა-გააზრებისათვის ჩვენს მიერ რედაქტირებული წიგნის თვითოეულ პარაგრაფს შესაბამისი სქემები და ილუსტრაციები დავურთეთ. საერთი ჯამში, წიგნს ათასამდე ჩასწორება და განმარტება, შენიშვნა და კომენტარი, და ასეულობით ილუსტრირებული გვერდი დავურთეთ.

დარწმუნებულები ვართ, რომ წიგნის ასეთმა რედაქტირებამ თავისი შედეგი უნდა გამოიღოს და მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს მისი შემეცნებითი ხარისხი. დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი გაცილებით ადვილი გასაგები და აზრობრივად მისაწვდომი გახდება სამხედრო ისტორიის თემატიკით დაინტერესებული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის. მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

წიგნის საფუძვლიანმა რედაქტირებამ, მასში შეტანილმა კორექტივებმა და დამატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მისი მოცულობა, რის გამოც გვერდების საერთო რაოდენობამ A-4 ფორმატში, ათას ორასს გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეცვალა წიგნის საგამომცემლო ფორმატი და იგი ორ ტომად მიგვეწოდებინა მკითხველისათვის. თვითოეულ ტომში სამ-სამი თავი ჩავრთეთ, რის გამოც, საერთო ჯამში, წიგნის პირველ ტომში 23 პარაგრაფი შევიდა. პირველი ტომი თემატურად მოიცავს ცალკეული ბრძოლებისა და საომარი კამპანიების განხილვას სალამინის ბრძოლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, რუსეთ-იაპონიის ომის ცუშიმას საზღვაო ბრძოლის ჩათვლით. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ახალი

წელთაღრიცხვის 1905 წლის ჩათვლით. ხოლო წიგნის მეორე ტომში ჩავრთეთ მომდევნო სამი თავი და დარჩენილი 23 პარაგრაფი – პირველი მსოფლიო ომის საომარი კამპანიებიდან 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით, რაც ქრონოლოგიურად მოიცავს 1914 წლიდან 2004 წლამდე დროის პერიოდს.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისა და წიგნის რედაქტირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება წიგნში გადმოცემული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკულ ანალიზს დავუთმეთ. ამ მიმართებაში ჩვენი აქტივობის ამოსავალ წერტილს ჩვენი მყარი პოზიცია და განხილული საკითხებისადმი პრინციპული მიდგომა წარმოადგენდა.

ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენის კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც ნარატიულისგან განსხვავებით, დისკურსის ფორმით მიმდინარეობს. პირველ შემთხვევაში თხრობა ქრონოლოგიურად ასახავს პროცესებს და მას მხოლოდ აღწერილობითი ხასიათი აქვს. ასეთი გადმოცემა მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს, სადაც არ არის გათვალისწინებული დიალექტიკური ერთიანობის პრინციპი. ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ასეთი განხილვა ამბის მოყოლას ემსგავსება და იგი ოდნავ თუ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთი მოძღვრება კი ძალიან შორსა დგას შემეცნებისგან და მეტ-ნაკლებად ღირებული ანალიზის ჩატარების საშუალებასაც არ იძლევა. ამიტომ, ფართო სამსჯავროზე გამოტანილ ისტორიას ჩვენ მხოლოდ ისტორიზმის პრინციპების წარმოჩენითა და კრიტიკული ანალიზის ფონზე წარმოვადგენთ. ასეთ კრიტიკულ გადმოცემაში კი, გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ:

პირველ რიგში, ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენაა მნიშვნელოვანი. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მიზეზ-შედეგობრივ პროცესებსა და მოვლენებს შორის დიალექტიკური კავშირების დამყარებაა საჭირო. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან თვალსაჩინო ხდება ემპირიული მეთოდებით, მხოლოდ ამ გზით დგინდება.

და მესამე საკითხი – გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასებაა. ესაა აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა – ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგიაო. ცალსახად ვეთანხმებით ამ თეზას. ჩვენს ამოცანას კი ამ შეცდომების შესწავლა-გაანალიზება, მისი გათვალისწინება და სწორი დასკვნების გამოტანა წარმოადგენს.

თავისი შემოქმედებითი აქტიურობის ყველა ეპოქასა და ყველა სფეროში ადამიანი განუხრელად, მუდმივად და თითქოს მეთოდურად, დაჟინებით უშვებდა შეცდომებს. არც ომებისა თუ საომარი კამპანიების წარმოებაა გამონაკლისი. ერთი რამ ცხადია – ომების წარმოებისა და მისი

სასურველი შედეგებით დასრულების მზა, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. არ არსებობს გაწერილი ალგორითმი, რომლის ზუსტი დაცვაც ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის ამოხსნას და გარანტირებულ შედეგებამდე მიყვანას უზრუნველყოფს. საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობა რთული მანქანის მუშაობას ჩამოგავს, რომელიც უამრავი შიდა ხახუნის მქონე დეტალისაგან შედგება. ასე რომ, ის კომბინაციები, რომლებიც ადვილად იგეგმება ქაღალდზე, რეალურად მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად შეიძლება იქნას აღსრულებული. შესაბამისად, რაგინდ განათლებული, გამოცდილი და ნიჭიერი მხედართმთავარიც არ უნდა გეგმავდეს და მართავდეს ოპერაციას, იგი მაინც არ არის დაზღვეული ადამიანური სისუსტეებისგან. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს სამხედრო შეცდომების დაშვების ალბათობას და მათ ხარისხს. უფრო მეტიც, ალბათ ძნელია, შეუძლებელი თუ არა, სამხედრო ისტორიის სფეროდან თუნდაც ერთი ომის ან საომარი კამპანიის მაგალითის მოყვანა, სადაც დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთს ან ორივეს ერთად ერთი ან რამდენიმე შეცდომა არ დაეშვას სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, მისი მართვისა თუ აღსრულების პროცესში.

საკითხის მთავარი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს შეცდომები მინიმიზირებული იყოს და მან არსებითი გავლენა არ იქონიოს კამპანიის შედეგებზე. გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველო და მისი სამხედრო ისტორიაა. თუმცა, ამ საკითხების არათუ განხილვა, არამედ მხოლოდ ჩამოთვლაც კი სცილდება ჩვენი წიგნისა და ნაშრომის ფორმატს და ამ დიდი საქმის მოგვარებას სამომავლოდ გადავდებთ.

ისევ კლაუზევიცს დავესესხებით: „ომი – შემთხვევითობების სფეროა: მხოლოდ მას, ამ შემთხვევითობას მიეცემა ფართო ასპარეზი, რადგან ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი სფერო არ ეხება მას მთელი თავისი არსით ისე, როგორც ეს ომში ხდება; ის ზრდის შექმნილი ვითარების განუსაზღვრელობას და არღვევს მოვლენების ნორმალურად სვლას. ომში ყველაფერი ძალიან მარტივია, მაგრამ უმარტივესი რამეც კი – რთულია... ომის მანქანა – არმია და ყველაფერი მასთან დაკავშირებული – თავის საფუძველში უაღრესად მარტივია და ამიტომაც გვეჩვენება რომ მარტივი სამართავიცაა. მაგრამ გავიხსენოთ, რომ მისი არც ერთი ნაწილი არაა გაკეთებული ერთი მთლიანისაგან. ყველაფერი ცალკეული ინდივიდებისაგან შედგება და თვითოეული ყველა მიმართულებით განიცდის შინაგან წინააღმდეგობას, ანუ ხახუნს... საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობა რთული მანქანის მუშაობას ჩამოგავს, რომელიც უამრავი შიდა ხახუნის მქონე დეტალისაგან შედგება, ასე რომ ის კომბინაციები, რომლებიც ადვილად იგეგმება ქაღალდზე, მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად შეიძლება იქნას აღსრულებული...”

ნამდვილად ასეა. თეორიულად თითქოს ყველაფერი მშვენივრადაა: მოცემული ბატალიონის ან ბრიგადის მეთაური პასუხს აგებს მოცემული ბრძანების შესრულებაზე. იმდენად, რამდენადაც ბატალიონი დისციპლინის

მკვიდრი ჯაჭვითაა შეკრული და სამეთაურო დაქვემდებარების ვერტიკალიც თითქოსდა გამართულად მუშაობს, ხოლო ბატალიონის მეთაური საბრძოლო აღმაფრენითაა მოცული, ამ მექანიზმის ლილვმაც რკინის ღერძზე უმცირესი ხახუნით უნდა დაიწყოს მოძრაობა. მაგრამ რეალობაში აქ სრულდება ყველაფერი. სინამდვილეში ასე არაა... ბატალიონი ცოცხალი ადამიანებისაგან შედგება და თითოეულმა მათგანმა, სულ უმნიშვნელომაც კი, რეალურ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისას შეიძლება გამოიწვიოს დამკვიდრებული წესრიგისაგან გადახვევა, თითქოსდა აწყობილი და გამართული მექანიზმის მუშაობის შეფერხება, მიმდინარე პროცესებში უადგილო ჩარევა ან სხვა ტიპის დარღვევა.

არ უნდა გვჯეროდეს, რომ ახალი კონცეფციები, ტექნოლოგიები და შესაძლებლობები უარყოფენ ომის ბუნების ფუნდამენტურ გაგებას. ომის ბურუსი, გაურკვევლობა და შემთხვევითობა ისევე დამახასიათებელი იქნება მომავალი ომებისათვის, როგორც ეს წარსულში იყო. ისტორია, ეჭვს გარეშეა ითვალისწინებს ამ გამოცდილებას. მათთვის კი, ვინც ისტორიას სკეპტიკურად უყურებს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა ევოლუციური ბიოლოგია, გენეტიკა ან კვანტური ფიზიკა და უთანამედროვესი მეთოდოლოგიით ჩატარებული შესაბამისი კვლევები – კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმას, რომ სავსებით სწორი იყო კლაუზევიცის ძირეული წარმოდგენა იმის შესახებ თუ როგორაა მოწყობილი სამყარო.

წიგნის ავტორი შემოიფარგლება მხოლოდ მნიშვნელოვანი მაგალითების განხილვით, რომელმაც ამა თუ იმ ხარისხით მოახდინა ზეგავლენა ომის, საომარი კამპანიისა თუ ბრძოლის მსვლელობასა და მის შედეგებზე. იგი არსებითს – ისტორიას, ისტორიოგრაფიის როლს, ისტორიული მოვლენების ჯაჭვის გათვალისწინებას უსვამს ხაზს, რაც იმდენად საინტერესოდ იკითხება, იმდენად სწორი მიდგომებით ხასიათდება, რომ არ ქმნის დისონანსს საერთო აზრის ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, აქ თავის როლს თხრობის ის საერთო გროტესკული ფონიც თამაშობს, რაც თეთრი შლეიფივით გასდევს მთელ წიგნს და მასში გადმოცემულ ქრონოლოგიურ ამბებს. თითქოს ეს ქრონოლოგიური ჩარჩო ხელს არ უშლის საერთოს, მთავარს, ომის როგორც შეცდომების ბუნების გაგებას, რომ ის ძალიან ხშირად მეორდება ძველი სახით, რომლის მიზეზი მოწინააღმდეგის სიძლიერის შეუფასებლობა ან არასათანადოდ შეფასება, მისი საბრძოლო მზადყოფნის უგულებელყოფა ან საბრძოლო სულისკვეთების გაუთვალისწინებლობაა, რომელსაც ხშირად დამარცხებამდე მივყავართ. ავტორი ასევე ითვალისწინებს ზოგად სტრატეგიულ სურათს, შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და უამრავი ისტორიული მაგალითის გათვალისწინებით აანალიზებს შეცდომათა ფორმების გამოვლინებას.

ჰანს-დიტერ ოტო არ აცხადებს პრეტენზიას წიგნში მოტანილ მონაცემთა სიზუსტესა და მეცნიერული აპარატის გამართულობაზე. ამას საგამომცემლო ფორმატი არც ითვალისწინებს, მაგრამ წიგნს დართული აქვს გამოყენებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია და სახელთა საძიებელი. ბოლოს-

წინა პარაგრაფში კი, ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამხედრო მოვლენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ასახული მცდარი დასკვნების შესახებ, რაც ხელს უწყობს ადამიანის ცნობიერებაში ფაქტებთან შეუსაბამო ისტორიული წარმოდგენების დამკვიდრებას და ზოგადად საფუძველს ქმნის ომისა და მშვიდობის დროს განვითარებული მოვლენების დამახინჯებული ტენდენციებით ასახვისათვის. საკითხთან ასეთი მიდგომა კი, შეცდომების მთელ კასკადს წარმოშობს.

ავტორს უამრავი მაგალითი მოჰყავს როგორც ისტორიული მოვლენების ფალსიფიკაციის ფაქტებზე, ასევე ლეგენდებსა და ამა თუ იმ ეპოსში დამკვიდრებულ ცრუ წარმოდგენებზე, რაც საუკუნეების მანძილზე აისახა პოეზიაში, ზეპირსიტყვიერებასა და დრამატურგიაში, რომელმაც ყველაზე უხეში ფორმებით ცრუ აგიტაცია-პროპაგანდასა და იდეოლოგიაში ჰპოვა გამოხატვა.

წიგნში ასევე საინტერესოდაა წარმოდგენილი ომში შეცდომების დაშვების ძირითადი მიზეზები, რომ – სამხედრო მეთაურებმა არ გაითვალისწინეს წარსულის მწარე გამოცდილება და არაფერი ისწავლეს თავიანთი წინამორბედების შეცდომებზე, რომ – არასწორად იქნა შეფასებული და გაანალიზებული არსებული ოპერატიული ვითარება, მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალა და სულისკვეთება, არ იქნა გათვალისწინებული გეოგრაფიული, კლიმატური თუ ბუნებრივი პირობები, სწორად არ იქნა შერჩეული სამხედრო სტრატეგიები, საბრძოლო წყობები და ტაქტიკები, არ აწარმოა შესაბამისი სადაზვერვო მუშაობა ან უგულებელყო დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემები, წინასწარ არ იქნა გათვლილი მოწინააღმდეგის შესაძლო რეაგირების სქემები, არაფრად ჩააგდო თავისი გამოუცდელობა და ა.შ.

ამრიგად, საომარ მოქმედებათა თეატრი ემსგავსება დიდ და მრავალგანზომილებიან საჭადრაკო დაფას, ხოლო ომის წარმოება – დიდ და რთულ საჭადრაკო პარტიას, რომელიც უამრავი შესაძლო სცენარით შეიძლება წარიმართოს. მისი ბედი და შედეგი კი საბოლოოდ, არც თუ იშვიათად ერთი გადამწყვეტი სწორი სვლით, და ხშირად ენდშპილში წყდება. შესაბამისად, ავტორის მიერ აქვეა გაზიარებული კლაუზევიცის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი თეზა – ,,ეს არის სერიოზული საშუალება სერიოზული მიზნებისათვის'', მაგრამ არც თანამედროვე ომი იმართება მენეჯმენტის მეთოდებით, განმარტავს იგი.

ბოლოს, დასკვნით ნაწილშიც ავტორი თავის შეფასებებში მეტად მოკრძალებულია. რომ ადამიანის იღბალი თუ უიღბლობა, ომში სხვადასხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და შეცდომების დაშვება საბედისწერო, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, თუმცა, ამავე დროს, მომავლის ომებში იგი დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტებისათვის ადამიანურ სისუსტეებს გამორიცხავს.

და მაინც, რა არის ის ძირითადი მოტივი, მოთხოვნა თუ აუცილებლობა, რამაც სარედაქციო ჯგუფს გადააწყვეტინა წარმოდგენილი ნაშრომის

მომზადება და ქართული სამხედრო უწყების საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებში ჩართვა?

მიზეზი რამდენიმეა:

– ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ლიტერატურის არარსებობა, რაც კარგი მაგალითი იქნება მეცნიერი მკვლევარებისა და სამხედრო თუ თავდაცვის სფეროს ანალიტიკოსებისათვის შექმნან ანალოგიური ხასიათის ნაშრომები ქართულ სამხედრო ისტორიასა და სამხედრო ხელოვნებაში;

– შეიქმნას პრეცენდენტი და შესაბამისი მოტივაცია უცხოელი ავტორების რაც შეიძლება მეტი ნაშრომის თარგმნისა და გამოცემისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სპეციფიკური და მრავალწახნაგოვანი პუბლიკაციების მომზადება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. ეს დიდი საქმე პირველ რიგში, მძლავრ სამეცნიერო და აკადემიურ რესურსს, შესაბამის კომპეტენციას, მაღალ პროფესიონალიზმსა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს;

– ჩვენს მიერ წარმოდგენილი წიგნი, სასწავლო პროცესის ყველა დონეზე მისცემს შესაძლებლობას სამხედრო საკითხებით დაინტერესებულ კადეტებსა და სტუდენტებს, აგრეთვე იუნკრებსა და ყველა დონის სამხედრო მსმენელს, შედარებით მარტივად და გასაგებად აღიქვას ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მეტად ტევადი და რთული მასალა. იგი ამ მასალის გაანალიზებასა და ათვისებაშიც შეუწყობს ხელს.

სარედაქციო ჯგუფი ყველა დაინტერესებული მხარისგან ელის გამოხმაურებას, საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს. ჩვენ დიდი ინტერესით მივიღებთ მათ, რამეთუ ჩვენთვისაც პირველია ამ ფორმატით მუშაობა.

და ბოლოს. უნდა დავადასტუროთ, რომ კრიზისების იარაღითა და სისხლისმიერი გზით გადაწყვეტა, მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების განადგურებისაკენ სწრაფვა – ომის პირმშოა. დაე, ფრთხილი მხედართმთავარი მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მცირედ მოტივირებული, ძალების უმნიშვნელო დაძაბვით, საველე შტაბში თუ კაბინეტის სიმყუდროვეში ფრთხილად ეძებს მშვიდობისაკენ მიმავალ გზებს და უტილიზებას უკეთებს მოწინააღმდეგის არმიისა და მთავრობის სისუსტეების სპეციფიკურ მხარეთა ანალიზს. თუ მისი დაშვებები არგუმენტირებულია, სანდო წყაროებზე დაყრდნობითაა გაკეთებული და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით წარმატების მიღწევის იმედს იძლევა, ჩვენ არა გვაქვს უფლება გავკიცხოთ იგი. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, მუდმივად უნდა ჩავაგონოთ მას, რომ არ მოდუნდეს და ფხიზლად იყოს, რამეთუ იგი გარშემოვლითი ბილიკებით დადის, სადაც ომის ულმობელი ღმერთი შეიძლება დაატყდეს თავს.

და მაინც – ჩვენ გვწამს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად გაღებული დანახარჯები ერთი რიგით მაღალი მაინც უნდა იყოს. იგი გამუდმებით უნდა მუშაობდეს სამხედრო განათლების საკითხების სრულყოფაზე, ამუშავებდეს საომარი და თავდაცვითი მოქმედებების გეგმებს და მუდმივად ზრუნავდეს საკუთარი ჯარის ბრძოლისუნარიანობის გაზრდაზე, რამეთუ გადა-

მეტებული შრომა ყოველთვის სჯობს გადამეტებულ სიზარმაცეს. როგორც იტყვიან, ოფლი სისხლს ზოგავს...

გამოცდილი და პასუხისმგებლიანი მხედართმთავარი არც ერთი წუთით არ უნდა ჩავარდეს თვითკმაყოფილების ეიფორიაში და არ უნდა მოაცილოს თვალი დაპირისპირებულ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საფრთხეში ჩააგდებს საკუთარ თავსაც და მასზე დაქვემდებარებულ შენაერთსაც. ამის შედეგად კი, იგი დაპირისპირებული მხარის მახვილის დარტყმის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს მაშინ, როცა ხელთ მხოლოდ დანა ან მსუბუქი დაშნა უპყრია.

რედაქტორის შესავალ სიტყვას კი, ისევ კლაუზევიცით დავასრულებთ: „...ჩვენ არ ვინტერესდებით გენერლებით, რომლებიც გამარჯვებებს სისხლის-ღვრის გარეშე მოიპოვებენ. ეს საკითხი სცილდება სამხედრო ხელოვნების სფეროს და იგი პოლიტიკოსთა განსჯის საქმე უფროა. ფაქტი ისაა, რომ ხოცვა-ჟლეტა იმდენად საზარელი სანახაობაა, რომელიც გვაიძულებს უფრო სერიოზულად აღვიქვათ ომი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს... მაგრამ სულაც არ გვამართლებს იმაში, რომ ჰუმანურობის სახელით თანდათან დავაბლაგვოთ ჩვენი ხმლები. ადრე თუ გვიან მაინც გამოჩნდება ვიღაც თავისი ბასრი მახვილით, ვინც ისარგებლებს ჩვენი სისუსტით და მოგვკვეთს ამ ხელებს...”

გვინდა მშვიდობა? – ვემზადოთ ომისთვის!

არჩილ ჩაჩხიანი
თადარიგის პოლკოვნიკი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი.
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი.

შესავალი

ადამიანები, როგორც წესი, თავისი საქმიანობის ყველა სფეროში უშვებენ შეცდომებს, მათ შორის ომის დროსაც. ადამიანი ცდება, როცა შექმნილ ვითარებას არასწორად აფასებს და სუბიექტურ აზრს ჭეშმარიტებად მიიჩნევს, რაც თავისთავად არასწორია. ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან უნებლიე შეცდომის დაშვება ადამიანის სისუსტის გამოვლინებაა. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ დაშვებულ შეცდომებს მოგვიანებით აღიარებენ ხოლმე. ხშირად შეცდომა არაკომპეტენტურობას, სწრაფ შთაგონებას, ან აფექტურ მდგომარეობას და უეცარი გადაწყვეტილების მიღებას ეფუძნება, ხოლო ზოგჯერ შეცდომა კარგად გააზრებული გადაწყვეტილებისა და მოქმედებების შედეგია. ომში დაშვებული შეცდომები კი, ადამიანისთვის კატასტროფული შედეგების მომტანია. ერებისა და ხალხების ბედი შესაძლოა ამაზეც იყოს დამოკიდებული.

სამხედრო საქმეში შეცდომებს ადამიანები გამუდმებით უშვებენ. იგი არცთუ იშვიათად მეორდება ძველი სახით. ხშირად მისი მიზეზი მოწინააღმდეგის ძალებისა და შესაძლებლობების, მისი სიძლიერის არასწორი და არასათანადოდ შეფასებაა, რამაც შეიძლება დამარცხებამდეც კი მიიყვანოს მეორე მხარე. ისტორიული მაგალითები უამრავია. ნაპოლეონმა სათანადოდ ვერ შეაფასა 1815 წელს ვატერლოოსთან ველინგტონის ჰერცოგის ბრძოლისუნარიანობა, ხოლო ამავე მიზეზით ჰიტლერის ლაშქრობა რუსეთში კატასტროფით დასრულდა. 1945 წელს ამერიკელები ოკინავასთან ანგარიშში მოტყუვდნენ, ისევე როგორც ფრანგები 1954 წელს – დიენ ბიენ ფუსთან.

ადამიანები ხშირად სრულიად არასწორად აფასებენ შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და შესაბამისად, არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. მაგალითად, აქციუმთან საზღვაო ბრძოლა ეგვიპტის უკანასკნელმა დედოფალმა კლეოპატრა VII-მ წინასწარ დამარცხებულად ჩათვალა. 1588 წელს ესპანელთა „უძლეველი არმადა" დაიპყრობდა ინგლისს, კალესაკენ რომ არ გაეცურა. 1914 წელს მოხდა „საოცრება მარნაზე", რადგან გერმანელებმა სულ ტყუილად დაიჯერეს, რომ თავდაცვისთვის ძალები აღარ ჰყოფნიდათ და პოზიციები დათმეს. 1944 წელს ჰიტლერი ანტიჰიტლერული კოალიციის ძალების მხრიდან ინტერვენციას და მეორე ფრონტის გახსნას სულ სხვა ადგილზე ელოდებოდა. 1950-1951 წლებში ამერიკელები არ მოელოდნენ ჩინეთის ჩართვას კორეის ომში და მისი შეიარაღებული ძალების შეჭრას ჩრდილოეთ კორეაში.

მოწინააღმდეგის უმეცრებაც შეცდომის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა. 1740 წელს ავსტრიელები გააოცა ფრიდრიხ II დიდის ჯარის შესვლამ სილეზიაში, ისევე როგორც 1944 წელს ამერიკელები არდენზე გერმანელების შეტევამ. ასევე მოულოდნელი იყო ისრაელისთვის 1973 წელს ეგვიპტელების თავდასხმა იომ-ქიფურის დღესასწაულზე, რასაც არაბეთ-ისრაელის მეოთხე ომი მოჰყვა შედეგად.

მძიმე შედეგები მოსდევს ასევე იმ შეცდომებსაც, რომელთა გამომწვევი მიზეზიც არასწორად შერჩეული სტრატეგიაა. 1916 წელს წარუმატებელი აღმოჩნდა ფრანგების წინააღმდეგ გერმანელების მიერ შედგენილი სისხლისღვრის გეგმა ვერდენის მახლობლად გამართულ ბრძოლაში. 1940 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა მოიგეს „ბრძოლა ბრიტა-ნეთისათვის", რადგან ნაცისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა არასწორი სტრა-ტეგია შეარჩიეს და ინგლისელთა აეროდრომებისა და რადიოლოკაციური სადგურების დაბომბვა კი არ გააგრძელეს, არამედ ლონდონისა და ინგლისის სხვა ქალაქების დაბომბვა დაიწყეს. 1941-1945 წლებში მოკავშირეთა მიერ გერმანიის ქალაქებისა და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მასიურმა დაბომბვებმა კი არ შეასუსტა გერმანელი მოსახლეობის წინააღმდეგობის სურვილი, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა და საბრძოლველად განაწყო იგი.

ერთი რამ კი ცხადია, რომ სამხედრო შეცდომები ხელს უწყობენ და ააშკარავებენ სისხლისღვრის უაზრობას. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ისტორიის მსვლელობა, რომ არა ეს შეცდომები?

ყოველი საქმის შემოქმედი

ქრისტეს დაბადებამდე საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში ადამიანებს არ სწამდათ ჭეშმარიტი ღმერთის. მათ ჰყავდათ ღმერთები, მათ შორის, მდედრობითი სქესისაც, რომლებიც ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ამიტომაც გამუდმებით ჯანყდებოდნენ და იბრძოდნენ, როგორც, მაგალითად, ღვთაებები ბერძნულ მითოლოგიაში. ადამიანებიც ღმერთების მსგავსად ეომებოდნენ ერთმანეთს. გასაკვირი არაა, რომ ბერძენი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ომი ყოველი საქმის შემოქმედი და ყოველი საქმის მეუფე იყო. ჰერაკლიტე ამბობდა: „ომი ერთეულებს წარმოაჩენს როგორც ღმერთებს, დანარჩენებს – როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს. იგი ზოგიერთებს მონებად აქცევს, ზოგსაც – თავისუფალ ადამიანებად“.

სავარაუდოა, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი ცხოვრების დინებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით განისაზღვრება, როგორც ამას გერმანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი ამტკიცებს თავის წიგნში „დასავლეთის ქვეყნების კრახი“. დადგენილია, რომ უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ბრძოლა ადამიანებს შორის საკვების, სანადირო ადგილებისა და თავშესაფრისთვის. მოგვიანებით კი, მას უმეტესად უკვე იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა, როგორიც იყო, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მოწინააღმდეგეს სურდა საარსებო სივრცის დაკავება ან მზის ქვეშ ადგილის მოპოვება.

კაცობრიობის ისტორია სავსეა ბრძოლებისა და მკვლელობების ეპიზოდებით. ეს პროცესები იმ დღიდან იწყება, როდესაც ბიბლიური პერსონაჟებიდან ერთ-ერთმა, კაენმა, თავისი ძმა, აბელი მოკლა. მას შემდეგ ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში ბევრი არაფერი შეცვლილა, პირიქით, შეიძლება ითქვს, გაუარესდა კიდეც. შეუძლიათ კი ადამიანებს მშვიდობიანი თანაცხოვრება და უომრად არსებობა? თუ მის თანამედროვეს დავუჯერებთ, ნაპოლეონ ბონაპარტეს ომში ბუნებრივი მდგომარეობის დანახვა, „ტყვიის წნეხისგან ცივილიზაციის განთავისუფლება” სურდა. თავზარდამცემი იდეაა. ავჯობებს, არისტოტელეს დავუჯეროთ, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ომის მიზანი მხოლოდ მშვიდობაა.

საერთოდ, რა არის ისტორია და კერძოდ, სამხედრო ისტორია ვიწრო გაგებით? ამ კითხვაზე უამრავი პასუხი არსებობს. მაგალითად, გერმანელი ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოეტი, იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, გოეთეს თანამედროვე, ისტორიას უწოდებდა ადამიანთა მოდგმის გაკვეთილს. გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი, ფრიდრიხ ჰეგელი კი მასში მსოფლიო სულის განვითარების საფუძველს ჭვრეტდა. ნუთუ არსებობს ისტორიისა და მოვლენების სული, რომელიც ცხოვრების დინებასა და მოქმედებების ქარიშხალში ზევით-ქვევით დახეტიალობს და აქეთ-იქით აწყდება? ამ სიტყვებით იწყებს გოეთე ისტორიის აღწერას თავისი „ფაუსტის“ დასაწყისში. ფაუსტი გაკვირვებით და აღტაცებით აცნობიერებს, რომ „ყველაფერი ერთ მთლიანობაში მოძრაობს, ერთი ზემოქმედებს მეორეზე და ამ გზით არსებობს!“ არის თუ არა ისტორია მატერიის „ჩამოყალიბებული ფორმა, რომელიც რეალურად ვითარდება?“ გააჩნია თუ არა მას შინაგანი ლოგიკა? გერმანელ ფილოსოფოსსა და ისტორიკოსს, ოსვალდ შპენგლერს სჯეროდა, რომ ყოველი ისტორიის საფუძველი საწყისი ბიოლოგიური ფორმა უნდა ყოფილიყო. იგი მასში ხედავდა მუდმივი ფორმირების და გარდასახვის პროცესს, საოცარ წარმოშობასა და გაუჩინარებას, სოლიტერის მსგავსად, რომელიც დაუღალავად იცვლის თავისი არსებობის ფორმებს.

ომები კაცობრიობის ისტორიის ნაწილია, ისევე როგორც ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომები. „ადამიანი სიკვდილამდე ცდება“, ამბობს ღმერთი გოეთეს „ფაუსტში“. ამიტომ ომშიც ვხვდებით შეცდომებს, თანაც, საკმაოდ ხშირად. „ომი გაურკვეველი სახის სახელმწიფო საქმიანობაა, – როგორც ახასიათებდა მას კლაუზევიცი 1832 წელს გამოცემულ თავის ცნობილ და ძირითად წიგნში „ომის შესახებ“, – რომელიც

ზეგავლენას ახდენს ყველა სტრატეგიულ მოაზროვნეზე, მოლტკედან დაწყებული, შლიფენითა და ლუდენდორფით დამთავრებული". ჰიტლერიც ამ იდეებით იყო მოხიბლული. და როცა „ამ საქმეების სამი მეოთხედი, რომელზეც აგებულია მოქმედებები ომში, გაურკვეველია", განსაკუთრებით დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. შეცდომებს უშვებენ განუწყვეტლივ, ყველა დროში და ყოველ მხარეში. ზოგჯერ ისინი კურიოზული და უცნაურია, ზოგჯერ – გასაოცარი და დაუჯერებელი, ზოგჯერ – ბუნებრივი და გასაგები.

საქმე ეხება სამხედრო ისტორიაში დაშვებულ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბრძოლაზე ან ომზე, ზოგჯერ კი საერთოდ ცვლიან მას. აღწერილობით წყაროებზე დაყრდნობით, „ორმოცდაექვსი მოვლენის გამოკვლევაში" მოცემულია ადამიანთა მიერ დაშვებული მცირე და დიდი, ასევე ცნობილი და ნაკლებად ცნობილი შეცდომები. ამასთან, ჩვენს თვალწინ იშლება სხვადასხვა ეპოქისა და, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. სამხედრო ისტორიის ამ საკითხების ნათლად მიმოხილვისთვის შეცდომები უნდა დავყოთ დროის ექვსი მონაკვეთის მიხედვით, ანტიკურიდან ხანიდან დაწყებული, თანამედროვე ეპოქით დამთავრებული, რომლებიც ქრონოლოგიურად არიან დალაგებულნი. „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია" არ აცხადებს პრეტენზიას მონაცემთა სიზუსტესა და სამეცნიერო ნაშრომის ფორმატზე. წარმოდგენილი კრებული მხოლოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენების განხილვით შემოიფარგლება.

თუ რამდენად აქტუალურია სამხედრო შეცდომების თემა, ამას XXI საუკუნის პირველი დიდი ომის ისტორიაც ნათელჰყოფს. 2003 წლის მარტიდან მაისამდე მიმდინარე ერაყის ომს, რომელსაც წიგნის ბოლოში მთლიანი პარაგრაფი ეძღვნება, თან ახლავს დაშვებული შეცდომების მთელი ჯაჭვი. იგი თავიდანვე ფუნდამენტური შეცდომით დაიწყო, რადგან მასობრივი განადგურების იარაღიდან ყურადღება ომის ნამდვილი მიზეზის, სადამ ჰუსეინის „ალ-ქაედას" ტერორისტებთან კავშირზე იქნა გადატანილი. პროპაგანდისტული აურზაური ქიმიური იარაღის ირგვლივ, როგორც პრევენციული ინტერვენციის გამართლება, ხუხულასავით ჩამოიშალა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ უოლკერ ბუში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მტკიცებულებების ნაკლებობის გამო. ამ მოვლენების ფონზე ამერიკული ოპოზიცია მუდმივად ლაპარაკობდა ამერიკის ადმინისტრაციის მიერ წარმოებულ აბსურდულ და ქაოსურ სამხედრო პოლიტიკაზე და საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაზე. ამერიკელთა მიერ ახლო აღმოსავლეთში გატარებული „ელვისებური ომის" სტრატეგიაც არასწორი აღმოჩნდა, რადგან ბაღდადის აღების შემდეგაც ერაყელებმა გააგრძელეს ბრძოლა არასასურველი ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ. დაიწყო სისხლიანი პარტიზანული ომი, რომელიც ამერიკელ ჯარისკაცებს თითქმის ყოველ დღე სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ამერიკელებს თავი შეახსენა წარსულის მძიმე ნაიარევმა – ვიეტნამმა.

წიგნის ძირითადი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს ეძღვნება. შემთხვევითი არ არის, რომ იგი სავსეა მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომების აღწერით, რომლებიც როგორც მოკავშირეებმა, ასევე, უპირველეს ყოვლისა, „ღერძის" სახელმწიფოებმა დაუშვეს. მოვლენების სირთულე და მძაფრი დრამატიზმი, ასევე მათში მონაწილე ჯარების სახეობებისა და გვარეობების მრავალფეროვნება წარმოუდგენლად არასწორი გადაწყვეტილებების მიღების ნაწილობრივ ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. რა თქმა უნდა, ერთ ნაშრომში ყველაფრის განხილვა შეუძლებელია, ამიტომ წიგნი შემოიფარგლება მხოლოდ იმ მნიშვნელოვანი მაგალითების წარმოჩენით, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს ომების, საომარი კამპანიებისა თუ ბრძოლების მსვლელობაზე. შემდგომი შეცდომების უმეტესობის განხილვა კი, ძირითადად, „მეორე მსოფლიო ომის სამხედრო შეცდომების ენციკლოპედიაშია" გათვალისწინებული.

პრუსიელი ისტორიკოსის, ლეოპოლდ ფონ რანკეს აღიარებით, ისტორიოგრაფიამ მხოლოდ „სრული სიმართლე" უნდა ასახოს. ეს საკმაოდ რთული საკითხია. არაერთხელ

დადგინდა, რომ ისტორიული მოვლენები გადმოიცემა რამდენადმე განსხვავებულად, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. დაწერილი მსოფლიო ისტორია და ასევე ომების ისტორია სავსეა მითებითა და ლეგენდებით, კურიოზებითა და ანეგდოტებით, სიყალბითა და სიცრუით. ეს შეცდომები დღესაც აგრძელებენ არსებობას კაცობრიობის წარმოდგენებში. მაგალითად, ბასტილიის ციხესიმაგრე არავის არ აუღია შტურმით, მარტინ ლუთერს საჯაროდ არასოდეს გამოუცხადებია თავისი თეზისები, ბეთლემში ბავშვების დახოცვა კი, ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფია. სამხედრო ისტორიაშიც არსებობს მსგავსი შემთხვევები და ამან აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედიაში“. წიგნის დასასრულს ერთ სპეციალურ თავში თავმოყრილია რამდენიმე მაგალითი, სადაც წყაროები და ჩანაწერები არასწორ ცნობებს გვაწვდიან მიმდინარე მოვლენების შესახებ და ამით ადამიანთა ცნობიერებაში ფაქტებთან შეუსაბამო წარმოდგენებს ნერგავენ. ხანდახან საქმე ეხება მხოლოდ ეპიზოდებსა და დეტალებს. ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი, მნიშვნელოვანი მოვლენა კი, რომელთა მიმდინარეობის ზედმიწევნით ცოდნაში ბევრია დარწმუნებული, სინამდვილეში სულ სხვაგვარად განვითარდა.

კლაუზევიცის ფორმულირებით, ომი არა მხოლოდ „სხვა საშუალებებით პოლიტიკის დაუფარავი გაგრძელებაა“, არამედ „ძალადობის აქტი, რომელიც აიძულებს მოწინააღმდეგეს დაყვეს ჩვენ ნებას“. მისი მიზანია, „დაამარცხოს მოწინააღმდეგე და შემდგომი წინააღმდეგობის შესაძლებლობა წაართვას მას“. ეს მართლაც ძნელი და სასტიკი საქმეა. ძირითადი პრინციპია არა კეთილშობილება, ზომიერება ან გულისხმიერება, არამედ უპირობო განიარაღება და მოწინააღმდეგის ტოტალური განადგურება. „ამის დაშვება შეცდომაა, – ამბობს კლაუზევიცი ზომიერებასა და გულისხმიერებაზე, – სამხედრო ხელოვნების ჭეშმარიტი მიზანია მოწინააღმდეგის განიარაღება ან დამარცხება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით, რადგან ისეთ სახიფათო საქმეში, როგორიც ომია, ყველაზე საშინელი შეცდომების დაშვების მიზეზი ლმობიერებაა“...

რატომ ვართ დაინტერესებული ომით და მისი ისტორიით და, საერთოდ, ისტორიით? გერმანული ლიტერატურის კლასიკოსი, სამხედრო ისტორიის პროფესორი და სამხედრო ექიმი, ფრიდრიხ შილერი, 1789 წელს იენაში წაკითხულ ლექციაზე, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს გვაძლევს: იმიტომ რომ ეს ჩვენ ბევრ რამეს გვასწავლის; ის გვაიარაღებს და გვეხმარება ცოდნა მისაღები და ხელსაყრელი მეთოდებით შევიძინოთ. ეს მოსაზრება სამხედრო ისტორიასაც ეხება. „ისტორია საქმიან საერო პიროვნებას მისაბაძ მაგალითად წარმოგვიდგენს, ფილოსოფოსებს მნიშვნელოვან ახსნა-განმარტებებს აძლევს, განურჩევლად ყველას კი, სიამოვნების მდიდარ წყაროს სთავაზობს“. ეს ამბავი ჯერ არ დასრულებულა, იგი ისევ გრძელდება. კაცობრიობის მთელი პროგრესი, თანამედროვე რთული ტექნოლოგიები და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიღწევები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კოსმონავტიკის მიღწევებისა და კომპიუტერების მიერ შექმნილი წარმოსახვითი სამყაროსა და მათი ზეგავლენით დაჩლუნგებულ, გართობის მოყვარული საზოგადოების საუკუნეში, ამ წიგნის წაკითხვით წარსულის ფერად-ფერადი სურათები ცოცხლდება. და საინტერესოა, როგორ თანხმდებიან ადამიანები სამხედრო საკითხებზე და მათ მიერ დაშვებული რომელი შეცდომებია ყველაზე საშიში?

გარემოსა და ეპოქების ცვლილებების მიუხედავად, ადამიანის ბუნება ძირფესვიანად მაინც არ შეცვლილა. იგი ფიქრობს და აზროვნებს, გრძნობს და უყვარს, სძულს და ბრძოლას აგრძელებს ისევე, როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ ასეულობით წლების წინ. მის მოქმედებებს მსგავსი მექანიზმი გააჩნია და იმავე მოთხოვნებით განისაზღვრება, რაც აქამდე იყო. ჩვენი დროის ისტორიას თავზე წარსული ისტორიის ლანდი დასტრიალებს. შილერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გადაჭიმულია მოვლენათა გრძელი ჯაჭვი ახლანდელი დროიდან ადამიანთა მოდგმის დასაწყისამდე მიზეზისა და შედეგის ურღვევი ურთიერთკავშირით“.

ეს გასაგები ხდება ისლამთან დაკავშირებული ამჟამინდელი დაპირისპირებითაც, რომლის მიზეზებიც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. დღევანდელობის, XXI

საუკუნის გლობალური ომი კი, საერთაშორისო ტერორიზმთან წარმოებული ომია. ეს ომი ჩვენც გადავიტანეთ ნაწილობრივ ძალიან ახლოს, კომფორტით გარემოცულ ფერად ტელევიზორებთან. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე გაუგონარმა თავდასხმამ მსოფლიო შეცვალა. ამას კი წინ უძღოდა არასწორი დასკვნა, სახელდობრ, არასწორი ჰიპოთეზა, რომ მსგავსი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო და არც არასოდეს მოხდებოდა.

ის, რაც ეხება ისტორიული მოვლენების ჯაჭვს, ეხება ასევე მასთან დაკავშირებულ შეცდომებსაც. ხშირად ერთ დაშვებულ შეცდომას, მცირეოდენი განსხვავებით, მეორეც მოჰყვება ხოლმე. როგორც წესი, შეცდომები ძველი სახით მეორდება და ისინი ერთმანეთს ძირითადი სტრუქტურითა და მიზეზებით ჰგავს. 2500 წლიანი სამხედრო ისტორიის მიმოხილვისას ყველაფერი ნათელი ხდება, ომში შეცდომების დაშვების ხშირი მიზეზები კი, წიგნის ბოლო თავშია განხილული. როცა კვალის ძიების პროცესში შეხვდებით რაიმე გასაოცარსა და კურიოზულს, არ გაიკვირვოთ – ეს ამ თემის ბუნებიდან გამომდინარეობს. შეცდომების ხშირი გამეორება კი, ოღონდ სხვა სიტუაციაში – „ყოველთვის იგივეა, მაგრამ სხვაგვარად“ – როგორც თავის დროზე ამას ციცერონი ამბობდა. ყოველივე ეს კი, იმ აზრს ბადებს, რომ ადამიანთა მოდგმას ამ შეცდომებისგან ბევრი არაფერიც არ უსწავლია. ხოლო ის მოსაზრება, რომ ისტორიიდან ჩვენ ნამდვილად რაღაც ვისწავლეთ ამ შეცდომებზე, არცთუ დამაჯერებლად ჟღერს.

ადამიანთა შორის არსებული განუწყვეტელი დაპირისპირებები, რომლებსაც შედეგად მოსდევს სიკვდილი და განადგურება, ასევე დაუსრულებელი ჯაჭვია მათთან დაკავშირებული ტრაგიკული და საბედისწერო, ნაწილობრივ ან სრულად გაუცნობიერებელი შეცდომებისა, რაც სრულებითაც არ მოსავს ომს დიდების შარავანდედით. პირიქით! მოვლენების ანალიზმა გვიჩვენა არასწორი დასკვნებითა და შეფასებებით გამოწვეული ხოცვა-ჟლეტის მთელი საშინელება და სისხლისღვრის უაზრობა.

თქვენს წინაშეა ომის წინააღმდეგ მიმართული და ერთად შეკრებილი ისტორიების კრებული. თანამედროვე ისტორიის მეცნიერების ყველა მეთოდური და ხშირად ზედაპირული დისკუსიების პარალელურად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამხედრო ისტორიის შეცდომებისა და გაუგებრობების კალეიდოსკოპის განხილვა. აღწერილობით ნაწილში ბევრი შეკითხვა უპასუხოდაა დარჩენილი, მაგრამ არა ისტორიკოსების საყვარელი კითხვა: რა მოხდებოდა და როგორ გაგრძელდებოდა ისტორია, თუ არა ეს შეცდომები? ცნობილი ამბავია – დასმულ კითხვაზე სპეკულაცია სავარაუდო პასუხებთან დაკავშირებით და გარკვეული ინტრიგა ზოგადად მეტ ხიბლს სძენს წიგნს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. წიგნის ავტორი, გერმანელი ისტორიკოსი ჰანს-დიტერ ოტო თავის წიგნში სამხედრო მოვლენებს საინტერესო და მიმზიდველი ისტორიების ფორმით აღწერს და შილერის „ესპანეთის სამფლობელოდან გაერთიანებული ნიდერლანდების გამოყოფის ისტორიის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ბოლოში დართულ დასკვნებს იშველიებს. ამ დასკვნაში კი, ვკითხულობთ: „ისტორიას შეუძლია აიღოს დროებით რაღაც მონათესავე ხელოვნებიდან, ოღონდ ისე, რომ იგი, როგორც რომანი, ისე არ აღიქმებოდეს“.

თავი I

შეცდომები
ძვ.წ. 500 – ახ.წ. 1000 წლები

§1.1. „მკვდრებით გაივსო ზღვის სანაპირო და რიფები...“ (სალამინი, ძვ.წ. 480 წლის 28 სექტემბერი)

ერთმა პოეტმა წარმოთქვა ეს სიტყვები ქრისტეს დაბადებამდე თითქმის ნახევარი ათასწლეულით ადრე. ეს იყო ესქილე[1], ჰომეროსის[2] შემდეგ უდიდესი ბერძენი პოეტი. მან მხატვრული ფორმით აღწერა ეს ისტორია ტრაგედიაში „სპარსელები“.[3] ეს პიესა დღესაც იდგმება მსოფლიოს წამყვანი თეატრების სხვადასხვა სცენაზე და დიდი წარმატებითაც. საგულისხმო ისტორიაა. მასში აღწერილია ის მეტად საინტერესო ამბავი, თუ როგორ მოახერხეს ბერძნებმა მოწინააღმდეგის მოტყუება და როგორ დააშვებინეს მას გადამწყვეტ ბრძოლაში საბედისწერო შეცდომა.

თუ ათენის ქუჩას დასავლეთით, პირეისკენ[4] გაუყვებით და შემდეგ კიდევ ათ კილომეტრს გაივლით მიხვეულ-მოხვეული გზებით დასერილ ზღვის სანაპირომდე, პატარა დასახლებულ პუნქტს, პერამას მიაღწევთ, რომელიც ყველაზე ვიწრო ადგილია კონტინენტსა და ახლომდებარე კუნძულ სალამინს შორის. აქ აღმართულია აგელაუსი, პატარა გორაკი, რომლის მწვერვალიდანაც ტურისტებისთვის არაჩვეულებრივი ხედი იშლება ყურესა და ეგეოსის ლაჟვარდოვან ზღვაზე.

დიდი ხნის წინ, ძველი წელთაღრიცხვის 480 წლის 28 სექტემბერს ამ ხედით ტკბებოდა ერთი კაცი. ეს კაცი შორეული სპარსეთიდან იყო ჩამოსული გრანდიოზულ სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად. იგი არ გახლდათ უბრალო ადამიანი. იგი იყო მეფე, უდიდესი „მეფეთა მეფე, ყველა მოდგმის ქვეყნებისა და დედამიწის მეფე შორეთიდან“, მორჭმით მჯდარი მდიდრულად მორთულ სამეფო ტახტზე. ეს კაცი იყო აქემენიდური სპარსეთის მეფე ქსერქსე I, დარიოს I-ის ვაჟი.

ქსერქსე I უდიდესი ლაშქრითა და უზარმაზარი ფლოტით[5] ჩამოვიდა საბერძნეთში, რათა ისტორია შეეცვალა და შური ეძია იმ დამარცხებისთვის, რომელიც მამამისს აგემეს ათი წლის წინ, მარათონთან, ათენელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას უნდა მოეხერხებინა ისეთი რამ, რომ თავისი დიდი წინამორბედების, იმპერიის დამაარსებლების – კიროსისა და დარიოსის თანასწორად გამოჩენილიყო და მთელ მსოფლიოზე გაბატონებულიყო. ამისთვის კი მას უკანასკნელი პატარა ბიძგი სჭირდებოდა. ათენის დამარცხება უკვე გარდაუვალი ჩანდა. ზღვის სანაპიროზე, სამეფო ტახტზე დაბრძანებულ ქსერქსეს საკუთარი თვალით სურდა ენახა გამარჯვება. მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მზის ამოსვლა და მისი უზარმაზარი ფლოტის თითქმის დაუსრულებელი ჯაჭვის ხილვა, რომელიც სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ, სარონის ყურიდან პირეის ნავსადგურის შესასვლელამდე გადაჭიმულიყო სამ მჭიდრო რიგად სალამინის წინ, ვიწრო ფარვატერში.[6]

---

[1] ესქილე (ძვ. ბერძნ. Αἰσχύλος) (ძვ.წ. 525-456წ.წ.) – ძველი ბერძენი პოეტი და დრამატურგი, ევროპული თეატრალური ტრაგედიის მამა. მან გამოიგონა და დაამკვიდრა თეატრალური დრამატურგიის სახეობა – ტრაგედია. იგი არისტოკრატული ოჯახის წარმომადგენელი იყო. მისი ერთ-ერთი ძმა, კინეგირი, მარათონის ბრძოლის გმირი იყო, ერთ-ერთი ძმისშვილი, ფილოკლი კი, ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი პოეტი ტრაგიკოსი. მისი შვილი, ევფორიონიც ტრაგედიებს წერდა.

[2] ჰომეროსი (ძვ. ბერძნ. Ὅμηρος) (ძვ.წ. VIII საუკუნე) – ლეგენდარული ბერძენი პოეტი და სახალხო მთქმელი, რომელსაც მიაკუთვნებენ ევროპული ლიტერატურის უძველეს ძეგლებს, „ილიადასა“ და „ოდისეას“. ადრე მასვე მიაკუთვნებდნენ მთელი ეპიკური ციკლის შექმნას, რომელშიც შედიოდა პოემები ტროას ომზე, ასევე თებეური პოემები ოიდიპოსსა და მის ვაჟებზე. მასვე მიეწერება ჰომერიკულ ჰიმნთა ტომების შექმნა და კომიკური მინიეპოსი „ბატრამიომაქია“, თუმცა ამჟამად ამ მტკიცებას ეჭვქვეშ აყენებენ.

[3] ესქილე ამ ბრძოლის მონაწილე და იქ განვითარებული მოვლენების უშუალო თვითმხილველი იყო.

[4] პირეა – ქალაქი საბერძნეთში, ეგეოსისი ზღვის სანაპიროზე, ატიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ამჟამად შედის დიდი ათენის შემადგენლობაში. საბერძნეთის მთავარი სავაჭრო პორტი.

[5] ფლოტი (ფრანგ. Flotte, ნიდერ. Vloot) – ერთიანი სარდლობის ქვეშ თავმოყრილი საზღვაო ხომალდებისა და დამხმარე საშუალებების, აგრეთვე მათი ეკიპაჟების მსხვილი გაერთიანება ოპერატიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად.

[6] ფარვატერი – გემების უსაფრთხო ნავიგაციისათვის საჭირო სავალი ნაწილი წყლის სივრცეში (მდინარე, ტბა, ზღვა, სრუტე, ფიორდი, ოკეანე და ა.შ.), რომელიც აღნიშნულია ადგილზე ან რუკებზე. ფარვატერში ცურვის უსაფრთხოებას განაპირობებს წყლის შესაბამისი სიღრმე და ნავიგაციისთვის საფრთხის შემცველი წყალქვეშა ობიექტების არარსებობა, მაგალითად რიფები, ჩაძირული გემები და ა.შ.

რა მოხდა საბერძნეთში უკანასკნელ ათ წელიწადში, მარათონთან მილტიადეს[7] სახელგანთქმული გამარჯვების შემდეგ? რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც არაფერი არ მომხდარა. ბერძნები ძველებურად აგრძელებდნენ ცხოვრებას, ძველი პოლიტიკა ისევ ძველებურად მიმდინარეობდა, თითქოს მარათონი არც კი არსებულა. კუნძულ პაროსზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ კი, ათენის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ორმოცდახუთი წლის კაცი, სახელად თემისტოკლე, განსაკუთრებულად ენერგიული და ქარიზმატული პიროვნება.

ძვ.წ. 480 წლის გაზაფხულზე სპარსეთიდან მოვიდა წარმოუდგენლად საგანგაშო ამბავი – სპარსეთის მეფე ქსერქსეს შეეკრიბა იმპერიის უზარმაზარი ლაშქარი და დარდანელის გავლით, საბერძნეთის კონტინენტური ნაწილისკენ მოემართებოდა. ზღვის სანაპიროს გასწვრივ მას უძლიერესი ფლოტი აცილებდა 1200 სამხედრო გემით.[8] საქმე ეხებოდა კარგად მოფიქრებულ, გამანადგურებელ ლაშქრობას.

როცა სპარსეთის ელჩმა თემისტოკლეს „წყლისა და ხმელეთის მეუფის" მოთხოვნა გადასცა, თემისტოკლემ ბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ, მაგრამ არა მორჩილების მოთხოვნის, არამედ იმის გამო, რომ ამ უტიფარმა ტექსტი ბერძნულ და არა თავის „ბარბაროსულ" ენაზე წაიკითხა. ქსერქსეს ძალიან ბევრი ქალაქი და პროვინცია დამორჩილდა, მათ შორის, ეტოლია, ეპირი, ჩრდილოეთ ევბეა, ლოკრიდა, აღმოსავლეთ კიკლადის კუნძულები, თესალია და თებე, ასევე პელოპონესზე აქაია და არგოსი. მაგრამ მას მორჩილებაზე უარი უთხრა ათენმა, ასევე სპარტამ, ელიდამ, ფოკიდამ, თესპიამ, პლატეამ, მეგარამ და კუნძულმა ეგინამ.

ქსერქსე განრისხდა და ომის დაწყების ბრძანება გასცა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ლაშქრობა ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფეს არ გააჩნდა სამხედრო გამოცდილება, მაინც სურდა მასში მონაწილეობის მიღება. სპარსელები ისე გულმოდგინედ და წინდახედულად ემზადებოდნენ ომისათვის, რომ წარმატება გარანტირებული ჩანდა. სპარსელთა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ თავის გამარჯვებაში. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც კარგად მომზადებულ სპექტაკლში. სახმელეთო ლაშქარი, თითქმის ორასი ათასი მეომრით დროულად განთავსდა ბოსფორის სრუტეში პონტონის ხიდზე, თანმხლებ ფლოტთან კავშირის გაუწყვეტლად. ამავე დროს, ქალკიდიკეს აღმოსავლეთ ნახევარკუნძულის გავლით სპარსელებმა არხი გათხარეს, რათა თავიდან აეცილებინათ ათოსის მთისწინეთის გადალახვა.

რა უნდა ექნათ ბერძნებს? ჯერ კიდევ ძვ.წ. 481 წლის შემოდგომაზე სპარსეთის მოწინააღმდეგე ქალაქების წარმომადგენლები კორინთოში შეხვდნენ ერთმანეთს საერთო ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების განსახილველად. გამოცხადდა საყოველთაო

---

[7] მილტიადე (ძვ. ბერძნ. Μιλιάης) (ძვ.წ. 550-489წ.წ.) – ათენელი სახელმწიფო მოღვაწე, ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდის (ძვ.წ. 500-449წ.წ.) მხედართმთავარი, თრაკიის ხერსონესის ტირანი (ძვ.წ. 520-493წ.წ.), კიმონ უფროსის შვილი და კიმონ უმცროსის მამა. ხერსონესიდან დაბრუნების შემდეგ ხდება ათენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი პოლიტიკოსი. ძვ.წ. 490 წელს მილტიადეს ირჩევენ სტრატეგოსების კოლეგიაში. იმავე წელს დარიოსი აგზავნის სამხედრო ექსპედიციას ეგეოსის ზღვაში, რომლის მიზანიც ათენის დაპყრობა იყო. იცნობდა რა სპარსელთა საბრძოლო ტაქტიკას, მილტიადემ დაარწმუნა სამხედრო საბჭო, რომ სპარსელებთან ბრძოლა გაშლილ ველზე გაემართათ. მილტიადეს ბერძენთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლობა მიანდეს. მილტიადემ უნარიანად გამოიყენა ადგილმდებარეობის თავისებურებანი და სასტიკად დაამარცხა სპარსელები მარათონის ველზე.

[8] ქსერქსეს ფლოტის გემების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობდნენ სალამინის ბრძოლაში, სხვადასხვა წყაროების მიხედვით განსხვავებულია. ჰეროდოტე წერს, რომ ლაშქრობის დაწყებისას აქემენიდების იმპერიის ფლოტი 1207 ტრიმერას ითვლიდა. მსგავსი რიცხვი – „12 ასეულ გემზე მეტი", მოჰყავს დიოდორე სიცილიელს. გზად ათენისაკენ, ნაწილი გემებისა, 200 ერთეული, ქარიშხალში დაიღუპა ევბეის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. გარდა ამისა, არტემიზის ბრძოლაში ბერძნებმა ხელში ჩაიგდეს სპარსთა არანაკლებ 30 ხომალდისა. სხვა ავტორები წერენ სპარსელთა ფლოტის შესახებ, რომელიც „არანაკლებ 1000 ხომალდს" ითვლიდა, თავად ესქილე კი, ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე – 1207-ს, საიდანაც 207 „განსაკუთრებით სწრაფმავალი" იყო. თანამედროვე მკვლევარები ქსერქსეს ფლოტში შემავალი გემების რაოდენობას, რომლებმაც სალამინის ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა, 500-800-ით აფასებენ. მიუხედავად ყველაფრისა, სალამინის ბრძოლაში სპარსელთა ფლოტი რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბერძენთა ფლოტს.

შერიგება, ერთმანეთის მიმართ არსებული ყველა უთანხმოება მაშინვე დაივიწყეს, რათა ომისთვის მზადებაზე კონცენტრირების შესაძლებლობა ჰქონოდათ. საბერძნეთისთვის ასე აჯობებდა! აქამდე ასეთი რამ არ მომხდარა. სხვანაირად როგორ უნდა აღდგომოდნენ წინ სპარსელთა მუქარას?

სპარტა მხარს უჭერდა ძალთა გაერთიანებას და კოალიციური ჯარების ჩრდილოეთისკენ გადასროლას, კონტინენტზე გადასასვლელის ჩაკეტვის მიზნით. მაგრამ თემისტოკლეს სხვა გეგმა ჰქონდა: მისთვის ნათელი იყო, რომ ბერძნებს მცირე შანსიც კი არ გააჩნდათ სპარსელთა წინააღმდეგ წარმოებულ სახმელეთო ომში. ამის გამო მან წამოაყენა სრულიად ახალი, რადიკალური და რევოლუციური იდეა, რომელიც მან ლაკონური ფრაზით გამოსახა: „ჩვენი მომავალი ზღვაზეა დამოკიდებული“. მან თანამემამულეებს განუცხადა: „ჩვენ უნდა ავაგოთ გემები, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად! ჩვენ გვჭირდება მინიმუმ ორასი საბრძოლო გემი, ასევე დოკი და დიდი სამხედრო ნავსადგური პირეაში!“ ამ დიდი საქმის აღსასრულებლად ლავრიონში[9] არსებული ვერცხლის საბადო ბერძნებს მთლიანად უნდა გაეთხარათ შურფებად[10] და სახელმწიფოსათვის საკუთარი ქონებაც მსხვერპლად უნდა შეეწირათ. ყოველ მდიდარ მოქალაქეს თვითონვე უნდა გადაეხადა სამხედრო გემების აგებისა და აღჭურვილობის საფასური. თითოეული კაცი, თუ ის არ მსახურობდა ჯარში, მეზღვაური ან მენიჩბე უნდა ყოფილიყო. დაქირავებული მუშების „მეოთხე დონეს“ კი, დიდი ხნის ნანატრი ოცნება შეეძლო აეხდინა და სრულუფლებიანი მოქალაქე გამხდარიყო![11]

ათენელებს დაუჯერებლად ეჩვენებოდათ ეს ყველაფერი. სპარტელებიც იგივე აზრისანი იყვნენ. თემისტოკლეს შემოთავაზება მათ აბსურდად მიიჩნიეს: „სულელი! – იცინოდნენ სპარტელები, – ჭეშმარიტი ბერძენი იბრძვის არა ნიჩბებითა და იალქნებით, არამედ ხმლითა და შუბით!“ რადგან თემისტოკლემ ვერ შეძლო მათი დარწმუნება, შესთავაზა, გაეკეთებინათ ის, რასაც ბერძნები ყოველთვის აკეთებდნენ განსაკუთრებულ შემთხვევებში: მათ რჩევა ჰკითხეს დელფოს[12] წმინდა ორაკულს. ასეც მოიქცნენ, მაგრამ მსგავსი პირქუში და შემაძრწუნებელი პასუხი მისგან არასოდეს მიეღოთ. ათენსა და მთელ ელადას დიდი უბედურება ელოდა, მოსახლეობას სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა ეს ადგილები!

ამაყმა ათენელებმა ეს გაფრთხილება აინუნშიც არ ჩააგდეს. ამ წინასწარმეტყველებამ ვერ დააკმაყოფილა ათენელები და დელფოში სთხოვეს პითიას[13], აპოლონის ტაძარში გამოეძახებინა კეთილგანწყობილი ორაკული. ეს მეტად გაბედული საქციელი იყო. მეორე წინასწარმეტყველებაც ჭეშმარიტად რთულ ამოცანას უსახავდათ. პასუხი კი ასეთი იყო: „ათენას[14] არ შეუძლია ოლიმპიელი ზევსის შერიგება, ბევრი ლაპარაკისა და

---

[9] ლავრიონი – პატარა ქალაქი საბერძნეთში, ათენიდან 40 კმ-ში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ატიკის პორტი. ქალაქთან ახლოს არის ვერცხლის საბადო.

[10] მიწის ზედაპირიდან გაყვანილი მცირე სიღრმის ვერტიკალური ან დახრილი გვირაბი.

[11] 1960 წელს აღმოჩენილ იქნა დაფა, რომელზეც დატანილი იყო თემისტოკლეს დეკრეტები. მისი შინაარსი ძირითადში ემთხვევა ანტიკური ხანის კლასიკოსების ჩანაწერებს. მასში საუბარია მამარობითი სქესის მოსახლეობის მობილიზაციისა და ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაციის შესახებ კუნძულ სალამინზე. ასევე, ერთობლივი ბრძოლის შესახებ და ათენიდან განდევნილების უკან დაბრუნებაზე. ასე რომ, ანტიკური ხანის ისტორიკოსთა ცნობები სალამინის ბრძოლის შესახებ, ძირითადში შეესაბამება ისტორიულ რეალობას.

[12] დელფო – ძველბერძნული ქალაქი პარნასის ქედზე. საერთო ბერძნული რელიგიური ცენტრი ტაძრითა და აპოლონის ორაკულით. ლეგენდის მიხედვით ქალაქს სახელი აპოლონის შვილის, დელფოს საპატივცემულოდ დაერქვა. ძვ.წ. V საუკუნიდან ახ.წ. IV საუკუნის ბოლომდე აქ ტარდებოდა საერთო ბერძნული პითიური თამაშები. დელფოს არქეოლოგიური ნაკრძალი ჩართულია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. 1892 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა: აპოლონ პითიელის ტაძარი (ძვ.წ. VI საუკუნე), სიფნოსელებისა და ათენელების საგანძური, თეატრი, სტადიონი და სხვა ნაგებობები.

[13] პითია – ძველ საბერძნეთში დელფოს აპოლონის ტაძრის – დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველი ქურუმი ქალი. პითიას სახელი მომდინარეობს პითონის დასახელებიდან, რომელიც აპოლონმა ისრებით მოკლა. აპოლონის მიერ ტაძრის დაკავებამდე დელფოს ორაკულის მფარველად პითონი ითვლებოდა.

[14] ათენა (ძვ. ბერძნ. Ἀθηνᾶ ან Ἀθηνᾶίᾶ), ათენა პალადა (ძვ. ბერძნ. Παλλὰς Ἀθηνᾶ) – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ომის, საომარი სტრატეგიებისა და სიბრძნის ღმერთქალი, ძველი საბერძნეთის ოლიმპოს მთის თორმეტ ღმერთს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივსაცემი ღმერთქალი, ქალაქ ათენის ეპონიმი. ათენა ამავე დროს იყო ჭკუის,

თხოვნის შემდეგაც კი. მიუხედავად ამისა, თუ მოისურვებს, საზღვრების ჩასაკეტად შორსმჭვრეტელმა ღმერთმა ზევსმა შესაძლოა თავის ქალიშვილს მისცეს ხის გალავანი. მხოლოდ ხის გალავანი დარჩება დაუნგრეველი! ღვთიურო სალამინ, შენ დაღუპავ ან დაკარგავ ქალებსა და ბავშვებს!“

ათენელები საგონებელში ჩავარდნენ. ისინი თავს იმტვრევდნენ ფიქრით. ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ხის გალავანი ქალაქის აკროპოლისის[15] მესერი იყო. სხვები მასში ხედავდნენ გემების ქარავანს, როგორც ეს თემისტოკლემ მოითხოვა. დიახ, ეს უნდა ყოფილიყო გამოსავალი, ორაკული გემებში ხედავდა ერთადერთ გამოსავალს! ამრიგად, ბერძნებმა ელვის სისწრაფით დაიწყეს ფლოტის შეგროვება. როცა ძველი წელთაღრიცხვის 480 წლის ივლისში ქსერქსეს სახმელეთო ლაშქარმა ჩრდილოეთ საბერძნეთს მიაღწია, ბერძნებს უკვე ჰყავდათ მწყობრში 373 ხომალდი. მათ შორის ათენს – 147, კორინთოს – 40, 20 – მეგარიდან, 18 – ეგინიდან, 12 – სიკიონიდან, 10 – სპარტადან, და დანარჩენიც – სხვა პატარა ქალაქებიდან. ბერძნული ფლოტის 373 ხომალდიდან 270 დიდი გემი იყო.

ბერძნული ჯარის მთავარსარდლად სპარტელი ევრიბიადესი დაინიშნა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა სამხედრო-საზღვაო ძალების მართვასა და საზღვაო ბრძოლის ტაქტიკაზე. საბედნიეროდ, მის პირველ სტრატეგიულ მრჩევლად თემისტოკლე აირჩიეს. ევრიბიადესი დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლის ბედი თერმოპოლისში გადაწყდებოდა. ეს იყო საბერძნეთის შუაგულში, გოგირდის ცხელი წყაროებით გარემოცული, თხუთმეტი კილომეტრი სიგანის ხეობა ზღვის სანაპიროსთან ახლოს. ევრიბიადესის აზრით, სპარსელები აქ უნდა შეჩერებულიყვნენ.

თემისტოკლე ამ ვარაუდს არ დაეთანხმა. მან ათენელებს უბრძანა ქალაქის დატოვება და სხვა ქალაქების ან გემებისთვის თავის შეფარება. გამოსავალი სალამინის ყურეში უნდა ენახათ. სპარტის მამაცი მეფე ლეონიდასი 300 სპარტელთან ერთად თავგანწირული ბრძოლით ცდილობდა თერმოპილეს ხეობის დაცვას და სპარსელთა ჯარის შეჩერებას. მაგრამ აღმატებულ ძალასთან დაპირისპირებაში ვერაფერს გახდნენ, ისინი გმირულად დაიღუპნენ. სპარსელები მთის საიდუმლო ბილიკებით სპარტელების ზურგში გავიდნენ. შუა საბერძნეთი, დელფოს ჩათვლით, სპარსელების ხელში გადავიდა. ატიკა მთლიანად განადგურდა, ათენიც სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში. ქსერქსე განრისხებული იყო. მან ბრძანა, გადაეწვათ მიტოვებული ქალაქი, თვით აკროპოლიც კი. ბერძნულ ცივილიზაციას განადგურება ელოდა.

მოვიდა შეცდომის დაშვების დრო, რამაც ამ განზრახვის აღსრულებას შეუშალა ხელი. თემისტოკლეს აზრად მოუვიდა, ხრიკისთვის მიემართა, იმის მსგავსი ხრიკისთვის, რომლის მეშვეობითაც თავის დროზე ოდისევსმა[16] ტროას კედლებში შეაღწია. ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს[17] გადმოცემით, თემისტოკლემ ღამით თავისი მონა სიკინოზი[18]

ცოდნის, მოხერხებულობის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ხელოსნობის ღმერთქალი, ქალაქებისა და სახელმწიფოების მფარველი.

[15] აკროპოლისი (ძვ. ბერძნ. ἀκρόπολις – პირდაპირი მნიშვნელობით „ზედა ქალაქი”) – ძველი საბერძნეთის ქალაქების შემაღლებული და გამაგრებული ადგილი, ე.წ. ზედა ქალაქი. აკროპოლისი წარმოადგენდა ბერძნული ქალაქების მოსახლეობის განსახლების პირველად ადგილს, რომლის გარშემოც შემდგომში შენდებოდა ნაკლებად დაცული ე.წ. ქვედა ქალაქი. ამავე დროს, აკროპოლისი წარმოადგენდა ციხესიმაგრეს და ომების პერიოდში ქალაქის მცხოვრებთა თავშესაფარს.

[16] ოდისევსი (ძვ. ბერძნ. Ὀδυσσεύς) – ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი გმირი, იტაკის მეფე. სახელი გაითქვა ტროას ომში მონაწილეობით. განთქმული ზღვაოსანი და მოგზაური, კარგი სახალხო მთქმელი და ორატორი, მოხერხებული სამხედრო ტაქტიკოსი. „ილიადას” ერთ-ერთი საკვანძო პერსონაჟი და პოემა „ოდისევსის” მთავარი გმირი.

[17] ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ძვ. ბერძნ. Ἡρόδοτος Ἁλικαρνᾱσσεύς,) (ძვ.წ. 484-425წ.წ.) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი, დასავლეთის კულტურაში საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც „ისტორიის მამა”. იგი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელიც სისტემატურად აგროვებდა მასალას, სიფრთხილით ამოწმებდა და შეძლების ფარგლებში ახარისხებდა მათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით. ჰეროდოტე ძირითადად ცნობილია თავისი ნაშრომით „ისტორიები”, რომლებშიც იკვლევს ძვ.წ. 490 და ძვ.წ. 480 წლების ბერძენ-სპარსელთა ომების საწყისებს. ეს ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ჰეროდოტე იმ პერიოდის ცხოვრების ასპექტებსაც იხილავს დაწვრილებით, რაზეც სხვაგვარად ინფორმაცია ჩვენთვის მწირი იქნებოდა. საზოგადოდ, ჰეროდოტეს ნაშრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანტიკური კულტურისათვის.

გააგზავნა სპარსეთის მეფესთან და შესთავაზა მოლაპარაკება, რომ ბერძნები თანახმა იყვნენ კაპიტულაციაზე, ასევე გადასცა, რომ ბერძნების ფლოტში განხეთქილება მოხდა და გემების დარჩენილი ნაწილი ჩრდილოეთისკენ გაიქცა. ზუსტად ეს იყო გენიალური გეგმის არსი: ბერძნებს სპარსული გემები უნდა შეეტყუებინათ სალამინის ყურეში, სადაც ბერძნებს სპარსელთა რიცხობრივად აღმატებულ და სწრაფმავალ გემებთან დაპირისპირებაში წარმატების მოპოვების უფრო მეტი შანსი ექნებოდათ, ვიდრე ღია, გაშლილ ზღვაში. აქ ნაკლებად იყო იმის შესაძლებლობა, რომ საპარსელები შეძლებდნენ ბერძნული ფლოტისათვის ალყის შემორტყმას და განადგურებას.

სპარსეთის მეფე მახეში გაება. მან სიმართლედ მიიჩნია ის, რაც მოახსენეს ბერძნების ფლოტის დაშლასა და გაქცევაზე. მან დაიჯერა, რომ ბერძნების გემებმა მართლაც დატოვეს სალამინის ყურე. ეს შეცდომა იყო, შეცდომა, რომელიც მას ძალიან ძვირად დაუჯდება. თავისი ადმირალის რჩევის მიუხედავად, მან ბრძანა, დადევნებოდნენ ბერძნების გემებს და გაენადგურებინათ ისინი. ამ გზით იმედოვნებდა იგი ამ ომის საბოლოოდ მოგებასა და მთელი საბერძნეთის დაპატრონებას. ძვ.წ. 480 წლის 28 სექტემბრის დილას სალამინის ყურეში სპარსელთა ფლოტი გამოჩნდა. კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სრუტის ვიწრო ადგილას ბერძნული გემები იცდიდნენ, ისინი მზად იყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ქსერქსე სამეფო ტახტიდან უყურებდა, თუ როგორ ეწყობოდნენ მისი დიდებული გემები საბრძოლო წყობაში დიდ, მჭიდროდ შეკრულ რკალად. ამ დროს თემისტოკლე თავისი საფლაგმანო გემით[19] იცდიდა და ბრძოლისთვის ემზადებოდა. ბერძნების გემები უეცრად გამოჩნდნენ სამალავიდან და ფლანგებიდან გაბედულად შეუტიეს სახტად დარჩენილ მოწინააღმდეგეს. ძლიერი ბერძნული ტრირემები[20] წვერებითა და გამაგრებული კიჩოებით ეჯახებოდნენ სპარსთა გემების წინა ხაზს, რის შედეგადაც ისინი იძირებოდნენ, მომდევნო სპარსულ გემებს კი აღარ რჩებოდათ სივრცე მანევრირებისათვის. დაზიანებული გემები ერთმანეთს გზას უღობავდნენ, იჭედებოდნენ და იძირებოდნენ. განრისხებული ქსერქსე ფეხზე წამოიჭრა – ერთ ბერძნულ გემზე ოთხი სპარსული გემი მოდიოდა, მათ უნდა დაეჯაბნათ და გაენადგურებინათ ბერძნები! მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა. გამოცდილი სპარსი მეზღვაურები გაბედულად და ვაჟკაცურად ჩაებნენ ბორტზე ბრძოლაში. ზღვა წითლად შეიღება და გემების ნამსხვრევებით გაივსო.

შუადღისას ქარი ამოვარდა, როგორც ამას თემისტოკლე ვარაუდობდა. ნიავი მსუბუქმა ქარიშხალმა შეცვალა: ბობოქარი, მძლავრი და მაღალი ტალღები საქმეს ურთულებდნენ სპარსული ესკადრის[21] მენიჩბეებს. დაბალი, ბრტყელძირიანი ბერძნული გემები უკეთესად უმკლავდებოდნენ ზღვის ღელვას. ისინი წრაფად მოძრობდნენ, ეჯახებოდნენ და ძირავდნენ თავდამსხმელთა გემებს. ნაშუადღევს ბრძოლის სურათი შეიცვალა. სპარსელები შეეცადნენ ბრძოლის შეწყვეტას, მობრუნებასა და ყურიდან გაქცევას, მაგრამ ბერძნებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.[22] ღამის დადგომასთან ერთად ყველაფერი დასრულდა. თორმეტსაათიანი ბრძოლის შემდეგ ბერძნებმა ყურე სპარსელთა დიდი ფლოტის სასაფლაოდ აქციეს, რომლის მსგავსიც აქამდე მსოფლიოს არ ენახა. თითქმის

---

[18] სიკინოზი ეროვნებით სპარსი იყო.

[19] საფლაგამო ხომალდი (ფლაგმანი) – საზღვაო ფლოტის, ფლოტილიის, ან ესკადრის სამეთაურო ხომალდი, რომლის ბორტზეც იმყოფება შენაერთის სარდალი, ადმირალი ან კაპიტანი. როგორც წესი, მასზე აღმართულია შესაბამისი ალამი.

[20] ტრირემა (ლათ. Triremis, Tria – სამი და Remus – ნიჩაბი) – სამხედრო ხომალდების კლასი ძველ ხანაში, რომელსაც იყენებდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ანტიკური ცივილიზაციები, განსაკუთრებით ფინიკიელები, ბერძნები და ძველი რომაელები. ტრირემებმა სახელწოდება მიიღეს სამრიგად დაწყობილი ნიჩბების გამო, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ჭადრაკულად იყო განლაგებული. თითოეული ნიჩაბს ერთი ადამიანი მართავდა.

[21] ესკადრა – საზღვაო ხომალდების ოთხკუთხა საბრძოლო წყობა, სამხედრო-საზღვაო ფლოტში ოპერატიული გაერთიანება, რომელიც განსაზღვრულია ოპერატიული საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად საზღვაო და საოკეანო საომარ მოქმედებათა თეატრებზე.

[22] ბერძნებმა სრუტის გამოსასვლელი დაიკავეს და ყურიდან გამოქცეული სპარსული ხომალდები გაანადგურეს.

ასი ათასი სპარსი ჯარისკაცი ზღვის ფსკერზე დაიმარხა.[23] ბერძნებმა მხოლოდ ორმოცი გემი დაკარგეს.[24]

ესქილე შემდეგნაირად აღწერს მთელი დღის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლის საბედისწერო დასასრულს: „მკვდრებით გაივსო ზღვის სანაპირო და რიფები. მხეცი გაიქცა, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე. ყველა გემი დაიძირა და მარილიანი ზღვის ტალღები ადამიანთა განწირულმა ყვირილმა მოიცვა გვიან ღამემდე, ვიდრე სიბნელემ არ დაადუმა ყველა და ყველაფერი."

ბერძნებმა გაიმარჯვეს. ქსერქსე დამარცხდა, მისმა ლაშქარმა უკან დაიხია და სასწრაფოდ სპარსეთში გადავიდა.[25] დავითმა გოლიათი დაამარცხა.[26] ბერძენთა ხრიკს რომ არ ემოქმედა და ქსერქსე არ მოტყუებულიყო, იგი არ დამარცხდებოდა. საბერძნეთი კი, გამარჯვებული სპარსეთის ნაწილი გახდებოდა. ისიც ცხადია, რომ კაცობრიობის ისტორიაც სულ სხვანაირი იქნებოდა – არ დაიბადებოდა ალექსანდრე დიდი მაკედონელი და მსოფლიოში არ გავრცელდებოდა ელინური კულტურა. ამრიგად, თემისტოკლე სამშობლოს მხსნელი გახდა, სალამინთან გამარჯვების ცნობამ კი გრიგალივით გადაუარა მთელ საბერძნეთს. სალამინის ყურეში დაიმარხა არა მხოლოდ სპარსეთის ფლოტი, არამედ მსოფლიო იმპერიის სიძლიერეც.

---

[23] სალამინის ბრძოლის საწყის ეტაპზე დაიღუპა აგრეთვე სპარსელთა ფლოტის სარდალი (ადმირალი), ქსერქსეს ძმა, არიაბიგნი. პლუტარქე მას როგორც მამაც მეომარს, ისე ახასიათებს. არიაბიგნი ქსერქსეს უფროსი ძმა იყო და მამის, დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ პრეტენზიები განაცხადა სპარსეთის მეფის ტახტის დაკავებაზე. მას დაუპირისპირდა ქსერქსე, რომელმაც სპარსეთის სამეფო ტახტი იმ უფლებით დაიკავა, რომ იგი დარიოსის მეფედ გახდომის შემდეგ შეძენილი პირველი ვაჟი იყო. არიაბიგნმა დაუყოვნებლივ აღიარა უმცროსი ძმის მემკვიდრეობითი უფლებები და მხურვალედ მიესალმა ქსერქსე I-ის გამეფებას.

[24] სპარსელებმა გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ბრძოლაში სპარსთა ფლოტის ერთ-ერთი სარდალი, ქსერქსეს ძმა, არიაბიგნიც დაიღუპა. სპარსთა საბრძოლო დანაკარგების სიდიდეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჰეროდოტეს მიხედვით, სალამინის ბრძოლის მომდევნო წელს, სპარსთა ფლოტი უკვე არა 1200, არამედ მხოლოდ 300 საბრძოლო გემს ითვლიდა. გერმანელი ადმირალის, ალფრედ შტენცელის ნაშრომის „საზღვაო ომების ისტორია" მიხედვით კი, სპარსთა დანაკარგები სალამინის ბრძოლაში 200 ხომალდს შეადგენდა, ბერძნებისა – 40-ს.

[25] თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსები ქსერქსეს სამშობლოში დაუყოვნებლივი გამგზავრების კიდევ ერთ მოტივზე მიუთითებენ, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. სპარსთა გამანადგურებელი მარცხის შესახებ ცნობას ადვილად შეეძლო აქემენიდების სპარსეთში შიდა მღელვარებების გამოწვევა. მეფის არყოფნის შემთხვევაში ეს მღელვარებები ადვილად გადაიზრდებოდა სპარსთა იმპერიაში შემავალი ხალხების აჯანყებად, რაც ასე ხშირი იყო ძველი სამყაროს რეალობაში. ამიტომ, დიდი ალბათობით, ქსერქსე სამშობლოში მოსალოდნელი ან უკვე დაწყებული შიდა სახელმწიფოებრივი მღელვარებების ჩასაცხრობად გაეშურა.

[26] ასეთი დიდი გამარჯვების მიღწევის შემდეგ, ბერძნებს ადვილად შეეძლოთ სპარსული არმიისათვის საკომუნიკაციო ხაზების გადაჭრა და ქსერქსეც იძულებული გახდებოდ თავისი არმიის ნახევრით სასწრაფოდ დაეტოვებინა ელადა. ერთი წლის შემდეგ, პლატეასთან გამართული სახმელეთო და მცირე აზიის ნაპირებთან, მიკალეს კონცხთან გამართული საზღვაო ბრძოლების შემდეგ, ამ საომარი კამპანიის ბედი საბოლოოდ გადაწყდა ბერძნების სასარგებლოთ. აქედან დაწყებული, დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაში სტრატეგიულ ინიციატივას უკვე ბერძნები, და უპირველეს ყოვლისა ათენელები ფლობდნენ, რომელთაც მძლავრი საზღვაო ფლოტი გააჩნდათ.



ჰომეროსი
(ძვ.წ. IX-VIII საუკუნე)



ესქილე
(ძვ.წ. 525-456)



ჰეროდოტე
(ძვ.წ. 484-425)

ბერძნული სამყარო ძვ.წ. 500-479 წლებში


სკვერთები
ბოსპორი
ბანტიკაპეი
ისტრია
(დღინარე ჯუბი)
შავი ზღვა
სინოპი
ბერინთია
ბიზანტიონი
დიოსკოლეიონი
ბერეა
ბარკანონი
ალატეი • 479
450
სალამინი • 480
ნაკსოსი
ეფესო
სარდიონი
ეფესი
სარდისი
ქალაქადიკია
ისოსი • 333
ეკბატანა
ეგბატანელა • 331
ეკბატანა
ბაბილონი
ეფესი
ეფესელი
ეფესელი
ეფესელ
ეფესელ
ეფესელ



ქსერქსე I (ძვ.წ. 519-465)

ათენი, პირეა და სალამინის სრუტე

ბერძნული სამყარო და ბერძენ-სპარსელთა ომები ძვ.წ. 500-479 წლებში

დელფო

პითია


Г САЛАМИНСКОЕ СРАЖЕНИЕ 480 г. до н. э.
А Т Т И К А
КСЕРКС
Атака персидских кораблей левым флангом греческого флота
ФЕМИСТОКЛ
АРИОМЕН
ЭВРИБИАД
Вступление в бой главных сил сторон
Ночной переход из бухты Фалерон
Саламин
о. Саламин
п-ов Киносура
о. Пситталия
к Геллеспонту
Греческий флот под командованием Фемистокла разгромил персидский флот.
Саламинское сражение было переломным в ходе греко-персидских войн
Поражение и беспорядочное отступление персидского флота
СОСТАВ СИЛ (корабли) ПОТЕРИ
Греки 380 40
Персы 800 200
Масштаб 1:75 000
Примечание: Число кораблей дано условно
37°56'
23°35'


Athenians
Phoenicians
Athens
7 miles
Salamis
Allies
Spartans
Ionian Greeks
Piraeus
Salamis
Psyttaleia
Persian Fleet in Three Lines
GULF OF CORNITH
Egyptian contingent sails to block west channel to Salamis.
THE BATTLE OF SALAMIS,
480 B.C.
SCALE OF MILES
0 1 2 3
SARONIC GULF



ბერძნული ტრირემა



სალამინის ბრძოლის ეპიზოდი

ბერძნული ტრირემები ტარანზე

ქსერქსე I თვალს ადევნებს
სალამინის ბრძოლას



სალამინის ბრძოლის ეპიზოდი

სპარსელთა ფლოტის ადმირალის, ქსერქსეს ძმის, არიაბიგნის ბრძოლაში დაღუპვა

სალამინის ბრძოლის რომანტიზირებული ვარიანტი.
ვილჰელმ კოლბახის ნახატი. 1868 წელი

სალამინის ბრძოლაში ბერძენთა გამარჯვების ამსახველი სკულპტურა.
ავტორი აქილევს ვასილეუსი

§1.2. გავგამელას ბრძოლა
(მდინარე ტიგროსთან, ძვ.წ. 331 წლის 1 ოქტომბერი)

დაუჯერებელია, რომ მან ეს გაბედა! ამას არავინ ელოდა, მაგრამ მან ეს გააკეთა. ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლეთი დალაშქრა. სპარსეთის იმპერიის გულს მან ფაქტობრივად ძალიან პატარა – ოცდათხუთმეტი ათასი ქვეითისა და შვიდი ათასი ცხენოსნისგან შემდგარი ლაშქრით შეუტია.[27] მან ბრძოლა მოიგო მდინარე გრანიკოსთან და ასევე გაიმარჯვა ორი წლის წინ სპარსეთის მეფის, დარიოსის წინააღმდეგ ისუსთან გამართულ ბრძოლაში. შემდგომ იგი დაადგა უზარმაზარი იმპერიის შორ გზას, გადაკვეთა მესოპოტამიის ცხელი უდაბნოები და სტეპები. ქრისტეს დაბადებამდე 331 წლის 19 სექტემბერს კი, ალექსანდრე მხნედ და გულუშიშრად მიადგა სწრაფ ტიგროსს და სპარსთა ლაშქრის პირისპირ აღმოჩნდა.

აქამდე არნახული წარმატებებით თავბრუდახვეულ ალექსანდრეს გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა სურდა. ეს უნდა ყოფილიყო გმირული ბრძოლა მასა და დარიოსს, ელადასა და აზიას შორის.[28] მას მიაჩნდა, რომ იგი დიდებული ბერძენი გმირების შთამომავალი და ჰერკულესისა და აქილევსის თანასწორი იყო, მისი მძლე კი, ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა.

დარიოსმა ბრძოლა არ ისურვა. მან მეგობრობა და კავშირი შესთავაზა ალექსანდრეს, ასევე იმპერიის ნახევარი ევფრატამდე, ეგვიპტის ჩათვლით, და საკუთარი ქალიშვილის ხელი. მაგრამ ამაყმა დამპყრობელმა უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე და აცნობა, რომ მხოლოდ იგი იყო აზიის ბატონი და თუ დარიოსი ამას არ აღიარებდა, მაშინ მას უნდა შებრძოლებოდა.

დარიოსმა იცოდა, რომ რისკი უდიდესი იყო, მაგრამ მას, მეფეთ მეფეს და მსოფლიოს მბრძანებელს, სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა და არჩევანიც უკვე გაკეთებული იყო – მას უნდა უკუეგდო თავხედი დამპყრობელი.

დარიოსი გულდასმით მოემზადა ბრძოლისთვის. დიდი მეფის ყველა სამფლობელოდან, ევფრატის აღმოსავლეთიდან შორეულ ინდამდე შეიკრიბა ჯარი. ეს იყო ოცდაოთხი ეროვნების ხალხისგან შემდგარი, აქამდე გაუგონარი რიცხოვნობისა და სიმძლავრის შეიარაღებული ძალები, რომელსაც ემატებოდა ბერძენი ჰოპლიტების[29] დაქირავებული ქვედანაყოფი, ასევე საბრძოლო ეტლები და რჩეული სამეფო გვარდია[30]. უძლიერესი იყო კავალერია ბრძოლაში გამოცდილი სპარსი და მიდიელი ცხენოსნებით, მკერდსა და გვერდებზე შეჯავშნული ცხენებით, ასევე ანატოლიიდან კაპადოკიელები და სომხები, კასპიის ზღვიდან პართიელები, მამაცი ბაქტრიელები და სოგდიელები სტეპებიდან, ჰინდუყუშის ჩრდილოეთიდან. ამას ემატებოდა მოკავშირეთა ჯარები – მშვილდ-

---

[27] არიანეს მიხედვით გავგამელას ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელს 49 ათასიანი ქვეითი ჯარი ჰყავდა.

[28] გავგამელას ბრძოლა თავის ნაშრომებში აღწერილი აქვთ არიანეს, კურციუსს, დიოდორეს, პლუტარქეს, და მოკლედ, იუსტინეს.

[29] ჰოპლიტი (ბერძნ. ὁπλίτης) – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მებრძოლი ძველ საბერძნეთში, რომელიც ჯარის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა. მომდინარეობს დიდი და მძიმე ფარის, ჰოპლონის (ბერძნ. ὅπλον) დასახელებიდან. ბერძენ ქვეითთა საბრძოლო წყობის ფალანგაში სწორედ მძიმედ შეჭურვილი ჰოპლიტები შედიოდნენ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ 2-3 მეტრი სიგრძის შუბითა და მოკლე, 60 სანტიმეტრიანი ხმლით. ჰოპლიტის დაცვას უზრუნველყოფდა: აბჯარი, მუზარადი, სამუხლეები და მძიმე ფარი. ის ჰოპლიტის მთელ ტანს ფარავდა. ჰოპლიტს ტანზე ბრინჯაოს აბჯარი ემოსა, რომელიც ზოგჯერ ტყავითა და ტილოთი იყო დაფარული. ჰოპლიტის თავს ხშირად კორინთული ტიპის მუზარადი ამშვენებდა, რომელიც კარგად უზრუნველყოფდა ჰოპლიტის თავის ქალის, ცხვირის, ლოყების, ყურებისა და კისრის დაცვას. მუზარადი მორთული იყო ცხენის ძუისგან დამზადებული ფერადი მოსართავებით. ჰოპლიტის მუხლებს სამუხლეები იცავდა, ხოლო ფეხებზე სანდლები ეცვა.

[30] გვარდია (იტალ. Guardia) – ჯარების რჩეული, პრივილეგირებული ნაწილი. უძველეს მმართველებს (ბელადები, მეფეები და სხვა მონარქები) თავის განკარგულებაში პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად ჰყავდათ განსაკუთრებული, რჩეული საჯარისო ქვედანაყოფები და შენაერთები, რომლებიც საომარი მოქმედებების წარმოების დროს ჯარების განსაკუთრებულ სარეზერვო ნაწილს წარმოადგენდნენ. ისინი ბრძოლაში, მმართველის, რომელიც ამავე დროს მთავარსარდალს წარმოადგენდა, უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ და როგორც წესი, მხოლოდ მისი პირადი ბრძანებით ერთვებოდნენ.

ისრიანი სკვითი მომთაბარეები და სატყორცნი შუბებით აღჭურვილი გამოცდილი ცხენოსნები ცენტრალური აზიის უდაბნოდან, ასევე ინდოელები პენჯაბიდან თავისი საბრძოლო სპილოებით.[31]

მეფე დარიოს III-მ იმპერიის საუკეთესო მეთაურები და ხელმძღვანელები შეკრიბა. ფლანგებს მეთაურობდნენ ბესა, ბაქტრიის სატრაპი და მაზაევსი – ქილიკიის სატრაპი. საერთო ჯამში, გავგამელასთან ტიგროსის აღმოსავლეთით ვრცელ ვაკე ადგილზე სპარსთა დაახლოებით ორასი ათასი ჯარისკაცი და ორმოცი ათასი ცხენოსანი განლაგდა, რათა აქ გაემართათ ბრძოლა მაკედონელების ლაშქართან და მთლიანად გაენადგურებინათ იგი. დარიოსს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამას მოახერხებდა, რადგან რიცხობრივი უპირატესობა ძალიან დიდი იყო. სპარსელებმა ბრძოლის ველი შეარჩიეს, მოასწორეს იგი და ბრძოლისათვის მოამზადეს. ვაკის ვრცელ ფართობზე უფრო ნათლად ჩანდა რიცხობრივი უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, სპარსელთა კავალერიისა. ამასთანავე, დანებით აღჭურვილ მომაკვდინებელ საბრძოლო ეტლებს მეტი სივრცე ჰქონდათ მანევრირებისათვის. სპარსელთა ერთადერთი საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ რაც შეიძლება ღრმად შეეტყუებინათ მოწინააღმდეგე.[32]

ალექსანდრე დაახლოებით თერთმეტ კილომეტრზე მიუახლოვდა სპარსელების თვალუწვდენელ ლაშქარს. ტერიტორიის საზღვარზე განლაგებული ბორცვები ვიზუალურ კონტაქტს აბრკოლებდა. ძვ.წ. 331 წლის 30 სექტემბერს მან სპარსელების ოთხი კილომეტრი სიგანის, ღრმად ეშელონირებული საბრძოლო წყობა დაინახა. მან კარგად გააცნობიერა მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა. ალექსანდრემ ამოიცნო მოწინააღმდეგის მიერ დეტალურად მოფიქრებული გეგმა, რომელიც კავალერიის ძალებით მის ალყაში მოქცევას ისახავდა მიზნად. გრავიტაციის ცენტრი აშკარად სპარსელების მარჯვენა ფლანგზე მდებარეობდა, სადაც 9000 ბაქტრიელი ცხენოსანი იდგა, უფრო მეტი, ვიდრე ალექსანდრეს მთელი კავალერია. მან გააკეთა ის, რაც სპარსელებს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ: მოიცადა და არ აჩქარდა. რამდენიმე ცხენოსანთან ერთად მან დეტალურად შეისწავლა ტერიტორია და მოწინააღმდეგის განლაგება. მისთვის ნათელი გახდა, რომ ინიციატივის უპირატესობას ფლობდა. მართალია სპარსელებმა განსაზღვრეს საბრძოლო ველი, მაგრამ მათ უნდა ეცადათ, ვიდრე მოწინააღმდეგე შეუტევდა. იმ დროს, როცა სპარსელების უზარმაზარმა ლაშქარმა პირველი ოქტომბრის ღამე იარაღასხმულმა გაატარა საბრძოლო პოზიციებზე, ალექსანდრეს ლაშქარი ისვენებდა. ალექსანდრეს ღრმად ეძინა დილამდე და დიდი გაჭირვებით გაიღვიძა.

მისი ლაშქარი ორმოცი ათასი ქვეითი ჯარისკაცისა და შვიდი ათასი ცხენოსნისგან შედგებოდა. მიუხედავად ამისა, ეს იყო უძლიერესი იმ ლაშქართა შორის, რომელთაც იგი აქამდე სარდლობდა. ალექსანდრემ თავისი ჯარები მოწინააღმდეგის საბრძოლო გეგმის გათვალისწინებით განალაგა. მისი კავალერიაც, როგორც მოწინააღმდეგისა, ფლანგებზე

---

[31] იუსტინე ასე წარმოგვიდგენს დარიოსის ჯარს: 100 ათასი ცხენოსანი და 400 ათასი ქვეითი. როგორც ჩანს, ეს რაოდენობები თვითონ დარიოსის სიტყვებზე დაყრდნობითაა მოტანილი, რომ ალექსანდრეს თვითოეული ჯარისკაცის წინააღმდეგ თავისი 10 ჯარისკაცი დააყენა. არიანეს მიხედვით დარიოსს ჰყავდა 40 ათასი ცხენოსანი და 1 მილიონი ქვეითი, რაც აშკარად გადაჭარბებული რაოდენობაა, ასევე სრულიად რეალური დანებით აღჭურვილი 200 საბრძოლო ეტლი და 15 სპილო. ამ სპილოებმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს და იგი ალექსანდრე მაკედონელმა იგდო ხელთ. დიოდორე და პლუტარქე ასევე იმეორებენ დარიოსის მილიონიან არმიაზე ყურმოკრულ ამბავს. და მხოლოდ კურციუსს მოჰყავს სპარსელთა ჯარის რაოდენობის შესახებ შედარებით რეალური ციფრები – 45 ათასი მხედარი და 200 ათასი ქვეითი.

[32] აქემენიდების იმპერიის შექმნასა და მის შემდგომ გაძლიერებაში უდიდესი როლი ითამაშა კიროს II-ის მიერ ფორმირებულმა არმიამ. ქვეყანა სამხედრო ოლქებად იყო დაყოფილი. სახმელეთო ჯარები ძირითადად კავალერიასა და ქვეითებს მოიცავდა. საბრძოლო ეტლები კი, მცირერიცხოვანი ქვედანაყოფების სახით გამოიყენებოდა როგორც სპეციალური დანიშნულების, მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის გარღვევისათვის განკუთვნილი ძალები. არმიის ბირთვს მეფის ერთგული ე.წ. ,,უკვდავთა" შენაერთი და მეფის საკავალერიო გვარდია წარმოადგენდა. მეფის პირად დაცვას კი, ,,უკვდავთა" ათასეული უზრუნველყოფდა. როგორც ჩანს, ,,უკვდავთა" შენაერთს იმ რაზმის გამსხვილებით ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა დარიოს I-ის გამეფებისათვის მიმდინარე ბრძოლაში. ბრძოლაში სპარსული არმია ათობითი სისტემის საბრძოლო წყობით ლაგდებოდა, რომელიც კავალერისტების, შუბოსნებისა და მშვილდოსნებისაგან შედგებოდა.

იყო მასირებული. მისი გრავიტაციის ცენტრი მარცხენა ფლანგზე მდებარეობდა, რომელსაც მეფე ფილიპესთან ნამსახურები, გამოცდილი გენერალი პარმენიონი მეთაურობდა. აქვე იდგნენ ბრძოლისუნარიანი, რაინდული ეთიკით შთაგონებული თესალიელი ცხენოსნები. ისინი ისევე შევიდნენ კორინთელთა გაერთიანებაში, როგორც სხვა ბერძნული სახელმწიფოები. კავალერიის მარჯვენა ფლანგს ცხენოსნების გენერალი ფილოტე მეთაურობდა. მის წინ განლაგებული იყვნენ შუბის მტყორცნელები და მაკედონიელი მშვილდოსნების ნახევარი. ალექსანდრემ ცენტრში განალაგა ღრმად ეშელონირებული ფალანგის[33] ექვსი ბატალიონი და ფრონტის უკან მეორე, ბერძენი ჰოპლიტებისგან შემდგარი ფალანგა. მოწინააღმდეგის მიერ ალყაში მოქცევის შემთხვევაში მძიმედ შეიარაღებული ქვეითები უნდა შემობრუნებულიყვნენ, თავი დაეცვათ უკუმიმართულებით და საპასუხო დარტყმისთვის მომზადებულიყვნენ. ეს იყო ორიგინალური, ძალზე მოქნილი ჩანაფიქრი, რომელსაც სამხედრო ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება. თავდაცვა კარგად იყო მოფიქრებული. ყველაზე მთავარი კი, ის იყო, რომ ჯარების ასეთი განლაგება სწრაფი და გაბედული კონტრშეტევის საშუალებას იძლეოდა.

პირველი ოქტომბრის დილას ალექსანდრემ ცხენით შემოუარა ფრონტს, თეთრად შემოსილი და ოქროსგვირგვინიანი წინასწარმეტყველის, არისტანდრეს თანხლებით. მან გაამხნევა თავისი ჯარისკაცები და ღმერთებს შეავედრა ისინი. მისი რკინის მუზარადი და ასევე რკინის, ძვირფასი ქვებით შემკული ყელსაბამი მზეზე ისე ბრწყინავდა, როგორც ვერცხლი. ძვირფასი სელის მოსასხამი დაფარული იყო ორმაგი ჯავშნით, მარჯვენა მხარეს კი, კვიპროსის მეფის, კიტიონის ნაჩუქარი გასაოცრად ნაწრთობი და მსუბუქი ხმალი ელავდა.

ბრძოლა დაიწყო სპარსი ცხენოსნების შეტევით ალექსანდრეს სუსტ ადგილზე, მარჯვენა ფლანგზე. გაიმართა გააფთრებული ბრძოლა და ალექსანდრე იძულებული გახდა, ახალი რაზმები გადაესროლა ამ არეულ-დარეულობაში, ვიდრე მისი კავალერია შეძლებდა მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერებას და შუბოსნები საბოლოოდ მოიგერიებდნენ მათ. შემდეგ მოვიდა სპარსული საომარი ეტლების ჯერი, ისინი მოწინააღმდეგის კავალერიისკენ გაემართნენ. დარიოსს უკვე ბრძოლის დაწყებისას წარმოედგინა თავისი ტრიუმფალური გამარჯვება. ვინ შეაჩერებდა ამ მრისხანე მეომრებს? ალექსანდრემ მარჯვენა მხარეს დაიხია და მათ ქვეითები დაუპირისპირა.

მოხდა ისეთი რამ, რაც დარიოსმა ვერ გაითვალისწინა. ნიადაგი ძალიან გამომშრალი იყო. ცხენოსნებმა და საბრძოლო ეტლებმა ისეთი ბუღი დააყენეს, რომ რაიმეს გარჩევა მხოლოდ რამდენიმე მეტრზე იყო შესაძლებელი. ამან დააბრკოლა სპარსელების კომუნიკაცია და ჯარების მართვა. ცალკეულმა სამხედრო ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა დაკარგეს ორიენტაცია და ერთმანეთთან კონტაქტი. ალექსანდრეს ლაშქარს ეს არ შეხებია, რადგან ის შედარებით პატარა და კომპაქტური იყო, მოქმედებდა დამოუკიდებლად და მოქნილად, მოკლე ბრძანებების შესაბამისად. საომარი ეტლების გამოყენება, რომლებზეც დარიოსი იმედებს ამყარებდა, წარუმატებელი გამოდგა. ვარაუდი იმისა, რომ მათ შეეძლოთ თავმოყრილი ძალებით მიზანმიმართულად მოქმედება, მცდარი აღმოჩნდა. ეტლში შებმული, ორიენტაციადაკარგული ცხენები წრეზე დაჰქროდნენ, შუბების სეტყვაში ხვდებოდნენ და იხოცებოდნენ. გაჭენებული ცხენებიდან მეეტლები მიწაზე ცვიოდნენ. მაგრამ დარჩენილმა ნაწილმა შეძლო ბერძნულ ფალანგამდე მიღწევა. აქაც მოულოდნელი რამ მოხდა. ქვეითებმა უცებ გახსნეს რიგები, უკან დაიხიეს და სწრაფად მიმავალი ეტლები შიგნით შეუშვეს მეორე ფალანგამდე, სადაც მათ ჰოპლიტები

[33] ფალანგა (ძვ. ბერძნ. φάλαγξ) – ძველ საბერძნეთში, მაკედონიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიღებული ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა. იგი წარმოადგენდა ქვეითი მებრძოლების რამდენიმე რიგად დაწყობილ მჭიდრო მწყობრს. ბუნებრივია, უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობას მხოლოდ პირველი რიგები იღებდნენ, რომელთა რაოდენობა მათი შუბების სიგრძეზე იყო დამოკიდებული. მწყობრის უკანა მწკრივები რეზერვის როლს ასრულებდნენ, რომლებიც დაუყოვნებლივ ენაცვლებოდნენ ბრძოლის დროს დაღუპულებს ან დაჭრილებს. ამავე დროს ისინი წინა მწკრივებში მდგომ მეომრებზე ახდენდნენ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას და არ აძლევდნენ მათ უკანდახევის საშუალებას.

დახვდნენ გრძელი შუბებით. შედეგები სპარსელთათვის დამანგრეველი იყო. ბერძნებმა ისე გაანადგურეს დარიოსის საბრძოლო ეტლები, რომ ერთიც არ გადარჩენილა.

მარცხენა ფლანგზე ალექსანდრეს შეტევის შედეგად სპარსელთა კავალერია მარცხნივ გადაადგილდა. ალექსანდრემ მაშინვე შეამჩნია რღვეული, რომელიც გაჩნდა სპარსელების ცენტრსა და მარცხენა ფლანგს შორის. მან შექმნა სოლისებრი საბრძოლო წყობა ქვეითებით, რეზერვში მყოფი ცხენოსნებითა და რჩეული სამხედრო ნაწილებით. ალექსანდრე პირადად ჩაუდგა სათავეში ამ ლაშქარს და საბრძოლო შეძახილით სწრაფ, მძლავრ და კონცენტრირებულ კონტრშეტევაზე გადავიდა, პირდაპირ სპარსელთა მეფისაკენ. ეს იყო გაბედული, მაგრამ მეტად სარისკო წამოწყება, რომელიც წარმატებით განვითარდა. ბერძენმა ჯარისკაცებმა სპარსელების გვარდიას ფლანგიდან შეუტიეს და გაანადგურეს იგი. როცა ალექსანდრე რამდენიმე მეტრზე მიუახლოვდა მეფის საომარ ეტლს, დარიოსმა გასაქცევად იბრუნა პირი და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, მიდიელების მთიან მხარეს მიაშურა. ალექსანდრე მას კვალდაკვალ გამოედევნა ჭენებით, რადგან ფიქრობდა, რომ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა. სპარსელების მარჯვენა ფლანგიდან შეტევა დაიწყო მაზაევსმა, რომელმაც ალექსანდრეს მარცხენა ფლანგი შეავიწროვა და ბერძნების აღალამდე მიაღწია. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, მაკედონიელებისა და ბერძნების წინა რიგებმა ვერ შეძლეს შეტევის შეჩერება. მათ უკან დაიხიეს და ბრძოლის სასწორიც სპარსელებისკენ გადაიხარა. მაზაევსი თვლიდა, რომ გამარჯვება ახლოს იყო. ამ დროს მაზაევსის ფლანგზე ალექსანდრე გამოჩნდა, რათა თავის შევიწროებულ მარცხენა ფლანგს დახმარებოდა. მან შეწყვიტა მეფის დევნა მას შემდეგ, რაც პარმენიონის მიერ გაგზავნილი ცხენოსანი ალექსანდრეს დაეწია და დახმარება სთხოვა მას. კარგად გამოჩნდა, თუ როგორი ეფექტი იქონია მხედართმთავრის, ოფიცრებისა და ჯარისკაცების ერთიანობამ სპარსელების ოპერა-ტიული მმართველობის საპირისპიროდ. ალექსანდრემ ჯარებს სასწრაფოდ უკან დახევა უბრძანა და ისინი საბრძოლო ველის სხვა მხარეს, სპარსელების ცენტრისკენ გადაისრო-ლა. აქ ერთმანეთში აირივნენ სპარსელების ცხენოსანი გვარდია და პართიელი და ინდოელი ცხენოსნები. გაიმართა გააფთრებული საკავალერიო ბრძოლა, რასაც ალექსანდ-რეს სამი ოფიცერი შეეწირა, მათ შორის, მისი უახლოესი მეგობარი ჰეფესტიონი. ალექსანდრემ ათას ცხენზე მეტი დაკარგა. მარცხენა ფლანგზე განადგურებული თესალიე-ლების დარჩენილი ნაწილი მათ დასახმარებლად მოსული მაკედონიელი მეფის დანახვისას კვლავ შეტევაზე გადავიდა. აქ კი უკვე სპარსელები გატყდნენ. მარჯვენა ფლანგის სპარსელმა ჯარისკაცებმა გაიგეს თუ არა, რომ დარიოსმა ისინი ბედის ანაბარა მიატოვა და გაქცევით უშველა თავს, უკუიქცნენ. სპარსელების მარცხენა ფლანგზეც ბესამ ბრძოლა წაგებულად ჩათვალა და მანაც უკან დაიხია.

ალექსანდრემ სპარსელების ლაშქარს ორმოცდათხუთმეტი კილომეტრის მანძილზე სდია არბელამდე და მხოლოდ შუაღამისას შეასვენა ჯარი. ყველაფერი დასრულდა.[34] ალექსანდრე მაკედონელმა გაიმარჯვა, რომელსაც ჯერ კიდევ ბრძოლის ველზე ესალმებოდნენ, როგორც „აზიის მეფეს“. გავგამელამ, ისტორიის ერთ-ერთმა უდიდესმა ბრძოლამ, სპარსელების მხრიდან საბედისწერო შეცდომების დაშვებისა და ალექსანდრეს სამხედრო გენიოსობის წყალობით, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა მოწინააღმდეგის მიერ დაშვებული შეცდომები, ფაქტობრივად სპარსეთის აქემენიდური იმპერიის დასასრული განაპირობა. ძალიან მალე ალექსანდრემ აიღო ბაბილონი, სუსა, პერსეპოლისი და აზიის მბრძანებელი გახდა.

[34] დარიოს III აღმოსავლეთში გაიქცა იმ იმედით, რომ ალექსანდრეს წინააღმდეგ ახალ არმიას შეკრებდა, მაგრამ იგი შეიპყრეს, შემდეგ კი მოკლულ იქნა თავისივე ქვეშევრდომის, ბაქტრიის სატრაპის, ბესას მიერ. დარიოს III-ის ამ დამარცხებისა და მისი მოკვლის შემდეგ სპარსთა აქემენიდების იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. 356-323წ.წ.) ლისიპუსის ნამუშევრის რომაული ასლი (ლუვრის მუზეუმი). ერთ-ერთი ყველაზე უფრო სარწმუნო ნამუშევარი ალექსანდრეს გარეგნობის იდენტიფიცირებისათვის. ნატურიდან შესრულებული ერთადერთი ჩვენამდე შემონახული ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე სარწმუნო გამოსახულება.

სპარსელი „უკვდავები". ბარელიეფი



სპარსული საბრძოლო ეტლი

აქემენიდების იმპერია



დაპირისპირებულ მხარეთა საწყისი საბრძოლო წყობები და ბრძოლის დასაწყისი



THE CHARGE OF THE PERSIAN SCYTHE CHARIOTS.

სპარსული საბრძოლო ეტლები შეტევაში. ანდრე კასტენის ნახატი. 1898 წელი



ალექსანდრე მაკედონელის გადამწყვეტი მანევრი



ალექსანდრე მაკედონელი გავგამელას ბრძოლის დროს

ბერძნები თავდაცვაში

გავგამელას ბრძოლა. სპილოს ძვალზე შესრულებული ბარელიეფი.
XVII საუკუნე. მადრიდის მუზეუმი

გავგამელას ბრძოლა. პომპეის მოზაიკა. ძვ.წ. 100 წელი



ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. 356-323წ.წ.)

დარიოს III (ძვ.წ. 380-330წ.წ.)

„ალექსანდრესა და დარიოსის შებრძოლება". პიეტრო და კორტონას ნახატი. რომი, იტალია. 1650 წელი

ალექსანდრე დიდის იმპერია. ძვ.წ. 334-323 წ.წ.

§1.3. კანეს „ნახევარმთვარე“ (ძვ.წ. 216 წლის 2 აგვისტო)

მას შემდეგ, რაც კართაგენელთა მხედართმთავარმა ჰანიბალმა[35] ძველი წელთაღრიცხვის 218 წელს მეორე პუნიკურ ომში[36] თავისი ლაშქრით ალპები გადალახა, ძველი წელთაღრიცხვის 217 წლიდან საბრძოლო მოქმედებათა თეატრმა იტალიაში გადაინაცვლა. პირველად ჰანიბალი უმბრიაში შევიდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან. მან ბრძანება გასცა დაენაწილებინათ და შეესვენებინათ ლაშქარი. ჰანიბალის ლაშქარი კარგად აღჭურვილი და ერთმანეთთან შეწყობილი პროფესიონალი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, რომლებიც წლების განმავლობაში მსახურობდნენ და არაერთი ბრძოლა ჰქონდათ ერთად გადახდილი. რომაელების წინააღმდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვების შემდეგ,[37] ძველი წელთაღრიცხვის 216 წლის ზაფხულისათვის ჰანიბალი სამხრეთ იტალიაში შევიდა და გადამწყვეტი ბრძოლისთვის დაიწყო მზადება. მომავალი ბრძოლისთვის აპულიის ფართო მინდვრები შესაფერისად ეჩვენებოდა, რადგან აქ მას თავისი კავალერიის უპირატესობის გამოყენება შეეძლო. ჰანიბალის ლაშქარი დაახლოებით ორმოცი ათასი ქვეითისაგან შედგებოდა. მრავალეროვან ჯარში ლიბიელები, ნუმიდიელები და ფინიკიელები იბერიელების, ბალეარელების, კელტების, ლიგურების, იტალიკებისა და ბერძნების გვერდით იბრძოდნენ. მისი ათი ათასი ცხენოსანი ქმნიდა მსოფლიოში აქამდე არნახულ საუკეთესო ცხენოსან ჯარს.[38] იმ იმედით, რომ რომაელები აქ გამართავდნენ ბრძოლას, ჰანიბალმა თავისი ლაშქარი კანესთან, მდინარე აუფიდის, დღევანდელი ოფანტოს მარჯვენა ნაპირზე განალაგა.

რომის სენატიც[39] საომარ განწყობაზე იყო მომართული. სენატორებმა გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას მისცეს ხმა, რათა ჰანიბალის ტრიუმფალური სვლა შეეჩერებინათ და ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ კართაგენელებს. სენატმა რომაული ლაშქრის მხედართმთავრებად ორი ახლადარჩეული კონსული[40] – ლუციუს ემილიუს პაულუსი და

---

[35] ჰანიბალ ბარკა (ფინიკიური ენიდან ითარგმნება როგორც „ბაალის საჩუქარი”). ისტორიკოსი სერჟიო ლანსელი თვლის, რომ სიტყვა „ბარკა” მომდინარეობს ივრითულიდან და ნიშნავს „ელვას”, ან „დალოცვილს”. დაიბადა ძვ.წ. 247 წელს, კართაგენში, მხედართმთავარ ჰამილკარ ბარკას არისტოკრატულ, მდიდარ ოჯახში.

[36] პუნიკური ომები მცირე შესვენებებით მიმდინარეობდა ძვ.წ. 264-146 წლებში რომსა და კართაგენს შორის ჯერ სიცილიის, ხოლო შემდეგ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის დაპატრონების მიზნით. ომების დასახელება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ რომაელები კართაგენელებს, როგორც ფინიკიელთა შთამომავლებს, პუნებს, პუნიკიელებს უწოდებდნენ. ეს საუკუნეობრივი დაპირისპირება სამ ომს მოიცავდა. საბოლოოდ, გამარჯვებას რომაელებმა მიაღწიეს, რითაც საკუთარი პოზიციები გაიმაგრეს აპენინისა და იბერიის ნახევარკუნძულებზე, აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკაში, დაიპყრეს და დაანგრიეს რა თავისი დაუძინებელი მტერი კართაგენი.

[37] ეს ბრძოლები გაიმართა მდინარე ტრებიასთან ძვ.წ. 218 წლის 18 დეკემბერს და ტრაზიმენოს ტბასთან, ძვ.წ. 217 წლის 22 ივნისს.

[38] ჰანიბალის კართაგენელთა არმია წარმოადგენდა კართაგენის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელთა სამხედრო რაზმების კრებულს. მისი საერთო რაოდენობა 40-50 ათასს შეადგენდა. არმიის ბირთვს 8000 ლიბიელი ქვეითი წარმოადგენდა, ასევე იყვნენ 8000 იბერიელი, 16 ათასი გალი, (საიდანაც ბრძოლის დღეს 8000 ბანაკში იმყოფებოდა) და დაახლოებით 5500 გეტული. კავალერია მოიცავდა 4000 ნუმიდიელს, 2000 იბერიელს, 4000 გალს და 450 ლიბიელ და კართაგენელ მხედარს. გარდა ამისა, ჰანიბალის რაზმში იყო 8000 ბალეარელი მსროლელი და სხვადასხვა ხალხებისგან შემდგარი შუბოსნები. კართაგენელთა ასეთი „ჭრელი არმიის” მთავარ გამაერთიანებელ ფაქტორს ამ სხვადასხვა ჯგუფების პირადი კავშირები და ჰანიბალისადმი ერთგული დამოკიდებულება იყო.

[39] სენატი (ლათ. Senatus – უხუცესთა საბჭო) – ძველ რომში ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი ორგანო. შეიქმნა რომის სამეფოს პერიოდში მისი დამაარსებლისა და პირველი მეფის, რომულუსის მიერ და შედგებოდა პატრიციუსების უხუცესი წარმომადგენლებისგან. თავდაპირველად მის შემადგენლობაში შედიოდა 100 კაცი. ძვ.წ. III-I საუკუნეებში სენატში ხდებოდა კანონპროექტების განხილვა და შემდგომი დამუშავებისათვის მისი შესაბამის კომისიებში გადაგზავნა. სენატის ფუნქციებში შედიოდა სამხედრო საქმეების ხელმძღვანელობა, საგარეო პოლიტიკის წარმოება, ფინანსებისა და სახელმწიფო ქონების მართვა, რელიგიურ კულტებზე ზედამხედველობა, სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ა.შ. სენატი ამტკიცებდა კანონებს და არჩევნების შედეგებს. როგორც ვხედავთ, ძველ რომში სენატი წარმოადგენდა ხელისუფლების საკანონმდებლო-აღმასრულებელ ორგანოს და ფაქტობრივად ანხორციელებდა მთლიანად სახელმწიფოს მართვას. სენატის მიერ გამოტანილ დადგენილებებს კანონის ძალა ჰქონდა.

[40] კონსული (ლათ. Consul) – ძველი რომის რესპუბლიკურ პერიოდში უმაღლესი არჩევითი თანამდებობა. კონსულის თანამდებობა კოლეგიალური იყო, ანუ ირჩეოდა ერთდროულად ორი კონსული. ისინი ფლობდნენ სახელმწიფოში

გაიუს ტერენციუს ვარონი დანიშნა. ძვ.წ. 216 წლის ზაფხულის დასაწყისში ორივე კონსული რომაულ ლეგიონებთან[41] ერთად აპულიაში ჩავიდა. რომაელი ლეგიონერებისა და ნაწილობრივ ქვეითებისგან შემდგარი ლაშქარი ექვსი ათას ცხენოსანსა და ოთხმოცი ათას მეომარს ითვლიდა. ეს იყო ყველაზე დიდი ლაშქარი, რაც კი აქამდე რომს შეუკრებია. მაგრამ ეს იყო არარეგულარული არმია, რომლის ფორმირებაც მხოლოდ ომის პერიოდში მოხდა. რომაელების სარდლობა ქვეითების რაოდენობასა და კავალერიის დარტყმის ძალას ეყრდნობოდა.[42] ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ლეგიონები მოახერხებდნენ რიცხობრივად ბევრად ნაკლები მოწინააღმდეგის ადვილად განადგურებას, მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, ეს უდიდესი შეცდომა და მოწინააღმ-დეგე მხარის არასათანადოდ შეფასება იყო. რომაელი მთავარსარდლებისა და ჯარის-კაცების კართაგენელ დამპყრობლებზე გამარჯვების იმედს წარსულში მოწინააღმდეგის I პუნიკურ ომში დამარცხება და მათი ოპერატიული შესაძლებლობების ცოდნა აძლიე-რებდა.[43] მაგრამ რომაელები ცდებოდნენ. ჰანიბალი კარგად იყო მომზადებული ბრძოლი-სათვის და რაც მთავარია, მას გენიალური საბრძოლო სტრატეგია ჰქონდა შემუშავებული.

ბრძოლამდე სამი დღით ადრე რომაელებმა ბანაკი იმ დროისათვის წყალმარჩხი მდინარე აუფიდის დასავლეთ სანაპიროზე გაშალეს. ჯარის მესამედი მდინარის აღმო-სავლეთ სანაპიროზე განლაგდა, რათა უზრუნველეყოთ დიდი ბანაკის მომარაგება და დაე-შინებინათ ჰანიბალი, რომელიც აღმოსავლეთ ნაპირზე იყო დაბანაკებული. იმავე დღეს ჰანიბალმა თავისი ბანაკი მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადაიტანა. მომდევნო დღეს ჰანიბალმა საბრძოლველად დააწყო თავისი ჯარი, მაგრამ რომაელებმა არ მიიღეს ეს გამოწვევა. ამის შემდეგ ჰანიბალმა ჯაჭვურად გააბნია ნუმიდიელი ცხენოსნები, რომლებმაც რომაელთა პატარა ბანაკს წყლის მიწოდება შეუწყვიტეს. ახლა კი რომაელებს უნდა ემოქმედათ.

ძველი რომაული კალენდრით 216 წლის 2 აგვისტოს, ვარონმა, რომელიც ამ დღეს გასცემდა ბრძანებებს, მზის ამოსვლისას გამოიყვანა ჯარი ორივე ბანაკიდან და საბრძოლო წყობით, ფრონტით სამხრეთისკენ განალაგა. მდინარის სანაპიროს მარჯვენა ფლანგზე განლაგებული იყვნენ რომაელი ცხენოსნები კონსულ პაულუსის მეთაურობით, ხოლო მარცხენა ფლანგზე – მოკავშირეები ვარონის მეთაურობით. მათ შორის ერთ სწორ ხაზზე მოთავსდნენ ქვეითები, სერვილიუს გემინუსის, წინა წლის კონსულის მეთაურობით.

უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას – ადგენდნენ და მეთაურობდნენ ლეგიონებს, იწვევდნენ სენატისა და სხვადასხვა კომისიების სხდომებს, თავმჯდომარეობდნენ ამ სხდომებს და სასამართლოებს, ნიშნავდნენ დიქტატორებს და ა.შ. განსკუთრებულ შემთხვევებში სენატი კონსულებს შეუზღუდავ ძალაუფლებას ანიჭებდა. ძვ.წ. 367 წლიდან სამოქალაქო სასამართლოების წარმართვის უფლება გადაეცათ კონსულის მოადგილეებს – პრეტორებს. კონსულთა თანაშემწეებს კვესტორები წარმოადგენდნენ.

[41] ლეგიონი (ლათ. Legio – „შეგროვება", „შეკრება") – ძველი რომის გვიანდელი რესპულიკური პერიოდისა და იმპერიის ხანის არმიის ძირითადი საბრძოლო ორგანიზაციული ერთეული. რომის სახელმწიფოს სხვადასხვა პერიოდებში იგი შედგებოდა 2-10 ათასი ქვეითისა და ცხენოსანთა რამდენიმე ასეულისაგან. ყოველ ლეგიონს თავისი სახელი, ნომერი და სამხედრო შტანდარტი ჰქონდა. ჩვენამდე შემონახული წერილობითი წყაროების მიხედვით იდენტიფიცირებულ იქნა 50-დე სხვადასხვა ლეგიონი, თუმცა ითვლება რომ მათი რაოდენობა თვითოეულ ისტორიულ პერიოდში არ აღემატებოდა 28-ს. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ახალი ლეგიონების შექმნა. რომაული სამყაროს რესპუბლიკის პერიოდში ლეგიონის სათავეში სამხედრო ტრიბუნი იდგა, იმპერიის ხანაში კი, ლეგატი. ლეგიონი 10 კოჰორტად იყოფოდა, რომელიც რომაელთა ჯარების მთავარ ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მისი პირადი შემადგენლობა დაახლოებით 500 ლეგიონერს შეადგენდა და იგი თანამედროვე ბატალიონის ექვივალენტად შეგვიძლია განვიხილოთ. თავის მხრივ კი, კოჰორტა სხვადასხვა პერიოდებში მანიპულებისა და ცენტურიებისგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი საშუალოდ 100 ლეგიონერს ითვლიდა და ბრძოლებში დამოუკიდებელი ტაქტიკური ერთეულის სახით არ ერთვებოდა. მას ცენტურიონი მეთაურობდა.

[42] რომაელთა არმიის საერთო რაოდენობა 79 ათასს შეადგენდა. აქედან 63 ათასი ქვეითი იყო და 6 ათასი ცხენოსანი. გარდა ამისა, ორ გამაგრებულ ბანაკში დამატებით 7400 მსუბუქი და 2600 მძიმე კავალერისტი იმყოფებოდა.

[43] აქ საუბარია რომაელთა მიერ კართაგენის წინააღმდეგ I პუნიკურ ომში მიღწეულ წარმატებაზე, რომელიც ძვ.წ. 264-241 წლებში მიმდინარეობდა. I პუნიკური ომის საომარი მოქმედებების თეატრს კუნძული სიცილია და ხმელთაშუა ზღვის აუზი წარმოადგენდა, რომელთაც კართაგენი აკონტროლებდა. ამ ხანგრძლივ ომში საბოლოოდ, რომაელებმა გაიმარჯვეს. ისინი დაეუფლნენ კუნძულ სიცილიას, და იტალიასა და სიცილიას შორის არსებულ კუნძულებს, აგრეთვე კორსიკასა და სარდინიას. ამრიგად, I პუნიკური ომი, რომელიც მცირე შესვენებებით 24 წელი მიმდინარეობდა, პირველი ომი იყო, სადაც რომმა აპენინის ნახევარკუნძულის გარეთ დაიწყო ექსპანსია. ეს იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში რომის ჰეგემონობისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი.

ვარონმა ლეგიონერები სიღრმეში ეშელონებად განალაგა ისე, რომ ფრონტის სიგანე ბოლოში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სიღრმეში. იგი ფიქრობდა, რომ ამ ხერხით შეძლებდა მოწინააღმდეგის მოსალოდნელი დარტყმების უკეთ შეჩერებას ცენტრში და მისი გარღვევის შეფერხებას. ასეთი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი ხარვეზი და რომაელთა მიერ დაშვებული სერიოზული ტაქტიკური შეცდომა იყო, რამაც ქვეითების მოძრაობის უნარი შეზღუდა. რომაული ეშელონის უჩვეულო სიღრმე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ რაც შეიძლება მეტ ჯარისკაცს მიეღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში.[44] ლეგიონერების წინ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები ვიწრო სწორ ხაზს ქმნიდნენ.

ჰანიბალმა მთელი თავისი ლაშქარი მდინარეზე გადაიყვანა, რათა იგი რომაელების ხაზის სამხრეთით და კანეს აღმოსავლეთით განელაგებინა. ჰანიბალის მარცხენა ფლანგზე, უშუალოდ მდინარესთან და რომაელი ცხენოსნების პირდაპირ იბერიელი და კელტი ცხენოსნები განთავსდნენ ჰასდრუბალის[45] მეთაურობით, მარჯვენა ფლანგზე კი, ნუმიდიელი ცხენოსნები ჰანონის მეთაურობით. შუაში მან მძიმედ შეიარაღებული ქვეითები – ლიბიელები, იბერიელები და კელტები მოაწყო. ამ შენაერთს თვითონ ჰანიბალი ჩაუდგა სათავეში თავის ძმასთან, მაგონთან ერთად. კართაგენელთა საბრძოლო გეგმის განსაკუთრებულობა შემდეგში მდგომარეობდა: ცენტრში გადაადგილდებოდა შუა ნაწილი, ხოლო მომდევნოები მარჯვნივ და მარცხნივ უნდა შეერთებულიყვნენ ეშელონებად, ნახევარმთვარის მსგავსად.

წინა ხაზზე მსუბუქად შეიარაღებულმა რომაელებმა ბრძოლა ისრების სროლით დაიწყეს. შემდეგ ჰანიბალის მარცხენა ფლანგზე შეტევაზე იბერიელი და კელტი ცხენოსნები გადავიდნენ. ისინი შეეტაკნენ რომაელთა კავალერიას, რომელთა მეთაურიც შეცდომამ დაღუპა. კერძოდ, რომაელები ფიქრობდნენ, რომ ბრძოლა წარიმართებოდა ჩვეულებრივი სქემით, დასაწყისით, ცვლილებებითა და ხელახალი შეტევით. მაგრამ, მათდა გასაკვირად, ჰასდრუბალის ცხენოსნები სხვა ხერხით იბრძოდნენ. პირველივე შეტევისას რომაელებს ცხენებიდან ყრიდნენ და ებრძოდნენ ქვეითად ერთი ერთზე. ამ ხერხით უკეთ გამოჩნდა მათი რიცხობრივი უპირატესობა. არცთუ ადვილად დასაჯაბნი რომაელი ცხენოსნები მთლიანად განადგურდნენ. მაგრამ ცენტრში რომაელი ლეგიონერები მედგრად მიიწევდნენ წინ, ჰანიბალის ჯარი კი დიდი დანაკარგებით იხევდა უკან, ისე რომ რომაელთა ნახევარმთვარის ფორმა ნელ-ნელა გაქრა. რომაელები ფიქრობდნენ, რომ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, ყოველ შემთხვევაში ბრძოლის დინამიკა თითქოს ამას აჩვენებდა. ისინი უკან მიჰყვნენ დისციპლინირებულად და მოწესრიგებულად უკუქცეულ კართაგენელთა ცენტრს. ეს რომაელთა მიერ დაშვებული შემდგომი შეცდომა იყო, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი, რადგან რომაელი ქვეითები იმ სასიკვდილო მახეში გაებნენ, რომელიც მათ ჰანიბალმა დაუგო. მჭიდროდ და ღრმად ეშელონირებული რომაელთა ქვედანაყოფები თავგანწირვით ცდილობდნენ წინ გაჭრასა და ნახევარმთვარის ფორმის ისევ შექმნას. ამ მომენტში, კართაგენელთა წყობის შუა ნაწილიდან ლიბიელი ჯარისკაცები მობრუნდნენ და რომაელთა ლეგიონის ირგვლივ მარჯვნივ და მარცხნივ განთავსდნენ. რომაელებმა შეტევა შეწყვიტეს, რადგან ლეგიონერები შეტევის მოსაგერიებლად თავიანთ ფლანგზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარემოცვის საფრთხე იყო მოსალოდნელი.

ამასობაში რომაელების მარცხენა ფლანგზე მოკავშირეების კავალერიამ გაუძლო ნუმიდიელი ცხენოსნების შემოტევას. აქ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, თუმცა ამავე დროს საკუთარ ფლანგზე გამარჯვებული ჰასდრუბალი სხვა მხრიდან მოუბრუნდა

---

[44] ქვეითთა ღრმად ეშელონირებული საბრძოლო წყობა თავისთავად განაპირობებდა სრული საბრძოლო ძალის გამოყენების შეუძლებლობას. სიღრმეში განლაგებული მეომრებისათვის საბრძოლო არეალი შეზღუდულია და ისინი პასიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთ ვითარებაში, შეზღუდული სამანევრო სივრცის გამო, რიცხობრივი უპირატესობის ეფექტურად რეალიზება შეუძლებელია.

[45] ჰასდრუბალი – კართაგენელთა ჯარის ერთ-ერთი მხედართმთავარი მეორე პუნიკური ომის დროს. კანეს ბრძოლაში ჰასდრუბალი სარდლობდა იბერიელებისა და კელტების საკავალერიო შენაერთს, რომელიც კართაგენელთა არმიის მარცხენა ფლანგს წარმოადგენდა. მისი ცხენოსანი ჯარი 6500 მხედარს ითვლიდა, ჰანონის კავალერია კი – 3500-ს.

რომაელების მარჯვენა ფლანგს და ნუმიდიელებს მიეშველა. შემდეგ ჰასდრუბალი კიდევ ერთხელ შემობრუნდა თავის ცხენოსნებთან ერთად ცენტრისკენ და რომაელების ლეგიონს რამდენიმე ადგილზე დაარტყა ზურგიდან. სწორედ ამ მომენტში დაიღუპა კონსული ემილიუს პაულუსი, მხოლოდ ვარონმა შეძლო გაქცევა თავისი სწრაფი ცხენით. რომაელთათვის და მათი მეთაურებისათვის ეს კატასტროფის ტოლფასი იყო. ლეგიონი ნადგურდებოდა და რომაელებიც მარცხდებოდნენ. საშველიც არსაიდან ჩანდა. ისიც ნათელი იყო, რომ ახლა მხოლოდ უსუსურ ტერენციუს ვარონს გამოაცხადებდნენ დამნაშავედ. გერმანელმა ისტორიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, თეოდორ მომზენმა სწორად აღნიშნა, რომ მას „მთელი ცხოვრება უნდა ეზიდა ეს მძიმე ჯვარი“.

საბოლოოდ, ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. რომაელებმა ტოტალური მარცხი განიცადეს. რომაელთა ჯარებს კართაგენელებმა მთლიანად შემოარტყეს ალყა და გაანადგურეს იგი. დიდი ძალისხმევის ფასად რომაელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო გაქცევა.

კანეს ბრძოლა და კართაგენელთა სარდლის, ჰანიბალის მიერ ბრძოლაში გამოყენებული მარტივი, მაგრამ გენიალური ტაქტიკა ასწლეულების შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას. ჰანიბალის ბრწყინვალე გამარჯვების მასშტაბები დღესაც შთამბეჭდავია. თეოდორ მომზენი წერს: „ალბათ არასდროს არ განადგურებულა ასეთი სიდიდის ლაშქარი მთლიანად და მოწინააღმდეგის მხრიდან ასეთი მცირე რაოდენობის დანაკარგით ბრძოლის ველზე, როგორც რომაელების ლაშქარი კანესთან. ჰანიბალმა ექვსი ათასამდე კაცი დაკარგა, აქედან ერთი მესამედი კელტები იყვნენ, რომლებმაც პირველებმა შეუტიეს ლეგიონერებს“. ამის საპირისპიროდ სამოცდათექვსმეტი ათასი მეომარი რომაელებმა დაკარგეს, მათმა მოკავშირეებმა კი, სამოცდაათი ათასი.[46] ჰანიბალის ამ უმაგალითო და არნახულ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი რომაელთა მიერ დაშვებულმა კატასტროფულმა შეცდომებმა ითამაშეს. თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი იყო ჰანიბალის სამხედრო გენიალობის წილიც. და მიუხედავად ამისა, კანეს ბრძოლა არ გამხდარა პუნიკური ომების გადამწყვეტი ბრძოლა, რადგან ჰანიბალმა ვერ ისარგებლა ამ გრანდიოზული გამარჯვების შედეგებით. მან ვერ გამოიყენა ეს გამარჯვება და არ გაილაშქრა უშუალოდ რომის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჰანიბალმა კანეს ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, ჯამში მაინც წაგებული დარჩა.[47] როგორც იტყვიან, მოიგო ტაქტიკაში და დამარცხდა სტრატეგიაში.

ამ ამბებიდან 70 წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის 146 წელს, უკვე მესამე პუნიკური ომის მსვლელობისას, რომაელებმა კართაგენი აიღეს. რომაელთა სარდალს, შემდგომში „სციპიონ აფრიკელად" წოდებული, კონსული პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, ემილიუს პაულუსის შვილი წარმოადგენდა. პუნიკური ომების 118 წლიანი ეპოქა საბოლოოდ რომაელთა გამარჯვებითა და კართაგენის სრული განადგურებით დასრულდა.

---

[46] კანეს ბრძოლის აღწერისას პოლიბიუსი 70 ათასი ბრძოლაში მოკლული რომაელისა და მათი მოკავშირეების, 10 ათასი ტყვისა და 3 ათასი „შესაძლო" გადარჩენილის შესახებ წერდა. რომაელთა კავალერიამ 6000 კაცი დაკარგა, გადარჩა მხოლოდ 370. ლივიუსი რომაელთა დანაკარგებს ასე წარმოგვიდგენს: 40 ათასი ქვეითი, 2700 ცხენოსანი, ტყვედ აყვანილი 3000 ქვეითი და 1500 ცხენოსანი. იგი არ ასახელებს თავის წყაროს. ეს შესაძლებელია იყოს რომაელი ისტორიკოსი კვინტუს ფაბიუს პიქტორი, რომელიც მეორე პუნიკურ ომში იღებდა მონაწილეობას. მის სახელს პოლიბიუსი ახსენებს ტრებიასთან გამართული ბრძოლის აღწერისას. ემილიუს პაულუსის სიკვდილის გარდა, რომაელი ავტორი ამ ბრძოლაში აღნიშნავს აგრეთვე 2 კვესტორის, 29 სამხედრო ტრიბუნის და 80 სენატორის ან სენატორად არჩევის უფლების მქონე პირის მოკვლის ამბავს.

[47] კანეს ბრძოლაში რომაელთა მძიმე მარცხის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში რომში სრული უწესრიგობა სუფევდა. მისი საუკეთესო ჯარები განადგურებული იყო, დარჩენილი ქვედანაყოფები – სერიოზულად დემორალიზებული, მისი ერთადერთი კონსული ვარონი კი, სრულიად დისკრედიტირებული. როგორც ისტორია გვამცნობს, რომაელთათვის იმდენად მძიმე იყო კანეს ბრძოლაში დამარცხება, რომ გამოცხადებულ იქნა საერთო ეროვნული გლოვა. ეს ნაბიჯი გასაგებია, რადგან არავინ იყო რომში ისეთი, რომლის ერთი ნათესავი მაინც არ დაღუპულიყო კანეს ბრძოლაში. ღმერთების გულის მოსაგებად რომში დაიწყო ადამიანთა მსხვერპლთშეწირვის ცერემონიალები: ფორუმის მოედანზე ადამიანებს რამდენჯერმე მარხავდნენ ცოცხლად მიწაში, ადრიატიკის ზღვაში კი, უდღეურ ბავშვებს ახრჩობდნენ. შესაძლებელია, სწორედ ეს იყო ძველი რომის ისტორიაში ადამიანთა მსხერპლთშეწირვის ბოლო შემთხვევები.



ჰანიბალ ბარკა. (ძვ.წ. 247-183)

გამარჯვებული ჰანიბალის ქანდაკება.
სებასტიან სლოცი. ლუვრი. 1704 წელი





ჰანიბალის ლაშქარი ალპებში



ჰანიბალის იტალიაში ლაშქრობის მარშრუტი

კართაგენელი მეომრები

ბალეარელი მეშურდულე

ახლადარჩეული კონსულები ლუციუს ემილიუს პაულუსი
და გაიუს ტერენციუს ვარონი

რომაელი ქვეითები

ჰანიბალი და მისი ლაშქარი. ჟუზეპე რავას ნახატი



ჰანიბალის მიერ II პუნიკურ ომში გამარჯვებით გადახდილი ტრებიას, ტრაზიმენოსა და კანეს ბრძოლის ადგილები


THE BATTLE OF CANNAE
215 B.C.
Initial Roman Attack and Defeat of Roman Cavalry
Allied Cavalry
Numidian Cavalry
African Infantry
Spanish and Gaulish Cavalry
African Infantry
Roman Cavalry destroyed
Spanish and Gaulish Cavalry
Smaller Roman Camp
Aufidus River
Hannibal's Camp
Cannae
Larger Roman Camp


THE BATTLE OF CANNAE
215 B.C.
Destruction of the Roman Army
Spanish and Gaulish Cavalry
Numidian Cavalry
African Infantry
African Infantry
Aufidus River
Cannae



Die Römer ihres Schmuckes beraubt vor Hannibal.

ჰანიბალი კანეს ბრძოლის დროს

კონსულ ლუციუს ემილიუს პაულუსის სიკვდილი.
ჯონ ტრამბალის ნახატი. 1773 წელი



მეორე პუნიკური ომი (ძვ.წ. 218-202 წლები)

კანეს ბრძოლის ველის გათხრები

კანეს ველზე აღმართული მონუმენტური სვეტი

§1.4. ბემი მეწამული იალქნებით
(აქციუმი, ძვ.წ. 31 წლის 2 სექტემბერი)

ძველი წელთაღრიცხვის 42 წელს, ფილიპისთან გამართულ ბრძოლაში, მარკუს ანტონიუსმა[48] და გაიუს ოქტავიანემ[49] იულიუს კეისრის[50] მკვლელები – ბრუტუსი[51] და კასიუსი[52] დაამარცხეს და რომს ჩაუდგნენ სათავეში.[53]

ქრისტეს დაბადებამდე 40 წელს მათ იმპერია გაიყვეს. ოქტავიანეს დასავლეთ პროვინციები ერგო, ანტონიუსს – აღმოსავლეთი. ტარსუსში გამართული ვასალი მმართველების შეკრებაზე იგი კლეოპატრას[54], ეგვიპტის დედოფალს, იულიუს კეისრის ყოფილ საყვარელს შეხვდა. კლეოპატრა მიხვდა, რომ სავარაუდოდ ანტონიუსი იქნებოდა ამ დღიდან რომის პირველი კაცი, ეგვიპტის გამგებელი და ძალაუფლებაც მის ხელში აღმოჩნდებოდა. მან მოახერხა ანტონიუსის მოხიბვლა და დაინტერესება ისე, რომ ანტონიუსი დათანხმდა მის მიპატიჟებას ეგვიპტეში და იქ მასთან ერთად ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ანტონიუსი ოქტავიანეს დაზე, ოქტავიაზე იყო დაქორწინებული.

---

[48] მარკუს ანტონიუსი (ლათ. Marcus Antonius) (ძვ.წ. 83-30წ.წ.) – წარმოშობით მოგვიანებით დაწინაურებული ძველი პლებეური ოჯახიდან, ძველი რომაელი პოლიტიკოსი და ნიჭიერი მხედართმთავარი, რომის მიერ იუდეაში, ეგვიპტესა და გალიაში წარმოებული ომების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი, ძვ.წ. 43-33 წლებში რომის მეორე ტრიუმვირატის წევრი, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ გაიუს ოქტავიანე და მარკუს ლეპიდუსი. ძვ.წ. 42 წელს ფილიპის ბრძოლაში ტრიუმვირებმა დაამარცხეს კეისრის მკვლელები, ლიბერატორები და რომის რესპუბლიკის მართვა-გამგეობა ერთმანეთში გადაინაწილეს. ამის შემდგომ ტრიუმვირატმა მოაწყო დაუნდობელი პროსკრიფციები, რომლის დროსაც გაანადგურეს რომის მდიდართა ფენა და ტრიუმვირატის წევრთა პირადი მტრები. სწორედ ანტონიუსს მიეწერება ცნობილი რომაელი მოღვაწის, ორატორისა და ფილოსოფოსის, ციცერონის სიკვდილით დასჯის ინიციატივა. სამგზის კონსული ძველი წელთაღრიცხვის 44, 34 და 31 წლებში, თუმცა ბოლო თანამდებობა ოფიციალურად არ ჩაუბარებია.

[49] ოქტავიანე ავგუსტუსი (ლათ. Octavianus Augustus), დაბადებით გაიუს ოქტავიანე თურინუსი (ძვ.წ. 63-ახ.წ. 14წ.წ.) – ცნობილი მდიდარი ოჯახის შვილი, იულიუს კეისრის დისშვილიშვილი და შვილობილი, ძველი რომის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომის მეორე ტრიუმვირატის წევრი, რომის იმპერიის დამაარსებელი და მისი პირველი იმპერატორი, უმაღლესი პონტიფიკოსი. 13-ჯერ ეკავა კონსულის თანამდებობა, ხოლო ძვ.წ. 23 წლიდან ფლობდა ტრიბუნის უფლებამოსილებებს (Tribunicia Potestas). მინიჭებული ჰქონდა „სამშობლოს მამის" (Pater Patriae) საპატიო წოდება. თავისი მმართველობის წლებში ოქტავიანე ავგუსტუსმა მნიშვნელოვნად გააფართოვა რომის სამფლობელოები. იმპერიის საზღვრებში ჩართულ იქნა რაინისა და დუნაისპირა მიწები, ესპანეთის დიდი ნაწილი, აგრეთვე ეგვიპტე, იუდეა და გალათეა. მის მიერ დაარსებული იულიუს-კლავდიუსების დინასტია რომის იმპერიას ახალი წელთაღრიცხვის 68 წლამდე მართავდა.

[50] გაიუს იულიუს კეისარი (ლათ. Gaius Iulius Caesar) (ძვ.წ. 100-44წ.წ.) – წარმოშობით ძველი პატრიციუსების ოჯახიდან, ძველი რომის დიდი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და მწერალი. ძვ.წ. 59, 48, 46-44 წლებში რომის კონსული, ხოლო ძვ.წ. 49 და 48-47 წლებში დიქტატორი, ძვ.წ. 63 წლიდან უმაღლესი პონტიფიკოსი. ძვ.წ. 60 წელს ჩამოაყალიბა რომის პირველი ტრიუმვირატი, სადაც მის გარდა შევიდნენ რომის გავლენიანი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები გნეუს პომპეუსი და მარკუს ლიცინიუს კრასუსი. დაწყებული ძვ.წ. 58 წლიდან თავის ლეგიონებთან ერთად რვა წელიწადზე მეტი გაატარა ლაშქრობებში თანამედროვე შვეიცარიის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ტერიტორიებზე. გალურ ომებში რომის რესპუბლიკას შემოუერთა დიდი ტერიტორიები ატლანტის ოკეანიდან მდინარე რაინამდე. გაატარა მთელი რიგი რეფორმებისა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იულიუს კეისრის სიცოცხლეშივე დაიწყო მისი გაღმერთება და უძლეველი მხედართმთავრის საპატიო ტიტული „იმპერატორი" მისი სახელის ნაწილი გახდა, თუმცა იგი უარს აცხადებდა ძველი რომის მეფეთა ხელისუფლების მიღებაზე. იულიუს კეისრის სახელთანაა დაკავშირებული წელიწადის მეშვიდე თვის „ივლისის" და სამეფო ტიტულების, გერმანული „კაიზერისა" (გერმ. der Kaiser) და რუსული „ცარის" (რუს. Цьсарь, Цѣсарь, Царь) დასახელებები. მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ ძვ.წ. 44 წლის 15 მარტს.

[51] მარკუს იუნუს ბრუტუსი (ლათ. Marcus Junius Brutus) (ძვ.წ. 85-42წ.წ.) – პლებეური წარმომავლობის იუნუსების გვარის ძველი რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ზოგიერთი მონაცემით იგი იულიუს კეისრის უკანონო შვილი იყო. პირველ რიგში ცნობილია როგორც გაიუს იულიუს კეისრის მკვლელი.

[52] გაიუს კასიუს ლონგინუსი (ლათ. Gaius Cassius Longinus) (ძვ.წ. 85-42წ.წ.) – პლებეური წარმომავლობის რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. მარკუს ბრუტუსის მსგავსად ისიც პირველ რიგში ცნობილია როგორც გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი წევრი და შემსრულებელი.

[53] ფილიპის ბრძოლა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 44-42 წლებში მიმდინარე რომის სამოქალაქო ომის კულმინაციურ ბრძოლას წარმოადგენდა, გაიმართა მეორე ტიუმვირატის ძალებსა და იულიუს კეისრის მკვლელებს შორის. ბრძოლა ქალაქ ფილიპისთან, მეკედონიაში, ძვ.წ. 42 წლის ოქტომბერში მოხდა.

[54] კლეოპატრა VII ფილოპატორი (ძვ. ბერძნ. Κλεοπάτρα Φιλοπάτωρ) (ძვ.წ. 69-30წ.წ.) – ეგვიპტის პტოლემაიოსების მაკედონური დინასტიის უკანასკნელი მმართველი და მეფე.

მარკუს ანტონიუსისთვის კი, კლეოპატრა, რომელმაც მას სამი შვილი გაუჩინა[55], ბერკეტს წარმოადგენდა მდიდარი ეგვიპტის ხელში ჩასაგდებად.[56] ანტონიუსის ამ ნაბიჯით მისი ავტორიტეტი რომში მნიშვნელოვნად დაეცა.

ოქტავიანემ შექმნილი სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ქრისტეს დაბადებამდე 33 წელს კონსულად არჩეულმა ოქტავიანემ ანტონიუსი რომის სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა. მან მიზანში ანტონიუსის პირადი ცხოვრების დეტალები ამოიღო. ოქტავიანემ გაკიცხა „ლოთი ანტონიუსი გრძნეულ კლეოპატრასთან თავაშვებული თანაცხოვრებისათვის“, რომელმაც იგი თავისი ჯადოქრობით დაატყვევა. ოქტავიანე არ შეუშინდა სამართალდარღვევას და ანტონიუსს ცილიც დასწამა. ძვ.წ. 32 წლის ივლისში მან რომში შენახული ანტონიუსის პირადი ანდერძი გახსნა და საჯაროდ განაცხადა, რომ ნაანდერძევი ქონების უდიდესი ნაწილი განკუთვნილი იყო ბავშვებისთვის, რომლებიც მას კლეოპატრამ აჩუქა, რომში სიკვდილის შემთხვევაში კი, მისი სხეული ეგვიპტეში უნდა გადაესვენებინათ. ოქტავიანესთვის ეს იყო საუკეთესო მტკიცებულება იმისა, რომ რომი შესაძლოა ეგვიპტეს დამორჩილებოდა. ხოლო როცა ანტონიუსმა თავის მეუღლეს და ოქტავიანეს დას, ოქტავიას, გაყრის მოწმობა გაუგზავნა და საბოლოოდ გადაწყვიტა კლეოპატრასთან დარჩენა, რომის სენატმა მას ომი გამოუცხადა.

ანტონიუსმა ბოლო წლები თავისი ლაშქრის უკეთ აღჭურვასა და მძიმე საბრძოლო გემების აგებას მოანდომა. ძვ.წ. 32 წლის შემოდგომამდე წყალში ჩაშვებული მძიმე საბრძოლო გემები დიდი ქვების სატყორცნი კატაპულტებით იყო აღჭურვილი.[57] ფლოტი დალმაციის სანაპიროზე იყო ბაზირებული და ღუზაზე კუნძულ კერკირას სამხრეთით, ამბრაკიის ყურეში, ქალაქ აქციუმთან იდგა. აქედან გამოაგზავნა ანტონიუსმა თავისი ლაშქარი და ყურის შესასვლელის სამხრეთით გაშალა პირველი ბანაკი. მან ძალიან ვიწრო, მხოლოდ ექვსასი მეტრი სიგანის ადგილზე ააშენებინა სანაპირო გამაგრება, რომელიც კატაპულტებით შეაიარაღა. აქციუმის კონცხის ნავსადგური მთავარ ბანაკს ორი მიწაყრილით უკავშირდებოდა.

ოქტავიანე თავის ლაშქართან ერთად ყურეს ჩრდილოეთიდან მიუახლოვდა. პლუტარქეს[58] გადმოცემით, მისი ლაშქარი 16 ათასი ქვეითისა და დაახლოებით 3 ათასი ცხენოსნისგან შედგებოდა და რიცხობრივად ჩამორჩებოდა ანტონიუსის ლაშქარს (20

---

[55] მარკუს ანტონიუსთან გაჩენილ შვილებთან ერთად, კლეოპატრას აგრეთვე შვილი ჰყავდა იულიუს კეისრისაგან. იგი ძვ.წ. 47 წელს დაიბადა. მას „პტოლემაიოს კეისარი“ დაარქვეს, თუმცა ისტორიაში იგი უფრო ცნობილია სახელით „კესარიონი“ („ცეზარიონი“).

[56] ეგვიპტის მეფის, პტოლემაიოს XII ნეოს დიონისეს ანდერძის თანახმად, რომელიც ძვ.წ. 80 წელს გამეფდა და ძვ.წ. 51 წელს გარდაიცვალა, ეგვიპტის ტახტი მეფის უფროს ქალიშვილს კლეოპატრას და მის უმცროს ძმას, პტოლემაიოს XIII-ს გადაეცათ, რომელიც მაშინ მხოლოდ 9 წლისა იყო. კლეოპატრა ძმასთან ფორმალურ ქორწინებაში იმყოფებოდა, რადგან პტოლემაიოსების დინასტიური წესის თანახმად, ქალს დამოუკიდებლად მეფობის უფლება არ ჰქონდა. სამეფო ტახტზე იგი „მამის მოყვარული ღმერთქალის“ ოფიციალური ტიტულით ავიდა. საქმე იმაშია, რომ ამ ამბებამდე 4 წლით ადრე, ტახტის ფორმალურ მემკვიდრეს – კლეოპატრას უფროს დას და პტოლემაიოს XII-ის პირმშოს, ბერენიკა VI-ს, მამის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის გამო, ძვ.წ. 51 წელს თავი მოკვეთეს. კლეოპატრამ თავდაპირველად მოახერხა არასრულწლოვანი ძმის ფორმალურად ჩამოშორება ხელისუფლების სადავეებიდან და სახელმწიფოს მარტო მართვა. თუმცა, სამეფოს გავლენიანი მოღვაწეების დახმარებით შემდგომში ძმამ შეძლო რევანშის აღება. ძვ.წ. 48 წელს კლეოპატრა გარბის სირიაში, სადაც ძმის წინააღმდეგ საბრძოლველად აგროვებს ჯარებს. და-ძმას შორის ატეხილ დავას წერტილი საბოლოოდ იულიუს კეისარმა დაუსვა, რომელმაც კლეოპატრათი მოხიბილულმა მისი მხარე დაიჭირა. კეისრის წინააღმდეგ აჯანყებული პტოლემაიოს XIII კი, ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ, ძვ.წ. 47 წელს გარდაიცვალა.

[57] მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრას ფლოტი სხვადასხვა წყაროებით 220-დან 360-დე ხომალდისგან შედგებოდა. აქედან 170 დიდი გემი იყო სამი, ოთხი და ხუთი რიგი ნიჩბების წყებით. ეს იყო მძლავრი ტარანის მქონე ლითონით შემოსალტული უზარმაზარი გემები. მათი ბორტების სიმაღლე ცენტრში სამ მეტრს შეადგენდა, რომელიც ცხვირისა და კიჩოსკენ კიდევ უფრო მაღლდებოდა. ასე რომ, მათი აბორდაჟზე აყვანა ძალიან რთული იყო. გემბანებზე განლაგებული იყო მძიმე სატყორცნი მანქანები. ასეთი ზომისა და კონსტრუქციის გემები ნელი და მოუქნელი იყო, მათ საბრძოლო ძალას კი, ძირითადში, ცეცხლგამჩენი სატყორცნი მოწყობილობები წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი არა იმდენად მოწინააღმდეგის ხომალდების, რამდენადაც მათი ეკიპაჟების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო მიმართული.

[58] პლუტარქე (ძვ. ბერძნ. Πλούταρχος) (ახ.წ. 46-127წ.წ.) – ცნობილი ბერძენი მოაზროვნე, მწერალი და ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ბიოგრაფი, ესეისტი და საზოგადო მოღვაწე.

ათასი ქვეითი და 2 ათასი მხედარი). ოქტავიანე 260 გემისგან შემდგარ მძლავრ ფლოტს ფლობდა. მას მეთაურობდა მარკუს აგრიპა, ბრწყინვალე სტრატეგოსი და ოქტავიანეს ნდობით აღჭურვილი პირი. მან იზრუნა, რომ ახალი გემები ილირიელი მეკობრეების გემების ნიმუშის მიხედვით აეგოთ. ეს ლიბურნები იყო პატარა, მსუბუქი, სწრაფი, და რაც მთავარია, უფრო მანევრული, ვიდრე ანტონიუსის მძიმე საბრძოლო გემები.[59] აგრიპამ ჩაკეტა ამბრაკიის ყურე ამ ორას სამოცი თანამედროვე იალქნიანი გემით და ბორტზე მყოფი რვანახევარი ლეგიონით. იგი ისე ენდობოდა ამ ახალი ერთეულების უპირატესობას, რომ მოძველებული გემების დარჩენილი ნაწილი საერთოდ არ გამოიყვანა.

ამასობაში ოქტავიანემ ნახევარკუნძულზე, ყურის შესასვლელის ჩრდილოეთით გაშალა ბანაკი. იმ ვარაუდით, რომ ოქტავიანე უპირატესობას ხმელეთს მიანიჭებდა, ანტონიუსმა თავისი ლაშქარი ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით გადაიყვანა და იქ განალაგა საბრძოლველად. მაგრამ ოქტავიანემ ამაზე რეაგირება საერთოდ არ მოახდინა. ხმელეთზე საბრძოლო მოქმედებების დაწყებას იგი არ ფიქრობდა და ეს გამოწვევაც არ მიიღო. ოქტავიანე აგრიპას საზღვაო ბლოკადით გამოწვეულ დაუძლურების სტრატეგიას დაეყრდნო, რამაც ანტონიუსის ჯარების მომარაგების საქმე უფრო მეტად გაართულა.

ყოველივე ამან ანტონიუსი აიძულა, გადამწყვეტი ბრძოლის გამოწვევა ფლოტთან ერთად მიეღო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ფლოტი 360 ხომალდამდე შედგებოდა, კლეოპატრას სამოცი ეგვიპტური საბრძოლო გემის ჩათვლით. მაგრამ მალე მასობრივი დეზერტირობისა და ავადმყოფობის შედეგად ფლოტის პირადი შემადგენლობა ძალიან შემცირდა. ანტონიუსი იძულებული გახდა ოთხმოცდაათამდე გემი დაეწვა, რადგან არ შეეძლო მათი ეკიპაჟებით დაკომპლექტება. მისი დიდი საბრძოლო გემების, ამ „მცურავი ციხესიმაგრეების" ბორტზე ოცი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ორი ათასი მშვილდოსანი იმყოფებოდა, ამას ემატებოდა გემების ეკიპაჟები. ანტონიუსმა უბრძანა შტურმანებს, გემებიდან იალქნები ჩამოეხსნათ, რათა არავინ გაქცეულიყო. საერთოდ, ფიქრობდა კი იგი მოწინააღმდეგის მიერ მოწყობილი ბლოკადის გარღვევასა და გაქცევაზე? ბრძოლის დროს ბორტზე ტაკელაჟი[60] არახელსაყრელია, რადგან იგი ხანძრის გაჩენის საფრთხეს ზრდის. ამის გათვალისწინებით, ოქტავიანემაც მიმართა ზომებს და ბრძოლის წინ ბორტებიდან ძირითადი იალქნებიც მოახსნევინა.

ძვ.წ. 31 წლის 29 აგვისტოდან ორივე ფლოტი ტრავერსზე იდგა ერთმანეთის პირისპირ და მზად იყო საბრძოლველად, მაგრამ ზღვა ისე ღელავდა, რომ აუცილებელი გახდა ბრძოლის გადადება. ეს მოლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. 2 სექტემბრისატვის ქარი ჩადგა და შუადღის თორმეტ საათზე დაიწყო ანტიკური პერიოდის ეს უკანასკნელი და უდიდესი საზღვაო ბრძოლა.

ოქტავიანეს თავისი ფლოტი სამ ნაწილად გაიყო: მარჯვენა ფლანგს თვითონ მეთაურობდა, მარცხენას – აგრიპა, ხოლო ცენტრს – არუნციუსი. დაახლოებით ერთი საზღვაო მილის[61] მოშორებით, ხელსაყრელ და შეზნექილ ხაზზე მარკუს ანტონიუსის

---

[59] ლიბურნას, როგორც წესი, ნიჩბების მხოლოდ ერთი რიგი ჰქონდა. მისი სიგრძე 30 მეტრს არ აღემატებოდა, ხოლო სიგანეში 4-5მ იყო. ეკიპაჟი 84 მენიჩბისა და 36 სხვა პერსონალისაგან შედგებოდა. როგორც სწრაფმავალი მცურავი საშუალება, ლიბურნები გამოიყენებოდა მეკობრეობის მიზნით, ასევე „საზღვაო პოლიციური" დანიშნულებით. ოქტავიანეს ლიბურნები პატარა, მსუბუქი, სწრაფი, და რაც მთავარია, უფრო მანევრული იყო, ვიდრე ანტონიუსის მძიმე საბრძოლო გემები. ამავე დროს, ლიბურნების აგება უფრო მოკლე ხანში ხდებოდა, ხოლო დაზიანებულების აღდგენა – უფრო სწრაფად. საერთო ჯამში, ოქტავიანეს ფლოტში საბორდაჟე რაზმები 34 ათას ლეგიონერს მოიცავდა.

[60] ტაკელაჟი (ნიდერ. Takelage) – მთლიანად გემის ან მისი ცალკეული ანძის აფრებისა და გემის სამართავი მოწყობილობის აღკაზმულობა.

[61] საზღვაო მილი – ზღვაოსნობასა და ავიაციაში გამოყენებული მანძილის საზომი ერთეული. თავდაპირველად ერთი საზღვაო მილი განისაზღვრებოდა როგორც დედამიწის მერიდიანის ერთი მინუტის რკალის სიგრძე. იმდენად, რამდენადაც ეკვატორთან შედარებით პოლუსებზე დედამიწა ოდნავ ჩაზნექილია, დედამიწის რეალური გეომეტრიული ფორმა გეოიდია და არა სფერო. ამიტომ, ერთი საზღვაო მილის სიგრძე პოლუსებსა და ეკვატორზე რამდენადმე განსხვავებულია. პოლუსებზე გამავალ მერიდიანზე იგი 1862, ხოლო ეკვატორზე 1843 მეტრის ტოლი იყო. თანამედროვე განსაზღვრებით, რომელიც მიღებულ იქნა მონაკოში 1929 წელს გამართულ ჰიდროგრაფიის საერთაშორისო კონფერენციაზე, ერთი საზღვაო მილი შეესაბამება ზუსტად 1852 მეტრს.

ფლოტი იდგა. მარჯვენა ფლანგს ანტონიუსი თავად ხელმძღვანელობდა, მარცხენას – ცელიუსი, ხოლო ცენტრს – მარკუს ოქტავიუსი. ცენტრის უკან, ყურის შესასვლელთან კი, ეგვიპტური გემები იყვნენ განლაგებული. კლეოპატრას საფლაგმანო გემ „ანტონიას“ მეწამული იალქნები შორიდანაც ადვილი შესამჩნევი იყო.[62]

ფრონტალური შეტევა ოქტავიანეს სარისკოდ მიაჩნდა. მან ეშმაკურ მანევრს მიმართა: ბრძოლის დაწყებიდან მცირე ხანში მისი ფლოტის მარჯვენა ფლანგმა ღია ზღვაში სწრაფად დაიხია უკან. ცელიუსმა ივარაუდა, რომ ასეთი მოქმედება მოწინააღმდეგის უკან დახევას ნიშნავდა და თავისი გემებით დაედევნა. ეს შეცდომა იყო. სინამდვილეში, ოქტავიანეს გემების ეს მანევრი ანტონიუსის ფლოტის ზღვაში შესატყუებლად იყო განხორციელებული. ეს იყო მოჩვენებითი უკანდახევა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის დასარღვევად. ოქტავიანემ ეს მოახერხა. ფლანგიდან უკან დახეულ აგრიპას ზურგის ქარის დახმარებით თავისი გემებით ანტონიუსი დაედევნა. ამ ხერხით ანტონიუსის ორივე ფლანგმა კავშირი გაწყვიტა ცენტრთან და საბრძოლო ხაზიც დაიშალა. ეს იყო მომენტი, რომელსაც ოქტავიანე ელოდებოდა, რათა თავისი სანავიგაციო და რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა. გაიმართა ბრძოლა, რომელიც, როგორც ამას პლუტარქე გადმოგვცემს, ხმელეთზე ბრძოლისა და ციხესიმაგრის იერიშით აღების მსგავსი იყო.

შეუძლებელი იყო ორივე მხრიდან გემებზე მიმაგრებული ტარანით დარტყმები. ანტონიუსის გემებს დრო სჭირდებოდათ მოსამზადებლად, რათა ტარანით დარტყმას უფრო მეტი ძალა ჰქონოდა. ამავე დროს, მოწინააღმდეგის გემების გასატარნავად მცირე დისტანციები არ იყო საკმარისი. ოქტავიანეს მსუბუქ ლიბურნებს კი არ შეეძლოთ ტარანული დარტყმის მიყენება მოწინააღმდეგის გემების წინა ნაწილისათვის, რადგან ისინი ბასრი, მაგარი სპილენძის ტარანით იყვნენ აღჭურვილნი. ისინი მოწინააღმდეგის გემების გვერდით მხარესაც კი ვერ ბედავდნენ დარტყმას, რადგან მათი კორპუსი სქელი, რკინის სამაგრებით შეჯავშნული ძელებისგან შედგებოდა. ბრძოლა გამწვავდა: ოქტავიანეს გემების ეკიპაჟები ცდილობდნენ ფარებით, შუბებით, ბარჯებითა და ცეცხლგამჩენი ისრებით მოწინააღმდეგის გემის ხელში ჩაგდებას, რომელიც სამ თუ ოთხ მის გემს შუაში მოემწყვდია, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ. ამ დროს გემის ბორტზე მყოფი ანტონიუსის ჯარისკაცები კარგად იცავდნენ თავს და გემების მაღალი ხის კოშკურებიდან კატაპულტებით უშენდნენ ქვებს აგრიპას ლიბურნებს.

ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა, გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი მხარე ვერ აღწევდა. ასე რომ, ჯერ არ ჩანდა, ვინ გაიმარჯვებდა. როცა აგრიპამ მარცხენა ფლანგი უფრო დააგრძელა, ცენტრში ანტონიუსის ეკიპაჟს გვერდიდან შემოვლის შეეშინდა და საბრძოლო მწყობრის შუაგულს დაშორდა, რათა შევიწროებულ მარჯვენა ფლანგს დახმარებოდა. იმავე დროს არუნციუსმა ცენტრს შეუტია. ბრძოლა გაცხარდა, მაგრამ ამ მომენტში სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. კლეოპატრას სამოცმა გემმა ანტონიუსის დიდი გემების უკან, ცენტრში მოულოდნელად გაშალეს იალქნები და ზურგის ქარის დახმარებით ღია ზღვაში გაიჭრნენ, პირდაპირ მებრძოლების თვალწინ. ასეთი პანიკური გაქცევის მიზეზი მარტივად ასახსნელია. ეს შეცდომა იყო – კლეოპატრას ეგონა, რომ ბრძოლა წააგეს და იგი გაიქცა. მაგრამ მან იჩქარა, ეს ასე არ იყო. მართალია, აგრიპამ და ოქტავიანემ თითქოს გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს, თუმცა მათი ბედი ჯერ მაინც ბეწვზე ეკიდა. სურათი ბოლომდე ნათელი არ იყო და ორივე მხარეს ჰქონდა მოგების შანსი. ისიც ცხადია, რომ ანტონიუსის ფლოტს კიდევ

[62] ანტონიუსმა სტატიკური საზღვაო ბრძოლის ტაქტიკა აირჩია. მან თავისი ფლოტი ყურიდან გამოიყვანა და ყურის შესასვლელთან გემები ისე მოაწყო, რომ მისი წყობის ფლანგები თითქმის ეხებოდა ნაპირებს. ანტონიუსის გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ უარი ეთქვა მანევრებზე და არსებული მყარი წყობით დალოდებოდა მოწინააღმდეგის შეტევას. მისი აზრით, ოქტავიანეს ფლოტის პატარა გემებს ასეთ ბრძოლაში წარმატების მოპოვების არავითარი შანსი არ ჰქონდათ, რადგან ანტონიუსის გემები კარგად იყვნენ შეჯავშნული და დაცულნი ტარანისაგან, ხოლო აბორდაჟისგან მათ მაღალი ბორტები და იქ მყოფი ანტონიუსის ჯარისკაცები იცავდნენ.

დიდხანს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ეგვიპტური გემების პანიკურმა გაქცევამ მათში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამის შესახებ პლუტარქე მოგვითხრობს: „მოწინააღმ-დეგეც კი გაოცებული დარჩა, როცა დაინახა, თუ როგორ მიემართებოდნენ კლეოპატრას გემები გაშლილი იალქნებით პელოპონესისკენ“.

ამ სამარცხვინო გაქცევამ ანტონიუსის ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება გატეხა და ოქტავიანეს ჯარი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს უკანასკნელი მაინც არ იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რადგან ანტონიუსი ბრძოლას აგრძელებდა და ჯერ კიდევ ჰქონდა გამარჯვების მოპოვების შანსი. და აქ ანტონიუსმაც უმძიმესი შეცდომა დაუშვა. მან კლეოპატრას დადევნების საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო. როცა დაინახა, თუ როგორ მიეფარნენ თვალს კლეოპატრას საფლაგმანო გემის მეწამული იალქნები, მან მიატოვა თავისი მამაცი ჯარისკაცები, რომლებიც მისთვის იბრძოდნენ და იხოცებოდნენ. ანტონიუსმა ყველაფერი დაივიწყა და თავისი საყვარლისკენ გაეშურა, იმ „დედაკაცისკენ, – როგორც პლუტარქე წერს, – რომელმაც იგი უფსკრულში გადაჩეხა და საბოლოოდ დაღუპა“. მიუხედავად ანტონიუსის ბრძოლიდან გასვლისა და გაქცევისა, მისი ჯარისკაცები მაინც მამაცურად აგრძელებდნენ ბრძოლას. ბევრმა მეზღვაურმა თავიც გაწირა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ისინი მორალურად უკვე გატეხილები იყვნენ და მათი საბრძოლო სულისკვეთებაც დაცემული იყო. ანტონიუსის რამდენიმე გემმა გაქცევა მოახერხა, ორმოციდან ორმოცდაათამდე კი, ჩაიძირა და ხუთი ათასამდე ჯარისკაცი და მეზღვაურიც ჩაიყოლა თან. 16 საათსა და 30 წუთისთვის ანტიკური ხანის ამ უდიდესი საზღვაო ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ანტონიუსი დამარცხდა. მისი ფლოტის გადარჩენილი გემები კი ოქტავიანეს მხარეს გადავიდნენ.

რამდენიმე დღეში აქციუმთან გაშლილი მარკუს ანტონიუსის სახმელეთო არმია უბრძოლველად ჩაბარდა მოწინააღმდეგეს და გაიუს ოქტავიანეც ანტონიუსის ყოფილ სამფლობელოებს, საბერძნეთს, მცირე აზიასა და სირიას დაეუფლა. ქრისტეს დაბადებამდე 30 წლის აგვისტოში კი, იგი ალექსანდრიაში შევიდა, საიდანაც კლეოპატრა და ანტონიუსი გაიქცნენ.[63] ორივემ თავი მოიკლეს მას შემდეგ, რაც მათი ფლოტი და ჯარი ოქტავიანეს მხარეს გადავიდა.[64] ეგვიპტე რომის ერთ-ერთი პროვინცია გახდა, ხოლო გაიუს ოქტავიანე – რომის პირველი იმპერატორი.[65]

---

[63] აქ ავტორი უზუსტობას უშვებს. მარკუს ანტონიუსი და დედოფალი კლეოპატრა ალექსანდრიიდან არ გაქცეულან. ისინი დარჩნენ ქალაქში და მთელი წელიწადი ელოდებოდნენ იმ მომენტის დადგომას, როცა ოქტავიანე თავისი ლეგიონებით ალექსანდრიაში შევიდოდა.

[64] მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრას თვითმკვლელობების შემდეგ ოქტავიანემ კლეოპატრასა და იულიუს კეისრის შვილის, კესარიონის (ცეზარიონის) მოკვლის ბრძანება გასცა, მალე კი, ანტონიუსის უფროსი ვაჟი, ანთილიც მოკლეს. ანტონიუსის სხვა შვილები ჯერ კიდევ არასრულწლოვანები იყვნენ და ოქტავიანემ ისინი დაინდო. ეგვიპტიდან რომში დაბრუნების შემდეგ ოქტავიანემ სამმაგი ტრიუმფი მოაწყო. ძვ.წ. 29 წლის 13 აგვისტოს მან ილირიაში მიღწეული გამარჯვება იზეიმა, 14 აგვისტოს – აქციუმის ბრძოლაში, ხოლო 15 აგვისტოს – ეგვიპტეში. ეს უკანასკნელი ყველაზე მასშტაბური და პომპეზური იყო.

[65] აქციუმის საზღვაო ბრძოლაში ოქტავიანეს მიერ მიღწეულმა ამ წარმატებამ ასწლეულების განმავლობაში განსაზღვრა რომის სახელმწიფოს განვითარების შემდგომი გზა. მარკუს ანტონიუსმა რომში ელინისტური მეფე-გმირის, დედამიწაზე განსახიერებული ცოცხალი ღმერთის, ახალი ალექსანდრე მაკედონელის იდეა შეიტანა. ოქტავიანეს იდეას კი, თავისებური „რესპუბლიკური მონარქიის" იდეა წარმოადგენდა, რომლითაც იგი რომის საყოველთაო ღირებულებებზე დაყრდნობით „აღორძინებული რესპუბლიკის პირველი მოქალაქის" ერთპიროვნულ ხელისუფლებას ნიღბავდა. ოქტავიანეს გამარჯვებულმა იდეამ ისტორიკოსებში „პრინციპატის" სახელი მიიღო. ფაქტია, რომ გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსი რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა, რომელმაც ათწლიანი სამოქალაქო ომი დაასრულა რომში. ამით რომის იმპერიის ეპოქა დადგა. მომხდარი ეპოქალური გარდატეხა თანამედროვეებმა სწრაფად იგრძნეს. რომის ბევრმა ქალაქმა და პროვინციამ ახალი წელთაღრიცხვა ძვ.წ. 31 წლის 2 სექტემბრიდან დაიწყო (ე.წ. აქციუმის ერა). რამდენიმე საუკუნის მანძილზე ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებს სრული საფუძველი ჰქონდათ იმისათვის, რომ ეს დღე რეგიონის ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღად მიეღოთ. ოქტავიანეს მიერ მიღწეული ამ წარმატების უკვდავსაყოფად ნიკოპოლში დაფუძნდა და მთელი სამი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ე.წ. „აქციუმის თამაშები".



გაიუს იულიუს კეისარი
(ძვ.წ. 100-44)

კლეოპატრა VII ფილოპატორი
(ძვ.წ. 69-30)

„კლეოპატრა და კეისარი". ჟან-ლეონ ჟერომის ნახატი. 1866 წელი

გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსი
(ძვ.წ. 63-ახ.წ. 14წ.)



მარკუს ანტონიუსი
(ძვ.წ. 83-30)



რომაული ლიბურნა

აქციუმის ბრძოლის სქემა

რომაული ლიბურნების წყობა



რომაული ბირემა ბალისტით



რომაული ტრირემა საბრძოლო კოშკითა და სააბორდაჟე ბოგირებით

აქციუმის ბრძოლა

მარკუს ანტონიუსი ბრუნდება ალექსანდრიაში

რომის იმპერია ახალი წელთაღრიცხვის 14 წელს. წითელი ფერი – იმპერატორის პროვინციები, ლურჯი – სენატის, ყვითელი – იტალია

§1.5. არმინიუსის ტრიუმფი
(ტევტობურგის ტყე, ახ.წ. 9 წლის ოქტომბერი)

ახალი წელთაღრიცხვით 9 წელს ტევტობურგის ტყესთან გაიმართა ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი ბრძოლა, რომლის შესახებაც გერმანიაში თითქმის ყველას სმენია. ასევე კარგად არის ცნობილი მისი დასასრული: არმინიუსის მეთაურობით, გერმანულმა ტომებმა, ხერუსკებმა, შეცდომით ჰერმანებად წოდებულებმა, გაიმარჯვეს პუბლიუს კვინტილიუს ვარუსის რომაულ ლეგიონებზე და ამით დაამსხვრიეს მითი რომაელთა უძლეველობის შესახებ. აღნიშნული ბრძოლა როგორც რომაული, ასევე გერმანული ისტორიის კუთვნილებაა, რადგან ხერუსკები გერმანული ტომები იყვნენ. იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ცენტრალიზებული გერმანული სახელმწიფო. არსებობდნენ მხოლოდ ამ მიწაზე მცხოვრები ცალკეული, ერთმანეთთან დაპირისპირებული გერმანული თემები და ტომები.

ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა, ვეზერის მთიანი მხარის ტყიანი ბორცვები, უძველეს გერმანულ რაიონში მდებარეობს. ტევტობურგის ტყეში გამართული ბრძოლა არა მხოლოდ გამანადგურებელი, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ბრძოლაც აღმოჩნდა. რომაულ ლეგიონებზე არმინიუსის დამაჯერებელმა გამარჯვებამ რომს ხელი შეუშალა გერმანიის დაპყრობაში. საერთო ჯამში, გერმანულმა მიწებმა შეძლეს დამოუკიდებლობის შენრჩუნება, მდინარე რაინი კი, რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრად იქცა. ეს ამბები კარგად იციან ისტორიით დაინტერესებულმა გერმანელებმა, როცა საუბარი ამ ბრძოლას შეეხება. მაგრამ ის, თუ რა ძირითადი შეცდომები გახდა რომის კატასტროფული მარცხის მიზეზი, უცნობია.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარს მდინარეები დუნაი და რაინი ქმნიდნენ. იგი გადაჭიმული იყო რაინის შესართავიდან საჰარამდე და ატლანტის ოკეანიდან მდინარე ევფრატამდე. მაგრამ არც ერთი საზღვარი არ იყო ისე არასაიმედო, როგორც ჩრდილოეთის. გერმანული ტომები ხშირად უტევდნენ რომის იმპერიას იმ კონცხიდან, რომელსაც დუნაი და რაინი ქმნიდნენ. იგი, როგორც ხანჯალი, ისე იყო მიმართული იმპერიის გულისაკენ. გალიაში გამარჯვების შემდეგ დამეზობლებული გერმანელები რომს მოსვენებას არ აძლევდნენ. ამიტომ რომის იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა[66] გადაწყვიტა ამ კონცხის ხელში ჩაგდება და ჩრდილოეთის საზღვრის გადაწევა ოთხასი კილომეტრით აღმოსავლეთისაკენ, მდინარე ელბამდე. თვით მდინარის საზღვარი, ელბას შესართავიდან ვინდობონამდე, ანუ დღევანდელ ვენამდე, ადვილი დასაცავი იყო. ამ ჩანაფიქრის მიხედვით, მთელი გერმანია უნდა შესულიყო რომის იმპერიის შემადგენლობაში და მომხდარიყო როგორც გალების, ასევე გერმანელების რომანიზაცია. ამაში მდგომარეობდა იმპერიის შორსმიმავალი გეგმების არსი.

ამ დიდი ლაშქრობის მეთაურობა ოქტავიანე ავგუსტუსმა გალიის პროკონსულს,[67] თავის გერს, ნერონ კლავდიუს დრუზუსს დაავალა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ კარგად მომზადებული ლაშქრობა დიდი წარმატებით უნდა დასრულებულიყო, თუმცა

---

[66] ავგუსტუსი (ლათ. Augustus. სიტყვასიტყვით – ღვთიური, დიდებული) – იმპერატორ ოქტავიანეს ზედსახელი. ასევე, გრიგორიანული კალენდრის მერვე თვე. საკუთარი სახელისა და პიროვნების უკვდავსაყოფად, აგვისტოს თვეს, როგორც მისთვის ყველაზე ბედნიერ თვეს, ძველი წელთაღრიცხვის 8 წელს ოქტავიანემ საკუთარი სახელი დაარქვა. სწორედ ამ თვეზე მოდიოდა მის მიერ მოპოვებული ყველაზე დიდი სამხედრო გამარჯვებები, პირველ რიგში კი, ეგვიპტის დაპყრობა.

[67] პროკონსული (ლათ. Proconsul. პირდაპირი მნიშვნელობით – კონსულის მაგიერი) – სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობა ძველი რომის რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდებში. პროკონსულები ფლობდნენ კონსულების ხელისუფლებას, რაც უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას წარმოადგენდა სახელმწიფოში. ისინი კრებდნენ და სარდლობდნენ ლეგიონებს, იწვევდნენ სენატისა და კომიციის სხდომებს, აქტიურად მონაწილეობდნენ მის მუშაობაში. კონსულისგან განსხვავებით პროკონსულის თანამდებობა არჩევითი არ იყო. პირველად ეს თანამდებობა შემოღებულ იქნა მეორე პუნიკური ომის მსვლელობის პერიოდში. შემდგომში პროკონსულების ძირითად ფუნქციას რომის პროვინციების მართვა წარმოადგენდა.

რომაელთა ეს მოლოდინები არ გამართლდა. ლაშქრობის დაწყებიდან მოკლე ხანში დრუზუსი მოულოდნელად გარდაიცვალა ცხენიდან გადმოვარდნის შედეგად. ბრძოლა მისმა უფროსმა ძმამ, რომის მომავალმა იმპერატორმა ტიბერიუსმა[68] გააგრძელა. გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ რომაელებს, მაგრამ ტიბერიუსის სარდლობით გამართულმა ბრძოლებმა გერმანული ტომები საბოლოოდ მაინც დააჩოქეს.[69]

მას შემდეგ, რაც ხერუსკების აჯანყებები ჩაახშო, ახალი წელთაღრიცხვის 6 წელს ტიბერიუსმა გერმანია დატოვა. რომაელთა რაინის არმიის სარდალი აფრიკის პროკონსული პუბლიუს კვინტილიუს ვარუსი გახდა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ებრაელთა დიდი აჯანყება ჩაახშო იუდეაში.[70] ამ თანამდებობაზე დანიშვნას იგი იმდენად არა სამხედრო დამსახურებებს, არამედ იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის კეთილგანწყობას უმადლოდა: ვარუსი იმპერატორის დის შვილიშვილზე იყო დაქორწინებული. ის ამოცანა, თუ როგორ უნდა გაეკონტროლებინათ რომაელებს გერმანულ ტომებთან არსებული ბუფერული ზონა, ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. აქაური ტერიტორიები ჭაობიანი და მთაგორიანი იყო, უღრან ტყეებში კი თავაწყვეტილი, გერმანელთა ნახევრად ველური ტომები ცხოვრობდნენ „მხეცური გამომეტყველებით, წითელი თმებითა და ფართო სახეებით“, როგორც ამას რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი[71] აგვიწერს ამ ამბებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ თავის ცნობილ ნაშრომში „გერმანია". რომაელების მმართველობის ქვეშ მოქცეული გერმანული ტერიტორიები არ იყო შემოსაზღვრული. რომაელები ფლობდნენ ცალკეულ ადგილებს, სადაც მათი ჯარები იზამთრებდნენ, მაგრამ ისინი სრულად ვერ აკონტ-როლებდნენ ამ ვრცელ ტერიტორიებს. იქმნებოდა ქალაქური ტიპის დასახლებები, სადაც გერმანელები ეცნობოდნენ რომაული ცხოვრების წესს, მისდევდნენ მეურნეობას, აწარმოებდნენ აღებ-მიცემობას და იწყებდნენ რომაელებთან მეგობრულად თანაცხოვრებას,

---

[68] ტიბერიუს იულიუს კეისარი ავგუსტუსი (ლათ. Tiberius Julius Caesar Augustus) – დაბადებით ტიბერიუს კლავდიუს ნერონი (ძვ.წ. 42-ახ.წ. 37წ.წ.) – რომის მეორე იმპერატორი ახ.წ. 14 წლიდან, იულიუს-კლავდიუსების დინასტიიდან. უმაღლესი პონტიფიკოსი ახ.წ. 15 წლიდან, მრავალგზის კონსული (ძვ.წ. 13 და 7 წლებში, აგრეთვე ახ.წ. 18, 21 და 31 წლებში), მრავალგზის ტრიბუნი (ძვ.წ. 6 წლიდან ახ.წ. 37 წლამდე). მისი სრული ტიტული იყო: ტიბერიუს კეისარი ავგუსტუსი, ღვთაებრივი ავგუსტუსის შვილი, უმაღლესი პონტიფიკოსი, სახალხო ტრიბუნი 38-ჯერ, იმპერატორად გამოცხადებული 8-ჯერ, ხუთგზის კონსული (Tiberius Caesar Divi Augusti filius Augustus, Pontifex Maximus, Tribuniciae potestatis XXXIIX, Imperator VIII, Consul V). მისი პერსონა ნახსენებია ლუკას სახარებაში ტიბერიუს კეისრის სახელით. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში ხდებოდა იესო ქრისტეს მიერ თავისი მოძღვრების სწავლება, შემდეგ კი, ჯვარს აცვეს იგი.

[69] რომის მომავალმა იმპერატორმა ტიბერიუსმა, ძვ.წ. 7 წელს დაიპყრო გერმანიის მიწები რაინიდან ელბამდე. ახ.წ. 5 წელს კი ჩამოყალიბდა საიმპერიო პროვინცია „გერმანია", რომლის პოლიტიკური მოწყობის სისტემაზე სანდო ცნობები არ მოგვეპოვება. ცნობილმა მკვლევარმა თეოდორ მომზენმა გარკვეულ ძველრომაულ წყაროებზე დაყრდნობით მოახდინა მისი რეკონსტრუქცია. ამ მონაცემებით 5-6 რომაული ლეგიონი რაინისპირა ბანაკებში იყო განლაგებული, ასევე თავად შიდა გერმანიის გამაგრებულ რაიონებში. ზაფხულობით რომაელები ახდენდნენ გასვლებს გერმანული ტომებით დასახლებულ შიდა რაიონებში სასამართლო საქმეების გასარჩევად, რომლებიც რომაული კანონებით რომაელ ჩინოვნიკებს მიჰყავდათ. დაგეგმილი იყო მოსახლეობის აღწერა და მათი დახარკვა, ასევე გერმანელი მოსახლეობის სამხედრო გაწვევის ორგანიზება, ისევე, როგორც ეს იმპერიის სხვა კუთხეებში ხდებოდა.

[70] პუბლიუს კვინტილიუს ვარუსი (ლათ. Publius Quinctilius Varus) (ძვ.წ. 46-ახ.წ. 9წ.) – იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის პერიოდის რომაელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. ეკუთვნოდა კვინტილიუსების გაღარიბებულ ძველი პატრიციუსების გვარს. მისი ბაბუა მამის მხრიდან, სექსტ კვინტილიუს ვარუსი, სენატორი იყო. მამა, ასევე სექსტ კვინტილიუს ვარუსი – ასევე სენატორი. სამოქალაქო ომის დროს იგი უთანაგრძნობდა რესპუბლიკელებს და გამოდიოდა იულიუს კეისრის წინააღმდეგ. არ არის ცნობილი მონაწილეობდა თუ არა იგი კეისრის მკვლელობაში, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ შემდგომში იგი მხარს უჭერდა ბრუტუსსა და კასიუსს, ხოლო ძვ.წ. 43 წელს ფილიპის ბრძოლის შემდეგ, მან თავი მოიკლა. მიუხედავად მამის პოლიტიკური წარსულისა, ვარუსი მხარს უჭერდა იულიუს კეისრის მემკვიდრეს, ოქტავიანეს, რომელიც მალე ავგუსტუსიც გახდა. მცირე ხანში ვარუსმა ოქტავიანეს უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, მარკუს აგრიპას ქალიშვილზე იქორწინა და იმპერატორის უახლოესი გარემოცვის წევრიც გახდა. მისი შემდგომი კარიერა თავბრუდამხვევი იყო. უკვე ძვ.წ. 13 წელს ტიბერიუსთან ერთად იგი კონსულად იქნა არჩეული. ძვ.წ. 6-4 წლებში კი, ლეგატის თანამდებობა მიიღო სირიაში, სადაც მის დაქვემდებარებაში ოთხი რომაული ლეგიონი აღმოჩნდა. ცნობილი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი აღწერს იუდეის მეფის, ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ იუდეაში რომის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ამბებს და აღნიშნავს ვარუსის გადამწყვეტ და ეფექტურ მოქმედებებს მისი ჩაქრობის საქმეში. იერუსალიმის აღების შემდეგ ვარუსმა 2000 აჯანყებული ებრაელი აცვა ჯვარს.

[71] პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (ლათ. Publius Cornelius Tacitus) (ახ.წ. 50-120წ.წ.) – ანტიკური ხანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი რომაელი ისტორიკოსი, სამი მცირე („აგრიკოლა", „გერმანია" და „დიალოგი ორატორთა შესახებ") და ორი დიდი („ისტორია" და „ანალები") ისტორიული ნაშრომის ავტორი.

ასევე ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ ეჩვეოდნენ სიახლეებს. თუმცა გერმანელთა არსებაში მაინც რჩებოდა თანდაყოლილი ხასიათი, მემკვიდრეობით გადაცემული ცხოვრების წესი და თავისუფლების განუმეორებელი შეგრძნება.

თანამედროვის აღწერილობით, ვარუსი, „რბილი და მშვიდი ხასიათის კაცი, ზანტი გონებითა და სხეულით, რომაელთა ბანაკში უფრო მეტად თავისი უსაქმურობით იყო ცნობილი, ვიდრე სამხედრო საქმიანობით". ეს უგერგილო მხედართმთავარი სათანადოდ ვერ აფასებდა გერმანელებს. იგი ვერ აცნობიერებდა იმ მდგომარეობას, რომ აქ, გერმანულ მიწებზე, სირიისაგან განსხვავებული რეალობა იყო. აქაური გერმანული ტომები სრულიად განსხვავდებოდნენ ალექსანდრე დიდის დროიდან ქვეშევრდომის სტატუსით მცხოვრები სირიელებისგან, სადაც ვარუსი ღარიბი ჩავიდა და უზომოდ გამდიდრებული წამოვიდა. აქაც, გერმანულ მიწებზე, მან მმართველობის იგივე მეთოდების დანერგვა დაიწყო. ვარუსი თვითნებურად ითხოვდა გერმანელებისაგან ოქროს, თითქოს მისი ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ და ისე ექცეოდა მათ, როგორც რომის მონებს. ვარუსმა გერმანული ტომების დამორჩილება და გამდიდრება კანონის ძალით გადაწყვიტა. სასამართლოს განაჩენის შემოღებამ და ოქროთი ან ვერცხლით ხარკის გადახდის მოთხოვნამ ძალიან განარისხა გერმანული ტომების მმართველები. ასეთი ურთიერთობების დამყარება მათი ცხოვრების წესს ეწინააღმდეგებოდა. ძვირფას ლითონებს გერმანიაში ძირითადად სტატუსის შესაბამისი ორნამენტების გასაკეთებლად იყენებდნენ. ამ მხარეში ფუფუნების საგნები იშვიათი იყო და მათ ოქროსა და ვერცხლზე ცვლიდნენ. დაძაბულობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. გერმანელებს სურდათ, ძველი ცხოვრების წესს დაბრუნებოდნენ. მათ აღარ სურდათ რომაელთა თავგასულობის ატანა და ფარული შეთქმულების მოწყობა განიზრახეს. ხერუსკებმა კარგად იცოდნენ რომაული ჯარის სიძლიერე და ღიად არ ეწინააღმდეგებოდნენ მას. პირიქით, ისინი ვარუსს გულითადად ხვდებოდნენ, ისე იქცეოდნენ, თითქოს მათთან მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ და ჯარს ხმაამოუღებლად ემორჩილებოდნენ. სინამდვილეში ისინი შეთქმულებას გეგმას ამუშავებდნენ.

შეთქმულების მეთაური, არმინიუსი, დაახლოებული იყო ვარუსთან და ხშირად სტუმრობდა მას. იგი დიდგვაროვანი ახალგაზრდა იყო, ნიჭიერი და მამაცი კაცი, ხერუსკების ტომის ბელადის, სეგიმერის ვაჟი, თავიდანვე გამორჩეული თავისი გონიერებითა და საზრიანობით. არმინიუსი კარგად იცნობდა რომაელებს. იგი 6 წლის განმავლობაში მონაწილეობდა რომაელთა ლაშქრობებში, როგორც მხედარი და რომის მოქალაქე. ერთხანს იმყოფებოდა კიდეც ვარუსის შტაბში და რომაული კავალერიის ერთერთ ქვედანაყოფსაც მეთაურობდა. მან კარგად შეისწავლა რომაელების ბრძოლის წესები, მათი ზნე და ხასიათი, განსაკუთრებით, მათი სამხედრო მეთაურებისა. არმინიუსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჯარების მოწყობის წესისა და საბრძოლო ტაქტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, რომაული ლეგიონების ეფექტური მოქმედებები მხოლოდ ღია ტერიტორიაზე იყო შესაძლებელი. გარდა ამისა, მან ის დასკვნაც გამოიტანა, რომ თავის ძალაში დარწმუნებული რომაული ლეგიონების დამარცხება შესაძლებელი იყო, თუ მოხერხებულად გამოიყენებდა მოულოდნელობის ფაქტორს. მთავარი იყო რომაელებს არ აეღოთ დაგეგმილ შეთქმულებაზე ეჭვი. თავისი ეშმაკური გეგმის განსახორციელებლად არმინიუსი უფრო და უფრო მეტ მომხრეებს იძენდა. მან შეძლო გერმანული ტომების მობილიზაცია და რომაული ნიმუშის მიხედვით კარგად მომზადებული და დისციპლინირებული მუდმივი ლაშქარიც ჩამოაყალიბა.[72]

ახ.წ. 9 წლის ზაფხულმა გერმანულ მიწებზე ძალიან მშვიდად ჩაიარა. ვარუსი ფიქრობდა, რომ გერმანელები საბოლოოდ შეეგუენ მათ ბატონობას, ხოლო არმინიუსი მისი ერთგული მომხრე იყო, მაგრამ იგი ცდებოდა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო. არმინიუსს სულ სხვა განწყობები ჰქონდა. მას სძულდა და ეზიზღებოდა რომაელები,

[72] ისტორიაში არ არის ნახსენები, თუ რომელი გერმანული ტომები მონაწილეობდნენ უშუალოდ შეთქმულებაში, მაგრამ ირიბი ცნობების მიხედვით, ხერუსკების გარდა ესენი იყვნენ ბრუქტერები, მარსები და ჰავკები.

ზურგსუკან კი, აჯანყებას ამზადებდა მათ წინააღმდეგ. ვარუსმა არაფერი იცოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა მათი საბრძოლო სამზადისის შესახებ. მაშინაც კი, როცა სეგესტმა, რომაელების ერთგულმა და პატივსაცემმა ხერუსკმა გათქვა ისინი, ვარუსმა ეს ცნობა არაფრად მიიჩნია და ეჭვიც არ აუღია შეთქმულებაზე. რჩევა, რომ არმინიუსისთვის ბორკილები დაედო, ვარუსმა უარყო, რადგან იგი ამ ბრალდების მიზეზად ოჯახებს შორის დაწყებულ მტრობას მიიჩნევდა. საქმე იმაშია, რომ არმინიუსმა სეგესტს მისი ქალიშვილის, თუსნელდას ხელი სთხოვა, მაგრამ სეგესტმა უარი უთხრა, ამიტომ შეყვარებული წყვილი იძულებული გახდა, გაქცეულიყო.[73] ვარუსმაც ჩათვალა, რომ სეგესტს შურისძიების სურვილი ამოძრავებდა და სხვა არაფერი.

რომის მმართველობის წინააღმდეგ შემუშავებული საერთო გეგმის მიხედვით გერმანულმა ტომებმა მოჩვენებითი აჯანყება წამოიწყეს. ახ.წ. 9 წლის სექტემბერს, როცა ხერუსკების აჯანყების ამბავმა ვარუსამდე მიაღწია, ის ვეზერზე მდებარე მინდენში მდგარი სამი ლეგიონის გადასაყვანად ემზადებოდა საზამთრო ბანაკ ალისოში, ზემო ლიპესთან. იგი ვერც კი ხვდებოდა, რომ ეს მოჩვენებითი აჯანყება შეთქმულთა დახვეწილი გეგმის ნაწილი იყო და რომაელების ტყეში ღრმად შესატყუებლად იყო მოწყობილი. ვარუსმა აჯანყების ჩასახშობად შორი გზით მოვლა გადაწყვიტა. ოქტომბრის დასაწყისში მან დატოვა მინდენი და თავის სამ ლეგიონთან ერთად, დაახლოებით ოცი ათასი კაცით გზას გაუდგა.[74] ეს გზა მიდიოდა პირდაპირ ჭაობისკენ და უგზო, გაუვალი ტყისკენ, ემსსა და ვეზერს შორის. მას არმინიუსი აცილებდა ყოველი შემთხვევისთვის, თავისი მებრძოლების ნაწილით. რომაელების მიმნდობ მთავარსარდალს ხერუსკებმა გზის მარტო გაგრძელების საშუალება მისცეს და დაარწმუნეს, რომ მის დასახმარებლად სასწრაფოდ უნდა შეეგროვებინათ და გამოეგზავნათ დამატებითი მებრძოლები. ვარუსმა ისევ შეცდომა დაუშვა. არმინიუსმა და მისმა შეთქმულებმა ჩუმად მოუხმეს სხვა, ახლოს განლაგებულ შეიარაღებულ გერმანელ მეომრებს წინასწარ ჩაფიქრებული თავდასხმისთვის.

რომაელების ლეგიონი უწესრიგოდ, დაშლილი მწყობრით გადაადგილდებოდა. მათ მიჰყავდათ ქალები, ბავშვები, შინაური პირუტყვი, ასევე მიჰქონდათ ურმები. ვარუსმა თავისი ჯარისკაცების ოჯახის წევრებს ნება დართო, ხანგრძლივი ლაშქრობის დროს შეერთებოდნენ კოლონას და თან გაჰყოლოდნენ ჯარს. რომაელებს დაუსრულებელი ამალის თანხლებით უნდა გაეკვალათ გზა მთებში, ხეობებსა და ხრამებში. გზადაგზა უნდა მოეჭრათ ხეები და გაედოთ ხიდები, ძლიერი წვიმა და უცებ ამოვარდნილი ქარიშხალი კი, კოლონის ნაწილებს უფრო და უფრო აშორებდა ერთმანეთისგან. ჯარისკაცებს ფეხი უცურდებოდათ სრიალა ნიადაგზე, ჩამომტვრეულ ხის ვარჯებზე იქცეოდნენ, გზას კეტავდნენ და ვითარებას უფრო ართულებდნენ. რომაელთა კოლონაზე თავდასხმისთვის ამაზე ხელსაყრელ დროს ვერც ინატრებდა არმინიუსი, რომელიც დღევანდელი დეტმოლ-დის მახლობლად იდგა. ჩასაფრების ზუსტი ადგილის შესახებ ცნობა სამეცნიერო ლიტე-რატურაში, როგორც უწინ, ასევე ახლაც, სადავოა. მისი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნო-ბია. შემუშავებული გეგმის მიხედვით არმინიუსის მეომრები მოულოდნელად ბუჩქებიდან

---

[73] გერმანელები საკმაოდ მშვიდობიანად იქცეოდნენ. ვარუსმა თავისი ჯარები მთელი პროვინციის ტერიტორიაზე განალაგა ყაჩაღთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს კი, არმინიუსი შეთქმულებას აწყობდა და გერმანული ტომების ბელადებს ავჯერებდა მიეღოთ მასში მონაწილეობა. არმინიუსის ჩანაფიქრის შესაბამისად, თავდაპირველად აჯანყდნენ შორეულ რაიონებში მცხოვრები ტომები. მათ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით არმინიუსმა შეკრიბა გერმანელთა ლაშქარი და ვარუსის ლეგიონებთან ერთად ვითომდა აჯანყების ჩასახშობად დაიძრა. მაგრამ შემდეგ ჩამორჩა რომაელთა კოლონას და გზადაგზა დაიწყო ახალი ძალების შემოკრება. ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრუკი თვლის, რომ ვარუსმა მოაწყო არა სამხედრო ლაშქრობა, არამედ როგორც ყოველთვის, ლეგიონები გამოსაზამთრებლდ გადაჰყავდა რაინთან ახლოს. ამ მოსაზრებას წელიწადის დრო და რომაელთა ლაშქარში ქალებისა და ბავშვების, ასევე ტვირთის დიდი რაოდენობა ამაგრებს.

[74] ისტორიისათვის არ არის ცნობილი თუ ზუსტად რამდენი რომაელი ჯარისკაცი იმყოფებოდა ვარუსის სამარშო კოლონაში. ველიუს პატერკულუსი გვამცნობს 3 ლეგიონის, 6 კოჰორტისა და 3 ცხენოსანთა რაზმის დაღუპვის ამბავს. ნაწილი ამ დანაკარგებისა შესაძლებელია სხვა ადგილებშიც მომხდარიყო. ჰანს დელბრუკი ვარუსის ძალებს 12-18 ათასი ჯარისკაცით აფასებს. თუ ამას დავუმატებთ ლაშქრობაში მონაწილე ქალებსა და ბავშვებს, მაშინ, საერთო ჯამში, რომაელთა სამარშო კოლონა 30 ათას მოლაშქრემდე უნდა შეფასდეს.

თავს დაესხნენ ოც კილომეტრზე გაჭიმული რომაელების ლაშქარს და ყველა მხრიდან შეუტიეს გაოცებულ ლეგიონერებს. მათ სეტყვასავით დააყარეს შუბები, ხოლო პატარ-პატარა რაზმები განუწყვეტლად უტევდნენ რომაელებს და ნელ-ნელა ჟლეტდნენ მათ. რომაელებმა საგრძნობი ზარალი განიცადეს. მათ ვერ შეძლეს თავიანთი იარაღის სათანადოდ გამოყენება, რადგან მეოთხე დღეს ძლიერი წვიმა წამოვიდა და ტყავის ფარები წყლით გაიჟღინთა. ასეთ ამინდში და ასეთ ტერიტორიაზე მშვილდ-ისრის ეფექტურად გამოყენებაც შეუძლებელი გახდა. ამასთან, ლეგიონერები ვერ პოულობდნენ ადგილს საბრძოლო მწყობრის გაშლისა და ძალთა შემდგომი გადაჯგუფებისათვის. გერმანელები კი კარგად იყვნენ შეგუებულნი ადგილობრივ პირობებს. მათი უმეტესობა მსუბუქად იყო შეიარაღებული. ისინი სწრაფად და მოხერხებულად მოძრაობდნენ, რომაული ჯარის ცალკეულ ნაწილებს ალყაში აქცევდნენ და მუსრს ავლებდნენ მათ. ამ დაუნდობელ ბრძოლაში რომაელ ლეგიონერთა მრავალი მეთაური და თვით კვინტილიუს ვარუსიც დაიჭრა. დაჭრილმა ვარუსმა და მისმა ოფიცრებმა, ტყვედ ჩავარდნასა და შერცხვენას სიკვდილი ამჯობინეს. მათ თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე, რათა გერმანელებს ხელში ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ. ვარუსის სხეული დაუმარხავი დარჩა.

მხოლოდ რამდენიმე რომაელმა შეძლო ხოცვა-ჟლეტას გაქცეოდა. ისინი კი, ვინც ჩაბარდა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, გერმანელებმა აწამეს, ჯვარზე გააკრეს, ცოცხლად დამარხეს ან ღმერთებს შესწირეს. გერმანელები ამტკიცებენ, რომ არმინიუსმა, მისი ხელმძღვანელობით გაერთიანებულ ტომებთან ერთად, აყვავებული მსოფლიო იმპერია დაამარცხა, რომის იმპერიის ისტორიაში კი, გარდატეხის პერიოდი დაიწყო. არმინიუსი გერმანული ტომების ბელადი და შემდგომ გერმანიის ეროვნული გმირი გახდა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მან ეს გამარჯვება მუხანათობითა და ღალატით მოიპოვა.

ვარუსის ლეგიონების კატასტროფული მარცხის შესახებ შეტყობისთანავე მთელი რომი პანიკამ მოიცვა. ეს დიდი და მძიმე დარტყმა იყო იმპერიისათვის. ჰანიბალის წინააღმდეგ კანეს ბრძოლაში დამარცხებიდან მოყოლებული, ასეთი დიდი დანაკარგი რომაელებს არასოდეს ჰქონიათ.[75] დაატყდებოდნენ თუ არა თავს გამარჯვებული გერმანული ტომები გრიგალივით მთელ გალიას? ეს კითხვა დამოკლეს მახვილივით დაეკიდა რომაელების თავზე.

იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსისთვის მძიმე დარტყმა იყო მისი ჯარების კატასტროფული მარცხი და სანაქებო ლეგიონების დაკარგვა. მან შეცვალა თავისი სტრატეგიული მიდგომა და უარი განაცხადა იმპერიის ელბაზე გავლებულ საზღვართან დაკავშირებულ ყველა გეგმაზე, რადგან რაინის მარჯვენა სანაპიროს დაპყრობილი ტერიტორიები მას აღარ დაემორჩილებოდა,[76] მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ვერაფრით ვერ ეგუებოდა ასეთ დიდ ტერიტორიულ და ადამიანურ დანაკარგებს. რომაელი ისტორიკოსი გაიუს სვეტონიუსი[77] სასოწარკვეთილი ოქტავიანეს შესახებ გვამცნობს: „მან ტანსაცმელი შემოიხია გლოვის ნიშნად. რამდენიმე თვე იზრდიდა თმას და წვერს და არავის ნახვა არ უნდოდა. იგი გამწარებული ურტყამდა კარებს თავს და ხმამაღლა ყვიროდა: ვარუს, ვარუს, სადა ხარ?!.. დამიბრუნე ჩემი ლეგიონები!“

---

[75] რომაელთა დანაკარგები ფასდება კვინტილიუს ვარუსის იმ ქვედანაყოფების რაოდენობების მიხედვით, რომლებიც ჩასაფრებაში მოჰყვნენ. ყველაზე მცირე რიცხვი 18 ათასია, მაქსიმალური კი, 27 ათასი. წყაროები გვამცნობენ, რომ გერმანელებმა ტყვედ ჩავარდნილი ყველა რომაელი დახოცეს. თუმცა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ტევტობურგის ბრძოლიდან დაახლოებით 40 წლის შემდეგ, რომაელებმა გერმანელ ხატთა ტომი დაამარცხეს. რომაელები სახტად დარჩნენ, როდესაც ხატთა რაზმში ვარუსის განადგურებული ლეგიონების ჯარისკაცები აღმოაჩინეს.

[76] ტევტობურგის ბრძოლის შემდეგ, მიუხედავად რომაელთა მიერ განხორციელებული მთელი რიგი წარმატებული ლაშქრობებისა რაინს გადაღმა გერმანულ ტერიტორიებზე, მათ აღარასოდეს უფიქრიათ ამ მიწების დაპყრობა და იქ საკუთარი გარნიზონების ჩაყენება. ტევტობურგის ბრძოლას და მის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც გერმანული ტომების, ასევე რომის იმპერიისათვის. თანამედროვე ისტორიკოსები არმინიუსის სარდლობით გერმანული ტომების გამარჯვებას ვარუსის ლეგიონებზე, აფასებენ, როგორც „რომის უდიდეს მარცხს“, „სამხედრო ისტორიაში აღწერილ ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლას“ და ასევე „მსოფლიო ისტორიის შემობრუნების წერტილს“.

[77] გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (ლათ. Gaius Suetonius Tranquillus) (ახ.წ. 70-120წ.წ.) – ძველი რომაელი მწერალი და მოაზროვნე, ისტორიკოსი, სწავლული ენციკლოპედისტი და ბიოგრაფი, იმპერატორ ადრიანეს პირადი მდივანი. განსაკუთრებით ცნობილია მისი ნაშრომი „თორმეტი კეისრის ცხოვრება“. სვეტონიუსის სხვა ნაშრომები მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ვეზერის მხარისა და ტევტობურგის ტყის ხედი

ტევტობურგის ტყე შემოდგომით

ძვ.წ. 12-8 წლებში დრუზუსის მიერ რაინს გადაღმა დალაშქრული ტერიტორიები



ძვ.წ. 3-ახ.წ. 6 წლებში ტიბერიუსის მიერ რაინს გადაღმა დალაშქრული ტერიტორიები

რომაელი ლეგიონერი აღჭურვილობით.
ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი.
რეკონსტრუქცია.

ტევტობურგის ტყეში გათხრების
შედეგად აღმოჩენილი რომაელი
ლეგიონერის რკინის ნიღაბი.

ტიბერიუსი (ძვ.წ. 42-ახ.წ. 37 წ.წ.)

არმინიუსი
(ძვ.წ. 16-ახ.წ. 21წ.წ.)

თუსნელდა. ფლორენციის მუზეუმი



ტევტობურგის ბრძოლის სქემა

რომაელთა კოლონა ტევტობურგის ტყეში

რომაელი ლეგიონერები. რეკონსტრუქცია

ტევტობურგის ტყე. ხერუსკები ჩასაფრებაში. რეკონსტრუქცია

ტევტობურგის ბრძოლა.
ოტო ალბერტ კოხის ნახატი. 1909 წელი.

რომაელი ლეგიონერი.
რეკონსტრუქცია



გამარჯვებული არმინიუსის დაბრუნება ხერუსკებთან.
თუმენის ნახატი. XIX საუკუნე



რომის ტერიტორიული ექსპანსია ეტრუსკული პერიოდიდან იმპერიამდე

ტევტობურგის ტყეში აღმართული არმინიუსის მონუმენტური ქანდაკება. კვარცხლბეკის სიმაღლე 26,89მ. ქანდაკების სიმაღლე 26,57მ. ხმლის სიგრძე 7მ. მონუმენტის საერთო სიმაღლე 53,44მ.

არმინიუსის ფეხქვეშ გათელილი რომაული ლეგიონის შტანდარტი

§1.6. „ამ ნიშნით გაიმარჯვებ!"
(მულვიოს ხიდი, 312 წლის 28 ოქტომბერი)

იგი იყო ძლიერი და მაღალი, დიდი მუქი ფერის თვალებით. მჯდომარე ფორმის მონუმენტური ქანდაკებიდან, რომელიც მის პატივსაცემად აღმართეს, მხოლოდ ორი ტერფი, მარჯვენა წვივი, მარჯვენა ხელი ზემოთ მკაცრად აპყრობილი საჩვენებელი თითით, მარჯვენა მხარი და მკერდის პატარა ნაწილი შემორჩა. ასევე – შთამბეჭდავი თავი გამოკვეთილი დიდი ცხვირითა და გლუვი, ენერგიულად წინ წამოწეული ნიკაპით. 1486 წელს იგი რომში, ახალი ბაზილიკის დასავლეთ აფსიდაში იპოვეს. ეს არის გამოსახულება კაცისა, რომელმაც ამ ეკლესიის მშენებლობა თავის სიცოცხლეშივე დაასრულებინა. ამ მონუმენტური ქანდაკების ტორსს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ცოტა რამ მაინც ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს კაცი, რომელსაც ბიზანტიელები „დიდს" უწოდებდნენ. მოკლე, ხუჭუჭა, ხელოვნურად დაწყობილი და შუბლზე გვირგვინივით შემოხვეული თმა გახსენებდათ, რომ საქმე მაღალი წრის კაცთან, კეისართან გქონდათ, რომელსაც ერქვა კონსტანტინე[78]. მას არასოდეს ჰქონია უხეში, გაუპარსავი წვერი, პირქუში გამოხედვა, რომლის გარეშეც ჯერ არც ერთი კეისარი არ გამოუსახავთ. კლასიკური ფორმის ქარიზმატული თავი მის კეთილშობილებასა და სიმკაცრეზე მიანიშნებდა. დიდი მბრძანებლური თვალები შინაგან ძალას ასხივებენ.

კონსტანტინე უკანონო შვილი იყო, რომელსაც კულტურულმა წრეებმა მეტსახელად „დიდი" შეარქვეს. იგი უდიდესი, მითიური ფიგურა გახდა, რომლის შესახებაც მომავალმა თაობებმა უამრავი ლეგენდა შექმნეს. კონსტანტინე დაიბადა ახალი წელთაღრიცხვის 270 და 288 წლებს შორის ქალაქ ნაისში[79], ზემო მეზიის პროვინციაში, დღევანდელ სერბეთში. დედამისი, ელენე, საჯინიბოს მოსამსახურე იყო, რომელიც პროსტიტუციას ეწეოდა. კონსტანტინეს მშობლები დაქორწინებულნი არ იყვნენ. მამამისი იყო რომის იმპერატორი კონსტანციუს I ქლორუსი, რომლის შესახებაც ამჟამად უამრავი ცნობა მოიპოვება კეისარ დიოკლეტიანეს[80] „ტეტრარქიაში".

მიუხედავად საეჭვო წარმომავლობისა, კონსტანტინემ გასაოცარ წარმატებას მიაღწია. მან დიოკლეტიანეს ეპოქაში მიიღო სამხედრო განათლება და ტრიბუნადაც[81] დაინიშნა. საუთარი ნიჭის გამო ძალიან მალე დაწინაურდა კეისრის წოდებამდეც. 311 წელს გაბატონებულ ხუთ კეისარს შორის იგი ერთადერთი იყო, რომელმაც დამსახურებულად შეძლო თავის დამკვიდრება[82]. თავდაპირველად იგი დასავლეთის

---

[78] კეისარ კონსტანტინეს სრული სახელი იყო ფლავიუს ვალერიუს ავრელიუს კონსტანტინე – კონსტანტინე I, კონსტანტინე დიდი (ლათ. Flavius Valerius Aurelius Constantinus).

[79] დღევანდელი ქალაქი ნიში სერბეთში.

[80] გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანე (ლათ. Gaius Aurelius Valerius Diocletianus), დაბადებით დიოკლესი (ლათ. Dioclus) (245-313.წ.წ) – რომის იმპერიის იმპერატორი 284-305 წლებში. მან დაასრულა რომის იმპერიაში III საუკუნის ეკონომიკური, სავაჭრო-ფინანსური და პოლიტიკური კრიზისი. მან დაამყარა მტკიცე მმართველობა და გააუქმა ის ფიქცია, რომლის თანახმადაც იმპერატორი მხოლოდ სენატორთა შორის პირველ სენატორად ითვლებოდა (ე.წ. პრინცეპსი). ამ რეფორმებით დიოკლეტიანემ დაიწყო ახალი ერა რომის ისტორიაში.

[81] სამხედრო ტრიბუნი (ლათ. Tribunus militum) – რომაულ ლეგიონში სამეთაურო შემადგენლობა. რომის სახლმწიფოს იმპერიის ეპოქაში თვითოეულ ლეგიონს ჰყავდა თითო სამხედრო ტრიბუნი სენატორთა შემადგენლობიდან – ტრიბუნლაქტილავიუსი (ლეგატის შემდეგ თანამდებობრივად მეორე პირი, რომელიც ტუნიკაზე ფართო მეწამული ფერის არშიას ატარებდა).

[82] 285 წელს იმპერატორმა დიოკლეტიანემ იმპერიის მართვის ახალი სისტემა დააწესა, ე.წ. ტეტრარქია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს სათავეში იმყოფებოდა არა ერთი, არამედ ერთდროულად ოთხი მმართველი. ორ მათგანს ეწოდებოდათ ავგუსტუსები (უფროსი იმპერატორები), დანარჩენ ორს კი, კეისრები (უმცროსი იმპერატორები). გათვლა იმაზე იყო გაკეთებული, რომ 20 წლის შემდეგ უფროსი იმპერატორები უარს იტყოდნენ ტახტზე უმცროსი იმპერატორების სასარგებლოდ, ეს უკანასკნელნიც მოკლე დროში მოძებნიდნენ თავის შემცვლელებს. იმავე 285 წელს დიოკლეტიანემ თავის თანამმართველად მაქსიმიანე აირჩია, რომელსაც სამართავად იმპერიის დასავლეთი ნაწილი გადასცა, თავისთვის კი აღმოსავლეთი დაიტოვა. ტეტრარქიის მიხედვით, 293 წელს ავგუსტუსებმა თავისი მემკვიდრეები აირჩიეს. ერთ-ერთი ასეთი, გალიის ყოფილი პრეფექტი და კონსტანტინეს მამა, კონსტანციუსი (კონსტანციუს I ქლორუსი) იყო. მეორე ადგილი გალერიუსს ერგო, რომელიც მალე ქრისტიანთა უსასტიკესი დევნის განსახიერებად იქცა. 305 წელს, ტეტრარქიის დამყარებიდან 20 წლის შემდეგ, ორივე ავგუსტუსი გადადგა და კონსტანციუს I ქლორუსი და გალერიუსი იმპერიის თანამმართველები გახდნენ (პირველი დასავლეთში, მეორე კი,

გამგებელი იყო, შემდეგ კი ცამეტი წელი ერთპიროვნულად მართავდა უცვლელი საზღვრების მქონე უზარმაზარ იმპერიას. თავისი წარმატებული კარიერითა და ოცდაათწლიანი მმართველობის პერიოდით მან ყველა წინამორბედი დაჩრდილა, კეისარ ოქტავიანე ავგუსტუსის გამოკლებით. მისი თანამედროვეები აღწერენ მას, როგორც „იღბლიანს და ყველა კეისარზე უფრო ღვთისმოშიშსა და ძლევამოსილს“. ოცი წლის განმავლობაში ერთმმართველობისთვის გაჩაღებულ ომებში კონსტანტინეს იღბალი და წარმატება მუდმივად სდევდა თან. ამის მისაღწევად კი, სამხედრო ნიჭი და პოლიტიკური მოქნილობა იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, დეტალურად უნდა განვიხილოთ ერთი შეცდომა, რომელიც 312 წელს დაუშვეს რომში. ამ შეცდომის გამო კონსტანტინე თვითმპყრობლის უმაღლეს თანამდებობამდე აღზევდა.

ექვსი წლის განმავლობაში რომში ძალაუფლება უზურპატორ მაქსენტიუსს[83] ეპყრა, გვირგვინოსან ავხორც ადამიანს. ხალხისა და პრეტორიანელთა გვარდიის[84] მხარდაჭერით მან თავი კეისრად გამოაცხადა. თუ მის თანამედროვე ისტორიკოსს, ევსებსს დავუჯერებთ, მაქსენტიუსის საყვარელ საქმიანობას პატივცემული დაქორწინებული ქალების ოჯახებისგან მოწყვეტა, მათთან თავხედურად მოქცევა, გაუპატიურება და საბოლოოდ მეუღლისთვის უკან დაბრუნება წარმოადგენდა. როცა მოსახლეობაში მღელვარებამ იფეთქა, პრეტორიანელებმა კეისრის ბრძანებით ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს და ექვსი ათასზე მეტი რომაელი მოკლეს. არც ერთ კეისართაგანს არ სურდა მაქსენტიუსის აღიარება კანონიერ მბრძანებლად, მათ შორის, კონსტანტინესაც. ამ დროისათვის მის დაქვემდებარებაში მხოლოდ დასავლეთ პროვინციები იყო ბრიტანეთის, ესპანეთისა და გალიის ჩათვლით, ხოლო მისი რეზიდენცია ტრირში მდებარეობდა. კონსტანტინე გზას გაუდგა და 312 წლის გაზაფხულზე თავის პატარა ლაშქართან ერთად გადალახა ალპები, ისევე, როგორც ეს ხუთასი წლის წინ გააკეთა ჰანიბალმა. კონსტანტინეს ლაშქრობა მიზნად ისახავდა არა რელიგიურ ომს, არამედ მაქსენტიუსის განდევნას რომიდან.

კონსტანტინეს ჯარი პატარა იყო, მაგრამ მისი რჩეული ჯარისკაცები, უმეტესად გალები და გერმანელები, ბრძოლისუნარიანები და კარგად მომზადებულები იყვნენ. სასტიკი ბრძოლებით მათ მოახერხეს ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილება. კარგად გამაგრებული რომი ჯერ კიდევ შორს იყო და მარში არც ისე უსაფრთხო აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინ

აღმოსავლეთში). ამ დროისათვის კონსტანციუსს ჯანმრთელობა უკვე საგრძნობლად ჰქონდა შერყეული. შესაბამისად, მისი თანამმართველი იმედოვნებდა კონსტანციუსის მალე გარდაცვალებას. სიკვდილის წინ კონსტანციუსმა, რომელიც ბრიტანეთში იმყოფებოდა, თავისი შვილის, კონსტანტინეს ნახვა მოინდომა, რომელიც ამ დროისათვის ფაქტიური მძევლის მდგომარეობაში იმყოფებოდა აღმოსავლეთ იმპერიაში. გალერიუსი თავს იკავებდა კონსტანტინეს მამასთან გაგზავნისაგან, რადგან ეშინოდა, რომ ჯარისკაცები მას ავგუსტუსად გამოაცხადებდნენ. ეს კი არაფრით არ შედიოდა მის გეგმებში. მას კონსტანციუსის ადგილას თავისი კაცის, ფლავიუს სევერუსის დაყენება და ასეთი გზით მთელი იმპერიის დამორჩილება სურდა. კონსტანტინემ მაინც მოახერხა მამასთან ჩასვლა. 306 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, იორკში არმიამ კონსტანტინე იმპერატორად გამოაცხადა. გალერიუსს შეგუება მოუხდა ამ რეალობასთან და იმ საბაბით, რომ კონსტანტინე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, იგი მხოლოდ კეისრად აღიარა. ავგუსტუსად კი, მაინც სევერუსი დანიშნა. ფორმალურად კონსტანტინე ფლავიუს სევერუსისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრმ რეალურად საქმე სხვანაირად იყო. გალიაში, სადაც კონსტანტინე იმყოფებოდა მისი ერთგული ლეგიონები იდგნენ და მმართველობის ლიბერალური ფორმის გამო, მოსახლეობაც მას ემხრობოდა. ფლავიუს სევერუსს კი ასეთი მყარი მდგომარეობა არ ჰქონდა.

83 მარკუს ავრელიუს ვალერიუს მაქსენტიუსი (ლათ. Marcus Aurelius Valerius Maxentius) (278-312წ.წ.) – რომის იმპერატორი 306-312 წლებში, უზურპატორი, იმპერატორ მაქსიმიანე ჰერკულიუსის (ლათ. Marcus Aurelius Valerius Maximianus Herculius) შვილი.

84 პრეტორიანული გვარდია, ან უბრალოდ, პრეტორიანელები (ლათ. Praetoriani) – რომის იმპერატორების პირადი მცველები. ეს დასახელება იხმარებოდა რომის რესპუბლიკის პერიოდიდან. რომში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ოქტავიანე ავგუსტუსმა შექმნა პრეტორიანელთა 9 კოჰორტა, თვითოეული 1000 ჯარისკაცის შემადგენლობით. აქედან სამი კოჰორტა უშუალოდ რომში იყო განლაგებული, დანარჩენი კი, ქალაქთან ახლოს. და ყველაზე მთავარი – რომსა და მთლიანად იტალიაში იარაღის ტარების უფლება მხოლოდ პრეტორიანელებს ჰქონდათ და სამსახურშიც მხოლოდ იტალიელებს იღებდნენ. ისინი ჯარების პრივილეგირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ, რეგულარული ჯარისგან განსხვავებით 25 წლის მაგივრად 16 წელიწადს მსახურობდნენ და ხელფასიც მეტი ჰქონდათ ვიდრე ჩვეულებრივ ლეგიონერებს.

გაამაგრეს ავრელიუსის[85] მიერ აშენებული გალავანი. მაქსენტიუსმა დიდძალი მარცვლეული მოიმარაგა, რათა ხანგრძლივი ალყისთვის გაეძლო. მან დაანგრია მულვიოს ხიდის[86] შუა ნაწილი მდინარე ტიბრის ზემოთ და იგი დროებითი ხის კონსტრუქციით შეცვალა, რომლის მოშორებაც სწრაფად იყო შესაძლებელი. ფაქტობრივად რომი ძლიერ, აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა.

მაქსენტიუსის მიერ შემუშავებულ ქალაქის თავდაცვის გეგმას წარმატების ყველა შანსი ჰქონდა, რადგან კონსტანტინეს ძალები არ იყო საკმარისი ქალაქის ხანგრძლივი ალყისათვის. კატაპულტები ან სხვა საალყო აღჭურვილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო სქელი კედლის ან ჭიშკრის განგრევა, კონსტანტინეს ჯარისკაცებს არ ჰქონდათ. მათ მოსატანად კი ძალიან დიდი გზა იყო გასავლელი. კონსტანტინეს სტრატეგიული მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, იგი მოწინააღმდეგის რაიონში იმყოფებოდა. ლეგიონის მეთაურები და ოფიცრები მას დაჟინებით ურჩევდნენ, უარი ეთქვა რომის დალაშქვრაზე, მათ დამარცხებისა ეშინოდათ. გარდა ამისა, მსხვერპლშეწირვის რიტუალის დროს წინასწარმეტყველებმა წარმატების მიღწევის ვერანაირი დამაიმედებელი ნიშნები ვერ აღმოაჩინეს. ოფიცრების ხმამაღალი პროტესტის მიუხედავად, კონსტანტინეს ხელი არ აუღია თავისი გეგმის შესრულებაზე. აქამდე იგი ყოველთვის ცდილობდა, მათთან შეთანხმებით ემოქმედა. ეს უპირველეს ყოვლისა, ფრანკების მეთაურ ბონიტუსს და ალემანების მეფე კროკუსს შეეხებოდათ. მაგრამ ამჯერად კონსტანტინემ არ გაითვალისწინა მათი მოსაზრებები და წარმატებასაც მიაღწია.[87] ლაშქარმა გზა გააგრძელა რომისკენ და 312 წლის შემოდგომაზე მდინარე ტიბრს მიადგა.

312 წლის 28 ოქტომბრის დილას მალბორგეტოსთან დაბანაკებულ თავის ჯარისკაცებს კონსტანტინემ უბრძანა, რომ უშუალოდ ბრძოლის წინ ფარებზე ცეცხლის მაგიური ნიშანი დაეხატათ ქრისტეს სიმბოლოების ფორმით.[88] მან უამბო ჯარისკაცებს, რომ ხილვა ჰქონდა – შუადღისას ცაზე საკუთარი თვალით დაინახა ცეცხლით გამოსახული ჯვრის გამარჯვების ნიშანი, რომელზეც ეწერა – „ამით გაიმარჯვებ“, ანუ შეცვლილი ლათინური ფორმულირებით, “In hoc signo vinces” – „ამ ნიშნით მოიგებ!“ კონსტანტინემ დაიფიცა, რომ ქრისტიანობას მიიღებდა, თუკი ბრძოლაში გაიმარჯვებდა. თუმცა, მიუხედავად ამ ხილვისა, კონსტანტინეს რომზე გამარჯვების შანსი ძალიან უმნიშვნელო იყო. იგი არ იყო მომზადებული კარგად გამაგრებული ქალაქის ხანგრძლივი ალყისათვის და არც ამისთვის საკმარისი რესურსები გააჩნდა.

მაქსენტიუსს, რომელიც სქელი კედლის უკან თავის ჯართან ერთად იყო გამაგრებული, ყველა კოზირი ხელთ ჰქონდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ

---

[85] მარკუს ავრელიუსი (ლათ. Marcus Aurelius Antoninus) (ახ.წ. 121-180წ.წ.) – ანტონინუსების დინასტიის რომის იმპერატორი ახ.წ. 161-180 წლებში. იმპერატორ ანტონინუს პიუსის შვილობილი. 140, 145 და 161 წლებში იმპერიის კონსული და კეისარი. 178 წელს სარდლობდა რომაელთა ჩრდილოურ ლაშქრობას გერმანიაში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია. იმპერიის „ოქროს ხანის” მმართველი. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული პიროვნება, მოაზროვნე და ფილოსოფოსი, მწერალი, გვიანდელი სტოიციზმის წარმომადგენელი, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, ეპიკტეტის მოძღვრების მიმდევარი. თავის ნაშრომებს წერდა ბერძნულ ენაზე. ანტონინუსების დინასტიის რომის ხუთ ბედნიერ იმპერატორთაგან (მარკუს ნერვა, მარკუს ტრაიანე, პუბლიუს ადრიანე, ანტონინუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი) უკანასკნელი წარმომადგენელი. პირველ ხანებში ავრელიუსის თანამმართველი ლუციუს ვერუსი იყო. მათი მმართველობის პერიოდში, რომელიც გამოირჩეოდა იმპერიის სტაბილურობითა და რეპრესიების არარსებობით, რომის იმპერიამ თავისი გაფურჩქვნის მწვერვალს მიაღწია.

[86] მულვიოს, ან მილვიოს ხიდი (ლათ. Pons Mulvius, იტალ. Ponte Milvio) – ძვ.წ. I საუკუნეში რომში, მდინარე ტიბრზე გადებული ხიდი, რომელიც რომს ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე ქალაქ არიმინუმთან (დღევანდელი რიმინი) აკავშირებდა.

[87] 312 წლის გაზაფხულზე კონსტანტინემ ალპები გადალახა, შევიდა ჩრდილოეთ იტალიაში და თავისი ჯარებით რომისკენ დაიძრა. პირველი დიდი ბრძოლა მან ტურინთან გადაიხადა, სადაც მაქსენტიუსის მძიმე კავალერია დაამარცხა. ვერონასთან გამართულ მეორე ბრძოლაშიც, სადაც მაქსენტიუსის ჯარებს უკვე პრეტორიანელთა პრეფექტი, რურიციუს პომპიანუსი სარდლობდა, კონსტანტინემ დიდ წარმატებას მიაღწია. რურიციუს პომპიანუსი ბრძოლაში იქნა მოკლული, ჩრდილოეთ იტალია კი კონსტანტინეს მიემხრო.

[88] აქ საუბარია ქრისმონზე, ქრისტეს მონოგრამაზე – “XP”. (ბერძნული ანბანის ასოები – X (ხი) და P (რო)). ძე ღმერთის სახელის – ΧΡΙΣΤΟΣ პირველი ორი ასო. სწორედ ეს გადაჯვარედინებული ასოები დააწერინა კონსტანტინემ თავის ჯარისკაცებს ფარებზე „ცეცხლის ნიშნით”, ანუ, წითლად – ☆/

ხანმოკლე ალყის შემდეგ კონსტანტინე ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდებოდა მოეხსნა ქალაქისათვის ალყა და თავისი ჯარებით უკან დაეხია. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი და გასაოცარი რამ: მაქსენტიუსმა მოულოდნელად დატოვა დედაქალაქის დაცული სიმაგრე და კონსტანტინეს ღია ველზე დაუპირისპირდა. ეს დიდი შეცდომა იყო. მან კონსტანტინეს წარმოუდგენელი შანსი მისცა წარმატებით აღესრულებინა თავისი გეგმა.

და აქ ისმის კითხვა – რატომ არ დარჩა მაქსენტიუსი ბოლომდე თავისი თავდაცვის გეგმის ერთგული? რამ აიძულა იგი, რომ თითქმის აუღებელი თავშესაფარი დაეტოვებინა და საფრთხეში ჩაეგდო საკუთარი სიცოცხლე? თანამედროვე ისტორიკოსებმა ბევრი იფიქრეს იმის შესახებ, თუ რატომ გადადგა მან ეს ნაბიჯი. ამის შესახებ დასაბუთებული არგუმენტები და ცალსახად ნათელი ახსნა-განმარტებები არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ის შეფასება, რაც არსებობს – მაქსენტიუსი უდიდესი შეცდომის მსხვერპლი გახდა.

საიდუმლო პოლიციის იმჟამინდელი სიტუაციური მოხსენებებიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, რომ ქალაქის მოსახლეობაში მას მხარდაჭერა არ ჰქონდა. ასეთი დიდი რაოდენობის ჯარების თავმოყრას ქალაქში შესაძლოა მათი რომის სამოქალაქო მოსახლეობასთან დაპირისპირება მოჰყოლოდა. მაგრამ აჯანყება, რაც მაქსენტიუსს აშინებდა, არ იყო მოსალოდნელი. ექვსი ათასი რომაელის სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ქალაქის მცხოვრებლებს. სავარაუდოდ, საქმე ეხებოდა რომის მოსახლეობის მიერ კონსტანტინესთვის სოლიდარობის გამოცხადებას, მაგრამ მოსახლეობის აჯანყება ან ღალატი, რაც ყოველთვის შესაძლებელია უზარმაზარი გალავნის შიგნით, კონკრეტულად ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ჰქონიათ. სავარაუდოა, რომ შეცდომის დაშვება განაპირობა საეჭვო წარმართი მისნების წინასწარმეტყველებამ, რომლებმაც მაქსენტიუსი დაარწმუნეს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში – თავიდან აერიდებინა უბედურება და კონსტანტინეს რომის გალავნის გარეთ, ღია ველზე შებრძოლებოდა. თითქოს სურდა, შილერის იოანასთან („ორლეანელი ქალწული“) ერთად წამოეძახა: „ეს არ იყო შეცდომა, ეს ბედისწერა იყო!“

კონსტანტინემ წინ წაიწია ფლამინიის გზაზე და მულვიოს ხიდიდან ცამეტ კილომეტრში გაჩერდა „საქსა რუბრასთან“. მალე აქ მაქსენტიუსის ჯარის მცირე ნაწილი გამოჩნდა, რომელიც კონსტანტინემ ხანმოკლე ბრძოლაში დაამარცხა. დამარცხებულები მულვიოს ხიდისკენ უკუიქცნენ. ამის შემდეგ მაქსენტიუსმა თავის რჩეულ ჯართან ერთად დატოვა ქალაქი, ალბათ, კონსტანტინეს ალყაში მოსაქცევად, ანდა, შესაძლებელია, გამოქცეული ჯარისკაცებისთვის მდინარეზე გადასასვლელის ღიად დასატოვებლად. ორი ლაშქარი ერთმანეთს რომიდან სამ კილომეტრზე დაშორებულ ხიდთან შეხვდა. მაქსენტიუსი მდინარესთან ზურგით იდგა, მისი ჯარისკაცების გაქცევა შეუძლებელი იყო. ერთადერთი გზა ხიდისაკენ მიდიოდა. მაქსენტიუსი ფიქრობდა, რომ ხის კონსტრუქცია, რომელიც მან სპეციალურად შეცვალა, რათა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მისი აღება, გაუძლებდა უკან დაბრუნებული ჯარების მასას. მაგრამ იგი აქაც შეცდა. კონსტრუქცია კოლონის მსვლელობისას ჩამოიქცა.

ხიდის გარშემო ბრძოლა ორივე მხრიდან უკიდურესი სისასტიკით წარიმართა. ჯარისკაცები გააფთრებულები ებრძოდნენ ერთმანეთს. ფარებზე დახატული წითელი ქრიზმა (ქრისტეს ნიშანი) კონსტანტინეს ჯარს ეხმარებოდა არეულ-დარეულობაში ერთმანეთისგან გაერჩიათ მტერი და მოკეთე. როცა გააფთრებულ ბრძოლაში მაქსენტიუსის გვარდიის თითქმის ყველა ჯარისკაცი დაიღუპა, მან ბრძოლა წაგებულად ჩათვალა და თავის შველას შეეცადა. მდინარით გაქცევისას ცხენმა იგი ტიბრში გადააგდო. მაქსენტიუსი დაიხრჩო. ამით მულვიოს ხიდზე გამართული სისხლიანი ბრძოლა დასრულდა.

312 წლის 28 ოქტომბერს კონსტანტინე დიდი ზეიმით შევიდა რომში. მან ბრძანა, მაქსენტიუსის გვამისთვის თავი მოეკვეთათ, ხოლო სხეული დაემარხათ. გამარჯვებულთა კოლონის ქალაქში მარშირებისას ჯარისკაცებმა შუბზე წამოაცვეს მაქსენტიუსის

მოკვეთილი თავი და რომის ქუჩებში დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარეს.[89] მაქსენტიუსზე გამარჯვების შემდეგ რომის გარდა კონსტანტინეს წილად ხვდა ასევე იტალიისა და ჩრდილოეთ აფრიკის პროვინციები. მან სიტყვა შეასრულა და იმპერიის ქრისტიანი მოსახლეობის მფარველობა დაიწყო. სიკვდილის წინ კი, 337 წელს, თავადაც ქრისტიანობა მიიღო. მისი ნათლობა მისაბაძი გახდა ყველა მომდევნო კეისრისა თუ დიდი მეფისთვის. მათ შორის იყვნენ ჰლოდვიგი[90], კარლოს დიდი[91] და ოტო III.[92]

მთელი თავისი ცხოვრებისეული საქმიანობით და რომის სახელმწიფოს გაქრისტიანებით, კონსტანტინემ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი. ეს არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, რომს რომ გაეძლო ალყისთვის და დაუცველ პოზიციაზე მყოფი კონსტანტინე იძულებული გაეხადა, უკან გაბრუნებულიყო. არსებული ძალებითა და რესურსებით ქალაქის ხანგრძლივ ალყას იგი ვერ მოაწყობდა, ეს უდავოა. მით უმეტეს, ვერ აიღებდა რომს, რადგან საკმარისი რეზერვებისა და მომარაგების აწყობილი სისტემის გარეშე არანაირი შანსი არ ჰქონდა აღესრულებინა ეს რთული ამოცანა. მას კი არც ერთი გააჩნდა და არც მეორე.

ამრიგად, მულვიოს ხიდთან მაქსენტიუსის მიერ გაკეთებულმა არასწორმა შეფასებებმა და მის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა არა მხოლოდ ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს, არამედ მსოფლიო ისტორიის შემდგომი მსვლელობაც შეცვალეს.

---

[89] ამ გამარჯვების აღსანიშნავად, 315 წელს დედაქალაქში, კოლიზეუმსა და პალატინის ბორცვს შორის კონსტანტინეს გრანდიოზული ტრიუმფალური თაღი იქნა აღმართული. ყველა არსებულისგან განსხვავებით, ეს არის რომში აღმართული ერთადერთი ტრიუმფალური თაღი, რომელიც მიეძღვნა არა გარეშე მტრებთან, არამედ სამოქალაქო ომში გამარჯვებას.

[90] ჰლოდვიგ I (ლათინ. Chlodovechus, ფრანკ. Hlōdowig, ინგლ. Clovis) (466-511წ.წ.) – მეროვინგების დინასტიის ფრანკთა მეფე. მეფობდა 481-511 წლებში. მეფე ჰილდერიკ I-ისა და დედოფალ ბაზინა ტიურინგიელის შვილი. მასზე შემონახული ცნობები ძალიან მწირია, მაგრამ უდავოა, რომ ჰლოდვიგი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი პოლიტიკოსი, მხედართმთავარი და მმართველი იყო. პირველი მეფე, რომელმაც დიდი ბრძოლებისა და ძალისხმევის ფასად ფრანკთა ტომები გააერთიანა და ფრანკთა პირველი მეფე გახდა, რომელმაც 496 წლის 25 დეკემბერს მიიღო ქრისტიანობა. მის მიერ დაარსებული მეროვინგების დინასტია შემდგომი ორი საუკუნე მეფობდა ფრანკთა სახელმწიფოში.

[91] კარლოს I დიდი (ლათ. Carolus Magnus ან Karolus Magnus, გერმ. Karl der Große, ფრანგ. Charlemagne) (742-814წ.წ.) – VIII-IX საუკუნეების ევროპის დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ფრანკთა სახელმწიფოს მეფე 768 წლიდან, ლანგობარდების მეფე 774 წლიდან, ბავარიის ჰერცოგი 788 წლიდან, დასავლეთის იმპერატორი 800 წლიდან. ფრანკთა მეფე პიპინ „მოკლეს" უფროსი შვილი. მან შეძლო ფრანკთა სამეფოს შემდგომი გაძლიერება და მისი ტერიტორიების ექსპანსია. კარლოს I იმდენად ცნობილი მეფე და მმართველი იყო, რომ პიპინიდების დინასტიამ მის შემდგომ კაროლინგების დინასტიის სახელი მიიღო. სიცოცხლეშივე იწოდებოდა „კარლოს დიდად". მეტად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კარლოს დიდს თავისი ეროვნული სახელმწიფოს დამაარსებლად ერთდროულად მიიჩნევენ ფრანგებიც და გერმანელებიც.

[92] ოტო III (გერმ. და ლათ. Otto III) (980-1002წ.წ.) – „მსოფლიოს სასწაულად" წოდებული – გერმანიის მეფე და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი.

იმპერატორ კონსტანტინე დიდის მარმარილოს მონუმენტური ქანდაკების ჩვენამდე მოღწეული ნაწილები. კაპიტოლინის მუზეუმი



კონსტანციუს I ქლორუსი (250-306)

ელენე (250-330)

მაქსენტიუსი (278-312)

რომაული მონეტა – კონსტანტინე ავგუსტუსი. დრეზდენის მუზეუმი

მულვიოს ხიდი მდინარე ტიბრზე

მულვიოს ხიდთან ბრძოლის წინ კონსტანტინეს მიერ განცდილი ხილვა

ქრისმონი, ქრისტეს მონოგრამა – **“XP”**. (ბერძნული ანბანის ასოები – **X** (ხი) და **P** (რო)). ძე ღმერთის სახელის – **ΧΡΙΣΤΟΣ** პირველი ორი ასო. სწორედ ეს გადაჯვარედინებული ასოები დააწერინა კონსტანტინემ თავის ჯარისკაცებს ფარებზე „ცეცხლის ნიშნით”, ანუ წითლად შეღებულ ფარებზე – ★/!

კონსტანტინეს ლეგიონერები უტევენ პრეტორიანელთა გვარდიას. სურათზე კარგად ჩანს კონსტანტინეს ლეგიონერების წითელ ფარებზე დაწერილი ქრისმონი – ქრისტეს ნიშანი.



მულვიოს ხიდთან გამართული ბრძოლა. ჯუზეპე რავას ნახატი

With Chi-Rho painted on their shields, Constantine's men crowd down to the pontoon structure over which Maxentius's men were trying to escape.

ბრძოლის ეპიზოდი. მაქსენტიუსის ჯარები ტიბრზე გადებულ საპონტონე ხიდზე. სურათზე კარგად ჩანს კონსტანტინეს ლეგიონერების ფარებზე გამოსახული ქრისტეს ნიშანი – ქრიზმა.

ბრძოლა მულვიოს ხიდთან. პიტერ ლასტმანის ნახატი. 1613 წელი

მაქსენტიუსის გაქცევა და დაღუპვა



ბრძოლა მულვიოს ხიდთან. ჯულიო რომანოს მიერ დაწერილი ფრესკა.
რომი, ვატიკანი, პაპის სასახლე. რაფაელის ოთახის თაღი

კონსტანტინე დიდის ტრიუმფალური თაღი

კონსტანტინე დიდის ბრინჯაოს ქანდაკება. იორკი, ინგლისი. დადგმულია იმ ადგილას, სადაც 306 წელს იგი ავგუსტუსად გამოაცხადეს

კონსტანტინე დიდის ბიუსტი. IV საუკუნე

336 წელს კონსტანტინე დიდის მმართველობის 30 წლისთავისათვის მოჭრილი ოქროს მედალიონი

კონსტანტინე დიდი. აია სოფია. 1000 წელი



რომი კონსტანტინე დიდის იმპერატორობის ბოლო წელს

§1.7. ოტო I და ბრძოლა მომთაბარე უნგრელებთან (ლეხფელდი, 955 წლის 10 აგვისტო)

936 წელს აახენში მეფედ კურთხევის შემდეგ ოტო I-ს მუდმივად უწევდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის[93]. მამამისმა, მეფე ჰაინრიხ I-მა,[94] თავის მემკვიდრედ იგი გამოაცხადა და არა მისი უფროსი ძმა – თანკმარი. ოტო I ჰაინრიხის უფროსი ვაჟი იყო მეორე ქორწინებიდან, ხოლო თანკმარი – ერთადერთი ვაჟი პირველი ქორწინებიდან, რომელიც ეკლესიის მიერ არაკანონიერ შვილად ითვლებოდა. ჰაინრიხი, ოტოს უმცროსი ძმაც კი, მიუხედავად იმისა, რომ „ძოწეულში“ მეფის უფლებებით დაიბადა (ასე ამბობდნენ იმ დროს), მამამისის მსგავსად ვერ გახდა მეფე. ცოტა ბუნდოვანი ამბავია. როგორც ჩანს, ოტოს მეფედ არჩევა იმთავითვე პირადი სურვილებით ან სამართალდარღვევით იყო განპირობებული.

ამას ემატებოდა ფრანკთა ტომებს შორის არსებული განხეთქილება. ოტო I-მა აღმოსავლეთ ფრანკული ტომების გაერთიანებით შექმნა ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქია გერმანიის სამეფოს სახით, თუმცა ზოგიერთმა ტომის მთავარმა უარი განაცხადა გერმანიის სამეფოში შესვლაზე. ოტო I-ს განსაკუთრებით მისი უმცროსი ძმა, ბავარიის ჰერცოგი ჰაინრიხი აუმხედრდა. სლავური ტომების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ოტომ აღმოსავლეთში საეპისკოპოსოები დააარსა და ქრისტიანობის გავრცელება დაიწყო. ამ ნაბიჯით მან გერმანელთა ბატონობის განმტკიცებას შეუწყო ხელი. შემდგომ წლებში მის პატივმოყვარე გეგმებში ბურგუნდიის, საფრანგეთისა და იტალიის ჩართვაც დაიგეგმა. მაშინ, ოტო I-ის მეფობის პერიოდში, პირველად წარმოიშვა ცენტრალური ევროპის გაერთიანების იდეა.

მაგრამ ამ ძლევამოსილი ჩანაფიქრის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ოტო აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეებს გაუმკლავდებოდა და სახიფათო მოწინააღმდეგის – მომთაბარე უნგრელების (მადიარების) დამარცხებას შეძლებდა. 937-941 წლებში გერმანიის სამეფოს გამუდმებით ესხმოდნენ თავს ველური ურდოები და ოტოს სამეფოს სასიცოცხლო არტერიას გადაჭრით ემუქრებოდნენ. განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა მაშინ შეიქმნა, როცა 953-954 წლებში მეფის წინააღმდეგ ამბოხება მისმა ვაჟმა, რუდოლფ შვაბიელმა და სიძემ (ქალიშვილის ქმარმა) კონრად ლოტარინგიელმა მოაწყვეს.

954 წელს ამბოხებული ტომები უნგრელებთან გაერთიანდნენ. „ამას კიდევ ავიტანდი, – საჯაროდ განაცხადა ოტომ ქალაქ ფიურტში გამართულ რაიხსტაგის[95] სხდომაზე, – ჩემი ვაჟისა და სხვა შეთქმულების რისხვა მხოლოდ მე რომ მატყდებოდეს თავს და არა ქრისტიანული სამყაროს ყველა ხალხს... ამ დავაში ჩართული რომ არ იყვნენ ადამიანებისა და ღმერთის მოწინააღმდეგე მომთაბარე უნგრელები. მათ გააუდაბურეს ჩვენი ქვეყანა, გაანადგურეს ყანები და ნათესები, იჭერენ ან კლავენ ხალხს, ანგრევენ სოფლებსა და ქალაქებს, წვავენ მონასტრებსა და ეკლესიებს, ახრჩობენ მღვდლებს... ამაზე მეტი რაღა უნდა ვთქვა, უფრო მეტი ბოროტმოქმედებისა და მზაკვრობის წარმოდგენაც კი, შეუძლებელია.“

---

[93] ოტო I დიდი (გერმ. Otto I der Große) (912-973წ.წ.) – ადრეული შუა საუკუნეების ევროპის დიდი სამხედრო, სახელმწიფო და რელიგიური მოღვაწე. საქსონიის ჰერცოგი (ოტო II-ის სახელით) 936-961 წლებში, გერმანიის მეფე 936 წლიდან, იტალიის მეფე 961 წლიდან და საღვთო რომის იმპერიის პირველი იმპერატორი 962 წლიდან. გერმანიის მეფე ჰაინრიხ I-ისა და დედოფალ მატილდა ვესტფალიელის შვილი. მისი მმართველობის დროს შეიქმნა საღვთო რომის იმპერია.

[94] ჰაინრიხ I (გერმ. Heinrich der Finkler ან Heinrich der Vogler, ლათინ. Henricus Auceps) (876-936წ.წ.) – საქსონიის ჰერცოგი 912 წლიდან და აღმოსავლეთ ფრანკონიის (გერმანია) არჩეული მეფე 919 წლიდან. პირველი არაფრანკი საქსონელი მეფე, რომელმაც მეფეთა და იმპერატორთა ოტონიანების დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ადრეული შუა საუკუნეების პირველი გერმანული სახელმწიფოს შემქმნელი და მისი პირველი მეფე.

[95] რაიხსტაგი (გერმ. Reichstag – პირდაპირი მნიშვნელობით „საიმპერიო შეკრება”) – საღვთო რომის იმპერიის უმაღლესი სათათბირო-საკანონმდებლო ორგანო.

ეს ძალიან მოხერხებული სვლა იყო. ამ სიტყვებით ოტომ პრობლემა რელიგიურ ჭრილში გადაიტანა, რომელზეც ყველა მის მოწინააღმდეგეს შესაძლოა ერთი აზრი ჰქონებოდა. ამ მგზნებარე მიმართვამ რაიხსტაგის წევრებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მეფეს დაეთანხმნენ ლოტარინგიის ჰერცოგი კონრად „მწითური", მაინცის არქიეპისკოპოსი ფრიდრიხი და ოტოს ვაჟი, რუდოლფ შვაბიელი. როცა მომთაბარე უნგრელები 955 წელს ხელახლა დაესხნენ თავს ბავარიას, ისინი უკვე გერმანელთა იდეურად გაერთიანებულ ლაშქარს შეეჯახნენ, რომელშიც ყველა ტომი ერთობლივი ბრძოლისათვის იყო მომზადებული. დაახლოებით ოთხ კვირაში, ულმთან, იმპერიაში გამოცხადებული მობილიზაციით ათი ათასმა მძიმედ შეჯავშნულმა ცხენოსანმა მოიყარა თავი.[96]

955 წლის აგვისტოში ბარბაროს უნგრელთა დახლოებით 50 ათასიანი ჯარი აუგსბურგთან იდგა. ეპისკოპოსმა ულრიხმა საკუთარ თავზე აიღო ქალაქის დაცვა. ქალაქი არასათანადოდ იყო გამაგრებული და მოსალოდნელი იყო, მოწინააღმდეგეს ხელში ჩავარდნოდა. მაგრამ უნგრელებმა მოულოდნელად შეტევა შეწყვიტეს, უკან დაიხიეს და მდ. ლეხის ველზე მოიყარეს თავი. მათ ინფორმატორებმა აცნობეს, რომ გერმანელთა გაერთიანებული ლაშქარი უახლოვდებოდათ. ეს იყო ისტორიაში პირველი საერთო გერმანული მობილიზაცია. ოტოს შეჯავშნულმა ცხენოსნებმა ერთი დღე იმარხულეს და მომდევნო დილას, 955 წლის 10 აგვისტოს ზიარება მიიღეს. შემდეგ დადგნენ საბრძოლო მწყობრში, რომელსაც დაწვრილებით აღწერს ისტორიკოსი და ბერი ვიდუკინდ კორველი[97] „საქსონიის ისტორიაში".

გაერთიანებულ გერმანულ ლაშქარს წინ ბავარიელები მიუძღოდნენ პირველი სამი ლეგიონით, მაგრამ ოტოს უმცროსი ძმის, ჰერცოგ ჰაინრიხის გარეშე. იგი ავად იყო და ომის შემდეგ ძალიან მალე გარდაიცვალა. შემდეგ მათ მოჰყვებოდნენ ფრანკები მეოთხე კოლონაში, კონრად „მწითურის" მეთაურობით. ჯარის რჩეულ, მეხუთე, უძლიერეს კოლონას კი, წინ თავად ოტო I მიუძღოდა, დროშითა და წმინდა მიქაელის ხატით. შვაბებმა ბურჰარდ III-ის მეთაურობით შექმნეს მეექვსე და მეშვიდე ქვედანაყოფები და გერმანელთა გაერთიანებულ ლაშქარს ბოლოში მიჰყვებოდნენ, ისევე როგორც მერვე ლეგიონი, დაახლოებით ათასი ბოჰემიელი ჯარისკაცი აღალით. არიერგარდი იცავდა უსაფრთხო ადგილზე განლაგებულ მოლაშქრეთა მთლიან აღალს, საკვების მარაგის ჩათვლით. იმ მიზნით, რომ უნგრელი მშვილდოსნების საშიში თავდასხმა თავიდან აეცილებინა და უკეთ დაეცვა თავი მათი ისრებისაგან, ასევე პაპანაქება სიცხისაგან, ოტომ გადაწყვიტა, თავის რვა ქვედანაყოფთან ერთად აუგსბურგის მიმართულებით ტყის გავლით წასულიყო. ასეც მოიქცა, მაგრამ ტყეში სვლა ხილვადობას აბრკოლებდა. მალე ჯაშუშებმა მეფეს მოახსენეს, რომ უნგრელთა ლაშქარი მათ წინ, მდინარე ლეხის ველზე იკრიბებოდა. ოტოს ვერ გადაეწყვიტა, უნგრელებს დახვედროდა და საბრძოლველად მომზადებულიყო, თუ აუგსბურგისკენ წასულიყო. იგი ვარაუდობდა, რომ მის წინ მოწინააღმდეგის მთლიანი ლაშქარი იმყოფებოდა. ეს ვარაუდი აღმოჩნდა ოტოსთვის ის საბედისწერო შეცდომა, რამაც ბრძოლის ბედი მის დაწყებამდე გადაწყვიტა და პირველ ეტაპზე გერმანელთათვის მძიმე შედეგებით დაასრულა. არასათანადო დაზვერვის გამო ოტოს მხედველობიდან გამორჩა, რომ უნგრელებმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გაყვეს, ერთი ნაწილით მდინარე ლეხი გადაკვეთეს და გერმანელების ლაშქარს ზურგიდან მოუარეს. ოტოს ჯარისკაცები პირდაპირ უნგრელთა მიერ დაგებულ მახეში აღმოჩნდნენ.

უნგრელთა იერიშის პირველ სამიზნეს გერმანელთა დაბანაკებული აღალი წარმოადგენდა. მოულოდნელად გერმანელების მთლიან აღალსა და ბოჰემიელთა ლეგიონს ზურ-

---

[96] ოტო I-მა შეძლო თავისი ვასალების მცირერიცხოვანი, მაგრამ ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი რაზმების შეკრება. მათგან მხოლოდ ლოტარინგიელებმა ვერ შეძლეს ბრძოლის ველზე დროზე მისვლა. ოტო I-ის მიერ შეკრებილ ლაშქარში იყვნენ საქსები, ბავარიელები, შვაბები, ფრანკები.

[97] ვიდუკინდ კორველი (925-973წ.წ.) – ადრეული შუასაუკუნეების საქსონელი ჟამთააღმწერელი. მისი სქელტანიანი სამტომეული ''Res gestae saxonicae sive annalium libri tres'', უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს X საუკუნის გერმანიისა და ოტონიანთა დინასტიის ისტორიის კვლევისათვის.

გიდან ყიჟინით დაესხა თავს უნგრელთა კავალერია. გაიმართა სასტიკი, თავგანწირული ბრძოლა. გერმანელთა რაზმი მთლიანად განადგურდა, იფეთქა პანიკამ. ოტოს ბევრი ჯარისკაცი კი ტყვედ ჩავარდა. უნგრელების გამარჯვება უდავო ჩანდა. ამ არეულ-დარეულობაში მხოლოდ იმ ერთადერთ კაცს არ უმტყუნა ნერვებმა, რომელიც სულ ახლახანს ითვლებოდა ოტოს თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ. ეს იყო „მწითური" კონრადი, ფრანკთა კავალერიის მეთაური. იგი გულუშიშრად და თავგანწირვით შეება მტერს და უამრავი უნგრელი გაჟლიტა. მის მაგალითს ფრანკების მეოთხე ლეგიონიც მიჰყვა და ჯაჭვისებურად გაიშალა, რათა მოწინააღმდეგე ალყაში მოექცია. ბრძოლა სულ უფრო გააფთრებულ სახეს იღებდა. უნგრელები გატყდნენ და უკან დახევა დაიწყეს. უნგრელთა თავგანწირული ბრძოლისა და სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰერცოგმა კონრადმა და ფრანკებმა მოახერხეს გერმანელი ტყვეების განთავისუფლება და უკანდა-ხეული უნგრელებიც აიძულეს, რომ გაქცეულიყვნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ ბრძოლაში კარგად ორგანიზებულ ძალას უნგრელებმა ვერაფერი ვეღარ დაუპირისპირეს. როცა კონრადმა ხანმოკლე საბრძოლო შესვენებისას ჩაფხუტის შესაკრავი მოიხსნა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, ყელში სასიკვდილო ისარი მოხვდა. ბრძოლის ველზე დაცემული კონრადი მოგვიანებით დიდი პატივით ჩაასვენეს კუბოში და ვორმსში გადაასვენეს. ისმა სიმამაცემ და თავგანწირულმა შეტევამ გერმანელთა გაერთიანებული ჯარი დაღუპვას გადაარჩინა.

როცა ოტოს ლეგიონმა ტყე დატოვა და უნგრელთა ლაშქრის ძირითად ძალას გადააწყდა, ოტო I-მა ხელი მოკიდა წმინდა მახვილს და სიტყვით წარსდგა თავისი ჯარისკაცების წინაშე. იგი ყველა მხრიდან ადვილი შესამჩნევი იყო თავისი გოლიათური აღნაგობით, მკერდამდე წითელი წვერითა და სამეფო სამოსელით. მან იცოდა, რომ მოწინააღმდეგეს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ არა აღჭურვილობითა და სიმამაცით და არც ღმერთის იმედითა და მისი მფარველობით. „უმჯობესია საბედისწერო ბრძოლაში დიდებით სიკვდილი, ვიდრე მოწინააღმდეგის ქვეშევრდომობაში მონობით ცხოვ-რება!" – წარმოთქვა მან, შემდეგ აიღო თავისი ფარი და ცხენზე ამხედრებული პირველი ეკვეთა მტერს.

გააფთრებული ბრძოლა დაიწყო, სადაც ნელ-ნელა გამოიკვეთა გერმანელთა უპირა-ტესობა. უნგრელთა მსუბუქი კავალერია წინააღმდეგობას ვერ უწევდა მძიმედ შეჯავშნული რაინდების შემტევ ძალას. მცირე ხანში უპირატესობა აშკარად გერმანელების მხარეს გადაიხარა. განსაკუთრებით წარმატებით მოქმედებდა ოტო I-ის მარცხენა ფრთა, რომელიც ფრანკ ცხენოსნებს ეკავათ. „მწითური" კონრადის კავალერია მუსრს ავლებდა მომხდურთ. მათი მაგალითით ფრთაშესხმული ოტოს მებრძოლები ყველაფერს ანადგურებდნენ, რაც კი გზაზე ხვდებოდათ. მდინარე ლეხი უნგრელების სისხლით წითლად შეიღება. უნგრელები უკან იხევდნენ და გაქცევით ცდილობდნენ თავის შველას. მათი გაქცევის შემდეგ, აქამდე არსებული ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ოტომ მათი დადევნება და განადგურება ბრძანა. ტყვეებს არ იყვანდნენ. უნგრელთა რამდენიმე ქვედანაყოფმა ახლომდებარე სოფლებს მიაშურა თავის შეფარების მიზნით, მაგრამ გერმანელები აქაც მიწვდნენ მათ და ეს სოფლები გადაწვეს. ძალიან ბევრი უნგრელი მდინარეში დაიხრჩო, რადგან ისინი შეეცადნენ ლეხი გადაეცურათ.

გერმანელებმა მოწინააღმდეგის ბანაკიც აიღეს და ყველა ტყვეც გაათავისუფლეს. სამი უნგრელი მეთაური მაშინვე სიკვდილით დასაჯეს, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა შეძლო გაქცევა[98].

---

[98] არსებობს პოპულარული თქმულება იმის შესახებ, რომ ლეხფელდის ბრძოლაში გერმანელებმა უნგრელთა ჯარის ერთ-ერთი მეთაური, ლელე ჩაიგდეს ხელთ. გადმოცემის თანახმად, ლელეს ცნობილი საყვირი ჰქონდა, რომელზედაც იგი კარგად უკრავდა. ლეგენდის მიხედვით, სიკვდილით დასჯის წინ ლელემ სთხოვა ოტო I-ს ნება დაერთო მისთვის უკანასკნელად დაეკრა საყვირზე, რაზეც იმპერატორი დათანხმდა. დაკვრის დასრულებისთანავე, ლელემ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, სწრაფად მიეჭრა იმპერატორს და საყვირით გაუტეხა თავი. ლელეს ეს ლეგენდარული საყვირი დღეს უნგრეთის პატარა ქალაქ იასბერენის მუზეუმშია დაცული.

ყველაფერი დასრულდა. გერმანელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება მათ ძალიან ძვირი დაუჯდათ. ჰერცოგ კონრადის, ბრძოლის ნამდვილი გმირის გვერდით რაინდების უმეტესობა დაეცა. ვიდუკინდ ფონ კორველი, რომაელთა მიბაძვით, ბრძოლის აღწერას შემდეგი წინადადებით ამთავრებს: „გამარჯვების ზეიმზე ლაშქარმა სახელგანთქმული მეფე დაასახელა დასავლეთის მამად და იმპერატორად“.

საბოლოოდ, მდინარე ლეხთან გამართული ბრძოლიდან შვიდი წლის შემდეგ, 962 წლის 2 თებერვალს, იგი გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის პირველი იმპერატორი გახდა. ოტო I-ის საზეიმო კორონაცია რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში მოხდა, სადაც პაპმა იოანე XII-მ მას თავზე იმპერატორის გვირგვინი დაადგა. ქვეყნის მადლიერმა მოსახლეობამ ოტო I-ს „დიდი“ შეარქვა.

უნგრელებთან ბრძოლა და მათზე გამარჯვება გარდატეხას მოასწავებდა ახალი კეისრისა და იმპერიის ცხოვრებაში. როგორც იქნა საღვთო რომის იმპერიამ მოიშორა მძიმე საზრუნავი და გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთსაც უკვე თავისუფლად შეეძლო განვითარება. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ევროპის მომავალი უკვე სხვანაირი იქნებოდა. უნგრელი მომთაბარე ყაჩაღების სამოცწლიანი განუწყვეტელი თარეში გერმანულ მიწებზე, მათი გამანადგურებელი თავდასხმები და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა საბოლოოდ დასრულდა. როგორც იქნა, მომთაბარე უნგრელებიც ადგილზე დამკვიდრდნენ და მალევე მიიღეს ქრისტიანობაც.

ოტო I-ის ძალაუფლების კანონიერებაში უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა. თავისი ძალაუფლებისა და ღირსების შეგნებით, ოტო I-მა ფრანკთა სახელგანთქმული მეფის, კარლოს დიდის მემკვიდრედ გამოაცხადა თავი. და ახლა, როგორც არასდროს, ოტო I-ს უკვე შეეძლო საკუთარ თავში დამსახურებულად აღედგინა ლეგენდარული კარლოს დიდის საიმპერატორო ძალაუფლება.

მაგდებურგელი ცხენოსნის ქანდაკება, რომელიც ტრადიციით გაიგივებულია ოტო I-თან. (1240წ)

ოტო I
(912-973წ.წ.)

საღვთო რომის იმპერიის საიმპერატორო გვირგვინი. ოტო იმპერატორად პაპმა იოანე XII-მ აკურთხა 962 წლის 2 თებერვალს.

ოტო I-ის მოზაიკური გამოსახულება. კარგად ჩანს მისი მწითური თმები



უნგრული ტომების რეიდები ევროპაში X საუკუნეში

ცენტრალური ევროპა 919-1125 წლებში. გერმანიის სამეფოში შედიოდა საქსონიის (ყვითელი), ბავარიის (მწვანე), შვაბეთის (ნარინჯისფერი) და ლოტარინგიის (ვარდისფერი) საჰერცოგოები.

საღვთო რომის იმპერია X საუკუნეში



ევროპა ოტო I-ის გამეფებიდან ცოტა ხანში. უნგრული ტომები (ნარინჯისფერი), რომლებიც ოტოს სამფლობელოების (ცისფერი) აღმოსავლეთით იყვნენ განლაგებულნი, გერმანიაში 954 და 955 წლებში შეიჭრნენ.

ოტო I-ის ეპოქის რაინდი

უნგრელი ცხენოსანი





მდინარე ლეხთან გამართული ბრძოლის სქემა

ლეხფელდის ბრძოლის ეპიზოდი

ლეხფელდის ბრძოლის ილუსტრაცია. 1457 წელი

მდინარე ლეხთან გამართული ბრძოლის შემდეგ ტყვედ აყვანილი უნგრელების სიკვდილით დასჯა. XVII საუკუნის გრავიურა

ოტო I და ლელე

ლელეს ლეგენდარული საყვირი
(იასბერენის მუზეუმი, უნგრეთი)

ოტო I და დედოფალი ადელაიდა.
მაისენის ტაძრის ქანდაკებები

ოტო I-ის საფლავი

თავი II

შეცდომები
1000 – 1700 წლები

§2.1. უფლის სამსჯავრო
(რომი, 1167 წლის მაისი-აგვისტო)

როდესაც გერმანიის ცნობილი იმპერატორი, ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა[99] გერმანიის დიდებისა და ძალაუფლების სიმბოლო გახდა 1165 წლიდან, რომში იმპერატორად კურთხევიდან ათი წლის შემდეგ, მის სამფლობელოში ვითარება გამწვავდა. ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური წყარო იყო იმპერიისთვის, იმპერატორის ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრა. ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები იმპერატორს განუდგნენ. ფრიდრიხ ბარბაროსამ მათ ისევ დასამორჩილებლად გადამჭრელი ზომების გატარება დაიწყო, რამაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მიუღებელი ლომბარდიაში გამოცემული კანონები იყო, რომელთა დახმარებითაც დაპირისპირებული ქალაქები დაიმორჩილეს. ასევე, 1162 წელს მილანის მიწასთან გასწორებამ ხალხის ძლიერი მღელვარება გამოიწვია. იმპერატორის ჯარისკაცებისა და მოხელეების მხრიდან მოსახლეობის სასტიკი შევიწროების მიუხედავად, ჩრდილოეთ იტალიაში გარკვეული დროით თითქოს სიმშვიდემაც დაისადგურა, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში იმპერატორის მიმართ სიძულვილი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა.

ამას ემატებოდა ეკლესიის ორად გაყოფა, ორპაპიანობა. სურათი კი, ასეთია: ერთია „იმპერატორის პაპი", პასქალ III, რომელიც ფრიდრიხ ბარბაროსას ზეგავლენით 1160 წელს სინოდმა აღიარა, ხოლო მეორე – ალექსანდრე III, რომელმაც საკუთარი უსაფრთხოების მიზნით თავისი რეზიდენცია საფრანგეთში გადაატანინა და ინგლისის, ირლანდიის, უნგრეთის, არაგონის, კასტილიისა და ლათინური აღმოსავლეთის მხარდაჭერით იმპერატორი და „მისი" პაპი, პასქალ III კანონგარეშედ გამოაცხადა. ალექსანდრე III-მ გერმანელებს თავიანთი სურვილისამებრ ქრისტიანთა წინამძღოლის დანიშვნის უფლება ჩამოართვა. ეკლესიის ორად გაყოფით დაწყებული გამწვავებული ბრძოლები ჩვიდმეტი წელი გაგრძელდა.

1165 წელს პაპი ალექსანდრე III უკან, რომში ბრუნდება და აქედან გეგმავს ლომბარდიელების აჯანყებას გერმანელთა ბატონობის წინააღმდეგ. ვერონაში დიდი მღელვარებები იწყება, რომლის ჩახშობასაც იმპერატორის იქ მყოფი ქვედანაყოფი ვერ ახერხებს.[100] აქედან გამომდინარე, ფრიდრიხ ბარბაროსა საომარი გეგმის შემუშავებას იწყებს.[101] იგი გადაწყვეტს, შეკრიბოს გერმანელ რაინდთა ლაშქარი, ჩაუდგეს მათ სათავეში და იტალიისკენ გაემართოს. ლაშქრობის მომზადებას კი, გარკვეული პროცედურების გავლა და დრო სჭირდებოდა.

თავდაპირველად იმპერიის დიდებულებს, პირველ რიგში კი, ჰაინრიხ ლომს, 1165 წელს ვურცბურგის იმპერიის რაიხსტაგზე უნდა დაედო ფიცი, რომ არ აღიარებდა პაპს ალექსანდრე III-ს და თავად გაუძღვებოდა ლაშქარს. ფრიდრიხ ბარბაროსა, წესრიგისა და კანონის მოყვარული კაცი, დაუნდობლად მოქმედებს იმ ეპისკოპოსების წინააღმდეგ,

---

[99] ფრიდრიხ I ჰოჰენშტაუფენი ბარბაროსა (გერმ. Friedrich I Rotbart) (1122-1190წ.წ.) – ადრეული შუასაუკუნეების ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გერმანელი მონარქი ჰოჰენშტაუფენების დინასტიიდან. შვაბეთის ჰერცოგი 1147-1152 წლებში ფრიდრიხ III-ის სახელით, გერმანიის მეფე 1152 წლიდან, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1155 წლიდან. III ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სამხედრო მეთაური. ზედსახელი „ბარბაროსა" მან იტალიაში ლაშქრობის შემდეგ მიიღო თავისი ჟღალი წვერის გამო. იტალიურად Barba – წვერი, Rossa – ჟღალი.

[100] ვენეცია, ვერონა, ვიჩენცა და პადუა ანტიგერმანულ ლიგაში გაერთიანდნენ.

[101] პაპი ალექსანდრე III-ის რომში დაბრუნება ფრიდრიხ ბარბაროსას პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გაერთიანების ნიშანი გახდა. ანკონა ბიზანტიის იმპერატორის, ემანუილ I-თან კავშირში შევიდა. განიხილებოდა ემანუილ I-ის ქალიშვილისა და სიცილიის ახალი მეფის, ვილჰელმ II-ის დაქორწინების საკითხი. 1167 წლის გაზაფხულზე, ემანუილ I შეპირდა პაპ ალექსანდრე III-ს პაპის პრიმატის აღიარებას მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, თუ პაპი თავად მეფეს საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის გვირგვინს დაადგამდა თავზე. მიუხედავად ამ პროექტების ქმერულობისა, ფრიდრიხ ბარბაროსამ ეს გეგმები თავისთვის სახიფათოდ ჩათვალა და რომის მეორედ დალაშქრა გადაწყვიტა 1167 წელს.

რომლებმაც უარი თქვეს ფიცის დადებაზე, როგორიც, მაგალითად, კონრად ზალცბურგელი იყო. ფრიდრიხ ბარბაროსა გადამჭრელ ზომებს იღებს და მათ იმპერიიდან აძევებს. იგი მაინცში არქიეპისკოპოსად თავის ერთგულ მომხრესა და თანამოაზრეს, ქრისტიან ფონ ბუხს[102] ნიშნავს.

მხოლოდ 1166 წლის გვიანი ზაფხულისათვის ხერხდება საკმარისი რაოდენობის ჯარების თავმოყრა, რომლებიც ლაშქრობისათვის არიან მზად. 1166 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ორ კოლონად დაწყობილი გერმანელი რაინდები ალპების უღელტეხილის გადავლით იტალიისკენ მიემართებიან. ფრიდრიხს დიდი გეგმები აქვს დასახული მიზნად. მისი ლაშქრობის საბოლოო მიზანს არა მხოლოდ ჩრდილოეთ იტალია, არამედ რომი წარმოადგენს. იგი რომში უნდა შევიდეს და განდგომილი პაპი, ალექსანდრე III უნდა დაიმორჩილოს.

მოლაშქრე რაინდთა შორის მრავლად არიან ბრძოლაში გამოცდილი რჩეული მებრძოლები, მაგალითად, ქვედანაყოფები ბრაბანტიდან[103], ე.წ. „საშიში ბრაბანტები". მოლაშქრეები სამარშო კოლონებად გადაადგილდებიან, მაგრამ ისინი ნელა მიიწევენ წინ, რადგან ალპების გადალახვისას ზამთარმა მოუწიათ. უმაგალითოდ მკაცრი ზამთარი კი, ხელს უშლის მათ წინსვლას.

ბოლოს და ბოლოს, 1167 წლის მაისის ბოლოს იმპერიის კანცლერმა და იმპერატორის ნდობით აღჭურვილმა პირმა, რაინჰოლდ ფონ დასელმა, რამდენიმე ქვედანაყოფთან ერთად რომს მიაღწია და ახლომდებარე ტუსკულუმთან დაბანაკდა. მას იმედი ჰქონდა, რომ რომის აღებას მოულოდნელი თავდასხმით შეძლებდა, მაგრამ ალექსანდრე III-მ ქალაქი გაამაგრა და რომაელებს მოუწოდა, მომხვდურთათვის მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ. ოცდაათი ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი მისი ლაშქარი დაახლოებით ოცჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე იმპერატორის მცირერიცხოვანი ძალები. ამ უპირატესობის გათვალისწინებით რაინჰოლდ ფონ დასელი[104] გადაწყვეტს, რომ ძალები დაზოგოს, დარჩეს ტუსკულუმის გალავნის უკან და დაელოდოს მაშველი ძალის მოსვლას ქრისტიან ფონ ბუხის მეთაურობით.

მაგრამ თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო რომაელები ისე არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში და მომავალ გამარჯვებაში, რომ მოქმედებების ტაქტიკას ცვლიან. ისინი თავს ანებებენ რომის გამაგრებას, გამოდიან ქალაქიდან და ყოველგვარი მომზადების გარეშე ტუსკულუმთან შეტევაზე გადადიან, რათა ტყვედ აიყვანონ საძულველი იმპერატორის კანცლერი და განდევნონ გერმანელები. მაგრამ ისინი შეცდნენ. რომაელებმა არ იცოდნენ, რომ გერმანელთა დამხმარე ძალა უკვე ძალიან ახლოს იყო. რომაელთა შეტევის დაწყებისთანავე მათ ფლანგზე ჩნდებიან ქრისტიან ფონ ბუხის ჯარები. საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული რომაელები პირს იბრუნებენ ტუსკულუმისგან, თავს ესხმიან ფორსირებული მარშის შედეგად ძალაგამოცლილ მაინცელ ჯარისკაცებს და მათ რიგებს არღვევენ.

რაინჰოლდი აცნობიერებს კრიტიკულ სიტუაციას, ახდენს ძალების გადაჯგუფებას, სათავეში უდგება თავის ჯარს და საბრძოლო შეძახილებით თავს ესხმის შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს. და ამ დროს ხდება ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა.

---

[102] ქრისტიან I, სხვანაირად ქრისტიან ფონ ბუხი (გერმ. Christian von Buch) (1130-1183წ.წ.) – გერმანელი პრელატი და დიდებული. მაინცის არქიეპისკოპოსი და გერმანიის არქიკანცლერი 1165 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. ფრიდრიხ დიდი ბარბაროსას დროს მსახურობდა დიპლომატად იტალიაში.

[103] ბრაბანტის საჰერცოგო – ნიდერლანდების ისტორიული საჰერცოგო. საჰერცოგოს ტერიტორიები მოიცავდა დღევანდელი ბელგიის პროვინციებს – ფლამანდრიის ბრაბანტს, ვალონიის ბრაბანტს, ანტვერპენსა და ბრიუსელს. ასევე ნიდერლანდების პროვინცია ჩრდილოეთ ბრაბანტს.

[104] რაინჰოლდ ფონ დასელი (გერმ. Reinold von Dassel) (1120-1167წ.წ.) – XII საუკუნის გერმანიისა და საღვთო რომის იმპერიის დიდი სახელმწიფო, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე. კიოლნის არქიეპისკოპოსი და იტალიის არქიკანცლერი 1159 წლიდან. იმპერატორ ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა ჰოჰენშტაუფენის უახლოესი მეგობარი, თანამებრძოლი და მრჩეველი. დიდ გავლენას ახდენდა იმპერიის მიერ გატარებულ იმდროინდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ რომაელი ჯარისკაცები პირს იბრუნებენ და თავს გაქცევით შველიან. გერმანელი რაინდები თავგანწირვით იბრძვიან, რომაელებს კი, პანიკური შიში ეუფლებათ გერმანელი რაინდების მამაცური გულუშიშრობისა და თითქმის უძლეველი ძალის წინაშე. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მათ აშკარად ღმერთი ეხმარება.

ეს იყო გერმანელი რაინდების დიდებული და დაუჯერებელი გამარჯვება. მათ გაძარცვეს და დაანგრიეს რომის გარშემო სოფლები, გაანადგურეს მინდვრის ნათესები და ვენახები, შემდეგ კი, ქალაქს შემოარტყეს ალყა. „ჩვენ არც ერთი კაცი არ დაგვიკარგავს, – სიამაყით აფრინა ცნობა რაინჰოლდმა კიოლნში, – რომაელთა კარვები, იარაღი, ჯავშანი, ტანსაცმელი, ცხენები, ვირები და ოქრო კი, როგორც სამხედრო ნადავლი, ხელში ჩავიგდეთ. ყველაფერ ამას დავურიგებთ დაქირავებულ ჯარისკაცებს და მოსამსახურეებს. ჩვენ, რაინდებს კი, პატივი და დიდებაც გვეყოფა.“

იმპერატორმა ფრიდრიხმა გამარჯვების შესახებ შეტყობინება ანკონას ხელში ჩაგდებისას მიიღო. მან ფორსირებული მარშით გააგრძელა წინსვლა და 1167 წლის 24 ივლისს რომს მიაღწია. პაპი ალექსანდრე III-ის გვარდია განადგურდა.[105] მას შემდეგ, რაც მოღალატეებმა ჭიშკარი გახსნეს, რაინდებმა პეტრეს ტაძრისკენ მუგუზლები ისროლეს. წინა ეზოში ცეცხლმა იფეთქა. დაიწვა უძველესი სამლოცველო თავისი ძვირფასეულობით. რაინდები იმუქრებოდნენ, რომ ქრისტიანული სამყაროს სიწმინდეზე, წმინდა პეტრეს საფლავზე გადავიდოდნენ. ამის გამო, 29 ივლისს ალექსანდრეს უკანასკნელი ჯარისკაცები დანებდნენ და გამარჯვებულებმა ცეცხლი ჩააქრეს. რომი გერმანელი რაინდების ხელშია. ღამით კი, პაპი უბრალო ბერის ტანსაცმელს გადაიცვამს, ნავით უჩუმრდ გადაცურავს ტიბრს და გაიქცევა.

მომდევნო დღეს ფრიდრიხ ბარბაროსა გამარჯვებას ზეიმობს განადგურებულ პეტრეს ტაძარში. მთავარი საკურთხევლის გადარჩენილ ნაწილთან იგი მეორედ ადგმევინებს თავზე რომის კეისრის გვირგვინს „თავის“ პაპს, პასქალ III-ს, რომელიც მან თან წამოიყვანა და წმინდა ადგილზე ხელახლა აკურთხებინა თავი, ხოლო თავის მეუღლეს, ბეატრიქსს იმპერატორის მეუღლედ აკურთხებინებს. მიზანი მიღწეულია. ქრისტიანულმა სამყარომ უნდა გაიგოს, რომ წმინდა ეკლესიის ერთიანობა კვლავ აღდგა და ღმერთის წყალობით იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა მათი მბრძანებელია.

ეს იყო ტრიუმფი, რომლისკენაც იმპერატორი ისწრაფოდა. რომის ხელში ჩაგდებამ და მოწინააღმდეგე პაპის გაქცევამ მორალურად გაანადგურა ლომბარდიის ქალაქების კავშირი. ფრიდრიხ ბარბაროსა დარწმუნებულია, რომ იტალიაში ხანგრძლივი დროითაა გარანტირებული მშვიდობა და მისი ბატონობა. მაგრამ ეს შეცდომაა, რომელიც ძალიან მალე იჩენს თავს. ყველაფრის მიზეზი კი, იტალიის ცხელი და ნესტიანი ჰავაა, რომელსაც გერმანელი რაინდები არ არიან მიჩვეულები.

პირველი მსხვერპლი ამალის მოსამსახურე იყო, რომელსაც ქალაქის ზემო ბორცვზე, მჭიდროდ განლაგებულ კარვებში დაემართა კრუნჩხვა ციებ-ცხელების გამო. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მაშინ, როცა ტროპიკული წვიმა წამოვიდა და გერმანელთა კარვები წყალმა დატბორა. ავადმყოფების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა ტიბრის დაბლობის დახუთული, ცხელი კლიმატის გამო. ფრიდრიხის ჯარისკაცები ქაფს აღებინებენ და იხოცებიან. საჭიროა მათი დამარხვა, მაგრამ ისინიც ეცემიან, ვისაც ეს ევალება. რაინდები შიშმა მოიცვა – ნუთუ ეს შავი ჭირია, რომელმაც ბანაკში იფეთქა?

ჩვენ დღემდე არაფერი ვიცით ამ ავადმყოფობის შესახებ. ძველ წყაროებში საუბარია შავ ჭირზე, მაგრამ შავ ჭირში შესაძლოა მოიაზრებოდეს სხვა გადამდები სენიც.

---

[105] დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ფრიდრიხმა ორივე პაპს შესთავაზა მოეხსნათ თავიდან უფლებამოსილებები და ახალი არჩევნები ჩაეტარებინათ, რაზეც ალექსანდრემ უარი განაცხადა. ასეთმა გადაწყვეტილებამ ძლიერ დასცა მისი ავტორიტეტი რომის მოსახლეობაში. ამის შემდეგ, თავისი მერყევი ხასიათით ცნობილი რომაელები პაპი ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ განეწყვნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, მდგომარეობა ძალიან მძიმეა. რამდენიმე დღეში ამ უცნობმა საშინელებამ ორი ათასი ჯარისკაცი და მათი მეთაური შეიწირა, მათ შორის, ჰერცოგები, გრაფები, სარდლები და ფრიდრიხის მრავალი ნდობით აღჭურვილი პირი. მებრძოლებს არაფერი შველოდა, არც სისხლის გამოშვება, არც თმის შეჭრა, არც ტანსაცმლის დაწვა და არც შიშველი სიარული. „ავადმყოფები აუტანელ სუნს აფრქვევდნენ, – გვამცნობს თვითმხილველი, – ადამიანები და ცხენები დასნებოვნებულნი იყვნენ, ტანსაცმელი კი – დაბინძურებული. ყველა გზიდან, ყველა ოთახიდან, ყველა სახლიდან ცამდე საშინელი სუნი ადიოდა".

1167 წლის 14 აგვისტოს რაინჰოლდ ფონ დასელიც, ფრიდრიხ დიდი ბარაბაროსას მებრძოლი კანცლერი და მოხერხებული დიპლომატი, რომელიც მუდამ გვერდში ედგა ფრიდრიხს და თითქმის ათი წლის განმავლობაში იღწვოდა პოლიტიკაში იმპერატორის სახელით, ეპიდემიამ იმსხვერპლა.

იმპერატორი უიმედობამ შეიპყრო. ძალაუფლების მწვერვალზე ასული, საშინელი კატასტროფის შიშმა მოიცვა, რომელსაც ძალიან ბევრი ღვთის სასჯელად მიიჩნევდა. რომაელები კი გახარებულები არიან. „ეს ღმერთის ნამოქმედარია, – ზეიმობდნენ ალექსანდრეს მომხრეები, – ღმერთმა დასაჯა ფრიდრიხი, ურწმუნოების ურო, ღმერთმა გაანადგურა იგი!" თუ იმპერატორი საერთოდ გადარჩებოდა, მაშინ მას უნდა ეღიარებინა დამარცხება. თუმცა, არსებობს მეორე გამოსავალიც – მან და მისმა გადარჩენილმა რაინდებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ რომი და თავს უშველონ. მაგრამ ფრიდრიხი ამას არ იზამს. იმიტომ არ ილაშქრა იტალიაში, რომ ახლა გაქცევით უშველოს თავს. იგი გამარჯვებული იმპერატორია და არ დათმობს დიდი ძალისხმევის ფასად მოპოვებულ რომს და იმპერიას. ასეთია მისი გადაწყვეტილება.

გერმანელების მდგომარეობა კი მართლაც მძიმეა, ძალიან მძიმე. შემცირებულ ლაშქარს ძალიან გაუჭირდება ფავიამდე მიღწევა. გერმანელთა მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ იტალიელებიც არ სხედან გულხელდაკრეფილები. ისინი კარგად სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და შეიარაღებულ გამოსვლებს იწყებენ. ლომბარდია აჯანყებულია, ლომბარდიის ქალაქების კავშირი იმპერატორის წინააღმდეგ გამოდის თავისი თექვსმეტი ქალაქით და თავისუფლებისთვის იბრძვის. „ზეცა შეძრწუნებულია, დედამიწა თრთის, ყველა სულდგმული მღელვარებამ მოიცვა, – მიმართავს სასოწარკვეთილი ფრიდრიხ ბარბაროსა გერმანიას დახმარების იმედით, – ეს მუხანათური აჯანყება არა მხოლოდ ჩემი პიროვნების წინააღმდეგ, არამედ გერმანელების, გერმანიის მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებაა, რადგან ისინი ყველგან გაჰყვირიან: „აღარ გვინდა გერმანიის ბატონობა!" მაგრამ ჩვენ სიამოვნებით შევწირავთ თავს იმპერიას, სანამ ცოცხლები ვართ, იმპერიის დაცემას არ დავუშვებთ!"

ფრიდრიხის გადაწყვეტილება მყარია. იგი არაფრის დიდებით არ დათმობს რომს, რომელიც დიდი ძალისხმევის ფასად მოიპოვა. იმპერატორი მიმართავს დიდებულებს, ჰერცოგებსა და ეპისკოპოსებს გერმანიაში და სამხედრო ძალით დახმარებას სთხოვს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი მხურვალე მოწოდება შედეგს გამოიღებს, გერმანიიდან დახმარებას მიიღებს და ამით სულდგმულობს. ეს კიდევ ერთი შეცდომაა – იმპერატორს არავინ ეხმარება. დრო გადის და ნანატრი ჯარებიც არსად არ ჩანს. ფრიდრიხ ბარბაროსამ უნდა აღიაროს, რომ იგი მარტო დარჩა და ყველასგან მიტოვებულია. თითქოს მისი არსებობაც კი დაავიწყდათ. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ყველაფერი წყალში იყრება და იტალიაზე თხუთმეტი წლის განმავლობაში დიდი ბრძოლითა და გაჭირვებით მოპოვებული ბატონობიდან აღარაფერი რჩება. მდგომარეობა კი, ნელ-ნელა კიდევ უფრო მძიმდება. ლომბარდიელებმა ალპების უღელტეხილი დაიკავეს, გარნიზონები ჩააყენეს და გერმანელებს უკანდასახევი გზები მოუჭრეს.[106] იმპერატორი და მისი ჯარის ნარჩენები

[106] ლომბარდიის ლიგა 1167 წლის 1 დეკემბერს შეიქმნა. მასში გაერთიანდნენ მილანი, კრემონა, ბერგამო, ბრეშია, მანტუა, ფერარა, ვერონა, ვიჩენცა, პადუა, ტრევიზო, ლოდი, პიაჩენცა, პარმა, მოდენა, ბოლონია და ვენეცია. ლიგის მიზანი იყო ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების ტრადიციული თავისუფლებების დაცვა იმპრატორის თავნებობისგან.

ნელ-ნელა ხაფანგში ხვდებიან. ეს კი უკვე ძალიან საშიში მდგომარეობაა. ფრიდრიხი ხვდება, რომ ახლა არა მხოლოდ რომზე გაბატონებას, არამედ უკვე მის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე.

1168 წლის მარტში ფრიდრიხ ბარბაროსა სუსაში ჩადის, მაგრამ აქაც საშიში მდგომარეობაა, მოსახლეობა მის წინააღმდეგაა განწყობილი. ფრიდრიხისათვის ცნობილი ხდება, რომ ქალაქის მოსახლეობას ღამით თავდასხმა და მისი ტყვედ აყვანა სურს. იმპერატორს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ერთგული პირი, რაინდი ჰერმან ფონ ზიბენაიხენი გადაარჩენს. იგი იმპერატორის საწოლში დაწვება ქალაქის მცხოვრებლების მოსატყუებლად. მოსამსახურის ტანსაცმელში გადაცმული ფრიდრიხი კი, ხუთ კაცთან ერთად, ქალაქიდან გაიპარება და შეძლებს მონსენიდან ბურგუნდიაში გაქცევას.

ასე სავალალოდ და უსახელოდ სრულდება ფრიდრიხ ბარბაროსასა და გერმანელ რაინდთა ტრიუმფალური ლაშქრობა რომზე. მათი სამხედრო გამარჯვება ძალიან ხანმოკლე და მოჩვენებითი გამოდგა. ფრიდრიხმა იმპერიის გული ვერ დაიმორჩილა. რომი ისევ თავისუფალია.[107]

ალექსანდრე III ლომბარდიის ლიგის თავკაცად გამოცხადდა. მოკავშირეებმა აიღეს ვალდებულება ეთმანეთს დახმარებოდნენ და ,,წინააღმდეგობა გაეწიათ ყველასთვის, ვინც მათ ვნებას მიაყენებს ან დაიწყებს მათან ომს; მის წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს მათგან იმაზე მეტის წაღებას, რამდენიც მათგან მიჰქონდათ დაწყებული ჰენრიხ V-ის დროიდან''.

[107] 1176 წლის 29 მაისს ლენიანოსთან გამართულ ბრძოლაში ლომბარდიის ლიგის ლაშქარმა ფრიდრიხ დიდი ბარბაროსას ჯარი დაამარცხა. იმპერატორი იძულებული გახდა მოლაპარაკებები დაეწყო ალექსანდრე III-თან. 1177 წლის 24 ივლისს ფრიდიხ დიდს ლიდოს წმინდა ნიკოლას ტაძარში შეხვდნენ კარდინალები, სადაც მან სცნო პაპი ალექსანდრე III-ის უზენაესობა და უარყო ანტიპაპი პასქალ III, რის შემდეგაც მას შეჩვენება მოეხსნა. კარდინალების თანხლებით, ვენეციის დოჟმა სებასტიან ძიანიმ და პატრიარქმა აქვილეუსმა ფრიდრიხი წმინდა მარკოზის ტაძარში მიიყვანეს, სადაც მას პაპი ალექსანდრე III ელოდებოდა. იმპერატორმა მანტია მოისროლა და პაპის წინაშე მუხლებზე დაეცა. პაპმა ფეხზე ააყენა, შეუნდო ცოდვები და დალოცა იგი. ამით დასრულდა იმპერატორსა და პაპს შორის არსებული დიდი განხეთქილება. ფრიდრიხმა ალექსანდრე III-ის უზენაესობა აღიარა. ვენეციური გადმოცემის თანახმად, იმპერატორი თავდაპირველად თანახმა იყო მხოლოდ ერთი მუხლი მოეყარა (წმინდა პეტრეს წინაშე), მაგრამ ალექსანდრე III არ დაეთანხმა ამას და იმპრატორისაგან ორივე მუხლის მოყრა (წმინდა პეტრესა და პაპის წინაშე) მოითხოვა. წმინდა მარკოზის ტაძრის ატრიუმში დღევანდლამდეა შემონახული იმპერატორ ფრიდრიხ დიდი ბარბაროსას დამცირების ადგილი.

საღვთო რომის იმპერია ახალი წელთაღრიცხვის 1000 წლისათვის
ოტო I-ისა და კონრად II-ის იმპერატორობის დროს

ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა. მინიატურა. 1188 წ.

ფრიდრიხ I ბარბროსასა და ბეატრიქს ბურგუნდიელის ქორწილი.
საიმპერიო დარბაზის ჭერზე შესრულებული ფრესკა, ვიურცბურგი



ფრიდრიხ I ბარბაროსას ეპოქის რაინდის საბრძოლო იარაღი და აღჭურვილობა

ბრაბანტელი რაინდები



მილანის ალყაში მოქცევა ფრიდრიხ ბარბაროსას რაინდების მიერ 1158 წელს.
დომენიკო ასპარის მიერ შესრულებული გრავიურა. 1778 წ

ფრიდრიხ ბარბაროსა შედის მილანში. XIX საუკუნის გრავიურა

რაინჰოლდ ფონ დასელი

რაინჰოლდ ფონ დასელის თანამედროვე ქანდაკება

ანტიპაპი პასქალ III-ის არჩევა. სიენის ფრესკა

პაპი ალექსანდრე III – სიენის პალაცო პუბლიკოს ფრესკა.
ავტორი სპინელო არეტინო

ფრიდრიხ ბარბაროსა რომში, 1155 წელი. XIX საუკუნის გრავიურა

FRIEDRICH BARBAROSSA AT SUSA.

www.alamy.com - HT19A2

ფრიდრიხ ბარბაროსა სუსაში. უცნობი ავტორი



ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა აღიარებს პაპი ალექსანდრე III-ის უზენაესობას. სიენის პალაცო პუბლიკოს ფრესკა. ავტორი სპინელო არეტინო

ფრიდრიხ ბარბაროსას მონეტა და სამეფო ბეჭედი

ფრიდრიხ დიდმა ბარბაროსამ ხუთჯერ ილაშქრა ჩრდილოეთ იტალიაში – 1154-1155, 1158-1162, 1163-1164, 1166-1168 და 1174-1178 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ბრძოლები ფრიდრიხის დამარცხებით დასრულდა, შუა საუკუნეების საღვთო რომის იმპერიამ და მისმა სამხედრო ძალამ სწორედ ფრიდრიხ ბარბაროსას მმართველობის პერიოდში მიაღწია თავისი სიძლიერის პიკს.

§2.2. ალყის მოხსნა – განსაკუთრებული დასასრული (გაიარის ციხესიმაგრე, 1204 წლის გაზაფხული)

ციხესიმაგრეები, მათთვის ალყის შემორტყმის ხერხები და საალყო ბრძოლები ყოველთვის არსებობდა. ეს განსაკუთრებით ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებს შეეხება. იგი თანამედროვე ეპოქაშიც არსებობს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მათგან ძალიან ცოტას თუ მოჰყოლია წარმატებული შედეგი, განსაკუთრებით, შუა საუკუნეებში. იბადება კითხვა – რა იყო ამის მიზეზი?

XI საუკუნის შუა წლებში ნორმანებმა[108] ციხესიმაგრის კონსტრუქციის ახალი სახეობა გამოიგონეს: ქვის ციხესიმაგრე, რომელიც გარშემორტყმული იყო მიწაყრილითა და თხრილებით. ეს იყო რაინდთა ეპოქისა და იმდროინდელი სამხედრო პოლიტიკის ფუნდამენტი. ათწლეულების განმავლობაში ციხესიმაგრის ნაგებობები საინჟინრო და საფორტიფიკაციო თვალსაზრისით უფრო და უფრო ვითარდებოდა, ამავე დროს ისინი სულ უფრო დიდი და მდიდრულნიც ხდებოდნენ. დამცავი გალავანი უფრო გამაგრებული ხდებოდა, ხოლო ეზოები – უფრო დიდი. გალავნებსა და კოშკებს ჩატანებული ჰქონდათ ჯვრის ფორმით განლაგებული სათოფურები, საიდანაც ციხესიმაგრეში მყოფთ შეეძლოთ თავდამსხმელისგან შეუმჩნევლად და დაცულად ქვის სატყორცნისა და მშვილდის სროლა ფართო ტერიტორიაზე. ამის საპირისპიროდ, თავდასხმის იარაღი და საალყო აღჭურვილობა ძველ მდგომარეობაში რჩებოდა. რომის იმპერიის დროიდან ისინი არსებითად არც კი შეცვლილა და გაუმჯობესებულა. ციხესიმაგრის ასაღები მოწყობილობა და იარაღ-აღჭურვილობა კვლავ შედგებოდა ტარანის, საიერიშო კიბის, საალყო კოშკების, სატყორცნი მექანიზმებისა და მოძრავი ბრუსტვერებისაგან[109].

დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო რთულდებოდა ციხესიმაგრეების აღება. ამის საუკეთესო საშუალებას კი ციხესიმაგრის ალყაში მოქცევა, მოწინააღმდეგის დაუძლურება და გამოფიტვა, ან კედლის დანგრევა და ღალატი წარმოადგენდა. ციხესიმაგრეში მყოფნი მშვიდად გრძნობდნენ თავს, რადგან მსხვილკალიბრინი საალყო არტილერიის შექმნამდე თავდაცვა ბრძოლის უფრო წარმატებული სახეობა იყო. უმჯობესი იყო ციხესიმაგრეში დაცულად ყოფნა, ვიდრე მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად შეხვედრა ღია გაშლილ ველზე. ვისაც კარგად გამაგრებული და მოწყობილი ციხესიმაგრეების მთელი ქსელი გააჩნდათ, როგორც, მაგალითად, ინგლისის მეფეებს, ბრწყინვალე სტრატეგიული მდგომარეობაც მათ ეკავათ.

ერთ-ერთ ასეთ აუღებელ ნაგებობას ინგლისური ციხესიმაგრე გაიარი წარმოადგენდა[110]. ინგლისის მეფემ, რიჩარდ I-მა[111] მისი მშენებლობა სიკვდილამდე ერთი

---

108 ნორმანები (ინგლ. Normans, გერმ. Normannen, ნორმ. Normaunds, ფრანგ. Normands, ლათ. Normanni) („ჩრდილოეთის ხალხი") – ტერმინი, რომლითაც მოიხსენიებენ სკანდინავიელ ხალხს, ძველ სკანდინავებს. სკანდინავიისა და იუტლანდიის ნახევარკუნძულებსა და კუნძულ ისლანდიაზე მცხოვრები ზღვაოსანი მეომარი ხალხები, სხვანაირად ვიკინგები, რომლებიც VIII-XI საუკუნეებში გამუდმებით აწარმოებდნენ ყაჩაღურ თავდასხმებსა და რეიდებს, ასევე ამყარებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს დასავლეთ ევროპასთან. სკანდინავიელი ხალხების ერთი ნაწილი საბოლოოდ ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე დასახლდა, სადაც მათ ფრანკთა მეფისადმი ნომინალური ვასალური დამოკიდებულება აღიარეს. მეორე ნაწილი, უმეტესად ნორვეგიელები, აღმოსავლეთ ინგლისში დასახლდნენ, სადაც ადგილობრივ კელტურ (ბრიტები) და ანგლოსაქსურ მოსახლეობას შეერივნენ. ვარიაგების სახელით ცნობილი მესამე ნაწილი კი, აღმოსავლეთ ევროპასა და სლავებით დასახლებულ მიწებზე დაფუძნდნენ, სადაც პირველი რუსული სამთავროები შექმნეს.

109 ბრუსტვერი (გერმ. Brustwehr, Brust – მკერდი და Wehr – დაცვა) – მიწაყრილი საფორტიფიკაციო ნაგებობაში ან მის წინ, რომელიც გამოიყენება მოხერხებული სროლის, მოწინააღმდეგის ტყვიებისა და ჭურვებისაგან თავდაცვის, ასევე ჩასაფრებისა და დაპირისპირებული მხარის სათვალთვალოდ. ამასთან ერთად, ბრუსტვერი გამოიყენება საბრძოლო პოზიციების მოწყობისათვის, ხოლო სიმაგრეებში წარმოადგენს დამატებით წინაღობას მოწინააღმდეგე მხარის შტურმისგან თავის დასაცავად.

110 გაიარის ციხესიმაგრე აშენებულ იქნა ინგლისისი მეფის, რიჩარდ ლომგულის მიერ 1196-1198 წლებში. 1204 წლის ხანგრძლივი ალყის შემდეგ მას დაეუფლა ფრანგი მეფე ფილიპე II. XIV საუკუნის შუა წლებში იყო შოტლანდიის დევნილი მეფის, დევიდ II-ის რეზიდენცია. ასწლიანი ომის დროს გაიარის ციხესიმაგრე ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. 1149 წლიდან იგი საბოლოოდ საფრანგეთის კუთვნილებაა.

წლით ადრე, 1198 წელს დაასრულა. გაიარის ციხესიმაგრე იმდროინდელი სამხედრო ინჟინერიის ბოლო მიღწევების გამოყენებით იყო აშენებული. იგი საფრანგეთის მიწაზე მდებარეობდა და კლდის მაღალ შვერილზე იყო აგებული, მდინარე სენადან ასი მეტრის დაშორებით. ფერდობზე ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობდა სამი ეზო, რომლებიც ერთადერთი შესაძლო თავდასხმის მიმართულებით ნაწევრდებოდა სიღრმეში და ერთმანეთისგან გამოიყოფოდა მიწაყრილებითა და გალავნებით. გარშემორტყმული ციხესიმაგრის შიდა ეზო ციცაბო კლდეზე იყო გაშენებული. შენობებს ბრუსტვერის ორი რიგი ამაგრებდა, ხოლო დანგრევის საფრთხისაგან ღრმა ცოკოლი იცავდა. ქონგურებს დაბლა დატანებული ქვის ნახვრეტებიდან, მაშიკულებიდან,[112] თავდაცვაში მყოფთ შეეძლოთ საიერიშო ტარანებისთვის ცხელი ზეთი ან მდუღარე წყალი გადაესხათ. ასევე მოსახერხებელი იყო ისრების ტყორცნაც. შუა და გარე ეზოს მაღალი კოშკები უზარმაზარ დამცავ გალავანზე აძლიერებდა ციხესიმაგრის თავდაცვით შესაძლებლობას. ციხესიმაგრე აუღებელი ჩანდა და ვისაც კი აზრად მოუვიდოდა წამოეწყო ისეთი რთული ღონისძიების განხორციელება, როგორიც ამ ციხესიმაგრისთვის ალყის შემორტყმა იყო, მას იმედგაცრუების მოლოდინიც უნდა ჰქონოდა.[113]

მაგრამ გამოჩნდა ისიც, ვისაც თავში მსგავსი იდეა მოუვიდა. მას ფილიპ ოგიუსტი ერქვა – საფრანგეთის მეფე 1180 წლიდან[114]. იგი წარმოშობით კაპეტების ფრანგული დინასტიიდან იყო, იმ დინასტიიდან, რომელიც 987 წელს ჰუგო კაპეტის[115] ტახტზე ასვლიდან XIV საუკუნემდე განსაზღვრავდა საფრანგეთის ბედს. იგი ყველაფერს აკეთებდა სამეფო ძალაუფლების გასაძლიერებლად და ცენტრალიზებულად მართული ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად. ამ იდეის შესრულებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად

---

[111] რიჩარდ I პლანტაგენეტი ლომგული (ინგლ. Richard the Lionheart) (1157-1199წ.წ.) – XII საუკუნის ევროპის ისტორიის დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ინგლისის მეფე 1189 წლიდან. ნორმანდიის, აქვიტანიის და გასკონიის ჰერცოგი, კვიპროსის ლორდი, სხვადასხვა დროს პუატიეს, ანჟუს, მაინის, ნანტისა და ბრეტანის გრაფი. ინგლისის მეფე ჰენრი II-ისა და დედოფალ ელეონორა აქვიტანელის მესამე ვაჟი. თავისი სიმამაცის, წარმატებული სამხედრო კარიერისა და მხედარმთავრული ნიჭის გამო ცნობილი არის „ლომგულის" ზედსახელით. რიჩარდ ლომგული 16 წლის ასაკში ჩაუდგა სათავეში არმიას, რომელმაც წარმატებით ჩაახშო მამამისის წინააღმდეგ პუატიეში დაწყებული აჯანყება. იგი წარმოადგენდა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის სამხედრო ლიდერსა და ხელმძღვანელს, სადაც მასთან ერთად მონაწილეობდნენ საფრანგეთის მეფე ფილიპე II და გერმანიის მეფე და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა. რიჩარდ ლომგულმა რამდენჯერმე გაიმარჯვა მუსლიმთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, რომელსაც ასევე გამორჩეული და ნიჭიერი სარდალი, ტომით ქურთი სალაჰ ად დინ იუსუფ იბნ აიუბი (სალადინი) მეთაურობდა. მიუხედავად ცალკეული ბრძოლების მოგებისა, მან მაინც ვერ შეძლო იერუსალიმის აღება.

[112] მაშიკულა (ფრანგ. Machicoulis, შუა საუკუნეების ფრნგულიდან Mache-col – „თავში ცემა") – ციხესიმაგრის კედლების ზედა ნაწილსა და ქონგურებში დატანებული ვერტიკალური ღიობები, საიდანაც თავდამცველები ციხესიმაგრის მოიერიშეებზე აწარმოებდნენ ვერტიკალურ ცეცხლს, ესროდნენ ისრებს, თავზე აყრიდნენ ქვებს ან ასხამდნენ მდუღარე წყალს, ზეთს და კუპრს.

[113] გაიარის ციხესიმაგრე აშენებული იყო კონცენტრირებული სიმაგრის პრინციპით. მას გარშემო შემოვლებული ჰქონდა სამი კედელი, თუმცა კონცენტრულობა ზოგან დარღვეული იყო და ზოგ ადგილას მეორე და მესამე კედლები ერთმანეთთან შეხებაშიც მოდიოდა. ციხესიმაგრესთან მისვლა მხოლოდ სამხრეთის ფასადიდან იყო შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს უნდა დაეძლია თავდაცვის სამი ზღუდე – გარე, შუა და შიდა, სადაც მდებარეობდა მთავარი ციტადელი და კოშკი. როგორც წესი, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები რთული თავდაცვითი კომპლექსები იყო, რომლებიც დროთა განმავლობაში რამდენჯერმე განიცდიდნენ სამშენებლო რეკონსტრუქციებსა და დამატებებს. თუმცა, ამ თვალსაზრისით, გაიარის ციხესიმაგრეს ძირითადში შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი იერი. გაიარის ციხესიმაგრე ერთ-ერთი პირველთაგანია ევროპაში, სადაც გამოყენებულია ქვით ნაგები დახრილი სარკმელები, რაც საშუალებას აძლევდა გარნიზონს ეკონტროლებინა და ეწარმოებინა ბრძოლა მთელს პერიმეტრზე, ციხესიმაგრის ფერხთით არსებულ ტერიტორიაზე. დასავლეთ ევროპა ამ ტიპის ციხესიმაგრეთა კონსტრუქციას ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გაეცნო.

[114] აქ საუბარი ფილიპე II ოგიუსტზეა. (ფრანგ. Philippe Auguste) (1165-1223წ.წ.) – საფრანგეთის მეფე 1180 წლიდან. მეფე ლუდოვიკო VII-ისა და მისი მესამე ცოლის, ადელა შამპანელის ვაჟი. ეს იყო საფრანგეთის პირველი მეფე, რომელიც ტიტულატურაში იწოდებოდა „საფრანგეთის მეფედ" (Rex Franciae) და არა „ფრანკთა მეფედ" (Rex Francorum ან Francorum Rex). ამავე დროს, იგი იყო პირველი კაპეტთა დინასტიის მეფე, რომელმაც სამეფო ხელისუფლება თავის მემკვიდრეს ისე გადასცა, რომ მის სიცოცხლეში იგი მეფედ არ უკურთხებიათ.

[115] ჰუგო კაპეტი (ფრანგ. Hugues Capet) (940-996წ.წ.) – ფრანკთა ჰერცოგი 960-987 წლებში და ფრანკთა მეფე 987-996 წლებში, კაპეტთა სამეფო დინასტიის დამაარსებელი. თავისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყო კაროლინგების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლებთან ხელისუფლებისათვის გამართული ბრძოლით.

ინგლისის საკუთრების უფლება ითვლებოდა იმ მიწაზე, რომელიც მაშინდელი საფრანგეთის საუკეთესო ნაწილს მოიცავდა. ეს პრობლემა ფილიპ ოგიუსტს ეკალივით ესობოდა თვალში და როგორც ჭკვიანი პოლიტიკოსი, და უპირველეს ყოვლისა, როგორც დიდი „მიწების მომხვეჭელი“, ყველანაირ შესაძლებლობას ეძებდა, რომ საფრანგეთის მიწაზე რამენაირად მოესპო ინგლისის სახელმწიფო ძალაუფლება.

ფილიპ ოგიუსტს ეს შესაძლებლობა მაშინ მიეცა, როცა 1202 წელს ფრანგმა ბარონებმა თავიანთ ფეოდალს ვასალის უფლებების დარღვევის გამო უჩივლეს. 1199 წლიდან მათი ფეოდალი თვით იოანე I იყო, როგორც ჰენრიხ II-ის უმცროსი ვაჟი და ძმის, ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულის მემკვიდრე. იოანე ერთდროულად აქვიტანიის ჰერცოგიც იყო და საფრანგეთის სამეფო დინასტიის ვასალიც, ამიტომ ფილიპ ოგიუსტმა იგი ფეოდალთა სასამართლოზე მიიწვია. იოანე არ მივიდა, რის გამოც მას საფრანგეთის ლენის[116] ჩამორთმევა მიუსაჯეს. ამ განაჩენის კანონიერად აღსრულებისთვის ფილიპ ოგიუსტმა იოანე I-ის წინააღმდეგ გაილაშქრა და 1206 წლისათვის დაიპყრო მდინარე ლუარას ჩრდილოეთით მდებარე ინგლისის კუთვნილი მთელი მიწები. ამის გამო ინგლისელებმა თავიანთ მეფეს „იოანე უმიწაწყლო” უწოდეს[117]. მეფე „იოანე უმიწაწყლო” ცნობილი გახდა თავისუფლების იმ დიდი ქარტიით, რომელზე ხელის მოწერაც მას ინგლისის თავადაზნაურობამ აიძულა. ქარტიის პრეამბულა მოიცავდა პიროვნული თავისუფლებისა და საკუთრების გარანტიას და იგი ინგლისის სახელმწიფო კონსტიტუციის ფუნდამენტს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ იოანე უმიწაწყლოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ფილიპ ოგიუსტი წარმატებებს აღწევდა, ერთი რამ მაინც აშფოთებდა მას – ნორმანდიის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე, გაიარი, აუღებელი რჩებოდა.

ბოლოს და ბოლოს, იგი გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადის. 1203 წლის გვიან ზაფხულს ფილიპ ოგიუსტმა ალყა შემოარტყა ციხესიმაგრეს. ჯერ ორი ღრმა ორმო ამოთხარეს, რათა ციხესიმაგრისთვის წყლის მომარაგება შეეწყვიტათ. მათ შორის ხის სათვალთვალო კოშკები აღმართეს, სადაც ჯარისკაცები დააყენეს. ფილიპ ოგიუსტის ჯარისკაცებმა ციხესიმაგრის ასაღებად დაუძლურებისა და გამოფიტვის სტრატეგია აირჩიეს და იმედოვნებდნენ, რომ ადრე თუ გვიან სურსათისა და წყლის გარეშე დარჩენილი გარნიზონი მოალყეებს დანებდებოდა. მაგრამ მათი მოლოდინები არ მართლდებოდა. ფილიპ ოგიუსტმა სამი თვე იცადა, მაგრამ ციხესიმაგრე არ ნებდებოდა. კომენდანტმა როჯერ დე ლეისმა გარეთ გამოუშვა ოთხასამდე ქალი, ბავშვი და ავადმყოფი მამაკაცი, რადგან სასმელისა და სურსათ-სანოვაგის მარაგი ეწურებოდათ. ფრანგთა ლაშქარმა ისინი არ გაატარა[118]. ციხესიმაგრის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩენილები იძულებულები გახდნენ, მკაცრი ზამთარი საბრძოლო მზადყოფნაში გაეტარებინათ. საშინელმა შიმშილმა აიძულა

---

[116] ლენი – ფეოდალიზმის ეპოქაში მემკვიდრეობითი ადგილ-მამული, რომელიც ვასალს მიღებული ჰქონდა თავისი სენიორისაგან სამხედრო სამსახურისა და სხვა ვალდებულების პირნათლად შესრულების სანაცვლოდ.

[117] იოანე (ჯონ) უმიწაწყლო (ინგლ. John Lackland) (1167-1216წ.წ.) – პლანტაგენეტების დინასტიის წარმომადგენელი, ინგლისის მეფე 1199 წლიდან და აქვიტანიის ჰერცოგი. ჰენრიხ II-ისა და ელეონორა აქვიტანელის უმცროსი (მეხუთე) შვილი, რიჩარდ ლომგულის ძმა. მისი მმართველობა ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდად ითვლება. იგი დაიწყო საფრანგეთის მეფე ფილიპე II-ის მიერ ნორმანდიის დაპყრობით და დასრულდა სამოქალაქო ომით, რომელსაც იოანე უმიწაწყლოს გვირგვინიც შეეწირა. თავისი წარუმატებელი მეფობისა და უშედეგო საბრძოლო მოქმედებების გამო მან მეორე ზედსახელიც შეიძინა – „რბილი ხმალი” (Softsword). 1213 წელს მან ინგლისი რომის პაპის ვასალად აღიარა, რათა ამით დაესრულებინა კთოლიკურ ეკლესიასთან დაწყებულ განხეთქილება. 1215 წელს კი, აჯანყებულმა ბარონებმა აიძულეს, რომ ხელი მოეწერა „თავისუფლების დიადი ქარტიისათვის”. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებითაა საყოველთაოდ ცნობილი მისი პერსონა. ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ იოანე უმიწაწყლოს მმართველობის პერიოდი არაფრით არ იყო უარესი რიჩარდ ლომგულის, ან ჰენრიხ III-ის მეფობისაგან. და მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ინგლისის, და მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის არც ერთ მონარქს თავისი მემკვიდრისათვის ეს სახელი – იოანე (ჯონი) აღარ დაურქმევია. საინტერესოა ისიც, რომ შოტლანდიისა და საფრანგეთის სამეფო დინასტიებშიც ეს სახელი უბედურების სიმბოლოდ განიხილებოდა.

[118] ამ ქმედებასთან დაკავშირებით ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიარის ციხესიმაგრის კომენდანტმა ეს ხალხი სიმაგრის კედლებს შორის დატოვა. მათი უმეტესობა სიცივისა და შიმშილისაგან გარდაიცვალა.

ისინი, თავდაპირველად საკუთარი ძაღლები შეეჭამათ და შემდეგ – ბავშვები. მიუხედავად ამისა, შიმშილით მაინც ბევრი დაიღუპა ან ერთმანეთი ამოხოცეს.

ფრანგებმა საალყო კოშკები აღმართეს და შორსმსროლი კატაპულტებიც მოიტანეს. 1204 წლის გაზაფხულზე ფილიპ ოგიუსტმა ციხესიმაგრეზე გენერალური შეტევის დაწყების ბრძანება გასცა. მოალყეებმა მცირე წარმატებასაც მიაღწიე თითქოს. მათ შეძლეს შუა გალავნამდე შეღწევა, მაგრამ მათი წარმატებების ნუსხაც ამით ამოიწურა. ციხესიმაგრის შიგნით მყოფნი მედგრად იცავდნენ თავს და დანებებას არ აპირებდნენ. გარნიზონის კომენდანტი, როჯერ დე ლეისი დარწმუნებული იყო, რომ ალყას გაუძლებდა. თავდამსხმელებმა ყველაფერი სცადეს, რაც კი შესაძლებელი იყო. მათ ყველა საბრძოლო საშუალება და ილეთი გამოიყენეს ციხესიმაგრის ასაღებად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ბოლოს და ბოლოს ალყის მოხსნა და უკანდახევა გადაწყვიტეს, თუმც სულ ტყუილ-უბრალოდ. ამის მიზეზი კი იმდენად მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი გაგებისას ან სიცილი უნდა შეიკავო და ან ცხვირზე უნდა მოიჭირო ხელი.

როცა საფრანგეთის მეფემ ხანგრძლივი და წარუმატებელი საალყო ბრძოლის შეწყვეტა განიზრახა, ერთმა გონიერმა ფრანგმა ოფიცერმა გაითვალისწინა ის, რასაც ფრიდრიხ დიდი[119] დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი წელი შთააგონებდა თავის ჯარისკაცებს. და საერთოდ, ფრიდრიხი დიდ ყურადღებას აქცევდა წვრილმანებს.

როცა ოფიცერმა ციხე-სიმაგრის გარშემო არსებული არხების ახლოდან შემოწმება დაიწყო, იმ ადგილამდე მივიდა, რომელიც საშინლად ყარდა. აქ ჯარისკაცმა ფეკალური მასების ჩასადენი ორმო აღმოაჩინა, რომელიც ღიად მოდიოდა შუა ეზოს გავლით, ზემოთ მდგარი შენობიდან. მან აიღო თოკი, ჩაძვრა ორმოში, გაძვრა სადინარში, შემდეგ ზემოთ აძვრა და შიდა შენობის პირველ სართულზე მოხვდა. ამ სართულის ზევით სამლოცველო მდებარეობდა. მან თავი გამოყო სამლოცველოს ფანჯრიდან და სახტად დარჩა – იგი ციხესიმაგრის შუა ეზოში იმყოფებოდა. თოკის დახმარებით მან სწრაფად აიყვანა რამდენიმე თანამებრძოლი ქვედა ოთახში. შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ისინი ერთად შეიჭრნენ სამლოცველოში. ძალაგამოცლილი და გაოგნებული მცველები დაფრთხნენ და ციხესიმაგრის შიდა ეზოსკენ გაიქცნენ. ახლა კი, ფრანგთა გამარჯვება უკვე გარანტირებული იყო. მოალყეებმა ციხესიმაგრის უკანასკნელი დამცავი გალავანი კატაპულტებით დაანგრიეს და ფილიპ ოგიუსტის ჯარისკაცები შიგნით შეცვივდნენ. ციხესიმაგრის პირადი შემადგენლობა ფრანგებს ჩაბარდა[120].

გაიარის ციხესიმაგრის აღებისას მომხდარი ასეთი განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად, იოანე უმიწაწყლომ ნორმანდიაც დაკარგა. მაგრამ ფრანგების ინგლისზე საბოლოო გამარჯვებამდე კიდევ ათი ხანგრძლივი წელი გავა. მხოლოდ 1214 წელს მოახერხა ფილიპ ოგიუსტმა, ბუვინის ბრძოლაში გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა ინგლისელთა ლაშქრისთვის, რომელსაც გერმანიის მეფე და საღვთო რომის იმპერატორი ოტო IV-ც შეურთდა. ამ გამარჯვების წყალობით საფრანგეთი დიდი და მძლავრი იმპერია გახდა. გაიარის ციხესიმაგრის აღების ამ საინტერესო ამბის დასასრულს კი, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ასეთ მნიშვნელოვან წარმატებას ფრანგები მეტად უსიამოვნო და ნაკლებად მიმზიდველ ობიექტს – ფეკალურ მასებს უნდა უმადლოდნენ.

---

[119] აქ ფრიდრიხ II ჰოჰენცოლერნზე, ფრიდრიხ დიდზეა საუბარი (გერმ. Friedrich II, Friedrich der Große) (1712-1786წ.წ.) – მეტსახელად „ბებერი ფრიცი". დიდი პრუსიელი მონარქი, სამხედრო სტრატეგოსი და მხედართმთავარი, პრუსიის მეფე 1740 წლიდან, ევროპული აბსოლუტიზმის ერთ-ერთი მკაფიო წარმომადგენელი, პრუსიულ-გერმანული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი.

[120] გაიარის ციხესიმაგრის ალყისა და იქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ ძირითად წყაროს წარმოადგენს ფილიპ ოგიუსტის კაპელანის, გიომ ბრეტონელის პოემა ''Philippidos''.

რიჩარდ ლომგული (1157-1199)

ჰუგო კაპეტი
(940-996)

იოანე (ჯონ) უმიწაწყლო
(1166-1216)

ფილიპ II ოგიუსტი
(1165-1223)

ანჟუს კონტინენტური იმპერია (ნარინჯისფერი) XII საუკუნის ბოლოს

გაიარის ციხესიმაგრის ციტადელი

გაიარის ციხესიმაგრის პანორამული ხედი

ციტადელის ზედხედი

ციხესიმაგრის ზედხედი



ციხესიმაგრე გაიარის გრაფიკული სქემა

გაიარის ციხესიმაგრის შიდა ეზო

ციხესიმაგრის გარე პერიმეტრი



გაიარის ციხესიმაგრის ალყა

გაიარის ციხესიმაგრის ალყა

ჯონ (იოანე) უმიწაწყლოს განსასვენებელი ვუსტერის ტაძარში

§2.3. მონღოლების შემოსევა (ლეგნიცა – 1241 წლის 9 აპრილი და მოჰის ველი მდინარე შაიოსთან – 1241 წლის 11 აპრილი)

კაცობრიობის ისტორიას ძალიან ბევრი დიდი სამეფო თუ იმპერია ახსოვს. მათგან უდიდესი მონღოლთა შუა საუკუნეების იმპერია იყო.[121] მართალია, მათი გაბატონებული მდგომარეობა მხოლოდ ასი წელი გრძელდებოდა, მაგრამ აქამდე არავის დაუყენებია მთელი ცივილიზებული სამყარო ისეთი დიდი გამოწვევის წინაშე, როგორც ეს მონღოლთა ბატონობის დროს იყო.

1200 წლისათვის ცივილიზებულ სამყაროში არავინ იცოდა მომთაბარე მონღოლური ტომების არსებობის შესახებ. ისინი კულტურული სამყაროსგან შორს, ცენტრალური აზიის ნახევრადსტეპებში, უდაბნოებსა და მთებში ცხოვრობდნენ. მონღოლები მომთაბარე მესაქონლეები იყვნენ და მათი ცხოვრების წესსაც მეურნეობის ხასიათი განსაზღვრავდა. მკაცრი ბუნებრივი პირობები, მშრალი კონტინენტალური ჰავა, რადიკალურად განსხვავებული ტემპერატურული კლიმატი, კარვებში ცხოვრება და ცხენზე ამხედრებული ყოფა აკაჟებდა მონღოლ მებრძოლებს. ცალკეული მონღოლური ტომები და თემები მუდმივად გადაადგილდებოდნენ, ეძებდნენ ახალ საძოვრებს და ერთმანეთს ებრძოდნენ ამ მიწების გამო.

ასეთი მდგომარეობა თემუჩინის[122] ბელადად გახდომის შემდეგ შეიცვალა, რომელმაც ორმოცდაოთხი წლის ასაკში, 1206 წელს, წარმოუდგენელი სისასტიკით გააერთიანა საკუთარი და სხვა მომთაბარე მონღოლური ტომები. მას შესწავლილი ჰქონდა მჭედლის ხელობა და ფიზიკურად ძლიერი, მამაცი და გამჭრიახი კაცი იყო, როგორც მისი მოდგმის ყველა წარმომადგენელი. შემდგომში მან თავის თავს „ფერმკრთალი მგელი", ჩინგიზ ყაენი უწოდა[123]. იმავე წელს მის მიერ გამოცემული კანონის ძალით მონღოლთა ცალკეული ტომებიდან ლაშქარში გაწვევის საფუძველზე ერთიანი სამხედრო ძალა შეიქმნა.

მონღოლების არმია თითქმის მთლიანად ცხენოსნებისგან შედგებოდა. იგი სხვადასხვა სიდიდის საბრძოლო ერთეულად იყო დაყოფილი – ათეული, ასეული, ათასეული და დუმანი. დუმანი მონღოლთა არმიის უდიდესი შენაერთი იყო. იგი ათი ათასი მეომრისგან შედგებოდა და ამავე დროს ლაშქრის უძლიერეს ერთეულს წარმოადგენდა[124]. მალე ჩინგიზ ყაენი სამხედრო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სარდალი გახდა. ამასთან

---

[121] მართალია, კაცობრიობის ისტორიაში ტერიტორიული თვალსაზრისით უდიდეს იმპერიას დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა, რომლის ტერიტორიებიც 1921 წლისათვის 36,6 მლნ კვ. კმ-ს შეადგენდა, მაგრამ ეს იყო უდიდესი კოლონიური მსოფლიო იმპერია, რომელიც ყველა კონტინენტზე იყო განფენილი. მონღოლთა იმპერია კი ევრაზიაში გადაჭიმული უდიდესი კონტინენტალური იმპერია იყო, რომლის ტერიტორიაც სიდიდით მცირედით ჩამორჩებოდა ბრიტანელთა სამფლობელოებს და 1279 წლისათვის 33,2 მლნ კვ. კმ-ს შეადგენდა. მონღოლთა იმპერია მოიცავდა ცენტრალური აზიის, სამხრეთ ციმბირის, აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის, ჩინეთისა და ტიბეტის ტერიტორიებს.

[122] თემუჩინი (შემდგომში ჩინგიზ ყაენი) (1155-1227წ.წ.) – მონღოლთა იმპერიის დამაარსებელი და პირველი ყაენი, დიდი მხედართმთავარი და მმართველი, რომელმაც დაპყრობითი ომები აწარმოა ჩინეთში, შუა აზიაში, კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი კონტინენტალური იმპერიის შემქმნელი, ე.წ. ჩინგიზიდების დინასტიის ფუძემდებელი.

[123] ავტორი აქ აშკარა უზუსტობას უშვებს. სხვა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება ჩინგიზ ყაენის „ფერმკრთალ მგლად" ინტერპრეტირება. ჩინგიზი სიტყვასიტყვით ნიშნავს „წყლის მბრძანებელს", ან „უკიდეგანო მბრძანებელს როგორც ზღვა". ჩინგიზს, ანუ თენგიზს მონღოლები უწოდებდნენ ზღვას, რომელიც შამანიზმის პანთეონში ცალკე მდგომ ღმერთს წარმოადგენდა. მასვე მიეწერება ცნობილი დევიზი – „ზღვიდან ზღვამდე", რომელიც სრული ფორმით ასე ჟღერდა – „მე მივალ უკანასკნელ ზღვამდე და მაშინ მთელი სამყარო ჩემი იქნება". ჩინგიზ ყაენის დაბადების სახელი „თემუჩინი", მონღოლურად „მჭედელს" ნიშნავს, რაც ახლოს დგას თურქულ-მონღოლურ „თემურთან", „დემირთან" – „რკინასთან".

[124] მონღოლთა ურდოში ყველა ზრდასრული მამაკაცი მეომრად ითვლებოდა, რომლებიც მშვიდობიანობის დროს მისდევდნენ მეურნეობას, ძირითადში მომთაბარე მესაქონლეობას, ომიანობის დროს კი, მებრძოლი იყო. საომარი ძალის ასეთი ორგანიზაცია მონღოლებს საშუალებას აძლევდა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში 95-100 ათასი მეომარი ჰყოლოდა.

ერთად იგი სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობელი იყო, რომელიც მხეცურად ანადგურებდა ყველას და ყველაფერს, რასაც მისთვის გამოუსადეგრად თვლიდა.

1209 წელს ჩინგიზის ცხენოსანთა გამხეცებული ურდო თავს დაესხა ჩრდილოეთ ჩინეთს და სისხლისმღვრელი ბრძოლებით წყნარ ოკეანემდე მიაღწია. მას შემდეგ, რაც ჩინეთის სოფლები და ქალაქები გაანადგურეს, 1219 წლის გაზაფხულზე, დაახლოებით ორას ორმოცდაათი ათასი მონღოლი ცხენოსნისგან შემდგარი ჯარი სამხრეთ-დასავლეთით, ჰიმალაის ირგვლივ გადაშლილ თვალუწვდენელ ისლამურ იმპერიას მიადგა[125]. ამ პერიოდისათვის ისლამის ძალაუფლებამ ზენიტს მიაღწია, დასავლეთიდან მოსულმა ჯვაროსნებმა უკან დაიხიეს. თავად შაჰი მუჰამედი დიდი დამპყრობელი იყო. იგი სარდლობდა ოთხასიათასიან არმიას და ფლობდა იმ იმპერიას, რომელიც მსოფლიოს უდიდესი მთებიდან სპარსეთის ყურემდე და ბაღდადამდე იყო გადაჭიმული.

საოცარი სამხედრო მარშით მიაჭენებდნენ მონღოლები თავიანთ ცხენებს ოთხი ათასი მეტრის სიმაღლის, დათოვლილი მთის უღელტეხილებზე. მათ თან მიჰყავდათ აქლემები, ხარები და ჯუთის[126] ურმები. გადაკვეთეს ჰინდუყუშის მთები, ყარაყორუმის უდაბნო და კალიებივით შეესივნენ სპარსეთის ნაყოფიერ დაბლობს. მათ გააუდაბურეს ქვეყანა, დაუნდობლად მოსპეს მრავალსაუკუნოვანი კულტურა და დაპყრობილ რაიონებში შიშის მომგვრელი ძალადობა დაამყარეს. ჩინგიზ ყაენი ხმამაღლა აცხადება მეჩეთებში, რომ იგი ღმერთის მათრახი იყო.[127]

მონღოლები სამარყანდს იპყრობენ. ჩინგის ყაენის მეომრები ძარცვავენ და ანგრევენ ქალაქს. როცა ისინი გზას გააგრძელებენ, აქ სამასი ათასი მოკლული ადამიანის თავის ქალისგან შემდგარ პირამიდას დატოვებენ. 1219 წლის 11 აპრილს იმავე ბედს გაიზიარებს მდიდარი სავაჭრო ქალაქი ბუხარა, ცნობილი თავისი უამრავი ბიბლიოთეკითა და უნივერსიტეტებით. თანამედროვეების ცნობით, მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლებში ნიშაპურში მილიონ შვიდას ორმოცდაშვიდი ათასი ადამიანი დაიღუპა. დამარცხებული შაჰი დასავლეთში გაიქცა. ასევე დაინგრა განვითარებული სარწყავი სისტემა, რომელიც ანტიკური დროიდან ემსახურებოდა აყვავებულ ცივილიზაციას. მონღოლებს განადგურების უზარმაზარი ვნება ამოძრავებდათ. ისინი ძარცვავდნენ და აცამტვერებდნენ დამორჩილებულ ქალაქებს, ხოცავდნენ განურჩევლად ყველას და ქალაქებიდან აძევებდნენ გადარჩენილებს. „დახოცეთ, დახოცეთ ყველა!“ – ასეთი იყო ჩინგიზ ყაენის ბრძანება. იგი მონღოლების რწმენას იმის მტკიცებით აძლიერებდა, რომ ასეთი იყო ღვთის ნება და განგებამ მათ მთელ მსოფლიოზე ბატონობა არგუნა[128].

---

125 ავტორი აქ ხვარაზმის სამეფოსა და მის შაჰზე, ალ ად დინ მუჰამედ II-ზე საუბრობს.

126 ჯუთი (ლათ. Córchorus) – მცენარის სახეობა, რომლისგანაც მიიღება იგივე დასახელების ნატურალური ტექსტილის ბოჭკო. მისი 80-მდე სხვადასხვა სახეობა გავრცელებულია აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე. გამოიყენება ტექნიკურ და შესაფუთ მასალად, განსაკუთრებით ფართოდ კი – მსუბუქი მრეწველობის დარგებში.

127 ძველი მონღოლები წარმართები და შამანიზმის მიმდევრები იყვნენ. თუმცა, აქ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ შამანიზმი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს რელიგიას ამ ტერმინის სრული გაგებით, ან რაიმე სარწმუნოებრივ სისტემას. მას არ გააჩნია არავითარი დოქტრინა, ისევე როგორც ევროპულ სპირიტიზმს. დასავლეთევროპულის მსგავსად, აღმოსავლური ტრადიციითაც შამანს მედიუმთან აქვს ანალოგია, რომელიც შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს ამქვეყნიურობასა და სულების სამყაროს შორის. თუმცა, ჩინგიზ ყაენის პერიოდში, ძველ მონღოლებს შორის უკვე შეიმჩნეოდა ძველი თურქებისათვის, უფრო ზუსტად კი, თურქულენოვანი ხალხებისათვის დამახასიათებელი მონოთეიზმის ელემენტების გავრცელება. აქ საუბარი „ერთიან ღმერთს” – ტენგრის ეხება, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მკაცრად მივუდგებით საკითხს, თავისი არსით „ტენგრიზმი” ძალიან ახლოს დგას წარმართულ ღმერთთა პანთეონთან და პოლითეიზმთან.

128 სამარყანდის აღების შემდეგ, 1220 წელს, ჩინგიზ ყაენმა თავისი ჯარები მუჰამედ ხვარაზმშაჰის შესაპყრობად გააგზავნა დასავლეთისაკენ, რომელიც მდინარე ამუდარიისაკენ გაიქცა. მონღოლთა სარდლებმა ჯებემ და სუბუდაიმ თავის ლაშქართან ერთად გაიარეს ჩრდილოეთ ირანი და სამხრეთ კავკასიაში შეიჭრნენ. ხვარაზმშაჰის გარდაცვალების ამბის გაგების შემდეგ მათ არ შეუწყვეტიათ ლაშქრობა და გზა დასავლეთისკენ განაგრძეს. დარუბანდის გავლით ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ, სადაც დაამარცხეს ალანები, შემდეგ კი, ყივჩაყები. 1223 წლის გაზაფხულზე მონღოლებმა მდინარე კალკასთან გაანადგურეს რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ჯარი, მაგრამ დამარცხდნენ ვოლგისპირეთის ბოლგარებთან ბრძოლაში. წარმატებული სტრატეგიული რეიდის შემდეგ, მონღოლთა ჯარის დარჩენილი ნაწილი 1224 წელს შუა აზიაში დაბრუნდა, სადაც ჩინგიზ ყაენი იმყოფებოდა.

მონღოლური ურდოები კი წინ მიიწევდნენ და თავის გზაზე ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ. ძველი აბრეშუმის გზაზე, დასავლეთის მიმართულებით, მათ კასპიისა და შავ ზღვებამდე მიაღწიეს. მდინარე ვოლგის გასწვრივ ლაშქრობა რუსეთის დასაპყრობი პლაცდარმის შექმნას წარმოადგენდა. 1227 წელს, ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების გამო, მონღოლთა ეს გეგმა გადაიდო. იმპერია მისმა ოთხმა ვაჟმა გაინაწილა.[129] ჩინგიზ ყაენის მემკვიდრე მისი შვილიშვილი, ბათო ყაენი გახდა.[130] გამოჩენილი სარდლის, სუბუდაის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, 1237 წელს იგი თავს ესხმის რუსეთს და ანადგურებს მის ქალაქებს, მათ შორის, კიევს – 1240 წელს.

მონღოლთა ლაშქრის სიძლიერე მათ მობილურობასა და სისწრაფეში, მკაცრ დისციპლინასა და საბრძოლო შეიარაღებაში მდგომარეობდა. ამასთან, გამორჩეული იყო ოფიცრების შემადგენლობა, მათ განკარგულებაში მყოფი შესანიშნავი მეკავშირე ცხენოსნებითა და მზვერავებით. სამხედრო ნაწილები გადაადგილდებოდნენ სასიგნალო სისტემის მიხედვით, დღისით – დროშებით, ღამით – შუქნიშნებით. თითოეულ ცხენოსანს ოთხი-ხუთი ცხენი მიჰყავდა. მოკლე და მოქნილი მშვილდით ჯარისკაცებს ისრის სროლა სამას მეტრ მანძილზე შეეძლოთ. მათ არ ჰქონდათ მძიმე შეიარაღება, ჯავშანი და აღჭურვილობა. ტანს დაბამბული ტყავის ტანსაცმელი და ცხვრის ქურქები ეცვათ. მათი მთავარი იარაღი მოკაუჭებულწვერიანი შუბი იყო. მას მონღოლი მეომრები დასარტყმელად და საჩხვლეტად ისევე იყენებდნენ, როგორც მოხრილ ხმალს. ქამრებზე ეკიდათ ცულები, ასევე თოკი ცხენის დასაბმელად ან მოწინააღმდეგის დასაჭერად. გარდა ამისა, თვითოეულ ჯარისკაცს ჰქონდა საკვების ტომარა ცხენისთვის, პატარა ქვაბი, შებოლილი ხორცი, როგორც ხელშეუხებელი მარაგი და გამომშრალი, შედედებული რძე. მონღოლები თავის ლაშქრობებს უმეტესად ზამთრის დადგომისას იწყებდნენ, მაშინ, როცა მათი ცხენები კარგად იყვნენ გამოკვებილნი.[131]

ვის შეეძლო მონღოლების ამ საშინელი არმიის შეჩერება? მათი სამფლობელო გადაჭიმული იყო ინდოეთის საზღვრებიდან ჩრდილოეთ ციმბირის ტაიგამდე და ჩინეთის წყნარი ოკეანის სანაპიროდან ხმელთაშუა ზღვამდე და კარპატებამდე. თანამედროვეების მიერ თათრებად წოდებულნი, 1240-1241 წლებში, მონღოლები აღმოსავლეთ ევროპას მოუბრუნდნენ. ისინი ტრანსილვანიას, ვლახეთსა და პოლონეთში შეიჭრნენ. მონღოლთა დაუნდობლობასა და სისასტიკეზე ევროპის ქვეყნებში შემაძრწუნებელი ხმები დადიოდა. მაგრამ ევროპისა და ქრისტიანული სამყაროს ორივე მეთაური, იმპერატორი ფრიდრიხ II[132] და პაპი გრიგოლ IX[133] ისე იყვნენ აღსავსენი ურთიერთსიძულვილით და ძალაუფლებისთვის გააფთრებული ბრძოლით დაკავებულნი, რომ მათ არ შეეძლოთ გაერთიანებული ძალების მიმართვა იმ დიდი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროს ემუქრებოდა.

---

[129] ჩინგიზ ყაენს და მის პირველ ცოლს, ბორტეს ხუთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდათ: ჯუჩი, ჩაღათაი, უგედაი და თოლუი. მეორე ცოლთან ხულან-ხათუნთან – ორი ვაჟი, ხოლო მესამე ცოლთან, ესუკატთან ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი. მაგრამ მხოლოდ პირველი ოთხი ვაჟი და მათი შთამომავლები ფლობდნენ მონღოლთა სახელმწიფოსა და მათ მიერ დაპყრობილ მიწებზე უმაღლეს ხელისუფლებას.

[130] ბათო ყაენი ჩინგიზ ყაენის უფროსი ვაჟის, ჯუჩის შვილი იყო.

[131] მონღოლთა ჯარის მთავარ გვარეობას ცხენოსანი ჯარი წარმოადგენდა, რომელიც მძიმე და მსუბუქ კავალერიად იყოფოდა. ომიანობის დროს ყველა მამაკაცი მებრძოლი იყო, მშვიდობიანობის დროს კი, იარაღი ინახებოდა სპეციალურ საწყობებში, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. იარაღი მეომრებს საომარი კამპანიის წინ ურიგდებოდათ. ყველა დონის მეთაური პასუხს აგებდა მათზე გაცემული იარაღის დაცულობასა და გამართულობაზე, რაც ლაშქრობის წინ მოწყობილ სპეციალურ სამხედრო დათვალიერებებზე მოწმდებოდა. ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, პირადი იარაღის გარდა მომრები იარაღს ისევ უკან აბარებდნენ.

[132] ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი (გერმ. Friedrich II von Hohenstaufen) (1194-1250წ.წ.) – გერმანიის მეფე 1212 წლიდან, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1220 წლიდან, სიცილიის მეფე ფრიდრიხ I-ის სახელით 1197-1212 წლებში და 1217 წლიდან. ჰენრიხ VI-ის და კონსტანცია ნორმანელის ვაჟი, ფრიდრიხ I ბარბაროსას შვილიშვილი. მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის ხელმძღვანელი 1228-1229 წლებში.

[133] გრიგოლ IX (ლათ. Gregorius PP. IX) საერო ცხოვრებაში ჰუგოლინო კონტი დე სენი (1145-1241წ.წ.) – რომის პაპი 1227-1241 წლებში.

მონღოლებს მხოლოდ ერთი კაცი აღუდგა წინ. ეს კაცი სილეზიელი დიდებული, ჰაინრიხ II იყო. დიახ, სხვა გზა არ ჰქონდა და სხვა გამოსავალიც ვერ ნახა ჰაინრიხ II ღვთისმოშიშმა, სილეზიის ჰერცოგმა – იგი მონღოლებს უნდა შებრძოლებოდა. მან გერმანიის რაინდთა ორდენიდან გერმანულ-პოლონური რაზმი შეაგროვა, რომლებიც მონღოლებს სილეზიაში, ელბასთან ახლოს შეებრძოლნენ. რაინდები რიცხობრივად აღემატებოდნენ მონღოლთა ლაშქარს.

გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ ლეგნიცასთან, ბრესლაუს ჩრდილო-დასავლეთით სამოც კილომეტრზე, 1241 წლის 9 აპრილს გაიმართა[134]. მონღოლი ცხენოსნები თავდაპირველად მოწინააღმდეგის მძიმედ შეჯავშნულ კავალერიას შეეჯახნენ. ბრძოლაში გაწაფული გერმანელი რაინდები და განსაკუთრებით ტამპლიერები[135], მამაცურად იბრძოდნენ.[136] ისინი არ ელოდებოდნენ მოწინააღმდეგის შეტევას და თავად გადადიოდნენ შეტევაზე. ხელჩართულ ბრძოლაში თითქოს ჯაბნიდნენ კიდეც მოწინააღმდეგეს. რაინდებს ეჩვენებოდათ, რომ ასეთი სიძლიერის დარტყმებით მონღოლების საბრძოლო სულისკვეთება გატეხეს. შემდეგ თავდამსხმელები მოულოდნელად უკუიქცნენ. „გამარჯვება! გამარჯვება!“ – ზეიმობდნენ რაინდები. მათ დაშალეს თავისი საბრძოლო წყობები და გაქცეულ მონღოლებს დაედევნენ. ეს დიდი შეცდომა იყო, უპატიებელი შეცდომა.

როდესაც რაინდები თავიანთ შეცდომას მიხვდნენ, უკვე გვიანი იყო. ისინი მონღოლთა მიერ წინასწარ მოწყობილ ჩასაფრებაში მოხვდნენ. მონღოლებმა კარგად გამოიყენეს პართიელების ძველი საბრძოლო ხერხი და ბრძოლის ველიდან გაქცევა გაითამაშეს. ყველა მხრიდან გარემოცულ რაინდთა ლაშქარი მონღოლებმა ერთიანად გაანადგურეს, ჰერცოგი ჰაინრიხ II კი, შეიპყრეს.[137] მას თავი მოაჭრეს და ტრიუმფის

---

[134] ბრძოლა ლეგნიცასთან – 1236-1242 წლებში მიმდინარე მონღოლთა დასავლური ლაშქრობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა იყო, რომლის მიზანიც გალიციის, პოლონეთისა და უნგრეთის დაპყრობა წარმოადგენდა. ბრძოლა გაიმართა 1241 წლის 9 აპრილს, სილეზიის ქალაქ ლეგნიცასთან ახლოს.

[135] ტამპლიერები (ფრანგ. Templiers) – რაინდთა სასულიერო ორდენი, რომლის ოფიციალური დასახელება იყო ქრისტეს ღარიბ რაინდთა ორდენი (ფრანგ. L'Ordre des Pauvres Chevaliers du Christ), ან იერუსალიმის ტაძრის ღარიბ რაინდთა ორდენი (ფრანგ. L'Ordre des Pauvres Chevaliers du Tmple de Jerusalem), ან ქრისტესა და სოლომონის ტაძრის ღარიბი რაინდები (ლათ. Pauperes commilitones Christi Templique Salomonici). დაარსდა წმინდა მიწაზე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, 1119 წელს, რაინდთა ჯგუფის მიერ ჰუგო დე პეინის ხელმძღვანელობით. ეს იყო რიგით მეორე რაინდთა ორდენი ჰოსპიტალიერების შემდეგ. XII-XIII საუკუნეებში ორდენი წარმოადგენდა ძალიან მდიდარ და მძლავრ ორგანიზაციას, რომლის გამგებლობაში იყო როგორც პალესტინასა და სირიაში დაპყრობილი ტერიტორიები, ასევე დიდი მამულები ევროპაში. ორდენი ასევე ფლობდა დიდ ეკლესიურ და იურიდიულ პრივილეგიებს, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა პაპისა და იმ მონარქების მიერ, რომელთა სახელმწიფოს ტერიტორიებზეც იმყოფებოდა ორდენის უძრავი ქონება. ორდენი ხშირად ასრულებდა იმ სახელწიფოების სამხედრო დაცვის ფუნქციას, რომელიც შექმნეს ჯვაროსნებმა აღმოსავლეთში, თუმცა ორდენის მიერ დეკლარირებულ პირველად მიზანს მომლოცველების დაცვა წარმოადგენდა წმინდა მიწაზე.

[136] ევროპელ რაინდთა გაერთიანებულ ლაშქარში ფრანგ ტამპლიერებთან ერთად გერმანელ ტევტონთა ორდენის რაინდებიც იყვნენ ჩართულნი. ზოგიერთი ავტორი ლეგნიცას ბრძოლაში ჰოსპიტალიერების მონაწილეობაზეც მიუთითებს, თუმცა ეს ცნობები ნაკლებად სარწმუნოა.

[137] მონღოლთა ურდოებმა მთავარი დარტყმა პოლონეთსა და უნგრეთზე 1241 წლის აპრილის თვეში განახორციელეს. ეს „ქვესკნელის ეშმაკები” (ასე უწოდებდნენ ევროპელები მონღოლებს) პრაქტიკულად ერთდროულად გამოჩნდნენ კრაკოვისა და ბუდაპეშტის კედლებთან. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონღოლებს ევროპელებთან გამართულ ბრძოლაში გამარჯვება მათმა კარგად დამუშავებულმა ტაქტიკამ მოუტანა, რომელიც მონღოლთა მიერ მანამდეც წარმატებით გამოიყენებოდა თუნდაც ქართველების წინააღმდეგ 1220 წელს, და მოგვიანებითაც, 1223 წელს რუს-ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ კალკასთან გამართული ბრძოლის დროს. მონღოლთა საბრძოლო ტაქტიკის არსი შემდეგში მდგომარეობდა: მონღოლთა ერთიანი ლაშქარი, რომელიც ცხენოსნებისგან შედგებოდა, ბრძოლის წინ ორ ან მეტ შენაერთად იყოფოდა. ერთ-ერთი შენაერთი მოწინააღმდეგის ჯარების წინააღმდეგ იწყებდა შეტევით მოქმედებებს. მანამდე კი, დანარჩენი შენაერთები ფარულად იკავებდნენს წინასწარ მომზადებულ ხელსაყრელ პოზიციებს და აწყობდნენ ჩასაფრებას. ბრძოლის დაწყებიდან მცირე ხანში მონღოლთა ჯარის ძირითადი ნაწილი, რომელიც ბრძოლაში იყო ჩაბმული, დამარცხებულის იმიტირებით იწყებდა უკან დახევას, რაც მალე გაქცევაში გადაიზრდებოდა. მონღოლთა გაქცეულ ჯარს უკან დადევნებული მოწინააღმდეგის ჯარი ჩასაფრებაში მყოფი მონღოლებისკენ მიჰყავდა, სადაც დაღლილი და დანაწევრებული მოწინააღმდეგე მონღოლთა ორმაგი და ხშირად ჯვარედინი დარტყმის ქვეშ ექცეოდა. ასეთ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა მონღოლი ცხენოსნის ძირითადი იარაღი – მსუბუქი მშვილ-ისარი, რომლის შესაძლებლობები სათანადოდ არ იქნა შეფასებული არც ქართველების, არც რუსების და არც ევროპული არმიების მიერ. თავისთავად ცხადია, რაინდთა იარაღითა (ფარი და მახვილი) და რაინდული კოდექსის ტრადიციებით მებრძოლი მხარე გამოუცდელი და უსუსური იყო ასეთ ბრძოლაში. რაინდთა ღირსების კოდექსის მიხედვით აზიელ მეომართა ძირითადი საბრძოლო იარაღის, მშვილდ-ისრისა

ნიშნად შუბზე ააცვეს[138]. ლეგნიცა მონღოლებმა დაანგრიეს და გაძარცვეს. ქალაქი მთლიანად გაუდაბურდა. მორავიის ჰერცოგი, ბოლესლავ II, ქალაქის დამფუძნებელი, გეგმაზომიერად აშენებდა მას მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

მონღოლთა მიერ ელბაზე, ლეგნიცასთან განხორციელებული შეტევა მხოლოდ დიდი მასშტაბის ყურადღების გადამტანი მანევრი იყო. ზუსტად იმ დროს კი, როცა ლეგნიცასთან ბრძოლა მიმდინარეობდა, მონღოლთა სარდალი სუბუდაი თავისი ლაშქრის ძირითადი ნაწილით დათოვლილი კარპატების უღელტეხილზე გადავიდა, უზარმაზარი მდინარე გადაკვეთა[139] და უნგრეთის დაბლობში შეიჭრა[140]. ასეთი მოქმედება მონღოლთა მთავარ ტაქტიკას – რამდენიმე ადგილზე ერთდროულად თავდასხმას შეესაბამებოდა.[141] მონღოლთა ლაშქარი ძალიან სწრაფად მოძრაობს. სამ დღეში სუბუდაი ოთხას კილომეტრს იტოვებს უკან. წარმოუდგენელი ტემპია. 10 აპრილს, ლეგნიცის ბრძოლის მომდევნო დღეს, უნგრეთის მეფემ, ბელა IV-მ[142] თავის ლაშქართან ერთად მოჰთან, მდინარე შაიოზე წინააღმდეგობა გაუწია ბათო ყაენის ცხენოსნებს. მონღოლებმა სცადეს მდინარეზე გადებული ხიდის აყრა, მაგრამ საპასუხო დარტყმა მიიღეს.

თვითონ ბელა მოიერიშე ჯგუფთან ერთად ხიდზე გადავიდა, ორივე ნაპირი გაამაგრა მძიმე, ერთმანეთზე გადაბმული ურმებით და ძლიერი წრიული თავდაცვითი პოზიციები მოაწყო. მის წინ ბათოს მეომრები დგანან. ბელას ამოცანა თავდასხმის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნებაა. უნგრეთის მეფეს გამარჯვების დიდი იმედი აქვს. მაგრამ მისი მოლოდინები მცდარია. მას წარმოდგენა არა აქვს მონღოლთა საბრძოლო ტაქტიკაზე და არ იცის, რომ მონღოლთა მთავარი ძალები ღამით, მდინარის დინების ქვემოთ ფონს გავიდნენ და ზურგიდან მიუახლოვდნენ მის პოზიციებს. გარიჟრაჟზე ბათო ყაენი ფრონტალური შეტევით უნგრელების მიერ მოწყობილი ურმების ხერგილს ესხმის თავს. უნგრელები ცდილობენ თავდასხმის მოგერიებას, მაგრამ ამ მომენტში მათ ზურგიდან სუბუდაის მხედრები ესხმიან თავს და მარწუხებში აქცევენ მათ.

სისხლისმღვრელ ხოცვა-ჟლეტაში თითქმის ყველა უნგრელი იღუპება. მხოლოდ რამდენიმე მათგანი ახერხებს გაქცევას, მათ შორის, მეფე ბელა IV. იგი უნგრეთიდან დალმაციაში გარბის და იქიდან ცდილობს ახალი წინააღმდეგობის ორგანიზებას. იგი თხოვნით მიმართავს გერმანიის იმპერატორს, ფრიდრიხ II-ს, რომელსაც სიცილიაში აქვს

და არბალეტის გამოყენება ბრძოლაში უკადრისი და მიუღებელი საქციელი იყო. სწორედ ასეთ სწრაფ და მანევრულ საკავალერიო ბრძოლაში ხდებოდა მონღოლთა მიერ მშვილდ-ისრის გამოყენებით დაპირისპირებული მხარის ხაფანგში შეტყუება და მისი განადგურება. ბრძოლის ასეთი ტაქტიკის გამოყენებით ფაქტიურად სრულად იქნა განადგურებული უნგრელ-ხორვატთა 100 ათასიანი (სხვა ცნობებით 60 ათასიანი) არმია და პოლონელ-გერმანელ რაინდთა ელიტის დიდი ნაწილი.

138 სხვა ცნობით მონღოლებმა ჰაინრიხის ჯარი გაანადგურეს, თვითონ იგი კი, ბრძოლის ველზე დაიღუპა. მისი გვამი ფეხის ტერფით ამოიცნეს, რადგან მას ფეხზე ექვსი თითი ჰქონდა.

139 აქ მდინარე დუნაიზეა საუბარი.

140 მონღოლთა ლაშქარის რაოდენობა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში შეიჭრა 100 ათასს არ აღემატებოდა. ამასთან სარდალ ბაიდარის ხელმძღვანელობით პოლონეთში შეჭრილი მონღოლთა ლაშქარი 3 დუმანს შეადგენდა, რაც დაახლოებით 30 ათას მეომრად უნდა შეფასდეს. მონღოლთა ძირითადი ძალა კი სამ ნაწილად გაიყო, რომლებიც უნგრეთში შეიჭრნენ. გილიომ დე რუბრუკის ცნობებით, 1253 წლისათვის უნგრეთის მეფის ჯარი 30 ათასს ითვლიდა. ბრძოლის წინ უნგრელებს გრაფ კოლომანის სარდლობით ხორვატთა 30 ათასიანი არმიაც შეუერთდა. ასე, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნგრულ-ხორვატული გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 60 ათას კაცამდე უნდა შეფასდეს. სხვა ავტორთა მონაცემებით კი, ევროპელთა ეს ლაშქარი 100 ათასს აღწევდა. თუმცა, ბრძოლის შედეგზე ამ რიცხვს არ უმოქმედია.

141 სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, მონღოლთა ევროპული ლაშქრობა, ტრადიციისამებრ, მათი ძალების სტრატეგიული დაყოფის პრინციპით განხორციელდა. საერთო ჯამში, მონღოლებმა ევროპის ტერიტორიები ხუთი არმიის ძალებით დალაშქრეს. ორი არმია პოლონეთში შეიჭრა, ერთი ტრანსილვანიაში. მონღოლთა მთავარი, მეოთხე არმია, ბათო ყაენისა და სუბუდაის სარდლობით უნგრეთში შეიჭრა, ხოლო მეხუთე არმია, რომელსაც ბათოს ძმა, შიბანი სარდლობდა, მონღოლთა ძირითადი ძალების ჩრდილოეთით გადაადგილდებოდა და მონღოლთა სტრატეგიულ რეზერვს წარმოადგენდა.

142 ბელა IV (უნგრ. Béla) (1206-1270წ.წ.) – შტირიის ჰერცოგი 1254-1258 წლებში და არპადების დინასტიის უნგრეთის მეფე 1235 წლიდან სიკვდილამდე. ანდრაშ II ჯვაროსნის შვილი და ბელა III-ის შვილიშვილი. უნგრეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და სახელოვანი მეფე. მან გააძლიერა უნგრეთში სამეფო ხელისუფლება და მონღოლთა ბატონობის შემდეგ აღადგინა უნგრული სახელმწიფო. მადლიერი უნგრელი ხალხი მას „უნგრეთის მეორე დამაარსებელს" უწოდებს.

რეზიდენცია. დახმარების სანაცვლოდ ბელა მას მთელ უნგრეთს სთავაზობს ლენად. მაგრამ ყველა მისი მცდელობა უშედეგოა, ფრიდრიხი და გერმანელები არ მოდიან. უნგრეთი დაუცველი რჩება და მონღოლები ანადგურებენ მას. მოსახლეობას ჟლეტენ ან მონებად მიჰყავთ.

მონღოლებმა მინდვრებზე იურტები გამართეს და ცხენები საძოვარზე გაუშვეს. ვენაში და ევროპის სხვა ქალაქებში შიშია გაბატონებული. ზამთრის პირზე ბარბაროსები დასავლეთ ევროპას შეესივნენ და ხოცვა-ჟლეტა გააგრძელეს. გერმანიის, ნიდერლანდებისა და იტალიის ქალაქები მიწასთან გაასწორეს – მალე აღარ იარსებებს რომი და პარიზი. პარიზში ლუდოვიკო IX უიმედოდ ცდილობს რაინდთა ლაშქრის ჩამოყალიბებას, მაგრამ რამდენიმე ათას კაცზე მეტს ვერ აგროვებს. ყველას კარგად ესმის, რომ ასეთი მცირე ძალები საკმარისი არ არის. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ვერ შეძლებენ მონღოლთა ურდოს შეჩერებას და მთელი დასავლეთ ევროპა მალე უდაბურ ადგილად იქცევა. მონღოლ-თათრები მომავალ ზამთარსაც მოვლენ და ყველაფერს გაანადგურებენ, ამაში დარწმუნებულები არიან ყველგან – ვენაში, პარიზსა თუ რომში. ევროპა სრულ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი[143].

მაგრამ ადამიანები ამჯერადაც ცდებიან. ისტორიამ აქაც იხუმრა. ამჯერად ეს ევროპელთათვის კეთილი ხუმრობა იყო. ხდება საოცრება: 1242 წლის დასაწყისში მონღოლები მოულოდნელად უკან, აღმოსავლეთისკენ იხევენ და ევროპას ტოვებენ. მიზეზი ერთდროულად ძალიან პროზაული და ძალიან განსაცვიფრებელია – შორეულ აზიაში დიდი ყაენი, უგედაი აღესრულა, ჩინგიზ ყაენის მესამე ვაჟი.[144] დიდი ჩინგიზის მიერ შემოღებული მონღოლთა მოქმედი უზენაესი კანონის მიხედვით, როცა დიდი ყაენი გარდაიცვლებოდა, მონღოლი მეთაურები თავის ჯარებთან ერთად უკან უნდა მობრუ-ნებულიყვნენ ყურულთაის[145] მოსაწყობად და ახალი ყაენის ასარჩევად. ამ კანონს ემორჩილებოდა ყველა მონღოლი მეთაური. ამჯერადაც არ დაარღვიეს მათ კანონი, ევროპიდან უკან დაიხიეს და ცენტრალური აზიისაკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგნენ. ჯარებიც მორჩილად გაჰყვნენ უკან თავიანთ მეთაურებს.[146]

დიახ, ისტორიამ კიდევ ერთხელ იხუმრა. ათასობით კილომეტრს იქით ერთი ადამიანის სიკვდილმა დასავლეთი ევროპა გარდაუვალი კატასტროფისგან იხსნა – მონღოლები უკან აღარ დაბრუნებულან. ევროპა გადარჩა.

---

143 ბევრი სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, მონღოლები თავიანთ ლაშქრობებსა და საომარ კამპანიებს როგორც წესი, ზამთრის დადგომასთან ერთად იწყებდნენ, მაშინ, როცა მათი ცხენები უკვე კარგად იყვნენ დასვენებულნი, გამოკვებილნი და მზად იყვნენ დიდ დისტანციებზე ხანგრძლივი ლაშქრობებისთვის.

144 ჩინგიზ ყაენის შვილებმა მამის გზა გააგრძელეს. ისინი მონღოლებსა და მათ მიერ დაპყრობილ ხალხებს XX საუკუნის 20-იან წლებამდე მართავდნენ. მანჯურიის იმპერატორები, რომლებიც მონღოლეთსა და ჩინეთს მართავდნენ XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე, ჩინგიზ ყაენის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ ქალიშვილის ხაზით. XX საუკუნეშიც, მონღოლეთის პირველი პრემიერ მინისტრი, საინ-ნოინ-ხან ნამნანსურენი (1911-1919წ.წ.) და შიდა მონღოლეთის მმართველები 1954 წლამდე, აგრეთვე ჩინგიზ ყაენის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ.

145 ყურულთაი – მონღოლური და თურქული წარმომავლობის ხალხების წარჩინებულთა და ტომების ბელადთა საყოველთაო ყრილობა. ასევე, ზოგიერთი თურქული მოდგმის ხალხების (ნოღაელები, ბაშკირები, ყირგიზები, ყირიმელი თათრები, ტუველები, ჩუვაშები, ალტაელები და სხვ.) საერთო-სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელად. ყურულთაი ევროპული პარლამენტების გარკვეულ ანალოგიად შეიძლება ჩავთვალოთ. ყურულთაის, როგორც საერთო-სახალხო ყრილობის ცნება, პირველად ჩინგიზ ყაენის მიერ იქნა შემოტანილი XII საუკუნეში. მან ცალკეული მომთაბარე მონღოლური ტომები გააერთიანა, რომლებიც მანამდე ცხოვრებისა და მეურნეობის მომთაბარე და განცალკევებულ წესს მისდევდნენ. ხშირად ისინი ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ, რაც მათ შორის ბრძოლებისა და ომების მიზეზიც გამხდარა. ეს სიტყვა პირველად ნახმარია მონღოლთა წმინდა თქმულების 282-ე პარაგრაფში "Yeke Qurilta"-ს ფორმით. მონღოლურ სამყაროში ყურულთაის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

146 უკან მიმავალ გზაზე მონღოლთა ურდოებმა სერბეთისა და ბულგარეთის ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები გაანადგურეს.

თემუჩინი (ჩინგიზ ყაენი)
(1155-1227)

მდინარე ონონი. ჩინგიზ ყაენის დაბადების ადგილი

ჩინგიზ ყაენი და ოთხიდან მისი სამი ვაჟი. ჯამი ალ-თავარიქის ხელნაწერის ილუსტრაცია, XV საუკუნე

ჩინგიზ ყაენი, მისი მხედართმთავრები ჯებე და სუბუდაი, მრჩეველი ელუ ჩუ ცაი, ცოლი, შვილები და მსახურები



მონღოლთა ლაშქრობების ძირითადი მიმართულებები
და ქრონოლოგია 1206-1227 წლებში



მონღოლთა ლაშქრობების ძირითადი მიმართულებები
და ქრონოლოგია 1229-1241 წლებში

მონღოლთა ლაშქრობების ძირითადი მიმართულებები და ქრონოლოგია 1246-1259 წლებში



მონღოლთა ლაშქრობების ძირითადი მიმართულებები და ქრონოლოგია 1260-1294 წლებში

მძიმედ შეჭურვილი მონღოლი ცხენოსანი და
მისი საბრძოლო აღჭურვილობა

მონღოლთა მშვილდოსანი კავალერია

მონღოლი მსუბუქი ცხენოსანი

მონღოლთა მძიმე კავალერია. სპარსული მინიატურა

მონღოლთა მძიმე კავალერია ბრძოლის ველზე. რეკონსტრუქცია

სუბუდაი. ჩვენამდე მოღწეული სუბუდაის ერთადერთი ჩინური ნახატი

მონღოლთა შეჭრა ჩინეთში

მონღოლები უტევენ ხვარაზმს



ბაღდადის დაცემა. წინა პლანზე – მძიმედ შეჭურვილი მონღოლი მეომრები.
მარცხენა ქვედა კუთხეში კარგად ჩანს საალყე კატაპულტა



პაპი გრიგოლ IX (1150-1241)

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი (1194-1250)

მონღოლთა შეჭრა პოლონეთის სამეფოში. 1260 წელი



ჰაინრიხ II (მარჯვნიდან მეორე). XIV საუკუნე



ჰაინრიხ II-ის სამფლობელო 1239 წელს

ტამპლიერთა კავალერია შეტევაში

ტამპლიერები მონღოლთა წინააღმდეგ

მონღოლთა შეჭრა უნგრეთში



ბრძოლა ლეგნიცასთან. XIV საუკუნის მინიატურა

ბრძოლა ლეგნიცასთან. 1630 წელს შესრულებული ნახატი. ჩანს მონღოლთა მიერ გადამწვარი ქალაქი და შუბზე აცმული ჰაინრიხის თავი



ჰაინრიხ II-ის სიკვდილი.
XVI საუკუნის მანუსკრიპტი

ბელა IV (1206-1270)

ბელა IV გაურბის მონღოლებს მდინარე შაიოსთან გამართულ ბრძოლაში

მოჰის ბრძოლა



მოჰის ბრძოლის სქემა

უგედაი (1186-1241)

ულან-ბატორი, 2006 წელი. მთის ფერდობზე გამოკვეთილი ჩინგიზ ყაენის გამოსახულება

§2.4. კრესის კატასტროფა (კრესი, 1346 წლის 26 აგვისტო)

იმ დროს, როდესაც გერმანიაში 1806 წლამდე მეფის ან იმპერატორის უმაღლესი წოდება არჩევნებით განისაზღვრებოდა, ინგლისსა და საფრანგეთში იგივე საკითხი უკვე განსხვავებულად წყდებოდა. აქ სამეფო წოდება მემკვიდრეობით გადაეცემოდა. თუ მეფე გარდაიცვლებოდა, მისი მემკვიდრე უფროსი ვაჟი ხდებოდა, თუნდაც იგი არასრულ-წლოვანი ყოფილიყო. არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა ორივე ქვეყანაში ბავშვები ხდებოდნენ მეფეები.

ინგლისის მეფე ედუარდ III მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო[147], როცა მისი ზნედაცემული და აღვირახსნილი მამა 1327 წლის 13 იანვარს ტახტიდან ჩამოაგდეს და ძალიან მალე მოკლეს კიდეც. ედუარდი წარმოშობით კაპეტების ფრანგული დინასტიიდან იყო, რომელიც 987 წელს ჰუგო კაპეტის ტახტზე ასვლის დროიდან ნიშნავდა საფრანგეთის ყველა მეფეს. სწორედ ასეთი მდგომარეობა იქცა კონფლიქტის მიზეზად, რომელიც ასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელმაც ორივე ქვეყანა, ინგლისიც და საფრანგეთიც სისხლიან ომში ჩაითრია. 1328 წელს საფრანგეთის გვირგვინი ვალუათა დინასტიას, კაპეტების გვერდით შტოს გადაეცა, და ფილიპე VI ვალუაც, შესაბამისად საფრანგეთის ახალი მეფე გახდა.[148] ედუარდი პროტესტს გამოთქვამს თავისი დედის, იზაბელას მიმართ და ითხოვს საფრანგეთის სამეფო ტახტს.[149]

კანონიერების მხრივ თითქოს ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ როგორ უნდა აღასრულოს ედუარდ III-მ თავისი მოთხოვნა? საფრანგეთი დიდი და ძლიერი ქვეყანაა და მოსახლეობის რაოდენობითაც რამდენჯერმე აღემატება ინგლისს. მას უფრო მრავალრიცხოვანი ჯარიც ჰყავს და ედუარდ III-ის პატარა ლაშქარი ფრანგების ლაშქართან შედარებით რიცხობრივად არა მხოლოდ ნაკლები, არამედ გამოუცდელიცაა. ამასთან საფრანგეთს მძიმედ შეჯავშნული რაინდების მძლავრი კავალერია ჰყავს. რვა ათასზე მეტი რაინდი, ეს უძლეველი სამხედრო ძალა და ფრანგი დიდებულების სიამაყე, თავისი შეჯავშნული ცხენებით ყოველთვის მზადაა ნებისმიერი თავდამსხმელისგან დაიცვას თავისი ქვეყანა და მეფე.

ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ რაინდის აღჭურვილობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მოკლე ჯაჭვის პერანგი გრძელმა შეცვალა. რაინდი აღჭურვილი იყო ასევე მუზარადით, რომელიც მთელ სახეს ფარავდა. ამასთან გამოიყენებოდა ჯაჭვის შარვალი, წინდები, ჩექმები და ხელჯაგი, რომელიც ფოლადის ჯაჭვის ნაწილებისგან შედგებოდა. ამის შიგნით რაინდს ეცვა პერანგი, შარვალი და ბამბის ქურთუკი. სამკერდე აღჭურვილობის შიგნით მას შეკრული ჰქონდა მძიმე, ლითონის ფირფიტებით გამაგრებული ტყავის ქურთუკი. საერთო ჯამში, რაინდის საბრძოლო სამოსის წონა ორმოც გირვანქას[150] შეადგენდა, რომელსაც თვითოეული „რკინის კაცი“ ატარებდა. მაგრამ ეს კიდევ არაა

---

[147] აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ედუარდ III, ინგლისის მეფე ედუარდ II-ისა და საფრანგეთის მეფის, ფილიპე IV-ის ქალიშვილის, იზაბელას ვაჟი პლანტაგენეტების დინასტიიდან, სამეფო ტახტზე 1327 წელს ავიდა. მაშინ იგი 15 წლისა იყო.

[148] ფილიპე VI ვალუა (ფრანგ. Philippe VI de Valois) (1293-1350წ.წ.) – საფრანგეთის მეფე 1328 წლიდან, ვალუას გრაფის, კაპეტთა სამეფო დინასტიის უფროსი შტოს უკანასკნელი წარმომადგენლის, კარლოს IV ლამაზისა და მისი პირველი ცოლის, მარგარიტა ანჟუ-სიცილიელის ვაჟი, საფრანგეთის სამეფო ტახტზე ვალუათა სამეფო დინასტიის ფუძემდებელი.

[149] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისის დედოფალი და ედუარდ III-ის დედა, იზაბელა, კაპეტების დინასტიის საფრანგეთის მეფის, ფილიპე IV „ლამაზის" ქალიშვილი იყო. ედუარდ III პლანტაგენეტის მიერ საფრანგეთის ტახტის დაკავებაზე წაყენებული სწორედ ეს პრეტენზიები იქცა ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაწყებული ე.წ. „ასწლიანი ომის" მიზეზად, რომელიც 1337-1453 წლებში მიმდინარეობდა.

[150] გირვანქა (ლათ. Pondus, ინგლ. Pound, ფრანგ. Livre, არაბ. رطل) – მასის ერთეული. ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეების ევროპასა და აღმოსავლეთში, თუმცა მისი მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ სიდიდეს შეესაბამებოდა. ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (SI სისტემა) შემოღებამდე 1 გირვანქა წარმოადგენდა 7000 ცალი მარცვლის მასას, ამიტომ იყო მისი მნიშვნელობები განსხვავებული. 1 გირვანქის მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყანაში 320-დან 500 გრამამდე მერყეობდა.

ყველაფერი. თუ რაინდის აღჭურვილობას დავუმატებთ შუბს, ფარს, ცულს, კომბალს, ასევე ოცდაათი სანტიმეტრის სიგრძის სატევარს და გრძელ მძიმე ხმალს, მაშინ თავზარდამცემ სურათს მივიღებთ. ეს იყო თითქმის სამი მეტრის სიმაღლის კოლოსი, რომელიც, როგორც მხეცი კენტავრი – ნახევრად კაცი, ნახევრად ცხენი, პირდაპირ მიმართული გრძელი შუბით მიჰქროდა მოწინააღმდეგისკენ, რომელთან შებრძოლებაც შეუძლებელი იყო. თუმცა ამ კოლოსსაც ჰქონდა თავისი სუსტი წერტილი. ასე მძიმედ შეჭურვილი რაინდის მოძრაობა და მობრუნება ძალიან შეზღუდული იყო. თუ რაინდი ცხენიდან ჩამოვარდებოდა, მას დამოუკიდებლად უკვე ძალიან უჭირდა ფეხზე ადგომა, ხოლო ხელახლა მისი ცხენზე შეჯდომა შეუძლებელი იყო.

რაინდის ჯავშანი, საბრძოლო აღჭურვილობა და საბრძოლო ცხენი, ასევე, რაინდის მრავალწლიანი სწავლება და წვრთნა, ძალიან ძვირი იყო. თუ ამ ყველაფერს დღეს არსებულ ფასებში დავიანგარიშებთ, ასეთი მებრძოლის შენახვა დაახლოებით ნახევარი მილიონი მარკა დაჯდება. ასეთი გათვლით, რვა ათასი რაინდის აღჭურვილობის ინვესტიცია დღევანდელი კურსით დაახლოებით ოთხი მილიარდი მარკა იქნებოდა, რაც უზარმაზარი თანხა არის დღესაც და იყო მაშინდელ პირობებშიც. არც ერთ სხვა ქვეყანას არ შეეძლო მსგავსის წარმოდგენა. ამას ემატებოდა კიდევ ერთი რამ, რაც მეფე ედუარდის საფრანგეთზე გამარჯვების შანსს ნულამდე ამცირებდა. ოთხი ათას ფრანგ ქვეით ჯარისკაცს შორის იმყოფებოდნენ კონდახიანი მშვილდის, არბალეტის მსროლელები – რჩეული და გამოცდილი გენუელი ჯარისკაცები. არბალეტი საშიში, მომაკვდინებელი და თითქმის უხმო იარაღი იყო. მას ნახევარ მეტრზე მეტი სიგრძის, რკინისბუნიკიანი ისარი ჰქონდა, რომელსაც სამოცი მეტრის მანძილიდან შეეძლო იმ დროისათვის არსებული ნებისმიერი ჯავშნის გახვრეტა. თითის სისქის ლარი მძლავრად იყო გაჭიმული ჯალამბრის მექანიზმით. არბალეტში მშვილდისა და სასროლი იარაღის ძალა იყო გაერთიანებული და იგი მიზანში მოხვედრების დიდი სიზუსტით გამოირჩეოდა.

რაინდთა ღირსების კოდექსის მიხედვით, რაინდები მას ეშმაკის ვერაგ და უკანონო იარაღად მიიჩნევდნენ, რის გამოც მისი გამოყენება 1139 წლიდან ლატერანის მეორე კრებაზე აიკრძალა. თავისუფლების დიდმა ქარტიამ არბალეტი არაკანონიერ იარაღად აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ მათ, ვინც არბალეტს იყენებდა, ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდა, ფილიპე VI-მ თავისი რაინდების ლაშქარი მაინც გააძლიერა შიშის მომგვრელი გენუელი დაქირავებული მსროლელებით. იმ დროისათვის ძლიერ და მოსახლეობის რაოდენობით ხუთჯერ აღმატებულ საფრანგეთთან შედარებით ინგლისი პატარა და სუსტი სახელმწიფო იყო. ახალგაზრდა ედუარდი საკმაოდ ჭკვიანი იყო, რათა სწორი დასკვნები გამოეტანა. თავდაპირველად, 1329 წელს, იგი საფრანგეთის მეფეს ეფიცება ერთგულებას, შემდეგ კი, ედუარდი აქვიტანიის ჰერცოგად და ამასთან ფილიპე VI-ის ვასალად გვევლინება. ამ მომენტიდან დაწყებული ვითარება თანდათან რთულდება და მალე ჩიხში შედის. ომის ნამდვილი მიზეზი მოგვიანებით გახდება ნათელი, მაშინ, როცა ედუარდი ვასალის მოვალეობის შესრულებაზე უარს განაცხადებს.

თავდაპირველად ედუარდი პოზიციების გამაგრებაზე ზრუნავს საკუთარ ქვეყანაში. იგი ქვეყნის სამხედრო ძლიერებას ზრდის და ამას თავისებურად აკეთებს. ედუარდი რაინდთა ინსტიტუტისა და რაინდთა ღირსების კოდექსის ერთგულია, აღიარებს მის სრულყოფილებას, აცოცხლებს მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ლეგენდებს და დიდებულების ახალ ორდენს აფუძნებს[151]. ამ ხერხით იგი დიდებულებს

[151] „მრგვალი მაგიდის", ან სხვანაირად, ბრიტთა ლეგენდარული ბელადის, „მეფე არტურის რაინდები", მეფე არტურის შესახებ არსებული ბრიტანული ეპოსის პერსონაჟები არიან. ლეგენდების მიხედვით რაინდთა რაოდენობა 150-მდე იყო. სხვადასხვა წყაროები რაინდთა სხვადასხვა რაოდენობას მუთითებს. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ რაინდს შესაძლებელია მართლაც ჰყოლოდა ისტორიული პროტოტიპი. ბრიტანული თქმულებების მიხედვით, ისინი წმინდა გრაალის ძიებით იყვნენ დაკავებულნი. გადმოცემის თანახმად, V-VI საუკუნეების კელტთა (ბრიტების) ლეგენდარულმა ბელადმა არტურმა დაამარცხა და გაანადგურა დამპყრობელი საქსები და ასე ჩაეყარა საფუძველი ბრიტანული ეპოსისა და მრავალრიცხოვანი რაინდული რომანების ყველაზე სახელგანთქმული გმირის სახეს. მეფე არტურის ლეგენდარულ ხმალს „ექსკალიბურს" მისტიკური და ჯადოსნური თვისებები გააჩნდა.

თავის გარშემო იკრებს. ედუარდის საყვარელი საქმიანობა რაინდთა ტურნირების გამართვა და საბრძოლო თამაშებია. მისი აზრით, ბრწყინვალებითა და დიდებულებით, სადღესასწაულო ქეიფებითა და დიდებულ ტურნირებში მონაწილეობით პიროვნებას რაინდობის ბრწყინვალე მაგალითი შეუძლია გახდეს. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მეფე ედუარდი ომისათვის აშკარა სამზადისს იწყებს. იგი ახერხებს ინგლისის პარლამენტის დაყოლიებას იმაზე, რომ მისცენ ლაშქრის ჩამოყალიბებისა და მოგვიანებით ომის დაწყების საშუალება.

ინგლისელთა არმია თავისი შემადგენლობით მრავალფეროვანია. პირველ რიგში, მის არმიაში მძიმედ შეჭურვილი რაინდები ირიცხებიან. რა თქმა უნდა, ფრანგ რაინდებთან შედარებით ისინი მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ ჯარების ეს გვარეობა მეფე ედუარდის სიამაყეა. მას ქვეითი ჯარიც ჰყავს შუბოსნების სახით. მაგრამ ყველაზე დიდ იმედებს იგი მსუბუქ, მარდ მხედრებზე და, უპირველეს ყოვლისა, უელსელ გრძელი მშვილდის მსროლელებზე ამყარებს, რომლებსაც ის სისტემატურად აძლიერებს. ურთხელის ორი მეტრის სიგრძის მშვილდით შესაძლებელია რკინისბუნიკიანი, ერთი მეტრის სიგრძის ისრის თითქმის სამას მეტრზე სროლა და ამასთან, მომაკვდინებელი სიზუსტით. გამოცდილი მსროლელი წუთში თორმეტ ისარს ისვრის, აშკარად უფრო მეტს, ვიდრე მეარბალეტე, რომელსაც წუთში მხოლოდ ორი ისრის სროლა შეეძლო. ისრების ასეთი ხშირი სეტყვა მორალურად და ფიზიკურად ანადგურებდა მოწინააღმდეგეს.

რამდენიმე წელიწადში ედუარდმა თავი საკმაოდ მომზადებულად იგრძნო, რათა საფრანგეთის სამეფო ტახტზე ხმამაღლა განეცხადებინა თავისი პრეტენზიები და საფრანგეთის წინააღმდეგ გაელაშქრა. თავდაპირველად მას კავალერიის სადაზვერვო ოცეულები გადაჰყავს ფლანდრიასა და ბრეტანში. მისი ჯარისკაცები ძარცვითა და ხანძრის გაჩენის მუქარით უწესრიგოდ მიიწევენ საფრანგეთის გულისაკენ. 1346 წლის ზაფხულში კი, ედუარდი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. დაახლოებით 10 ათასკაციანი ლაშქრით იგი კოტანტენის ნახევარკუნძულს მიადგება და აგვისტოში მდინარე სომაზე გადადის. მალე იგი ფრანგთა ჯარს უახლოვდება.

ედუარდი თავისი ჯარის განლაგებისა და მომავალი ბრძოლისათვის ხელსაყრელ ბრძოლის ველს ეძებს. იგი მას პოულობს ტყესთან ახლოს, მდინარე სომას ჩრდილოეთით, პიკარდიაში, პატარა სოფელ კრეს-ან-პონტის მახლობლად, რამდენიმე კილომეტრზე აბვილის ჩრდილოეთით და არც ისე შორს ყურის სანაპიროდან. განიერ, ტერასის ფორმის დამრეც ფერდობზე თავის ჯარს იგი სამ ჯგუფად ანაწილებს. დაახლოებით რვაას რაინდსა და ათას შუბოსანს განათავსებს ფერდობის მარჯვნივ, უელსის პრინცის[152] მეთაურობით და იმდენივე რაინდს მარცხნივ, ნორთჰემპტონის გრაფის[153] მეთაურობით. თვითონ ედუარდი კი შვიდას რაინდთან ერთად უკან, კრესის ქარის წისქვილებთან ახლოს, ცენტრში დგას, სადაც მისი მთავარი შტაბია განლაგებული.

უკან მდგომი ჯარის ორივე მხარეს იგი განალაგებს ორი ათას მშვილდოსანს, დანარჩენ სამი ათასს კი – წინა მხარეს. ედუარდის მითითებით, მშვილდოსანთა პოზიციების წინ თხრიან ორმოებს და არჭობენ წვერწამახულ ბოძებს, რათა ფრანგ რაინდთა კავალერიის შეტევისაგან უკეთ დაიცვან მშვილდოსნები. მოშორებით, შემოღობილ ტერიტორიაზე ცხენები და საბარგო ურმებია განლაგებული, ასევე მთელი დამხმარე პერსონალი. საერთო ჯამში, ეს კარგი თავდაცვითი პოზიციაა, რადგან ედუარდი ვარაუდობს, რომ ფრანგი რაინდები, თავიანთი ქცევის კოდექსიდან გამომდინარე, მხოლოდ ფრონტალურად დაესხმებიან თავს[154].

---

[152] აქ საუბარია ედუარდ ვუდსტოკზე, ე.წ. „შავ პრინცზე", გამოჩენილ სარდალზე, მეფე ედუარდ III-ის უფროს ვაჟზე, აქვიტანიის მმართველზე. 1333 წელს მან მიიღო ჩესტერის გრაფის, ხოლო 1337 წელს – კორნუოლის ჰერცოგის ტიტული.

[153] აქ საუბარია უილიამ ბოგუნზე, ნორთჰემპტონის პირველ გრაფზე 1337 წლიდან, ინგლისის უმაღლეს კონსტებლზე 1338 წლიდან და ბრეტანის გუბერნატორზე, გამოჩენილ სარდალსა და პოლიტიკურ მოღვაწეზე.

[154] 1346 წლის 26 აგვისტოს დილას ინგლისელებმა დაიკავეს პოზიციები კრესისთან მდებარე გორაკზე, აბვილიდან მომავალი გზის დაფერდებაზე. რაინდები ჩამოქვეითდნენ, ინგლისელთა ჯარი კი, სამ ხაზზე განლაგდა: 1-ლი ხაზი

1346 წლის 26 აგვისტოს დილას მეფე ედუარდმა ცხენით შემოიარა საკუთარი ჯარი და გაამხნევა მებრძოლები. შესაძლოა, ეს სჭირდებოდათ კიდევაც, რადგან აბვილიდან მათ უახლოვდებოდათ დაახლოებით ოცდაათი ათასი ფრანგი, ცხენზე ამხედრებული რვა ათასი შეჯავშნული რაინდის წინამძღოლობით, ვიმპელებითა და დროშებით, მათ უკან კი გენუელი მეარბალეტეები ოტონე დორიასა და კარლო გრიმალდის მეთაურობით. ჯერ მარტო რიცხობრივი უპირატესობა, სამი ერთზე, აშკარად მეტყველებდა ფილიპე VI-ის ლაშქრის სიძლიერეზე, მაგრამ ფრანგთა ლაშქარი გრძელ გზაზე მარშირების გამო დაღლილია. მათ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ისინი სველ ტერიტორიაზე მარშირებენ. დილით ცამ პირი მოხსნა და წვიმის ნიაღვარი დაატეხა გენუელების ტყავის ქურთუკებსა და რაინდთა ჯავშანს. როცა ფილიპე გაგზავნილი მზვერავებისგან შეიტყობს, თუ სად დგანან ინგლისელები და რამდენად კარგ პოზიციაზე არიან ისინი, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეჩერდეს და ბრძანოს მთელი ლაშქრის საბრძოლო გაშლა. მაგრამ მისი ამაყი და პატივმოყვარე რაინდები არ ჩერდებიან. მათ უნდათ თავიანთი გავლენისა და ძალის ჩვენება და უდისციპლინოდ მიიწევენ წინ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას დახარბებულნი, ყოველგვარი საბრძოლო წყობისა და წესის გარეშე. ფილიპეს სხვა არჩევანი არა აქვს და იგი იძულებული ხდება დაუყოვნებლივ მიიღოს ბრძოლა. ამიტომ, საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, იგი შეტევაზე გადასვლის ბრძანებს გასცემს და წინ თავის მეარბალეტეებს აგზავნის. გენუელები უახლოვდებიან ინგლისელთა ჯარს, რათა არბალეტის მომაკვდინებელი ისრებით განგმირონ ინგლისელი რაინდები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ახლაც, როგორც ყოველთვის, გამარჯვებას იზეიმებენ. მათ ასევე სჯერათ, რომ მოწინააღმდეგეს ისრებს არ ააცილებენ. ეს საბედისწერო შეცდომაა. შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა – მეარბალეტეები სასროლ მანძილზე მიუახლოვდნენ ინგლისელთა მწყობრს, შეჩერდნენ, მოემზადნენ, დაუმიზნეს და ისროლეს. მომაკვდინებელი ისრების წვიმა ინგლისელებისკენ გაფრინდა.

შიშნარევი მოლოდინით მდგარი ინგლისელები ინსტინქტურად მოიხარნენ წელში, შემდეგ კი გაკვირვებულებმა შენიშნეს, რომ ისარი არავის მოხვედრია. ათას კაცს შვების შეძახილი აღმოხდა. არბალეტებიდან გასროლილი ისრები ინგლისელებამდე ვერ აღწევენ. იმის ნაცვლად, რომ მიზნისთვის მიეღწიათ, ისინი ინგლისელების წინ, მიწაში ერჭობიან და უშედეგოდ თხრიან ფერდობს. ნუთუ გენუელები ხანგრძლივი მარშის შემდეგ დაიღალნენ და ძალა აღარ ჰყოფნით იმისათვის, რომ ზუსტად და საკმაოდ შორს ისროლონ? დაბნეულები ხელახლა მომართავენ არბალეტებს და კიდევ ისვრიან. მაგრამ ვერც ეს ისრები აღწევენ ინგლისელების პოზიციებამდე. საქმე იმაშია, რომ ხშირი წვიმების შედეგად არბალეტების ლარი დასველდა. ამან შეასუსტა დაჭიმვის ძალა, შეამცირა ლარის დრეკადობა და ისრების ფრენის მანძილი, ზოგიერთი ლარი კი საერთოდ გაწყდა.[155]

ახლა კი ინგლისელებმა მოზიდეს თავიანთი გრძელი მშვილდები და სწრაფად ისროლეს. მათი მოქმედების სიშორე ოდნავ აჭარბებდა მოწინააღმდეგისას. ისრების ხშირმა სეტყვამ დაფარა გენუელები და მათი რიგები შეათხელა. შეშინებული და სასოწარკვეთილი მეარბალეტეები იარაღს ყრიან და გარბიან, მაგრამ შორს ვერ მიდიან – უკნიდან ცხენოსანი ფრანგი რაინდები მოიწევენ წინ და ჩეხავენ მათ, რათა გზა გაიკაფონ. ბევრი მათგანი გადაქელეს, ზოგმა რაინდმა კი, ცხენებით შემოუარა საკუთარ დაქირავებულ ჯარს

– 2 ათასი მშვილდოსანი, 800 რაინდი და ათასი ინგლისელი ქვეითი; მე-2 ხაზი – 1200 უელსელი მშვილდოსანი, 800 რაინდი და ქვეითების ნაწილი; მე-3 ხაზი – 2 ათასი მშვილდოსანი, 700 რაინდი და ქვეითები.

155 ისტორიკოსები თვლიან, რომ არბალეტის ლარები მართლაც დაზიანდნენ წვიმის გამო, რადგან ლაშქრობის დროს ლარები არ იყო მოხსნილი არბალეტებიდან. მათ დრეკადობა დაკარგეს. შესაბამისად, ისრის ფრენის მანძილი და დარტყმითი ძალაც შემცირდა. საქმე იმაშია, რომ მეარბალეტეებს ლაშქრობაში თან არ ჰქონდათ წამოღებული ლარების დასამაგრებელი მოწყობილობა და დამცავი ფარები. ეს აღჭურვილობა რაინდთა ლაშქრის უკან მომავალ სატვირთო საზიდრებზე დარჩა. ინგლისელი მშვილდოსნებისთვის კი, წვიმა ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენდა, რადგან მშვილდოსანს თავად შეეძლო ხელით მოეხსნა ლარი მშვილდიდან. მშვილდ-ისრების ლარებით გაწყობა კი მხოლოდ ბრძოლის დაწყების წინ ხდებოდა. ასე, რომ მძიმე საბრძოლო დანაკარგების გამო, გენუელმა მეარბალეტეებმა სწრაფად დაიწყეს უკანდახევა.

და ფრონტალურად შეუტია ინგლისელთა პოზიციებს, განსაკუთრებით, უელსის პრინცის მარჯვენა ფლანგს. ამჯერად ინგლისელი მშვილდოსნები ცხენებს უმიზნებენ. ათი ათასი ისარი ხვდება ფრანგ რაინდთა საბრძოლო ცხენებს და მათ ჯავშანში აღწევს. ცხენები და მათი მხედრები ძირს ეცემიან. რაინდთა პირველი მოიერიშე ტალღიდან თითქმის არც ერთი აღარ რჩება ცოცხალი. შეტევა მოგერიებულია.

თავაწყვეტილი და გამხეცებული ფრანგი რაინდები ეშელონებად და ყოველგვარი საბრძოლო წყობის გარეშე ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს დაბნელებამდე. მთლიანობაში, ფრანგ რაინდთა იერიშის ტალღა თხუთმეტჯერ მაინც განმეორდა. და ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე მათი მდგომარეობა უიმედო არ გახდა[156]. ამ შეტევებს შედეგი არ მოჰ-ყოლია – ფრანგ რაინდთა რიგები ნელ-ნელა თხელდებოდა, კრესის ფერდობები კი, ფრან-გი დიდებულების სისხლით მოირწყა. სხვებთან ერთად ამ ბრძოლაში თვით ფილიპე VI-ც კი დაიჭრა. დაჭრილი მეფე, რომელსაც კეფაში მოხვდა ისარი, ბრძოლის ველს ტოვებს.

ათას ხუთასზე მეტი ფრანგი რაინდი დაიღუპა კრესის ბრძოლაში, მათ შორის, ძალიან ბევრი გრაფი და ჰერცოგი.[157] გაქცეული ფრანგები უმოწყალოდ ამოხოცეს ინგლისელებმა, მიუხედავად მათი წოდებისა და სოციალური მდგომარეობისა, რამაც მეფე ედუარდი ძალიან განარისხა, რადგან მას აღარ შეეძლო მოეთხოვა გამოსასყიდი თანხა დატყვევებული რაინდების სანაცვლოდ.

კრესის ბრძოლა ფრანგებისთვის კატასტროფით და რაინდობის განადგურებით დამთავრდა. მებრძოლის ცნება „რაინდი“ დავიწყებას მიეცა[158]. აშკარაა, რომ რაინდთა შეიარაღებას გზა უნდა დაეთმო ახალი, თანამედროვე იარაღისთვის. ინგლისელების მხარეს დანაკარგი დაახლოებით ას კაცს შეადგენდა[159]. ფრანგების გამანადგურებელ მარცხს მრავალი მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა კი, ეს გამოწვეული იყო გენუელი მეარბალეტეების შეცდომით, რომლებმაც არასწორად შეაფასეს თავიანთი იარაღის მოქმედების მანძილი.

---

156 საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს ინგლისელმა მშვილდოსნებმა რამდენიმე საათის განმავლობაში „ისრების წვიმის“ შენარჩუნება, როგორც ეს წერილობით წყაროებშია მოხსენიებული, ბოლომდე ნათელი არ არის და საკამათოა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინგლისელ მშვილდოსნებს ორი კაპარჭი ჰქონდათ, ამ შემთხვევაშიც, მათი „საბრძოლო კომპლექტი“ მაინც არ შეიძლებოდა 60 ისარზე მეტი ყოფილიყო. მთელ ამ მარაგს მშვილდოსნები 10-15 წუთში დაცლიდნენ. როგორც ჩანს, მშვილდოსნებისთვის „საბრძოლო კომპლექტების“ ოპერატიული მიწოდება იყო ორგანიზებული. კიდევ ერთი „დეტალი“. ფრანგი რაინდები პირდაპირ 18 საათიანი მარშიდან ებმებოდნენ ბრძოლაში გვერდიდან მომავალი გზით – ამიტომ ისინი ისრების არა მხოლოდ ფრონტალური, არამედ ფლანგური „ცეცხლის ქვეშ“ აღმოჩნდნენ ჩართულნი...

157 მეტად საინტერესო და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ კრესის ბრძოლაში ზოგიერთი წერილობითი წყარო პირველად ადასტურებს ჯარების ახალი გვარეობის – საველე არტილერიის საბრძოლო გამოყენების ფაქტს. ერთ-ერთი ავტორი ჟან ფრუასარია (1333-1405წ.წ.) – XIV საუკუნის ფრანგი მწერალი, სახელგანთქმული „ქრონიკების“ ავტორი, სადაც ასწლიანი ომის ისტორიის პირველი ეტაპია აღწერილი. ფრუასარი წერს, რომ „ინგლისელთა ზარბაზნებმა ორჯერ თუ სამჯერ გაისროლეს გენუელების მიმართულებით“... იტალიელი ავტორი, ჯოვანი ვილანი კი ამტკიცებს, რომ ზარბაზნებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ფრანგებს. სროლები დიდხანს გრძელდებოდა, მათ შორის ფრანგი ცხენოსნების წინააღმდეგ: „ინგლისური ზარბაზნები რკინის ბირთვებს ისროდნენ ცეცხლის მეშვეობით... ისინი ქუხილის მსგავს ხმას გამოსცემდნენ და ბევრ ცხენსა და კაცს ჰკლავდნენ... მშვილდოსნები და კანონირები შეუჩერებლად ესროდნენ გენუელებს... ბრძოლის ბოლოს მთელი მდელო მოფენილი იყო ადამიანებით, რომლებიც ისრებითა და ზარბაზნების ბირთვებით იყვნენ დახოცილები...“

158 ავტორის მოსაზრება კრესის ბრძოლით რაინდთა ინსტიტუტის გაქრობის შესახებ გადაჭარბებულია. მართალია, კრესის ბრძოლაში დადასტურდა ინგლისური გრძელი მშვილდის სრული უპირატესობა მძიმედ აღჭურვილი რაინდების წინააღმდეგ და დაიმსხვრა მითი რაინდის სრული უპირატესობის შესახებ მსუბუქ ქვეითებთან ბრძოლაში, მაგრამ კრესის ბრძოლით რაინდთა ეპოქა არ დასრულებულა – სამხედრო ისტორიკოსთა დასკვნებით, იგი შუა საუკუნეების რაინდთა ეპოქის დასასრულის დასაწყისი გახდა მხოლოდ, რასაც ჩვენს ვეთანხმებით. 1346 წლის 26 აგვისტოს კრესის ბრძოლაში ცხენოსან ფრანგ რაინდებზე ინგლისელი მშვილდოსნების გამარჯვებამ, ინგლისი მთელი 100 წლით ყველაზე ძლევამოსილ დასავლეთევროპულ სახელმწიფოდ აქცია. რაინდთა ინსტიტუტი კი, საბოლოოდ, 1415 წლის 25 ოქტომბრის აზენკურისა და 1525 წლის 24 თებერვლის ფავიას ბრძოლებით დასამარდა.

159 სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით, კრესის ბრძოლაში ფრანგთა და გენუელთა დანაკარგები 10 ათასიდან 30 ათას კაცამდე ფასდება. ყველაზე რეალურ რიცხვად კი, 15 ათასი სახელდება მოკლულებისა და დაჭრილების სახით, 11 პრინცისა და 1200 რაინდის ჩათვლით. ინგლისელებმა კი, დაახლოებით 250 მებრძოლი დაკარგეს მოკლულების სახით. ჩვენის აზრით, აქ საკითხის ტენდენციურად წარმოჩენასთან გვაქვს საქმე. ეს რაოდენობა ძალიან შემცირებულია და არ უნდა შეესაბამებოდეს ინგლისელთა რეალურ დანაკარგებს.

ედუარდ III (1312-1377)

„შავი პრინცი"

ფილიპე VI ვალუა (1293-1350)

რაინდის საბრძოლო აღჭურვილობა

კრესის ველი

ჯალამბრიანი არბალეტი

მეარბალეტე



ინგლისური გრძელი მშვილდი

ინგლისელი მშვილდოსანი



ინგლისელი მშვილდოსნები


BATTLE OF
CRECY
26th Aug. 1346
English
French
237 feet
Wadicourt
Ancient Road
To Labroye
210 feet
Park
Horses & carts
Archers
Northampton
KING
Welsh
Black Prince
Archers
Vallée des Clercs
Windmill
Welsh
Archers
Genoese crossbows
First French cavalry attack
Alençon & Flanders
KING & Sir John Hainault
211 feet
Estrées les Crecy
Crecy Church
R. Maye
75 feet
Blois and Loraine
Commons
English route from Blanchelaque Ford
Route of French from Abbeville



ედუარდ III ითვლის კრესის ბრძოლაში დაღუპულებს

მეფე ედუარდ III შავ პრინცს აქვიტანიის სამთავროს გადასცემს.
1390 წელი. ბრიტანული ბიბლიოთეკა

აქვიტანიის სამთავრო

§2.5. არმადის თავდასხმა
(ლა-მანშის სრუტე, 1588 წლის ივლისი-აგვისტო)

პატარა სამლოცველოს კედლებზე მოციმციმე სანთლების ჩრდილები კრთოდა. ჩაბნელებული ოთახის შუაში შავებში ჩაცმული კაცი დაჩოქილიყო და ლოცულობდა. მდიდრულად მორთული სამლოცველო ადგილი მისთვის იყო აგებული. ეს კაცი ესპანეთის მეფე, ფილიპე II ჰაბსბურგი იყო, მსოფლიო იმპერიის მბრძანებელი, იმ იმპერიისა, სადაც „მზე არასოდეს ჩადიოდა“.[160] სამლოცველო მისი სამეფო სასახლის ტერიტორიაზე, ესკორიალში მდებარეობდა, მადრიდთან ახლოს. დაუსრულებელი ჩანდა მისი ჩურჩულით წარმოთქმული ლოცვა, რომლითაც სახელოვანი მეფე მამაზეციერს რჩევასა და თანადგომას სთხოვდა. ფილიპე II მისი ურყევი გადაწყვეტილების – 1587 წლის ზაფხულში ინგლისში შეჭრის წარმატებულად განხორციელებისთვის მხურვალედ ლოცულობდა. მისი განზრახვა ულმობელი იყო. მან, ფილიპე II-მ, კათოლიციზმის ბურჯმა, უნდა დასაჯოს ინგლისის განდგომილი დედოფალი ელისაბედ I ხანგრძლივი თავხედობისა და ურჩობისათვის. მისი მოთმინების ფიალა უკვე დიდი ხანია რაც აივსო. ფილიპეს გადაწყვეტილება ურყევია, მან თავხედი დედოფლის ქვეყანა უნდა დაიპყროს.[161] მამამისის, ჰენრიხ VIII-ის მსგავსად, ისიც ჭეშმარიტი ეკლესიისგან განდგომილი და ერეტიკოსია, რომელმაც უარი თქვა პაპის ძალაუფლების აღიარებასა და რომის ეკლესიაზე.[162] და მან, ქალწულმა დედოფალმა, ამ ინტრიგების მხლართველმა უღირსმა მოწინააღმდეგემ გაუბედა გამოწვევა მას, ფილიპე II-ს, „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ დამცველსა და კონტინენტის უმდიდრეს და უძლიერეს მბრძანებელს.

სინამდვილეში მას არ უნდოდა, რომ ელისაბედს გაეგო თუ როგორ მოსდიოდა ფილიპეს უწყვეტ ნაკადად ფული და ვერცხლი რამდენიმე ათწლეულის წინ აღმოჩენილი ახალი ქვეყნიდან, სადაც ღმერთის სახელით კონკისტადორები[163] შიშს ნერგავდნენ

---

[160] ფილიპე II (ესპ. Felipe II) (1527-1598წ.წ.) – XVI საუკუნის ევროპის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ესპანეთის მეფე ჰაბსბურგთა დინასტიიდან. საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, კარლოს V-ის, იგივე კასტილიისა და არაგონის მეფე კარლოს I-ის შვილი და მემკვიდრე. ფილიპე II 1554 წლიდან იყო ნეაპოლისა და სიცილიის მეფე, ხოლო მამამისის მიერ ტახტზე უარის თქმის გამო, 1556 წლიდან გახდა ესპანეთისა და ნიდერლანდების მეფე და ოკეანისგაღმა ყველა ესპანური სამფლობელოს მმართველი. 1580 წლიდან მან შემოიერთა აგრეთვე პორტუგალია და მისი მეფეც გახდა ფილიპე I-ის სახელით. დაჯერებული კათოლიკე და „მსოფლიო კათოლიციზმის ბურჯი“.

[161] აქ ინგლისისა და ირლანდიის ქალწულ დედოფალზე, ტიუდორების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელზე, ელისაბედ I-ზეა საუბარი (ინგლ. Elizabeth I) (1533-1603წ.წ.) – ინგლისის მეფის, ჰენრიხ VIII-ისა და მისი მეორე ცოლის, ანა ბოლეინის უმცროსი ქალიშვილი. ელისაბედ I-ის მმართველობის პერიოდს „ინგლისის სამეფოს ოქროს ხანას“ უწოდებენ. სწორედ XVI საუკუნის შუა წლები და XVII საუკუნის დასაწყისი უკავშირდება ინგლისში განათლებისა და კულტურის აღმავლობას (შექსპირი, მარლოუ, ბეკონი და სხვ.), აგრეთვე ინგლისისათვის საერთაშორისო პრესტიჟისა და გავლენის დაბრუნება (ესპანელთა „უძლეველი არმადის“ დამარცხება, დრეიკი, რელი, ოსტ-ინდოეთის კომპანიის შექმნა და სხვ.).

[162] ჰენრიხ VIII (ინგლ. Henry VIII) (1491-1547წ.წ.) – ინგლისის მეფე 1509 წლიდან, ტიუდორების დინასტიის მეორე მონარქის, ჰენრიხ VII-ის შვილი და მემკვიდრე. რომის კათოლიკური ეკლესიის თანახმად, ინგლისის მეფეები იწოდებოდნენ აგრეთვე „ირლანდიის მბრძანებლებად“. თუმცა, 1541 წელს, ჰენრიხ VIII-ის კათოლიკური ეკლესიისგან განდგომის შემდეგ, ირლანდიის პარლამენტმა მას „ირლანდიის მეფის“ ტიტული მიანიჭა. ნიჭიერი და განათლებული მეფე ევროპული აბსოლუტიზმის კლასიკური წარმომადგენელი იყო. თავისი მეფობის პერიოდში იგი ულმობლად დევნიდა თავის ნამდვილ თუ წარმოსახვით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. იგი ძირითადში იმ რეფორმაციითაა ცნობილი, რამაც ინგლისი ძირითადად პროტესტანტულ სახელმწიფოდ აქცია, თავად კი ქრისტიანი კაცისათვის შეუსაბამოდ ბევრი, ექვსი ცოლი ჰყავდა. თავის პირველ ცოლთან, ეკატერინე არაგონელთან გაყრის შემდეგ იგი მოკვეთილ იქნა რომის კათოლიკური ეკლესიისგან. სწორედ მისი მეფობის დროს ჩამოყალიბდა ინგლისის ანგლიკანური ეკლესია, რომელიც რომის კათოლიკურ ეკლესიას გამოეყო. ცოლებისა და ფავორიტების მუდმივმა ცვლამ და გატარებულმა საეკლესიო რეფორმამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ინგლისის სამეფო კარზე პოლიტიკური ბრძოლისათვის, რაც თავის მხრივ რიგი პოლიტიკური მოღვაწეების, მაგალითად, ცნობილი თომას მორის სიკვდილით დასჯით დასრულდა.

[163] კონკისტადორი (ესპან. Conquistador) – „კონკისტის“, ამერიკის დაპყრობის მონაწილენი – ამერიკის კოლონიზაციის ეპოქაში, XV-XVI საუკუნეებში „ახალი მიწების“ დამპყრობელი ესპანელი და პორტუგალიელი კოლონისტები. მექსიკელი ისტორიკოსის ხოსე დურანის აზრით „კონკისტა არაუმეტეს 10 ათასმა დამპყრობელმა განახორციელა“. არგენტინელი ისტორიკოსი რუჯერი რომანო კი, კონკისტადორების რიცხვს 4-5 ათასით აფასებს.

ადგილობრივ მოსახლეობაში. ამის შედეგად ესპანეთი უზომოდ მდიდრდებოდა. ელისაბედსაც სურდა წილი თავისი სამეფოსთვის, რომელიც XVI საუკუნეში მხოლოდ ოთხ მილიონ მცხოვრებს ითვლიდა და მაშინდელი გაგებით, ქვეყნიერების დასალიერში იყო გადაკარგული. ელისაბედი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გადაექცია მომგებიანად თავისი ქვეყნის მდებარეობა. მართალია ინგლისი კუნძულოვანი სახელმწიფო იყო და ამ მომენტისათვის მისი ფლოტი მხოლოდ ოცდაათ გემს ითვლიდა, მაგრამ ელისაბედს განუზომელი ამბიციები ამოძრავებდა – ინგლისი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო და მას წინააღმდეგობა უნა გაეწია ესპანეთისთვის. თუმცა ინგლისის დედოფალი იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ მისი ფლოტი ღია ბრძოლაში ვერ დაუპირისპირდებოდა ესპანელთა ძლიერ ფლოტს.

დედოფალი ფიქრს იწყებს ესპანელთა წინააღმდეგ საზღვაო ბრძოლის წარმართვის ახალ წესზე, მეკობრეობაზე. და „მისი უდიდებულესობის მეკობრეებიც" დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან ამ საქმეში. ისინი ესპანური გემების მისატაცებლად მიემართებიან დედოფლის მიერ ოფიცრის წოდების მინიჭების გარანტიით. მათი მთავარი მიზანი ესპანური გალეონების[164] ხელში ჩაგდებაა, რომლებიც შორეული ამერიკის კონტინენტიდან ძვირფასეულობით დატვირთულები მოემართებიან სამშობლოსაკენ.[165] ინგლისელი მეკობ-რეები დიდი წარმატებით მოქმედებენ. მალე ფრენსის დრეიკი[166] და უოლტერ რელი,[167] განსაკუთრებით საშიში ინგლისელი მეკობრეები, სახალხო გმირებად და ევროპისა და ინგლისის ყველაზე ცნობილ მეზღვაურებად იქცნენ. ფრენსის დრეიკმა კი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავისი მეკობრული რეიდებისა და სათავგადასავლო ვოიაჟების განმავლობაში მან ამერიკის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთსაც შემოუარა და ჩრდილოეთისაკენ გაცურა. შემდეგ კი, კალიფორნიასაც მიაღწია და იგი ინგლისის კოლონიად გამოაცხადა. მაგელანის მსგავსად მანაც შემოუარა მსოფლიოს გარშემო და სამშობლომდე მოლუკის გავლით მიაღწია.

ელისაბედს, საკუთარი „ქვეშევრდომების დედას", თანდათანობით არა მხოლოდ ძლიერი საზღვაო სახელმწიფო, არამედ ეროვნული იდენტობის ერთიანობის სიმბოლო, ერთიანი და ძლიერი ინგლისის სურათი ესახება თვალწინ. ახალი, გაბედული სამეწარმეო სული კარგად ერწყმის მის ინდივიდუალურ ნიჭს. ელისაბედი ესპანელების ოქროთი ზრდის თავისი ფლოტის სიძლიერეს, რომ ძლევამოსილ მოწინააღმდეგეს ღირსეული კონკურენცია გაუწიოს, თუმცა მის გემებს აქამდე არასდროს მიუღიათ მონაწილეობა

---

164 გალეონი (ესპ. Galeón) – მძლავრი საარტილერიო შეიარაღების მქონე დიდი მრავალგემბანიანი აფრიანი გემი XVI-XVIII საუკუნეებში, რომელიც სამხედრო და სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამ ტიპის ხომალდების შექმნას ბიძგი მისცა ახალი კონტინენტის აღმოჩენამ და ევროპასა და ამერიკის კოლონიებს შორის მუდმივმა საზღვაო გადაზიდვებმა. განსაკუთრებული სახელი გალეონებმა ესპანური ოქროს გადაზიდვით მოიპოვეს.

165 ათწლეულების განმავლობაში ინგლისელი მეკობრეები, რომლებიც ფაქტობრივად სამეფო კარისა და სახელმწიფოს სამსახურში იდგნენ, თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და ძირავდნენ ამერიკის კონტინენტიდან მომავალ ესპანურ გემებს. ასე მაგალითად, მხოლოდ 1582 წელს ესპანური იმპერიის ზარალმა იმ დროისათვის ფანტასტიკური თანხა, ორ მილიონამდე ოქროს დუკატი შეადგინა.

166 სერ ფრენსის დრეიკი (ინგლ. Sir Francis Drake) (1540-1596წ.წ.) – ინგლისელი ზღვაოსანი, მეკობრე, ვიცე-ადმირალი. პირველი ინგლისელი, რომელმაც გარშემო შემოუარა დედამიწას 1577-1580 წლებში. ესპანელთა „უძლეველი არმადის" გასანადგურებლად წარმოებული საზღვაო ბრძოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მთავარი მონაწილე. დრეიკის მიერ შემუშავებულმა და სწორად წარმართულმა საზღვაო ბრძოლის ტაქტიკამ გაიმარჯვა ესპანელთა ფლოტის აღმატებულ საცეცხლე ძალაზე. ინგლისის მადლიერმა დედოფალმა, ელისაბედ I-მა, ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებისათვის მას სერის საპატიო ტიტული და ვიცე-ადმირალის წოდება მიანიჭა.

167 სერ უოლტერ რელი (ინგლ. Sir Walter Raleigh) (1552-1618.წ.წ) – ინგლისელი დიდებული, სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და მწერალი, ისტორიკოსი, მეზღვაური და მეკობრე, ჯარისკაცი და მოგზაური, დედოფალ ელისაბედ I-ის ფავორიტი. სახელი გაითქვა ესპანურ ფლოტზე მეკობრული თავდასხმებით, რის გამოც, ისევე როგორც ფრენსის დრეიკმა 1585 წელს სერის ტიტული მიიღო. ცნობილი ლეგენდა გვამცნობს, რომ დედოფლის ყურადღების მისაქცევად სწორედ მან დაუგო ფერხთით დედოფალს თავისი იისფერ-ოქროსფერი მოსასხამი გუბეზე გადასავლელად და მანვე ამოკაწრა სასახლის კედლებზე ბრილიანტით თავისი ლექსები. იგი წარმოადგენდა ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთ პირველ კოლონიზატორს და მასვე მიეწერება ინგლისში კარტოფილისა და თამბაქოს შემოტანა. ძარცვავდა ესპანურ გემებს და ეძებდა ელდორადოს, ომობდა ირლანდიასა და ფლანდრიაში. მეგობრობდა თავისი ეპოქის ცნობილ პოეტებთან – თომას ქიდთან, ქრისტოფერ მარლოსთან, ფილიპე სიდნეისთან, უილიამ შექსპირთან.

საზღვაო ბრძოლებში. ელისაბედისთვის ისიც ნათელი იყო, რომ ესპანელთა სახმელეთო ჯარები ინგლისს ვერ დაიპყრობდნენ.

საბედისწერო კითხვა კი, შემდეგნაირად ჟღერდა: კიდევ რამდენ ხანს მოითმენდა ესპანეთის მეფე? კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა გაძარცული და დამცირებული ფილიპე II უმოქმედოდ?

ასეთი მდგომარეობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა. ფილიპე II-ს შურისძიების კარნახით უნდა ემოქმედა. მან მიზნად თავისი ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერება და ინგლისის დაპყრობა გადაწყვიტა. მსოფლიოს უდიდესი „შეიარაღებული ძალის", ესპანელთა არმადის ჩამოყალიბებას ორი წელი დასჭირდა. რომის პაპი ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა ესპანელებს და ამ საქმის მონაწილეებს ცოდვების მიტევებას ჰპირდებოდა. თვითონ ფილიპე ოჯახის ძვირფასეულობას აგირავებს და უზარმაზარ თანხას, დაახლოებით ათ მილიონ ოქროს დუკატს გასცემს არმადის მშენებლობისათვის. ასოცდაათზე მეტი საბრძოლო გემისგან შემდგარი უძლეველი ფლოტის მეთაური მედინა სიდონიას ჰერცოგი ხდება.[168] მას ზღვაოსნობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია, თუმცა ფილიპე ფიქრობს, რომ ეს არც არის საჭირო. უკიდურეს შემთხვევაში, მეზღვაურებსაც შეუძლიათ ჯარისკაცებივით ბრძოლა, საწინააღმდეგო ჯერ არც არასოდეს მომხდარა. მედინა სიდონიას ჰერცოგმა, ბორტზე ოცი ათასი კაცის თანხლებით, თავგამოდებით უნდა დაიცვას ესპანელების სახმელეთო არმია ოცდაშვიდი ათასი გამოცდილი ჯარისკაცით, ალექსანდრე პარმელის – პარმის ჰერცოგის მეთაურობით[169]. ამბოხებულ ნიდერლანდებში გაჩერებული ესპანელთა არმია უმეტესად გერმანელი, იტალიელი და ბოლონიელი დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგება.[170] თავად ჰერცოგის განკარგულებაში სამასი პატარა გემია, რომლებიც დიუნკერკისა და ნიუპორტის ნავსადგურებში დგანან და სახმელეთო ჯარების მიღება შეუძლიათ.[171] ორივე მეთაურის შეხვედრა კალესა და ოსტენდეს შორის, ღია ზღვაშია დაგეგმილია, რადგან არმადის უამრავი გემისთვის

---

[168] თავდაპირველად ესპანელთა „უძლეველ არმადას" სანტა-კრუზის მარკიზი, ალვარო დე ბაზანი უნდა ჩადგომოდა სათავეში, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა ესპანეთის საუკეთესო ზღვაოსნად და ადმირალად. სწორედ იგი იყო „უძლეველი არმადის" შექმნის იდეის ავტორი და მისი მშენებლობის ორგანიზატორი. თანამედროვეების შეფასებით იგი რომ ყოფილიყო ესპანელთა ფლოტის მეთაური, ამ დიდი საზღვაო კამპანიის შედეგები სულ სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ 1588 წელს 62 წლის ადმირალი გარდაიცვალა და ფილიპე II-მ „უძლეველი არმადის" ფლოტის მეთაურად მედინა სიდონიას ჰერცოგი, ალონსო პერეს დე გუსმანი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ჰერცოგი არ იყო განსწავლული საზღვაო საქმეში, იგი ბრწყინვალე ორგანიზატორი იყო და ადვილად გამონახა საერთო ენა თავისი ფლოტის გემის კაპიტნებთან.

[169] აქ ალესანდრო ფარნეზეზეა საუბარი, რომელიც 1586-1592 წლებში პარმის, პიაჩენცას და კასტროს ჰერცოგი იყო, ხოლო 1578-1592 წლებში, ესპანური ნიდერლანდების გუბერნატორი. იგი ცნობილია ნიდერლანდების ავჯანყების წინააღმდეგ ჩატარებული წარმატებული სამხედრო კამპანიით, რომლის დროსაც დაიკავა ნიდერლანდების სამხრეთი ნაწილის (დღევანდელი ბელგია) მთავარი ქალაქები და რეგიონზე კათოლიკური ესპანეთის კონტროლი აღადგინა. მისმა სამხედრო ნიჭმა, საველე მეთაურისათვის საჭირო უნარ-ჩვევებმა და სტრატეგოსის ხედვამ თანამედროვეებსა და სამხედრო ისტორიკოსებში დიდი პატივისცემა მოუპოვა. ალესანდრო ფარნეზე თავისი საუკუნის საუკეთესო მხედართმთავრად ითვლება.

[170] ფილიპე II სრულ იგნორირებას უწევდა ნიდერლანდების ბურჟუაზიის ინტერესებს და მის დასათრგუნავად დაუნდობელი ბრძოლა წამოიწყო. ესპანური მონარქიის აბსოლუტიზმისა და ნიდერლანდური ბურჟუაზიის ეს ბრძოლა რელიგიური მოტივით მიმდინარეობდა. ნიდერლანდების მოსახლეობის უმრავლესობა პროტესტანტები იყვნენ, ფილიპემ კი, რომელიც ფანატიკოსი კათოლიკე და „მსოფლიო კათოლიციზმის ბურჯი" იყო, პროტესტანტების სასტიკი დევნა მოაწყო, რითაც ქვეყანაში ესპანური ინკვიზიციის შეყვანისათვის მოამზადა საფუძველი. კათოლიკური რეაქციის პასუხად ნიდერლანდებში ანტიკათოლიკური მოძრაობა დაიწყო, რომელიც ძალიან მალე დამოუკიდებლობის მოპოვების დიდ რევოლუციურ ბრძოლაში გადაიზარდა.

[171] „უძლეველი არმადის" შემადგენლობაში შედიოდა: 130 გემი, 2430 ზარბაზანი, 30500 კაცი. აქედან – 18973 ჯარისკაცი, 8050 მეზღვაური, 2088 მენიჩბე მონა, 1389 ოფიცერი, თავადი, მღვდელი და ექიმი. ფლოტის მთავარი ძალები 6 ესკადრად გაიყო: „პორტუგალია" (ალონსო პერეს დე გუსმანი – მედინა სიდონიის ჰეროგი), „კასტილია" (დიეგო ფლორეს დე ვალდესი), „ბისკაი" (ხუან მარტინეს დე რეკალდო), „ჰიპუსკოა" (მიგელ დე ოკენდო), „ანდალუზია" (პედრო დე ვალდესი) და „ლევანტი" (მარტინ დე ბერტენდონე). არმადაში აგრეთვე ჩართულ იქნა 4 ნეაპოლური დიდი (635 კაცი და 50 ზარბაზანი) და 4 პორტუგალიური გალერა (320 კაცი და 20 ზარბაზანი). გარდა ამისა – უამრავი პატარა ხომალდი დაზვერვისა და კომუნიკაციისათვის. არმადის სასურსათო მარაგი შეადგენდა მილიონ გალეტს, 600 ათას ფუთ დამარილებულ თევზს, 400 ათას ფუთ ბრინჯს, 300 ათას ფუთ ყველს, 152 ათას ლიტრ ზეითუნის ზეთს, 14 ათას კასრ ღვინოს, 6000 ტომარა მარცვლეულს. ფლოტის საბრძოლო მარაგიც მეტად შთამბეჭდავი იყო: დენთის 500 ათასი მუხტი და 124 ათასი სასროლი ბირთვი.

დიუნკერკის ნავსადგური ძალიან პატარაა, ხოლო უდიდესი ნავსადგური ანტვერპენი – ძალიან შორსაა.

ესპანელთა ინტერვენციის გეგმა ინგლისში თავდაპირველად სხვაგვარად გამოიყურებოდა. ფილიპეს მრჩეველები ფიქრობდნენ, რომ არმადა თავისი ჯარისკაცებით სამხრეთ ირლანდიაში უნდა გაჩერებულიყო და იქ მიეტყუებინა ინგლისელთა ფლოტი, ამ დროს კი, პარმის ჰერცოგი თავის ლაშქართან ერთად გადაკვეთდა სრუტეს და მოულოდნელად გადავიდოდა ხმელეთზე, კენტში, ინგლისელების ზურგში. ეს იყო ესპანელთა მიერ დაგეგმილი მარწუხებში მოქცევის სტრატეგია, რომელსაც წარმატებულად აღსრულების დიდი შანსი ჰქონდა. მაგრამ ფილიპეს ეშინია მასთან დაკავშირებული რისკების გაწევისა და გეგმას ცვლის: არმადა ჩერდება არა ირლანდიაში, არამედ ლა-მანშის სრუტის გავლით ათასი საზღვაო მილით დაშორებულ ფლანდრიაში, რათა დაფაროს პარმის ნაპირზე მებრძოლების გადასხმის მანევრი და სახმელეთო ჯარებს შეუერთდეს.[172] მეფე არ იძლევა თავისი სტრატეგიის გენიალურობის კრიტიკისა და მასში დაეჭვების საშუალებას. იგი თავის ადმირალებსა და გენერლებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „გჯეროდეთ ჩემი, მე ვიცი საქმის ამჟამინდელი ვითარება.“

ესპანური იმპერიის ყველა ნაწილიდან სამხედრო ფლოტი ლისაბონში იყრის თავს. ეს ესპანელთა უძლეველი არმადაა. ცოტა ხნის წინ, 1571 წელს, ამ არმადამ თავის მოკავშირეებთან ერთად ოსმალური ფლოტი გაანადგურა იონიის ზღვაში, ლეპანტოსთან. ესპანელთა ფლოტის საზღვაო ბრძოლის ტაქტიკა ტრადიციულია – მოწინააღმდეგის გემების გატარნვა და მათი აბორდაჟზე[173] აყვანა.

ესპანელთა და ინგლისელთა საზღვაო ბრძოლის ტაქტიკები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ესპანელებს უყვარდათ ფლოტის ან ესკადრის შემადგენლობაში ერთი ერთზე ბრძოლა. ინგლისელები კი პირიქით, გაწაფულები არიან პატარა, მოძრავი, მსუბუქად მცურავი გემებითა და მცირე რაოდენობის ეკიპაჟებით ბრძოლაში. ფლოტის მასშტაბებით ასეთი საომარი კამპანიის წარმართვა ინგლისელებისათვის ახალი სტრატეგიაა. საკითხი კი ასე დგას – გაუძლებდნენ ინგლისელები ძალთა უპირატესობას?

ესპანელებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ. ისინი სტრატეგიულ ინიციატივას ფლობენ, მაგრამ მოწინააღმდეგემდე მიღწევა არც თუ ისე მარტივი საქმეა. ესპანური არმადის უდიდესი ნაწილი შედგებოდა გადაიარაღებული სავაჭრო გემებისგან, რომლებიც ტვირთების გადასაზიდად, ჯარების ტრანსპორტირებისა და მომარაგებისათვის გამოიყენებოდა. ეს გემები ნელი და ტლანქი იყო. ფლოტის შემადგენლობიდან ოცდაოთხი გემი ორასი ტონა წყალწყვის მქონე დიდი სამხედრო ხომალდი იყო, სამ და ხუთანძიანი გალერა[174] და გალეონი, ბორტზე დაახლოებით ორი ათას ექვსასი ზარბაზნით. ეს ხომალდები ესპანელთა „უძლეველი არმადის” ბირთვს წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, ფლოტში შედიოდა შვიდი მძიმე შეიარაღების მქონე ათასი ტონა წყალწყვის ნიჩბიანი გემი. ეს ურჩხულები უზარმაზარ მცურავ ციხესიმაგრეებსა და ყაზარმებს წარმოადგენდნენ. ისინი საშინელი შესახედაობისა და ძნელად სამართავი იყო.

აი, ეს უზარმაზარი ფლოტი მიცურავს ახლა ჩრდილოეთისაკენ, ოცდაათი ათას კაცზე მეტი მებრძოლით ბორტზე. აქედან ათი ათასი კაცი მეზღვაური და მენიჩბეა, ხოლო

---

[172] ესპანელთა გეგმა სრულყოფილი და ბოლომდე გათვლილი არ იყო. იგი ორ ძირითად მომენტს არ ითვალისწინებდა: ინგლისელთა ფლოტის სიძლიერეს და ნიდერლანდების სანაპირო ზოლის წყალმარჩხობას, რაც საშუალებას არ მისცემდა დიდი წყალწყვის მქონე ესპანურ ფლოტს მიახლოებოდა ნაპირს და ბორტზე აეყვანა პარმის ჰერცოგის ჯარი.

[173] აბორდაჟი (ფრანგ. Abordage) – საზღვაო ბრძოლის ტაქტიკური ილეთი აფრიანი გემების ეპოქაში, რაც მოწინააღმდეგის გემის კაუჭა შუბებითა და ბოგირებით შებოჭვას ნიშნავდა მის ბორტზე გადასვლისა და ხელჩართული ბრძოლის წარმოების მიზნით. გემების გადაბმის ეს მეთოდი ასევე გამოიყენებოდა ადამიანებისა და ტვირთების მიღება-გაცემისათვის. თანამედროვე ეპოქაში გემების აბორდაჟი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

[174] გალერა – საბრძოლო ხომალდი, რომელიც ძირითადში ნიჩბების გამოყენებით გადაადგილდებოდა. ამ ტერმინის ვიწრო გაგებით, გალერა ეწოდებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში გავრცელებულ შუა საუკუნეების აფრიან და ნიჩბებიან საბრძოლო ხომალდებს.

დანარჩენი – ჯარისკაცი. და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ – თორმეტი ორმოცგირვანქიანი ზარბაზანია განთავსებული მათ ბორტზე, კუთვნილი აღჭურვილობის ჩათვლით.

ფილიპეს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, მას ინგლისი უნდა დაეპყრო. ინგლისი არ იყო ისეთი მძლავრი საზღვაო სახელმწიფო და იგი ისე არ იყო დამოკიდებული საკონტინენტთაშორისო ვაჭრობაზე, როგორც ესპანეთი. ინგლისზე ზღვაზე გამარჯვება არ ნიშნავდა ქვეყანაზე გამარჯვებას. ამის გამო გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა არ იყო გათვალისწინებული ესპანელთა ოპერაციის გეგმაში. ფილიპეს ფლოტი საინტერვენციო ფლოტი იყო, რომელსაც ესპანელთა ჯარები უნდა გადაეყვანა ინგლისის სანაპირომდე. გეგმის მიხედვით ფილიპეს ჯარისკაცები უნდა გადმომსხდარიყვნენ ხმელეთზე მდინარე ტემზას შესართავთან, წასულიყვნენ კენტის გავლით და შვიდ დღეში გაევლოთ დაახლოებით ასოცდაათი კილომეტრი მანძილი ლონდონამდე. შემდეგ პარმის გამოცდილ ჯარისკაცებს შეტევით უნდა აეღოთ ძველი გალავნით გამაგრებული დედაქალაქი, ინგლისის დედოფალი ტყვედ უნდა აეყვანათ და ტახტიდან ჩამოეგდოთ იგი.

ესპანელებს სირთულეების შიში საერთოდ არ ჰქონდათ, რადგან ლონდონში მხოლოდ რამდენიმე ასეული ჯარში ძალით გაწვეული ჯარისკაცი და ცუდად აღჭურვილი სახალხო მილიციის რაზმები იდგნენ. მთლიანად ინგლისში კი – სულ ოთხი ათასი ჯარისკაცი. ესპანელებს ისიც უმაგრებდა გულს, რომ მიღებული ცნობების თანახმად, ესპანელთა მოსალოდნელი ინტერვენციის გამო, ძალიან ბევრი ინგლისელი ჯარისკაცი გადეზერტირდა. და რა თქმა უნდა, დარჩენილი ნაწილის საბრძოლო სულისკვეთებაც ძალიან დაბალი იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით ესპანეთის მეფეს ძალიან ახლოს ესახებოდა თავისი გამარჯვება.

1588 წლის მაისამდე, ვიდრე ესპანური „არმადა“, ეს „უძლეველი შეიარაღებული ძალა“ მთელი კათოლიკური სამყაროს ლოცვითა და საზეიმო პროცესიის თანხლებით ლისაბონიდან ინგლისის სამხრეთ სანაპიროსკენ გაცურავდა, მეტად ძვირფასი დრო დაიკარგა. ელისაბედმა ეს დრო კარგად გამოიყენა. ადმირალ ჯონ ჰოუკინსის ბრძანებით, პლიმუტთან მდგომ მის ფლოტს ასორმოცდაათი გემი შეემატა. მაგრამ მხოლოდ ნაწილი იყო ნამდვილი სამხედრო გემი, თანამედროვე ბრინჯაოს ზარბაზნებით აღჭურვილი, რომელთა მოქმედების მანძილი თითქმის ორასი მეტრი იყო. ეს „გემების გამანადგურებელი“ მოკლელულიანი, მსუბუქი და მოძრავი ზარბაზანი იყო, რომელიც ოცდაათფუნტიან ჭურვზე იყო გათვლილი, და მორტირა[175], რომელიც მოწინააღმდეგეს მძიმე ქვებს და კარტეჩს[176] ესროდა. ნამსხვრევების ზემოქმედებით კი, ჯარისკაცებით გაჭედილ გემბანზე ხოცვა-ჟლეტვის გამართვა იყო შესაძლებელი.

1588 წლის ივლისში, ჰორიზონტზე, ლა-მანშის სრუტეში, პლიმუტთან ახლოს, ფილიპეს სიამაყე, უძლეველი არმადა ჩნდება. არმადის ფრონტის სიგრძე თერთმეტი კილომეტრია. გემები ერთმანეთის გვერდით მოწესრიგებულად, საბრძოლო მწყობრში მიცურავენ. ესაა გემების ჩაკეტილი ნამგლის ფორმის ჯგუფი, უკან გახსნილი ნახევარმთვარის ფორმით. უძლიერესი გემები წინა რკალს იცავდნენ, სუსტები შუაში მოცურავდნენ. ნამგლის თავში მდგომი გემები გარს უნდა შემოვლებოდნენ მოწინააღმდეგის გემებს და ახლო ბრძოლაში დაემარცხებინათ ისინი. გამცილებელი გემების გამო ესპანელთა

---

175 მორტირა (ნიდერ. Mortier) – მოკლე ლულის მქონე მსხვილკალიბრიანი საარტილერიო დანადგარი დაკიდებული ტრაექტორიით სროლის წარმოებისთვის. მორტირა ძირითადში გამოიყენება განსაკუთრებით მძლავრი თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად და საფარში და სანგრებში მყოფი ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. გამოიყენება XV საუკუნიდან.

176 კარტეჩი (იტალ. Cartoccio) – ახლო მანძილებზე (300 მეტრამდე) და ღია ადგილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად გამოყენებული საარტილერიო ჭურვი. თავდაპირველად კარტეჩის ჭურვი წარმოადგენდა წვრილი ქვებისა და რკინის ნატეხების გროვას, რომელიც იყრებოდა ზარბაზნის ლულაში და მაგრდებოდა ხუფით. მაგრამ შემდეგ, ლულის შიდა არხის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, კარტეჩს ჯერ პატარა ტომარაში ყრიდნენ და შემდეგ ათავსებდნენ ლულაში. თანამედროვე კარტეჩის ჭურვი წარმოადგენს სფეროს ფორმის თუჯის ან ტყვიის ბურთულებს, რომელიც ლითონის ან მუყაოს შეფუთვაშია მოთავსებული.

ფლოტი ძალიან ნელა მიცურავდა. მათი სვლის სიჩქარე მხოლოდ 3 კვანძს[177] შეადგენდა. ხომალდის მეთაურები ფილიპეს ბრძანების მიხედვით მოქმედებენ. ისინი ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ჩაებმებიან, როცა ინგლისელთა ფლოტს მიუახლოვდებიან და მათ სამხედრო გემებს შეუტევენ.

ფრენსის დრეიკი, რომელსაც ამ პერიოდისათვის მიანიჭა დედოფალმა რაინდობა და ვიცე-ადმირალის წოდება, ფიქრობდა, რომ ინგლისელთა გამარჯვების ერთადერთი შანსი ესპანელთა დიდ ფლოტზე ყველა ინგლისური გემის ერთობლივ თავდასხმასა და სწრაფ მანევრირებაში მდგომარეობდა. თავდაცვის საუკეთესო საშუალება სწრაფი თავდასხმა არის, – ხშირად იმეორებდა იგი და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ესპანურ არმადას ღია ზღვაში შებრძოლებოდა.

ფრენსის დრეიკს კარგად ესმოდა, რომ ესპანელებთან სახმელეთო ბრძოლის შემთხვევაში ინგლისელებს წარმატების მიღწევის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ამაში იგი ღრმად იყო დარწმუნებული. ელისაბედი კი ყოყმანობდა: რა ელოდა ინგლისს იმ შემთხვევაში, თუ დრეიკს გამჭრიახობა არ ეყოფოდა და მისი უგუნური გამბედაობა წარუმატებელი აღმოჩნდებოდა? ასეთ შემთხვევაში ესპანელები კუნძულზე გადმოსხდებოდნენ და უბრძოლველად დაეუფლებოდნენ მას. მისთვის ნათელი იყო, რომ ინგლისელები ხმელეთზე ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ესპანელებს. დედოფალმა კარგად იცოდა, რომ ფლოტი იყო ის ერთადერთი ძალა, რაც ინგლისს ჰყავდა. მხოლოდ ფლოტს შეეძლო ინგლისის გადარჩენა. მაგრამ ამავე დროს, ელისაბედს არ უნდოდა, რომ დაუფიქრებლად ჩაეგდო საფრთხეში თავისი ფლოტი „ან ყველაფერი ან არაფერის“ პრინციპით. მას კარგად ახსოვდა ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები და იმედებს დაახლოებით ორი ათასი წლის წინ მომხდარ სალამინის საზღვაო ბრძოლის სამაგალითო გამოცდილებაზე ამყარებდა. საომარი გეგმის შემუშავების დროს კი, იგი თავის მეთაურებთან შეთანხმებით მიდიოდა კომპრომისებზე.

1588 წლის 19 ივლისს დიდი საზღვაო ბრძოლა დაიწყო. ინგლისელები სარგებლობენ ხელსაყრელი ზურგის ქარით და მოწინააღმდეგეს პირველნი ესხმიან თავს. ისინი სწრაფად გადადიან იერიშზე და ინიციატივას იღებენ ხელში. ყველაზე წინაა ფრენსის დრეიკი, რომელიც თავისი პატარა, მომრგვალებული ფორმის, ადვილად მოძრავი გემებით ზურგიდან უვლის არმადას და მოულოდნელად უმიზნებს არა ცენტრს, არამედ მის მარცხენა ფლანგს. ზანტი ესპანური კოლოსები არ მოელოდნენ ინგლისელების ასეთ გაბედულ მანევრს და ცეცხლს. რამდენიმე მოხვედრების შემდეგ ინგლისელები უკან იხევდნენ ისეთივე სწრაფი მოძრაობით, როგორითაც შეტევაზე გადმოსვლისას.

ესპანური მძიმე ხომალდები ვერ ახერხებენ სწრაფად რეაგირებას და საპასუხო ცეცხლსაც ვერ უხსნიან მოწინააღმდეგეს. ნემსის ჩხვლეტის მსგავსი შეტაკებისა და ახალი სახის, შორსმსროლელი არტილერიის დამასუსტებელი ბრძოლის მეთოდი ინგლისელებისათვის წარმატებული აღმოჩნდა. შვიდი დღის განმავლობაში ესპანელებს ძალიან გაუჭირდათ სრუტის წყლებში ნელა გადაადგილებისას მწყობრი, ჩაკეტილი ფორმაციის შენარჩუნება, თუმცა მაინც მოახერხეს. ეს ესპანელი მეზღვაურების მიღწევა იყო, რამაც მოწინააღმდეგეც კი გააოცა. 27 ივლისს ესპანელებმა კალესთან, წყალმარჩხ ყურეში ჩაუშვეს ღუზა, თუმცა მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ რამდენიმე გემი, მათ შორის, საფლაგმანო გემი „როსარიო“, ბორტზე ორმოცდაათი ათასი ოქროს დუკატით. და მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, ესპანელთა უძლეველი არმადა ჯერაც უვნებელი იყო. შესაბამისად, საზღვაო დესანტირებისა და ინგლისის ინტერვენციის გეგმასაც საფრთხე ჯერ-ჯერობით არ ემუქრებოდა.

შეცდომის დაშვებაც ესპანელთა სწორედ ამ მოქმედებამ განაპირობა. არმადას კალესაკენ რომ არ გაეცურა, არამედ თავისი ოცი ათასი ესპანელი ჯარისკაცით პირდაპირ

[177] კვანძი (საზღვაო კვანძი) – სიჩქარის საზომი ერთეული. უდრის თანაბარი მოძრაობის სიჩქარეს, როდესაც სხეული ერთ საათში გადის ერთი საზღვაო მილის ტოლ მანძილს. როგორც წესი, გამოიყენება საზღვაო საქმესა და საავიაციო პრაქტიკაში.

კენტში შესულიყო, მაშინ შესაძლოა კუნძულზე ინტერვენციის ოპერაცია წარმატებითაც კი დამთავრებულიყო. ისინი ლონდონშიც შევიდოდნენ და ინგლისის დედოფალსაც აიყვანდნენ ტყვედ. ისიც ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ეს რომისაგან განდგომილი ანგლიკანური ეკლესიის დასასრული იქნებოდა და ინგლისი ისევ კათოლიკური გახდებოდა. მაგრამ ესპანელთა ფლოტის ადმირალი, მედინა სიდონიას ჰერცოგი სხვა გადაწყვეტილებას იღებს. იგი ემორჩილება მეფის მითითებებს და სასწრაფოდ კალესაკენ მიცურავს. ადმირალი დარწმუნებულია, რომ პარმის სახმელეთო არმია უკვე მზადყოფნაშია და მას ელოდება. მაგრამ ეს ძალიან მძიმე შეცდომა იყო – ესპანელთა კატასტროფის დასაწყისი. როცა მედინა სიდონიას ჰერცოგი კალეში შევიდა, პარმის ჰერცოგი იქ არ დახვდა. პარმის ჰერცოგი მშვენიერ ბრიუგესთან, კალედან სამოცი კილომეტრის დაშორებით ჩერდება არასაბრძოლო მზადყოფნაში. არმადის მიახლოებისა და ინგლისელების გემებთან მისი შეტაკების შესახებ მან არაფერი იცის, რადგან ბრძოლის დაწყება ძილის გამო გამორჩა. მისი არმია დიუნკერკში იმყოფება, სადაც მყუდროდაა დაბინავებული დასახლებულ პუნქტში. ჯარების დაწყობასა და გემში ჩასხდომას გარკვეული დრო სჭირდება. ამ დროს კი, ესპანელთა მთელი არმადა კალესთან იმყოფება ღუზაჩაშვებული, დაუცველი და ბედის ანაბარა მიტოვებული, ზურგში კი ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ინგლისელთა გემები დგანან. სიტუაცია ესპანელთათვის მეტად სახიფათოა.

29 ივლისის ღამეს ძლიერი ქარი ამოვარდება. ის ზუსტად ღუზაჩაშვებული არმადის მიმართულებით ქრის, რაც ინგლისელთა გემებისთვის მეტად ხელსაყრელია. დრეიკისა და ჰოვარდის აზრით, არის შანსი, რომ ამ ძლიერი ქარის წყალობით სწრაფად მიუახლოვდნენ ზურგიდან ესპანელთა ფლოტს. ისინი იყენებენ ექვს ბრანდერს[178], დენთით, ფისით და ადვილად აალებადი ნივთიერებით დატვირთულ „ჯოჯოხეთურ ცეცხლგამჩენებს“. ცეცხლის ბურთებივით მიცურავენ ისინი ესპანური გალეონებისკენ, დაბმული საჭეებით. ესპანელთა ეკიპაჟები პანიკაში ვარდებიან ამ „ცეცხლოვანი გემების" დანახვისას და უმწეოდ უყურებენ თუ როგორ ეკიდება ცეცხლი მათ ლამაზ გემებს, რომლებიც აფეთქების ტალღას ჰაერში ააქვს. ესპანელთა პატარა სამანძიანი გემები, პინასები[179] ამაოდ ცდილობენ ხელი შეუშალონ ინგლისელთა „ცეცხლოვან გემებს“ მთავარ ფლოტთან მიახლოებაში. ესპანელთა გალეონების ეკიპაჟთა უმეტესობა წინდაუხედავად ჭრიან ღუზებს. ამ დროს ქარიშხალი კიდევ უფრო ძლიერდება. აფრების აშვებისას ისინი ტაკელაჟებში გაებნენ, გემების ნაწილი ერთმანეთს შეეჯახა და დაზიანდა. ამან დამატებითი ქაოსი გამოიწვია ესპანელებში. არმადის წყობა დაირღვა, გემები ერთმანეთს დაშორდნენ, ძლიერმა დინებამ კი ისინი ჩრდილოეთის მიმართულებით, ღია ზღვაში გაიყვანა. პარმის ჰერცოგთან შეხვედრის ადგილზე დაბრუნება მათ უკვე ვეღარ შეძლეს.

29 ივლისის გამთენიისას ესპანელებმა დასავლეთით ჩასაფრებული ინგლისელთა გემები დაინახეს. ისინი ქარის საწინააღმდეგოდ მოცურავდნენ და თანდათან უახლოვდებოდნენ ესპანელთა ფლოტს. მათი შორსმსროლელი არტილერია გამუდმებით ისროდა. ესპანელთა არმადას დიდი დანაკარგები ჰქონდა. მათ უნდა მიეღოთ გამოწვევა, თუ არ სურდათ ზელანდიის სანაპიროზე გარიყვა. მაგრამ ასეთ ვიწრო სივრცეში შეუძლებელი იყო წყობის ორგანიზება. ამასთანავე, ესპანელებს საბრძოლო მასალაც გაუთავდათ. როცა ქარმა კიდევ ერთხელ დაბერა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ცალკეულმა ესპანურმა გემებმა ჩრდილოეთის ზღვის მიმართულებით გაცურეს.

ინგლისელებმა სრუტე ჩაკეტეს, ამიტომ არმადის დარჩენილი ნაწილი უკან დაბრუნებას შეეცადა შოტლანდიის გასწვრივ, ორკნეისა და შეტლანდის კუნძულს შორის

---

178 ბრანდერი (გერმ. Brander) – ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებებით დატვირთული წყალზედა მცურავი საშუალება, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის ხომალდების გასანადგურებლად მათთან პირდაპირი შეჯახების გზით. ბრანდერების მართვა ხდებოდა ეკიპაჟების მიერ, რომლებიც ბრანდერის ბორტს შუა გზიდან ტოვებდნენ, აგრეთვე საზღვაო დინების ან ქარის გამოყენებით.

179 პინასი (ნიდერ. Pinas, ესპ. Pinaza) – XVI საუკუნის აფრიან-ნიჩბებიანი მცირე ზომის სწრაფმავალი გემი. გამოიყენებოდა მცირე ტვირთებისა და ფოსტის გადასატანად, აგრეთვე სადაზვერვო და საბრძოლო დანიშნულებით. ხშირად პინასი მარტივად ასაწყობი კონსტრუქციისა იყო და განთავსდებოდა დიდი გემების ბორტზე. კონკრეტული ამოცანის შესრულების წინ კი, ხდებოდა მათი აწყობა და წყალში ჩაშვება. XVII-XVIII საუკუნეებიდან სამანძიანი გემი. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ევროპაში.

გავლით. ეს მანევრი მეტად გაართულა წყლისა და საკვების უქონლობამ. ჯარისკაცები და მეზღვაურები შიმშილითა და წყურვილით იხოცებიან. მედინა სიდონიას ჰერცოგს სხვა არაფერი აღარ დარჩენოდა, თუ არა კამპანიის შეწყვეტა და დარჩენილი გემებისა და მათი ეკიპაჟების გადარჩენისათვის ზომების მიღება.

იგი ჩრდილოეთის მიმართულებით მიცურავს და 20 აგვისტოსათვის ფლოტი ატლანტის ოკეანემდე აღწევს.

ესპანელთა სახლში დაბრუნებაც არ აღმოჩნდა მარტივი საქმე. სურსათისა და წყლის მარაგი იწურებოდა, ბევრი გემი ბრძოლაში იყო დაზიანებული და წყლით ივსებოდა, მათი ეკიპაჟები კი, ძალაგამოცლილნი და იმედგაცრუებულნი იყვნენ. ყველაფერთან ერთად, ქარიშხალი ისევ ამოვარდა. ესპანელთა ფლოტი ცურვის კურსს სცდება, ცალკეული გემები კი მართვას კარგავენ. ისინი ერთმანეთს და საშიშ სანაპირო კლდეებს ეჯახებიან. ესპანელთა დამარცხება კატასტროფად იქცევა. ,,უძლეველი არმადის'' ოცი გემი იმსხვრევა შოტლანდიისა და ირლანდიის ციცაბო კლდეებზე. იღუპება ,,გრან გრიფონი", ,,ბარკ ფონ ჰამბურგი", ,,ტრინიდად ვალენსერა" და ასევე შეუპოვარი ნიჩბებიანი გემი ,,გირონა", რომლის ნამსხვრევებიც 1967 წელს იპოვეს ირლანდიის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ნახევრად ქვიშაში ჩამარხული. ნაწილი გემებისა უგზოუკვლოდ დაიკარგა. დღესაც ნახავთ ირლანდიის სანაპიროზე საცოდავად გამორიყული ესპანური ფლოტის ნაშთებს, ქვემეხის ჭურვების ნამსხვრევებს, სხვადასხვა იარაღს, ოქროს მონეტებს, ფინჯნებს, კოვზებს, ქვაბებსა და ათას წვრილმანს, გამოფიტული ადამიანების თეთრ ჩონჩხებს.

სექტემბრის ბოლოს, როცა ,,უძლეველი არმადის'' უკანასკნელმა გემებმა უმწეო მდგომარეობაში მიაღწიეს ესპანეთის სანაპიროს, მათზე უწინდელი ეკიპაჟების მესამედიც აღარ იყო დარჩენილი.[180] ფლოტის გემების დიდი ნაწილი კი განადგურებული იყო. ფილიპე II-მ, ,,ჭეშმარიტი სარწმუნოების" დამცველმა და კონტინენტის უმდიდრესმა და უძლიერესმა მბრძანებელმა თავისი სანუკვარი ოცნება ვერ აღასრულა, მისმა დიდმა ჩანაფიქრმა კრახი განიცადა. ინგლისის კუნძულების დესანტირებისა და ინტერვენციის უდიდესი საზღვაო ოპერაცია ესპანელთათვის წარუმატებლად დასრულდა. ინგლისი კი, გადარჩა.

დრეიკის მიერ არჩეული ბრძოლის ტაქტიკა სწორი აღმოჩნდა და მან გაიმარჯვა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისელებს ამ დიდი საზღვაო კამპანიის დროს არც ერთი გემი არ დაუკარგავთ. 1588 წლის 17 ნოემბერს, სამეფო ტახტზე ასვლიდან ერთი წლისთავზე, დედოფალმა ელისაბედ I-მა და სრულიად ინგლისმა თავისი ბრწყინვალე გამარჯვება დიდებული ზეიმის მოწყობითა და სანახაობით აღნიშნეს წმინდა პავლეს საკათედრო ტაძრამდე პროცესიით.[181]

---

[180] ესპანელთა ,,უძლეველი არმადიდან'' შინ მხოლოდ 60 ხომალდი დაბრუნდა 130-დან. ცოცხალი ძალის დანაკარგი კი, ადამიანთა პირველადი რაოდენობის 1/3-3/4 იყო. ათასობით ესპანელი დაიღუპა ბრძოლაში. ბევრი მათგანი ჭრილობებისა და ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. მათთვისაც კი, ვინც სამშობლოში დაბრუნდა, განსაცდელი არ იყო დასრულებული. თვით პორტებში შემოსული და ღუზაჩაშვებული გემების ეკიპაჟებიც კი სიკვდილის პირას იყვნენ მისულები, რადგან ყოველგვარი სასურსათო მარაგები უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდათ ამოწურული. ერთ-ერთი ასეთი ხომალდი პორტში შემოსვლის შემდეგ მეჩეჩზე შეჯდა, რადგან სრულიად გამოფიტულ და გადაღლილ ეკიპაჟს იმის ძალაც არ აღმოაჩნდა, რომ აფრები დაეშვა და ღუზა ჩაეგდო პორტში.

[181] 1588 წლის საზღვაო კამპანიაში ესპანელებმა უმძიმესი მარცხი განიცადეს. თუმცა ამას არ მოჰყოლია ესპანეთის საზღვაო ძლიერების დაუყოვნებლივი ნგრევა. ესპანელთა შერყეული ავტორიტეტის მიუხედავად, მთლიანობაში, XVI საუკუნის 90-იანი წლები ესპანეთის წარმატებული დაცვის ნიშნით მიმდინარეობდა. 1589 წელს ინგლისელთა საპასუხო ნაბიჯი, საკუთარი ,,არმადის'' გაგზავნით ესპანეთისათვის ,,სიმეტრიული პასუხი'' გაეცა, წარუმატებელი აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ კი, ესპანელებმა სასტიკად დაამარცხეს ინგლისელთა ფლოტი ატლანტის ოკეანეში, თუმცა ეს გამარჯვება ,,უძლეველი არმადის'' განადგურების კომპენსაციად ნამდვილად ვერ შეფასდება. ესპანელებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს და სწორი დასკვნებიც გამოიტანეს წარსულის მწარე გამოცდილებიდან. მათ უარი თქვეს მძიმე, მოუქნელი სამხედრო ხომალდების აგებისაგან და აქცენტი მსუბუქი, სწრაფმავალი და შორსმსროლელი არტილერიით აღჭურვილ გემებზე გადაიტანეს. მიუხედავად გატარებული ზომებისა, ესპანელებმა ვერც თავისი პოლიტიკური და ვერც რელიგიური მიზანი ვერ აღასრულეს. მათ ვერ დააბრუნეს ინგლისი ვერც ესპანეთის საგარეო პოლიტიკის და ვერც რომის კათოლიკური ეკლესიის ორბიტაზე და პოზიციებიც შეუსუსტდათ ნიდერლანდებში. ინგლისისათვის კი, ,,უძლეველ არმადაზე'' გამარჯვება პირველი დიდი ნაბიჯი იყო ინგლისის ძლიერი საზღვაო სახელმწიფოს და მომავალი ,,საზღვაო იმპერიის'' შექმნისაკენ. ინგლისელი პროტესტანტების თვალში კი, ეს გამარჯვება, რომელმაც ზღვარი დაუდო ჰაბსბურგთა კათოლიკური იმპერიის შემდგომ ექსპანსიას, ღვთის ნების გამოხატულებად იქნა მიჩნეული. პროტესტანტი ევროპელების რწმენით ესპანელთა ფლოტის განადგურებაში აშკარად ღმერთის ხელი ერია.

ჰენრიხ VIII
(1491-1547)

ელისაბედ I
(1533-1603)

ფილიპე II
(1527-1598)

ფრენსის დრეიკი (1540-1596)

უოლტერ რელი (1552-1618)



მედინა სიდონიას ჰერცოგი
ალონსო პერეს დე გუსმანი (1550-1615)

პარმის ჰერცოგი
ალესანდრო ფარნეზე (1545-1592)

ესპანელთა ფლოტის აღმოსაჩენად 1588 წელს ქალმსტონში
აშენებული სასიგნალო სადგური





ესპანელთა არმადა ინგლისის სანაპიროებთან. ქომელის ვან ვერინგენის ნახატი

უძლეველი არმადის განადგურება. ფილიპ ლუტერბურგის ნახატი. 1798 წელი


Westeuropa am Ende des 16. Jahrhunderts
Die Niederlage der spanischen Armada 1588
Die Wetterlage über Westeuropa am 8. August 1588
NORDSEE
KGR. SCHOTTLAND
KGR. ENGLAND
Kgr. Irland
KGR. DÄNEMARK
KGR. SCHWEDEN
Kgr. Norwegen
HEIL. RÖM. REICH
KGR. FRANKREICH
Golf von Biscaya
KGR. SPANIEN
Kgr. Portugal
MITTELLÄNDISCHES MEER
Algier
Hebriden
Skagerrak
Kattegat
Balearen
Korsika
Sardinien
Malta
Kilometer
0 50 100 200 400
westliche Länge 0° östliche Länge

ელისაბედ I-ის პორტრეტი მიძღვნილი ესპანელთა არმადის დამარცხებისადმი. მისი მარჯვენა ხელი გლობუსზეა დასვენებული, რითაც მისი მსოფლიო ძალაუფლებაა სიმბოლიზებული.

§2.6. დაგვიანებული შეხვედრა
(კინსეილი, 1601 წლის 24 დეკემბერი)

საუკუნეების მანძილზე ინგლისის სამეფოსთვის ირლანდიის საკითხი გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ირლანდია, ოდესღაც ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიის დასაყრდენი, შუა საუკუნეებში პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქუცმაცდა. მუდმივად ახალი ომების წამომწყებ კელტურ ტომებს ინგლისელები ბანჯგვლიან მხეცებად აღიქვამდნენ, რომლებიც უნდა დაემორჩილებინათ და მათი მიწები ინგლისის სახელმწიფოს ტერიტორიებისთვის შემოეერთებინათ. მაგრამ ეს ასე უბრალოდ ვერ ხერხდებოდა. არაერთი ინგლისელი მონარქის მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა.

ფორმალურად ინგლისის მეფე ირლანდიაშიც მეფობდა, მაგრამ მისი გავლენის რაიონი ირლანდიის სამხრეთით მდებარე რამდენიმე საპორტო ქალაქით შემოიფარგლებოდა, უპირველეს ყოვლისა, კორკითა და უოტერფორდით, ასევე ორმოცი კილომეტრი სიგანის სანაპირო ზოლით, რომლის ცენტრიც დუბლინი იყო. ეს იყო შემოსაზღვრული რაიონი, უცხო, მიუვალ ქვეყანაში. ინგლისის სამეფო კი, დიდი დილემის წინაშე იდგა. ირლანდიის საბოლოო კოლონიზაცია ვერ მოხერხდა, მაგრამ უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა. როგორც იტყვიან, წილი ნაყარი იყო და ელისაბედ I ტიუდორს არ სურდა ნებაყოფლობით ეთქვა უარი „ბრიტანეთის მეორე კუნძულზე“. რა უნდა გაეკეთებინა დედოფალს ან რისი გაკეთება შეეძლო მას თავისი მიზნის მისაღწევად?

დედოფალმა იცოდა, რომ არ ივარგებდა ამ საქმეში მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა, რადგან ირლანდია და მისი სტრატეგიული მდებარეობა ინგლისს საფრთხეს უქმნიდა. ეს იყო იდეალური ადგილი უცხო ქვეყნის ჯარების შესაგროვებლად ან ინტერვენციის მოსამზადებლად. ირლანდიური ტომები კი, მუდმივად აწყობდნენ აჯანყებებს, ეწინააღმდეგებოდნენ ტიუდორთა დინასტიის გაბატონებას და ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ამ ქვეყანაში ომი და ტერორი ნორმალური მდგომარეობა იყო, რასაც ელისაბედის დროსაც ჰქონდა ადგილი. თავდაპირველად იგი საქმის მოგვარებას პატარ-პატარა ომებით ცდილობდა, შეზღუდული სამხედრო მოქმედებებითა და მცირერიცხოვანი ჯარებით. დედოფალს იმედი ჰქონდა, რომ ირლანდია ნელ-ნელა დამშვიდდებოდა და შესაძლებელი იქნებოდა მისი ინგლისურ ყაიდაზე გარდაქმნა, ჯერჯერობით კი იძულებული იყო, უარი ეთქვა თვით უმნიშვნელო ჩარევის პოლიტიკაზეც კი. მაგრამ მალე მდგომარეობა იცვლება და ელისაბედი იძულებული ხდება ირლანდიასთან მიმართებაში თავისი პოლიტიკა შეცვალოს. ამის მიზეზი ირლანდიის ჩრდილოეთ პროვინციაში, ოლსტერში, ირლანდიური კლანის მეთაურის, ტირონის გრაფის, ჰიუ ო'ნილის[182] აქტივობა ხდება.

ო'ნილი თავდაპირველად ინგლისის სამეფო კარზე იზრდებოდა. იგი კარგად იცნობდა ინგლისის არისტოკრატიასა და მათი ცხოვრების წესს. ო'ნილმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა პატრიოტულად განწყობილი ირლანდიელი მოხალისეები და ბრძოლისაკენ მოუწოდა მათ. ასე ჩამოყალიბდა ირლანდიური პარტიზანული რაზმები და არმია. ირლანდიელები ინგლისელთა ჯარის თანდათან შევიწროებასა და განადგურებას ცდილობენ. ელისაბედი უნდა ამოქმედდეს, რადგან აჯანყება აშკარად ომში და ირლანდიის საერთოსახალხო მოძრაობაში გადაიზრდება.

მდგომარეობა ინგლისელთათვის სულ უფრო საშიში და სახიფათო ხდება. ამ დროს შოტლანდიაში ხელისუფლების სათავეში იაკობ I[183], მარიამ სტიუარტის[184] შვილი მოდის,

---

[182] ტიუდორთა დინასტიის ინგლისის მეფეები თავადური ტიტულების, მიწებისა და საგვარეულო პრივილეგიების მინიჭებით ცდილობდნენ ირლანდიელ ტომთა ბელადების კეთილგანწყობა მოეპოვებინათ და ასეთი გზით ჰყოლოდათ მორჩილებაში ირლანდიელი ხალხი.

[183] მარიამ სტიუარტის შვილი და შოტლანდიის მეფე – იაკობ I, იგივე ჯეიმს VI და ჯეიმს I სტიუარტი (ინგლ. James VI and I), შოტლანდიის დედოფლის მარიამ სტიუარტის შვილი და ტიუდორთა დინასტიის ინგლისისა და ირლანდიის პირველი მეფის, ჰენრიხ VII-ის შვილთა შვილიშვილი იყო (1566-1625წ.წ.) – 1567 წლიდან

რომელიც ელისაბედმა ოცდაათი წლის წინ დასაჯა სიკვდილით. ცხადია, შოტლანდიელებმაც ირლანდიელების მხარე დაიჭირეს. დაქირავებული შოტლანდიელი ჯარისკაცები ცალკეულ ჯგუფებად მიიწევენ ირლანდიისკენ, რათა დახმარება გაუწიონ ირლანდიელ ძმებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ესპანეთის მეფე ცდილობს, ირლანდიაში გამაგრდეს და იქიდან კიდევ ერთხელ მოაწყოს ინგლისის ინტერვენცია. ამის გამო, 1599 წლის აპრილში ელისაბედი ირლანდიაში ჩვიდმეტიათასკაციან ძლიერ არმიას აგზავნის, ესექსის ოცდათორმეტი წლის გრაფის, რობერტ დევეროქსის მეთაურობით. ელისაბედის დედოფლობის დროს ეს იყო ინგლისელთა ყველაზე ძლიერი და დიდი (ყოველ შემთხვევაში, მატიანე ამას გვამცნობს), ასევე ყველაზე ძვირადღირებული შეიარაღებული ძალა, რომელზეც ყოველწლიურად სამასი ათასი ფუნტი იხარჯებოდა.

დევეროქსი სრულიად უიღბლო აღმოჩნდა. იგი თანამდებობისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ირლანდიის ომში გამოცდილებას ვერ იძენს. ახალგაზრდა გრაფი თავს არიდებს ბრძოლებს და თვეების განმავლობაში მხოლოდ ქვეყანაში გადაადგილებით კმაყოფილდება, ვიდრე მისი შეიარაღებული ძალებისაგან დეზერტირობისა და ავადმყოფობის გამო მებრძოლების მეოთხედიღა არ დარჩა. ინგლისელთა ეს ლაშქრობა ტოტალური მარცხით სრულდება. ესექსის გრაფს ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდება. მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის შემდეგ, ელისაბედი გრაფ დევეროქსის ტაუერში ჩასმას და თავის მოკვეთას ბრძანებს. მის შემცვლელად დედოფალი ჩარლზ ბლანტს, ლორდ მაუნთჯოის ნიშნავს.

ეს კარგი არჩევანი იყო. ლორდი მაუნთჯოი, გამოცდილი ჯარისკაცი იყო და ყურს უგდებდა ირლანდიელი მომხრეების რჩევებს. ამავე დროს, მისი ჯარი მცირერიცხოვანი იყო მასშტაბური საომარი მოქმედებების საწარმოებლად, ამიტომაც მან თავი შეიკავა გადამწყვეტი ბრძოლისაგან. ლორდმა ბევრჯერ სცადა სისტემატური თავდასხმებით ირლანდიის იმ რეგიონების გაუდაბურება, საიდანაც მეამბოხეები საკვებს იტაცებდნენ და ამ ხერხით ცდილობდნენ მოწინააღმდეგის დასუსტებას. ეს ნამდვილად არ იყო ცუდი სტრატეგია. ლორდი მაუნთჯოი აიძულებს ირლანდიელ აჯანყებულთა მეთაურს, ტირონის გრაფ ჰიუ ო'ნილს, იმოქმედოს, რომელიც თავის ბრძოლაში იგი მარტო არ არის. იგი დარწმუნებულია გარეშე ძალის, ესპანეთის დახმარებაში. და ეს გასაგებიცაა.

ესპანეთის ახალგაზრდა მეფე, ფილიპე III პატივმოყვარეობითაა შეპყრობილი.[185] თერთმეტი წლის წინ, ინგლისელთა მიერ მამამისის, ფილიპე II-ის „დიდი არმადის" დამარცხება და შურისძიების წყურვილი არ ასვენებს არც მას და არც მის ქვეყანას. ფილიპე III მოქმედებას იწყებს. იგი პირობას აძლევს ო'ნილს და აჯანყებულებს, რომ დამხმარე ლაშქარს შეადგენს და მას ირლანდიაში გააგზავნის.[186] თუ ესპანელთა დამხმარე

შოტლანდიის, ხოლო 1603 წლიდან სტიუარტთა დინასტიის ინგლისისა და ირლანდიის პირველი მეფე 1603 წლის 24 მარტიდან. იმ დროისათვის ინგლისისა და შოტლანდიის სამეფოები დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო თავისი პარლამენტით, იურისდიქციით და კანონმდებლობით, თუმცა ორივე მათგანს ერთი მეფე მართავდა.

184 მარიამ I სტიუარტი (შოტლ. Màiri Stiùbhart, ინგლ. Mary I Stuart) (1542-1587წ.წ.) – შოტლანდიის მეფის იაკობ V-ისა და ფრანგი პრინცესა მარიამ დე გიზის ქალიშვილი. შოტლანდიის დედოფალი დაბადებიდან, მაგრამ სამეფოს ფაქტიურად მართავდა 1561-1567 წლებში. ასევე საფრანგეთის დედოფალი 1559-1560 წლებში, როგორც მეფე ფრანცისკ II-ის მეუღლე და ინგლისის ტახტის პრეტენდენტი. ელისაბედ I-ის ბრძანებით სიკვდილით იქნა დასჯილი 1587 წელს.

185 ფილიპე III ჰაბსბურგი (ესპ. Felipe III) (1578-1621წ.წ.) – ესპანეთისა და პორტუგალიის მეფე 1598 წლიდან. ფილიპე II-ის შვილი და მემკვიდრე. ესპანეთის პირველი უსუსური მეფე, რომელმაც ესპანეთი საერთო ეკონომიკურ დაცემამდე და საგარეო პოლიტიკურ უძლურებამდე მიიყვანა. პატივმოყვარე და ინერტულმა მეფემ გარს შემოიკრიბა უნიჭო მინისტრები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ და სახელმწიფო ხაზინისა და ხალხის ხარჯზე უზომოდ მდიდრდებოდნენ. კოლოსალური სახელმწიფო ვალი, 140 მილიონი დუკატი, რომელიც ფილიპე III-მ მამისგან მიიღო, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. სახელმწიფო შემოსავლები კი, მცირდებოდა. მისი მეფობის პერიოდში ცუდი ადმინისტრირებისა და საყოველთაო კორუფციის გამო, ესპანელი ხალხი ღატაკდებოდა, მეფის კარი და ჩინოვნიკები კი წარმოუდგენელ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ.

186 საერთაშორისო დონეზე, 1595 წლიდან, ჰიუ ო'ნილი თავს ფილიპე II-ის ვასალად აღიარებდა, ხოლო ჰაბსბურგთა ავსტრიული სახლის პრინცს, ალბერტს, ირლანდიის ტახტის პრედენდენტად განიხილავდა.

ძალა ტირონის გრაფის ჯარს შეუერთდება ოლსტერში, მაშინ ყველაფერი დამთავრდება – ინგლისელების მდგომარეობა უიმედო იქნება. ძალთა ასეთ უპირატესობას ისინი ვერაფერს ვეღარ დაუპირისპირებენ.

1601 წლის შემოდგომაზე ესპანელთა ფლოტი ირლანდიას უახლოვდება, ინგლისელი ჯარისკაცების დამარცხება გარდაუვალი ჩანს. ო'ნილი კი, თავის გამარჯვებაშია დარწმუნებული. თითქოს ყველაფერი ნათელია, ესპანელთა საექსპედიციო კორპუსთან გაერთიანების შემდეგ ინგლისელების ბედი გადაწყვეტილია და ირლანდია საბოლოოდ განთავისუფლდება. ო'ნილთან ერთად ამის ძალიან ბევრ ირლანდიელს სჯერა და სწამს. მაგრამ ისინი ცდებიან. ისტორია კიდევ ერთხელ განმეორდება. ორივე ლაშქრის გაერთიანება ვერც ამჯერად მოხერხდება. ისევე როგორც მაშინ, ცამეტი წლის წინ, ფილიპე II-ს მეფობის დროს, მედინა სიდონიას მეთაურობით ესპანური არმადა ასცდა ფლანდრიაში მყოფ პარმის ჰერცოგის ჯარს, ისევე ვერ შეხვდება ჰიუ ო'ნილი ესპანელთა ჯარს, დონ ხუან დელ აგილას მეთაურობით.

ირლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში, ოლსტერში დაბანაკებულმა ო'ნილმა შეცდომით ივარაუდა, რომ ესპანელები აქ იქნებოდნენ, მაგრამ ისინი ნაპირზე ირლანდიის სამხრეთით, მდინარე ბანდონის შესართავთან გადავიდნენ, კინსეილის ყურეში. ესპანელთა საზღვაო ინტერვენციის ეს გეგმა არასათანადოდ მომზადებული, არასაკმარისად შეთანხმებული და ცუდად ორგანიზებული იყო. ირლანდიელთა ლაშქარსაც სხვა გზა არ ჰქონდა, ო'ნილი სასწრაფოდ უნდა წასულიყო სამხრეთით, რათა იქ შეერთებოდა ესპანელების ჯარს. ეს იყო გრძელი, რთული გზა მთელი ირლანდიის გავლით, შუა ზამთარში. როცა ბოლოს და ბოლოს აჯანყებულები ირლანდიის სამხრეთ სანაპიროზე კინსეილის ლამაზ ნავსადგურს მიუახლოვდნენ, ძალიან დაღლილები, დასუსტებულები და იმედდაკარგულები ჩანდნენ. ესპანელები, ალბათ, დიდი ხანია, უკვე უკან წავიდნენ და ამისთანა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან გაუშვეს.

მაგრამ ესპანელები ისევ იქ იყვნენ, თუმცა უცხო ქვეყანაში ყოფნისას ბრძოლის ხალისი დაჰკარგვოდათ. ლორდი მაუნთჯოი მაშინვე ხვდება, რომ დრო მის საწინააღმდეგოდ მუშაობს და ასეთ მდგომარეობაში მისი შანსებიც მაღალია. დროის გასვლასთან ერთად კი, იგი მინიმალური გახდება. მან არ უნდა დაუშვას ო'ნილის აჯანყებულების შეერთება ესპანელებთან. იგი დაუყოვნებლივ იწყებს მოქმედებას. ისევე როგორც ფრენსის დრეიკი, კალესთან, ცამეტი წლის წინ, ისიც გადაწყვეტს დროის დაკარგვის გარეშე, მამაცურად შეუტიოს აჯანყებულებს. იგი თავის ჯართან ერთად მიემართება ირლანდიელებთან შესახვედრად და დანიშნულების ადგილს 1601 წლის დეკემბერში აღწევს, იქამდე, ვიდრე ისინი ესპანელებთან გაერთიანებას შეძლებდნენ. ჯერ არ დამდგარა „შობის წინადღე", წმინდა დღესასწაული, რადგან ინგლისელებისთვის შობა ერთი დღით გვიან დგება. ამრიგად, ბრძოლა სწრაფად იწყება. ინგლისელები იმარჯვებენ. ქანცგაწყვეტილ ირლანდიელ აჯანყებულთა ლაშქარი ვერ უმკლავდება ინგლისელების შემოტევას. ჰიუ ო'ნილი უკან იხევს და დარჩენილ ჯართან ერთად ოლსტერს აფარებს თავს.

და ესპანელები? სად არიან ისინი ამ დროს? ისინი არსადაც არ წასულან, მაგრამ მათი საბრძოლო სულისკვეთება ნულამდეა დაცემული. 1602 წლის 2 იანვარს ისინი უბრძოლველად ნებდებიან ლორდ მაუნთჯოის. ორი თვის შემდეგ კი, ინგლისელები მათ სამშობლოში დაბრუნების ნებას აძლევენ. სრულიად უშედეგო ექსპედიცია! მათ ერთხელ და სამუდამოდ დაკარგეს ირლანდიისადმი ინტერესი. ინგლისი და მისი შეიარაღებული ძალები გადარჩნენ. ირლანდიელებს კი, აღარ რჩებათ შანსი გააგრძელონ თავისუფლებისთვის ბრძოლა, რისთვისაც აქამდე თავს არ ზოგავდნენ.[187]

---

[187] 1601-1602 წლებში ინგლისელთა ჯარმა ოლსტერში ნათესები და საქონელი გაანადგურა. ბევრმა ირლანდიელმა ლორდმა ჰიუ ო'ნილს უღალატა და ინგლისელთა მხარეს გადავიდა. ამ პერიოდში ო'ნილი ტირონში სამი მხრიდან იქნა ბლოკირებული. მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ჰენრი დოკრის ჯარები დორის მხრიდან, არტურ ჩიჩესტერის – კარიკფერგუსის მხრიდან, ხოლო ლორდი მაუნთჯოის ჯარები დანდალკის მხრიდან. 1602 წლის ივნისში ჰიუ ო'ნილმა თავისი რეზიდენცია, ქალაქი დანგანონი გადაწვა, თავად კი, თანამოაზრეებთან ერთად გლენკოის ტყისკენ

1796 წლის ზამთარში თეობალდ ვოლფ ტონის მეთაურობით „გაერთიანებულმა ირლანდიელებმა“ კიდევ ერთხელ სცადეს, ამჯერად ფრანგების სამხედრო გემებისა და თხუთმეტი ათასი ფრანგი ჯარისკაცის დახმარებით, ინგლისის სამეფოს წინააღმდეგ აჯანყება. მაგრამ ირლანდიელებს ბედი არ სწყალობდათ უცხო ქვეყნის დამხმარე ჯართან ერთად ბრძოლაში. ცუდად აღჭურვილი ირლანდიელი მეომრები მზად არ იყვნენ ბრძოლისთვის, როცა ფრანგები სამხრეთ-დასავლეთ ირლანდიაში, ბანტრთან გადმოსხდნენ სანაპიროზე. ამასთან ერთად, ქარიშხალმა გაფანტა ფრანგული ფლოტი, რის გამოც ეს ოპერაციაც წარუმატებლად დასრულდა.

საინტერესოა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, შეცდომის გამო 1601 წელს რომ არ დაბრკოლებულიყო ესპანელთა და ირლანდიელთა ჯარების გაერთიანება? ან ფრანგებთან ერთად რომ ეწარმოებინათ ირლანდიელებს ბრძოლა? ისტორიული პროცესების შესახებ პროგნოზების გაკეთება ზოგადად, უმადური საქმეა, მაგრამ ირლანდიელთა და ესპანელთა გაერთიანებული ჯარი ალბათ მოიგებდა ბრძოლას კინსეილთან ან სადმე სხვა ადგილზე და ისინი ინგლისელებს სამუდამოდ განდევნიდნენ ირლანდიიდან. ის კი დღესავით ნათელია, რომ ირლანდიის ისტორია სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ოთხასი წლის შემდეგ აღარ იარსებებდა ორი ირლანდიური სახელმწიფო, რაც დღემდე არსებობს და ირლანდიის რესპუბლიკური არმიაც აღარ იქნებოდა.[188] ასევე, თავიდან იქნებოდა აცილებული შემდგომი სისხლისღვრები.

ჰიუ ო’ნილს კი, სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ 1603 წლის მარტში, მშვიდობიან პერიოდში დამორჩილებოდა მელიფონტის სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებს.[189] საბოლოოდ, მიუხედავად ირლანდიელთა ყველა მცდელობისა, ირლანდიის კუნძულზე ინგლისის ძალაუფლება გავრცელდა.

დაიხია, სადაც თავდაცვისათვის დაიწყო მზადება. 1603 წლის დასაწყისში დედოფალმა ელისაბედ ტიუდორმა განკარგულება გასცა ლორდ მაუნთჯოის ო’ნილთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ.

188 ირლანდიის რესპუბლიკრი არმია (ირა) (ირლ. Óglaigh na hÉireann, ინგლ. Irish Republican Army (IRA)) – ირლანდიური გასამხედროებული დაჯგუფება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოსგან ჩრდილოეთ ირლანდიის, ოლსტერის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და ბრიტანული ჯარებისგან მისი დეოკუპაცია. თავის საქმინაობაში ირა ეყრდნობა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკურ მოსახლეობას, თავის მთავარ მოწინააღმდეგედ კი, გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენის მომხრეებს თვლის. იგი დაპირისპირებულია როგორც ბრიტანულ ძალოვან სტრუქტურებთან, ასევე პროტესტანტთა გასამხედროებულ დაჯგუფებებთან. ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას თავისი წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთის პარლამენტშიც ჰყავს.

189 1603 წლის 24 მარტს ინგლისის დედოფალი ელისაბედ ტიუდორი გარდაიცვალა. 17 მარტს ლორდმა მაუნთჯოიმ მისი გარდაცვალების ამბავი შეიტყო, მაგრამ ამ ამბავს 5 აპრილამდე მალავდა. 1603 წლის 30 აპრილს მელიფონტში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება ირლანდიელ აჯანყებულთა ლიდერს, ჰიუ ო’ნილსა და ინგლისის ჯარების მთავარსარდალს, ლორდ მაუნთჯოის შორის. ამ გარიგებით ო’ნილმა შეინარჩუნა ტირონის გრაფის ტიტული და თავისი მამულები ოლსტერის პროვინციაში.

ჯეიმს VI და I სტიუარტი
(1566-1625)

მარია სტიუარტი
(1542-1587)

ფილიპე III
(1578-1621)

ჰიუ ო'ნილი
(1550-1616)



რობერტ დევეროქსი
(1565-1601)

ლორდი მაუნთჯოი
(ჩარლზ ბლანტი)
(1563-1606)

თეობალდ ვოლფ ტონი
(1763-1798)

XVI საუკუნის ირლანდია

ესპანელი ქვეითი
(მუშკეტერი)

ირლანდიელი ჯარისკაცები. ალბრეხტ დიურერის ნახატი. 1521 წელი



ლორდი მაუნთჯოი. მისი რეაქცია ირლანდიაში ესპანელთა
გადმოსხდომაზე სწრაფი და ეფექტური იყო



კინსეილის ალყა, 1601 წელი

1603 წელს ჰიუ ო'ნილი მორჩილებას უცხადებს ინგლისის სამეფო კარს

ირლანდიის რესპუბლიკური არმია

§2.7. „წინ მიდიოდა მხედარი თეთრონით...“ (ლიუცენი, 1632 წლის 16 ნოემბერი)

„ნოემბრის ერთ დღეს შვედურ მდელოებზე ნაცრისფერი ნისლი იყო დაფენილი...“ ვინ არ იცნობს ამ ბალადის დასაწყისს, რომელიც თეოდორ ფონტანემ[190] მარტივად დაათარიღა „1632 წლის 16 ნოემბრით“? XIX საუკუნეში გერმანიაში, ლიუცენთან, პატარა ქალაქ ლაიფციგის მახლობლად გამართული ბრძოლა თეოდორ ფონტანემ ისევე ცნობილი გახადა ყველასთვის, როგორც შვედეთის პროტესტანტმა მეფემ გახადა საყოველთაო განხილვის საგნად მის მიერ ჩატარებული ბრძოლები.

ურმით ველზე მიმავალ შვედ გლეხს მოულოდნელად თვალწინ მეფე გუსტავ ადოლფუსის[191] ხატება წარმოუდგა – ამ დროს საქსონიაში ომი მძვინვარებდა: „ბობოქრობდა და გრუხუნებდა მიწა და ჰაერი, წინ მიდიოდა მხედარი თეთრონით”.

შვედეთის მეფე თავის ჯარს გენერალისიმუს ვალენშტაინის[192] საიმპერატორო არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად მიუძღოდა. მას ერთი რამ სწამდა მყარად – კათოლიკური ლიგის[193] წინააღმდეგ მიმართული შვედეთის პოზიციის, როგორც გერმანიის პროტესტანტობის დამცველი სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის, გამარჯვება იყო საჭირო.[194] „ნისლში ისე გაიელვა, როგორც სინათლის ზოლმა, მაგრამ მხედარი აღარ იჯდა უნაგირზე. გაქცეული ცხოველი ცხელ ორთქლს უშვებდა ცხვირის ნესტოებიდან, მისი

---

190 თეოდორ ფონტანე (გერმ. Theodor Fontane) (1819-1898წ.წ.) – გერმანელი მწერალი და პოეტი, XIX საუკუნის გერმანულ ლიტერატურაში რეალიზმის გამოკვეთილი წარმომადგენელი.

191 გუსტავ II ადოლფუსი (შვედ. Gustav II Adolf) (1594-1632წ.წ.) – XVII საუკუნის ევროპის ისტორიის გამორჩეული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ინოვატორი და რეფორმატორი, შვედეთის მეფე, კარლოს IX-ისა და ქრისტინა ჰოლშტაინის ვაჟი, დიდი მხედართმთავარი, სტრატეგოსი და ტაქტიკოსი, თანამედროვე ევროპული სამხედრო აზრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და რეფორმატორი, მეტსახელად „თოვლის მეფე” და „ჩრდილოეთის ლომი”. მისი თორმეტწლიანი მეფობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე ეპოქაა შვედეთის ისტორიაში. ასევე დიდია მისი მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისა და სამხედრო ისტორიისთვის. გუსტავ ადოლფუსი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული პიროვნება იყო. თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ჰოლანდიურ, ფრანგულ, იტალიურ და ლათინურ ენებს. საუბრობდა რუსულად და პოლონურად. იცოდა მათემატიკა და ისტორია. იყო ბრწყინვალე მოფარიკავე და ცხენზე მოჯირითე. XVII საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული პოლიტიკისა და ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და ლიდერი.

192 ალბრეხტ ვენცელ ვალენშტაინი (გერმ. Albrecht Wenzel Eusebius von Wallenstein) (1583-1634წ.წ.) – XVII საუკუნის დასაწყისის დიდი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, კათოლიკური ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იმპერისტთა გენერალისიმუსი და ადმირალი, ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სარდალი, ფრიდლანდიისა და მეკლენბურგის ჰერცოგი.

193 კათოლიკური ლიგა (გერმ. Katholische Liga) – გერმანული კათოლიკური საჰერცოგოებისა და სათავადოების გაერთიანება ოცდაათწლიანი ომის წინ. იგი პროტესტანტთა ბრძოლის წინააღმდეგ კონსოლიდირებულ სამხედრო-რელიგიურ სისტემას წარმოადგენდა, რომელი შეიქმნა 1609 წელს ჰერცოგ მაქსიმილიან ბავარიელის თაოსნობით. ბავარიასთან ერთად კათოლიკურ ლიგაში შევიდნენ აგრეთვე კიოლნის, ტრირის, მაინცისა და ვიურცბურგის საეპისკოპოსოები. მასში არ შესულა ზოგიერთი, მაგალითად, ზალცბურგის საარქიეპისკოპოსო. ლიგამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოცდაათწლიანი ომის პირველ ეტაპზე. იგი დაიშალა 1635 წელს, პრაღის სამშვიდობო ხლშეკრულების საფუძველზე.

194 აქ ოცდაათწლიან ომზეა საუბარი. ოცდაათწლიანი ომი, რომელიც 1618-1648 წლებში მიმდინარეობდა, წარმოადგენდა ევროპასა და საღვთო რომის იმპერიაში ჰეგემონობისათვის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს შეეხო. ომი თავდაპირველად დაიწყო როგორც რელიგიური ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის, რომელიც მალე გადაიზარდა ჰაბსბურგთა ჰეგემონიიის წინააღმდეგ მიმართულ ომად, და ამავე დროს, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ, დამოუკიდებლობის ომად. ეს კონფლიქტი წარმოადგენდა ევროპაში მიმდინარე უკანასკნელ ღირებულ რელიგიურ ომს, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა საერთაშორისო ურთიერთობების ვესტფალიის სისტემა. ჰაბსბურგების მხარეს იყვნენ: ავსტრია, კათოლიკური გერმანიის ძირითადი საგრაფოები, ესპანეთი, პორტუგალია, რომის პაპი, პოლონეთი. ანტიჰაბსბურგულ კოალიციას შეადგენდნენ: დანია, გერმანიის პროტესტანტული საგრაფოები, ჩეხეთი, ტრანსილვანია, ვენეცია, სავოია. მხარს უჭერდნენ: ინგლისი, შოტლანდია და რუსეთი. ამ საერთო ევროპულ კონფლიქტში მხოლოდ ოსმალთა იმპერია არ ჩაერთო, რადგან ამ მომენტისათვის მას ახალი ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა აზიაში სპარსეთის სეფიანთა დინასტიის სახით. საერთო ჯამში, ამ ომში მოხდა ტრადიციული კონსერვატორული ძალებისა და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების შეჯახება. ამ მომენტისათვის პროტესტანტული შვედეთი რჩებოდა ერთადერთ მსხვილ სახელმწიფოდ, რომელსაც ძალთა ბალანსის შეცვლა შეეძლო ევროპაში. შვედეთის მეფე, გუსტავ ადოლფუსი, ესწრაფვოდა შეეჩერებინა კათოლიკური ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ, ასევე დაემყარებინა საკუთარი კონტროლი ბალტიის ზღვასა და ჩრდილოეთ გერმანიაზე (პომერანიაზე).

სითეთრე კი მეწამულს დაეფარა“. ფონტანე გვამცნობს მოსალოდნელი უბედურების შესახებ. „სისხლიანი უნაგირი, სისხლიანი ფაფარი... მთელმა შვედეთმა დაინახა მერანი“. პოემა გადმოსცემს მეფის ბედს, მაგრამ არა იმას, თუ როგორ დამთავრდა ბრძოლა. ბალადაში ასევე არ იხსენიება ის შეცდომები, რომლებმაც ამ ბრძოლის ბედი განსაზღვრეს.

შვედების მცირერიცხოვანი ლაშქარი 1630 წლის ივნისში, დაახლოებით თოთხმეტი ათასი ჯარისკაცი, გერმანიისკენ მიცურავს და ნაპირზე მდინარე პენეს შესართავთან გადადის. დანარჩენები უკან მიჰყვებიან და მალე საქსონელი მოკავშირეებიც უერთდებიან, მაგრამ მეფე გუსტავ ადოლფუსი – „ჩრდილოეთის ლომი”, საერთო ჯამში, ოცი ათას კაცზე მეტს ვერ აგროვებს. იმ დროისათვის შვედეთსა და ფინეთში მხოლოდ ერთნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, საღვთო რომის იმპერიაში კი – ჩვიდმეტი მილიონი. აქედან ძალიან ბევრი დაქირავებული ჯარისკაცი მსახურობდა შვედეთის ლაშქარში, ასევე გერმანელები და კათოლიკები. გუსტავ ადოლფუსმა იცოდა, რომ ხანგრძლივი ომის წარმოებას იგი ვერ შეძლებდა. ამიტომ მას სასწრაფოდ სჭირდებოდა ხანმოკლე გადამწყვეტი ბრძოლა და გამარჯვება. ამისათვის კი, პირველ რიგში, მოკავშირეების შეძენა იყო საჭირო. იგი მას შემდეგ მოიპოვებს მოკავშირეებს, რაც იმპერისტთა სარდალი, გრაფი ტილი,[195] 1631 წლის მაისში, პროტესტანტული მაგდებურგის დაპყრობისა და გაძარცვის, ასევე ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის ამოჟლეტის შედეგად მოსახლეობაში შიშს დანერგავს. გუსტავ ადოლფუსი ახალ მოკავშირეებს იძენს. კათოლიკურ ლიგასთან დაპირისპირებული საქსონია-ვაიმარის თავადი ბერნჰარდი[196], ჰესენ-კასელის ლანდგრაფი ვილჰელმი და ასევე აქამდე ბერლინის ქალაქის კოშკთან დაყოვნებული გეორგ ვილჰელმი ომში შვედეთის მხარეზე გადადიან.

მეფე გუსტავ ადოლფუსი დიდი სამხედრო რეფორმატორი იყო, შვედეთის ეროვნული არმია კი, პატარა, მაგრამ კარგად გაწვრთნილი. სამხედრო ტექნოლოგიებში, ჯარების ორგანიზაციასა და ბრძოლის წარმოების წესში მეფემ მთელი რიგი სიახლეები დანერგა. იმ დროს, როცა ესპანეთის მაგალითის მიხედვით, საიმპერატორო არმიაში მუშკეტერები ესპანური ტერციოს[197] ოცდაათმწკრივიან მწყობრში იბრძოდნენ, რომლებიც თავიანთი მუშკეტების[198] გადატენისას უნდა დაეცვათ შუბოსნებს, მეფე გუსტავმა ახალი საბრძოლო წყობა შეიმუშავა მსუბუქ, მცირე ქვედანაყოფებად.[199] გუსტავ ადოლფუსის

---

[195] გრაფი იოჰან ცერკლას ფონ ტილი (გერმ. Johann t'Serclaes Graf von Tilly) (1559-1632წ.წ.) – კათოლიკური ლიგის ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი, იმპერისტთა არმიის ფელდმარშალი, ოცდაათწლიანი ომის სახელგანთქმული მხედართმთავარი.

[196] ბერნჰარდ ფონ საქსენ-ვაიმარელი (გერმ. Bernhard von Sachsen-Weimar) (1604-1639წ.წ.) – პროტესტანტთა მხედართმთავარი, ოცდაათწლიანი ომის მონაწილე, ფრანკონიის ჰერცოგი 1633 წლიდან.

[197] ტერციო (ესპ. Tercio) – ესპანელთა მიერ შემუშავებული ჯარების ტაქტიკური ერთეული და საბრძოლო წყობა XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ტერციო ძირითად საბრძოლო წყობას წარმოადგენდა ჰაბსბურგთა დინასტიის ევროპული დომინირების ეპოქაში. ტერციოში განსაზღვრული წესით დაწყობილი შუბოსნები და არკებუზირები ან მუშკეტერები იყვნენ წარმოდგენილნი. საერთო ჯამში, მათი რიცხვი 3000 იყო, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული ტაქტიკური ამოცანიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა ნაკლებიც შეიძლება ყოფილიყო. ესპანური ტერციო პირველი ევროპული ტაქტიკური საბრძოლო ერთეული იყო, სადაც პირადი შემადგენლობა კარგად გაწვრთნილ, მოტივირებულ და მაღალი სამწყობრო დისციპლინის მქონე ჯარისკაცებს წარმოადგენდნენ და არა დაქირავებულ მებრძოლებს, როგორც ეს მიღებული იყო სხვა ქვეყნების არმიებში. ათწლეულების განმავლობაში ტერციო დაუმარცხებელ ტაქტიკურ ერთეულად ითვლებოდა.

[198] მუშკეტი (გერმ. Muskete) – ევროპაში ფართოდ გავრცელებული ძველებური ცეცხლსასროლი იარაღის სახეობა. ამ ტერმინის მნიშვნელობა იცვლებოდა ისტორიულ პერიოდებთან და ეროვნული ტერმინოლოგიის თავისებურებებთან მიმართებაში.

[199] XVII საუკუნეში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეითი ჯარის შეიარაღება. კალიბრის შემცირებით მუშკეტის წონა იმდენად შემცირდა, რომ გუსტავ ადოლფუსმა სროლისათვის აუცილებელი სადგარი გააუქმა. მან შემოიღო ქაღალდის ვაზნები, რომლებიც ჯარისკაცებს (მუშკეტერებს) ზურგს უკან ტყავის ჩანთით დაჰქონდათ. ყოველივე ამან მკვეთრად შეამცირა თოფის დასატენად საჭირო მოქმედებების რიცხვი, სროლის ტემპი კი მკვეთრად გაიზარდა. შუბი დაახლოებით ნახევარი მეტრით დამოკლდა. გუსტავ ადოლფუსმა ქვეითთა წყობაში შეცვალა მუშკეტერებისა და შუბოსნების თანაფარდობა. მისი პოლკების ორ მესამედს უკვე მუშკეტერები შეადგენდნენ, ზოგიერთი პოლკი კი მთლიანად მუშკეტერებით იყო დაკომპლექტებული. მუშკეტმა ძირითადში გამოდევნა შუბი, მაგრამ რადგან მუშკეტერებს არ გააჩნდათ ეფექტური ცივი იარაღი კავალერიასთან საბრძოლველად, შუბის შენარჩუნება მაინც საჭირო იყო. ითვლებოდა, რომ მუშკეტერებს შუბოსნების გარეშე არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ კავალერიის იერიშებს.

ჯარში გასროლისას მწკრივის მუშკეტერები გადაადგილდებოდნენ მწყობრის ბოლოში, რათა შემდგომი მწკრივისთვის გაეთავისუფლებინათ სასროლო ველი. საბრძოლო წყობის ეს ცვალებადობა ქვეითთა უწყვეტი ცეცხლის წარმოების საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, მუშკეტის სახიფათო ანთების კლიტის მექანიზმი, რომლის დროსაც მსროლელს ანთებული პატრუქი უნდა დაეჭირა დენთის მარაგის ახლოს, მან კაჟიანი სასხლეტი მექანიზმით შეცვალა. კაჟის ხახუნით წარმოიქმნებოდა ნაპერწკალი, რომელიც დენთს ეკიდებოდა.

ასევე კავალერიაში, რომელშიც მოხალისეები მსახურობდნენ, შეიცვალა სტრუქტურა მეფის უნარის, გამჭრიახობისა და ქარიზმატული მართვის სტილის წყალობით. კავალერისტთა დიდი ნაწილი იბრძოდა როგორც ქვეითი ჯარი, რაც პისტოლეტებით ბრძოლას ნიშნავდა ცივი იარაღის ნაცვლად. ეს დრაგუნები[200] ხმლით და შუბით მებრძოლ კირასირებს[201] ეხმარებოდნენ, რომლებიც მხოლოდ ახლო ბრძოლაში იყენებდნენ პისტოლეტებს.

როგორც წესი, მეფე გუსტავ ადოლფუსს თავისი მხედრები ნაადრევად შეჰყავდა ბრძოლაში. ისინი იერიშზე მას შემდეგ გადადიოდნენ, რაც არტილერია გახსნიდა ცეცხლს და ამომავალი კვამლის ბოლქვები დაფარავდნენ მათ.[202]

1631 წლის სექტემბერში გუსტავ ადოლფუსის სარდლობით შვედების ლაშქარი გრაფ ტილის იმპერისტთა ჯარს ანადგურებს ბრაიტენფელდთან ბრძოლაში, მაგრამ ეს გამარჯვება არ არის ომში საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი. საღვთო რომის იმპერიას და კათოლიკური ლიგის ჯარებს ჯერ კიდევ საკმარისი რეზერვი და დიდი რესურსი გააჩნდა ხანგრძლივი ომის საწარმოებლად. 1632 წლის გაზაფხულზე გრაფი ტილი თავისი ახალი არმიით, დაახლოებით ორმოცი ათასი ჯარისკაცით, ბავარიაში შეიჭრება. მისი სიკვდილის შემდეგ, 30 აპრილს, იმპერისტთა ჯარების სარდალი ფრიდლანდიის ჰერცოგი, ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი ხდება. იგი თავდაცვითი ბრძოლის დიდი ტაქტიკოსი იყო და უფრო მოხერხებულად მოქმედებდა, ვიდრე გრაფი ტილი. 1632 წლის სექტემბერში მან გონივრული ტაქტიკით აიძულა შვედეთის მეფე, ძველ ციხესიმაგრესთან, ფიურტთან ახლოს გადასულიყო ფრონტალურ შეტევაზე, რომელიც მას სამი ათასი ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა.[203] ცოტა ხნის შემდეგ კი, ვალენშტაინი საქსონიაში შეიჭრა, რათა სურსათით მოემარაგებინა თავისი არმია.

ოქტომბერში გუსტავ ადოლფუსი თავის ჯართან ერთად ნაუმბურგთან, კოსენის უღელტეხილთან გამაგრდა. იგი იმედოვნებდა, რომ ვალენშტაინი იერიშზე გადავიდოდა

---

200 დრაგუნი (ფრანგ. Dragon) – საკავალერიო ჯარის გვარეობა, რომელიც ასევე ქვეით მწყობრში იბრძოდა. ძველ დროში ამ გვარეობის ქვეშ ცხენებზე შესმული ქვეითი ჯარი იგულისხმებოდა. პრუსიაში დრაგუნები მძიმე კავალერისტები იყვნენ და ისინი კირასირებთან ერთ მწყობრში იბრძოდნენ. ინგლისში კი, მსუბუქი დრაგუნები არსებობდნენ, რომლებიც ამავე დროს ჰუსარებად ითვლებოდნენ.

201 კირასირი (ფრანგ. Cuirasse) – მძიმედ შეჭურვილი კავალერიის გვარეობა. ევროპულ არმიებში განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XVI საუკუნიდან როგორც მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი რაინდების გარკვეული კომპენსაცია. თუმცა, მოგვიანებით, კირასირთა ჯავშანი მხოლოდ ჩაჩქანსა და მკერდის ფარს მოიცავდა. ჯავშნის სისქე იმაზე იყო გათვლილი, რომ მას მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ცეცხლისათვის გაეძლო. კირასირებად ძლიერი აღნაგობისა და დიდი სიმაღლის მხედრებს არჩევდნენ.

202 თუ XVI საუკუნეში ევროპული არმიების მთავარ შემტევ ძალას შუბოსნები წარმოადგენდნენ, ახლა მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ შეტევისათვის საჭირო ყველა თვისება. ისინი თავდაცვის საშუალებად იქცნენ და ძირითადად მუშკეტერებს იცავდნენ კავალერიის შეტევებისგან. შეტევის მთელი სიმძიმე ახლა კავალერიას დააწვა მხრებზე. XVII საუკუნიდან ქვეითმა ჯარმა დაკარგა, კავალერიამ კი დაიბრუნა თავისი მდგომარეობა. გუსტავ ადოლფუსმა უმნიშვნელოვანესი სიახლეები დანერგა შვედური არტილერიის ტექნიკური გაუმჯობესების, ბრძოლის ორგნიზაციასა და მისი წარმოების წესში. არტილერია გაიყო მძიმე და მსუბუქ, ე.წ. საპოლკო არტილერიად. მსუბუქი ქვემეხები ქვეით ჯარს ბორბლებით გადაჰქონდა, მძიმე ქვემეხები კი ბრძოლის დროს უძრავად იდგა ერთ პოზიციაზე, ან რჩებოდა რეზერვში. ყველაზე მძიმე ქვემეხები ცხენებით გადაჰქონდათ. რაც მთავარია, გუსტავ ადოლფუსმა მოახდინა საარტილერიო კალიბრების სტანდარტიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა არტილერიის სწრაფსროლა და მისი საცეცხლე ძალა.

203 აქ 1632 წლის 3 სექტემბერს ნიურნბურგთან გამართულ ალტე ვესტეს ბრძოლაზეა საუბარი. გუსტავ ადოლფუსის სარდლობით წარმოებული ამ ბრძოლის არსს ვალენშტაინის ჯარების გამოდევნა წარმოადგენდა გამაგრებული ბანაკიდან. საერთო ჯამში, ბრძოლა შვედების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მას მნიშვნელოვანი შედეგები შვედებისათვის არ მოუტანია. ბრძოლის შემდეგ გუსტავი შეეცადა საომარი ოპერაცია განეახლებინა სამხრეთით, კათოლიკური ბავარიის წინააღმდეგ, მაგრამ გაწელილმა საკომუნიკაციო ხაზებმა უარი ათქმევინა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე.

რაოდენობით ორჯერ მეტი ჯარით. მაგრამ გუსტავი შეცდა თავის გათვლებში. ვალენშტაინი საერთოდ არ ფიქრობს ამაზე. იგი მყარად რჩება თავდაცვით პოზიციაში და თავის მხრივ ელოდება როდის დაკარგავს შვედეთის მეფე მოთმინებას და თავად დაიწყებს შეტევით მოქმედებებს. მაგრამ გუსტავიც არ ჩქარობს და პასიური რჩება. ორივე მხარის მოლოდინები გრძელდება. ვალენშტაინი ვარაუდობს, რომ გუსტავ ადოლფუსმა გაითვალისწინა ალტე ვესტესთან დაშვებულ საბედისწერო შეცდომა და არავითარ შემთხვევაში აღარ გადმოვა შეტევაზე. ვალენშტაინი ამაში ისეა დარწმუნებული, რომ შეკრებილი ლაშქრის დიდ ნაწილს სხვა მიმართულებებზე უშვებს. ეს იყო დაუჯერებელი მოქმედება მოწინააღმდეგის ლაშქრისაგან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით და მის მიერ დაშვებული გამაოგნებელი შეცდომა.

ვალენშტაინი ისე იქცევა, თითქოს მოწინააღმდეგე არც კი ყოფილიყოს იქ. იგი გრაფ გოტფრიდ-ჰაინრიხ პაპენჰაიმს[204], თავისი კავალერიის უფროსსს, ჰალეში აგზავნის რვაასი კაცით, ხოლო პოლკოვნიკ ჰატცფელდს ოთხი პოლკით[205] – აილენბურგში.[206] ამის შედეგად იმპერისტთა ფრონტის ხაზში სახიფათო რღვეული ჩნდება და მათი პოზიციებიც სუსტდება. როცა გუსტავ ადოლფუსს მოახსენებენ, რომ იმპერისტთა ჯარი გაიფანტა, თავდაპირველად არც კი იჯერებს ამ ამბავს, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტს, ცხრამეტი ათასი კაცით მიიტანოს იერიში ლიუცენის მიმართულებაზე, იქ სადაც მოწინააღმდეგის პოზიციებში რღვეულია გაჩენილი. ამჯერად ოპერატიული ვითარება მის სასარგებლოდაა შეცვლილი. ახლა უკვე იგი ფლობს რიცხობრივ უპირატესობას და შეუძლია დაჯაბნოს ვალენშტაინი.

1632 წლის 15 ნოემბერს, დაახლოებით ორ საათზე, ნაშუადღევს, ვალენშტაინის ბანაკში ზარბაზნის სამი გასროლის ხმა გაისმის. ეს სასწრაფო შეკრების ნიშანია: დაუყოვნებლივ მობრუნება და სწრაფად ადგილზე მისვლა! იმპერისტთა ჯარების სარდლის ადიუტანტი სასწრაფო წერილს მიაქროლებს პაპენჰაიმთან. „მოწინააღმდეგე აქეთ მოემართება, ბატონმა ბრძანა ყველაფრის მიტოვება და ხალხისა და იარაღის მომზადება. შესაძლოა, გამთენიისას შვედები უკვე აქ იყვნენ.“ იმპერისტთა ჯარისკაცები ყველა მხრიდან მოემართებიან ვალენშტაინის ბანაკისაკენ. ჩირაღდნების შუქზე ისინი მიიწევენ წინ ორმოებსა და სანგრებზე, გაკაფულ ხეებსა და მიწაყრილებზე.

ნოემბრის ცივ ღამეს, როცა არავის სძინავს, ვალენშტაინი გადაწყვეტს თავისი ჯარები ლაიფციგის გზის ჩრდილოეთით, ფრონტით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ განალაგოს. იგი უგულებელჰყოფს საფრთხეს, რომ მის ჯარს მარცხენა ფლანგიდან შემოუვლიან და გადათელავენ, ისე რომ გასაქცევი გზა რჩება მხოლოდ შუა გერმანიისკენ, ბოჰემიაში დაბანაკებული ძალებისგან შორს. მაგრამ მის მიერ დაკავებული ტერიტორია ხელსაყრელია – მარჯვენა ფლანგზე ლიუცენის სამასი სახლი, ცენტრში სასახლით, შემდეგ ბაღები, თიხის გალავანი და რამდენიმე ქარის წისქვილი მდებარეობს. ქალაქის ჩრდილოეთით ლაიფციგისკენ მიმავალი შარაგზა გადის ღრმა და განიერი თხრილებით ორთავე მხარეს. საბრძოლო წყობა ორნახევარ კილომეტრზეა გაჭიმული. „ჩვენ ძალიან ხელსაყრელი

---

[204] გრაფი გოტფრიდ-ჰაინრიხ პაპენჰაიმი (გერმ. Gottfried Heinrich Graf Pappenheim) (1594-1632წ.წ.) – იმპერისტთა ერთ-ერთი ლიდერი და კათოლიკური ლიგის ჯარების სარდალი ოცდაათწლიან ომში. XVII საუკუნის ევროპული სამხედრო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი და მამაცი ოფიცერი. ცნობილი იყო თავისი რელიგიური ფანატიზმითა და მოწინააღმდეგისადმი დაუნდობლობით.

[205] პოლკი – ტაქტიკური დანიშნულების სამხედრო ფორმირება (სამხედრო ნაწილი), რომელიც შედგება ბატალიონების, ასეულების და/ან ესკადრონებისგან. უმეტესი ქვეყნების პოლკებს, საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი. ორგანიზაციულად პოლკი წარმოადგენს დამოუკიდებელ საბრძოლო, სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საჯარისო ერთეულს. ძველ დროში პოლკები ძირითად საბრძოლო ერთეულს წარმოადგენდნენ და მათი ერთობლიობა ქმნიდა ჯარებს. დღეისათვის პოლკები ქმნიან ბრიგადებს ან დივიზიებს. პოლკების სტრუქტურა და პირადი შემადგენლობის რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნების არმიების პოლკებში სხვადასხვაა და იგი 1000-დან 3000-მდე მერყეობს.

[206] პაპენჰაიმის ხუთიათასკაციანი საკავალერიო რაზმის ამოცანას შეადგენდა კიოლნის გავლით ჰალეში ჩასვლა. გზად მას შვედების მიერ დაკავებული ციხესიმაგრეც უნდა აეღო. ამას გარდა, იმპერისტთა ჯარების ძირითადი ნაწილისგან გამოყოფილ იქნა აგრეთვე პოლკოვნიკ ჰატცფელდის 3000 კაციანი რაზმი, ტორგაუში ჩასვლისა და საქსონელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

პოზიციები გვვიკავია. ერთ ნაბიჯსაც არ დავთმობთ!“ – რიხიანად ეუბნება ვალენშტაინი ჰაინრიხ ჰოლკს, თავის ცალთვალა შტაბის უფროსს. ვალენშტაინს იმის ჩვენება უნდა, რომ გუსტავ ადოლფუსისგან ბევრი რამ ისწავლა. ტერციოებად დაწყობილი უზარმაზარი ლაშქარი, გაქრა. ჯარი აირ-დაირია, აღარსადაა ათ კაცზე მეტი სიღრმის ეშელონირებული წყობები. ქვედანაყოფები ერთმანეთისგან ისეთი მანძილით არიან დაშორებულნი, რომ მათ შორის სარეზერვო ქვედანაყოფების შეტევის განვითარებაც კია შესაძლებელი. ცენტრში ერთმანეთის მიყოლებით ორ ეშელონად დაახლოებით ხუთი ათასი კაცია გაშლილი. ამ საბრძოლო წყობის ორივე ფლანგზე კი, კავალერიაა განლაგებული. მარჯვენა, ძლიერ ფლანგზე, ლიუცენთან, იმპერისტთა არტილერიაა თავმოყრილი, დაახლოებით სამოცი ზარბაზნით.[207] გარდა ამისა, იქ იცდის შეჯავშნული ცხენოსნების ოთხი პოლკი და მძიმე ცეცხლსასროლი იარაღით, არკებუზებით[208] შეიარაღებული ქვედანაყოფები. იმპერისტთა სუსტი მარცხენა ფლანგი ხორვატებით, უნგრელებითა და პოლონელებითაა დაკომპლექტებული. იგი გაძლიერებას პაპენჰაიმის ჩასვლის შემდეგ ელოდება. მაგრამ დროულად იქნება კი იგი იქ თავისი სამი ათასი ცხენოსნითა და ხუთი ათასი ქვეითით?

16 ნოემბრის დილისთვის ვალენშტაინს მთლიანობაში ჰყავდა დაახლოებით თექვსმეტი ათასი კაცი – რვა ათასხუთასი ქვეითი და შვიდი ათასხუთასი ცხენოსანი. მისი საბრძოლო ჩანაფიქრი შემდეგია: გაიტყუოს შვედეთის მეფე საქსონიისკენ და იქ გაანადგუროს იგი. გადაღლილი და ტკივილისგან გატანჯული ტოვებს ვალენშტაინი მოსასვენებელს, ნისლის გაფანტვისთანავე მდუმარედ ჯდება ცხენზე და სათავეში უდგება მარჯვენა ფლანგს.

გუსტავ ადოლფუსი დილას ჩვეული საქმიანობით იწყებს – მთელი არმიის თვალწინ ლოცულობს. 8 საათამდე სქელი ნისლი გადაადგილებისა და ბრძოლის დაწყების საშუალებას არ იძლევა. შვედეთის მეფემ იცის, რომ ვალენშტაინის მარცხენა ფლანგი სუსტია, ამის გამო მან იქ განალაგა რიცხობრივად უფრო მეტი არტილერია და სწორედ იქიდან აპირებს შეტევის დაწყებას. შემტევ ფლანგს თავად უდგება სათავეში. თერთმეტი საათისათვის ნისლი თითქოს იფანტება და ბრძოლაც „ისეთი გააფთრებით იწყება, როგორიც ჯერ არავის უნახავს და არც არავის გაუგონია“, – ჩაინიშნავს ვალენშტაინი მომდევნო დღეს. გუსტავ ადოლფუსი შეტევაზე გადადის. შვედმა ცხენოსნებმა გადალახეს თხრილები, თავს დაესხნენ და უკუაქციეს მოწინააღმდეგის ჯარისკაცები და მათი ერთი ბატარეაც[209] იგდეს ხელთ. მეტად წარმატებული აღმოჩნდა შვედთა მარჯვენა ფლანგის შეტევა, რომელსაც თავად გუსტავი სარდლობდა. ამ მძლავრი თავდასხმის შედეგად ვალენშტაინის ცენტრიც კი საფრთხეში აღმოჩნდა. თუ პაპენჰაიმი დროზე არ მივა დასახმარებლად, ბრძოლა წაგებულია.

იმპერისტთა სარდალი მოუთმენლად ელოდება დამხმარე ძალას ისევე, როგორც ამ ამბებიდან 183 წლის შემდეგ ვატერლოოს ბრძოლაში, მსგავს გაჭირვებაში ჩავარდნილი ნაპოლეონი დაელოდება თავისი არმიის დარჩენილი ოცდაათი ათასი კაცის გამოჩენას. მაგრამ, მარშალ გრუშისგან განსხვავებით, პაპენჰაიმი დროულად მივიდა არა ქვეითებით,

---

[207] ავტორის ცნობები ვალენშტაინის არტილერიის რაოდენობის შესახებ აშკარად გადაჭარბებულია. ლიუცენთან ბრძოლაში იმპერისტთა არტილერიას სულ ორი ბატარეა წარმოადგენდა. 14 მძიმე ზარბაზანი თავდაცვის მარჯვენა ფლანგზე იყო დაწყობილი წისქვილებთან, ხოლო 7 ზარბაზანი ცენტრში იყო განლაგებული.

[208] არკებუზი (ფრანგ. Arquebuse) – ლულიდან დასატენი პატრუქით აალებადი გლუვლულიანი და მსხვილკალიბრიანი თოფი, ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველი ნიმუში, რომელიც გერმანიაში შეიქმნა 1379 წელს. მისი წონა 3 კგ-ს შეადგენდა, კალიბრი 15-17მმ. XV საუკუნის არკებუზით გასროლილი ტყვიის სიჩქარე 300მ/წმ-ს შეადგენდა, რომელიც 30 მეტრიდან ხვრეტდა რაინდთა მძიმე ჯავშანს. ეს იყო ძალიან მოუქნელი და სახმარად რთული, ამავე დროს მსროლელისათვის მეტად სახიფათო იარაღი, ხოლო წვიმის დროს მისი გამოყენება საერთოდ შეუძლებელი ხდებოდა პატრუქის დასველების გამო.

[209] ბატარეა (ფრანგ. Batterie) – სამხედრო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტაქტიკურ ერთეულს არტილერიაში. დაახლოებით შეესაბამება ქვეითი ჯარების ასეულს. დანიშნულებისა და კალიბრის მიხედვით არჩევენ საველე, მსუბუქ, მძიმე, საალყო, სამთო, საალყო, სიმაგრის, საჰაერო და სანაპირო დაცვის ბატარეებს. როგორც წესი, თანამედროვე საარტილერიო ბატარეა შედგება ორი-სამი საცეცხლე ოცეულისგან და გააჩნია 4-8 ქვემეხი (ნაღმსატყორცნი, ჰაუბიცა, მორტირა, რეაქტიული საარტილერიო დანადგარი და ა.შ.)

არამედ ცხენოსანთა სამი პოლკით. ქვეითები ჩამორჩნენ. დაახლოებით შუადღის თორმეტი საათისათვის იგი უკვე ადგილზე იყო. იმპერისტთა მარცხენა ფლანგის კონტრშეტევას თავად ფელდმარშალი პაპენჰაიმი მეთაურობდა. მისი კირასირების პოლკმა და დრაგუნებმა შეაჩერეს შვედთა შეტევა, დაიბრუნეს დაკარგული ტერიტორია და მოწინააღმდეგის ზურგიდან გარშემოვლაც დააპირეს.

ბრძოლამ სახე იცვალა. სასწორი ამჯერად უკვე იმპერისტებისკენ გადაიხარა. მარჯვენა ფლანგის გადარჩენის შემდეგ ვალენშტაინს სჯერა, რომ გამარჯვება მის მხარეს იქნება. მაგრამ პაპენჰაიმის კავალერია შვედი მუშკეტერების ზალპური ცეცხლის ქვეშ ხვდება. თავად პაპენჰაიმი კი, სასიკვდილოდ იჭრება. საკუთარმა ცხენოსნებმა კინაღამ გადათელეს იგი, რომელიც მესაყვირემ გადაარჩინა. პაპენჰაიმის კირასირებმა დაინახეს ეს და თავზარი დაეცათ. მათ სიმხდალე გამოიჩინეს და გასაქცევად იბრუნეს პირი. „ოჰ, ძმებო, ღვთის გულისათვის! – დაიძახა ღონემიხდილმა პაპენჰაიმმა, – არის კიდევ ვინმე, ვინც იმპერიისა და იმპერატორისთვის იბრძოლებს? ნუთუ არ მოიძებნება აქ ერთი ადამიანი მაინც, ვისაც შეუძლია სისხლი შემიჩეროს?“

იმ დროს, როცა ვალენშტაინის მარცხენა ფლანგი უკან იხევს, იმპერისტების მარჯვენა ფლანგი ისევ მყარად დგას. ვალენშტაინი ბრძანებს ლიუცენის დაწვას. სქელი კვამლი ძლიერ ნისლთან ერთად აბრკოლებს შვედური კავალერიის წინსვლას, რომელსაც თავადი ბერნჰარდ ვაიმარელი მეთაურობს. როცა შვედურმა ბრიგადებმა[210] ცენტრიდან მარცხნივ გადაუხვიეს, გაჩნდა რღვეული, რომელშიც ვალენშტაინის ცხენოსნები შეიჭრნენ პიკოლომინის[211] მეთაურობით. მრავალგზის დაჭრილი იმპერისტთა ცხენოსნების მამაცი გენერალი კირასირების შვიდი ლეგენდარული შეტევით იბრუნებს დაკარგულ არტილერიას. გუსტავ ადოლფუსი ხვდება საფრთხის მოახლოებას და თავის ცხენოსნებთან ერთად ამჯერად იგი გადადის კონტრიერიშზე. სქელ ნისლში მიაჭენებს ცხენს, რათა დაეხმაროს შევიწროებულ მებრძოლებს. ეს ამბები დაახლოებით დღის პირველ საათზე ხდება. ღია ცისფერთვალება, ბრგე, ახლომხედველ შვედეთის მეფეს მუშკეტის ტყვია ხვდება ხელში და ცხენს ვეღარ იმორჩილებს. გუსტავი სთხოვს თავის მხლებელს, ფრანც ალბრეხტ ფონ ლაუენბურგს[212], ბრძოლიდან გაიყვანოს იგი. ამ დროს მას წრეს არტყამენ მოწინააღმდეგის

---

[210] ბრიგადა (ფრანგ. Brigade) – ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ერთეული. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ბრიგადა, ისევე როგორც პოლკი, ძირითად საჯარისო ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად, დღევანდელ ქართულ არმიაში სწორედ ბრიგადა არის ძირითადი სამხედრო ერთეული. მას უკავია შუალედური მდგომარეობა პოლკსა და დივიზიას შორის, სტრუქტურულად კი პოლკის ანალოგიურია. თუმცა ბატალიონებისა და სხვა ქვედანაყოფების რაოდენობა ბრიგადაში უფრო მეტია, ვიდრე პოლკში. ეს საჯრისო ერთეული პირველად ფორმირებულ იქნა გუსტავ ადოლფუსის მიერ. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით ბრიგადას, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის/ბრიგადის გენერლის (ერთვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

[211] ოტავიო პიკოლომინი (იტალ. Ottavio Piccolomini) (1599-1656წ.წ.) – იტალიური წარმოშობის გერმანელი მხედართმთავარი და დიპლომატი, ამალფის ჰერცოგი, საღვთო რომის იმპერიის ფელდმარშალი. ოცდაათწლიანი ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური. 1616 წელს შედის ესპანეთის არმიაში. 1618 წლიდან როტმისტრია. თავიდანვე ერთვება ოცდაათწლიან ომში. 1625 წლიდან პაპენჰაიმის კირასირთა პოლკის შემადგენლობაშია. 1627 წლიდან ვალენშტაინის ლეიბ-გვარდიის კაპიტანია. 1932 წლიდან გენერალ-მაიორია. მონაწილეობს ლიუცენის ბრძოლაში, სადაც ოთხი ჭრილობა მიიღო. 1633 წლიდან კავალერიის გენერალია. 1635 წლიდან ესპანეთის სამსახურშია და იბრძვის ნიდერლანდებში ფრანგებისა და ჰოლანდიელების წინააღმდეგ. აქვე ხდება ფელდმარშალი. 1643 წელს ინიშნება ესპანეთის ნიდერლანდების სარდლად. ოცდაათწლიანი ომის დასრულებისას, 1648 წელს, ნიურნბერგში წარმოადგენდა იმპერისტთა დელეგაციის ხელმძღვანელს, ვესტფალიის საზავო მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ ფიგურას. სიცოცხლის ბოლოს ცხოვრობდა ვენაში.

[212] ფრანც ალბრეხტ ფონ ლაუენბურგი (გერმ. Franz Albrecht von Sachsen-Lauenburg) (1598-1642წ.წ.) – საქსონია-ლაუენბურგის ჰერცოგი, იმპერისტების გენერალ-ფელდმარშალი და საქსონიის მარშალი, გუსტავ ადოლფუსის ახლო ნათესავი დედის მხრიდან, ვალენშტაინის ახლო მეგობარი, ოცდაათწლიანი ომის აქტიური მონაწილე. იბრძოდა კათოლიკური ლიგის და ასევე იმპერისტების მხარეს, მაგრამ 1632 წელს, შვედების მიერ ნიურნბურგის დაკავების შემდეგ, მოულოდნელად გადავიდა გუსტავ ადოლფუსის ბანაკში, რომელმაც გულთბილად მიიღო იგი. გუსტავ ადოლფუსის მიერ წარმოებული მთელი საომარი კამპანიის განმავლობაში მუდმივად იმყოფებოდა მეფის გვერდით და წუთით არ ტოვებდა მას. გარკვეული წყაროები და ავტორები გამოთქვამენ ეჭვს გუსტავ ადოლფუსის მოკვლაში ფრანც ალბრეხტ ფონ ლაუენბურგის მონაწილეობის შესახებ. ფრიდრიხ შილერის მიხედვით, მეფის ერთგული მეგობარი, კანცლერი აქსელ ოქსენშერი, აფრთხილებდა გუსტავს, რომ არ ნდობოდა ამ კაცს. ლიუცენის ბრძოლაში ფონ ლაუენბურგი წუთითაც არ ტოვებდა მეფეს და მასთან ერთად აწარმოებდა ბრძოლის ველის რეკოგნოსცირებას და ბრძოლაზე ზედამხედველობას. ასეთ ვითარებაში, ახლომხედველი გუსტავი ძალიან ახლოს მივიდა ერთ-ერთ ხორვატულ ესკადრონთან, რის შესახებაც ფონ ლაუენბურგმა იგი არ გააფრთხილა. ხოლო მაშინ, როდესაც ტყვიებით დაცხრილული შვედეთის მეფე ცხენიდან ჩამოვარდა, მან სასწრაფოდ დატოვა შეტაკების ადგილი და

კირასირები და სასიკვდილოდ ჭრიან პისტოლეტის ტყვიებითა და ხმლით, თავსა და ზურგში. გუსტავი ცხენიდან ძირს ეცემა. იმპერისტთა ჯარისკაცები ძარცვავენ მის ცხედარს, იტაცებენ მის ქუდს, ტანსაცმელს, ჩექმებს, ასევე ვერცხლის დეზებს, ჯაჭვიან ოქროს საათს და მიწაზე აგდებენ შიშველ ცხედარს.

შვედმა ჯარისკაცებმა დაინახეს უპატრონოდ დარჩენილი გუსტავის თეთრონი ცხენი და თავზარი დაეცათ. ლაშქარში ელვისებურად ვრცელდება ხმა მეფის სიკვდილის შესახებ. შვედების სარდლობა თავის თავზე ბერნჰარდ ვაიმარელმა აიღო. რამდენიმე თანამებრძოლმა ბრძოლის შეწყვეტა და სასწრაფოდ უკან დახევაც კი ურჩია, მაგრამ საყვარელი მეფის სიკვდილმა შვედების ჯარზე უფრო მძაფრად იმოქმედა, ვიდრე პაპენჰაიმის სიკვდილმა იმპერისტთა ჯარისკაცებზე. მათი ერთადერთი გადაწყვეტილება ახლა შურისძიებაა, შიში კი, მრისხანებით იცვლება. დიდი დანაკარგების მიუხედავად, შვედებს სურთ მეფის ცხედრის უკან დაბრუნება და ალბათ ამის გამოც ცდილობენ ნებისმიერ ფასად ბრძოლის მოგებას. ბერნჰარდ ვაიმარელი პირადად მეთაურობს კავალერიის რამდენიმე შეტევას და დროულად იყენებს ყველა რეზერვს – დასვენებული შვედების სამ ბრიგადას. მეფის ცხედარი იპოვეს და დაიბრუნეს, ხოლო გორაკი, რომელზეც ქარის წისქვილები იყო განლაგებული, – შტურმით აიღეს. გაშმაგებული ბრძოლა კიდევ ექვს საათს გაგრძელდა. იგი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ვიდრე არ დაღამდა და ვალენშტაინის არმიამ მწყობრით არ დაიხია უკან.[213] შვედების ჯარი დაღლილი იყო და მოწინააღმდეგის დადევნება ვეღარ შეძლო. დაახლოებით ორი ათასი კაცი დაიღუპა შვედების მხრიდან ბრძოლის ველზე, ვალენშტაინმა კი, ორჯერ მეტი დაკარგა.[214]

იმპერისტთა არმიაზე შვედების გამარჯვებამ ვერ დაასრულა ომი მათთვის სასურველი შედეგებით, პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. შვედეთის სახელოვანი მეფე, 37 წლის გუსტავ ადოლფუსი ლიუცენის ბრძოლაში რომ არ დაღუპულიყო, იგი ამ ტაქტიკურ გამარჯვებას აუცილებლად გამოიყენებდა და შეძლებდა შვედურ-პროტესტან-ტული ჰეგემონიის გამყარებასა და თავისი გავლენის გაფართოებას ბალტიის ზღვის რაიონსა და გერმანიის დიდ ნაწილზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სასტიკი ოცდაათწლიანი ომი კიდევ თექვსმეტი წელი, 1648 წლამდე გაგრძელდება და საბოლოოდ იგი ვესტფალიის ზავის დადებით დასრულდება.[215]

პირველმა შეატყობინა ვალენშტაინს მეფის მოკვლის ამბავი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ მომენტიდან იგი დაუყოვნებლივ გადავიდა მტრის ბანაკში. მართალია, აქ ფრიდრიხ შილერის მხოლოდ მოსაზრებებზეა საუბარი და ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი დოკუმენტური ან ისტორიული მტკიცებულებების წარმოდგენას არა აქვს ადგილი, მაგრამ შვედეთის დიდი მეფის, გუსტავ II ადოლფუსის მოკვლის ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება.

[213] კათოლიკური ლიგის ჯარების უკანდახევა საღამოს რვა საათისათვის დაიწყო. მათ ბრძოლის ველზე დატოვეს არტილერია, ასევე საველე მარაგების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის, საბრძოლო მასალებით დატვირთული ოცი საზიდარი. თვითონ ვალენშტაინმა ბრძოლის ველი 10 საათისათვის დატოვა. ეს უკანდახევა პაპენჰაიმის ქვეითი კორპუსით იყო დაფარული. ღამის განმავლობაში იმპერისტთა ჯარები ლაიფციგთან განლაგდნენ, 18 ნოემბერს კი კიდევ უფრო უკან, ბოჰემიისაკენ დაიხიეს, სადაც ვალენშტაინის სამფლობელოები იყო. კათოლიკური ლიგის ჯარების მიერ ლაიფციგში დატოვებულ იქნა დაჭრილთა დიდი რაოდენობა, რომლებიც შვედების მოკავშირე საქსონელებს ჩაუვარდათ ხელში.

[214] ლიუცენის ბრძოლაში თავისი გამარჯვების შესახებ აცხადებდნენ როგორც იმპერისტები, ასევე შვედები. შვედებს გამარჯვების არგუმენტად ნაალაფარი ზარბაზნები, ტყვედ აყვანილი მოწინააღმდეგეები და ბრძოლის ველიდან უკანდახეული იმპერისტები მოჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ამ ბრძოლაში იმპერისტთა არმია არ განადგურებულა. შვედთა ამ ტაქტიკურ წარმატებას კი, შვედეთის მეფისა და მთავარსარდლის, პროტესტანტთა ჯარების ქარიზმატული ლიდერის, გუსტავ ადოლფუსის სიკვდილი აყენებდა ჩრდილს. დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო დანაკარგების შესახებ დაზუსტებული ცნობები არ არსებობს. ცალკეულ ავტორთა მონაცემებით შვედებმა დაღუპულებისა და დაჭრილების სახით 3000 კაცი დაკარგეს, იმპერისტებმა კი – 6000.

[215] საბოლოოდ, 1648 წლისათვის ოცდაათწლიანი ომი დასრულდა. 24 ოქტომბერს ხელი მოეწერა ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც გამარჯვებულებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები:

– შვედეთმა აღმოსავლეთ პომერანია და დასავლეთ პომერანიის ნაწილი;
– საფრანგეთმა სამრეწველო თვალსაზრისით მდიდარი მიწები – ელზასი და ლოტარინგია;
– ცნობილი იქნა შვეიცარიისა და ჰოლანდიის დამოუკიდებლობა;

გერმანიამ, როგორც სახელმწიფომ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. იგი ცალკეულ პატარ-პატარა მიწებად და საგრაფოებად დაიშალა.

გუსტავ II ადოლფუსი
(1594-1632)

ფერდინანდ II
(1578-1637)

ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი
(1583-1634)

იოჰან ფონ ტილი
(1559-1632)

ბერნჰარდ ვაიმარელი
(1604-1639)

გოტფრიდ-ჰაინრიხ პაპენჰაიმი
(1594-1632)

ფრანც ალბრეხტ ფონ ლაუენბურგი
(1598-1642)

მუშკეტერი

პიკინიორები (შუბოსნები)

პიკინიორი და მუშკეტერი

კირასირი



ესპანური ტერციო

XVII საუკუნის „საერთო-საჯარისო" შენაერთი

შვედი ქვეითები

შვედური კავალერია



იმპერისტთა ჯარი

THE THIRTY YEARS' WAR

Country or area with a Protestant majority

Habsburg Spain

Habsburg Austria

0 500 km

1 1620-1623: Defeat of the Czechs and the Electoral Palatinate

2 1625-1629: Intervention and defeat of Christian IV of Denmark

3 1630-1632: Intervention of Gustavus Adolphus of Sweden

4 1635: Intervention of France against Spain and the Emperor
1642: Occupation of Roussillon
1643: French victory at the Battle of Rocroi

5 1645-1648: Turenne's and Sweden's campaign in Germany

ოცდაათწლიანი ომი

მაგდებურგის გარემოცვა იმპერისტების მიერ, 1631 წელი.
30 ათასი მცხოვრებიდან ცოცხალი მხოლოდ 5 ათასი გადარჩა

გუსტავ ადოლფუსის სამსახურში მყოფი შოტლანდიური ქვედანაყოფი.
იდენტიფიცირდება როგორც დონალდ მაკქეის პოლკი





ვალენშტაინის ბრძანება პაპენჰაიმისადმი ჯარების ლიუცენში
სასწრაფოდ დაბრუნების შესახებ

შვედეთის მეფე და პროტესტანტთა ჯარების მთავარსარდალი, გუსტავ ადოლფუსი
ბრაიტენფელდის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ



კირასირთა შეტევა და შუბოსნების კონტრიერიში

მეფე გუსტავ ადოლფუსის სიკვდილი



ლიუცენის ბრძოლის ველის გათხრები

ვესტფალიის ზავი. გერარდ ტერბორხის ნახატი. 1648 წელი



საღვთო რომის იმპერია ოცდაათწლიანი ომის დასრულების შემდეგ, 1648 წელს

თავი III

შეცდომები
1700 – 1914 წლები

§3.1. ცხენით მგზავრობა ოპოლესკენ (მოლვიცი, 1741 წლის 10 აპრილი)

ვენასა და ლონდონში და, უპირველეს ყოვლისა, პარიზში, გაოგნებისგან თავს აქნევენ. ჰოჰენცოლერნების დინასტიის წარმომადგენელმა, პრუსიის ახალგაზრდა მეფემ, ფრიდრიხ II-მ, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, რაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა და ტახტზე ასვლა როგორც ახალმა მარკუს ავრელიუსმა, ისე იზეიმა, გაბედა ჰაბსბურგების ზესახელმწიფოზე თავდასხმა. ეს იყო ჰოჰენცოლერნების შეშლილთა სახლის მკვიდრის თავხედური და ძალზე თავქარიანი საქციელი – თავდასხმა სილეზიაზე, ავსტრიის აყვავებულ პროვინციაზე.

ყველა გაოგნებულია. ფრიდრიხის ასეთი საქციელი მთელს ევროპაში ზიზღსა და გაოცებას იწვევს. 1740 წლის 16 დეკემბერს, მშვიდობიან პერიოდში, ფრიდრიხი იქ მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, ოცდარვა ათას ჯარისკაცთან ერთად შეიჭრა. მას უზომო პატივმოყვარეობა და სახელისა და დიდების მოხვეჭის სურვილი ამოძრავებს, როგორც ამას თავადვე აღიარებს მოგვიანებით. მისი მიზანი ნათელია – პრუსიის პატარა სამეფო დიდი და ძლიერი სახელმწიფო უნდა გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ პრუსია სამხედრო ყაიდაზე მოწყობილი სამეფოა და ეს პატარა სახელმწიფოც უკვე ათწლეულებია საკმაოდ აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ატარებს, პრუსიის ისტორიას მაინც არ ახსოვს მსგავსი შეტევითი ხასიათის ომი, თანაც ასეთი სარისკო, შუა ზამთარში, რიცხობრივად უპირატესი არმიის წინააღმდეგ. ამასთან, ლაშქრის სათავეში ისეთი მეფით, რომელიც ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელია. რომელი სარდალი იწყებს ომს ზამთარში? ასეთი რამ ევროპულ სამხედრო პრაქტიკაში სრულიად უცნობი და მიუღებელია. ასეთი ავანტიურისტული ჩანაფიქრის განხორციელებას არც ერთი გენერალი არ ურჩევდა ფრიდრიხს. მათი აზრით ამ ომის დაწყება ყოვლად გაუმართლებელი და თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.

მაგრამ ფრიდრიხი დიდ იმედებს მოულოდნელობის ფაქტორსა და თავის კარგად გაწვრთნილ ჯარზე ამყარებს. ამ მომენტისათვის ავსტრიის არმიის ძირითადი ძალა უნგრეთში დგას. ვიდრე ავსტრიის ოცდასამი წლის იმპერატორი, მარია ტერეზია შეძლებდეს რეაგირებას, გლოგაუს ციხესიმაგრე უკვე აღებულია და ქვემო სილეზიაც პრუსიელთა ხელშია.[216] სილეზიელები თავაზიანად ხვდებიან გამარჯვებულ ფრიდრიხს და მას ნაწილობრივ განმათავისუფლებლადაც კი თვლიან. ისინიც გერმანელები არიან, როგორც მაგალითად, ბერლინის, მიუნხენის ან ვენის მცხოვრებნი. სილეზიელებისთვის არ უკითხავთ, თუ რომელ სახელმწიფოს სურთ რომ ეკუთვნოდნენ – ავსტრიას თუ პრუსიას. ხალხი დაბნეულია და თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე, თავს ჯერ არც ერთს არ აკუთვნებენ.

ზემო სილეზიაც სერიოზული ბრძოლის გარეშე დაიკავეს პრუსიელებმა. ფრიდრიხმა აქაც გაიმარჯვა და მისი მოლოდინებიც გამართლდა. პრუსიელთათვის ლაშქრობა ისეთი იღბლიანი აღმოჩნდა, როგორც ამას ფრიდრიხი ვარაუდობდა. მარია ტერეზიაც თითქოს ბედს დამორჩილდა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს და პრუსიელებიც ასე ფიქრობდნენ. ფრიდრიხი ახალგაზრდა, გამოუცდელი მმართველისგან სხვას არც არაფერს ელოდა. მაგრამ ამ ომში ეს მის მიერ დაშვებული პირველი შეცდომაა. გარეგნობა ხშირად მაცდურია.

სინამდვილეში ავსტრიის ახალგაზრდა იმპერატორს აზრადაც არ მოსდიოდა სილეზიაზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი. მან შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. და აი, 1741 წლის 10 აპრილს, განთიადზე, პრუსიული პოლკები მოულოდნელად შეხვდნენ ავსტრიის

[216] გლოგაუს გარდა პრუსიელების მიერ აღებულ იქნა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები ნაისე და ბრიგი, აგრეთვე ქალაქი ოლაუ. საღვთო რომის იმპერიის თავისუფალი ქალაქი ბრესლაუ კი, იძულებული იყო ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა.

არმიას მოლვიცთან. პრუსიელთა ჯარი პირველად დგას ომში გამოცდილი და სახელგანთქმული ავსტრიული არმიის პირისპირ. ამასთან ერთად, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფრიდრიხი ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდება[217]. ამ მომენტში პრუსიის ახალგაზრდა მეფეს წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ კიდევ რამდენი სისხლიანი ბრძოლა უნდა გადაიხადოს მომავალში.

სიცივეა და ველი ოდნავ მოყინულია. ტერიტორია ღიაა და ნაკლებად დაფარული, მას ძნელად გადასასვლელი პატარა მდინარე კვეთს. არსებობს ერთი გადასასვლელი პამპიციდან მოლვიცისკენ. ფრიდრიხი არმიის მეორე მეთაურად თავისზე ოცდარვა წლით უფროს ოფიცერს, კურტ ქრისტოფ შვერინს[218] ნიშნავს, რომელიც 1730 წლიდან პრუსიის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეა. პატივისცემის ნიშნად და მოტივაციის ასამაღლებლად ფრიდრიხი მას ლაშქრობის დაწყებამდე ფელდმარშლის წოდებას ანიჭებს.

მოლვიცთან ბრძოლა 1741 წლის 10 აპრილს მოხდა. ამ ბრძოლაში ორივე მხარე უამრავ შეცდომას უშვებს. ავსტრიელთა კავალერია ისევ ბანაკშია. ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ პრუსიელები სწრაფად მივლენ და განცვიფრებულები რჩებიან, როცა პრუსიის არმიის ავანგარდი, გრაფ როზენბერგის დრაგუნებისა და ჰუსართა[219] პოლკით, დაახლოებით თერთმეტ საათზე მოულოდნელად ჩნდება მათ ზურგში. არადა ფრიდრიხს სჯეროდა, რომ ავსტრიელები თავდასხმას კარგად მომზადებულნი დახვდებოდნენ, მაგრამ ეს ასე არაა. ავსტრიელთა მიერ დაშვებული ეს შეცდომა ფრიდრიხს სხვა შეცდომების დაშვებისკენაც უბიძგებს. იმის ნაცვლად, რომ ხელიდან არ გაუშვას ინიციატივა, მაშინვე გადავიდეს შეტევაზე და გამოიყენოს მოულოდნელობით შექმნილი ეფექტი, მომდევნო ორი საათის განმავლობაში იგი რეგულარული საბრძოლო წყობის ფორმირებას ბრძანებს, ამასთანავე ახალ შეცდომას უშვებს. სახელდობრ, სჯერა, რომ ბრძოლის ველი ჯარების სრული საბრძოლო გაშლის საშუალებას იძლევა, მაგრამ იგი აქაც ცდება. ტერიტორია რვაასი მეტრით ვიწროა გეგმის მიხედვით ჩაკეტილი სტრატეგიული განლაგებისთვის ცენტრითა და ორი ფლანგით, დაახლოებით ორი საბრძოლო მწყობრისთვის, რომელსაც „ეშელონირებული საბრძოლო წყობა“ ეწოდება. საჭიროა თავდაპირველად კავალერიის მთელი მარცხენა ფლანგის გაყვანა მეორე საბრძოლო წყობის ეშელონის უკან, რადგან მარჯვენა ფლანგი, სადაც მეფეც იმყოფება, ცოტა გადაწეულია, რის შედეგად ირიბი ფრონტი ჩნდება.

ავსტრიელთა ჯარების სარდალი, გრაფი ფელდმარშალი რაინჰარდ ფონ ნეიპერგი,[220] რომელმაც თავისი ძირითადი ძალები მოლვიცის დასახლებული პუნქტის

---

[217] დაპირისპირებულ მხარეთა არმიები რიცხობრივი თვალსაზრისით დაახლოებით თანაბარზომიერი იყო – ავსტრიელები 25 ათასი, პრუსიელები 24 ათასი. ავსტრიელებს უფრო დიდი კავალერია ჰყავდათ, პრუსიელებს კი, ქვეითი ჯარი და არტილერია.

[218] კურტ ქრისტოფ ფონ შვერინი (გერმ. Kurt Christoph Graf von Schwerin) (1684-1757წ.წ.) – XVIII საუკუნის პირველი ნახევრის და სილეზიური ომების ერთ-ერთ გამორჩეულ სარდალი და ლეგენდარული პიროვნება. გრაფი, პრუსიელი გენერალ-ფელდმარშალი, ფრიდრიხ II-ის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი, შვიდწლიანი ომის აქტიური მონაწილე. განათლებული და მეცნიერებასა და ხელოვნებაში გათვითცნობიერებული გენერალი. ფრიდრიხ II დიდის მამის, „მეფე-ჯარისკაცის" – ფრიდრიხ ვილჰელმ I-ის უახლოესი მეგობარი, მრჩეველი და თანამებრძოლი. გამოცდილი დიპლომატი. მამის გზა შვილმა გააგრძელა და 1740 წლის 30 ივნისს ფრიდრიხმა შვერინს გენერალ-ფელდმარშლის წოდება მიანიჭა, ერთ თვეში კი, გრაფის ტიტულიც უბოძა. სილეზიის პირველი და მეორე ომების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი გამორჩეული სარდალი. 73 წლის ასაკში „პრუსიელი გენერლისათვის სანიმუშო სიკვდილით" დაიღუპა პრაღის ბრძოლაში, 1757 წლის 6 მაისს.

[219] ჰუსარები (უნგრ. Huszár) – XV-XX საუკუნეებში ევროპულ არმიებში ფართოდ გავრცელებული მსუბუქი კავალერია, რომლებიც გამოირჩეოდნენ დამახასიათებელი ჩაცმულობით: კივერი (მაღალი ცილინდრისებური წინაფრიანი ქუდი), ბეწვის მოსასხამი, მოკლე მუნდირი, რეიტუზები და ჩექმები. XV-XVII საუკუნეებში ატარებდნენ მსუბუქ ჯავშანს. პირველად ჰუსარები უნგრეთში გამოჩნდნენ, მეფე მათიაშ კორვინის დროს, რომელმაც 1458 წელს ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად შექმნა სპეციალური მსუბუქი საკავალერიო ლაშქარი. დროთა განმავლობაში ჰუსარები კავალერიის მაღალი საბრძოლო სულისკვეთებისა და ნაკლებად დისციპლინირებულ გვარეობად ჩამოყალიბდნენ.

[220] ვილჰელმ რაინჰარდ ფონ ნეიპერგი (გერმ. Wilhelm Reinhard von Neipperg) (1684-1774წ.წ.) – XVIII საუკუნის ცნობილი ავსტრიელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი, ავსტრიის ფელდმარშალი და გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის სამხედრო საბჭოს (ჰოფკრიგსტრატი) თავმჯდომარე, იმპერიის ფელდმარშალ ებერჰარდ ფრიდრიხ ფონ ნეიპერგის შვილი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1702 წელს. 1717 წლიდან უკვე პოლკოვნიკია,

გარეუბნის წინ განალაგა ორივე მხარეს მასირებული ცხენოსნებით, ჩაფიქრდა. იგი ადგილმდებარეობას სწავლობს და საკუთარ შანსებს აფასებს. როცა ფრიდრიხი, დაახლოებით 13 საათსა და 30 წუთზე ბრძანებს შეტევაზე გადასვლას და საბრძოლო ხაზიდან წინ წაწეული მისი არტილერია ცეცხლს გახსნის, ნეიპერგი მოხერხებულად აუქცევს გვერდს პრუსიელების მარჯვენა ფლანგს. მარცხენა ფლანგის შემდგომი გადაადგილებისას კი, ხუთი ათას ცხენოსანთან ერთად შემოუვლის პრუსიელების მარჯვენა ფლანგს და კავალერიის ძლიერი შეტევით ერთიანად არევ-დარევს მას.[221] შულენბურგელი გენერალ-ლეიტენანტის საკავალერიო პოლკი იშლება და პანიკაში ვარდება.[222]

ფრიდრიხი ცდილობს კირასირების მე-11 პოლკზე საპასუხო იერიშის მიტანას, მაგრამ ამაოდ. არაადამიანურ აურზაურში გაივლის გზას ფრონტის გასწვრივ მდინარის ჭაობიან მდელოებამდე და მხოლოდ დიდი გაჭირვებით ახერხებს თავის დაღწევას. ფრონტის წინ განლაგებული მთელი პრუსიული არტილერია მოწინააღმდეგეს უვარდება ხელში. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ბრძოლა წაგებულია. ფელდმარშალი შვერინი არეულობაში პრუსიის მეფეს შეხვდება და ურჩევს ბრძოლის ველის დაუყოვნებლივ დატოვებასა და ოპოლეში გაქცევას სიცოცხლის გადასარჩენად, რაზეც დამოკიდებულია პრუსიული ლაშქრისა და სახელმწიფოს ბედი. თავდაპირველად ფრიდრიხი უარზეა, მაგრამ შემდეგ, როცა მდგომარეობა უფრო მწვავდება, ბრძოლის ველს ტოვებს.

ოპოლესკენ გაქცეული ფრიდრიხი ფიქრობს, რომ ყველაფერი დაკარგულია. დაღლილი და სასოწარკვეთილი ფრიდრიხი სწრაფი ჭენებით იტოვებს უკან ორმოცდათორმეტ კილომეტრს ოპოლემდე. პერანგის ქვეშ საწამლავი აქვს დამალული. იგი მის დალევას აპირებს, ისევე, როგორც მოგვიანებით კუნერსდორფთან, რუსებთან დამარცხების შემდეგ. ნუთუ უკვე დამთავრდა დიდებით მოსილი პრუსიის მეფის კარიერა, მისი ღირსეულად დაწყებისთანავე? მაგრამ ფრიდრიხის ასეთი ფიქრები კვლავ შეცდომაა, რომელიც ძალიან მალე გამოვლინდება, რადგან ცნობილი „ბერლინელი ყარაულების ცვლას“, პრუსიელი ქვეითების სახით, ცვლილებები შეაქვს ბრძოლის მიმდინარეობაში.

მეფისგან მიტოვებული და ბრძოლის ველზე მყოფი პრუსიელთა ქვეითი ჯარი ყველა მხრიდანაა გარემოცული. ყველაფერი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ბრძოლა დასრულებულია და პრუსიელებიც უნდა დამარცხდნენ. მაგრამ შემდგომი მოვლენები ბრძოლის ველზე სხვანაირად ვითარდება. იმ დროს, როცა მეფე გარბის, ფელდმარშალი შვერინი არ ნებდება ბედს, იგი წინააღმდეგობის გასაწევად ჯარებს აწყობს. გენერლები გარს ეხვევიან მას და ეკითხებიან, თუ რომელი მხრიდან იქნება შესაძლებელი უკანდახევა. ფელდმარშალი ხელში აიღებს პირველი გვარდიის ბატალიონის[223] დროშას და დაიძახებს: „მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგის სხეულზე გავლით!“ – პასუხი ყველასთვის გასაგები და ნათელია. არავინ ყოყმანობს და არც არავინ იხევს უკან. ტანმაღალი პრუსიელი გრენადერები[224] ლურჯი ქვედატანებითა და წოწოლა ქუდებით კედელივით

თავი გამოიჩინა ტემეშვარესა (დღევანდელი რუმინეთის ქალაქი ტიმიშოარა) და ბელგრადის ბრძოლებში. 1723 წლიდან გენერალ-მაიორია. ამავე წელს ინიშნება ლოტარინგიის ჰერცოგის ფრანც-სტეფანეს (მომავალი იმპერატორი ფრანც I) აღმზრდელად. 1733-1735 წლებში ნეიპერგმა თავი გამოიჩინა იტალიაში წარმოებულ ბრძოლებში. აქვე ენიჭება ფელციხმაისტერის წოდება. 1741 წლიდან ხდება იმპერიის ფელდმარშლის მაღალი წოდება და ინიშნება ავსტრიის ჯარების სარდლად სილეზიაში. 1755 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის სამხედრო საბჭოს, ჰოფკრიგსტრატის თავმჯდომარე.

221 ავსტრიელთა კავალერიას გენერალი რემერი სარდლობდა, რომელიც ამ შეტაკებაში დაიღუპა.

222 აქ პრუსიელთა კავალერიასა და მის სარდალზე, გენერალ როტენბერგზეა საუბარი.

223 ბატალიონი (ფრანგ. Bataillon, იტალ. Battaglione) – სახმელეთო ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ერთეული. შედგება რამდენიმე ასეულისა და ოცეულისაგან. სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში ბატალიონების პირადი შემადგენლობა მერყეობდა 400-დან 800 კაცამდე. შესაბამისი ერთეული არტილერიაში დივიზიონად იწოდება. ბატალიონი წარმოადგენს უმცირეს საჯარისო ერთეულს, რომელსაც გააჩნია ჯარების მართვის საკუთარი ორგანო – შტაბი. ბატალიონი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც პოლკის, ასევე სხვა შენაერთის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. არსებობენ ცალკეული ბატალიონებიც. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, როგორც წესი, ბატალიონს მეთაურობს მაიორის/ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

224 გრენადერები (ფრანგ. Grenadiers) – ქვეითი ჯარის ან კავალერიის რჩეული ნაწილები, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის გამაგრებების შტურმისათვის, განსაკუთრებით საალყო ბრძოლებში. გრენადერები

აღმართულან. დატენიან და ისვრიან, დატენიან და ისვრიან! გასროლის ზალპები იმდენად ზუსტი და სწრაფია, რომ მოწინააღმდეგის შეტევა ჩერდება.[225] პრუსიელი გრენადერები საათის მექანიზმის სიზუსტით მოქმედებენ. და აი, ისმის დაფდაფების ცემა და საყვირის ხმა! ეს საერთო შეტევისთვის დაწყობის ნიშანია. პრუსიელთა ქვეითი ჯარი დროშების ფრიალით კონტრშეტევისთვის ეწყობა. უკვე ოთხი საათია. მთელი მარცხენა ფლანგი გენერალ კალკშტაინის მეთაურობით ურყევად მიიწევს წინ, ერთიმეორის მიყოლებით, ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორც სასწავლო მოედანზე და, თავის მხრივ, ავსტრიელთა გარემოცვის ოპერაციისთვის ემზადება. მარჯვნივ მობრუნებისას ფლანგი ტრიალდება მოლვიცის უკან, გაბედულად არღვევს მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობას და ავსტრიელებს აიძულებს უკან დახევას.

გრაფი ნეიპერგი 18 საათზე უკან დახევის ბრძანებას გასცემს. ამ მომენტიდან დაწყებული, პრუსიელთა ქვეითი ჯარის ლეგენდარული ძლიერება დიდების შარავანდედით იმოსება. ამის შემდეგ იგი მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება.[226]

თითქმის წაგებული ბრძოლა მოგებულია. ფრიდრიხმა კი ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის. ოპოლეში მას სურს პრუსიის გარნიზონის ნდობის მოპოვება და მშვიდად მოფიქრება იმისა, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს შემდგომში. კვლავ შეცდომა, წარმოუდგენელი შეცდომა, თითქოს ბედის ირონიაა. ფრიდრიხი უკვე ხედავს ოპოლეს და ფიქრობს რომ ხსნა სულ ახლოსაა. იგი ცხენს ქალაქის ჭიშკრისკენ გამალებით მიაჭენებს. მან ისიც კი არ იცის, რომ ეს ადგილი უკვე დაკავებული აქვთ მოწინააღმდეგის ჯარისკაცებს. ისტორია კი, ხმამაღლა ხარხარებს და თავისი სიურპრიზებით ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლევა. ფრიდრიხი პირდაპირ მოწინააღმდეგისაკენ მიექანება. და აქ ისტორია კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდება – ავსტრიელთა ყარაული ჭიშკარს კეტავს და უცხო მხედარს შიგნით არ უშვებს. ასეთი საქციელი უკვე ყოველგვარ ზღვარს ცილდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით სურვილი გიჩნდება გოეთეს „ფაუსტის“ მეფისტოფელთან ერთად წამოძახებისა: „შეცთომილნო, თვალები კარგად გაახილეთ და დაინახეთ, თუ როგორ დაგცინით ეშმაკი...“

რა შეიძლებოდა ეფიქრათ ამ მომენტში გუშაგებს? რისი უნდა შინებოდათ? ალბათ, ცდილობდნენ, ჯაშუში არ შეპარვოდათ შიგნით. შესაძლებელია, მათ ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რომ არავინ შეეშვათ ქალაქში. მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, თუ

ხელყუმბარებითა და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. ხელყუმბარა (Grenada) – სწორედ აქედან მოდის მათი დასახელებაც. იმდროინდელი ხელყუმბარა წარმოადგენდა ლითონისგან ჩამოსხმულ პატრუქიან ღრუ სფეროს, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებით (დენთით) იყო სავსე. ხელყუმბარის აფეთქება ხდებოდა პატრუქზე ცეცხლის წინასწარი მოკიდებით და მისი მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ სროლით. გასაგები მიზეზების გამო, გრენადერებად დიდი ფიზიკური ძალის მქონე, მამაცი და უშიშარი ჯარისკაცები ირჩეოდნენ, რათა ისინი მაქსიმალურად მიახლოებოდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. შემდგომში, XIX საუკუნის ბოლოდან გრენადერებად უკვე ქვეითი ჯარის რჩეული ნაწილები იწოდებოდნენ.

[225] პრუსიელი ქვეითების წინ გადაადგილება და სროლა ისეთი მოწესრიგებული და სწრაფი იყო, რაც აქამდე არც ერთ არმიას არ ენახა. ამის მიზეზი პრუსიელთა მიერ ზედმიწევნით დამუშავებული სამწყობრო და საცეცხლე მომზადება და ახლადდანერგილი რკინის ზუმბები იყო. ავსტრიელებს კი ხის ზუმბები ჰქონდათ, რომელიც ხშირად ემტვრეოდათ და ვერ უზრუნველყოფდა სროლის მაღალ ტემპს. ამასთან, ბრძოლის დროს ავსტრიელები მკვრივ გუნდებად ჯგუფდებოდნენ, რაც მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდა პრუსიელთა არტილერიისათვის. შესაბამისად, ავსტრიელთა რიგებში ცოცხალი ძალის დანაკარგებიც ძალიან დიდი იყო.

[226] პრუსიელთა ქვეითი ჯარის მიერ შეტევითი მოქმედებების დროს წარმოებული ცეცხლი მკაცრად გაწერილი წესით მიმდინარეობდა, რაც დაუღალავი წვრთნითა და ვარჯიშით მიიღწეოდა. ცლკეული ქვეითი ჯარისკაცი წუთში ოთხამდე ზალპს აკეთებდა, მწყობრის საბრძოლო სროლის სიჩქარე კი წუთში 2-3 ზალპს აღწევდა. ბატალიონი იყოფოდა 8 ოცეულად, რომლებიც ცეცხლს რიგრიგობით აწარმოებდნენ. 20 წამის განმავლობაში ერთმანეთს მოყვებოდა რვავე ოცეულის ზალპები, დაწყებული მარჯვენა ფლანგიდან. მარცხენა ფლანგის ოცეულის ზალპის დასრულებისთანავე მარჯვენა ფლანგის ოცეული უკვე მზად იყო ახალი ზალპის განსახორციელებლად. ფაქტიურად მიიღებოდა უწყვეტი ზალპების ტალღა, რაც მეტად ეფექტურ და მოწინააღმდეგისათვის შიშის მომგვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ორგანიზებული ზალპური ცეცხლი მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების დიდ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც წარმოადგენდა. ცეცხლის წარმოების ასეთი ორგანიზაცია მოითხოვდა სროლისას ფეხშეწყობით სვლას, ჯარისკაცს აიძულებდა ცეცხლის შესწორებას, ყურადღების დაძაბვას, ნერგავდა დისციპლინას ჯარებში. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში ასეთი ხელოვნურად მართული ცეცხლის შენარჩუნება ძალიან რთული იყო და რეალურად იგი იშვიათად ხერხდებოდა, სხვა ევროპული არმიები ცდილობდნენ პრუსიელთა მიბაძვას ცეცხლის მართვასა და წარმოებაში.

რა ღლავს უშვებდნენ ხელიდან, რამხელა შანსი ეძლეოდათ თავიდან აეცილებინათ საუკუნის მეოთხედის განმავლობაში მიმდინარე საშინელი ომები, თუ ფრიდრიხს შიგნით შეუშვებდნენ და შეიპყრობდნენ. ეჭვს გარეშეა, რომ „საზიზღარი და აგრესორი" მარია ტერეზია მას სასამართლოს გადასცემდა და შესაბამის განაჩენსაც გამოუტანდა. შესაძლოა, ეს განაჩენი სასიკვდილოც კი ყოფილიყო. მსოფლიოს საზოგადოებაც სავარაუდოდ დაადგენდა, რომ თემიდამ სამართლიანად განსაჯა და მართლმსაჯულებამაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

როგორი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ნეტავ ჰოჰენცოლერნების პრუსიის სამეფოსა და მთლიანად პრუსიელების ბედი? ან როგორ განვითარდებოდა შემდგომი მოვლენები ევროპაში? შეიქმნებოდა კი ერთიანი გერმანია და გადაიქცეოდა კი იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ? და საერთოდ, რა იქნებოდა შემდგომ? კითხვები მართლაც ბევრია და ძალიან საინტერესოც. ერთი რამ კი ცხადი – ამ კითხვებზე პასუხს ვეღარასოდეს ვეღარ მივიღებთ...

ერთი რამ კი ცხადია – ოპოლეს ავსტრიელ გუშაგთა ამ საქციელმა მსოფლიო ისტორიის შემდგომი მსვლელობა შეცვალა...

დიახ, რეალობაში საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ფრიდრიხი ოპოლეში ვერ შევიდა და ისტორიაც სხვაგვარად არ გადაწერილა. იგი ჭენებით აგრძელებს გზას ბრესლაუმდე. მოგვიანებით, ფრიდრიხის ამ გაქცევის ირგვლივ ლეგენდები ვრცელდება, თითქოს ვინმე როზალი შრაიერმა დამალა მეფე კასრის ქვეშ და ასე გადაარჩინა იგი. თითქოსდა მოწინააღმდეგის ჰუსარი, სახელად პაულ ვერნერი, დაეხმარა მას გაქცევაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე არსებობს ღიმილის მომგვრელი თქმულება, თითქოს ფრიდრიხმა უკანდადევნებულ ავსტრიელ ჰუსარებს ნიშნის მოგებით მიაძახა: „მშვიდობით, ჩემო მეგობრებო! ცხენზე ამხედრებული მე ბევრად მეტი ვარ, ვიდრე თქვენ ყველანი ერთად!" თუმცა, ასეთი რამ ალბათ წარმოუდგენელი იყო ასეთი ხანგრძლივი და დამღლელი ჭენების შემდეგ.

სინამდვილეში ფრიდრიხმა ბრესლაუში შეიტყო მამაცი და ერთგული შვერინის გამარჯვების ამბავი და შემდეგ დიდხანს აღარ უსაუბრია ამის შესახებ თავის სახელოვან ფელდმარშალთან. თითქმის ხუთი ათასი დაღუპული და დაჭრილი პრუსიელი, ავსტრიის მხარეს კი ცოტა უფრო მეტი, მის სულს მძიმე ტვირთად აწვა.[227]

შემდგომში, ბრძოლის ველიდან თავისი სამარცხვინო გაქცევის შესახებ ფრიდრიხი აღარ საუბრობდა, ეს თემა დაიხურა. მოლვიცის ხსენებაც კი ტაბუდადებული იყო. მოგვიანებით, ფრიდრიხმა მხოლოდ ერთხელ დაარღვია ტაბუ და თქვა: „მოლვიცი ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. მე ბევრს ვფიქრობ იქ დაშვებულ შეცდომებზე, რომლისგანაც ჭკუა ვისწავლე".[228] თავის მხედრებს კი ლანძღავდა, – „კავალერია არაფრად ვარგა, არაფრად! ჯანდაბაშიც წასულან ყველანი!"

---

[227] სხვა წყაროებით დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო დანაკარგები დაახლოებით ერთნაირი იყო: ბრძოლაში მოკლულების, დაჭრილებისა და ტყვეების სახით ავსტრიელებმა 4550 ჯარისკაცი, ხოლო პრუსიელებმა – 4660 კაცი დაკარგეს.

[228] მოლვიცის ბრძოლაში მთავარი შეცდომა ფრიდრიხმა ბრძოლის დაწყებამდე დაუშვა. ფრიდრიხს მოლვიცთან მისვლისთანავე უნდა შეეტია ავსტრიელთათვის, რომელთა ჯარიც ყოველგვარი დაცვის უზრუნველყოფის გარეშე იყო დაბანაკებული. ამის მაგივრად ფრიდრიხმა მთელი ორი საათი დაკარგა ჯარების საბრძოლო წყობის მეთოდურ დალაგებაში, რითაც ავსტრიელებს მომზადების საშუალება მისცა. შემდგომში სახელგანთქმული ფრიდრიხის კავალერია იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ მოლვიცთან პრუსიული კავალერიის მოქმედებები გაუბედავი და არაეფექტური იყო. მხოლოდ ქვეითთა რკინის დისციპლინის, ორგანიზებულობისა და მაღალი გაწვრთნილობის წყალობით მოხერხდა საბოლოოდ ბრძოლის ბედის შემობრუნება და მისი გამარჯვებით დასრულება. პრუსიელ ქვეითთა მიერ რკინის ზუმბების გამოყენებამაც თავისი სიტყვა თქვა. პრუსიელთა გამარჯვებაში, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი იყო ფელდმარშალ კურტ ფონ შვერინის როლი – მის მიერ ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელში აღება და მართვა.

ფრიდრიხ II დიდი (1712-1788)

მარია ტერეზია (1717-1780)

ქრისტოფ ფონ კალკშტაინი (1682-1759)

კურტ ფონ შვერინი (1684-1757)

რაინჰარდ ფონ ნეიპერგი (1684-1774)

ევროპა 1738 წელს. ბრანდენბურგი და პრუსიის სამეფო – იისფერი,
ჰაბსბურგთა მონარქია – ოქროსფერი

პრუსიელი ქვეითები

პრუსიელი გრენადერები

პრუსიული კავალერიის „შავი” ან სხვანაირად, „მკვდარი თავის” ჰუსარი

ფრიდრიხის ჯარისკაცები. რეკონსტრუქცია

ავსტრიელი ქვეითები

ავსტრიელი კავალერისტი

ავსტრიელი ჰუსარი



მოლვიცის ბრძოლა. პრუსიელი ქვეითების შეტევის დასაწყისი.
1741 წლის 10 აპრილი. კარლ როხლინგის ნახატი

პრუსიელი ქვეითები შეტევაში

პრუსიელი გრენადერები

პრუსიელი გრენადერები იწყებენ შეტევას

მოლვიცის ბრძოლა

ფრიდრიხ II დიდის ცხენი, სახელად „მოლვიც რუხი". გეორგ სტაბსის ნახატი. სწორედ ამ ცხენით დააღწია ფრიდრიხმა თავი მოლვიცის ბრძოლას და გავიდა სამშვიდობოს

ფრიდრიხ II დიდი და მისი ლეგენდარული „მოლვიც რუხი".
რიჰარდ კნოტელის ნახატი

1741 წლის 10 აპრილი. მოლვიცთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ფრიდრიხ II დიდი შედის სილეზიის დედაქალაქ ბრესლაუში. რიჰარდ კნოტელის ნახატი

§3.2. ფლანგის გაბედული მარში და ირიბი საბრძოლო წყობა (ლეითენი, 1757 წლის 5 დეკემბერი)

1757 წლისათვის თითქოს აშკარად გამოიკვეთა ის სურათი, რომ პრუსიის იმპერიის[229] დასასრული მოახლოვდა. პრუსიის მოკავშირე ინგლისის ელჩმა ბერლინში, თავის მთავრობას აუწყა: „ვშიშობ, რომ შობამდე ფრანგებისა და ავსტრიელების საკუთრებაში გადავა არა მხოლოდ ბერლინი, არამედ პრუსიის მმართველი სამეფო სახლის ძირითადი სამფლობელოების დიდი ნაწილი.“

1756 წლიდან ავსტრია და პრუსია შვიდწლიან ომში უკვე მესამედ აწარმოებენ ომს აყვავებული და მდიდარი ავსტრიული პროვინციის, სილეზიისთვის.[230] მაგრამ წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ფრიდრიხ II ჰოჰენცოლერნი, პრუსიის მეფე, უამრავი მტრით არის გარემოცული. ეს სახელმწიფოები არიან – სამხრეთით ავსტრია და საქსონია, აღმოსავლეთით პოლონეთი და რუსეთი, დასავლეთით საფრანგეთი და გერმანიის იმპერიის თითქმის ყველა სახელმწიფო, ჩრდილოეთით კი შვედეთი, რომელმაც უკვე აღმართა ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე თავისი პლაცდარმი და მთლიანად წინა პომერანია მის საკუთრებაშია გადასული. პრუსიას რჩება ერთადერთი მოკავშირე – ინგლისი. მაგრამ ინგლისი ევროპის კონტინენტზე მიმდინარე სახმელეთო კამპანიებში არ ებმება და ჯარებსაც არ აგზავნის იქ. ინგლისს სხვა ინტერესები და სხვა პრიორიტეტები აქვს. იგი სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოა და ძირითადად ოკეანისგაღმა იბრძვის. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამაც დაადასტურა ეს. 1761 წელს მან სამარცხვინოდ მიატოვა პრუსია ბედის ანაბარა. ასე, რომ პრუსია მარტოდმარტო დარჩა. და ახლაც, 1757 წლისათვის ფრიდრიხის მდგომარეობა ნამდვილად კრიტიკულია. იგი შიდა საოპერაციო ხაზებზე მოქმედებს და თავისი არმიის ნაწილს სილეზიაში ტოვებს, რათა მეორე ნახევარი საქსონიაში დააყენოს ფრანგებისა და იმპერისტთა არმიების წინააღმდეგ. როსბახთან ის იმარჯვებს რაოდენობით ორჯერ აღმატებულ ძალებზე, მაგრამ ავსტრიელები მას ამარცხებენ სილეზიაში გამართულ რამდენიმე ბრძოლაში და იკავებენ შვაიდნიცს, ერთ-ერთ

---

229 პრუსიის სახელმწიფოს (გერმ. Preußen, ლათ. Borussia) დეტერმინაციაში ავტორი აშკარად არაკორექტულია. ასეთი ცნება – „პრუსიის იმპერია“, არც ერთ ისტორიულ პერიოდში არ არსებობდა. საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პრუსიის სამეფოზე, რომლის ბირთვიც დასავლეთით ბრანდენბურგის საკურფიურსტო იყო, ხოლო აღმოსავლეთით – ტევტონთა ორდენის სახელმწიფო. 1618 წელს შეიქმნა ბრანდენბურგი-პრუსიის გაერთიანებული სახელმწიფო, რომელიც პირადი უნიის სახით ჰოჰენცოლერნების დინასტიის ბრანდენბურგის კურფიურსტებს ემორჩილებოდა. 1701 წელს კი, კურფიურსტმა ფრიდრიხ III-მ საღვთო რომის იმპერიის იმპერატორისგან მეფის ტიტული მიიღო და შესაბამისად, ბრანდენბურგი-პრუსიის საკურფიურსტოც სამეფოდ გადაიქცა. ასე რომ, ამ პერიოდში საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პრუსიის სამეფოს შესახებ. ერმანული მიწებისა და სახელმწიფოების უნიფიკაციის შემდეგ კი, 1871 წლიდან, პრუსიელი ჰოჰენცოლერნები გაერთიანებული გერმანიის, II რაიხის კაიზერები გახდნენ. პრუსიამ, როგორც სამეფომ, ფორმალური არსებობა 1918 წლის ბოლოს, I მსოფლიო ომის დამთავრებასთან ერთად დაასრულა. შემდეგ კი, იგი პრუსიის თავისუფალი სახელმწიფოს სახელით შევიდა ვაიმარის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

230 შვიდწლიანი ომი (1756-1763წ.წ.) წარმოადგენდა XVIII საუკუნისა და ახალი ერის გლობალური მასშტაბის უდიდეს სამხედრო კონფლიქტს. იგი მიმდინარეობდა როგორც ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის აუზში, ინდოეთსა და ფილიპინებზე; ომში მონაწილეობას ღებულობდა ყველა დიდი ევროპული სახელმწიფო, აგრეთვე მცირე სახელმწიფოთა დიდი ნაწილი და ინდიელთა ზოგიერთი ტომიც კი. უინსტონ ჩერჩილმა ამ ომს „I მსოფლიო ომი“ უწოდა. ეს ომი ითვლება კოლონიალურ ომად, იმდენად რამდენადაც აქ ერთმანეთს შეეჯახა კოლონიური სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის და ესპანეთის ინტერესები. სამხედრო ხელოვნების კუთხით კი, შვიდწლიანი ომი წარმოადგენდა პირველ სასანგრე ომს, იმდენად, რამდენადაც მისი მსვლელობის დროს პირველად იქნა გამოყენებული დიდი რაოდენობით რედუტები და სხვა საველე გამაგრებები; შვიდწლიანი ომი ამავე დროს ითვლება პირველ საარტილერიო ომად. ამ ომის მსვლელობისას 1756 წელს 1000 ხიშტზე მოდიოდა 2 ზარბაზანი, 1759 წელს – 3-4, ხოლო 1761 წლისათვის – უკვე 5-6. შვიდწლიან ომში ევროპის კონტინენტზე დაპირისპირების მთავარი წყარო პრუსიისა და ავსტრიის ბრძოლა იყო სილეზიისათვის. ავსტრიამ სილეზიის პირველ და მეორე ომებში დაკარგა სილეზია, ამიტომ, შვიდწლიან ომს ხშირად მესამე სილეზიურ ომსაც უწოდებენ. პირველი (1740-1742წ.წ.) და მეორე (1744-1748წ.წ.) სილეზიური ომები ავსტრიული მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომის შემადგენელი ნაწილები იყო. შვედურ ისტორიოგრაფიაში ეს ომი პომერანიის ომის სახელითაა ცნობილი, კანადაში – როგორც „დამპყრობლური ომი“, ხოლო ჩრდილოამერიკულ საომარ მოქმედებათა თეატრზე ამ ომს ფრანკო-ინდიელთა ომს უწოდებდნენ.

უძლიერეს ციხესიმაგრეს ზამთრის მნიშვნელოვანი მარაგებით.[231] ავსტრიელთა არმიას პრინცი კარლ ალექსანდერი სარდლობს. ფრიდრიხი თავისი ჯარისკაცების ნაწილს საქსონიაში ტოვებს, თოთხმეტი ათას კაცთან ერთად ბრუნდება აღმოსავლეთისკენ და 1757 წლის 2 დეკემბერს თვრამეტი ათასი ჯარისკაცით ბრესლაუსთან სილეზიაში მყოფი პრუსიული პოლკის დარჩენილ ნაწილთან ერთიანდება. სათაყვანებელი მეფის იქ ყოფნა აუმჯობესებს სილეზიის პოლკის პირადი შემადგენლობის შერყეულ მორალს. ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთება მაღლდება და მათ გამარჯვების რწმენაც უბრუნდებათ.

3 დეკემბერს ფრიდრიხს ატყობინებენ, რომ ავსტრიელებმა მოულოდნელად დატოვეს გაძლიერებული პოზიციები ბრესლაუსთან, რათა სამოცდახუთი ათასი კაცით პრუსიის მეფის წინააღმდეგ გაილაშქრონ და ზამთრის დადგომამდე დააბრკოლონ მისი სვლა შიდა სილეზიაში. ავსტრიელთა ჯარი რიცხობრივად ორჯერ აღემატება პრუსიელებისას, რადგან ფრიდრიხს მხოლოდ ოცდათორმეტი ათასი კაცი ჰყავს. ფრიდრიხი წარმატების მიღწევის ერთადერთ შანსს დაუყოვნებლივ შეტევაში ხედავს. „მელია თავისი სოროდან გამოძვრა, – ეუბნება იგი თავის ერთგულ პირებს, – მე მსურს დავსაჯო ავსტრიელების ამპარტავნება!“ 3 დეკემბრის საღამოს მან პროხოვიცეში შეკრიბა თავისი ოფიცრები, ასეულის მეთაურების მოადგილეების ჩათვლით და დამაჯერებლად ესაუბრა მათ რჩევებისა და მუქარის მოხერხებულად შერწყმით: „მე ეს ნაბიჯი უნდა გადავდგა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი დაკარგულია. ან ჩვენ უნდა დავამარცხოთ მტერი, ან ჩვენ ყველას დაგვასამარებს მათი ბატარეა. მე ასე ვფიქრობ. და ვიმოქმედებ ისე, როგორც საჭიროდ ვთვლი... თუ არის თქვენს შორის ვინმე, ვინც ასე არ ფიქრობს, მისგან მოვითხოვ აქვე, ადგილზე დამშვიდობებას. მე მას არ ვუსაყვედურებ... იცხოვრეთ უდარდელად, ბატონებო. ცოტა ხანში ჩვენ ან დავამარცხებთ მოწინააღმდეგეს, ან ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ!“ ფრიდრიხის ამ მგზნებარე სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა ოფიცრებზე. ოფიცერთა ამაღლებული განწყობა მალე ჯარისკაცებსაც გადაედო. ჯარი აღფრთოვანებამ მოიცვა, პრუსიელთა ბანაკში აღტაცების შეძახილები გაისმა.

ფრიდრიხი ავსტრიელთა ლაშქრის წინააღმდეგ გაბედულად მარშირებდა, ისე რომ, არც კი იცოდა, რამდენად ძლიერები იყვნენ ავსტრიელები სინამდვილეში. იგი ანგარიშობდა ოცდაცხრამეტ ათას კაცს, იმაზე ცოტა უფრო მეტს, ვიდრე მას შეეძლო ველზე გამოეყვანა.[232] 4 დეკემბერს ნოიმარკტზე შეტევისას პრუსიელებს ხელში ჩაუვარდათ მოწინააღმდეგის არმიის საველე პურის საცხობი ორმოცი ათასი კაცისთვის განკუთვნილი პურის მარაგით, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა პრუსიელთა მთლიანი არმიის მომარაგება. 5 დეკემბრის დილისთვის პრუსიის არმია გაყინულ და თოვლით დაფარულ პატარა სოფელ ლეითენის წინ მდებარე ველამდე აღწევს. სწორედ აქ მოხდება ის სახელოვანი ბრძოლა, რომლის შესახებაც ნაპოლეონი მოგვიანებით იტყვის, რომ მხოლოდ ეს ერთი ბრძოლა იქნებოდა საკმარისი ფრიდრიხ დიდის გენიალობისა და სახელის „უკვდავსაყოფად“. ნაპოლეონის მოსაზრებას ვერ განვსჯით, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ფრიდრიხის მიერ გამოყენებული საბრძოლო ტაქტიკისა და მისი სახელის უკვდავყოფაში დიდი წვლილი ავსტრიელთა ჯარის მეთაურების მხრიდან დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა შეიტანეს. შეცდომების თავი და თავი ის იყო, რომ ავსტრიელთა ჯარის სარდლის, ლოტარინგიელი პრინცის, კარლ ალექსანდერის მთავარ შტაბში დარწმუნებულები იყვნენ – პრუსიის მეფე ვერ გაბედავდა შედარებით სუსტი ძალებით შეტევაზე გადასულიყო. ამიტომ ავსტრიელებმა არ ჩათვალეს საჭიროდ არმიის ცენტრალური საველე პურის საცხობი ნოიმარკტიდან ბრესლაუში გადაეტანათ. ეს შეცდომა იყო. პურის საცხობი პრუსიელებმა იგდეს ხელთ.

ავსტრიელებმა ბრძოლისთვის დაიწყეს მზადება. მათ თავდაცვითი პოზიცია დაიკავეს მდინარე ბისტრიცას მარჯვენა სანაპიროსთან და ბრძოლაში გამოცდილი და დასვენებული

[231] შვაიდნიცთან ერთად ამ ბრძოლების შედეგად ავსტრიელების ხელში გადადის სილეზიის კიდევ ერთი ძლიერი ციხესიმაგრე – ბრესლაუ.

[232] ბრესლაუსთან დისლოცირებული ავსტრიელთა ჯარის პირადი შემადგენლობა 66 ათასს შეადგენდა.

შენაერთები ფრონტის ხაზზე, ცხრა კილომეტრზე გაშალეს. მარჯვენა ფლანგი სოფელ ნიპერნთან ტყის ზოლით იყო დაფარული. აქ იდგა მარჯვნივ უკუმიმართულებით ეშელონირებული ავსტრიული კავალერია, მის უკან კი ორი ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობის ეშელონი. მარცხენა ფლანგი სოფელ ლეითენთან 90-გრადუსიან კუთხეს ქმნიდა, რათა სიმაღლე ზაგშუტცერი, როგორც სამეთაურო პუნქტი, ფრონტის ხაზში მოქცეულიყო. ფრონტის წინ პოზიციები ავსტრიელთა მძიმე ბატარეამ დაიკავა. სამხედრო ძალის ასეთი დემონსტრირებით პრინც კარლს სურდა პრუსიელებზე ზემოქმედება მოეხდინა, დაერწმუნებინა მოწინააღმდეგე, რომ მისი მდგომარეობა უიმედო იყო და ბრძოლას იგი აუცილებლად წააგებდა. მას ისიც სჯეროდა, რომ შესაძლოა ავსტრიელთა აღმატებული ძალების ხილვისას პრუსიელებს საერთოდ აეღოთ ხელი ბრძოლაზე და უკან დაეხიათ. მაგრამ ასეთი მოსაზრება ავსტრიელთა სარდლობის მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომაა. შეცდომა, რომლის შედეგებიც ძალიან მალე გამოვლინდება. უკვე 4 საათზე, ღრუბლიან და ნისლიან ადრიან დილით პრუსიელებმა ბანაკი დაშალეს და სტრატეგიული თავმოყრა დაიწყეს. ორი პარალელურად გადაადგილებული ქვეითების კოლონა გვერდიდან საკავალერიო პოლკმა ჩაკეტა. ფრიდრიხი საბრძოლველად არის შემართული და გამარჯვების მისაღწევად მზადაა საკუთარი სიცოცხლეც კი დასდოს. მეფე ჩერდება არმიის ავანგარდში, თავისთან იხმობს ერთ-ერთ ოფიცერს ორმოცდაათი ჰუსარით და ბრძანებას აძლევს: „შენ შენი ორმოცდაათი კაცით უნდა დამიცვა. არანაირ ვითარებაში არ დამტოვებ მარტო და ბოლომდე ჩემთან იქნები, მომაქცევ ყურადღებას, რომ ხელში არ ჩავუვარდე ამ ავაზაკებს. თუ ბრძოლაში მოვკვდები, ჩემ სხეულს ლაბადით დაფარავ და ეტლს მოიყვან. დადებ ჩემ სხეულს ეტლზე და ამის შესახებ არავის არაფერს ეტყვი. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ნებისმიერ ფასად, ბრძოლა მოწინააღმდეგის სრულ დამარცხებამდე გაგრძელდება! ასეთია ჩემი ნება!“

დაახლოებით 8 საათზე ფრიდრიხი შეტევაზე გადასვლის ბრძანებას გასცემს. პრუსიის არმია ერთიანად მიმართულია ავსტრიელების მარჯვენა ფლანგისკენ და აქ იწყება იერიში სოფელ ბორნეს ზემოთ, რომელსაც 9 საათზე იღებენ პრუსიელი ჰუსარები და დრაგუნები. ბორნედან აღმოსავლეთით კოლონა ისე იშლება, თითქოს ლეითენის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ ფრობელვიცზე თავდასხმას აპირებდეს. ავსტრიელთა სარდლობა დაუყოვნებლივ რეაგირებს – აღელვებულებსა და განცვიფრებულებს საკავალერიო ესკადრონი[233] გაჰყავთ მარცხენა ფლანგიდან და სარეზერვო კორპუსს[234] აგზავნიან მარჯვენა ფლანგის გასამაგრებლად, რადგან მათ სჯერათ, რომ პრუსიელთა მთავარი დარტყმა სწორედ აქ განხორციელდება. მაგრამ რეალობა სულ სხვა არის. ეს ფრიდრიხის ცრუ მანევრია. საქმე ეხება მხოლოდ მოჩვენებით შეტევას, სამხედრო ეშმაკობას.

„ცბიერი გონება აიძულებს იმას, ვისი მოტყუებაც მას სურს, რომ მან აზრობრივი შეცდომები დაუშვას“, – ამ ამბებიდან სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ დაწერს კლაუზევიცი[235] თავის ცნობილ წიგნში „ომის შესახებ“.

---

[233] ესკადრონი (ლათ. Exquadra – ჯარების ოთხკუთხა საბრძოლო წყობა) – საკავალერიო ჯარების ტაქტიკური და ადმინისტრაციული ერთეული, ქვედანაყოფი ან სამხედრო ნაწილი 100-150 ცხენოსნის შემადგენლობით. შეესაბამება ქვეით ასეულს (ბატალიონს) და საარტილერიო ბატარეას. ნაკლები სიდიდის ტაქტიკური ერთეული იყო ნახევარესკადრონი – დაახლოებით 60-70 მხედარი.

[234] კორპუსი (ლათ. Corpus – სხეული, ერთი მთლიანი) – მუდმივი ან დროებითი (საექსპედიციო კორპუსი) სამხედრო ფორმირება დამოუკიდებლად (ცალკეული კორპუსი) ან არმიისა და ფრონტის (არმიათა ჯგუფის) შემადგენლობაში სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად. პირველად ფორმირებულ იქნა ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ. კორპუსი, როგორც წესი, შედგება სხვადასხვა გვარეობის ჯარების ნაწილებისა (დივიზია, ბრიგადა) და ქვედანაყოფებისგან, მის წინაშე დასმული ამოცანის გადასაჭრელად. ამავე დროს კორპუსი წარმოადგენს შუალედურ შენაერთს დივიზიასა და არმიას შორის. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, კორპუსს როგორც წესი, მეთაურობს გენერალ-ლეიტენანტის (სამვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

[235] კარლ გოტლიბ ფონ კლაუზევიცი (გერმ. Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831წ.წ.) – ნაპოლეონის ეპოქის პრუსიელი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „ომის შესახებ", მოახდინა გადატრიალება სამხედრო მეცნიერების თეორიასა და საფუძვლებში. პრუსიულ-გერმანული ახალი სამხედრო აზრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

დაახლოებით 10 საათსა 30 წუთზე ფრიდრიხი დროულად წყვეტს მოჩვენებით შეტევას და თავიდან ირიდებს იმ შეცდომას, რომელსაც 58 წლის შემდეგ, 1815 წელს დაუშვებს ნაპოლეონი ვატერლოოს ბრძოლაში მარცხენა ფლანგის მოჩვენებითი შეტევისას.

კლაუზევიცი ამტკიცებს: „აშკარად სახიფათოა გამოიყენო მნიშვნელოვანი ძალები ხანგრძლივად მხოლოდ მოსაჩვენებლად, რადგან ყოველთვის რჩება საფრთხე, რომ ეს მცდელობა ამაო იყო და ეს ძალები გადამწყვეტ ადგილზე არ იმყოფებოდნენ.“ ფრიდრიხმა მარცხენა ფლანგი დროულად გაიყვანა ცრუ მანევრიდან და საერთო სტრატეგიულ გეგმაში ჩართო, რათა ბრძოლის კულმინაციურ მომენტში, განსაკუთრებით კავალერიის საბრძოლო ერთეულებთან ერთად, მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი რიცხობრივი და ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვოს.

შონბერგიდან სამხრეთით, დიდჰაუსკენ და სამხრეთით, ბრესლაუსკენ მიმავალ სამხედრო გზაზე, რომელიც ავსტრიელებმა ჩაკეტეს თავიანთი არმიით, ფრიდრიხმა თავის სადაზვერვო რაზმთან ერთად კარგ ამინდში წინა დღით დაათვალიერა მოწინააღმდეგის მთლიანი საბრძოლო წყობა. იგი კარგად იცნობდა ამ ტერიტორიას მანევრებიდან, რომელიც მან ადრე, მშვიდობიანობის პერიოდში ჩაატარა. ძალიან მალე მისთვის ნათელი გახდა, რომ ეს ტერიტორია არ იყო შესაფერისი მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგზე შეტევისთვის. გარდა ამისა, ზაგშუტცერის სიმაღლეზე ფრონტალური შეტევისას პრუსიელები ავსტრიელთა მომაკვდინებელი ფლანგური ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. ამიტომ ფრიდრიხს რჩებოდა ერთადერთი გზა – თავს დასხმოდნენ მარცხენა, სუსტად გამაგრებულ მოწინააღმდეგის ფლანგს.[236] მაგრამ როგორ უნდა მიეღწია პრუსიის არმიას მოწინააღმდეგემდე სწრაფად? ეს საჭიროებდა არმიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების ახალ განლაგებას გადაჯგუფებით.

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ მეფე იღებს გაბედული მანევრის ჩატარების გადაწყვეტილებას. დაახლოებით 10 საათზე მისი არმია მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგის წინ ბრუნდება მარჯვნივ, სამხრეთისკენ. პრუსიელთა არმია დიდი სიჩქარით, სანიმუშო სიზუსტითა და დისციპლინით გადაადგილდება. ნაწილობრივ გორაკების მწკრივით დაფარული ველის გავლით და ავსტრიელთა არმიის პარალელურად იგი მოწინააღმდეგისგან სამი ათასი მეტრის დისტანციაზე გადაადგილდება ხუთი ათას მეტრ მანძილზე. ეს მეტად სარისკო წამოწყება იყო. ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობს პრუსიელთა ფლანგის მარში ავსტრიელების თვალწინ ისე, რომ თავდაპირველად ერთმანეთს მიჰყვება ფლანგის ოთხი კოლონის პირველი ნახევარი, როგორც საბრძოლო წყობის პირველი ეშელონი, შემდეგ კი მეორე ნახევარი, როგორც საბრძოლო წყობის მეორე ეშელონი.[237]

ავსტრიელები ვერ იყენებენ ხელსაყრელ შემთხვევას შეტევის დაწყებისათვის. ისინი უმოქმედოდ რჩებიან, რადგან სჯერათ, რომ პრუსიელები ბრძოლას არ მიიღებენ და ჯარების გაყვანას დაიწყებენ მაშინვე, როგორც კი მოწინააღმდეგის სიძლიერეში დარწმუნდებიან. „ხედავთ, პრუსიელები მიდიან, – თავდაჯერებული ტონით ეუბნება ავსტრიელი ფელდმარშალი ლეოპოლდ ფონ დაუნი[238] პრინც კარლს, – ხელი არ შეუშალოთ!“

---

[236] საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ავსტრიელთა მარცხენა ფლანგი ძირითადში პროტესტანტებისგან შედგებოდა, რომლებიც პრუსიელებს უთანაგრძნობდნენ.

[237] ფრიდრიხმა აქ გამოიყენა მის მიერ კარგად დამუშავებული ქვეითთა ე.წ. „ირიბი შეტევის ტაქტიკა". „ირიბი შეტევის ტაქტიკა" თავისთავად არ იძლეოდა რაიმე უპირატესობას და კიდევაც აძლევდა მოწინააღმდეგეს საშუალებას ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა მიახლოებული პრუსიელები; გადამწყვეტ მნიშვნელობას ეს ტაქტიკა იძენდა მაშინ, როდესაც ფრიდრიხი ძალების კონცენტრირებას ახდენდა დამრტყმელ ფლანგზე, სადაც მეფე მესამე ხაზის სახით შლიდა თავის რეზერვს და ზოგჯერ ქმნიდა მეოთხე ხაზსაც ჰუსარებისაგან. მაგრამ, ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა მოულოდნელობას, რომლითაც ფრიდრიხი შლიდა თავის ირიბ საბრძოლო წყობას მოწინააღმდეგის ფრონტის წინააღმდეგ. ყველა თანამედროვე ხედავდა რაღაც მისტიკურს და საიდუმლო ძალას პრუსიული ფრონტის „ირიბ" მანევრირებაში, მეზობლები კი მის მიბაძვას ცდილობდნენ.

[238] გრაფი ლეოპოლდ იოზეფ ფონ დაუნი (გერმ. Leopold Joseph Maria, Reichsgraf von und zu Daun) (1705-1766წ.წ.) – მოგვიანებით ტიანოს პრინცი, გამოჩენილი ავსტრიელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ფელდმარშალი. ავსტრიული მემკვიდრეობისა და შვიდწლიან ომში, 1758-1763 წლების პერიოდში ავსტრიელთა ჯარების მთავარსარდალი.

ეს ავსტრიელთა მიერ დაშვებული კიდევ ერთი სავალალო შეცდომა იყო. ფრიდრიხი საერთოდ არ ფიქრობს ბრძოლის ველის დატოვებას. პირიქით, მას სურს, ავსტრიელების მარცხენა ფლანგს მთელი ძალით შეუტიოს. ამისათვის კი საჭიროა ქვედანაყოფების ისე გადაჯგუფება, რომ მოქმედება დაიწყონ ერთმანეთის მიყოლებით და მუდმივად უზრუნველყონ შეტევის მხარდაჭერა.[239] საჭიროა მოწინააღმდეგის ფრონტის წინ სახიფათო თავმოყრის თავიდან აცილება, როგორც მანევრის ურთულესი ნაწილი. პრუსიის არმიის მეწინავე ნაწილებმა დაახლოებით 12 საათზე გაიარეს ავსტრიელების მარცხენა ფლანგი, უცებ მობრუნდნენ აღმოსავლეთისკენ, გადაადგილდნენ მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის გასწვრივ და დაიკავეს იმავე ფრონტის შუა ადგილი მოწინააღმდეგის პირისპირ. უკან, მარცხნივ, მიმდინარეობს განლაგების ეშელონირება – ეს ნიშნავს, რომ ოცი ბატალიონი განლაგებულია უკან, ორმოცდაათი მეტრის მანძილზე, საერთო ჯამში – ათას მეტრში. ამის შედეგად წარმოიქმნება ირიბი საბრძოლო წყობა.

დაახლოებით პირველ საათზე მთავრდება პრუსიელთა ჯარების სტრატეგიული თავმოყრა, მეფე თვითონ მიუთითებს შეტევის მიმართულებას. გენერალ ფონ ვედელის[240] ბატალიონმა შეუტია ზაგშუტცერს და იერიშით აიღო კიფერნბერგი და იუდენბერგი. პრუსიელთა მძიმე არტილერია გაბატონებულ სიმაღლეზე განლაგდა და იქიდან გაუხსნა ცეცხლი ავსტრიელთა ფლანგს. თავიდანვე შეტევაზე გადავიდნენ მაიერნიკის ქვეითი პოლკის პომერანიელები და ლაუზიცერები. 26-ე პოლკის ფორმაზე დღესაც ატარებენ გერმანელი გენერლები ფორმის ფერად ნაკერს. გენერალ ნადაშდის საბრძოლო წყობის პირველი ეშელონი, რომელიც ავსტრიელების მარცხენა ფლანგს მეთაურობდა, უკუაგდეს. ავსტრიელთა ქვეითი ჯარი იძულებული იყო ფეხზე მდგომ პოზიციაში ებრძოლა, რადგან ზარბაზნები და მუშკეტები, რომლებიც ლულიდან იტენებოდა, არ იძლეოდა მათ დაწოლილ ან დაჩოქილ მდგომარეობაში დატენვის საშუალებას.[241]

ძალიან მალე ყველაფერი დაიფარა დენთის თეთრი კვამლით, რის გამოც ხილვადობა გაუარესდა. ქვედანაყოფები ვეღარ სცნობდნენ თავიანთ მარცხენა და მარჯვენა მხარეს მყოფებს. იმ დროისათვის უკვამლო დენთი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული, ამიტომ ბრძოლის ველზე დეტალების გარჩევა ძალიან ჭირდა. დაახლოებით 14 საათსა 30 წუთზე, როცა პრუსიელებმა შეუტიეს სიგრძეზე გადაჭიმულ და კარგად გამაგრებულ ლეითენს, ყველა მხრიდან, და განსაკუთრებით, სიმაღლეზე მდებარე ქვის კედლით გარშემოვლებული სასაფლაოდან, თავდამცველებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. ფრიდრიხმა წინ თავისი რჩეული, მე-2 და მე-3 ბატალიონები წასწია, მაგრამ ეს რჩეული ქვედანაყოფებიც შეჩერდნენ. მათი მეთაური ყოყმანობდა შეტევაზე გადასვლას. ამ დროს გადმოხტა ერთი ახალგაზრდა კაპიტანი (რომელიც შემდგომში ფელდმარშალი გახდა), შემახილით – „ხალხო, მომყევით!“ და მეთაურობა საკუთარ თავზე აიღო.[242] მან შეამტვრია სასაფლაოს დასავლეთის ჭიშკარი ისე, რომ ჯარისკაცებმა შეძლეს სოფელში შეჭრა და ხანმოკლე

---

239 საბოლოოდ, ფრიდრიხის მიერ შემუშავებული ირიბი წყობის ტაქტიკა გადაიზარდა შეტევაში საფეხურებად, როდესაც მოძრაობისას ყოველი შემდეგი ბატალიონი 50 ნაბიჯით ჩამორჩებოდა მეზობელ ბატალიონს.

240 აქ გენერალ-ლეიტენანტ კარლ ჰაინრიხ ფონ ვედელზე (გერმ. Carl Heinrich von Wedel) (1712-1782წ.წ.), იმდროინდელი პრუსიის არმიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახელოვან და წარმატებულ სამხედრო ოფიცერსა და გენერალზეა საუბარი. ფონ ვედელი იყო ავსტრიული მემკვიდრეობისათვის (1740-1748წ.წ.), შვიდწლიანი ომისა (1756-1763წ.წ.) და ბავარიის მემკვიდრეობისათვის (1778-1779წ.წ.) წარმოებული ომების აქტიური მონაწილე. 1760 წლიდან პრუსიის სამხედრო მინისტრი.

241 პრუსიელთა შეტევის უკუგდების მცდელობა ავსტრიელებისათვის უშედეგო აღმოჩნდა. ასევე უშედეგო აღმოჩნდა ბრძოლის მსვლელობისას მარცხენა ფლანგის გაძლიერების მცდელობა: ფლანგიდან ფლანგზე სარეზერვო ძალების გადალაგებას ავსტრიელებმა საათნახევარი მოანდომეს. მხოლოდ ლეითენის უკან შეძლეს ავსტრიელებმა მეტნაკლებად მოწესრიგებული საბრძოლო წყობისა და ფრონტის ორგანიზება, მაგრამ იგი იმდენად ღრმად ეშელონირებული იყო, რომ ავსტრიელებმა ის ტაქტიკური უპირატესობაც დაკარგეს რასაც მათი რიცხობრივი უპირატესობა იძლეოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ღრმად ეშელონირებული ქვეითების სტატიკური და შემჭიდროებული წყობა მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდა პრუსიული არტილერიისათვის.

242 აქ საუბარი პრუსიელ გენერალ-ფელდმარშალ ვიქარდ იოაჰიმ ჰაინრიხ ფონ მოლენდორფზეა (გერმ. Wichard Joachim Heinrich von Möllendorf) (1724-1816წ.წ.). თავი გამოიჩინა ფრიდრიხის ეპოქის ომებსა და ბრძოლებში. იყო ბერლინის გუბერნატორი და პრუსიის არმიის მთავარსარდალი. თავის საბრძოლო ბიოგრაფიაში უკანასკნელი ბრძოლა იენა-აუერშტადტში გამართა 1806 წელს ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ, სადაც მძიმედ დაჭრა და ტყვედ ჩავარდა. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თვით მისმა მოწინააღმდეგემ, ნაპოლეონ ბონაპარტემ, იგი ლეგიონის ღირსების დიდი ორდენით დააჯილდოვა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 1816 წელს, პოტსდამში.

სისხლისმღვრელი ბრძოლით მისი დაკავება. პრუსიელთა შტურმი წარმატებული გამოდგა. ამ პატარა ეპიზოდმა, ლეითენის სასაფლაოს შტურმით აღებამ, როგორც პატრიოტული და მარადიული ღირებულების მოვლენამ, მნიშვნელოვნად გაამდიდრა პრუსიული სამხედრო სკოლის ტრადიციები.

ამასობაში პრინცი კარლ ალექსანდერი მიხვდა თავის შეცდომას. მან სარეზერვო კორპუსისა და კავალერიის რამდენიმე ქვედანაყოფის სასწრაფოდ მარცხენა ფლანგზე გადასროლა ბრძანა. პრინცი დარწმუნებული იყო, რომ ჯერ კიდევ უვნებელი კავალერიის მარჯვენა ფლანგის სამოცდაათი ესკადრონით, ლუკჩესის მეთაურობით, შესაძლებელი იქნებოდა ბრძოლის ბედის შემობრუნება. ლუკჩესი სწრაფი ჭენებით უნდა დასხმოდა თავს პრუსიის ქვეით ჯარს დასავლეთიდან ცარიელ ფლანგზე და გაენადგურებინა იგი. თუმცა, ავსტრიელები ამჯერადაც შეცდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ფრიდრიხს უკვე ყველა რეზერვი ჰყავდა გამოყენებული, მაგრამ ეს ასე არ იყო. იმ დროს, როცა პრუსიელების მხარეზე პატრული დროულად ატარებდა ადგილმდებარეობის დაზვერვას, ავსტრიელებს ასეთი დაზვერვა საერთოდ არ ჰქონდათ ორგანიზებული. პრუსიელების კავალერია, გენერალ გეორგ ფონ დრიზენის მეთაურობით, მოულოდნელად გამოდის სამალავიდან ოცდათხუთმეტ ესკადრონთან ერთად რადაქსდორფის ჩრდილო-დასავლეთიდან და თავისი ჰუსარებით თავს ესხმის გაოგნებულ ავსტრიელ დრაგუნებს.[243] თავგზააბნეულმა ავსტ-რიელმა მხედრებმა საკუთარი ქვეითები გადათელეს და ბრესლაუსკენ გაიქცნენ. მათ გადარჩენილი ქვეითებიც მიჰყვნენ. შებინდებისას, 16 და 17 საათებს შორის, ავსტრიელებმა მდინარე შვაიდნიცამდე მიაღწიეს და თავი დააღწიეს დადევნებულ მტერს. ლეითენის ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ეს იყო პრუსიელთა საოცარი გამარჯვება. გამარჯვება დიდი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეზე. პრუსიელი გრენადერების ბანაკში ცეცხლთან იმ საღამოს ისმოდა ქორალი „ახლა ყველამ შევწიროთ მადლობა უფალს“. ეს იყო „ლეითენის ქორალი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე რჩებოდა გერმანელთა ბრძოლისუნარიანობის, უსიტყვო მორჩილებისა და რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების სურვილის წმინდა სიმბოლოდ. დანაკარგები განსაკუთრებით დიდი იყო ავსტრიელების მხარეს. მათ დაკარგეს ჯარის ორი მესამედი, დაახლოებით, ოცდაშვიდი ათასი კაცი, დანარჩენი ოცი ათასი კი, მათ შორის ჩვიდმეტი გენერალი, ტყვედ იქნა აყვანილი. პრუსიელთა დანაკარგები აშკარად ნაკლები იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი: ორას ოცდასამი ოფიცერი და ექვსი ათას ას ორმოცდაცხრამეტი ჯარისკაცი. ლეითენის ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფრიდრიხმა ხელახლა აიღო ბრესლაუ და ჩვიდმეტ ათას ავსტრიელს აიძულა კაპიტულაცია გამოეცხადებინათ. დეკემბრის ბოლოსათვის მთელი სილეზია უკვე პრუსიელთა ხელში იყო.

საერთო ჯამში, ფრიდრიხ II დიდმა და პრუსიელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ავსტრიელებზე, მაგრამ როგორც ძველი წელთაღრიცხვის 216 წელს, კანეს, ან 1914 წელს ტანენბერგის ბრძოლას, ასევე 1757 წელს ლეითენის ბრძოლასაც დიდი როლი არ უთამაშია შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. პრუსიელთა მიერ ლეითენის ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებას სტრატეგიული თვალსაზრისით ნაკლებად გადამწყვეტი მნიშვნე-ლობა ჰქონდა. ამ ბრძოლამ პრუსიელთა კატასტროფა მხოლოდ დროებით შეაჩერა.

ეს ომი კიდევ ექვსი სისხლისმღვრელი წელი გაგრძელდება...

---

[243] ბრძოლის ამ მომენტში გენერალ გეორგ ფონ დრიზენის კავალერიასთან ერთად გენერალ ჰანს ფონ ციტენის ჰუსართა 40 ესკადრონიც ერთვება, რამაც ავსტრიელთა შეტევა შეაჩერა. ამ შეტაკებაში ავსტრიელ დრაგუნთა მეთაური, ლუკჩესი იქნა მოკლული, რამაც საბოლოოდ გატეხა ავსტრიელთა საბრძოლო სულისკვეთება და მათ სასწრაფოდ დაიწყეს უკანდახევა.

ლეოპოლდ ფონ დაუნი
(1705-1766)

კარლ ალექსანდერი
(1712-1780)

ფრანც ფონ ნადაშდი
(1708-1783)

ფრიდრიხ დიდი თავის ოფიცრებთან ერთად ბრძოლის ველის რეკოგნოსცირების დროს.

ფრიდრიხ დიდის რჩეული კავალერია – შავი ჰუსარები

ბრესლაუს ბრძოლა

ლეითენის ველი



FREDERICK THE GREAT ADDRESSES HIS GENERALS BEFORE THE BATTLE OF LEUTHEN

'If any among you fears to share the last danger with me, he may resign now, without hearing a word of reproof from me'

Painting by Arthur Kampf

ფრიდრიხ დიდი თავის გენერლებთან ერთად ლეითენის ბრძოლის წინ

ფრიდრიხი მიმართავს თავის გენერლებს: „...ცოტა ხანში ჩვენ ან დავამარცხებთ მოწინააღმდეგეს, ან ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ!“



Leuthen, 5. Dezember 1757. Der König weist vor dem Angriff die Freikorporale v. Barsewisch und v. Unruh, Infanterie-Regiment 26, der Vorhut Wedells in die Richtung auf den Sagschützer Kiefernberg ein. 93

ფრიდრიხ დიდი ლეითენის ბრძოლის წინ

პრუსიელ ქვეითთა შეტევის დასაწყისი

პრუსიელ გრენადერთა შეტევა ლეითენთან. კარლ როხლინგის ნახატი. 1890 წელი



ბრძოლის I ფაზა (პრუსიელთა მარში)



ბრძოლის II ფაზა (პრუსიელთა ფლანგური მანევრი)



ბრძოლის III ფაზა (პრუსიელთა შეტევა)



ბრძოლის IV ფაზა (ავსტრიელთა უკანდახევა)

პრუსიელთა მე-3 ქვეითი პოლკი შეტევაში.
ლეითენი, 1757 წლის 5 დეკემბერი. კარლ დონის ნახატი

პრუსიელი გენერალ-ლეიტენანტი ფონ ტირონი შეტევაში მიუძღვის კირასირთა მე-7 პოლკს

პრუსიელ ქვეითთა შეტევა ლეითენის ეკლესიასთან. 1757 წლის 5 დეკემბერი. კარლ როხლინგის ნახატი

პრუსიელ გრენადერთა იერიში ლეითენის ეკლესიასთან. 1757 წლის 5 დეკემბერი

„მამაცი კაპიტანი" – მე-15 გვარდიული პოლკის მე-3 ბატალიონის გრენადერების იერიში



ფრიდრიხი და მისი ჯარისკაცები ლეითენის ბრძოლის შემდეგ მღერიან „ახლა ყველამ შევწიროთ მადლობა უფალს“, რომელიც „ლეითენის ქორალის“ სახელითაა ცნობილი

ლეითენის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად 1854 წელს აღმართული მემორიალი, რომელიც დანგრეულ იქნა 1945 წელს

§3.3. „ავსტრიული ცხენი"
(ჰოხკირხი, 1758 წლის 14 ოქტომბერი)

1758 წლის შემოდგომაზე, შვიდწლიანი ომის მიმდინარეობისას, ავსტრიელთა არმიამ, ფელდმარშალ ლეოპოლდ ფონ დაუნის მეთაურობით, პრუსიის მეფე საქსონიაში შეაყოვნა. ამ დროს ავსტრიელთა ორი სხვა კორპუსი ცდილობდა უკან დაებრუნებინა სილეზიის დიდი ნაწილი და დაეკავებინა იქ მდებარე ზამთრის საცხოვრებელი. ფრიდრიხს სურდა ხელი შეეშალა მათთვის ჩანაფიქრის აღსრულებაში და ამიტომ თავისი პატარა ლაშქრით, ოცდაათი ათასი კაცით, სწრაფად მიიწევდა წინ, სილეზიისკენ. 1758 წლის 10 ოქტომბერს ბაუცენის გავლით მან მიაღწია და დაიკავა პატარა, სიგრძეზე გაჭიმული, გორაკზე განლაგებული სოფელი ჰოხკირხი. მაგრამ ავსტრიელი ფელდმარშალი ფონ დაუნი, თავდაცვის სტრატეგიის დიდი ოსტატი, თავისი სამოცდათვრამეტი ათასი ჯარისკაცით უკვე იქ იყო დაბანაკებული და ბრწყინვალე თავდაცვითი პოზიციები ეკავა. მის ჯარს ჰოხკირხის ირგვლივ, ტყით დაფარულ გორაკზე ჰქონდა სანგრები გათხრილი.

ფრიდრიხის გამბედაობა კი, თუ ამას გამბედაობა შეიძლება დავარქვათ, მართლაც გაოცებას იწვევს. რიცხოვნობით სამმაგად აღმატებული არმიისათვის თავის არიდების ნაცვლად, თავისი გენერლების გაფრთხილების მიუხედავად, ფრიდრიხი გადაწყვეტს ჰოხკირხთან, ფაქტიურად ავსტრიელთა საარტილერიო ბატარეების წინ დაბანაკდეს. ასეთი გადაწყვეტილები მიღება ნამდვილად არ შედის ჯარების მართვის არც ერთ სახელმძღვნელოში. მაგრამ ფრიდრიხი იმდენად დარწმუნებულია თავის სიძლიერესა და მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში, რომ არაფრად დაგიდევთ სამხედრო სახელმძღვანელოებსა და სხვათა რჩევებს. ფრიდრიხი თავისი არმიის მცირერიცხოვნობას არაფრად დაგიდევთ. იგი იმაშიც ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ მისი პიროვნული ფაქტორიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ავსტრიელებზე დამთრგუნველად იმოქმედოს და ხელი ააღებინოს დაუნს ბრძოლაზე. ხოლო როცა პრუსიელთა არმიის მთავარმა კვარტერ-მეისტერმა უარი განაცხადა მოწინააღმდეგესთან ასეთ სიახლოვეს ბანაკის გაშლაზე, ფრიდრიხის ბრძანებით იგი დააპატიმრეს. პრუსიელებმა თავისი საველე თავდაცვითი ნაგებობები გორაკის წინ, მდელოზე მოაწყვეს, ბანაკის ორივე მხარეს კი, მძიმე ბატარეები დააყენეს. მარჯვენა ფლანგი კედლით გარშემორტყმული სასაფლაოს მახლობლად გამაგრდა. პრუსიელთა პოზიციები ღია და სახიფათო იყო. იგი მიმდებარე სიმაღლეზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს აშკარა შეტევაზე იწვევდა.

დიდი სტრატეგოსობა არ უნდა იმ ამბავს, რომ პრუსიელთა ასეთი განლაგება აშკარად არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. პრუსიელებს წამგებინი პოზიციები ეკავათ. მათ არ შეეძლოთ დაბლობი ადგილიდან დაენახათ თუ რა ძალას ფლობდნენ და რას აკეთებდნენ ავსტრიელები. ავსტრიელები კი აკონტროლებდნენ სიტუაციას და ზუსტად ხედავდნენ, თუ რა ხდებოდა პრუსიელთა ბანაკში. ფრიდრიხი დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და სჯეროდა, რომ ფელდმარშალი ფონ დაუნი არ გადავიდოდა შეტევაზე. იგი მას კარგად იცნობდა. იცნობდა მის მერყევ, გაუბედავ ხასიათს და არც აპირებდა თავისი ოფიცრების რჩევების მიუხედავად, წინასწარ შექმნილი აზრის შეცვლას. მაგრამ ამჯერად პრუსიის მეფე ცდებოდა.[244]

ფრიდრიხმა ჯარის კარვებში დასვენება ბრძანა. შეშფოთება პრუსიელთა მთელ სამეთაურო შემადგენლობას ეტყობოდა. „თუ ასეთ ვითარებაში ავსტრიელები ჩვენს შეწუხებას არ შეეცდებიან, – უთხრა სასოწარკვეთილმა ფელდმარშალმა კეიტმა[245] მას, –

---

[244] ფელდმარშალ ლეოპოლდ ფონ დაუნის შტაბის უფროსი, ფრანც მორის ლასი, სწორად აფასებდა შექმნილ ვითარებას. იგი დაჟინებით მოუწოდებდა მეთაურს ესარგებლად თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობით, პრუსიელთა მიერ დაკავებული არახელსაყრელი პოზიციებით და შეტევა მიეტანა მათზე.

[245] ჯეიმს ფრენსის ედუარდ კეიტი (ინგლ. James Francis Edward Keith) (1696-1758წ.წ.) – შოტლანდიელი არისტოკრატი, რუსული არმიის გენერალ-ანშეფი და პრუსიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. ტრადიციის მიხედვით ითვლება რუსული მასონური ლოჟის შემქმნელად. შვიდწლიანი ომის პერიოდში ფრიდრიხ II-ის

მაშინ ისინი ჩამოხრჩობას იმსახურებენ.“ – „იმედი ვიქონიოთ, რომ საკუთარ თავს არ უღალატებენ და არ შეგვაწუხებენ – თავდაჯერებით უპასუხა მეფემ, – რადგან დაუნს და მის ხასიათს კარგად ვიცნობ, ხოლო ავსტრიელებს უფრო მეტად ეშინიათ ჩვენი, ვიდრე სახრჩობელისა.“ საქმე იმაშია, რომ ფრიდრიხი ენდობოდა მოსყიდული ავსტრიელი ოფიცრისგან მოწოდებულ ინფორმაციას და სჯეროდა, რომ ამ ჯაშუშისგან ყველაფერს გაიგებდა, რაც მოწინააღმდეგის ბანკში ხდებოდა. პრუსიელები წერილების გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლისათვის კვერცხებით სავსე კალათს იყენებდნენ, რომელშიც ყოველთვის იდო ჯაშუშისგან მოწოდებული შეტყობინება. ავსტრიელებს კვერცხები საკუთარ სამზარეულოში შეჰქონდათ. მოხდა ისე, რომ მათ ჯაშუში დაიჭირეს და საიდუმლო შეტყობინებებიც აღმოაჩინეს. ჯაშუშს სიცოცხლე აჩუქეს იმ პირობით, თუ იგი პრუსიის მეფე ფრიდრიხს იმას მისწერდა, რასაც მას ფონ დაუნი უკარნახებდა. ამგვარად, ორმაგი აგენტურული თამაშები დაიწყო. ფრიდრიხი რამდენიმე დღის განმავლობაში იღებდა ცრუ შეტყობინებებს ავსტრიელთა ქვედანაყოფების ბოჰემიისკენ უკანდახევის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ფონ დაუნი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ფრიდრიხი შეცდომაში შეეყვანა. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ტაქტიკამ გაამართლა, ფელდმარშალ დაუნს ეს გამოუვიდა. იმ დროს, როცა პრუსიელები ფიქრობდნენ, რომ მოწინააღმდეგე სიმღერითა და ხმაურით ჭრიდა ხეებს მთის ტყიან ფერდობზე, რათა ისინი საფრად გამოეყენებინა, ამ ხნის განმავლობაში ფონ დაუნი ჯართან ერთად ფრთხილად მიიკვლევდა გზას ხეობაში ჩასასვლელად.

1758 წლის 13 ოქტომბერს, შებინდებისას, ავსტრიელთა ოცდათხუთმეტმა ბატალიონმა და ექვსმა საკავალერიო პოლკმა ოთხ კოლონად დაიწყო სვლა – ისინი ჩუმად და ფრთხილად მიემართებოდნენ პრუსიელთა ბანაკისკენ, რაშიც ხელს უწყობდა ახალი მთვარე და უღრუბლო ცა. ხმაურის ასაცილებლად ავსტრიელებს ცხენების ფლოქვებზე ნაჭრები, ხოლო ტრანსპორტის ბორბლებზე ჩალა შემოეხვიათ. პრუსიელთა ბანაკში კი, სიმშვიდეს დაესადგურებინა. ყველაფერი ძველებურად იყო, კვლავ ენთო კოცონი და ჩვეულებრივად ისმოდა ბუკის ხმა. პრუსიელი ჯარისკაცები უზრუნველად ისვენებდნენ. ღრმა ძილს მოეცვა მთელი ბანაკი.

როგორც წესი, სუსტი და მცირერიცხოვანი ძალები ომში უკანასკნელ საშუალებას იყენებენ, რათა თავი აარიდონ რთულ, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში უიმედო ბრძოლას. ეს უკანასკნელი საშუალება ეშმაკობა და სამხედრო ხრიკია. ამის წყალობით სძლია ბიბლიურმა დავითმა გოლიათს და ბერძნებმაც გაიმარჯვეს ტროაში ოდისევსის მიერ გამოგონილი და საჩუქრად შეგზავნილი ხის ცხენის წყალობით. სულ ცოტა ხნის წინ კი, თვით ფრიდრიხ დიდმა გამოიყენა სამხედრო ხრიკი ლეითენის ბრძოლისას. მაგრამ ახლა სხვა სურათია. ახლა თავად ფრიდრიხი ებმება მახეში. მჯერად ფონ დაუნი მიმართავს სამხედრო ხრიკს, მიუხედავად იმისა, რომ ჰოხკირხთან ძალთა ბალანსი მოწინააღმდეგის მხარეზე არ არის. ავსტრიელთა უპირატესობა აშკარაა, ისინი რიცხობრივად სამჯერ აღემატებიან პრუსიელებს, მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. ავსტრიელ ფელდმარშალს უჩნდება იდეა, რომ თავისი ჯარიდან ორასი კაცი მოსაჩვენებლად დეზერტირებად გაასაღოს და პრუსიელთა ბანაკში შეაგზავნოს – ესეც „ავსტრიული ტროას ცხენი”. შებინდებისას ორასი ავსტრიელი ჯარისკაცი, უმეტესად ხორვატი, ჰოხკირხის ჭიშკართან დგას და შეშვებას ითხოვს. აქ ახალი არაფერია. იმ დროისთვის ევროპულ არმიებში დეზერტირობა ჩვეულებრივი ამბავი იყო და პრუსიელი გუშაგებიც მოტყუვდნენ. ისინი არ გააკვირვა ავსტრიელი ჯარისკაცების დიდი ჯგუფის დანახვამ, რომლებიც ერთად გამოჩნდნენ, ხელები ასწიეს და დანებდნენ. მათ ეჭვიც არ აუღიათ და ტროელებივით ხაფანგში გაებნენ. ჯარისკაცული ღირსების, სათანადო

თანამებრძოლი და მისი ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი. ფრიდრიხი დიდად აფასებდა ფელდმარშალ კეიტს და მას თავის ერთ-ერთ საუკეთესო მხედართმთავრად თვლიდა. ფელდმარშალმა კეიტმა თავი გამოიჩინა ლობოზიცისა და ბოჰემიის ბრძოლებში, ხელმძღვანელობდა პრაღის და მოგვიანებით ოლმუცის ალყას, მონაწილეობდა როსბახის ბრძოლაში.

შეიარაღებისა და სამხედრო ხელოვნებაში მათი მეფის გენიალურობის რწმენით, მათ საკუთარ ბანაკში შეუშვეს „დეზერტირები". რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო. პრუსიელებმა თითქოს გაჩხრიკეს კიდეც „დეზერტირები", შეამოწმეს, მაგრამ ძალიან მალე უყურადღებოდ მიატოვეს ისინი. ეს პრუსიელთა მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომაა, რომელიც მალე მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ.

ფელდმარშალ ფონ დაუნის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, გამთენიისას, როცა ჰოხკირხის კოშკის საათმა ხუთჯერ დარეკა, ავსტრიელებმა დამალული იარაღი ამოიღეს და თავს დაესხნენ კარვებში მძინარე პრუსიელ ჯარისკაცებს[246]. ისინი აღებდნენ კარებს და პრუსიელებს პოსტებზე ესროდნენ. იმავდროულად ჰოხკირხზე იწყება ავსტრიელთა საერთო შეტევა. შეტევის ავანგარდში ავსტრიელი გრენადერები არინ. ყველაფერი ფელდმარშალ ფონ დაუნის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სრულიად გაოგნებული პრუსიელები დაბნეულები არიან. ისინი ხელში იღებენ იარაღს, აქეთ-იქით დარბიან და უთავბოლოდ ისვრიან. პრუსიელთა უმეტესობა ყოველგვარი მომზადების გარეშე ებმება ბრძოლაში. ისინი ჩექმების, ზურგჩანთებისა და საბრძოლო აღჭურვილობის გარეშე არიან, მაგრამ მაინც მამაცურად დგანან. ბევრი მათგანი კი, ჩაცმასაც ვერ ასწრებს, ისე ებმება ბრძოლაში. იწყება სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა. ჯერ კიდევ სიბნელეა, შეუძლებელია მტრისა და მოყვრის გარჩევა. მხოლოდ ავსტრიელთა დათვის ტყავის ქუდები და პრუსიელების პატარა ჩაჩები იძლევა მტერ-მოყვარის ოდნავ გარჩევის საშუალებას. ჰოხკირხის წინ განლაგებული პრუსიული ზარბაზნები, რომლებსაც პრუსიელთა მარჯვენა ფლანგი უნდა დაეცვა, ავსტრიელებმა ჩაიგდეს ხელში, ზარბაზნები პრუსიელებისკენ შემოაბრუნეს და ცეცხლი გახსნეს. მომაკვდინებელი შრაპნელი მუსრს ავლებს პრუსიელებს.[247]

პრუსიის მეფე ზარბაზნების სროლის ხმამ გამოაღვიძა. მისი კარავი ბანაკის ცენტრში, როდევიცთან იყო გაშლილი. ფრიდრიხი იმდენად დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, რომ სრულიად გაოგნებულია და ისევ არ სჯერა რაც მის თავს ტრიალებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფონ დაუნი ვერ გაბედავდა მათ ბანაკზე თავდასხმას. მაგრამ რეალობა სულ სხვაა და მალე ფრიდრიხისთვისაც ყველაფერი ნათელი ხდება. მეფე სწრაფად ჯდება ცხენზე და რამდენიმე ქვედანაყოფს აგზავნის ჰოხკირხში, საფრთხის ქვეშ მყოფ მარჯვენა ფლანგზე. აქ სრული ქაოსი სუფევს და პრუსიელთა ჯარი, როგორც ორგანიზებული სამხედრო შენაერთი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ მაიორ ზიგმუნდ ფონ ლანგენის ქვეითთა მე-19 პოლკი იკავებს ხელსაყრელ თავდაცვით პოზიციებს ეკლესიის კედლის უკან, სასაფლაოსთან, და დიდი გაჭირვებით იგერიებს ტალღებად წამოსულ ავსტრიელთა გაუთავებელ შეტევებს.

ცეცხლმოდებული სოფელი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული და ბრძოლაც უნდა გაგრძელდეს. პრუსიელთა ერთი ბატალიონი ბაღშია გამაგრებული, ხოლო მეორეს სასაფლაო უკავია. ფელდმარშალი კეიტი რამდენიმე ქვედანაყოფით ჰოხკირხისკენ მიიწევს და გააფთრებული ბრძოლით იბრუნებს ბატარეას. მაგრამ იგი ალყაში ხვდება და გმირულად იღუპება.[248] პრუსიელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ფელდმარშალ

---

[246] წელიწადის ამ დროს ევროპის შუა სარტყელში განთიადი 7 საათიდან დგება. ასე რომ, ავსტრიელთა თავდასხმის მომენტში, დილის 5 საათისათვის, ჰოხკირხში ჯერ კიდევ სრული სიბნელე იყო და დაბანაკებულ პრუსიელთა ჯარსაც მშვიდად ეძინა.

[247] ჰოხკირხში უწყვეტ ნაკადად შედიოდნენ პრუსიელთა ქვედანაყოფები, მაგრამ ჭარბი ძალები სოფლის ვიწრო ქუჩებსა და ორღობეებში უფრო მეტ ჭყლეტასა და აურზაურს იწვევდა. პრუსიელ ჯარისკაცთა მკვრივი მასები ავსტრიელთა არტილერიისათვის მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდა, რომელიც დაუნდობლად ცელავდა ფრიდრიხის ჯარს. თვითმხილველთა გადმოცემით, პრუსიელთა ცოცხალი ძალის კონცენტრაცია იმდენად მაღალი იყო, რომ შეზღუდულ სივრცეში კარტეჩით მოკლული ჯარისკაცები ვერ ეცემოდნენ და ფეხზე მდგარნი რჩებოდნენ. ხოლო ბინდბუნდი და დენთის მკვრივი კვამლი ხილვადობას რამდენიმე მეტრამდე ზღუდავდა.

[248] ფელდმარშალი ჯეიმს კეიტი სამხედრო პატივისა და დიდების მთელი ცერემონიალის დაცვით იქნა ავსტრიელთა მიერ დაკრძალული. ამ ოფიციალურ ცერემონიალს პირადად ფრანც მორის ლასი, ავსტრიელთა ჯარის სარდლის, ფელდმარშალ ფონ დაუნის შტაბის უფროსი ხელმძღვანელობდა. იგი კარგად იცნობდა ფელდმარშალ კეიტს, რომელიც მამამისის მეგობარი იყო.

კეიტთან ერთად სასიკვდილოდ დაიჭრა ასევე ბრაუნშვაიგის პრინცი ფრანცი და გრაფი მორის ანჰალტ-დესაუელი[249], მათთან ერთად – მარჯვენა და მარცხენა ფლანგის ქვეითი პოლკის ორი მეთაური.[250] პრუსიელთა კავალერიის თავგანწირულ თავდასხმას მარცხენა ფლანგზე, სოფლის დასავლეთით, გენერალ ციტენის[251] სარდლობით, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ბრძოლის ველზე დაეცა ასევე ფონ კროკოვი, კირასირებისა და კარაბინერების[252] მეთაური. თავად ფრიდრიხი თავგნწირვით იბრძვის და სწრაფად გადაადგილდება ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით. შემოკრებილი ქვედანაყოფებით ცდილობს ამა თუ იმ უბანზე პრუსიელთა გარღვეული პოზიციების აღდგენას. იგი კონტრშეტევის წამოწყებას არ აპირებს, რადგან მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ფრიდრიხი თავს არ ზოგავს და ცდილობს გადაარჩინოს მხოლოდ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ არის შესაძლებლი. გააფთრებულ ბრძოლაში ფრიდრიხს ცხენსაც უკლავენ და თავადაც ძლივს გადაურჩება სიკვდილს, მაგრამ ბრძოლის გადარჩენის ყველა მცდელობა უშედეგოდ სრულდება, უპირატესობა აშკარად ავსტრიელთა მხარესაა.

მიუხედავად იმისა, რომ პრუსიელთა ქვეითი ჯარის მე-19 პოლკს, მაიორ ფონ ლანგენის[253] მეთაურობით, სასაფლაოს პოზიციები ბოლომდე ეკავა, ეს საერთო სურათს არ ცვლის. თავგანწირულ ბრძოლაში პოლკის მთელი პირადი შემადგენლობა იღუპება, და ბოლოს და ბოლოს, პრუსიელებიც ემორჩილებიან აღმატებულ ძალას – დილის 8 საათსა და 30 წუთზე ბრძოლა სრულდება. ფრიდრიხი და მისი ჯარის გადარჩენილი ნაწილი დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებს ავსტრიელთა ალყის გარღვევას და სოფლიდან

---

249 აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. გრაფი მორის ანჰალტ-დესაუელი ამ ბრძოლაში არ მოუკლავთ. იგი მხოლოდ მძიმედ დაიჭრა.

250 ამ ბრძოლაში უმძიმესი დანაკარგები განიცადა პრუსიელთა ჯარის უმაღლესმა სამეთაურო შემადგენლობამ. ზარბაზნის ყუმბარის პირდაპირმა მოხვედრებამ თავი წააგლიჯა პრინც ფრანც ბრაუნშვაიგელს, მეფის უმცროს ცოლისძმას. მისი გაგიჟებული ცხენი კიდევ დიდხანს დარბოდა აწყვეტილი ბრძოლის ველზე. დაჭრილი ტყვედ ჩავარდა პრუსიელთა ყველაზე პოპულარული მხედართმთავარი, გრაფი მორის ანჰალტ-დესაუელი. გრაფი აღარასოდეს დაუბრუნდება თავის ჯარს, რადგან ოფიცრის პატიოსანი სიტყვით გათავისუფლებული და პრუსიაში სამკურნალოდ გაშვებული, მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა 1760 წელს.

251 ჰანს იოაჰიმ ფონ ციტენი (გერმ. Hans Joachim von Zieten) (1699-1786წ.წ.) – ფრიდრიხის ეპოქის ცნობილი პრუსიელი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი. სილეზიური ომებისა და შვიდწლიანი ომის აქტიური მონაწილე. ცხოვრების განმავლობაში არავითარი განათლება არ მიუღია და სამსახური პირდაპირ პრუსიული ჯარის ქვეით პოლკში დაიწყო, სადაც ავადმყოფური აღნაგობისა და სუსტი ხმის გამო მხოლოდ პორუჩიკის ჩინამდე მიაღწია. მისი სამხედრო კარიერული წინსვლა პირველი სილეზიური ომის დაწყებას უკავშირდება. საკავალერიო ესკადრონის მეთაურის როლში, მან რამდენჯერმე სამაგალითო გმირობისა და მამაცობის მაგალითი აჩვენა, რაც ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ზემდგომი მეთაურებისათვის. 1741 წელს ინიშნება ჰუსართა პოლკის მეთაურად, რომელიც მალე სამაგალითო ნაწილად იქცა მთელს პრუსიაში. ციტენის ჰუსარები ყოველთვის შეტევის ავანგარდში იყვნენ და თავისი გაბედული საბრძოლო რეიდებით ხშირად ვენამდეც კი აღწევდნენ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1757 წელს წარმოებულ ბრძოლებში. 5 მაისს „შავი არწივის" ორდენით დააჯილდოვეს, კოლინთან გამართულ ბრძოლაში კი, მძიმედ დაიჭრა თავში. შემდგომ წლებშიც ციტენმა და მასთან ერთად ბარონმა ფრიდრიხ ზაიდლიცმა გამარჯვებების დიდებით აღავსეს პრუსიის მეფის კავალერია. 1760 წელს ლეგნიცასთან გამართულ ბრძოლაში ციტენმა ისეთი უმაგალითო გმირობა ჩაიდინა, რომ იქვე, ბრძოლის ველზე ფრიდრიხ II დიდმა მას პირდაპირ კავალერიის გენერლის სამხედრო წოდება მიანიჭა. შვიდწლიანი ომის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში ციტენი უშრეტი ენერგიით აწარმოებდა ბრძოლებს და მეფის არყოფნის შემთხვევაშიც ყოველთვის წარმატებით სარდლობდა პრუსიელთა ჯარს. ამავე დროს, მეფის ურყევი ნდობით სარგებლობდა და როგორც არავის, მხოლოდ მას შეეძლო ფრიდრიხის გამხნევება მაშინ, როდესაც იგი ნერვულ სტრესში ვარდებოდა და სულიერად ეცემოდა.

252 კარაბინერები (ესპ. Carabiniers) – თავდაპირველად ესპანეთის ჯარში კარაბინებით (დამოკლებული თოფებით) შეიარაღებული რჩეული ქვეითი და ცხენოსანი ქვედანაყოფები. მოგვიანებით კრაბინერებად იწოდებოდნენ გაწაფულ მსროლელთა რაზმები, უმეტესად ქვეითები. პრუსიის არმიაში კარაბინერებად იწოდებოდა ღირსეული და გამორჩეულად კარგად მსროლელი ჩუბინი ჯარისკაცები. პრუსიელთა ცხენოსანი ჯარის თვითოეულ ესკადრონში 10 რჩეული კარაბინერი ირიცხებოდა.

253 ზიგმუნდ მორის ვილიამ ფონ ლანგენი (გერმ. Siegmund Moritz William von Langen) (1706-1758წ.წ.) – პრუსიელი ოფიცერი, ჰოხკირხის ბრძოლის გმირი. სამხედრო სამსახურში შევიდა 18 წლის ასაკში. 1736 წლიდან ლეიტენანტია. მონაწილეობდა სილეზიური ომების ლეითენისა და ჰოხკირხის ბრძოლებში. ლეითენის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა. ჰოხკირხის ბრძოლაში მეთაურობდა ქვეით პოლკს, რომლის თავგანწირულმა ბრძოლამ უზრუნველყო პრუსიელთა ძირითადი ძალების უკანდახევა. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და ტყვედ იქნა აყვანილი ავსტრიელების მიერ, თუმცა თერთმეტჭრილობამიღებული მაიორი 7 დღეში, 1758 წლის 21 ოქტომბერს გარდაიცვალა. გმირი მაიორი ავსტრიელების მიერ სრული სამხედრო პატივით იქნა დაკრძალული ბაუცენში.

გამოსვლას. ფრიდრიხი მარცხდება, ფელდმარშალი ფონ დაუნი კი, იმარჯვებს. ჰოხკირხი ავსტრიელების ხელშია. ფრიდრიხი უკან იხევს დამარცხებული ჯარის დარჩენილ ნაწილთან ერთად. იგი დებერიცესთან ბანაკდება. პრუსიელთა ახალი ბანაკი ავსტრიელ-თათვის მიუწვდომელია. მხოლოდ აქ ხდება შესაძლებელი სულის მოთქმა და გადატანილი ბრძოლის შედეგების შეფასება. ფრიდრიხი დათრგუნულია, რადგან პრუსიელთა საბრძოლო დანაკარგები ძალიან დიდია. მათ დაახლოებით ცხრა ათასი ჯარისკაცი, ხუთი საუკეთესო გენერალი, ასევე ასერთი ქვემეხი, ოცდარვა დროშა, მთელი აღალი და კარვები დაკარგეს.

მიუხედავად პრუსიელთა მიერ განცდილი ასეთი გამანადგურებელი მარცხისა, ფელდმარშალი ფონ დაუნი არ სარგებლობს მიღწეული გამარჯვებით და ბოლომდე არ ასრულებს მას. იგი პრუსიელებს არ სდევს გასანადგურებლად.[254] ესეც დიდი შეცდომაა, ამჯერად ავსტრიელების მიერ დაშვებული. მართალია მათი დანაკარგებიც საგრძნობია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც პრუსიელებისა.[255]

ფრიდრიხი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ყველაფერთან ერთად, ჰოხკირხთან განცდილ მარცხს, საყვარელი დის, ვილჰელმინას სიკვდილის შესახებ შეტყობინებაც ემატება, რომელიც ზუსტად ამ დღეს, 1758 წლის 14 ოქტომბერს იღუპება. პრუსიის დიდი მეფე, ფრიდრიხ II სამართლიანად ფიქრობდა, რომ ჰოხკირხთან განცდილი ეს მძიმე მარცხი მისი ბრალი იყო. მისმა უდარდელობამ, სიჯიუტემ და თავდაჯერე-ბულობამ, ასევე ქარაფშუტობით ჩადენილმა შეცდომებმა გამოიწვიეს ეს საშინელი სისხლისღვრა და შეიწირა მისი რჩეული მებრძოლების სიცოცხლე.[256]

საბოლოოდ, შვიდწლიანი ომი 1763 წელს დასრულდება.[257]

---

[254] ამ ბრძოლაში ფრიდრიხ II დიდმა კოლინის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ ცხოვრებაში მეორე დიდი მარცხი განიცადა. მისდა საბედნიეროდ, ავსტრიელებმა არ გამოიყენეს ეს წარმატება და არ სდიეს ფიზიკურად და მორალურად გატეხილ მოწინააღმდეგეს. ამის გამო, ავსტრიელთა მიერ პრუსიელებზე ჰოხკირხთან მოპოვებული გამარჯვება სილეზიური კამპანიის იზოლირებულ ეპიზოდად დარჩა და შვიდწლიანი ომის შემდგომ მსვლელობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

[255] ავსტრიელთა საბრძოლო დანაკარგები მთელი პირადი შემადგენლობის დაახლოებით 3%-ს შეადგენდა. ავსტრიელი ისტორიკოსის, გასტონ ბოდარტის აზრით, ჰოხკირხის ბრძოლაში ავსტრიელთა უფრო მცირე ძალები იღებდნენ მონაწილეობას, ვიდრე ამას თანამედროვე ავტორები აღნიშნავენ. ბოდარტის მიხედვით, ავსტრიელთა რაოდენობა 60 ათასი იყო, დანაკარგები კი – 5400 ჯარისკაცი, რაც 9%-ს შეადგენდა. დაჭრილების, დეზერტირებისა და ტყვეების სახით ავსტრიელთა დანაკარგები 2300 კაცი, ანუ, მთელი პირადი შემადგენლობის 3,6% იყო. მათ დანაკარგს აგრეთვე სამი შტანდარტი შეადგენდა.

[256] ჰოხკირხთან მარცხის შემდეგ ფრიდრიხმა თავის უმცროს ძმას, პრაღის ბრძოლის გმირს და უკვე გამოჩენილ მხედართმთავარს, პრინც ჰაინრიხს მიმართა დახმარებისთვის. 20 ოქტომბერს ქვეითთა რვა ბატალიონითა და ჰუსართა ხუთი ესკადრონით ჰაინრიხი დებერიცეში ჩამოდის. დარწმუნდა რა იმაში, რომ ჰოხკირხთან გამარჯვების შემდეგ ფელდმარშალი ფონ დაუნი ისევ მისთვის ჩვეულ ლეთარგიაში ჩავარდა, ფრიდრიხი მთელი ძალებით სასწრაფოდ უკან, სილეზიაში ბრუნდება, სადაც ავსტრიელი გენერლის, ფონ ჰარშის ოციათასიან შენაერთს ნაისეს ციხესიმაგრე ჰყავდა ალყაში მოქცეული. ამ მომენტისათვის ფონ დაუნი დრეზდენისაკენ მიემართება, ასე რომ, პრუსიელთა და ავსტრიელთა ჯარები საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილდებოდნენ და სულ უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს. ფრიდრიხის მოახლოების ცნობის მიღებისთანავე ავსტრიელები სასწრაფოდ ხსნიან ალყას ნაისეს და უკან, მორავიისკენ იხევენ. ფრიდრიხი მიმართულებას იცვლის და დრეზდენის გარნიზონის დასახმარებლად ისევ საქსონიაში შედის. გზად პრუსიელთა ჯარი ჰოხკირხთან გადის, სადაც ყველაფერი ისევ პრუსიელთა მიერ გადახდილ უმძიმეს ბრძოლასა და დანაკარგებზე მიუთითებს. ფრიდრიხის ასეთმა სწრაფმა რეაგირებამ და მარშმა საგონებელში ჩააგდო ავსტრიელთა სარდლობა. ამჯერად, ფელდმარშალი ფონ დაუნი, რომელმაც ჰოხკირხთან გამართულ ბრძოლაში პრუსიელთა ჯარის სრული განადგურების შანსი გაუშვა ხელიდან, ვეღარ ბედავს მიიღოს ბრძოლა. იგი ალყას ხსნის დრეზდენს და თავისი ჯარები უკან, ბოჰემიაში გადაჰყავს. ასევე უშედეგოდ სრულდება ავსტრიელთა მიერ ლაიფციგისა და ტორგაუს აღების მცდელობები. საერთო ჯამში, 1758 წლის კამპანია პრუსიელებისათვის წარმატებით სრულდება, თუ არ ჩავთვლით ჰოხკირხთან განცდილ მძიმე მარცხს, რამაც პრუსიელთა ჯარს და მის სამეთაურო ელიტას აუნაზღაურებელი დანაკარგები მიაყენა.

[257] შვიდწლიანმა ომმა დაასუსტა დასავლეთ ევროპა, განსაკუთრებით პრუსია და ავსტრია. მოგება ნახა ბრიტანეთმა, რომელმაც საფრანგეთის ოკეანისგაღმა კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიგდო ხელში. პრუსიამ შეინარჩუნა სილეზიის სამრეწველო რაიონი, რამაც შეავსო მისი ტერიტორია და ბაზა შექმნა პრუსიული არმიის შემდგომი განვითარებისთვის. შენარჩუნებულ იქნა გერმანული მიწების დაქუცმაცებულობა, რაც ხელს აძლევდა პრუსიის მზარდ მილიტარიზმს. ომმა ვერ შეანელა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები, პირიქით, უფრო გააღრმავა ისინი. საფრანგეთის არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა, რამაც ბოლომდე მოშალა მისი ბრძოლისუნარიანობა. იგივე დაემართა ავსტრიასაც.

ჯეიმს ფრენსის კეიტი
(1696-1758)

მორის ანჰალტ-დესაუელი
(1712-1760)

ჰანს იოაჰიმ ფონ ციტენი
(1699-1786)

ჰოხკირხი (1920-ინი წლებში გამოშვებული საფოსტო ბარათი)

ჰოხკირხის პანორამული ხედი. დღეს, რა თქმა უნდა, ჰოხკირხი გაცილებით დიდია, ვიდრე იგი 1758 წელს იყო, მაგრამ ეკლესიის შენობა და სოფლის ცენტრალური ნაწილი იგივეა

112 **Hochkirch, 14. Oktober 1758.** *Das II. Infanterie-Regiment Markgraf Karl (Infanterie-Regiment Nr. 19) unter Major v. Lange verteidigte beim Überfall von Hochkirch den Friedhof stundenlang gegen alle Übermacht, ohne sich zu ergeben. Die Letzten brachen mit gefälltem Bajonett aus dem Tor.*

პრუსიელი ინჟინერი **პრუსიელი ეგერი**

ადოლფ მენზელის ნახატები სერიიდან: ფრიდრიხ დიდის არმია უნიფორმებში



ჰოხკირხის ბრძოლის სქემა ჯონ ფოუკის მიხედვით. 1758 წლის 14 ოქტომბერი

ჰოხკირხის ბრძოლა. ბრძოლის მონაწილის, ჯიაკინტ დე ლა პენიას ნახატი

ჰოხკირხის ბრძოლა. იოჰან ქრისტოფ ბრანდის ნახატი.
ვენის სამხედრო ისტორიის მუზეუმი



ჰოხკირხის ბრძოლა. კარლ როხლინგის ნახატი

ფელდმარშალ ჯეიმს კეიტის სასიკვდილოდ დაჭრა ჰოხკირხის ბრძოლაში.
1758 წლის 14 ოქტომბერი

ფრიდრიხ დიდი ჰოხკირხის ბრძოლაში. ადოლფ მენზელის ნახატი



ფრიდრიხ დიდი და ჰოხკირხის ბრძოლაში დამარცხებული მისი არმია.
კარლ როხლინგის ნახატი

ფრიდრიხი ჰოხკირხის ბრძოლის შემდეგ

მაიორ ზიგმუნდ ფონ ლანგენის პოლკის ჯარისკაცთა მემორიალი ჰოხკირხში

ჯეიმს კეიტის მემორიალი ჰოხკირხში

§3.4. ციხესიმაგრის მითი (კოლბერგი – 1758, 1760, 1807, 1945 წლები)

ფედერაციულ რესპუბლიკაში[258] არავინ იცის პომერანიის უძველესი ადგილის, კოლბერგის (დღევანდელი კოლობჟეგი პოლონეთში) შესახებ. ეს არის შტეტინსა და დანციგს შორის მდებარე საპორტო ქალაქი – ბალტიის სანაპიროზე მარილიანი აბაზანებით ცნობილი საზღვაო კურორტი. ამ სახელწოდებამ სათანადო ადგილი დაიკავა სამხედრო ისტორიაში მრავალი ალყისა და ამ ბრძოლებთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების გამო.

კოლბერგმა ქალაქის სტატუსი 1255 წელს მიიღო და მიწაყრილებითა და ტრანშეებით გამაგრებული, მარილის მოპოვებითა და საზღვაო ვაჭრობით ბალტიის ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა დანციგსა და შტეტინს შორის. შვედეთის მიერ პომერანიის ოცწლიანი ოკუპაციის შემდეგ,[259] 1653 წელს, ქალაქი ბრანდენბურგის მიწას ხვდა წილად. 1675 წლიდან ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტი[260] კოლბერგს ქვეყნის ერთადერთ სამხედრო პორტად გარდაქმნის.

შვიდწლიანი ომის მსვლელობისას, 1758 წელს, ოცდათოთხმეტათასკაციანი რუსული არმია აღმოსავლეთ პრუსიაში იჭრება და კენიგსბერგს იკავებს. პრუსიელებს კი, დაზამთრებამდე იარაღისა და საბრძოლო მასალების განსათავსებელი ადგილის მოსაპოვებლად სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ კოლბერგის დაკავება.

ფრიდრიხი დიდად განაცვიფრა რუსების ასეთმა მოულოდნელმა თავდასხმამ. მოვლენების ასეთ განვითარებას და რუსების ასეთ გაბედულ მოქმედებას იგი არ ელოდა. არადა, სხვა მიმართულებაზე გადასაყვანად, რუსების თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე მან ციხესიმაგრის გარნიზონიდან ოთხი ათასი ჯარისკაცი მოხსნა და საველე არმიას მიამაგრა. ციხესიმაგრიდან გამოიყვანა აგრეთვე მთელი კავალერიაც. ამრიგად, ამ მომენტისათვის კოლბერგში სულ შვიდასი კაცი იმყოფებოდა, აქედან ასოცი – დატყვევებული საქსონელი. განსაკუთრებით ცუდად იყო არტილერიის საქმე. ასოცდაათ ზარბაზანსა და თოთხმეტ მორტირას მხოლოდ თხუთმეტი არტილერისტი ემსახურებოდა.

ამ მომენტისათვის კოლბერგის გარნიზონს ორმოცდათხუთმეტი წლის მაიორი სიგიზმუნდ ფონ დერ ჰაიდე მეთაურობდა. ფრიდრიხი მას აღარ წყალობდა და ფრონტისთვის გამოუსადეგარად თვლიდა. მაიორი ფონ დერ ჰაიდე სწორედ ამის გამო დანიშნეს ამ პოსტზე. ამ დანიშვნით შეიძლება ითქვას, რომ მისი აქტიური სამხედრო კარიერა დასრულებული იყო.

თითქმის რვა ათასი რუსის კოლბერგში შეჭრისას ფონ დერ ჰაიდეს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, იგი მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა. მან სასწრაფოდ ბრძანა ციხესიმაგრის ირგვლივ თხრილისა და ღობის შემოვლება, მაგრამ ქალაქის ხუთი ათასი მცხოვრებიდან არავის სჯეროდა, რომ სიხესიმაგრე ალყას გაუძლებდა. როცა მთავრობამ 1758 წლის სექტემბერში კოლბერგიდან შტეტინში ფქვილის დიდი მარაგის გადატანა ბრძანა, ეს ყველამ იმის ნიშნად ჩათვალა, რომ მთავრობა დანებდა და ქალაქი დაკარგული იყო. 3 ოქტომბერს რუსების მხრიდან დაიწყო ხუთდღიანი საარტილერიო დაბომბვა, რამაც მხოლოდ მცირედი ზიანი მიაყენა ქალაქს. ხანძარი ადვილად ჩააქრეს. ქალაქის ცნობილი

---

258 აქ იგულისხმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

259 შვედებმა პომერანიის ოკუპაცია ოცდაათწლიანი ომის მსვლელობისას მოახდინეს და ფაქტიურად ბალტიის ზღვა შვედეთის შიდა ზღვად აქციეს.

260 კურფიურსტი (გერმ. Kurfürst. სიტყვასიტყვით – „ამომრჩეველი თავადი") – საღვთო რომის იმპერიაში განსაკუთრებული სტატუსის საიმპერიო თავადური ტიტული. ამ ტიტულის მფლობელი დიდებულები იმპერატორის არჩევის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. „უხსოვარი დროიდან" მოქმედი კურფიურსტების ეს უფლება მიღებულ იქნა რაიხსტაგის მიერ, რომელიც დაამტკიცა იმპერატორმა კარლოს IV-მ 1356 წელს. ლათინურ ენაზე შედგენილმა ამ საკანონმდებლო აქტმა „ოქროს ბულის" სახელწოდება მიიღო. კურფიურსტის მაღალ სტატუსს საღვთო რომის იმპერიაში შვიდი დიდებული ფლობდა. ესენი იყვნენ: მაინცის, ტრირის და კიოლნის არქიეპისკოპოსები, ბოჰემიის მეფე, რაინის გრაფი, საქსონიის ჰერცოგი და ბრანდენბურგის მარკგრაფი.

პირები და მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი თანახმანი იყვნენ ქალაქის უბრძოლველად გადაცემაზე, რადგან თვლიდნენ, რომ მდგომარეობა უიმედო იყო. მაგრამ ფონ დერ ჰაიდე ამაზე უარს აცხადებდა.

რუსები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ადვილად შეძლებდნენ ქალაქის სწრაფად აღებას.[261] ქვემეხების ძლიერი ზათქის შემდეგ, 1758 წლის 21-22 ოქტომბრის ღამეს ისინი შეტევაზე გადავიდნენ. მაგრამ უეცრად ქარი იცვლის მიმართულებას, რის გამოც კვამლი და ლულის ალი რუსებს სახეში ხვდება. პრუსიელთა სნაიპერებისა და კარტეჩისთვის ისინი ისევე ადვილი შესამჩნევები არიან, როგორც ტრანსპარანტი კედელზე. რუსები დიდი დანაკარგის გამო იძულებულები ხდებიან უკან დაიხიონ. გარდა ამისა, საბრძოლო მასალაც ცოტა აქვთ – თვის ბოლოს რუსებმა კეგლის ხის ბურთებიც კი გაისროლეს.

სწორედ ამ დროს რუსებში უეცრად ვრცელდება თავზარდამცემი ინფორმაცია: ფრიდრიხის სარდლობით კოლბერგს პრუსიელთა ძლიერი განმათავისუფლებელი არმია უახლოვდება! მაგრამ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. რუსები მაინც დაიბნენ და ცრუ ინფორმაციის მსხვერპლნი გახდნენ. 1758 წლის 28 ოქტომბერს რუსულმა ჯარებმა უკან დაიხიეს და ქალაქის ალყაც მოიხსნა. კოლბერგი გადარჩა, იგი მტერს არ დანებდა. ამ ამბავში ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ამ ერთკვირიანი საალყო ბრძოლების დროს ქალაქმა მხოლოდ ექვსი ჯარისკაცი და ხუთი მოქალაქე დაკარგა. კოლბერგის ამ გმირული საალყო ბრძოლის შემდეგ ფრიდრიხი აღიარებს, რომ იგი შეცდა ფონ დერ ჰაიდეს შეფასებაში. იგი იცვლის თავის ნეგატიურ შეხედულებას მაიორზე და ფონ დერ ჰაიდეს პოლკოვნიკის წოდებას ანიჭებს, ამავე დროს გადასცემს საბრძოლო ორდენს „დამსახურებისთვის“.

რუსებმა ორი წლის შემდეგაც, ამჯერად შვედებთან ერთად ხელახლა შემოარტყეს ალყა კოლბერგს. რუსთა 15 ათასიან კორპუსს გენერალი დემიდოვი ედგა სათავეში.[262] 1760 წლის 26 აგვისტოს 26 სახაზო გემი[263] უშვებს ღუზას ნავსადგურის წინ და ქვემეხებიდან ცეცხლს ხსნის ციხესიმაგრის ბასტიონის გასარღვევად. ქალაქის დიდ ნაწილს ცეცხლი აქვს მოდებული. მოწინააღმდეგის ტრანშეები ქალაქთან ძალიან ახლოსაა მოწყობილი, მიწაყრილიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. ყველა მოსალოდნელ შეტევაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ციხესიმაგრის დამცველთა პირადი შემადგენლობა მხოლოდ ათას ორას ორმოცდაათი კაცისგან შედგება და ბანაკი უიმედობას შეუპყრია, კომენდანტი ფონ დერ ჰაიდე ამჯერადაც უარს ამბობს კაპიტულაციაზე. კოლბერგში ამჯერად უკვე არავის სჯერა, რომ გადარჩენის რაიმე შანსი არსებობს. მაგრამ ისინი ცდებიან.

ფრიდრიხს კარგად ესმოდა კოლბერგის ციხესიმაგრისა და პორტის სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა, ამიტომ მან სასწრაფოდ გააგზავნა მაშველი ძალა ალყაში მოქცეული გარნიზონის დასახმარებლად. 1760 წლის 18 სექტემბერს ალყაში მოქცეულთ მოულოდნელად შორიდან ქვემეხებისა და მუშკეტების სროლის ხმა მოესმით. ეს მაშველი

---

[261] რუსებისათვის კოლბერგის დაკავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი ხელში იგდებდნენ არა მარტო სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის მქონე პლაცდარმს პომერანიაში, არამედ საკუთარი ჯარების საზღვაო გზით მომარაგების იაფ ბაზას, რაც გაცილებით რენტაბელური იყო პოლონეთზე გავლით და სახმელეთო გზით ჯარების მომარაგებასთან შედარებით.

[262] გენერალ დემიდოვის კორპუსთან ერთად კოლბერგის ასაღებად საზღვაო აკვატორიაში რუსული ფლოტი და შვედთა ცხრა სახაზო გემი შემოდის რუს ადმირალ მიშუკოვის საერთო მეთაურობით.

[263] სახაზო გემი (ინგლ. Ship of the line. ფრანგ. Navire de ligne.) აქ შუა საუკუნეების აფრიანი ფლოტის სახაზო გემების კლასზეა საუბარი. იმდროინდელი აფრიანი ფლოტის სახაზო გემებს შემდეგი მახასიათებლები ჰქონდათ: სრული წყალწყვა 500-5500 ტონა, ბორტებში განლაგებული 50-135 ზარბაზანი, ეკიპაჟი 300-800 კაცი. აფრიანი სახაზო გემები გავრცელებული იყო XVII საუკუნიდან 1860-იან წლებამდე, ორთქლისძრავიანი გემების ეპოქამდე. აფრიანი ფლოტის სახაზო გემები საზღვაო ბრძოლის ხაზოვან ტაქტიკას იყენებდნენ. 1907 წლიდან სახაზო გემებად, ან მოკლედ, ლინკორებად უკვე იწოდებოდა 20-64 ათასი ტონა წყალწყვის მქონე შეჯავშნული და მსხვილკალიბრიანი საგემბანო არტილერიით აღჭურვილი ხომალდთა ახალი კლასი. აფრიანი სახაზო გემები ლინკორებად არ იწოდებოდნენ.

ძალაა. გენერალ-მაიორი იოჰან პაულ ფონ ვერნერი ხუთი ათას პრუსიელ ჯარისკაცთან ერთად, მათ შორის, ჰუსარების რვა ესკადრონით, ქალაქს გასანთავისუფლებლად უახლოვდება.

ამ დროს კი, რუსები ფიქრობენ, რომ შეუძლიათ არ იჩქარონ ქალაქის აღება. ისინი დარწმუნებულნი არიან თავის გამარჯვებაში. ეს შეცდომაა. კაზაკები საგულდაგულოდ ზვერავენ და განსაკუთრებით ყურადღებით დარაჯობენ შტეტინისკენ მიმავალ გზას, მაგრამ ვერ ამჩნევენ პრუსიელთა განმათავისუფლებელ არმიას, რომელიც გზის მარჯვენა მხრიდან უახლოვდება რუსულ პოზიციებს. რუსები გაოცებულები დარჩნენ პრუსიელთა ჯარის მოულოდნელი გამოჩენით. ისინი ვარაუდობდნენ, რომ პრუსიელები ჯერ კიდევ ქვემო სილეზიაში იდგნენ. არადა, თავის შეფსებაში რუსები მართლები იყვნენ. სულ რაღაც ორი კვირის წინ პრუსიელები მართლაც იდნენ ქვემო სილეზიაში, მაგრამ მათი ჯარი ცამეტი დღის წინ დაადგა გზას გლოგაუდან კოლბერგისაკენ. პრუსიელები ჩქარობდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ახლა საათები წყვეტდნენ ყველაფერს. გენერალ ფონ ვერნერის ჯარებმა ფორსირებული მარშითა და მხოლოდ რამდენიმე შესვენებით სამასი კილომეტრი მოიტოვეს უკან, რაც შვიდწლიანი ომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საარაკო სამხედრო გმირობად უნდა ჩაითვალოს. პრუსიელთა საბრძოლო მარშის ტემპი მართლაც ძალიან მაღალი იყო. ის, რომ მთელმა კორპუსმა შეძლო მოკლე დროში ფეხით ასეთი მანძილის გავლა და თანაც შეუმჩნევლად, რუსებს შეუძლებლად ეჩვენებოდათ.

პრუსიელთა გამოჩენამ თავზარი დასცა მოალყეებს. შიშით თავგზააბნეული რუსები პანიკურად აცვივდნენ თავიანთ გემებზე, ისე რომ, საკუთარი ბარგის ატანაც კი დაავიწყდათ. ქვემეხები, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, კარვები და სურსათის საწყობები ხმელეთზე დატოვეს.[264] როცა ფონ დერ ჰაიდემ სანაპირო დაცვის ბატარეა მოამზადა რუსული გემების დასაბომბად, 1760 წლის 20 სექტემბერს, რუსების ფლოტმა სასწრაფოდ აუშვა ღუზები და გაცურა.

კოლბერგი მეორედ გადარჩა. გენერალ-მაიორი იოჰან პაულ ფონ ვერნერი „პომერანიის განმათავისუფლებელი“ გახდა. სწორედ მისი სახელი უკვდავჰყო ლესინგმა დრამაში „მინა ფონ ბარნჰელმი“, ხოლო პოლკოვნიკმა ფონ დერ ჰაიდემ ისევ მიიპყრო ფრიდრიხ დიდის ყურადღება. იგი მხედრული მამაცობისათვის მეორედ დაჯილდოვდა საბრძოლო მედლებით. „მეც ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და არც მე ვარ უშეცდომო, – გულწრფელად აღიარა შემდგომში ფრიდრიხ დიდმა, – ამ ადამიანის შეფასებაში ძალიან შევცდი“.[265]

პრუსიის სახელოვანი მეფე, ფრიდრიხ II დიდი, 1786 წელს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ კი, იღუპება მისი დიდი ქმნილებაც – პრუსიის სამეფო. ევროპისა და მსოფლიო ისტორიაში ახალი ერა – ფრანგული რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქა იწყება.

1806 წლის დასაწყისისათვის პრუსიაში უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი იყო. მისი არმია სულ უფრო და უფრო მეტ გამარჯვებას აღწევს და პრუსიის სამეფოს უახლოვდება. ძველი სამხედრო დიდების გავლენით პრუსიელი გენერლების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ისინი „თავქარიან

---

[264] პრუსიელებმა ტყვედ აიყვანეს 600 რუსი ჯარისკაცი. ხელში ჩაიგდეს 6 ზარბაზანი, 7 მორტირა, საბრძოლო მასალებისა და სურსათის დიდი მარაგი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად პრუსიაში სამახსოვრო მედლები მოიჭრა. საბრძოლო ოპერაციის არასწორი დაგეგმვის, მისი უნიათო ხელმძღვანელობისა და აღსრულების გამო, გენერალი დემიდოვი და მისი ოფიცრები სამხედრო სასამართლოს გადასცეს და გაასამართლეს, რომლებიც 1763 წელს შეიწყალეს.

[265] მიუხედავად ორი უშედეგო მცდელობისა, ერთი წლის შემდეგ კოლბერგი მაინც აიღეს რუსებმა. 1761 წლის 13 აგვისტოს, გენერალ პიოტრ რუმიანცევის კორპუსმა, რომელიც ქვეითთა 24 ბატალიონის, დრაგუნთა და ჰუსართა ორ-ორი პოლკისა და ათასი კაზაკისაგან, სულ 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა, მესამედ შეუტია კოლბერგს და ალყაში მოაქცია იგი. კოლბერგის ხანგრძლივმა ალყამ, შიმშილმა და საბრძოლო მასალის უქონლობამ აიძულა ქალაქის დამცველები კაპიტულაცია გამოეცხადებინათ. რუსებს ალაფად ხვდათ 173 ზარბაზანი და 20 დროშა, ციხესიმაგრის 3000-იანი გარნიზონი კი ტყვედ იქნა აყვანილი. თუმცა, რუსებს დიდი ხნით არ მოუწიათ ამ გამარჯვებით ტკბობა. უკვე მომდევნო წელს პრუსიელებმა შეძლეს კოლბერგის უკან დაბრუნება.

ფრანგებს“ დაჯაბნიან. ეს შეცდომაა. 1806 წლის გაზაფხულზე ისინი თავდაჯერებულად საუბრობენ პრუსიის „უძლეველ არმიაზე“, მაგრამ 1806 წლის 14 ოქტომბერს იენასთან და აუერშტადტთან გამართულ ბრძოლებს ისინი აგებენ. ნაპოლეონის უძლეველი არმია კი, შეჩერებას არ აპირებს. მალე პრუსიის არმია საბოლოოდ მარცხდება ფრანგებთან და ევროპელების გასაკვირად, პრუსიის ერთ დროს საშიში და ანგარიშგასაწევი სამხედრო სახელმწიფო თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, როგორც ბანქოთი ნაშენები სახლი, ისე იშლება.[266]

ბერლინის დაკავების შემდეგ ფრანგებს უბრძოლველად ნებდება პრუსიის ციხესიმაგრე, შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით – შტეტინის, შპანდაუს, კიუსტრინის ბასტიონები და 1806 წლის 8 ნოემბერს – მაგდებურგიც. ამავე დღეს ფრანგებმა კოლბერგის ციხესიმაგრის მათთვის გადაცემაც მოითხოვეს. ფრანგების თვალწინ იმ დავალების შესრულება, რომლის მიხედვითაც წინააღმდეგობის გარეშე უნდა მომხდარიყო თითქმის ყველა სხვა პრუსიული ციხესიმაგრის გადაცემა, წმინდა ფორმალობა იყო. პრუსიელებიც თითქოს შეურიგდნენ არსებულ ვითარებას. გარნიზონი და ქალაქის მოსახლეობა თავდაცვისთვისაც კი არ იყვნენ მზად, მაგრამ კოლბერგის ციხესიმაგრის სამოცდაექვსი წლის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ლუდვიგ მორის ფონ ლოკადოუმ, ყველასდა გასაკვირად, უარი განაცხადა ფრანგების ამ მოთხოვნის შესრულებაზე.

კოლბერგის კომენდანტის ამ პასუხმა ფრანგები ძალიან გააოცა. თავდაპირველად პრუსიელთა ეს უარი მათ სერიოზულადაც ვერ აღიქვეს. მართალია, კოლბერგი ნაპოლეონისთვის სტრატეგიულად ნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა რუსეთისკენ მიმავალ მთავარ დამაკავშირებელ გზასთან შედარებით, მაგრამ ამ შემთხვევაში, იგი ზურგის დაცვაზეც ზრუნავდა. საკითხი საკომუნიკაციო ხაზს შეეხება. ნაპოლეონს სჯეროდა, რომ საქმეში ბრიტანელები ჩაერეოდნენ და მათი ჯარების პომერანიაში გადმოსხმის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა მთავარ დამაკავშირებელ ხაზს დანციგთან. მაგრამ იგი ცდებოდა. ნაპოლეონის ეს ნააზრევი ვითარების არასწორი შეფასების შედეგი იყო, რადგან ბრიტანული დესანტის გადმოსხმის გეგმა, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა. მომარაგების შეფერხების საფრთხე და აღმოსავლეთიდან ნაპოლეონზე შეტევის ალბათობა კი, მით უმეტეს, ინგლისელთა დესანტის გადმოსხმა კოლბერგთან, პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო.

1807 წლის აპრილში ნაპოლეონის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კოლბერგისთვის ალყის შემორტყმის შესახებ. ეს კი, დიდი შეცდომა იყო. სინამდვილეში, აქ სულ სხვა რამეში იყო საქმე. სტრატეგიულად უმნიშვნელო ქალაქისა და ციხესიმაგრის პრობლემას სულ სხვა გარემოებები განაპირობებდა. ნაპოლეონ ბონაპარტეს არაფერში ესაჭიროებოდა კოლბერგი, მაგრამ იგი თავმოყვარეობის შელახვად თვლიდა იმ ფაქტს, რომ ეს პატარა და შეუმჩნეველი პრუსიული ქალაქი ბედავდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. არადა იგი თავის გამარჯვებაში, როგორც არაფერი, ისე იყო დარწმუნებული. ასეთი თავხედობისთვის კი, კოლბერგი უნდა დასჯილიყო. „,ეს სუსტი ადგილია, – არწმუნებდა ნაპოლეონი თავის გენერლებს, – სუსტი ციხესიმაგრე ცუდად ორგანიზებული გარნიზონით“. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ პრუსიელთა „ამ საცოდავ ბუდეს“ ოთხ, ან დიდი დიდი, ექვს კვირაში დაიპყრობდა და ქალაქის აღების ბრძანებაც გასცა. ძალების

[266] XIX საუკუნის დასაწყისისათვის პრუსიულ არმიაში ფრიდრიხისდროინდელი ძველი დიდებიდან არაფერი აღარ იყო დარჩენილი. არსებული სავალალო მდგომარეობისა და პრუსიული არმიის სამეთაურო რგოლში გამეფებული საერთო გულგრილობის შესახებ კლაუზევიცი წერდა: „პრუსიული ჯარის შეიარაღება ევროპის მასშტაბით ყველაზე უარესი იყო. საუკეთესოს ვერც არტილერიის მდგომარეობას დაარქმევდით. კვება და ტანისამოსი მწირი გახლდათ. აღჭურვილობა კი ომის ძველ ყაიდაზე იყო გათვლილი – სავსე იყო უამრავი საგნით, რომლებიც თანამედროვე ომის პირობებში მხოლოდ ზედმეტ ტვირთს წარმოადგენდა. ჯარში სრულიად არასაბრძოლო განწყობა სუფევდა. სასწავლო პროცესი ცალმხრივად, წმინდათ პრუსიული მანერით – სხვა ქვეყნების გმოცდილებისა და ბოლო დროის საომარი მიღწევებისადმი სრული გულგრილობით წარიმართებოდა. არაადეკვატური წვრთნების ფონზე წარმოუდგენელი თავდაჯერებულობა იყო გამეფებული, რაც უსაფრთხოებაზე ზრუნვის ელემენტარული მოთხოვნებისადმი ხელმძღვანელობის ყურადღების მოდუნებას იწვევდა”.

დაზოგვისა და საბრძოლო დანაკარგების შემცირების მიზნით კი მან საალყო ბრძოლის წარმოება გადაწყვიტა. ფრანგთა მიერ კოლბერგის ალყა 1807 წლის 19 მაისს, დანციგის კაპიტულაციამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო.[267]

ქალაქის კომენდანტი პოლკოვნიკი ლუდვიგ მორის ფონ ლოკადოუ ასეთ ვითარებაშიც უარს ამბობს კაპიტულაციაზე, რაც არა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა მდიდარი ფენების, არამედ კოლბერგის მოქალაქეების უკმაყოფილებასაც იწვევს. ბევრი მათგანი ტოვებს ქალაქს მოსალოდნელი დაბომბვების შიშით. ქალაქის დამცველთა განკარგულებაში ასორმოცდაათამდე ქვემეხია, გარნიზონის პირადი შემადგენლობა კი, მაისში ხუთი ათას ექვსას ჯარისკაცამდე იზრდება. მაგრამ შეშველებული ძალები ბრძოლებში გამოუცდელი სათადარიგო ბატალიონებია და არა საველე ქვედანაყოფები. ქალაქი კარგადაა გამაგრებული. მას მიწაყრილი აქვს შემოვლებული, მდინარე პერსანტეს ორივე სანაპიროზე მდებარე ჭაობიანი დაბლობი კი, დამატებით წინაღობას წარმოადგენდა მოწინააღმდეგისათვის. ნათელი იყო, რომ რვა ათასზე მეტ ფრანგ ჯარისკაცსა და მათ მძიმე არტილერიას ქალაქის ასაღებად სერიოზული ძალისხმევა დასჭირდებოდა.

1807 წლის 10 აპრილს კოლბერგის დაცვაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეს ენერგიულმა მაიორმა ნაიდჰარდტ ფონ გნაისენაუმ[268], პარტიზანმა შილმა[269] და სამოცდარვა წლის სამოქალაქო წარმომადგენელმა იოაჰიმ ნეტელბექმა, პომერანიელმა პატრიოტმა და უტეხი ხასიათის ადამიანმა. საერთო ჯამში, სწორედ ეს სამი ადამიანი ხელმძღვანელობდა ქალაქის თავდაცვას.

გნაისენაუ ბრძოლის საკუთარ მეთოდს იყენებს. თავის რაზმთან ერთად იგი მოალყეებს მცირე, წერტილოვანი დარტყმებით ესხმის თავს და ქანცს აცლის მათ. ეს რაღაც ახალი, აქამდე უცნობი რევოლუციური თავდაცვის ტაქტიკაა. მიუხედავად ფრანგთა დიდი ძალისხმევისა, კოლბერგი მაინც მყარად დგას და არ ნებდება. ნაპოლეონი იძულებულია ალყა გააორმაგოს.

1807 წლის ივნისისათვის უკვე მოწინააღმდეგის დაახლოებით ცამეტი ათასი ჯარისკაცი დგას კოლბერგის წინ, მათ შორის, ნაპოლეონის განთქმული ჰუსარები და მესანგრეები. 11 ივნისს მათ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ვოლფსბერგის სანგრები აიღეს. 1 ივლისს მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობს დაბომბვა და მოწინააღმდეგე უტევს ჯერ კიდევ მყარად მდგარ გარე პოსტებს, მალე კი, კოლბერგის პორტსაც

---

[267] ფრანგული მხრიდან კოლბერგის ალყას მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ ნაპოლეონ ბონაპარტეს ოფიცრები: მარშალი კლოდ-ვიქტორ პერენი (მარშალი ვიქტორი), იტალიელი გენერალი პიეტრო თული, გენერალი ლუი ანრი ლოისონი და მარშალი ედუარდ მორტიე.

[268] გრაფი ავგუსტ ვილჰელმ ანტონიუს ნაიდჰარტ ფონ გნაისენაუ (გერმ. August Wilhelm Antonius Graf Neidhardt von Gneisenau) (1760-1831წ.წ.) – ნაპოლეონის ეპოქის ცნობილი პრუსიელი მხედართმთავარი, გენერალ-ფელდმარშალი. კოლბერგის დაცვის დროს გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის მაიორ გნაისენაუს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვატერლოოს ბრძოლასა და შემდგომში, პრუსიის არმიის რეფორმების საქმესა და გენერალური შტაბის ჩამოყალიბებაში. 1815 წლის კამპანიაში ეკავა პრუსიელთა გენერალ-ფელდმარშალ ბლიუხერის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა. ლინთან დამარცხებისა და ბლიუხერის დაჭრის გამო, თავის თავზე აიღო არმიის სარდლობა და მოხერხებული მანევრებით ფაქტობრივად უზრუნველყო პრუსიელთა შემდგომი გამარჯვება ვატერლოოს ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში ველინგტონის ბრიტანელები და პრუსიელები სამხედრო კოალიციაში იყვნენ, გნაისენაუ ძალიან ცუდ დამოკიდებულებაში იყო ველინგტონის ჰერცოგთან და წინააღმდეგი იყო მისი დახმარებისა. ვატერლოოს ბრძოლაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ გნაისენაუმ მიიღო ინფანტერიის გენერლის სამხედრო წოდება და დაჯილდოვდა „შავი არწივის" ორდენით. ომის შემდეგ დაინიშნა პრუსიელთა მე-8 კორპუსის სარდლად, 1818 წელს კი, ბერლინის გენერალ-გუბერნატორად. იყო პრუსიის სამეფოს სახელმწიფო საბჭოს წევრი და სამხედრო და საგარეო დეპარტამენტების უფროსი.

[269] ფერდინანდ ბაპტისტა ფონ შილი (გერმ. Ferdinand Baptista von Schill) (1776-1809წ.წ.) – პრუსიელი კავალერიის ოფიცერი, მაიორი. ჰუსართა პოლკისა და ე.წ. „თავისუფალი კორპუსის" მეთაური, პრუსიაში ანტიფრანგული შეიარაღებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი ლიდერი, „ღირსების ორდენის" კავალერი. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1807 წლის 12 იანვარს ფონ შილის ჰუსართა საკავალერიო რაზმის მიერ ტყვედ იქნა აყვანილი კოლბერგის ოპერაციის ხელმძღვანელად დანიშნული ნაპოლეონის მარშალი კლოდ-ვიქტორ პერენი (მარშალი ვიქტორი), რომელიც შემდგომში გაცვლილ იქნა ფრანგთა ტყვეობაში მყოფ პრუსიელ გენერალზე, გებჰარდ ფონ ბლიუხერზე, შემდგომში გენერალ-ფელდმარშალზე, ვატერლოოს ბრძოლის (1815 წლის 18 ივნისი) ლეგენდარულ გმირსა და კოალიციური ჯარების ერთ-ერთ სარდალზე.

იკავებს.[270] პორტის დაკარგვა ქალაქის დამცველთათვის დიდი დარტყმაა. გნაისენაუ ხვდება, რომ ქალაქი დაკარგულია. საღამოსათვის მოწინააღმდეგე მას კაპიტულაციას სთავაზობს, მაგრამ იგი მაინც უარზე დგას. გნაისენაუმ იცის, რომ ქალაქის ბედი გადაწყვეტილია, მომდევნო დღისათვის იგი კოლბერგის დაპყრობას და მის განადგურებას ელოდება, მაგრამ იგი მაინც არ აპირებს უბრძოლველად დანებებას. მიუხედავად გამოუვალი დგომარეობისა, ქალაქი ისევ სასწაულით გადარჩება.

1807 წლის 2 ივლისს ძალაში შედის ზავი პრუსიასთან, ხოლო 7-9 ივლისს – ტილზიტის ზავი.[271] საომარი მოქმედებები წყდება. ფაქტი ისაა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ფრანგებმა მაინც ვერ აიღეს ქალაქი. ციხესიმაგრის 111 დღიანი უშედეგო ალყის შემდეგ ფრანგი ოფიცრები ქალაქს ტოვებენ. ისინი ქუდების ქნევით ემშვიდობებიან გნაისენაუს, ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში გამოჩენილი მისი და კოლბერგის გარნიზონის სიმამაცის აღიარების ნიშნად.

კოლბერგის მითი ამით არ მთავრდება. ისტორია ამ ქალაქს კიდევ ერთხელ ჩააგდებს განსაცდელში. ეს ახალი განსაცდელი II მსოფლიო ომთანაა დაკავშირებული. 1945 წლის 12 იანვარს იწყება საბჭოთა ჯარების დიდი შეტევითი ოპერაცია აღმოსავლეთ პრუსიაზე მარშლების, კონევისა[272] და ჟუკოვის[273] არმიების შენაერთებით. 31 იანვრისათვის რუსები უკვე ოდერის ფრანკფურტთან, ბერლინიდან სამოცი კილომეტრის დაშორებით დგანან. საკუთარი ფლანგის დასაცავად საბჭოელთა უმაღლესი მთავარსარდალი, სტალინი,[274] ქვემო პომერანიაზე შეტევითი მოქმედებების დაწყების ბრძანებას სცემს. მარტის შუა რიცხვებისათვის პომერანია უკვე საბჭოელების ხელშია, „შეუვალი“ კოლბერგის გამოკლებით. ქალაქსა და პორტს, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს, ისე იცავენ გერმანელები, თუმცა ქალაქის მცხოვრებლებს, დევნილებს, დაჭრილებსა და დარჩენილ ჯარისკაცებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა ბალტიის ზღვით დააღწიონ თავი რუსებს.

ქალაქის მოსახლეობაზე მოწინააღმდეგის დიდი უპირატესობა დამთრგუნველად მოქმედებს, მაგრამ 1807 წელს ნაპოლეონის მიერ გამოჩენილი სიჯიუტის მსგავსად, საბჭოთა კავშირი სათანადოდ ვერ აფასებს ქალაქის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ნაცისტური პროპაგანდა ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ნაპოლეონის ეპოქის

---

270 საერთო ჯამში, ფრანგების მიერ კოლბერგის დასაბომბად გაშვებულ იქნა 26 ათასი ზარბაზნის ჭურვი, აქედან 6 ათასი მხოლოდ 1-2 ივლისს.

271 ტილზიტის ზავი წარმოადგენდა სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც გაფორმდა ქალაქ ტილზიტში (ამჟამად ქალაქი სოვეტსკი, კალინინგრადის ოლქი) რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სა და ნაპოლეონ ბონაპარტეს შორის მეოთხე კოალიციის მიერ 1806-1807 წლებში წარმოებული ომის დასრულებისას. ამ ომში რუსეთი და პრუსია ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

272 ივან სტეპანოვიჩ კონევი (რუს. Иван Степа́нович Ко́нев) (1897-1973წ.წ.) – ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი. საბჭოთა კავშირის მარშალი 1944 წლიდან, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი (1944, 1945). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1952-1973 წლებში. 1956-1960 წლებში თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ერთდროულად, 1955 წლიდან ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი. 1956 წელს ხელმძღვანელობდა უნგრეთის სახალხო აჯანყების ჩაქრობას. 1961-1962 წლებში, ბერლინის კრიზისის დროს, საბჭოთა ჯარების დაჯგუფების უფროსი იყო გერმანიაში.

273 გიორგი კონსტანტინოვიჩ ჟუკოვი (რუს. Георгий Константи́нович Жуков) (1896-1974.წ.წ) – ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი 1943 წლიდან, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ორგზის „გამარჯვების ორდენისა" და მრავალი სხვა საბჭოთა და უცხოური ორდენების კავალერი. II მსოფლიო ომის მსვლელობისას თანმიმდევრობით ეკავა გენერალური შტაბის უფროსის, ფრონტის სარდლის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობები. 1955-1957 წლებში საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

274 იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი) (რუს. Ио́сиф Виссарио́нович Ста́лин) (1878-1953წ.წ.) – ქართული წარმომავლობის რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული ფიგურა. დიდი საბჭოთა პოლიტიკური, სახელმწიფო, სამხედრო და პარტიული მოღვაწე. ვლადიმირ ლენინის უახლოესი თანაიდეოლოგი და თანამებრძოლი. ბოლშევიკური რუსეთის ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი. საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი შემქმნელი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უცვლელი გენერალური მდივანი, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური. II მსოფლიო ომის მსვლელობისას საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი 1945 წლიდან.

მეოთხე კოალიციური ომის მსვლელობისას კოლბერგის მითი 1807 წლის წარუმატებელი ალყის შესახებ და ამით ქალაქისა და ციხესიმაგრის დამცველთა საბრძოლო სულის-კვეთება აამაღლოს. ნაცისტთა ინფორმაციის მინისტრისა და მთავარი პროპაგანდისტის, გებელსის[275] ინიციატივით გადაიღეს დიდბიუჯეტიანი ფილმი „კოლბერგი“, ვიტ ჰარლენის რეჟისორობით (მთავარ როლში – ჰაინრიხ გეორგი). ფილმის სიუჟეტური დანიშნულება და იდეა ნათელია. ნაცისტთა პროპაგანდას ყველასათვის უნდა ეჩვენებინათ, „რომ სამშობლოსთვის ფრონტზე გაერთიანებული ხალხის ნებას ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეეძლო“.[276]

1945 წლის 1 მარტიდან ქალაქისა და ციხესიმაგრე კოლბერგის სამხედრო კომენ-დანტად ორმოცდაათი წლის პოლკოვნიკი ფრიც ფულრიდე ინიშნება. ნაცისტთა პარტიის იდეოლოგები და ვერმახტის ხელმძღვანელობა მისგან „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და უკანასკნელ ტყვიამდე” გმირულ ბრძოლას ელოდება. ჰიტლერიც[277] იმედოვნებდა, რომ კოლბერგის კომენდანტი, „ახალი გნაისენაუ“, ძალებს არ დაზოგავდა და ქალაქის დასაცავად ბოლომდე იბრძოლებდა. მას სჯეროდა, რომ კომენდანტი და მისი გარნიზონი საბჭოელებს შეაკლავდნენ თავს და არ დანებდებოდნენ. მაგრამ ამჯერად, ნაცისტთა მოლოდინებს ასრულება არ ეწერა, ისინი ცდებოდნენ.

ყველაფერი კი მთავრდება იმით, რომ კოლბერგის საუკუნოვანი მითი სრულდება. „აუღებელი” ქალაქი კოლბერგის ცნება გერმანიის სამხედრო ისტორიის მატიანედან ქრება.[278] ნაცისტი მეთაურები მალულად გარბიან გემებით კოლბერგიდან. 16 მარტს ქალაქიდან რაიონის ზედამხედველი, გერიტსი გარბის. ხოლო 17 მარტის ღამეს და 18 მარტს, ფულრიდეს ბრძანებით, გერმანელთა ხუთიათასკაციანი გარნიზონი სასწრაფოდ ტოვებს ჩაკეტილ და დაცლილ ქალაქს. ისინი მათ ხელთ არსებულ ყველა მცურავ საშუალებას – სამხედრო-საზღვაო ძალების გემებს, ასევე ნიჩბებიან გასაბერ ნავებსა და კანოეებს იყენებენ. ყველაზე ბოლოს გემის ბორტზე ქალაქისა და ციხესიმაგრის სამხედრო კომენდანტი, პოლკოვნიკი ფრიც ფულრიდეც ადის...

და ამით სრულდება საუკუნეებში გამოვლილი კოლბერგის მითი – „ვიდრე უკანასკნელი მებრძოლი დაეცემოდეს“.

---

275 პაულ იოზეფ გებელსი (გერმ. Paul Joseph Goebbels) (1897-1945წ.წ.) – გერმანელი პოლიტიკოსი, გერმანიის ნაცისტური პარტიის წევრი, ადოლფ ჰიტლერის ერთ-ერთი უახლოესი თანაიდეოლოგი და თანამებრძოლი. ბერლინის გაულაიტერი 1926 წლიდან, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი 1930 წლიდან. 1933-1945 წლებში III რაიხის პროპაგანდის მინისტრი და კულტურის საიმპერიო პალატის პრეზიდენტი. 1945 წლის 30 აპრილს, ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ, შეცვალა იგი გერმანიის რაიხსკანცლერის პოსტზე. ამ თანამდებობაზე ყოფნიდან მეორე დღეს მეუღლისა და ექვსი შვილის მოკვლის შემდეგ, თვითონაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

276 ამ ფილმზე მუშაობა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. მისი გადაღებები 1942 წელს დაიწყო და მხოლოდ 1945 წლის იანვრისათვის დასრულდა. ფილმის სიუჟეტს საფუძვლად დაედო პაულ ჰაიზეს პიესა. ამ მონუმენტური სურათის ბატალურ სცენებში კენიგსბერგის სამხედრო გარნიზონისა და აღმოსავლეთ პრუსიაში გაშლილი ვერმახტის ნაწილები იღებდნენ მონაწილეობას.

277 ადოლფ ჰიტლერი (გერმ. Adolf Hitler) (1889-1945წ.წ.) – გერმანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ეფრეიტორი. XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ფუძემდებელი და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარე 1921-1945 წლებში, III რაიხის შემქმნელი და ნაცისტთა ტოტალიტარული დიქტატურის ფუძემდებელი, გერმანიის მთავრობის მეთაური, რაიხსკანცლერი 1933-1945 წლებში, გერმანელი ხალხის ფიურერი 1934-1945 წლებში, II მსოფლიო ომის წამომწყები და ამ ომის მსვლელობისას გერმანიის შეიარაღებული ძალების, ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდალი, ჰოლოკოსტის მთავარი ფიგურა. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით 1945 წლის 30 აპრილს.

278 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორი აქ აშკარა უზუსტობას უშვებს. კოლბერგი რუსების მიერ აღებულ იქნა 1761 წლის 13 აგვისტოს, გენერალ პიოტრ რუმიანცევის კორპუსის მიერ.

სიგიზმუნდ ფონ დერ ჰაიდე
კოლბერგის რუკით ხელში

პაულ ფონ ვერნერი
(1707-1785)

პიოტრ რუმიანცევი
(1725-1796)

ფერდინანდ ფონ შილი
(1776-1809)

იოაჰიმ ნეტელბეკი
(1738-1824)

ნაიდჰარტ ფონ გნაისენაუ
(1760-1831)

იოზეფ გებელსი
(1897-1845)

ჰაინრიხ გეორგი
(1893-1946)

ფრიც ფულრიდე
(1895-1969)

იოსებ სტალინი
(1879-1953)

გიორგი ჟუკოვი
(1896-1974)

ივან კონევი
(1897-1973)



კოლბერგის ალყა. 1761 წლის აგვისტო-დეკემბერი



კოლბერგის ციხესიმაგრის აღება რუსების მიერ 1761 წელს



პრუსიის სამეფო 1806 წელს

შტეტინის კაპიტულაცია. 1806 წელი



ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარისკაცები კოლბერგის სანაპიროსთან

კოლბერგის ალყა. 1807 წლის 20 მარტი-2 ივლისი

Preussen.

Das Schillsche Korps in Kolberg

Dragoner Husar I. Infanterie-Btl. Dragoner Leutnant von Brünnow Artillerist

Februar/März 1807

Auf Tafel XVII/52 präsentiert Knötel das Korps 1807/08, mit dieser Zeichnung versucht er eine Rekonstruktion des Aussehens der Frühzeit des Korps - allerdings ohne Quellen- oder Farbangaben. Wir haben deshalb vor allem die Quelle (1) zur Kolorierung herangezogen.

Anfang Februar 1807 zählte das Korps 1.459 Mann (1), S. 9, verteilt auf 5 Infanterie-Kompanien, 3 Dragoner-, 2 Husaren-Eskadrons, 1 Jäger-Komp. und 43 Artilleristen.

Zu dieser Zeit besserte sich die Ausstattung: Zuerst Mäntel, kurze bis zur Hüfte reichende Jacken aus blauem, grauem und grünem Tuch - vorerst nur 20 für jede Kompanie, soweit es ging mit rotem Kragen, in Einzelfällen mit roten Ärmelaufschlägen, Knöpfe weiß.

Am 19. März 1807 schilderte Schill dem König sein Infanterie-Btl. (Leutnant von Gruben): Blaue Jacke mit roten Kragen und Aufschlägen, graue lange Hosen, Füsiliermütze, oben mit Band besetzt (wohl die Kolletborte des Kürassier-Rgts. von Reitzenstein Nr. 7), schwarzer Federbusch, rote Kartusche um den Leib, Schuhe mit zwilchenen Halbstiefeletten (1), S. 27. (Fortsetzung umseitig).

Richard Knötel/Pahl/Eppele/Beith/Friese, Uniformenkunde, Band XXIII/Ergänzungsband I, No.57 Editionen Friese & Lacina, Buchholz/Hamburg

ფერდინანდ ფონ შილის „თავისუფალი კორპუსის" ჯარისკაცები



კოლბერგის ალყის სქემა. 1807 წელი. შინდისფერი – ფრანგთა სანგრები; კოლბერგის გარშემო გამუქებული არე – ქალაქის დატბორილი და დამწვარი გარეუბანი

ნაცისტთა პროპაგანდისტული ფილმი „კოლბერგის" აფიშა.
კოლბერგის ევაკუაცია. 1945 წლის 18 მარტი

1945 წლის 19 მარტს, გერმანელთა ორკვირიანი წინააღმდეგობის შემდეგ, საბჭოთა და პოლონური ქვედანაყოფები კოლბერგში შედიან

კოლბერგი 1945 წელს. ქალაქის 80% დანგრეული და განადგურებულია

ავგუსტ ნაიდჰარტ ფონ გნაისენაუსა და იოაჰიმ ნეტელბეკის ქანდაკება კოლბერგში. ავტორი გეორგ მაიერ-სტეგლიცი. აღმართულ იქნა 1904 წელს. დაანგრიეს 1945 წელს

§3.5. ნაპოლეონი მდინარე ნილოსთან (აბუ-ქირი, 1798 წლის 1 აგვისტო)

1795 წლიდან საფრანგეთს მართავს ეროვნული კონვენტის[279] ხუთწევრიანი კომიტეტი, რომელიც საკუთარ თავს დირექტორიას უწოდებს. ახალგაზრდა და პატივ-მოყვარე გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტე ამაოდ ცდილობს იტალიაში ბრწყინვალე გამარჯვებისა და პარიზში დიდებით დაბრუნების შემდეგ ამ დირექტორიის წევრი გახდეს. მას სურს ლეგალურად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მართვაში. მაგრამ დიდი პოლიტიკისკენ მიმავალი გზა მისთვის ჩაკეტილია, რადგან დირექტორია არ არის მზად დაეთანხმოს გამონაკლისის დაშვებას. დირექტორია ნაპოლეონს „ინგლისის არმიის“ სარდლობას სთავაზობს. „ინგლისის არმიის” დანიშნულება ძალიან გაბედული და ამბიციურია – კუნძულებზე ინტერვენცია და მისი ოკუპაცია. ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრის გეგმის გათვალისწინებით, ნაპოლეონის ამ თანამდებობაზე დანიშვნა მნიშვნე-ლოვანი და საპასუხისმგებლო ნაბიჯია. რეალობა ისაა, რომ კამპო-ფორმიოს ზავის[280] დადების შემდეგ I კოალიციიდან დიდი ბრიტანეთი საფრანგეთის რესპუბლიკის ერთადერთი ჯერ კიდევ დაუმარცხებელი მოწინააღმდეგეა. ამიტომ ამ ძლევამოსილ სახელმწიფოზე გამარჯვება ნაპოლეონს კიდევ უფრო მეტ დიდებას მოუტანს.

დირექტორიას სჯერა, რომ იგი ნიჭიერი მხედართმთავარია და შეძლებს საფრან-გეთის სამფეროვანი დროშის აღმართვას ბუკინგემის სასახლეზე, რაც ამავე დროს, ენერგიული და პატივმოყვარე მეთაურისთვის მეტად მიმზიდველი პერსპექტივაა. ნაპო-ლეონის მიერ იტალიური კამპანიის ბრწყინვალედ ჩატარება ამის იმედს იძლევა. ნაპოლეონიც გულმოდგინედ იწყებს ამ ამოცანის შესრულებისთვის მზადებას. იგი მომავალი ინტერვენციის გეგმას ამუშავებს. აკეთებს გათვლებს, ათვალიერებს სანაპირო პორტებს, ახდენს ადგილმდებარეობის შესწავლას და ადგილზე აზუსტებს დესანტირების ოპერაციის დეტალებს.

მცირე ხანში შესაბამისი დასკვნები მზადაა. დეტალური ანალიზის ჩატარების შემდეგ ნაპოლეონი თვლის, რომ ბრიტანეთის კუნძულების საზღვაო დესანტირებისა და მისი ოკუპაციის ოპერაციის აღსრულება არსებული ძალებისა და რესურსების გათვალისწინებით, შეუძლებელია.

1797 წლის 23 ოქტომბერს იგი დირექტორიას გადასცემს მოხსენებით ბარათს, სადაც ასაბუთებს, თუ რატომ მიაჩნია შეუძლებლად დიდ ბრიტანეთში დესანტის გადასხმა. დიდი ბრიტანეთის ზღვაზე ბატონობის პირობებში იგი ამ წამოწყებაში დიდ რისკს ხედავს. „ამ ჩანაფიქრში ყველაფერი დამოკიდებულია ბედნიერ შემთხვევასა და გამართლებაზე, – განუმარტავს იგი გაოცებული დირექტორიის წევრებს, – ასეთ პირობებში არ მაქვს განზრახული ჩვენი მშვენიერი საფრანგეთის ბედის საფრთხეში ჩაგდება”. ნაპოლეონი რა

---

[279] ეროვნული კონვენტი (ფრანგ. Convention nationale) – პირველი ფრანგული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, 1792 წლის 21 სექტემბრიდან 1795 წლის 26 ოქტომბრამდე მოქმედებდა. 1792 წლის 10 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, რომელმაც მონარქია დაამხო, საკანონმდებლო კრებამ დაადგინა შეეჩერებინა მეფე ლუდოვიკო XVI თავის უფლებებში და შეექმნა ეროვნული კონვენტი ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად. კონვენტის არჩევნებში 21 წელს მიღწეული ყველა მამაკაცი იღებდა მონაწილეობას. ასე რომ, ეროვნული კონვენტი პირველი ფრანგული საკანონმდებლო ასამბლეა იყო, რომელიც არჩეულ იქნა საყოველთაო არჩევნების გზით.

[280] კამპო-ფორმიოს ზავი – საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც რევოლუციური ომების პირველი ეტაპი დაასრულა. ზავი 1797 წლის 18 ოქტომბერს, იტალიის სოფელ კამპო-ფორმიოში გაფორმდა. საფრანგეთის მხრიდან საზავო ხელშეკრულებას ხელი ნაპოლეონ ბონაპარტემ მოაწერა, ხოლო ავსტრიის მხრიდან, გრაფმა ლუდვიგ ფონ კობენცლემ. საზავო პირობები საფრანგეთის რესპუბლიკისათვის წარმატებული იყო. მისი ძალით ავსტრია გამოეთიშა პირველ ანტიფრანგულ კოალიციას.

თქმა უნდა ემხრობა ინგლისის[281] წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ არა მდინარე ტემზას ნაპირებზე, არამედ სულ სხვაგან – ნილოსის სანაპიროებზე. იგი საუბრობს ეგვიპტის დალაშქვრაზე, რათა ინგლისის პოზიციები შეასუსტოს ხმელთაშუა ზღვასა და სუეცზე, ხელი შეუშალოს აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობებს, დაემუქროს ინდოეთს და მოიპოვოს კიდევ ერთი შესაძლო მოკავშირე.[282]

ეს იდეა ახალი არ არის. თითქმის მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ამ საკითხზე იმტვრევდნენ თავს საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეები.[283] გეგმა, რომელიც ნაპოლეონმა წარადგინა, მეტად გაბედულია. ეს თავზეხელაღებული ექსპედიცია ინგლისის ინტერვენციის გეგმაზე ნაკლებად სარისკო არ ჩანდა. უფრო მეტიც, იგი აშკარა სამხედრო ავანტიურას ჰგავდა. რეალობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ საფრანგეთის სუსტ ფლოტს უნდა გადაეცურა ძალიან დიდი სივრცე – მთელი ხმელთაშუა ზღვა, შესულიყო ნილოსის დელტაში, გადაესხა ხმელეთზე დესანტი და შეზღუდული ძალებით მოეხდინა ეგვიპტის ფაქტობრივი ოკუპაცია. მცირე განსჯის შემდეგ დირექტორია დაეთანხმა შემოთავაზებულ გეგმას და 1798 წლის მარტში ნაპოლეონი ჯერ კიდევ არარსებული „აღმოსავლეთის არმიის“ სარდლად ინიშნება.

ნაპოლეონი ეგვიპტეში ლაშქრობისთვის მზადებას იწყებს.[284] მისი ძალები გაშლილია იტალიისა და საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ყველა პორტში. თავი მოიყარა სამასამდე სატრანსპორტო გემმა, რომლებიც ოცდაათი ათასი ქვეითის, სამი ათასი კავალერისტისა და მათი ცხენების, ასი ქვემეხისა და არტილერისტების, მესანგ-რეებისა და მენაღმეების რამდენიმე ასეულის ეგვიპტეში გადასაყვანად ემზადებიან.[285] მათ

---

[281] ავტორი აქ უზუსტობას უშვებს. მოცემულ კონტექსტში ინგლისის, და არა დიდი ბრიტანეთის ხსენება, არაკორექტულია. დაწყებული 1707 წლიდან, შოტლანდიისა და ინგლისის (უელსის ჩათვლით) პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დიდ ბრიტანეთზე ან გაერთიანებულ სამეფოზე. უფრო ადრე, 1603 წელს, შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI შოტლანდიელმა (იგივე იაკობ I ინგლისელი) დინასტიური უნიის სახით მემკვიდრეობით მიიღო ინგლისისა და ირლანდიის სამეფო ტახტები. 1800 წლიდან, დიდი ბრიტანეთის სამეფოსა და ირლანდიის სამეფოს გაერთიანებით შეიქმნა „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“, რომელსაც 1922 წლიდან, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს გამოყოფის შემდეგ, ეწოდა „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“. ქვემოთ, ყველგან ტექსტში ინგლისის ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ „დიდი ბრიტანეთი“ ან „გაერთიანებული სამეფო“.

[282] ეგვიპტური ლაშქრობის გასამართლებლად იმ არგუმენტის მოყვანაც შეიძლება, რომ მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში საფრანგეთი შეიძენდა ახალ მნიშვნელოვან კოლონიას წითელ ზღვაზე, საიდანაც უმოკლესი სახმელეთო გზა გაიხსნებოდა ინდოეთისკენ. დირექტორიის მთავრობამ დიდი ენთუზიაზმით მიიღო ნაპოლეონის მიერ შემოთავაზებული ეგვიპტური ლაშქრობის ეს პროექტი, რაც საშუალებას აძლევდა მას პარიზიდან მოეშორებინა ნაპოლეონი, რომლის პოპულარობაც დღითი-დღე იზრდებოდა. ნაპოლეონ ბონაპარტეს განკარგულებაში იტალიური არმია და საზღვაო ფლოტი იქნა გადაცემული.

[283] მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საფრანგეთის მხრიდან აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პოზიციების შესუსტებაზე მუშაობა არც XIX საუკუნის დამდეგს შემწყდარა. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა მხარი დაუჭირა ნაპოლეონ ბონაპარტეს იდეას ბრიტანეთის ინდოეთის ერთობლივი დალაშქვრის შესახებ. დაიგეგმა ორი – რუსული და ფრანგული ქვეითი კორპუსების (35-35 ათასი კაცი) და არტილერიისა და კაზაკთა ცხენოსანი რაზმების გაგზავნა ინდოეთისაკენ ავღანეთის ტერიტორიების გავლით. ამ კოალიციური არმიის სარდალი მარშალი მასენა უნდა ყოფილიყო. გეგმა ამუშავდა და დაუყოვნებლივ, უკვე 1801 წლის იანვარში შუა აზიისაკენ კაზაკთა 20000-იანი რაზმი დაიძრა, მაგრამ იმპერატორ პავლეს მკვლელობისა და ალექსანდრეს გამეფების შემდეგ, სამხედრო ექსპედიცია გაუქმდა – გაცემულ იქნა ბრძანება რაზმის უკან გამოწვევის შესახებ. ნაპოლეონის ეპოქის შემდგომ კი, „ბრიტანეთის იმპერიის მარგალიტის“ დალაშქვრის შესახებ გეგმები პეტერბურგში სერიოზულად უკვე აღარ განიხილებოდა.

[284] 1798 წლის დასაწყისში ნაპოლეონმა საფრანგეთის ჩრდილოეთი და დასავლეთი სანაპიროების დემონსტრაციული რეკოგნოსცირება ჩაატარა. რეალურად ეს იყო მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის სტრატეგიის გატარება, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. დიდმა ბრიტანეთმა დაიჯერა, რომ, ფრანგების მიერ ირლანდიაში საზღვაო დესანტის გადასხმა მართლაც იგეგმებოდა. ამიტომ ბრიტანულმა ფლოტმა გიბრალტარისა და საფრანგეთის ჩრდილოეთის პორტების ბლოკადა მოაწყო, რითაც ფრანგებს ხმელთაშუა ზღვით გზა გაეხსნათ ეგვიპტისაკენ.

[285] ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტის საექსპედიციო კორპუსის სამეთაურო შემადგენლობა შემდეგი იყო: შტაბის უფროსი – ლუი ალექსანდერ ბერტიე, ხოლო ბრიგადის გენერლები – ჟან ლანი, იოაჰიმ მიურატი და ლუი ნიკოლა დავუ. მთავარსარდლის შტაბის უფროსი ოფიცრები – ჟან ჟუნო და ეჟენ ბოჰარნე.

ასევე ახლდათ ცამეტი ძველი სახაზო გემი, შვიდი ფრეგატი[286] და ქვემეხებით აღჭურვილი გემები. სამხედრო გემები ისეთ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ, რომ რამდენიმე ქვემეხი საერთოდ უნდა აეღოთ ბორტიდან, რადგან ეშინოდათ, რომ დამპალი გემბანი მათ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა.

ნაპოლეონის დაჟინებით ესკადრის[287] მეთაურად დაინიშნა ორმოცდახუთი წლის ადმირალი ფრანსუა-პოლ ბრუე, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა ფლოტის მართვის არანაირი გამოცდილება. ნაპოლეონს სჯეროდა, რომ გაბედული ოპერაციის ყველა მოთხოვნის მიუხედავად, იგი თავისი მოვალეობის შესრულებას გაუმკლავდებოდა. ეს შეცდომა იყო, რომელიც ძალიან მალე გამოაშკარავდება.

1798 წლის 19 მაისს ნაპოლეონი თავის საუკეთესო გენერლებთან და უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად ტულონში საფლაგმანო გემ „ორიენთის“[288] ბორტზე ადის და კურსს ალექსანდრიისკენ იღებს.[289] „ორიენთი“ თავისი დროის უძლიერესი საბრძოლო გემია ასოცი ქვემეხით. გადატვირთული „ორიენთი“ ზღვის ფსკერს ეხება. იყო თუ არა ეს ცუდის მომასწავებელი ნიშანი? ბრიტანელებმაც დიდი ხანია უკვე შეიტყვეს იმ საშიშროების შესახებ, რომ ფრანგები დიდ ოპერაციას გეგმავდნენ. ეს არცაა გასაკვირი – ასეთი მასშტაბის ოპერაციის მალულად მომზადება შეუძლებელი იყო.

2 მაისს ოცდაცხრამეტი წლის კონტრ-ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა განკარგულება მიიღო, გაეცურა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროსკენ სამი სახაზო და სამი სადარაჯო გემით,[290] მაგრამ 20 მაისს ის საშინელ შტორმში მოხვდა, სადაც ბრიტანული

---

286 ფრეგატი – XVII-XVIII საუკუნეებში აფრიანი საზღვაო ხომალდების კლასი. ეს იყო სამანძიანი, ერთი ან ორი საარტილერიო გემბანის მქონე ხომალდი. ფრეგატი სახაზო გემთან შედარებით უფრო მცირე ზომისა იყო და საარტილერიო შეიარაღებითაც ჩამორჩებოდა მას. იგი გამოიყენებოდა როგორც კრეისერული სამსახურისათვის, ანუ საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციებზე საკუთარი სავაჭრო გემების დაცვის უზრუნველყოფისა ან მოწინააღმდეგის სავაჭრო გემების განადგურების, ასევე შორეული დაზვერვისათვის, ე.ი. სახაზო ფლოტის ინტერესებისათვის. გარკვეული აზრით, ფრეგატები კრეისერების წინამორბედებს წარმოადგენდნენ. მთავარი განსხვავება ფრეგატსა და სახაზო გემს შორის მათ დანიშნულებაში იყო – სახაზო გემისგან განსხვავებით ფრეგატები არ გამოიყენებოდა სახაზო ტაქტიკით ბრძოლის საწარმოებლად ზღვაზე. ფრეგატი გამოიყენებოდა როგორც დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული და მცირე ესკადრის ფლაგმანი. ფრეგატებს ხშირად იყენებდნენ ძირითადი ბაზებიდან დიდი მანძილებით დაშორებული ოპერაციების საწარმოებლად, იმდენად, რამდენადაც სახაზო გემებთან შედარებით უკეთესი საზღვაოსნო მახასიათებლები გააჩნდათ.

287 ესკადრა (ფრანგ. Escadre) – სამხედრო-საზღვაო ფლოტში საზღვაო და საოკეანო საომარ მოქმედებათა თეატრებზე ოპერატიული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ფორმირებული სხვადასხვა კლასის ხომალდების ოპერატიული გაერთიანება.

288 „ორიენთი" – ფრანგული სამხედრო-საზღვაო ფლოტის „ოკეანის" ტიპის დიდი 118 ზარბაზნიანი სახაზო გემი, ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტის ესკადრის საფლაგმანო ხომალდი. აგებულ და ჩაშვებულ იქნა წყალში 1791 წლის 20 ივლისს „დოფინ როიალის" დასახელებით. 1795 წელს ხომალდს სახელი გადაერქვა და ეწოდა „ორიენთი". აფეთქებულ და ჩაძირულ იქნა ბრიტანელების მიერ აბუ-ქირის ბრძოლაში. ფრანგული ფლოტის ფლაგმანის განადგურებას ბრიტანელებმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს. ამ დიდი გამარჯვების უკვდავსაყოფად მათ „ორიენთის" მთავარი ანძა, როგორც ძვირფასი რელიქვია, ინგლისში წამოიღეს. ტრაფალგარის ისტორიულ ბრძოლაში (1805 წლის 21 ოქტომბერი) ვიცე-ადმირალ ჰორაციო ნელსონის დაღუპვის შემდეგ კი, მისი ნეშტი ამ ანძის მთლიანი ნაჭრისგან გამოკვეთილ კუბოში ჩაასვენეს და ისე დაკრძალეს.

289 გარდა სამხედრო კონტინგენტისა, ეგვიპტური ექსპედიციის შემადგენლობაში ნაპოლეონმა ჩართო აგრეთვე საფრანგეთის მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები. მათ შორის – ინჟინრები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ბოტანიკოსები, ქიმიკოსები, ისტორიკოსები, ლინგვისტები, ორიენტალისტები და სხვა. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ იმ დროის ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ქიმიკოსი კლოდ-ლუი ბერთოლე, მათემატიკოსები ჟან-ბატისტ ფურიე და გასპარ მონჟი, გეოლოგი დეოდათ დოლომიტი, მხატვარი ნიკოლა კონტე და სხვა, სულ – 167 კაცი. ასე რომ, ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტური სამხედრო ექსპედიცია ამავე დროს წარმოადგენდა იმ დროის ყველაზე დიდ სამეცნიერო კვლევით ექსპედიციას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორიენტალისტიკის ახალი დარგის – ეგვიპტოლოგიის გაჩენას. შემდეგი სამი წლის განმავლობაში მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ მიმდინარეობდა ეგვიპტის დარგობრივი და კომპლექსური შესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონ ბონაპარტეს ავანტიურისტული ეგვიპტური ექსპედიცია, რომელიც თავდაპირველად აშკარად სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულებისა იყო, ნელ-ნელა ტრანსფორმირდა სამეცნიეროში.

290 სადარაჯო გემი – საბრძოლო ხომალდების კლასი, რომლის დანიშნულებაა საზღვაო-სამეთვალყურეო სამსახურის წარმოება, დიდი გემების, აგრეთვე სატრნსპორტო და სადესანტო ხომალდების დაცვა მოწინააღმდეგის საესკადრო ნაღმოსნებისა და კატარღების თვადასხმისაგან ღია ზღვაში და რეიდებზე დგომის დროს.

ფლოტის საფლაგმანო გემი „ვენგარდი“[291] მძიმედ ზიანდება. ცურვის გაგრძელება შეუძლებელი ხდება და დაზარალებული შენაერთი იძულებულია უკან, გიბრალტარისკენ დაბრუნდეს. აქ მას ფრეგატი და სხვა ათი სახაზო გემი ხვდება, სამოცდათოთხმეტი ქვემეხით ბორტზე. მალე ნელსონი ისევ ზღვაში გადის და 17 ივნისს ნეაპოლს აღწევს. აქ იგი შეიტყობს, რომ ფრანგებმა მალტა დაიპყრეს.[292]

ნელსონისთვის უკვე ნათელია, თუ საითკენ მიემართება ფრანგული ფლოტილია[293] – ეგვიპტე, ალექსანდრიისკენ.

ნელსონი შეპყრობილია სურვილით, დაეწიოს მოწინააღმდეგეს, გაუმართოს ბრძოლა და გაანადგუროს იგი. ბრიტანელი კონტრ-ადმირალი პირდაპირ კურსს ირჩევს და იმედი აქვს, რომ ფრანგების ფლოტილიას ალექსანდრიაში შეხვდება, მაგრამ 26 ივნისს იქ ჩასული ვერც ერთ ფრანგულ გემს ვერ აღმოაჩენს. ყველაფერი მარტივად ასახსნელია – ნელსონი ისეთი ტემპით მიცურავდა ზღვაზე, რომ 22 ივნისს ფრანგულ შენაერთს გადაუსწრო და ერთმანეთს ისე ასცდნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს. იგი იმედგაცრუებული ტოვებს ეგვიპტის საპორტო ქალაქს, იმ ვარაუდით, რომ ნაპოლეონი კონსტანტინოპოლისკენ მიემართება. მაგრამ ეს შეცდომაა.

19 ივლისს ბრიტანელთა ფლოტი სირაკუზში შედის, იმარაგებს სურსათს და საბერძნეთის სანაპიროებისაკენ მიცურავს იმ იმედით, რომ სწორედ აქ გადააწყდება ფრანგების ფლოტილიას. როცა შეიტყობს, რომ ფრანგებმა ოთხი კვირის წინ გაიარეს კრეტა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მაშინვე უკან, ალექსანდრიისაკენ მიეშურება. ნაპოლეონმა კი თავისი გეგმის პირველი ნაწილი შეასრულა – ორმოცდღიანი ცურვის შემდეგ, 1798 წლის 2 ივლისს, ფრანგები ხმელეთზე გადავიდნენ და ქალაქი ალექსანდრია აიღეს.

ნაპოლეონს იმედი ჰქონდა, რომ ეგვიპტეში მის ჯარისკაცებს, როგორც განმათავისუფლებლებს, ისე შეხვდებოდნენ და ძალიან მალე აღმოჩნდებოდა მუდმივად ცვალებადი, მეამბოხე და თავისუფლებისთვის მებრძოლი არაბების, ბერძნების, სპარსელებისა და ინდოელებისგან შემდგარი განმათავისუფლებელი არმიის სათავეში. ეს იქნებოდა უზარმაზარი მრავალეროვნული არმია, ზვავი, რომელიც დიდ ბრიტანეთს წალეკავდა. მაგრამ ნაპოლეონი ცდებოდა. მან მოსახლეობისგან ვერც დახმარება და ვერც მხარდაჭერა ვერ მიიღო. ძალიან მალე კი, სრულიად იზოლირებულიც აღმოჩნდა. მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, ეგვიპტის „განმათავისუფლებლები” დამპყრობლებად გადაიქცნენ. ეგვიპტის მამლუქთა არმია ნაპოლეონს აუმხედრდა და ძალიან მალე ისიც გაცხადდა, რომ მათთან შებრძოლება გარდაუვალი იყო.

– „ჯარისკაცებო, ამ პირამიდებიდან ჩვენ ორმოცი საუკუნე გადმოგვყურებს!“ – მოუწოდა ბრძოლის დაწყების წინ ნაპოლეონმა ჯარისკაცებს. ნაპოლეონ ბონაპარტე კიდევ ერთხელ აღწევს ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებას. უდაბნოს ცხელ ქვიშაში დამქანცველი მარშის შემდეგ, 1798 წლის 21 ივლისს, სამაგალითო ტაქტიკის წყალობით, მისი

---

[291] „ვენგარდი” – დიდი ბრიტანეთის სამეფო ფლოტის მესამე რანგის 74 ზარბაზნიანი სახაზო გემი, „აროგანტის” ტიპის მეათე ხომალდი. წყალში ჩაუშვეს 1787 წლის 6 მარტს. მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის ეპოქის ბრძოლებში. ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტური ექსპედიციის დროს წარმოადგენდა კონტრ-ადმირალ ნელსონის საფლაგმანო ხომალდს. 1808 წლიდან ბალტიის ზღვის აკვატორიაში იცავდა ბრიტანულ სავაჭრო გემებს. 1812 წელს გადაკეთდა მცურავ ციხედ, 1814 წლიდან კი, დენთის საწყობად. 1821 წელს დაშალეს და ჩაუტარეს უტილიზება.

[292] მალტის დაპყრობის შემდეგ ნაპოლეონმა კუნძულზე ოთხიათასიანი ფრანგული გარნიზონი დატოვა.

[293] ფლოტილია – სამხედრო ხომალდების ფორმირება, ოპერატიული გაერთიანება, რომელიც წარმოადგენს დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილს. ფლოტილია გამოიყენება განსაზღვრულ რაიონში (მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე) საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

ჯარი პირამიდების ძირში მურად ბეის[294] ორმოციათასიან მამლუქთა არმიას ამარცხებს.[295] იგი ქაიროში როგორც გამარჯვებული, ისე შევიდა.[296]

სწორედ ამ დროს კი, ალექსანდრიაში ხმელეთზე მისი ფლოტის მეზღვაურების ნახევარი გადავიდა საკვებისა და წყლის მარაგების შესავსებად. ადმირალ ბრუეს განზრახული ჰქონდა კორფუსკენ გაცურვა, რათა გემები უსაფრთხო ადგილას გაეყვანა, მაგრამ ნაპოლეონმა არჩია გემები სანაპიროსთან ახლოს გაეჩერებინა და ნებისმიერ დროს მზადყოფნაში ჰყოლოდა, რისთვისაც ალექსანდრიაში დარჩენა უბრძანა.

ბრუეს ეს გეგმა არ მოსწონდა. როგორც ყველა მეზღვაურს, მასაც ეშინოდა, რომ მისი გემები შესაძლოა ქარიშხალს ჩაეძირა თუ ხმელეთთან ახლოს ჩაუშვებდნენ ღუზას. მისი შიში დაუსაბუთებელი იყო, რადგან ნავსადგურთან წყლის სიღრმე რვა-ოცი მეტრი იყო და ყველაზე დიდ ფრანგულ გემს ექვს-ათ მეტრზე მეტი წყალშიგი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბრუემ გემები ნავსადგურის გარეთ, ალექსანდრიიდან ჩრდილო-დასავლეთით, აბუ-ქირის ნამგლის ფორმის ყურესთან განალაგა სიგრძეზე, ხმელეთის პარალელურად, დაახლოებით ორი გემის სიგრძის დაშორებით. ხაზის უკიდურესი ბოლო ზედ კლდეებთან მდებარეობდა, აბუ-ქირის კონცხის წყალმარჩხ ადგილას, ასე რომ მოწინააღმდეგის გემები იქ ვერანაირად ვერ გაივლიდნენ.[297] ადმირალი ბრუე დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და ნაკლებად უშვებდა სხვა ვარიანტს. მაგრამ ესეც დიდი შეცდომა იყო, რომელსაც ძალიან მალე ფრანგული ფლოტისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

---

[294] მურად ბეი (1750-1801წ.წ.) – წარმოშობით ქართველი, თბილისში დაბადებული ეგვიპტის ოსმალო გუბერნატორი (კაიმაკამი) 1784-1785 წლებში, ეგვიპტელ მამლუქთა ბელადი, ცხენოსანი ჯარების სარდალი. მისი ნამდვილი გვარი უცნობია. მურად ბეისთან ერთად ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის წინააღმდეგ გიზის პირამიდებთან ბრძოლაში ეგვიპტელთა ჯარს სარდლობდა ასევე ქართული წარმოშობის, მარტყოფში დაბადებული იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი (1735-1817წ.წ.), ასევე ეგვიპტის ოსმალო გუბერნატორი (კაიმაკამი) 1780-1781, 1784-1785, 1803-1804 წლებში, მამლუქთა ბელადი, გაერთიანებული ეგვიპტის მმართველი და ჯარების მთავარსარდალი. იბრაჰიმ ბეი მეორედაც შეებრძოლა ნაპოლეონის არმიას ჰელიოპოლისთან 1801 წლის 20 მარტს, რომელსაც გენერალი ჟან-ბატისტ კლებერი სარდლობდა, და მეორედაც დამარცხდა. ამ მარცხებმა მას საბოლოოდ დააკარგვინა ეგვიპტეზე ხელისუფლება. გარდაიცვალა ყველასგან დავიწყებული, 1817 წელს.

[295] სტრატეგიული მარშისა და საბრძოლო მანევრის სახეობა, რომელიც ნაპოლეონმა გამოიყენა ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლაში, Bataillon Carreé იყო. ეს იყო არმიის ან საარმიო კორპუსების სტრატეგიული გაშლა და საბრძოლო მარში, სადაც კორპუსები ალმასის ფორმის მართკუთხა ფიგურას ქმნიდნენ წინწაწეული გვარდიის ნაწილებითა და საკავალერიო მზირით, მარჯვენა და მარცხენა ფლანგით და შტაბით ცენტრში, არიერგარდითა და რეზერვით. Bataillon Carreé სწრაფად მიიწევდა მოწინააღმდეგის სავარაუდო განლაგების ადგილისაკენ და დასმული ამოცანის შესაბამისად მისი ფრონტი 40-250 კმ-ს შეადგენდა. უმნიშვნელოვანესი იყო ის ფაქტორი, რომ სტრატეგიული მარშის დროს წყობის თითოეული ელემენტი (კორპუსი) ერთი დღე-ღამის სავალ მანძილზე იყო დაშორებული მეზობელი კორპუსებისაგან. კავშირისა და ინფორმაციის გაცვლისათვის მათ შორის რეგულარულად მიმოდიოდნენ საკავალერიო ქვედანაყოფები. რომელიმე კორპუსის მიერ მოწინააღმდეგის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ ებმებოდა მასთან საბრძოლო მოქმედებებში, ამავე დროს მეზობელი კორპუსებიდან ერთი შეუმჩნევლად გადიოდა მტრის ზურგში, ხოლო მეორე გაძლიერებული მარშით მიემართებოდა ბრძოლის ადგილისაკენ და ებმებოდა ბრძოლაში.

[296] 1798 წლის 21 ივლისს გიზის პირამიდებთან გამართულ ბრძოლაში, დახვეწილი სამხედრო ტაქტიკის გამოყენებით ნაპოლეონ ბონაპარტემ სასტიკად დაამარცხა მურად ბეისა და იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილის სარდლობით მებრძოლი მამლუქთა არმია. აქ ნაპოლეონმა თვითოეული დივიზია კარეს წყობაში დაალაგა, რომლის კუთხეებშიც არტილერია იყო განლაგებული, ხოლო კავალერია და საზიდრები – შუაში. იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილისა და მურად ბეის ჯარები მარჯვენა ფლანგით მდინარე ნილოსს ებჯინებოდნენ, ხოლო მარცხენათი – პირამიდებს. მარჯვენა ფლანგი 20 ათასი იანიჩარისა და 40 ზარბაზნისაგან შედგებოდა, ცენტრი და მარცხენა ფლანგი – მამლუქებისა და შეიხების 12 ათასიანი კავალერიისგან, ხოლო უკიდურეს მარცხენა მხარეს არაბი ბედუინების 9 ათასიანი ლაშქარი იყო განლაგებული. შვიდსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაჭრილი მურად ბეი გადარჩენილ 3000 მამლუქთან ერთად ზემო ეგვიპტეში გაიქცა, ხოლო მთავარსარდალმა იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილმა 1200 მამლუქთან ერთან ქაიროს გავლით სირიას შეაფარა თავი. არაბი ბედუინები უდაბნოში მიმოიფანტნენ. ფრანგებმა ამ ბრძოლაში მხოლოდ 300 კაცი დაკარგეს.

[297] აბუ-ქირის კლდოვან კონცხზე პატარა ზომის ფორტი მდებარეობდა, რომელიც ფრანგებმა დაიკავეს. ბრუემ აქ ოთხი ზარბაზანი და ორი მორტირა დააყენა თავისი გათვლებით. კონცხთან ახლოსვე, აღმოსავლეთის მხარეს დადგნენ ღუზაზე ფრანგული ესკადრის საკანონერო ნავები.

1798 წლის 1 აგვისტოს, ნაშუადღევს, ადმირალ ნელსონის ფლოტი აბუ-ქირის ყურეს მიადგა და ჩვიდმეტი ფრანგული სამხედრო გემი დაინახა. ადმირალი ბრუე დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანელები არ გარისკავდნენ და სიბნელეში არ გადავიდოდნენ შეტევაზე. ეს მათ აქამდე არასდროს გაუკეთებიათ. ფრანგების ფლოტილიის უფროსი შემოიფარგლა გემებს შორის ბაგირების გაჭიმვით, რათა ხელი შეეშალა მოწინააღმდეგის გემების შესვლისათვის და უარი თქვა უსაფრთხოების შემდგომი ზომების გატარებაზე. ამ მომენტისათვის მისი მატროსების ნახევარი ბორტზე არ იმყოფებოდა, ამიტომაც მისი ქვედანაყოფი ბრძოლისთვის მზად არ იყო. მაგრამ ბრუე ამაზე საერთოდ არ ნერვიულობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანელები ღამით არ დაიწყებდნენ ბრძოლას. მისი აზრით, ბრიტანელები იმ დროისათვის არსებული ბრძოლის წესების დაცვით, მხოლოდ დილით შეუტევდნენ ზღვიდან ფრანგულ ფლოტილიას და ეს იქნებოდა კლასიკური საზღვაო ბრძოლა, სადაც გემები ხაზოვანი ტაქტიკის გამოყენებით გვერდული ზალპებით გაუხსნიდნენ ერთმანეთს ცეცხლს. აქ კი ფრანგები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. ფრანგებს უფრო მეტი ქვემეხი ჰქონდათ, ვიდრე ბრიტანელებს და მათი მსხვილკალიბრიანი საგემბანე არტილერიაც ორჯერ უფრო მძიმე ჭურვებს ისროდა, ვიდრე ბრიტანელებისა. მაგრამ ბრუე აქაც ცდებოდა. ფრანგმა ადმირალმა სწორად ვერ განჭვრიტა ბრიტანელთა შემდგომი მოქმედებების ლოგიკა.

ადმირალი ნელსონი უსწრაფესად ამოიცნობს იმ შანსს, რასაც მას ღუზაჩაშვებული უძრავად მდგარი ფრანგული გემები აძლევდა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტს შეტევის დაწყებას.[298] ამასთან იგი თავის კაპიტნებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. ბრიტანული ხომალდის, „გოლიათის“ კაპიტანი ფოლეი შეამჩნევს ფრანგული გემების წყობაში არსებულ რღვეულს სანაპიროს მხარეს და იწყებს გაბედული მანევრის შესრულებას. ნაპირთან მდებარე სახიფათო მეჩეჩისა და რიფების მიუხედავად, იგი ძვრება ფრანგების მიერ დატოვებულ რღვეულში და თავის გემს სასროლ პოზიციაზე აყენებს. მას სამი გემი მიჰყვება და მოწინააღმდეგის ესკადრას მარწუხებში აქცევს. ბრიტანელთა ფლოტის საბრძოლოდ გამზადებული ეკიპაჟები ქვემეხებთან ცეცხლის გახსნის ბრძანებას ელოდებიან.

საღამოხანს, შებინდებისას „გოლიათი“ ცეცხლს უხსნის ახლომდებარე ფრანგულ გემს და ნამსხვრევებად აქცევს მას. შემდეგ ოთხივე გემი ერთად ხსნის ცეცხლს სანაპიროს მხრიდან, ფრანგული ხაზის მეორე გემისკენ და მასაც ნამსხვრევებად აქცევს. იმავდროულად ნელსონის გემები ბრძოლაში ზღვის მხრიდან ერთვებიან. ფრანგებიც თავგამოდებით ჩაებნენ ბრძოლაში. მათი ხომალდები საპასუხო ცეცხლს უხსნიან მოწინააღმდეგეს. ნელსონის საფლაგმანო გემი „ვენგარდი“ მძიმე დარტყმას იღებს და ჩაძირული დენთის მარაგითა და განადგურებული ქვემეხებით იძულებულია ბრძოლიდან გავიდეს. თავად ადმირალ ნელსონს კარტეჩი ხვდება თავში უსინათლო თვალს ზემოთ და გონებას აკარგვინებს მას.

ფრანგთა საფლაგმანო გემის, „ორიენთის“ ბორტიდან გახსნილ ცეცხლს „ბელეროფონი“ გამოყავს მწყობრიდან, ორასზე მეტი ბრიტანელი მეზღვაური უსულოდ ეცემა ბორტზე. ორი ბრიტანული გემი საპასუხოდ ესვრის „ორიენთს“ და ხანძარს უჩენს მას. მის ბორტზე მყოფი ადმირალი ბრუე მძიმედაა დაჭრილი, მაგრამ იგი არ ნებდება და მაინც განაგრძობს ბრძოლას. თავში ღია ჭრილობით და გაგლეჯილი ფეხით სავარძელში ჯდება და ბრძანებებს ასე იძლევა მანამდე, ვიდრე მეორე ქვემეხის ჭურვი არ აფეთქდება

[298] რა თქმა უნდა, ღუზაჩაშვებული და უძრავად მყოფი ფრანგული ფლოტის გემები მანევრირების ყოველგვარ საშუალებას იყვნენ მოკლებულნი. და რაც მაათავარია, ისინი მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდნენ ბრიტანელთა საგემბანე არტილერიისათვის.

„ორიენთის" გემბანზე და არ დაფლეთს მას. მაგრამ ბრძოლა ბრუეს დაღუპვის შემდეგაც გრძელდება. ფრანგების საფლაგმანო ხომალდზე არსებული მდგომარეობა თანდათან მძიმდება. მასზე ხანძარი მძვინვარებს, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდება, ფართოვდება და დენთის შესანახ ტრიუმამდე აღწევს. მდგომარეობა კრიტიკულია. დაახლოებით 22 საათზე ფრანგთა სამგემბანიანი სახაზო გემი ფეთქდება. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა ოცდათორმეტ კილომეტრზე გაისმის და თექვსმეტი კილომეტრის მანძილზეა შესაძლებელი მისგან ავარდნილი ცეცხლის ალის დანახვა ალექსანდრიის ღამის ცაზე. საშინელი სურათია. თვით ბრიტანელებიც კი შეძრწუნებულები უყურებდნენ სისხლიან, დამწვარ და დამახინჯებულ გვამებს, რომლებიც ზღვის ტალღებზე ირწევიან. ხუთი წუთით ქვემეხებიც კი დუმდებიან.

ფრანგული ფლოტის თავდაცვის გრძელი ხაზის მნიშვნელოვანი საყრდენის, საფლაგმანო გემის განადგურების შემდეგ ბრძოლის ბედი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ იგი მაინც გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში. გამთენიამდე ფრანგებმა კიდევ თერთმეტი სახაზო გემი და ორი ფრეგატი დაკარგეს, დაიღუპა ხუთი ათასამდე მეზღვაური. ყველაფერი დასრულდა, ინგლისელთა ფლოტმა გაიმარჯვა. ფრანგებიდან მხოლოდ კონტრადმირალმა ვილნევმა მოახერხა ოთხი გემით ყურიდან გაქცევა და მალტამდე ჩაღწევა.

მეორე დღის ნაშუადღევის სამი საათისათვის უკვე დადგენილია ბრიტანული ფლოტის ძლევამოსილი გამარჯვების მასშტაბები.[299] ბრიტანელთა გემებზე ღვთისმსახურება ჩატარდა ორივე მხარის გარდაცვლილების სულების მოსახსენებლად. ბრიტანელებმა გაიმარჯვეს და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაზე კონტროლი ისევ სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელში გადადის. ნაპოლეონის ფლოტი განადგურებულია, მისი „აღმოსავლეთის არმია" კი კვლავ ეგვიპტეშია იზოლირებული ყველანაირი სახის მომარაგებას მოწყვეტილი. ყველაფერი უკვე ნათელია, ფრანგებმა უარი უნდა თქვან ინდოეთის დალაშქვრის გეგმაზე. ეს ნამდვილი სამხედრო კატასტროფა და ნაპოლეონის მიერ განცდილი პირველი დიდი მარცხი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას ხელი უნდა აეღო ალექსანდრე დიდის გზის გაგრძელების ოცნებაზე. აბუ-ქირთან განცდილმა მარცხმა მძიმედ იმოქმედა არმიაზე. ფრანგული არმიის სირიაში მარშმაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგები. შეუძლებელი აღმოჩნდა იქაური ციხესიმაგრეების აღება. საერთო ჯამში, ლაშქრობა წარუმატებლად დასრულდა.

ოთხთვიანი ტანჯვისა და მსხვერპლშეწირვის შემდეგ უდაბნოს გავლით იწყება ფრანგთა საშინელი ოცდახუთდღიანი უკანდახევა ქაიროსკენ. ნაპოლეონი კი, უახლოეს პირებთან ერთად ტოვებს თავის არმიას და მალულად სასწრაფოდ მიემგზავრება ფრეგატით საფრანგეთისაკენ. მოგვიანებით მისი „აღმოსავლეთის არმია", რომელიც შავი ჭირის ეპიდემიისაგან ერთი მესამედითაა შემცირებული, კაპიტულაციას აცხადებს.

ფრანგებს აბუ-ქირის ბრძოლა რომ მოეგოთ, მაშინ ევროპისა და მსოფლიოს ისტორია ეჭვგარეშეა სულ სხვანაირად გადაიწერებოდა – ნაპოლეონის მიერ ეგვიპტის

---

[299] ბრიტანელთა დანაკარგები 218 მოკლულსა და 677 დაჭრილს შეადგენდა. თუმცა, შემდგომში ჭრილობებისგან გარდაცვლილთა რიცხვი უცნობია. ყველაზე დიდი დანაკარგები ხომალდებმა „ბელეროფონმა" და „მაჯესთიქმა" განიცადეს, სადაც მსხვერპლი შესაბამისად 201 და 193 კაცი იყო. ფრანგთა საბრძოლო დანაკარგების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა, ბრიტანელებთან შედარებით იგი გაცილებით დიდი იყო. ეს დანაკარგები 2000-დან 5000-მდე უნდა შეფასდეს. ამასთან ერთად, დიდი იყო ფრანგთა სამეთაურო შემადგენლობის დანაკარგები. ადმირალი ბრუე დაიღუპა, ინგლისელი ადმირალი ჯონ ბლანკეტი კი, დაიჭრა. ბრძოლაში დაიღუპა აგრეთვე ფრანგული ფლოტის ოთხი გემის კაპიტანი, ხოლო შვიდი მძიმედ დაიჭრა. დიდად დაზარალდა ფრანგული ფლოტიც. ორი სახაზო გემი და ორი ფრეგატი ბრიტანელებმა ჩაძირეს. სამი ხომალდი იმდენად დაზიანდა, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი გახდა. საერთო ჯამში, ფრანგული ფლოტიდან მხოლოდ სამი გემის აღდგენა მოხერხდა. ბრძოლიდან ოთხი კვირის განმავლობაში ეგვიპტის სანაპირო ზოლში ზღვის ტალღები ბრძოლაში დაღუპულთა გვამებს რიყავდა.

დალაშქვრის ოპერაცია გამარჯვებით დასრულდებოდა. საკომუნიკაციო და მომარაგების გზები ფრანგული არმიისათვის ღია იქნებოდა და ჯარისკაცებიც სულ სხვაგვარი სულისკვეთებით იბრძოლებდნენ. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში ფლოტის დაკარგვა ბრიტანელთათვის იმას ნიშნავდა, რომ ისინი განწირულები იქნებოდ-ნენ, ვეღარ შეძლებდნენ სახლში დაბრუნებას და სირიაც და ეგვიპტეც ფრანგების ხელში გადავიდოდა, რომლებიც მათ საბოლოოდ გააძევებდნენ ხმელთაშუა ზღვიდან.

ნაპოლეონი მიაღწევდა იმას, რის მიღწევასაც ამაოდ შეეცადნენ ამ ამბებიდან ასორმოცდაოთხი წლის შემდეგ ჰიტლერი და რომელი. ფრანგებს საკუთარ მფლობე-ლობაში ექნებოდათ კონტინენტური ხიდი აზიისკენ და მათთვის ღია იქნებოდა სპარსეთის, ავღანეთისა და ინდოეთისკენ მიმავალი გზა. დიდი ბრიტანეთი ინდოეთს დაკარგავდა. ამ უმნიშვნელოვანესი დომინიონის გარეშე კი, იგი აუცილებლად წააგებდა ომს ნაპოლეონთან. საფრანგეთი კონტინენტური ბლოკადის სისტემას[300] აღარ შექმნიდა, ხოლო ხმელთაშუა ზღვაზე და ახლო აღმოსავლეთში გამარჯვების შემდეგ იგი აუცილებლად გაბედავდა ბრიტანული კუნძულების ინტერვენციას და მოსკოვსაც აღარ დალაშქრავდა 1812 წელს. ეჭვგარეშეა, რომ შემდგომი ისტორიული პროცესები და მოვლენებიც სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ასე რომ, აბუ-ქირის ბრძოლის დროს დაშვებულმა შეცდომებმა გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია კაცობრიობის ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე.

[300] კონტინენტური ბლოკადა, ან სხვანაირად კონტინენტური სისტემა – 1806-1814 წლებში საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ I ბონაპარტეს მიერ თავისი მთავარი მოწინააღმდეგის, დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების სისტემა. დეკრეტი კონტინენტური ბლოკადის შესახებ, ნაპოლეონის არმიის მიერ პრუსიელთა განადგურების შემდეგ, 1806 წლის 21 ნოემბერს გამოიცა ბერლინში. დეკრეტში გადმოცემული იყო კონტინენტური სისტემის საფუძვლები, ამასთანავე მყარდებოდა მკაცრი კონტროლი ნაპოლეონის იმპერიის, ანუ, თითქმის მთელი ევროპის სანაპირო ხაზის გასწვრივ. ამ სისტემაში თავიდანვე გაერთიანდნენ საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი და დანია. 1807 წლიდან, ტილზიტის ზავის დადების შემდეგ, ბლოკადას შეუერთდა რუსეთი და პრუსია, 1809 წელს კი – ავსტრია და შვედეთი. დიდმა ბრიტანეთმა კონტინენტურ ბლოკადას კონტრბლოკადით უპასუხა, რაც თავის თავში მოიცავდა საზღვაო ვაჭრობის წინააღმდეგ წარმოებული ომის ფართოდ გაშლას და კონტრაბანდულ ვაჭრობას.

ნაპოლეონ ბონაპარტე იტალიური კამპანიის დროს არკოლეს ხიდთან.
ანტუან-ჟან გროსის ნახატი. პარიზი, ლუვრი. 1801 წელი

ფრანსუა-პოლ ბრუე
(1753-1798)

პიერ-შარლ დე ვილნევი
(1763-1806)

ჰორაციო ნელსონი
(1758-1805)



იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი
(1735-1817)

მურად ბეი
(1750-1801)



ფრანგული ფლოტის ფლაგმანი „ორიენთი” ტულონის ნავსადგურში.
კაპიტანი ლიუკ კასაბიანკა. 1797 წელი

ფრანგული ფლოტი მალტაზე



ფრანგული და ბრიტანული ფლოტების ცურვის მარშრუტები ხმელთაშუა ზღვაში

გიზის პირამიდები

ქაირო. ქალაქის ციტადელი. 1800 წელი

ბრძოლა პირამიდებთან. რომანტიზირებული ვარიანტი.
ანტუან-ჟან გროს ნახატი. 1810 წელი



ბრძოლა პირამიდებთან. 1798 წლის 21 ივლისი. შორ პლანზე კარგად ჩანს კარედ დაწყობილი ფრანგული ჯრები

ბრძოლა პირამიდებთან. ლუის-ფრანსუა ლეჟანის ნახატი. 1808 წელი



ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტური კამპანია

ნაპოლეონი და მისი შტაბი ეგვიპტეში. ჟან-ლეონ ჟერომის ნახატი. 1863 წელი.

გენერალი ნაპოლეონი ქაიროში. პრინსტონის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმი.

ნაპოლეონ ბონაპარტე სფინქსთან. ჟან-ლეონ ჟერომის ნახატი. 1868 წელი



პირამიდებთან ბრძოლის სქემა. 1798 წლის 21 ივლისი

ადმირალ ნელსონის საფლაგმანო გემი „ვენგარდი". კაპიტანი ედუარდ ბერი



ნილოსის (აბუ-ქირის) ბრძოლის წინ ფრანგული და ბრიტანული ფლოტების განლაგება, 1798 წლის 1 აგვისტო. თომას ვიტკომბის ნახატი. ბრიტანეთის ნაციონალური მუზეუმი. 1816 წელი

ნილოსის (აბუ-ქირის) ბრძოლის წინ. 1798 წლის 1 აგვისტო. ნიკოლას პოკოკის ნახატი. ბრიტანეთის ნაციონალური საზღვაო მუზეუმი. 1808 წელი



ფრანგული ფლოტის პოზიცია მდინარე ნილოსის შესართავთან და ლორდ ჰორაციო ნელსონის შეტევითი მოქმედებები. რობერტ დოდის ნახატი, 1800 წელი. ბრიტანეთის ნაციონალური საზღვაო მუზეუმი



აბუ-ქირის ბრძოლის გამარტივებული სქემა. 1798 წლის 1-2 აგვისტო. ბრიტანული ხომალდები წითელი ფერისაა, ფრანგული – ლურჯი. ფრანგული და ბრიტანული ესკადრების ხომალდების შუალედური მდებარეობები მოცემულია შედარებით ღია ფერებში

ნილოსის (აბუ-ქირის) ბრძოლა. თომას ლუნის ნახატი, 1830 წელი.
ნაციონალური საზღვაო მუზეუმი

ფრანგული ფლოტის ფლაგმანის, „ორიენთის" აფეთქება. 1798 წელი.
ჯონ თომასის ნახატი

„ორიენთის” ნამსხვრევები

ნილოსის ბრძოლა. თომას ლუნის ნახატი. 1834 წელი

ნილოსის ბრძოლა. ფრანგული ფლოტის ფლაგმანის, „ორიენთის" აფეთქება. 1798 წლის 1 აგვისტო. თომას ვითკომბის ნახატი. ბრიტანეთის ნაციონალური საზღვაო მუზეუმი

ნილოსის (აბუ-ქირის) ბრძოლა. თავში დაჭრილი ნელსონი უბრუნდება ბრძოლის მართვას. დანიელ ორმის ნახატი. 1805 წელი. ბრიტანეთის ნაციონალური საზღვაო მუზეუმი

სირია, 1799 წლის 6 აპრილი – „ბრძოლა თაბორის მთასთან". ლეონ კონესა და ემანუელ ფილიპოტოს ნახატი. 1837 წელი. ნახატზე კარგად ჩანს ფრანგთა მიერ დაწყობილი კარე.



ეგვიპტისა და სირიის კამპანიების რუკა

ნაპოლეონი ამნისტიას უცხადებს ქაიროში აჯანყებულებს

ნაპოლეონი პირამიდებთან



ნაპოლეონის არაბული ცხენი „მარენგოს" ჩონჩხი. არმიის მუზეუმი. ლონდონი



„ნილოსის ბრძოლის გამარჯვებულების" სიგელი – ჰორაციო ნელსონისა და მისი ფლოტის 14 კაპიტნის გამოსახულებით, მიძღვნილი ნილოსის ბრძოლის 5 წლისთავისადმი

ნილოსის ბრძოლისადმი მიძღვნილი ბრიტანული ოქროს მედალი. გამოიყენებოდა ლურჯ-თეთრი ლენტით. არსებობდა 4 ხარისხის მედალი. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ ადმირალი ნელსონი და მისი კაპიტნები, ვერცხლით – კაპიტან-ლეიტენანტები, მოოქროვილი სპილენძით – უმცროსი ოფიცრები, ბრინჯაოთი – მატროსები და უმცროსი ჩინები.



LA DÉCADE
EGYPTIENNE,
JOURNAL LITTÉRAIRE
ET
D'ÉCONOMIE POLITIQUE.

QUATRIÈME VOLUME.

BIBLIOTHÈQUE NATIONALE R.F. IMPRIMÉS
ACQUISITION N.° 67,084

AU KAIRE,
DE L'IMPRIMERIE NATIONALE.

AN IX DE LA RÉPUBLIQUE FRANÇAISE.

ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ 1798 წლის 22 აგვისტოს დაარსებული ეგვიპტის ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის „ეგვიპტური დეკადა" ერთ-ერთი ნომერი



„გიზის პირმიდები და სფინქსი". ცნობილი ფრანგი ეგვიპტოლოგის, ლუვრის მუზეუმის დამაარსებლისა და მისი პირველი დირექტორის, დომინიკ ვივან-დენონის ნახატი. 810 წელი

ნაპოლეონის ეგვიპტურ ექსპედიციაში დაღუპული ფრანგი ჯარისკაცების სასაფლაო ქაიროში

ნაპოლეონის ჯარისკაცების მონუმენტი სტელა მარიას მონასტერში. ჰაიფა, ისრაელი

§3.6. „ვისურვებდი, რომ ყოფილიყო ღამე...” (ვატერლოო, 1815 წლის 18 ივნისი)

რომ არსებობდეს იმ შეცდომებისა და ცდომილებების სია, რაც კი ოდესმე დაუშვიათ ადამიანებს ომებში, ბრძოლებსა თუ საომარ კამპანიებში, მაშინ ამ სიაში ვატერლოო ალბათ რიგით პირველ ადგილს დაიკავებდა. ვატერლოოს ბრძოლა ერთი დიდი ეპოქის დასასრული იყო. ამ დრამატული ბრძოლის „მსოფლიო მნიშვნელობის წუთებს“ კი, მცდარი ვარაუდები უძღოდა წინ.

ნაპოლეონ ბონაპარტე, საფრანგეთის იმპერატორი[301], 1814 წელს თანამდებობიდან გადააყენეს და აპრილის თვეში კუნძულ ელბაზე გადაასახლეს.[302] ევროპელი მონარქები და მოკავშირეები ფიქრობდნენ, რომ ევროპის ისტორიის ერთ-ერთი სისხლიანი თავი ამით საბოლოოდ დასრულდა. მაგრამ ასი დღის შემდეგ, 1815 წლის 26 თებერვალს, ნაპოლეონი ელბადან გამოიქცა და საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს მიადგა ათასამდე უერთგულეს თანამებრძოლთან ერთად.[303] იგი ფორსირებული მარშით მიემართება ჩრდილოეთისკენ და თავისი შეიარაღებული ძალებით, რომელიც რამდენიმე დღეში დაახლოებით ორმოცი ათასი ჯარისკაცით იზრდება, პარიზამდე აღწევს.

„არწივების გადაფრენა“ მოხერხდა, ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე გაბედული და სახიფათო თავგადასავალი. მან „დაიბრუნა თავისი უფლებები“ და კვლავ საფრანგეთის იმპერატორი გახდა. ხალხი მას სიხარულით ეგებება და ჯარისკაცებს იგი სასახლის კიბეებზე აჰყავთ „ვაშას“ ძახილით, საიდანაც სულ მალე გაიქცევა მეფე ლუი XVIII ბურბონი[304]. ნაპოლეონი სანდო ადამიანებისგან ადგენს ახალ მთავრობას და სამშვიდობო წინადადებით მიმართავს რუსეთს, ავსტრიას, პრუსიასა და ბრიტანეთს. მაგრამ მას იმედები უცრუვდება. გამარჯვებულ მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურები სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი დაუყოვნებლივ ახდენენ ნაპოლეონისათვის არასასურველ რეაგირებას და იგი „კაცობრიობის მტრად“ და კანონგარეშედ ცხადდება. პრაქტიკულად ნაპოლეონი

---

[301] 1804 წლის 18 მაისს საფრანგეთის სენატის დადგენილებით მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ნაპოლეონ ბონაპარტე იმპერატორად ცხადდებოდა. ამავე დროს, ახალ იმპერიაში აღდგენილ იქნა მარშლის წოდება, რომელიც რევოლუციის წლებში იყო გაუქმებული. საფრანგეთის არმიის 18 ყველაზე პოპულარულ გენერალს იმპერიის მარშლის წოდება მიენიჭა. იმავე წლის 2 დეკემბრის ღამეს კი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, პაპი პიუს VII-ის მიერ შედგა ნაპოლეონ ბონაპარტეს კორონაცია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კორონაციაზე წარმოდგენილ იქნა ორი – საღვთო რომის იმპერატორის ოქროს და კაროლინგების დინასტიის რკინის გვირგვინის რეპლიკა. ნაპოლეონმა, რომელიც ცერემონიალზე დაფნის გვირგვინით გამოცხადდა ხელიდან გამოსტაცა პაპს კაროლინგების გვირგვინი და თავად დაიდგა იგი.

[302] 1814 წლის 3 აპრილს საფრანგეთის სენატმა ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელისუფლებიდან გადაყენება გამოაცხადა და ახალი მთავრობა შეადგინა შარლ მორის დე ტალეირანის მეთაურობით. მარშლები ნეი, ბერტიე და ლეფევრი ურჩევდნენ ნაპოლეონს, რომ შვილის სასარგებლოდ გადამდგარიყო. 1814 წლის 6 აპრილს, პარიზთან ახლოს, ფონტენბლოს სასახლეში ნაპოლეონი ტახტიდან გადადგა. ფონტენბლოში მიღწეული შეთანხმების თანახმად, რაზეც ნაპოლეონმა მოკავშირე მონარქების თანდასწრებით მოაწერა ხელი, მან გადადგომის საფასურად ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პატარა კუნძული ელბა მიიღო მფლობელობაში. ეს აქტი ნაპოლეონის პოლიტიკისგან ჩამოშორებასა და ფაქტიურ გადასახლებას ნიშნავდა. 1814 წლის 20 აპრილს ნაპოლეონ ბონაპარტე ტოვებს ფონტენბლოს და კუნძულ ელბასკენ მიემგზავრება.

[303] ნაპოლეონ ბონაპარტეს კუნძულ ელბაზე ყოფნის ვადასთან დაკავშირებით ავტორი უზუსტობას უშვებს. იგი ფაქტიური გადასახლებიდან არა 100 დღის, არამედ ცხრა თვისა და 21 დღის შემდეგ, 1815 წლის 26 თებერვალს დაბრუნდა საფრანგეთში. რაც შეეხება ავტორის მიერ ნახსენებ „100 დღეს”, აქ საუბარია ნაპოლეონ ბონაპარტეს პარიზში ჩამოსვლის თარიღს – 1815 წლის 1 მარტსა და დროებითი მთავრობის გარეკვამდე, 1815 წლის 7 ივლისამდე საფრანგეთის ისტორიის პერიოდს.

[304] ლუდოვიკო XVIII, ლუი სტანისლას ქსავიე (ფრანგ. Louis XVIII, Louis Stanislas Xavier) (1755-1824წ.წ.) – ბურბონთა დინასტიის საფრანგეთის მეფე 1814-1824 წლებში (დე-იურე 1795 წლიდან), ლუდოვიკო XVI-ის ძმა. მისი მეფობის პერიოდში პროვანსის გრაფი, ემიგრაციაში ყოფნის დროს კი, ლილის გრაფი. საფრანგეთის მეფის ტახტი დაიკავა ნაპოლეონ I-ის გადადგომისა და ბურბონთა დინასტიის რესტავრაციის შედეგად. ლუდოვიკო XVIII იყო საფრანგეთის უკანასკნელი მონარქი, რომელიც არ იქნა ჩამოგდებული რევოლუციის შედეგად. მისგან განსხვავებით, მეფეები – კარლოს X, ლუი-ფილიპე I და იმპერატორი ნაპოლეონ III ტახტიდან ჩამოაგდეს.

განწირულია. საერთო ხელშეკრულებით ამ ქვეყნებმა აიღეს პასუხისმგებლობა, რომ ევროპის ქვეყნებიდან ივლისის ბოლომდე საფრანგეთში შევიდოდა მილიონი ჯარისკაცი. ნაპოლეონი იძულებული გახდა, რომ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ებრძოლა. მისი ჯარი შედგებოდა მხოლოდ ორასი ათასი კაცისგან, თუმცა კადრის ჯარისკაცებს მრავალწლიანი საბრძოლო გამოცდილება გააჩნდათ. ახალ კოალიციასთან რიცხობრივად აშკარად დამარცხებული იყო, რაც მან კარგად უწყოდა, მაგრამ ნაპოლეონს ურყევად სჯეროდა თავისი ბედის ვარსკვლავისა. მან გააცნო ლაშქრობის გეგმა თავის გენერლებს, რომლის მიხედვითაც მთავარი აქცენტი საბრძოლო მანევრების ტემპზე უნდა გაკეთებულიყო. ნაპოლეონ ბონაპარტეს გათვლით, თუ ისინი სწრაფად იმოქმედებდნენ, ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგეებს არ დარჩებოდათ შეკრებისა და გაერთიანების დრო. ასე რომ, ფრანგებს ამ შანსით უნდა ესარგებლათ.

ნაპოლეონის არმიის მთავარ მოწინააღმდეგეებს ამჯერად ბრიტანელები და პრუსიელები წარმოადგენდნენ, რომლებიც ბელგიის ტერიტორიაზე იყვნენ თავმოყრილები. ორასი ათასი ავსტრიელი ჯერ კიდევ შორს იყო. რუსეთის ჯარის მიერ განდევნილები ისინი ელზას-ლოტარინგიაში გადაადგილდებოდნენ. ჩრდილოეთში, ბელგიის ნავსადგურებთან ახლოს, ჰერცოგმა ველინგტონმა[305] თავი მოუყარა ასი ათას კაცს, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ბრიტანეთის რჩეული ჯარისკაცები. სამხრეთ ბელგიაში შეიკრიბა პრუსიელთა ჯარი, რომელიც მოკავშირეთა ძირითად ძალას წარმოადგენდა. ფელდმარშალი ბლიუხერი[306] ლიეჟის გავლით, ასი ათასი პრუსიელით მიემართებოდა ველინგტონის არმიასთან შესაერთებლად. ნაპოლეონის საბრძოლო ჩანაფიქრის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მათთვის დაერტყა და მოკავშირეებისათვის შეერთების საშუალება არ მიეცა. საკითხი კი, ასე იდგა – რომელი მათგანის წინააღმდეგ უნდა დაეწყო ნაპოლეონს შეტევა?

მან გადაწყვიტა, სწრაფად განევითარებინა შეტევა ჩრდილოეთით, პირდაპირ პრუსიელებსა და ინგლისელებს შორის არსებულ რღვეულში, რათა ჯერ ბლიუხერი ჩაედგო ხელში და დაემარცხებინა იგი, შემდეგ კი ველინგტონისათვის მიეხედა.[307] გნაისე-

---

[305] ველინგტონის ჰერცოგი – მემკვიდრეობითი ტიტული დიდ ბრიტანეთში. ამ ტიტულის პირველი მატარებელი იყო ფელდმარშალი არტურ ველესლი (ინგლ. Arthur Wellesley, 1st Duke of Wellington) (1769-1852წ.წ.) – ველინგტონის პირველი ჰერცოგი, ირლანდიური წარმოშობის ცნობილი ბრიტანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მისი მთავარი და უმნიშვნელოვანესი სამხედრო წარმატება იყო პრუსიელ ფელდმარშალ გებჰარდ ბლიუხერთან ერთად 1815 წლის 18 ივნისს პროვინცია ბრაბანტში, სოფელ ვატერლოოსთან გამართულ ბრძოლაში ნაპოლეონ ბონაპარტეზე მიღწეული გადამწყვეტი გამარჯვება.

[306] გებჰარდ ლებერეხტ ფონ ბლიუხერი (გერმ. Gebhard Leberecht von Blücher) (1742-1819წ.წ.) – პრუსიელი ფელდმარშალი, ნაპოლეონის ეპოქის ომების მონაწილე. 1815 წლიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს კუნძულ ელბადან დაბრუნების შემდეგ, ნიდერლანდებში გაშლილი პრუსიულ-საქსონური ჯარების მთავარსარდალი. ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე და გამარჯვებული. ამ ეპოქალურ ბრძოლაში მიღწეული გამარჯვებისათვის ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ მას საკუთარი სასახლე უბოძა ბრანდენბურგის ჭიშკართან. თავისი საბრძოლო სულისკვეთების გამო ჯარებში ბლიუხერი დიდი პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა, რომელსაც ჯარისკაცებმა მეტსახელად „ფელდმარშალი წინ" შეარქვეს. პრუსიელთათვის იგი მამაცი ჯარისკაცის სიმბოლოდ ითვლებოდა. ნაპოლეონი კი, მას „ბებერ ეშმაკს" (Le vieux diable) უწოდებდა.

[307] აქ ნაპოლეონს ჩაფიქრებული ჰქონდა განეხორციელებინა მის მიერ შემუშავებული ე.წ. „ცენტრალური პოზიციის" შეტევითი სტრატეგია. ცენტრალური პოზიციის სტრატეგია ნაპოლეონის მიერ გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი არმიის ძალები უფრო სუსტი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგისა. ბრძოლის წარმოების ეს სტრატეგია მოითხოვდა გაბედულ მეთაურობას, დროის ზუსტად გათვლას და აგრესიულ, სწრაფ სვლას. ეს სტრატეგია, როგორც წესი, გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის არმიის შენაერთების ან სამხედრო კოალიციათა ორი ან მეტი არმიების წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი არსი გამოიხატებოდა მოწინააღმდეგის არმიის ან მოწინააღმდეგეების არმიებს შორის აგრესიულ შეჭრაში, მათ ორ ნაწილად გაყოფაში და ძირითადი ძალებით იმ არმიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმაში, რომელიც უფრო ძლიერი და საშიში იყო. ამ დროს კი მისი ერთი ან ორი კორპუსი ბრძოლაში ებმებოდა მოწინააღმდეგის დარჩენილ ძალებთან და ბოჭავდა მას რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო დიდხანს. არმიის ძლიერი შენაერთის განადგურების შემდეგ კი, დარჩენილი შენაერთის ან არმიის ჯერი დგებოდა. სტრატეგიის ეს ფორმა დიდი წარმატებით იქნა განხორციელებული ნაპოლეონის მიერ 1809 წლის ავსტრიისა და 1815 წლის ბელგიის კამპანიებში, განსაკუთრებული ბრწყინვალებით კი 1814 წლის კამპანიის დროს, როდესაც სამჯერ იქნა

ნაუმ, პრუსიელთა არმიის შტაბის უფროსმა, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება წინდაწინ გაითვალისწინა. ველინგტონი კი ფიქრობდა, რომ ნაპოლეონი არ დაიწყებდა შეტევით მოქმედებებს, პარიზში დარჩებოდა და იქ გაამაგრებდა თავის ჯარს იქამდე, ვიდრე არ მიეცემოდა ბრძოლის დაწყებისა და წარმატების მიღწევის უტყუარი შანსი მოკავშირეების არმიების წინააღმდეგ. როცა ველინგტონი მიხვდა, რომ არასწორად შეაფასა ვითარება, უკვე დაგვიანებული იყო. თავის ძირითად ძალასთან ერთად იგი საკმაოდ შორს იყო საიმისოდ, რომ ბრძოლაში ჩართულიყო და დახმარებოდა პრუსიელებს, რომლებიც 1815 წლის 16 ივნისს ლინთან დაამარცხა ნაპოლეონმა.[308] ამ ბრძოლაში პრუსიელებმა ცოცხალი ძალის დიდი დანაკლისი განიცადეს – მათ მთელი პირადი შემადგენლობის საერთო რაოდენობის მეხუთედი დაკარგეს. როცა პრუსიელებმა ბრძოლის ველიდან უკან დაიხიეს, ნაპოლეონმა ივარაუდა, რომ ისინი შემდგომ ბრძოლებს გამოეთიშებოდნენ და აღმოსავლეთის მიმართულებით, სამშობლოსკენ წავიდოდნენ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, მაგრამ ნაპოლეონი ცდებოდა – ეს ასე არ მოხდა.

გენერალმა გნაისენაუმ და პრუსიის არმიის III კორპუსის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა კლაუზევიცმა[309] სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს, რასაც დაჭრილი ბლიუხერი დაუყოვნებლივ დათანხმდა. პრუსიელთა ჯარმა გრძელი გზით მოუარა და ისევ დასავლეთისკენ გაემართა, რათა ინგლისელებს მოსალოდნელ გადამწყვეტ ბრძოლაში დახმარებოდა. ნაპოლეონს შეუძლებლად მიაჩნდა მომდევნო დღეს ბრძოლის ველზე დამარცხებული არმიის გამოჩენა. ეს მართლაც წარმოუდგენელი რამ იყო. სამხედრო ისტორიაში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. და მიუხედავად ამისა, ლინთან გამართულ ბრძოლაში პრუსიელთა დამარცხების შემდეგ, ნაპოლეონმა გამოიყვანა ოცდაცამეტი ათასი ჯარისკაცი და ასი ქვემეხი, თავისი ჯარის დაახლოებით მესამედი მარშალ ემანუელ გრუშის მეთაურობით და უბრძანა, პრუსიელებს მიჰყოლოდნენ.

ვატერლოოსთან კი, მოვლენები ასე ვითარდებოდა. მარშალი მიშელ ნეი, რომელმაც მიიღო ბრძანება თავისი ჯარით დასავლეთიდან შეეტია ინგლისელებისთვის და დაეკავებინა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი დასახლებულ პუნქტ კატრ ბრიშთან, ბრიუსელისკენ მიმავალ გზაზე, ძალიან ნელა გადაადგილდებოდა, ასე რომ ინგლისელებს რჩებოდათ დრო, დაეხიათ უკან, გორაკისკენ, ლა ბელ ალიანსსა და მონ სენ-ჟანს შორის და იქ მოეწყოთ კარგად შერჩეული თავდაცვითი პოზიციები. გენერალ ჟან-ბატისტ დროუე

გამარჯვება მიღწეული რუსებისა და პრუსიელების წინააღმდეგ შამპობერის, მონტმირეილისა და ვოშამპის ბრძოლებში.

[308] ლინთან გამართულ ბრძოლაში პრუსიელებმა 20 ათასი კაცი და 40 ზარბაზანი დაკარგეს, ფრანგთა დანაკარგები კი, 11 ათასი კაცი იყო. დაიჭრა თვით ფელდმარშალი ბლიუხერიც. რამდენიმე საათის განმავლობაში საკუთარი მოკლული ცხენის ქვეშ მოყოლილი პრუსიელთა მთავარსარდალი კინაღამ ტყვედ ჩავარდა. ფრანგმა ჯარისკაცებმა იგი უბრალოდ ვერ იცნეს, რადგან საველე ფორმაში იყო ჩაცმული. ლინის ბრძოლაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ მან საბოლოოდ აიცილა თავიდან პრუსიელთაგან მომავალი საფრთხე, მაგრამ იგი ცდებოდა. მართალია ფრანგებმა დაამარცხეს პრუსიელები, თუმცა ვერ გაანადგურეს ისინი. საერთო ჯამში, უკანდახეულმა ბლიუხერმა, გენერალ გნაისენაუსა და პოლკოვნიკ კლაუზევიცის დაჟინებული მოთხოვნით, შეძლო თავისი ჯარების თავიდან ორგანიზება-გადაჯგუფება და ვატერლოოს ბრძოლის ველზე დაბრუნება, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ამ ეპოქალური ბრძოლის ბედი.

[309] კარლ ფილიპ გოტლიბ ფონ კლაუზევიცი (გერმ. Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831წ.წ.) – პრუსიელი მხედართმთავარი, გენერალ-მაიორი, დიდი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ნაპოლეონის ეპოქის ომებისა და ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე, პრუსიელთა საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. პრუსიის სამხედრო აკადემიის ომის კოლეჯის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი 1818 წლიდან, სადაც შემდგომი 12 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. კარიერის ბოლოს იყო პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი. თავისი ფუნდამენტური ნაშრომით „ომის შესახებ", რომელიც კლაუზევიცის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა მისმა მეუღლემ, კლაუზევიცმა გადატრიალება მოახდინა სტრატეგიისა და სამხედრო მეცნიერების თეორიაში.

დ'ერლონის[310] ფრანგული კორპუსი, რომელიც ლინისკენ მიემართებოდა, რათა იქ მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში, ნეიმ უკან გაიწვია დასახმარებლად. მაგრამ კორპუსმა კატრ ბრიშს მას შემდეგ მიაღწია, როცა ბრძოლა უკვე დასრულებული იყო. დ'ერლონი ნახევარი ღამის განმავლობაში უსარგებლოდ დახეტიალობდა აქეთ-იქეთ.

1815 წლის 18 ივნისის კვირა ღამეს კოკისპირულად წვიმდა. ნაპოლეონმა თავის ჯართან ერთად ლა ბელ ალიანსს მიაღწია და იქიდან ადევნებდა თვალყურს ინგლისელების ბანაკს. იმის მაგივრად, რომ დილით ადრე გადასულიყო შეტევაზე და ველინგტონის ჯარი მოხერხებულად მოეტყუებინა, იგი უმოქმედოდ და გაუბედავად იცდიდა. ეს კი შეცდომა იყო. მან მეტად ძვირფასი დრო დაკარგა. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ აზელილი ტალახის გამო მის ქვემეხებს შეიძლება ძალიან გაჭირვებოდათ გორაკზე გადაადგილება. ინგლისელების ქვემეხები კი ადგილიდან დაიძრნენ და საწყისი პოზიციები დაიკავეს.

ნაპოლეონი მთელ თავის არმიას აღლუმის მოწყობას და ინგლისელთა პოზიციების წინ ჩავლას უბრძანებს. მხოლოდ 11 საათსა და 35 წუთზე გასცემს იგი შეტევის დაწყების ბრძანებას. ნახევარი საათის განმავლობაში ისვრიან ფრანგები ქვემეხიდან ჭურვებს, ასევე ხელყუმბარებს და მოწინააღმდეგეს ურაგანისებურ ცეცხლში ახვევენ. გენერლები ფიქრობდნენ, რომ ნაპოლეონი, როგორც ყოველთვის, ცენტრს შეუტევდა. ამის მაგივრად, მან შეტევის ტაქტიკა შეცვალა და ბრძანება გასცა, ინგლისელთა მარჯვენა ფლანგისკენ გადაადგილებულიყვნენ და აეღოთ მათ მიერ გამაგრებული კუთხის დასაყრდენი, ჰუგემონის ადგილ-მამული. მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო მოჩვენებითი შეტევა, ცრუ მანევრი, თავმოყრის საუკეთესო ტაქტიკური ნაწილი, როგორც ეს თავის დროზე ფრიდრიხ დიდმა გააკეთა ლეითენთან.

ნაპოლეონს სჯეროდა, რომ ჰერცოგი ველინგტონი, ისევე როგორც თავის დროზე ავსტრიელი ფელდმარშალი ლეოპოლდ ფონ დაუნი, მახეში გაებმებოდა და მისი ცენტრი დასუსტდებოდა, ის კი შეძლებდა შევიწროებული ფლანგის დახმარებას. მისი შემდგომი სურვილი კი ის იყო, რომ ველინგტონს შეტევა ცენტრიდან განევითარებინა. მაგრამ ველინგტონი არც ავსტრიელი იყო და არც ფელდმარშალი ლეოპოლდ ფონ დაუნი. მან თავის ჯარს ცენტრში მოუყარა თავი, იმედს ამყარებდა რა ქვემეხებზე, რომლებიც განლაგებული იყო ხევის წინა ქედზე, რვა საკავალერიო პოლკის უკან. ამავე დროს, იგი უპირველეს ყოვლისა თავის რეზერვზე აკეთებდა გათვლს. ველინგტონმა ჰუგემონისკენ მხოლოდ რამდენიმე ბრიტანული გვარდიის ასეული წაწია, საერთო ჯამში – სამი ათასი კაცი, შოტლანდიელი მეთაურის, ლეიტენანტ მაკდონელის მეთაურობით. ბრიტანელებმა შეძლეს ჰუგემონის დაკავება. ნაპოლეონის ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ, მოჩვენებითი შეტევა საღამომდე დამოუკიდებელ, სისხლიან, გააფთრებულ ბრძოლად გადაიქცა.

ჰუგემონი არ იყო ერთადერთი პრობლემა, რაც ნაპოლეონს აწუხებდა. მოკავშირეთა დიდი საჯარისო შენაერთები მის მარჯვენა ფლანგს უახლოვდებოდნენ პლანშენუასთან. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ მას დროულად შეუერთდებოდა გრუშის ოცდაცამეტათასიანი კორპუსი, რათა ველინგტონის მარცხენა ფლანგისთვის შეეტიათ. კორპუსი მართლაც

---

[310] ჟან-ბატისტ დროუე დ'ერლონი (ფრანგ. Jean-Baptiste Drouet d'Erlon) (1765-1844წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის მხედართმთავარი, ალჟირის გენერალ-გუბერნატორი და საფრანგეთის მარშალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1782 წელს. 1799 წლიდან ბრიგადის გენერალია, 1803 წლიდან – დივიზიის გენერალი. 1805 წლიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს „დიდი არმიის" (Grande Armée) 1-ლი საარმიო კორპუსის 1-ლი დივიზიის მეთაური. აუსტერლიცის ბრძოლის გმირი. 1807 წლიდან მარშალ ლეფევრის მე-10 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. „ასდღიან ეპოქაში" სარდლობდა 1-ლ კორპუსს და მონაწილეობდა კატრ-ბრას, ლინისა და ვატერლოოს ბრძოლებში. 1834 წელს ინიშნება ალჟირის გენერალ-გუბერნატორად. 1843 წელს მიენიჭა საფრანგეთის მარშლის წოდება. მისი სახელი ამოკვეთილია პარიზის ტრიუმფალურ თაღზე.

გამოჩნდა, მაგრამ ეს გრუში კი არა, არამედ გენერალ ბიულოვის[311] პრუსიელთა IV კორპუსი იყო, რომელიც არ მონაწილეობდა ლინთან გამართულ ბრძოლაში. ნაპოლეონი დაუყოვნებლივ ახდენს რეაგირებას. იგი სასწრაფოდ იძახებს მსუბუქი კავალერიის ორ ბრიგადას მარჯვენა ფლანგზე და ასევე გენერალ ლობაუს[312] VI ქვეით კორპუსს. ეს ჯარები ცენტრშიც კი არ იქნებოდა საკმარისი შეტევის დასაწყებად, მაგრამ ნაპოლეონი მაინც დარწმუნებულია იმაში, რომ მათ გარეშეც შეძლებს ველინგტონის პოზიციების გარღვევას. გარდა ამისა, იგი შეტყობინებას უგზავნის მარშალ გრუშის და უბრძანებს, სასწრაფოდ გამოცხადდეს მასთან და დაიცვას მისი ფლანგები.

შეტევა ველინგტონის ცენტრზე 13 საათისათვის ფრანგული არტილერიის ნახევარსაათიანი ურაგანული ცეცხლით იწყება, რომელიც დილის დაბომბვაზე გაცილებით დიდხანს გრძელდება. გორაკზე განლაგებულმა ინგლისურმა ბატალიონებმა დიდი ზარალი განიცადეს. ფრანგებს სჯეროდათ, რომ მოწინააღმდეგე პანიკური გაქცევით დატოვებდა ბრძოლის ველს. მაგრამ ისინი ფეხმოუცვლელად იდგნენ ადგილზე და არ ტყდებოდნენ. გენერალ დროუე დ'ერლონის I კორპუსის ოთხი ფრანგული ქვეითი დივიზია[313] წინ დაიძრა ძლიერი, შიშის მომგვრელი კარეს წყობით.[314] ცენტრში მყარად იდგა ლა ჰეი-სენ-ტის ადგილმამული, რომელსაც გმირულად იცავდა ჰანოვერელების მცირე რაზმი, მაიორ ბერინგ ფონ დერ კინგის ხელმძღვანელობით. აქვე მოძრაობდნენ დ'ერლონის ქვედანაყოფებიც. სამმა დივიზიამ, რომელიც ასევე შეუჩერებლივ გადაადგილდებოდა გადათელილ და წვიმისგან გაჯირჯვებულ ხორბლის ყანებზე მონ სენ-ჟანისკენ ზემოთ, ბოლოს ფლამანდრიელთა დივიზიის თავდაცვის პირველ ხაზს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ველინგტონმა მკაცრად უბრძანა მათ, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხიათ, ბელგიელები გორაკისკენ გაიქცნენ, ქედის უკან, ტყეში გაუჩინარდნენ და მთელი დღის განმავლობაში აღარც გამოჩენილან.

გამარჯვება! გამარჯვება! გენერალი დ'ერლონი ფიქრობს, რომ მან ეს შეძლო. სიმაღლიდან მას უკვე შეუძლია ბრიტანული ქვემეხების შეტევის ხაზის დანახვა. მხოლოდ

---

311 ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ ბიულოვი, გრაფი ფონ დენევიცი (გერმ. Friedrich Wilhelm Freiherr von Bülow, Graf von Dennewitz) (1755-1816წ.წ.) – ბარონი, შემდეგ გრაფი ფონ დენევიცი, პრუსიელი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1796 წელს. 1806-1807 წლებში ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ მეოთხე კოალიციაში იბრძოდა ბრიგადის გენერლის ჩინით. 1812 წლიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიის გუბერნატორია. 1813 წელს ინიშნება პრუსიის არმიის კორპუსის სარდლად. წარმატებით მონაწილეობს ნაპოლეონ ბონაპარტეს წინაღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

312 აქ საუბარი ჟორჟ მუტონს (ფრანგ. Georges Mouton), ლობაუს გრაფს შეეხება (1770-1838წ.წ.) – საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, საფრანგეთის მარშალი. 1792 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1801 წლიდან ბრიგადის გენერალი და ნაპოლეონ ბონაპარტეს ადიუტანტი. მონაწილეობას იღებდა იმპერიის მიერ წარმოებულ ყველა ბრძოლაში. 1812 წლის რუსეთის კამპნიის დროს იმყოფებოდა ნაპოლეონის ამალაში, ბოროდინოს ბრძოლის აქტიური მონაწილე. 1813 წლიდან კორპუსის სარდალია, ვატერლოოს ბრძოლაში სარდლობდა ფრანგთა VI კორპუსს, იცავდა ნაპოლეონის შტაბს, სადაც ინგლისელების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი. საფრანგეთში დაბრუნდა 1818 წელს. 1826 წელს არჩეულ იქნა დეპუტატთა პალატაში, 1826 წლიდან კი, ეროვნული გვარდიის სარდალია. 1831 წლიდან საფრანგეთის მარშალია. მისი სახელი ამოკვეთილია პარიზის ტრიუმფალურ თაღზე.

313 დივიზია (ლათ. Divisio) – სხვადასხვა სახეობის ან გვარეობის ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ან ოპერატიულ-ტაქტიკური საჯარისო ფორმირება, რომელიც შედგება მმართველობითი ორგანოს, შტაბისა და სხვადასხვა ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. საორგანიზაციო-საშტატო განრიგით, როგორც წესი, დივიზიას მეთაურობს გენერალ-მაიორის/დივიზიის გენერლის (ორვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

314 კარე (ფრანგ. Carré) – კვადრატის ან მართკუთხედის ფორმით დალაგებული ქვეით მსროლელთა საბრძოლო წყობა. XVII-XVIII საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ევროპული არმიების მიერ, როგორც წესი, სხვადასხვა მიმართულებიდან მოწინააღმდეგის კავალერიის შეტევების მოსაგერიებლად. კარეს წყობას თავისი სუსტი მხარეებიც გააჩნდა. პირველ რიგში, ნაკლები მანევრულობა და მებრძოლთა მაღალი სიმკვრივე. ქვეითთა დიდი სიმკვრივის გამო, მისი მაღალი მოწყვლადობა განპირობებული იყო მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლთან მიმართებაში, რადგან ისინი მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდნენ ქვემეხებისთვის. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც ევროპული არმიები ხრახნულულიანი ცეცხლსასროლი იარაღით აღიჭურვნენ, მათი დიდი ლეთალობის გამო, კარეს წყობამ თანდათან დაკარგა თავისი აქტუალობა.

ასი ან ორასი მეტრი და ბრძოლის ბედიც გადაწყდება. იმავეს ფიქრობს ნაპოლეონიც და აგზავნის ცხენოსან მეკავშირეს მარშალ ფრანსუა კელერმანის[315] კავალერიასთან. მათ დაუყოვნებლივ უნდა შეუტიონ ბრიტანელთა ბატარეებს და დ'ერლონის შეტევა გააძლიერონ. მაგრამ ცხენოსანი მეკავშირე ვერ აღწევს ადგილამდე და კელერმანის ოთხი ათასი ცხენოსანი ისევ იცდის რეზერვში.

ამ დროს კი, ზემოთ, ქედზე, გადამხმარ ბუჩქნარს უკან და სიმაღლეზე მდებარე ოჰაინისა და ვავრისკენ მიმავალი გზიდან რამდენიმე მეტრში, ხეობაში გენერალ პიქტონის ბრიტანელთა მე-5 ქვეითი დივიზიაა ჩასაფრებული. როდესაც დ'ერლონის კარე ჩერდება ამ ბუჩქნარის ქვემოთ ორმოცდაათ მეტრში, რათა ხაზებად დაეწყოს, მოულოდნელად ცარიელ ადგილზე ჩნდებიან წითელსამოსიანი ჯარისკაცები და ფრანგებს უხსნიან ცეცხლს სამი ათასი მუშკეტიდან. მათი რიგები ჯერ კიდევ მყარად დგას, მაგრამ ამ მომენტში ბუჩქნარიდან ხტება ათასობით ბრიტანელი ცხენოსანი. გაერთიანებული ბრიგადის მძიმე კავალერიის კონტრიერიში, გენერალ-მაიორ პონსონბის მეთაურობით, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ფრანგებს. გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი უკან, საწყისი პოზიციებისკენ იხევენ. ახლა კი გრგვინავს გენერალ მიიოს მე-4 ფრანგული საკავალერიო კორპუსი ჰუგემონსა და ლა ჰეი-სენტს შორის. ცხენოსნები აღწევენ ხეობამდე, ანადგურებენ ბრიტანელთა არტილერიას და მათ ქვემეხებს იგდებენ ხელში. რა უნდა გააკეთონ ამ ქვემეხებით? მათი გადაადგილება არ შეუძლიათ, ასევე არ აქვთ თან ლურსმნები, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ანთების საკეტები. ქვემეხები გამოუსადეგარია, ამიტომ ფრანგთა მძიმე კავალერია ტოვებს ქვემეხებს, ანადგურებს მათ გათვლებს და ჩანაფიქრის შესაბამისად ცდილობს ოთხი მეტრის სიგანისა და იმავე სიღრმის ხეობა გადალახოს. ამ დროს კი, მათ უკან შოტლანდიელთა ქვეითი ჯარი ჭადრაკისებურ კარეს ქმნის. ფრანგი ცხენოსნები ამაოდ ცდილობენ მის გარღვევას. დამიზნებული მუშკეტების ზალპი ანადგურებს მათ. როცა გენერალ სომერსეტის ბრიტანული ლეიბ-გვარდია[316] მიუახლოვდება კონტრიერიშისთვის და მე-12 პოლკის შოტლანდიელი რუხი დრაგუნები ხმლების ქნევით შეაჭენებენ ცხენებს ფრანგი კირასირების ქვედანაყოფებში, ორივე ხაზი თითქმის მთლიანად უმოქმედო ხდება. ცენტრში ფრანგების შეტევა საბოლოოდ მარცხით სრულდება.

ველინგტონი ფიქრობს, რომ პონსონბისა და სომერსეტის ცხენოსნები ბრძანებას დაემორჩილებიან და ორგანიზებულად დაიხევენ უკან, მაგრამ მათ საკუთარ თავზე აიღეს ძალიან ბევრი, შეიჭრნენ ქვედანაყოფში და გადალახეს ორივე არმიას შორის მდებარე ხეობა. გაკვირვებული ნაპოლეონი ჭოგრიტით ადევნებს თვალყურს ბრიტანული კავალერიის თავგანწირულ, უგუნურ მოქმედებას. მან თავისი კავალერისტები სასწრაფოდ გადაისროლა გარღვევისკენ. ისინი ყველას გმირავენ მახვილით და აგდებენ ცხენიდან. რამდენიმე წუთში შოტლანდიელი დრაგუნები ორას კაცს კარგავენ. როცა ბრიტანელთა თავგანწირული შეტევა ფრანგების პირველ რიგებამდე აღწევს, მათ რიგებში უკვე ორი

---

[315] აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ფრანგი სარდალი, სამხედრო დიპლომატი და ნაპოლეონის ეპოქის ომების აქტიური მონაწილე, ფრანსუა-ეტიენ კელერმანი (ფრანგ. François-Étienne Kellermann) (1770-1835წ.წ.), საფრანგეთის საპატიო მარშლის, ფრანსუა-ქრისტოფ კელერმანის შვილი, არა მარშალი, არამედ კავალერიის გენერალი იყო. თავისი სამხედრო კარიერის დასრულებისა და მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო ვალმის ჰერცოგის მემკვიდრეობითი ტიტული და ადგილი საფრანგეთის პერთა პალატაში. ცხოვრების ბოლომდე ოპოზიციაში ედგა ბურბონებს. მისი სახელი ამოკვეთილია პარიზის ტრიუმფალურ თაღზე.

[316] ლეიბ-გვარდია (გერმ. Leibgarde) – გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში რჩეული სამხედრო ნაწილების საპატიო დასახელება, რომლებიც მონარქის პიროვნებასა და მის გარემოცვას იცავდნენ. ტრადიციული საბრძოლო და საყარაულო სამსახურის გარდა, ლეიბ-გვარდია ცერემონიალურ ფუნქციებსაც ასრულებდა. მონაწილეობდა აღლუმებში, საპატიო ყარაულში, საზეიმო მსვლელობებსა და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებში. ამის გამო, განსაკუთრებული ყურადღება პირადი შემადგენლობის ფიზიკურ მონაცემებსა და გარეგნულ იერ-სახეს ექცეოდა. ლეიბ-გვარდიის დაკომპლექტებისას უპირატესობა ენიჭებოდა მაღალ და საუკეთესო აღნაგობის ახალწვეულებს.

ათას ხუთასი კაცია დაღუპული და დაჭრილი, მეთაურის, პონსონბის ჩათვლით. ეს კი, ბრიტანელთა კავალერიის ერთი მესამედია. ბრიტანელთა კონტრიერიში ჩაიშალა. ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება.

15 საათისათვის ცენტრსა და ორივე ფლანგზე საბრძოლო მოქმედებები წყდება. ორივე მხარეს დასვენება და ძალების ხელახალი გადაჯგუფება ჭირდება. ბრძოლის შედეგები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და არც ერთი მხედართმთავარი არ ფიქრობს ბრძოლის შეწყვეტას. ნაპოლეონი გამოსავალს ეძებს და უბრძანებს მარშალ ნეის, 16 საათზე ხელახლა შეუტიოს და აიღოს ლა ჰეი-სენტი, რომელიც მოწინააღმდეგის პოზიციის ცენტრში მდებარეობს. ნეიმ უნდა გაარღვიოს ბრიტანელთა პოზიციები, შიგნით შეაღწიოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს იქიდან. ამისათვის ნაპოლეონი მას მთლიან არმიას აძლევს, და რაც მთავარია საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიის კავალერიას. თავის რეზერვში კი მხოლოდ ქვეით გვარდიას იტოვებს. როცა ველინგტონი დაინახავს ხუთი ათასი ფრანგი ცხენოსნის გამოსვლას, მისთვის ნათელი ხდება ნაპოლეონის ჭკვიანური ჩანაფიქრის არსი. ნაპოლეონი ფიქრობს შემოუაროს ბრიტანელთა პოზიციას ჰუგემონის დასავლეთით, ამიტომ ველინგტონი ამ მიმართულებით თავის საკავალერიო ბრიგადას აგზავნის. მაგრამ, როცა დაინახავს, თუ როგორ მოიწევს გორაკზე ზემოთ ხუთი ათასი ფრანგი კირასირი, ულანი[317] და დრაგუნი, რომლებიც პირდაპირ მისკენ მიემართებიან, იგი გაოცებული აქნევს თავს. იგი საკუთარ თვალებს არ უჯერებს – მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჯარი ბედავს ინგლისელების ქვეით ჯარზე ფრონტალური შეტევის დაწყებას ქვეითებისა და არტილერიის მხარდაჭერის გარეშე.[318] ასეთი მოქმედება არღვევს საბრძოლო ტაქტიკის ყველა წესს, რაც კავალერიის თვითმკვლელობის ტოლფასია.

როცა მარშალ ნეის ცხენოსნები ორ მჭიდრო რიგად მიუახლოვდნენ ბრიტანელთა ბატარეებს, მათ მომაკვდინებელი ცეცხლი გაუხსნეს ფრანგებს. ასოთხმოცმა ზარბაზანმა თავდამსხმელებს სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. მათ შორის იყო ორი მეტრის სიგრძის, შრაპნელის რკინის ჭურვები, რომლებიც უფრო შორს მიფრინავდნენ, ვიდრე დანარჩენები. გამომგონებლის მიერ „კონგრავად“ წოდებულ ამ ჭურვებს დამანგრეველი ზემოქმედების ძალა ჰქონდათ, მაგრამ ნეის შეტევა ისეთი სიძლიერისა იყო, რომ მისმა კავალერიამ უბრალოდ გადათელა ქვემეხები. ცხენოსნების ჯგუფმა გაარღვია ბრიტანელების თავდაცვის ხაზი და წალეკა მონ სენ-ჟანის პლატო. მათ შემოუარეს შოტლანდიელთა ქვეითი ჯარის შეკვეცილ კარეს, დაიკავეს თავდაცვის წრიული პოზიცია და ხელახლა მოეწყვნენ. როდესაც ფრანგების ერთი მწკრივი ისროდა, მეორე მწკრივი უკან გადადიოდა იარაღის დასატენად.[319]

მარშალი ნეი დგას მონ სენ-ჟანის შემაღლებულ ადგილზე და ხედავს დენთის კვამლის ქულებში როგორ გადაადგილდება ბორცვის მეორე მხარეს გრძელი კოლონა სუანის ტყისკენ თავის შესაფარებლად. იგი დარწმუნებულია, რომ ინგლისელები უკან იხევენ. მაგრამ საქმე ეხება მხოლოდ დაჭრილებს და დილით ტყვეობას გადარჩენილ სამი

---

[317] ულანები (თურქ. Ulan) – გვიანი შუასაუკუნეების მსუბუქი კავალერიის სახეობა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, ხმლებითა და პისტოლეტებით. ულანთა გარეგნულ განმასხვავებელ ატრიბუტს წარმოადგენდა მაღალი, ოთხკუთხა ფორმის მონღოლური ქუდი, ე.წ. „ულანკა“. უფრო ადრე, ჯუჩისა და ჩაღათაის ულუსებში ულანებად იწოდებოდნენ ყაენის ოჯახის წევრები, რომლებიც არ იკავებდნენ სამეფო ტახტს. მსუბუქი კავალერიის ამ სახეობამ XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე იარსება.

[318] ავტორი აქ ბოლომდე კორექტული არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ზუსტია ვისაუბროთ არა ინგლისელებზე, არამედ ზოგადად ბრიტანელებზე, რადგან ისტორიის ამ პერიოდში ინგლისი თავისი ამერიკული და აზიური კოლონიებით უკვე ყალიბდება როგორც მსოფლიო იმპერია – დიდი ბრიტანეთი.

[319] აქ კლასიკური კარაკოლეს შესრულებასთან გვაქვს საქმე.

ათას ფრანგ ჯარისკაცს. კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა და საქმეც მოგვარებული იქნება! – ასკვნის იგი. ნეი ბრძოლაში რთავს კელერმანის III კორპუსის კირასირების ექვსივე პოლკს. საიმპერატორო გვარდიის ყველა სათადარიგო პოლკი, რომელიც არ იმყოფება ნეის განკარგულებაში, უერთდება მათ დიდი შეტევისთვის, რადგან ისინიც ხვდებიან, რომ გამარჯვება ძალიან ახლოსაა. ნეის სჯერა, რომ ნაპოლეონი მათ გააგზავნიდა, თუ გააცნობიერებდა, რომ ბრიტანელები განადგურების პირას არიან და გადამწყვეტი შეტევის დრო მოვიდა.

ნაპოლეონი შეძრწუნებული უყურებს, თუ როგორ ერთვება ბრძოლაში რეზერვში მყოფი მისი კავალერია. „ჯერ ძალიან ადრეა! – ყვირის ის გაბრაზებული, – ერთი საათით ადრე! ნეი ძალიან სულსწრაფია. ის საფრანგეთს განსაცდელში ჩააგდებს!“ ნაპოლეონი დაუყოვნებლივ უბრძანებს ნეის, ქვეითი ჯარი გააგზავნოს დასახმარებლად. ბრძანების მიუხედავად, მარშალი საკუთარი შეხედულებითა და პასუხისმგებლობით მოქმედებს. ლა ჰეი-სენტის აღების შემდეგ იგი აღარ ჩერდება, არამედ თორმეტჯერ უტევს მოწინააღმდეგეს მხოლოდ იმ აზრით შთაგონებული, რომ საბოლოოდ გაანადგუროს ველინგტონის კარე და ბრძოლის ბედიც გადაწყვიტოს. როდესაც ინგლისელთა სარდალი შეამჩნევს მისკენ მიმავალი ცხენოსნების ახალ რაზმს, რომელშიც დაახლოებით ათი ათასამდე მებრძოლია, აძლიერებს ქვეითი ჯარის კოლონას.

ამ მომენტში ველინგტონი ფიქრობს, რომ ბრძოლა უკვე წაგებულია. ნაპოლეონი ხელში ჩაიგდებს მთელ მის არტილერიას და ამით ყველაფერი დასრულდება. და რა უნდა გააკეთოს ველინგტონმა, როცა ფრანგები ინგლისურ ქვემეხებს უბრალოდ შემოაბრუნებენ და ცეცხლს გაუხსნიან მას? უკან უნდა დაიხიოს, თუ შეეცადოს შეინარჩუნოს პოზიციები? – თავის თავს უსვამს კითხვას ბრიტანელთა მთავარსარდალი. „ვისურვებდი, რომ ყოფილიყო ღამე... ან პრუსიელები მოსულიყვნენ!“ – შეშფოთებული ეუბნება ველინგტონი ლორდ აქსბრიჯს, თავის მოადგილეს და ბრიტანელთა კავალერიის სარდალს.

საბოლოოდ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, ველინგტონი გადაწყვეტს დაუყოვნებლივ ჩართოს ბრძოლაში თავისი დარჩენილი კავალერია, დაახლოებით ხუთი ათასი კაცი. ხუთასი მეტრი სიგანის ველზე თხუთმეტი ათასი ცხენოსანი ეკვეთება ერთმანეთს დაუჯერებელი ძალითა და სიჩქარით. იქმნება სასიკვდილო წრე და აქ წარმოუდგენელი ჯოჯოხეთი ტრიალებს. ცხენისანთა გააფთრებულ ბრძოლას მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაურჩება.

მარშალი ნეი სწორად ვარაუდობს, რომ ინგლისელები დამარცხების პირას არიან. ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. კიდევ ერთი, საბოლოო დარტყმა ერთი ან ორი ქვეითი ბატალიონით, შესაძლოა, იმპერიის ყოვლისშემძლე გვარდიით და გამარჯვება გარდაუვალია. ნეი გრძნობს გამარჯვების დიდ შანსს და აგზავნის პირად ადიუტანტს ნაპოლეონთან თხოვნით, რომ ინგლისელების საბოლოოდ დამარცხებისთვის სასწრაფოდ გაუგზავნოს მას ახალი ძალები საიმპერატორო გვარდიიდან. ნაპოლეონის განკარგულებაში ჯერ კიდევ არის გვარდიის თოთხმეტი ბატალიონი, აქედან რვა – ძველი გვარდიის რჩეული ბატალიონია. მათი მეთაურობისა და ბრძანებების გაცემის უფლება მხოლოდ მას, ნაპოლეონს აქვს. გაბრაზებული ნაპოლეონი მარშალს თხოვნაზე უარს ეუბნება. ფრანგთა მხედართმთავარს სიცხისგან ჰემოროის შეტევები ეწყება, მძაფრი ტკივილი კი, ზეგავლენას ახდენს მის გუნება-განწყობასა და მოვლენების საღად შეფასების უნარზე. იგი მდგომარეობიდანაა გამოსული.

ნეი სასოწარკვეთილი ადევნებს თვალს, თუ როგორ იხსნება შოტლანდიელთა კარე, მეზარბაზნეები წინ გამოდიან და ხელში იგდებენ მის ქვემეხებს. რამდენიმე წუთის შემდეგ

ასორმოცდათექვსმეტი უკან შემობრუნებული ქვემეხი გავარვარებულ ცეცხლის ლავას აფრქვევს დარჩენილ ფრანგ ცხენოსნებს, რომლებიც უკან იხევენ და გორაკიდან დაბლა გარბიან.

ამასობაში კი უკვე საღამოს შვიდი საათია. ნაპოლეონი, რამდენადაც შეუძლია წინ მიიწევს თავისი არტილერიით ლა ჰეი-სენტის ბასტიონამდე, რათა დაფაროს ნეის უკან დახევა და პირდაპირ გორაკზე ცეცხლით აიღოს ინგლისელების ცენტრი. ამ დროს ხელყუმბარები ფეთქდება შოტლანდიელთა კარეს შუაში და აქ ნამდვილი სასაკლაო იმართება. ბრძოლაში ებმება ძველი გვარდიის გრენადერთა რჩეული ბატალიონი, რომელ-საც ბრძოლა აქამდე არასოდეს წაუგია. იმპერატორს მათთან ერთად სურს წინსვლა. დაფდაფების ცემით, დაახლოებით სამოცი კაცისგან შემდგარი ჩაკეტილი კოლონით გვარდია მედგრად მიაბიჯებს გორაკის ფერდობზე. ისინი არაფერს არ ეპუებიან და მოწინააღმდეგის ცეცხლის მიუხედავად, არ ჩერდებიან. როცა წინმდგომი ეცემა, მის ადგილს უკან მიმავალი იკავებს. გვარდია ინგლისელების ქვემეხებამდე აღწევს.

ნაპოლეონი ზეიმობს. როგორც იქნა! დასრულდა! ბრძოლა მოგებულია! მან ეს შეძლო! იგი აუცილებლად გამართავს ამ გამარჯვების აღსანიშნავ დიდ აღლუმს და ამ აღლუმზე გვარდიის დროშას ეამბორება! შემდეგ კი, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც მას აქვს დაგეგმილი. მოკავშირეების ამ დამარცხების შემდეგ ეს კოალიციაც დაიშლება და ევროპაც იძულებული იქნება ზავი დადოს მასთან. მაგრამ ნაპოლეონის ამ ჩანფიქრებს ასრულება არ უწერია.

ამ დროს მას სასწრაფოდ უახლოვდება ცხენოსანი და მოახსენებს, რომ მარჯვენა ფლანგს, ხეობის სიმაღლეზე, ვავრის მიმართულებიდან სამხედრო შენაერთები უახლოვ-დებიან. – ეს ალბათ გრუშია, კი, რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს! ფიქრობს ნაპოლეონი, და სხვა რამ ვერც კი წარმოუდგენია. მაგრამ შემდეგ იხედება თავის ჭოგრიტში, კარგად აკვირდება მოახლოებულ კოლონას და მკვდრისფერი ედება...

მან იცნო პრუსიელების ფორმა. ეს პრუსიელთა კორპუსის ავანგარდია. მარშალი ბლიუხერი იქ არის და ბრძოლაში ერთვება.[320] მისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მარშალი გრუში არსად ჩანს. იგი ზუსტად ასრულებდა ნაპოლეონის ბრძანებას და ლინთან გამართული ბრძოლის შემდეგ პრუსიელთა კორპუსს სდევნიდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. იგი შეყოვნდა და ვერ მოახერხა ბრძოლის ველზე დროზე მოსვლა, რადგან ვავრთან პრუსიელი გენერლის, ადოლფ ფონ ტილმანის[321] კორპუსთან ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში.

როდესაც ნაპოლეონი ქვემეხების გრუხუნის ხმას გაიგონებს ზურგს უკან, იგი არ ტრიალდება. მიუხედავად თავისი გენერლების რჩევისა, იგი გადაწყვეტილებას არ იცვლის. ნაპოლეონი კვლავ ცდება. გააფთრებული ბრძოლით ნაპოლეონის საიმპერატორო გვარდია

---

[320] აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. პრუსიელთა კორპუსის ავანგარდს უშუალოდ გენერალი გნაისენაუ მეთაურობდა. ლინის ბრძოლაში დაჭრილი ფელდმარშალი ბლიუხერი კი, მოგვიანებით შემოვიდა ბრძოლის ველზე, მაშინ, როცა ვატერლოოს ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

[321] იოჰან ადოლფ ფონ ტილმანი (გერმ. Johann Adolf, Freiherr von Thielmann) (1765-1824) – საქსონელი, მოგვიანებით რუსი და პრუსიელი ოფიცერი, კავალერიის გენერალი. საქსონური კავალერიის შემადგენლობაში მსახურობდა 1782 წლიდან. იბრძოდა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ და ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ 1806 წლის კამპანიაში. იენასთან საქსონელთა კატასტროფული მარცხის შემდეგ გადადის ნაპოლეონის მხარეს. 1809 წლიდან გენერალ-მაიორია, ხოლო უკვე 1810 წელს – გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა ნაპოლეონის 1912 წლის რუსეთის კამპნიაში. თავი გამოიჩინა ბოროდინოს ბრძოლაში, სადაც ნაპოლეონის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც ტილმანი პირად ამალაში აიყვანა. ამავე დრო საქსონიის მეფემ მას ბარონის ტიტული მიანიჭა. ლიუცენთან დამარცხების შემდეგ იცვლის პოზიციას და გადადის რუსეთის სამსახურში. 1815 წლიდან ისევ იცვლის პოზიციას და ამჯერად პრუსიის სამსახურში დგება, სადაც სარდლობს პრუსიელთა მე-3 საარმიო კორპუსს. აქვე ენიჭება კავალერიის გენერლის წოდება. მონაწილეობდა ლინთან ბრძოლაში. უკანდახევის დროს, ვავრთან ბრძოლით შებოჭა მარშალ გრუშის კორპუსი, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა კიდეც ვატერლოოს ბრძოლის ბედი.

არღვევს ინგლისელების ცენტრს, სწრაფად ბრუნდება მარჯვნივ და მზადაა პრუსიელების მოსაგერიებლად. არც ერთმა კაცმა არ უნდა გაიგოს, რომ მათკენ პრუსიელები მოდიან. იგი ბრძანებს, ხმები გაავრცელონ, რომ მარჯვენა ფლანგს მარშალი გრუში უახლოვდება თავისი გამარჯვებული კორპუსით, რადგან მას სჯერა, რომ ამით თავის მებრძოლებს გამბედაობას შემატებს. ეს იყო მის მიერ დაშვებული უკანასკნელი შეცდომა ამ ბრძოლაში – მძიმე ფსიქოლოგიური შეცდომა.

ამასობაში კი, ნაპოლეონის საიმპერატორო გვარდია ბრიტანელების ფრონტის ხაზს ისე მიუახლოვდა, რომ მათ შორის ორმოცდაათი ნაბიჯიღაა დარჩენილი. მოულოდნელად ხეობის მხრიდან კარტეჩი ისროლეს და მისმა ცეცხლმა ფრანგთა მარჯვენა ფლანგი დაფარა. ცხენოსნების რაზმი მარჯვნივ გაიქცა – ლა ჰეი-სენტისაკენ. ახლა კი ყველა ფრანგმა ჯარისკაცმა გაიგო: მათ პრუსიელების კავალერია უახლოვდებოდათ! „გვიღალატეს! – გაისმა ხმა რიგებში, – თავს უშველეთ ვისაც შეგიძლიათ!“

პანიკაში ჩავარდნილმა ჯარისკაცებმა დაყარეს იარაღი, დროშები... და გაიქცნენ. ინგლისელები დაედევნენ და ისინი ლა ჰეი-სენტის იქით, ხეობაში გადადენეს. გვარდიის გადარჩენილი ჯარისკაცები კი, არ შედრკნენ და ახალი კარე შექმნეს, რომელსაც მათმა იმპერატორმა შეაფარა თავი.[322] საკრალური ბატალიონიდან, რჩეულთა შორის რჩეულიდან, მოისმა ყვირილი: La garde meurt et ne se rend pas! – „გვარდია იღუპება, მაგრამ არ ნებდება“!

ველინგტონი ბრძანებს ქვემეხების მიახლოებას გვარდიელთა კარედან სამოცი მეტრის მანძილზე და ფრანგთა I-ლი სამთო-ქვეითი ბრიგადის მეთაურს, გენერალ კამბრონს უბრძანებს, იარაღი დაყაროს.[323] მაგრამ პასუხად იღებს მხოლოდ ერთ სიტყვას: „Merde!“ – ნაგავო![324] საიმპერატორო გვარდიის დარჩენილი ნაწილი კვამლსა და ბრიტანელების ცეცხლის გრუხუნში იკარგება...[325]

ყველაფერი დასრულდა. ფრანგები დამარცხდნენ. მარშალმა ნეიმ თავის მცირერიცხოვან ჯართან ერთად შეძლო გაქცევა და ნაპოლეონიც გარბის ეტლით ბრძოლის ველიდან[326]. ბრიტანელები და მათი მოკავშირეები კი ზეიმობენ. დაახლოებით 22 საათზე ველინგტონი და ბლიუხერი ერთმანეთს ხვდებიან და ეხვევიან – „A near run thing!“ („ბეწვზე გადავრჩით!“) – წამოიძახა ველინგტონმა. ამჯერად იგი მართალი იყო. ისინი მართლაც ბეწვზე გადარჩნენ.[327] მეტად იშვიათი შემთხვევა და ისტორიული

---

322 სხვადასხვა წყაროების ცნობით, ზუსტად ამ დროს ინგლისელმა პოლკოვნიკმა ჰელქეთმა ხმამაღლა შეჰყვირა: „მამაცო ფრანგებო, დაგვნებდით!"

323 აქ ავტორი უზუსტობას უშვებს. გენერალი პიერ ჟაკ ეტიენ კამბრონი საიმპერატორო გვარდიის ქვეით ეგერთა 1-ლი პოლკის მეთაური იყო.

324 ფრანგულ სიტყვას "Merde" – „ნაგავო", იმ დროისათვის გაცილებით უფრო მძიმე და ურყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეს დღევანდელ ლიტერატურულ ფრანგულშია მიღებული.

325 ბრძოლაში დაჭრილი და უგონო მდგომარეობაში მყოფი ბრიგადის გენერალი პიერ ჟაკ კამბრონი ბრიტანელებმა ტყვედ აიყვანეს და ინგლისში გადაგზავნეს. თუმცა 17 დეკემბერს იგი გაანთავისუფლეს. სამშობლოში დაბრუნებულ კამბრონს ბრალი დასდეს „კორსიკელ ურჩხულთან" სამსახურში და სასამართლო პროცესიც მოუწყვეს, თუმცა იგი გამართლდა. 1820 წელს, ლუდოვიკო XVIII-მ აღუდგინა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და იგი მე-16 სამხედრო ოლქის 1-ლი დივიზიის მეთაურად დანიშნა. გარდაიცვალა ქალაქ ნანტში, 1842 წელს. 1848 წელს ნანტის მცხოვრებლების ინიციატივით ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გენერალ პიერ ჟაკ კამბრონის ძეგლი აღიმართა. ერთი დეტალიც – თავის ანდერძში ნაპოლეონ ბონაპარტემ კამბრონს 150 ათასი ფრანკი უსახსოვრა.

326 აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ნაპოლეონს ბრძოლის ველი თავისი საიმპერატორო ეტლით არ დაუტოვებია. ბრძოლის ველიდან გასვლაში მას მარშალი სულტი დაეხმარა, რომელმაც მარშალი ბერტიე შეცვალა ფრანგთა მთავარი საველე შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ნაპოლეონი ისე გამალებით შეახტა ცხენს, რომ ბრძოლის ველზე თავისი ქუდი და ხმალიც კი დარჩა. შარლერუას, ფილიპვილის და ლაონის გზით იგი სასწრაფოდ გაემართა პარიზისაკენ. მალე კი მას მთელმა ფრანგულმა არმიამაც მიბაძა. გენერალი გნაისენაუ პირადად მეთაურობდა პანიკურად უკანდახეული ფრანგების დევნას. ნაპოლეონის ეტლი კი, პრუსიელებს ჩაუვარდათ ხელში.

327 ფრანგებმა ვატერლოოს ბრძოლაში 240 ზარბაზანი, 2 საბრძოლო დროშა და მთელი აღალი დაკარგეს. ცოცხალი ძალის დანაკარგები კი შემდეგი იყო – 27 ათასამდე დაღუპული და დაჭრილი, და 8 ათასამდე ტყვედ ჩავარდნილი. მოწინააღმდეგის დანაკარგები უფრო მცირე იყო. ველინგტონმა 17 ათასი კაცი დაკარგა (3500 დაღუპული, 10200

მომენტია! ველინგტონმა ამ ბრძოლას პატარა სოფლის, ვატერლოოს სახელი უწოდა, რომელიც მონ სენ-ჟანის გორაკს უკან მდებარეობდა და სადაც მისი შტაბი იყო განთავსებული.[328]

19 ივნისს ნაპოლეონი პარიზში ჩადის. 22 ივნისს წარმომადგენელთა პალატამ ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა ფუშეს თავმჯდომარეობით, რომელმაც ნაპოლეონის გადადგომა მოითხოვა. იმავე დღეს ნაპოლეონი უკვე მეორედ გადადგა. იგი იძულებული გახდა საფრანგეთიდან გამგზავრებულიყო და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დიდსულოვნების იმედით, 15 ივლისს, კუნძულ ექსთან, ნებაყოფლობით ავიდა ინგლისურ ლინკორ[329] „ბელეროფონის" ბორტზე. იგი პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის იმედით თავის ძველ და შეურიგებელ მტერს, ბრიტანელებს ჩაბარდა.

ნაპოლეონი კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად შეცდა. მისი მოლოდინები ინგლისელთა დიდსულოვნების შესახებ არ გამართლდა. ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა სხვანაირად განსაჯა და იგი სამხედრო ტყვედ ჩათვალა. საბოლოოდ, ბრიტანელებმა იგი ატლანტის ოკეანეში მდებარე წმ. ელენეს შორეულ კუნძულზე გადაასახლეს[330]. გადასახლებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1821 წლის 5 მაისს, ნაპოლეონ ბონაპარტე ორმოცდათერთმეტი წლის ასაკში გარდაიცვლება[331]. მისი სიკვდილით ევროპისა და მსოფლიო ისტორიის ერთი დიდი ეპოქა დასრულდა. კაცობრიობის ომების ისტორიის ერთი დიდი ფურცელი გადაიშალა.

დაჭრილი და 3300 ტყვედ ჩავარდნილი), ბლიუხერმა – 7 ათასი (1200 დაღუპული, 4400 დაჭრილი და 1400 ტყვედ ჩავარდნილი). აქედან 810 კაცის დანაკარგი მხოლოდ მე-15 ბრიგადის მე-18 პოლკზე მოდიოდა. საბრძოლო დანაკარების შესახებ უფრო ზუსტი ცნობების დადგენა შეუძლებელია, იმდენად, რამდენადაც პრუსიული საისტორიო სამხედრო არქივები ფაქტიურად განადგურდა II მსოფლიო ომის დროს. საერთო ჯამში, მოკავშირეთა მხრიდან ვატერლოოს ბრძოლის ველზე მოკლულ იქნა 15750 კაცი.

328 კოალიციური ჯარების სარდლობის გადაწყვეტილებით ფრანგთა დევნა პრუსიელთა არმიას დაევალა, რომელმაც ეს ამოცანა დიდი ენერგიითა და ტემპებით განახორციელა. ფრანგთა გადარჩენილი ქვედანაყოფების დევნა 3 დღის განმავლობაში და 150 კილომეტრის მანძილზე მიმდინარეობდა, რამაც საბოლოოდ მოშალა ფრანგთა საბრძოლო სულისკვეთება. ამ ხნის განმავლობაში ნაპოლეონ ბონაპარტემ მხოლოდ 3 ათასი მებრძოლის შეკრება მოახერხა, რომელზე დაყრდნობითაც არც პარიზის დაცვა და მით უმეტეს, არც ომის შემდგომი გაგრძელება უკვე აღარ იყო შესაძლებელი. ნაპოლეონი საბოლოოდ დამარცხდა.

329 ლინკორი – იგივე სახაზო გემი.

330 ინგლისელებმა ნაპოლეონ ბონაპარტეს იზოლირებისათვის იმიტომ შეარჩიეს ატლანტის ოკეანეში გადაკარგული წმ. ელენეს კუნძული, რადგან ისინი შიშობდნენ, რომ ნაპოლეონი განმეორებით შეეცდებოდა გაქცევას, როგორც ეს ერთი წლის წინ, კუნძულ ელბას შემთხვევაში იყო. ინგლისელთა ამ გადაწყვეტილების შეტყობის შემდეგ, ნაპოლეონ ბონაპარტემ განაცხადა, რომ „ეს იმაზე უარესი იყო, ვიდრე თემურ ლენგის რკინის გალიაში ტყვედ ყოფნა. ამას მერჩივნა, ჩემი თავი ბურბონებისთვის გადაეცათ".

331 სასიკვდილო სარეცელზე უგონო მდგომარეობაში მყოფი ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები იყო: „არმიის თავი!" (ფრანგ. La tête de l'armée!). არის ვერსია, რომ იგი მოწამლეს. 1960 წელს შვედმა ექიმმა, დოქტორმა სტენ ფორსჰუფვუდმა თავის კოლეგებთან ერთად გამოიკვლია ნაპოლეონის თმები, სადაც დარიშხანის შემცველობა მთელი ერთი რიგით აღემატებოდა ნორმალურ ზღვარს. მაგრამ უკვე მოგვიანებით, 1990-იან და 2000-იან წლებში ჩატარებულმა ანალიზებმა აჩვენეს, რომ ნაპოლეონის თმაში დარიშხანის შემცველობა დღითიდღე და საათობრივადაც კი იცვლებოდა. ასეთი შედეგების ახსნა იმით შეიძლება, რომ ნაპოლეონი თმის მოსავლელად დარიშხანის შემცველი ფხვნილით სარგებლობდა. ამის მსგავსად, თმებს, რომელსაც ნაპოლეონი ჩუქნიდა თავის თაყვანისმცემლებს, კოლექციონერები ასევე დარიშხანის შემცველ ფხვნილში ინახავდნენ. დღეის მონაცემებით, წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონის მოწამვლის ვერსიას ვერავითარი რეალური მტკიცებულება ვერ ამყარებს.

ლუდოვიკო XVIII ბურბონი (1755-1824)

ნაპოლეონ ბონაპარტე I
(1769-1821)

ველინგტონის ჰერცოგი
(1769-1852)

გებჰარდ ბლიუხერი
(1742-1819)

კარლ ფონ კლაუზევიცი
(1780-1831)

რობერტ სომერსეტი
(1776-1842)

ადოლფ ფონ ტილმანი
(1765-1824)

გრაფი აქსბრიჯი
(1768-1854)

ფრიდრიხ ვილჰელმ ბიულოვი
(1755-1816)

თომას პიქტონი
(1758-1815)

მიშელ ნეი
(1769-1815)

ემანუელ გრუში
(1766-1847)

პიერ კამბრონი
(1770-1842)

ნაპოლეონის დამშვიდობება საიმპერატორო გვარდიასთან. 1814 წლის აპრილი.
ანტუან მონფორის ნახატი

ნაპოლეონის ვილა კუნძულ ელბაზე

ნაპოლეონის დაბრუნება საფრანგეთში. 1815 წლის 1-20 მარტი



1815 წლისათვის დასავლეთ ევროპაში არსებული სტრატეგიული სიტუაცია: თავისი 250 ათასიანი არმიით ნაპოლეონი ოთხ ფრონტზე უპირისპირდება კოალიციის 850 ათასიან არმიებს. დამატებით, ფრანგების 20 ათასიანი შენაერთი კი, დასავლეთ საფრანგეთშია დატოვებული როიალისტთა მოსალოდნელი გამოსვლების პრევენციისათვის.

1815 წლის 16 ივნისი. ლინის ბრძოლის წინ ფრონტისკენ მიმავალი ფრანგი ჯარისკაცები ესალმებიან ნაპოლეონს. გორაკის თავზე ჩანს თავის თეთრ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი (ზურგით ჩვენსკენ) და მის გარშემო თავმოყრილი „საველე შტაბი". ლინის ბრძოლის მიმდინარეობისას სურათზე გამოსახულ ქარის წისქვილში იყო განთავსებული ნაპოლეონ ბონაპარტეს „საკომანდო პუნქტი". შემაღლებულ ადგილას მდებარე წისქვილი ჯარების ოპერატიული მართვის მშვენიერ პუნქტს წარმოადგენდა.



ლინის ბრძოლა. 1815 წლის 16 ივნისი. დაპირისპირებული მხარეების ძალთა გაშლა

ვატერლოოს ველის ხედი „ლომების მთიდან".
სურათზე კარგად ჩანს ლა ჰეი-სენტის შენობები



დისპოზიციები ბრძოლის დაწყებამდე – 1815 წლის 18 ივნისის დილის 11 საათი



დისპოზიციები საღამოს 4 საათისათვის



დისპოზიციები საღამოს 7 საათისათვის.
ნაპოლეონის საიმპერატორო გვარდიის შეტევა

ვატერლოოს ბრძოლის ეპიზოდი

ბრიტანელ ჰუსართა შეტევა. ჰენრი მარტენსის ნახატი

შოტლანდიელ კავალერისტთა შეტევა

სამეფო ცხენოსანი გვარდიის (ლურჯ ფორმებში) შეტევა. ქრისტოფერ კლარკის ნახატი

ჟან-ბატისტ დროუე დ'ერლონი
(1765-1844)

ჟორჟ მუტონი
(1770-1838)

ფრანსუა-ეტიენ კელერმანი
(1770-1835)

ნაპოლეონი და მისი საიმპერატორო გვარდია

ლორდი აქსბრიჯი, რომელმაც ფეხი დაკარგა ვატერლოოს ბრძოლაში

ფრანგების შეტევა ლა ჰეი-სენტზე

ველინგტონის ჰერცოგი და მისი შტაბი ვატერლოოს ბრძოლაში.
ნახატის მარცხენა კუთხეში, საკაცეზე, ჩანს ფეხში დაჭრილი პრინცი ორანელი

შოტლანდიელთა კარე

ბრიტანელთა 52-ე მსუბუქი საკავალერიო პოლკის მებრძოლები ხელში იგდებენ
ფრანგთა საარტილერიო ბატარეას. ერნსტ კროფტის ნახატი

ნაპოლეონის საიმპერატორო გვარდიის შეტევით მოქმედებებში ჩართვა

„მთელი ხაზით წინ!" – არტურ ველესლის, ველინგტონის ჰერცოგის
მიერ გაცემული საერთო შეტევაზე გადასვლის ბრძანება

პრუსიელთა შეტევა პლანშენუაზე

ბრიტანელ და პრუსიელ მოკავშირეთა ბოლო შეტევა
და ნაპოლეონის არმიის უკანდახევა

„გვარდია იღუპება, მაგრამ არ ნებდება!"

ვატერლოოს ბრძოლის ბოლო წუთები. ნაპოლეონის შტაბი დაჟინებით მოითხოვს, რომ იმპერატორმა დაუყოვნებლივ დატოვოს ბრძოლის ველი თავისი კარეტით, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონს სურს ბოლომდე დარჩეს თავის ძველ გვარდიასთან. ერნსტ კროფტის ნახატი.

„ბეწვზე გადავრჩით!" – ველინგტონის ჰერცოგისა და ფელდმარშალ ბლიუხერის შეხვედრა

ვატერლოოს ბრძოლის დასასრული. ლედი ბატლერის ნახატი

ვატერლოოს ბრძოლაში დაღუპული გენერლები. მარცხნიდან მარჯვნივ: ფრანგი გენერლები ჟან დუემი და დევო დე სენ-მორისი, ბრიტანელი გენერლები თომას პიქტონი და უილიამ პონსონბი.

2012 წელს ბელგიელ არქეოლოგთა ჯგუფმა, დომინიკ ბოსკეტის ხელმძღვანელობით, ვატერლოოს ველის გათხრების შედეგად აღმოაჩინა კარგად შენახული ადამიანის ჩონჩხი. სურათზე კარგად ჩანს ნეკნებს შორის მოხვედრილი მხვილი კალიბრის მუშკეტის ტყვიის ბურთულა.

სახლი წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტე

ნაპოლეონი სასიკვდილო სარეცელზე.
ჰორაციო ვერნეტის ნახატი.
1826 წელი

ნაპოლეონ ბონაპარტეს განსასვენებელი.
პარიზი, ინვალიდთა სახლი

ვატერლოოს ბრძოლის მონუმენტი – „ლომების მთა”

§3.7. სისწრაფის გამარჯვება (კონიგრაცი, 1866 წლის 3 ივლისი)

1866 წლის 3 ივლისს, კონიგრაცთან, ავსტრიასა და პრუსიას შორის გამართულ ბრძოლის შედეგზე ძალიან ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპაში განვითარებულ შემდგომ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებზე. ეს იყო თანამედროვე სამხედრო ისტორიაში პირველი უდიდესი საალყო ბრძოლა, სადაც ორივე მხარის დაახლოებით ნახევარი მილიონი ჯარისკაცი იღებდა მონაწილეობას. კონიგრაცის ბრძოლაში პრუსიელებმა გაიმარჯვეს, რომელთა წარმატების მიზეზი როგორც თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე ზუსტი და კოორდინირებული სტრატეგიული გეგმის არსებობა იყო. ამ ბრძოლაში ავსტრიელების მხრიდან უმძიმესი შეცდომები იყო დაშვებული, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრძოლის მსვლელობასა და მის საბოლოო შედეგებზე.

ავსტრიასა და პრუსიას შორის გერმანულ მიწებზე ბატონობის საკითხზე დავა დროებით წყდება 1864 წელს, დანიასთან ომში მათ მიერ ელბას საჰერცოგოების – შლეზვიგისა და ჰოლშტაინის ერთობლივად დაკავების დროს[332]. მაგრამ ავსტრიისა და პრუსიის მიერ დანიის წინააღმდეგ წარმოებული ერთობლივი ომი შემდგომი ახალი ომის დაწყების საფუძველი გახდა, რომელიც თავისი არსით ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის წარმოებული „ძმათამკვლელი ომი“ იყო. შლეზვიგ-ჰოლშტაინის ირგვლივ მათ შორის ატეხილმა დავამ კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია გამოიწვია, რის გამოც 1866 წლის 9 აპრილს ფრანკფურტის ბუნდესტაგში[333] პრუსიელებმა გერმანიის კავშირის რეფორმის შესახებ შეიტანეს წინადადება. ეს რეფორმა გერმანიის პარლამენტის დამოუკიდებელ არჩევნებს ითვალისწინებდა, რაც სახალხო მღელვარების მიზეზი გახდა. ამ ამბებამდე ერთი დღით ადრე კი, ოტო ფონ ბისმარკმა[334] შესაბამისი ზომები მიიღო. მან წინასწარ იზრუნა და საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევისათვის წინასწარ იტალიასთან გააფორმა ხელშეკრულება. ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ყველასთვის გაცხადდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. ორივე მხარემ გადაწყვიტა ერთმანეთისთვის აღარ დაეთმოთ.

ავსტრიის იმპერატორს, ფრანც იოზეფს[335] არ სურდა შლეზვიგ-ჰოლშტაინსა და გერმანიაში თავისი პოზიციების უბრძოლველად დათმობა და 1866 წლის 1 ივნისს

---

[332] აქ საუბარია 1864 წელს ავსტრიისა და პრუსიის მიერ დანიის წინააღმდეგ წარმოებული ერთობლივი საომარი მოქმედებების შესახებ, რომელიც ისტორიაში შევიდა ავსტრო-პრუსო-დანიის, შლეზვიგის, ან შლეზვიგ-ჰოლშტაინის ომის სახელით. მის მიზანს წარმოადგენდა ელბისპირა საჰერცოგოების, შლეზვიგისა და ჰოლშტაინის გამოყოფა დანიის სამეფოს მფლობელობიდან. ისტრიოგრაფიაში ეს ომი ითვლება გერმანიის უნიფიკაციისათვის, პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანებისათვის წარმოებულ პირველ ომად.

[333] ბუნდესტაგი (გერმ. Bundestag) – გერმანული მიწების დეპუტატთა ფედერალური კრება, გერმანიის სახელმწიფოს სახალხო წარმომადგენლობის ერთპალატიანი ორგანო.

[334] ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (გერმ. Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen) (1815-1898წ.წ.) – ცნობილი პრუსიელი და გერმანელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, XIX საუკუნის ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონა და ლიდერი, გერმანიის იმპერიის, II რაიხის პირველი კანცლერი, გერმანიის გაერთიანების იდეური ხელმძღვანელი და ერთ-ერთი ავტორი, მეტსახელად „რკინის კანცლერი”. 1865 წლიდან გრაფი (Graf von Bismarck), 1871 წლიდან თავადი (Fürst von Bismarck). დიპლომატიურ სამსახურში ყოფნის პერიოდში, 1851-1862 წლებში, იუნკერთა ინტერესების გატარებით პრუსიის სამეფოში ბისმარკი სარგებლობდა კონსერვატორების დიდი პატივისცემით. 1862 წელს დაინიშნა პრუსიის მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარედ. კონსტიტუციური კრიზისის დროს გამოდიოდა ლიბერალების წინააღმდეგ და იცავდა მონარქიას. 1864 წლიდან, დანიასთან წარმოებული ომის შემდეგ პრუსია ევროპის დომინანტ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულებისთანავე კი, ბისმარკმა გერმანიის მეორე იმპერიის, მეორე რაიხის შექმნა გამოაცხადა. 1890 წლიდან, თადარიგში გასვლის შემდეგ მიიღო ლაუენბურგის ჰერცოგის ტიტული და გენერალ-ფელდმარშლის რანგში პრუსიის არმიის გენერალ-პოლკოვნიკის (გენერალ-ობერსტის) სამხედრო წოდება.

[335] ფრანც იოზეფ I (გერმ. Franz Joseph I, უნგრ. Ferenc József I, ჩეხ. František Josef I) (1830-1916.წ.წ) – ავსტრიის იმპერიის იმპერატორი და ბოჰემიისა და უნგრეთის მეფე 1848 წლიდან. 1867 წლის 15 მარტიდან ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი. ერცჰერცოგ ფრანც კარლოსის, იმპერატორ ფრანც II-ის ვაჟის მეორე შვილი. 1848 წლის ავსტრიის რევოლუციის მსვლელობისას, მისი ბაბუა ტახტიდან გადადგა, ხოლო მამამ შვილის სასარგებლოდ უარი

ჰოლშტაინში სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. საპასუხოდ, 9 ივნისს ჰოლშტაინში პრუსიელები შევიდნენ. ავსტრიულმა ქვედანაყოფებმა თითქმის უბრძოლველად დაიხიეს უკან, სამხრეთ გერმანიისკენ. ამავე დროს, ფრანკფურტში ავსტრიის ფედერაციის არაპრუსიულ შეიარაღებულ ძალებს მობილიზაციის გამოცხადება შესთავაზეს. ეს წინადადება ცხრა ხმით ექვსის წინააღმდეგ იქნა მიღებული, რაც ომის საბაბად იქცა. ბისმარკმა ფედერაციის მიერ მიღებული აქტი გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო გერმანიის კავშირი – დაშლილად.

პრუსიის მხარეს ფედერაციის მოკავშირეები იყვნენ მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიის პატარა მხარეები, და კერძოდ, მეკლენბურგი.[336] მნიშვნელოვანი მხარეები კი, როგორიც იყო ჰანოვერი, საქსონია, ბავარია, ვიურტემბერგი და ბადენი, იმპერატორის მხარეს, ვენას ემხრობოდნენ. თითქმის ყველგან, მათ შორის საფრანგეთშიც, დუნაის მონარქიის გამარჯვებას ელოდებოდნენ. მაგრამ ამ მოლოდინის საპირისპიროდ არსად იგრძნობოდა აღტაცება, საზეიმო და საბრძოლო მზადყოფნა. ყველა შეშფოთებული და დაზაფრული იყო. ევროპა ისევ ხანგრძლივ, სისხლიან და საზარელ დაპირისპირებას, ახალ „შვიდწლიან ომს“ მოელოდა. მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარი და განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. ომი არა შვიდი წელიწადი, არამედ მხოლოდ შვიდი კვირა გაგრძელდა. ამ ვითარებაში, ევროპის სახელმწიფოთა თვალში მორალურად პრუსია უკვე წაგებული იყო. იგი ითვლებოდა გერმანიისა და მსოფლიოს წინაშე კანონდამრღვევად და ომის წამომწყებად, მაგრამ ბისმარკი ამას შეეგუა. მან დაშალა გერმანიის კავშირი, რათა შეექმნა პრუსიის ახალი, დიდი და მძლავრი იმპერია.

ავსტრიის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მობილიზაციის შემდეგ პრუსიელებმა დაუყოვნებლივ მოახდინეს ამაზე რეაგირება და 15 ივნისს თავიანთი სამხედრო ნაწილებით დაიკავეს საქსონია, ჰანოვერი და კურჰესენი. ვენა და მისი მოკავშირეები ვერ შეთანხმდნენ საბრძოლო კამპანიის საერთო გეგმაზე, მაგრამ ფულის ნაკლებობა და მრავალეროვნული სახელმწიფოს ნაციონალური პრობლემები მათი სამხედრო ძალების სრულ მობილიზაციას აბრკოლებდა. მაგალითად, ბავარიის ჯარში წლების განმავლობაში არ ტარდებოდა დიდი სამხედრო მანევრები ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო, შესაბამისად, არ არსებობდა საომარი მოქმედებების შეთანხმებული გეგმა და ჯარების კოორდინაცია. და ახლაც, ქვედანაყოფები ბრძოლის ველისაკენ მიემართებიან სათვისტომოებისა და ჯარების გვარეობების მიხედვით დაყოფილნი, ხმაურიანი მარშითა და სხვადასხვაგვარი ფერის სამოსითა და ფორმებით. ქვეითი ჯარი შემოსილია თეთრი ქურთუკებითა და ცისფერი შარვლებით, სამთო მსროლელები – მწვანე ფორმებით, არტილერისტები – ყავისფერი ქურთუკებით, ჰუსარებს თავზე ყვითელზოლიანი კივერები ახურავთ, ულანებს – წითელზოლშემოვლებული ქუდები, ხოლო კირასირებს მაღალყელიანი ჩექმები აცვიათ და მუზარადები ახურავთ. ეს იყო ძველი ტრადიციებისა და რევოლუციამდელი ნიმუშის ჯარის მრავალფეროვანი ნაზავი.

პრუსიის მხარეს კი, ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი თანამედროვე მასობრივი არმია იდგა. 1860 წლის დამდეგს სამხედრო მინისტრის[337] მიერ მომავალ პრინცთან, ვილჰელმთან ერთად გატარებული რეფორმის შედეგად შესაძლებელი გახდა თავდაცვითი

თქვა მემკვიდრეობაზე. ასე აღმოჩნდა სრულიად ახალგაზრდა, 18 წლის ფრანც იოზეფი მრავალეროვნული ჰაბსბურგთა იმპერიის სათავეში. ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხანგრძლივი მონარქი. სახელმწიფოს მართავდა 68 წელი.

336 პრუსიელთა მთავარ მოკავშირეს ავსტრიელებთან დაპირისპირებაში იტალია წარმოადგენდა, რომელმაც ომის გამარჯვებით დასრულების შემდეგ ავსტრიისგან მიიერთა ვენეციის ოლქი. საერთო ჯამში, ამ ომში მონაწილეობას იღებდა 29 სახელმწიფო, აქედან 13 ავსტრიას ემხრობოდა, 16 კი – პრუსიას.

337 აქ საუბარია დიდ პრუსიელ სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეზე, გრაფზე, პრუსიის სამხედრო და საზღვაო მინისტრზე 1859-1873 წლებში, პრუსიის პრინც ფრიდრიხ კარლის აღმზრდელზე, გენერალ-ფელდმარშალ ალბრეხტ ფონ რონზე (გერმ. Albrecht Theodor Emil Graf von Roon) (1803-1879წ.წ.), რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის პრუსიის არმიის რეორგანიზაციისა და აღმშენებლობის საქმეში – არმიის რიცხოვნობის გაზრდა, მისი გადაიარაღება, სამწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემოღება, დაჩქარებული სამობილიზაციო გეგმების შემუშავება და სხვა.

პოტენციალის სრულად ამოწურვა და პრუსიის არმიის საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლება.

პრუსიაში სავალდებულო შეიქმნა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესრულება გახანგრძლივებული სამუშაო დროითა და გაზრდილი ბიუჯეტით. შეუძლებელი გახდა მისგნ თავის დაღწევა ან სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება გამოსყიდვის გზით. მოსახლეობის ყველა განათლებულ ფენას მოუწოდეს იარაღის აღებისაკენ და ბრძოლის ველზე გამოვიდა შეიარაღებული ძალა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისგან შედგებოდა.

შესაბამისად, პრუსიის არმია თავისი მოტივაციით, სტრუქტურითა და საბრძოლო მომზადების დონით სჯობდა XIX საუკუნის ევროპულ დაქირავებულ და ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს. გარდა ამისა, პრუსიულმა ჯარმა სათანადოდ გამოიყენა ინდუსტრიული მიღწევები და სამხედრო-ტექნიკური გამოგონებები, იმთავითვე გაითავისა რა რკინიგზის დიდი სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა შორს მდებარე რაიონებში ტვირთების სწრაფად ტრანსპორტირება.[338] 1832 წელს რკინიგზის კომპანიებში გაჩნდა მორზეს მიერ შექმნილი სატელეგრაფო აპარატის ანბანი და გაფართოვდა ქვეყნის სატელეგრაფო ქსელი, ასე რომ, შესაძლებელი გახდა დიდ მანძილებზე შეტყობინებების სწრაფად გადაცემა.[339]

ლულიდან დასატენი ძველი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი შეიცვალა ახლებური სავაზნე კოლოფის მქონე შაშხანით, რომელსაც მოქმედების უფრო დიდი მანძილი და სიზუსტე ჰქონდა.[340] პრუსიელთა შეიარაღებაში არსებულ დრაიზეს შაშხანას ჰქონდა არა მხოლოდ უფრო მაღალი სწრაფსროლა, არამედ შესაძლებელი იყო მისი დატენა წოლელა მდგომარეობაში. ეს ძალიან დიდ უპირატესობას ანიჭებდა მსროლელს, რადგან მოწინააღმდეგის მხრიდან მოხვედრების საფრთხე საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ მხოლოდ სამხედრო-ტექნიკური და რიცხობრივი უპირატესობით ომის მოგება შეუძლებელია.

საომარი კამპანიის მომზადებისთვის, მობილიზაციისთვის, ოპერაციის გეგმისა და ჯარების სტრატეგიული გაშლისათვის საჭიროა ომებისა და საომარი კამპანიების დამგეგმავი ბრძოლისუნარიანი ორგანოს არსებობა. პრუსიელებს კი ჰქონდათ ასეთი

---

338 რკინიგზის განვითარებული ინფრასტრუქტურის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მხოლოდ ტვირთების სწრაფად გადაზიდვაში მდგომარეობდა. მთავარი ფაქტორი, რაც დაინახა ჰელმუტ ფონ მოლტკემ რკინიგზის გამოყენების თვალსაზრისით, იყო ის, რომ რკინიგზა ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობებს იძლეოდა ჯარების დიდი მასების გადაყვანისა და მათი სტრატეგიული გაშლის კონტექსტში. ჯარების გადაყვანა შესაძლებლი გახდა ექვსჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ნაპოლეონის ჯარები გადაადგილდებოდნენ, და მთელი საომარი სტრატეგიის ძირითადი ფაქტორები – დრო და სივრცე – ახალ ჭრილში წარმოჩინდა. ქვეყანას, რომელსაც გააჩნდა სარკინიგზო კომუნიკაციების მეტად განვითარებული სისტემა იღებდა მნიშვნელოვან და ალბათ გადამწყვეტ უპირატესობას ომის წარმოებაში. აქედან გამომდინარე, მობილიზაციისა და არმიების კონცენტრაციის ტემპი გახდა სტრატეგიული გათვლების არსებითი ფაქტორი. შენაერთების მობილიზაციის და შეკრების გრაფიკი, პირველი მარშირების ბრძანებასთან ერთად მომავალში სტრატეგიული გეგმების საფუძველი გახდა.

339 სატელეგრაფო აპარატისა და მისი ანბანის შექმნის თარიღთან დაკავშირებით წიგნის ავტორი უზუსტობას უშვებს. ამერიკელმა მხატვარმა და გამომგონებელმა, სამუელ მორზემ (ინგლ. Samuel Finley Breese Morse) ალფრედ ვეილთან ერთად ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი და ასო-ნიშნების კოდირებული სისტემა, ე.წ. „მორზეს ანბანი" 1836 წელს შექმნა. პირველი სატელეგრაფო შეტყობინება მორზეს ანბანის გამოყენებით კი, ვაშინგტონიდან ბალტიმორში 1844 წლის 24 მაისს გაიგზავნა. იგი ერთი მოკლე წინადადებისგან შედგებოდა – „დალოცვილია საქმენი შენი, უფლო". ასე რომ, სატელეგრაფო ქსელის გაფართოება და რკინიგზის კომპანიებში მორზეს აპარატის დანერგვა მხოლოდ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო.

340 აქ ავტორი უზუსტობას უშვებს. სავაზნე კოლოფიანი პირველი შაშხანა უფრო გვიან, XIX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში კი, 20 წლის შემდეგ. აქ საუბარია პრუსიელი ინჟინრისა და გამომგონებლის, იოჰან ფონ დრაიზეს მიერ 1836 წელს შექმნილ სახაზინო ნაწილიდან დასატენი ახალი ტიპის ნემსიან შაშხანაზე, რომელიც პრუსიის შეიარაღებულ ძალებში 1841 წელს იქნა მიღებული. მისი ოფიციალური დასახელება იყო „მსუბუქი კაპსულიანი თოფი 1841" – ("Leichtes Perkussionsgewehr-41"); ეს პრინციპულად განსხვავებული იარაღი იყო მუშკეტისა და ფიუზილისაგან, რომლებიც ლულიდან იტენებოდა, ხოლო დენთის აალება პირველ შემთხვევაში ცეცხლმოდებული პატრუქით, ხოლო მეორე შემთხვევაში კაჟის სასხლეტზე დაცემით წარმოქმნილი ნაპერწკლით ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო იდეალური იარაღი და მას ჰქონდა მთელი რიგი სუსტი მხარეები, ისეთები როგორიცა სახაზინო ნაწილიდან გაზების გაჟონვა, შაშხანის დიდი მასა, ნემსის ხშირი გატყდომა და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დრაიზეს ნემსიანი შაშხანის შექმნა აშკარად რევოლუციური ინოვაცია იყო იმდროინდელ სინამდვილეში.

ორგანო. ეს იყო „არმიის ტვინი" – გენერალური შტაბი. 1857 წლიდან გენერალურ შტაბს ჰყავდა ჭკვიანი, ნიჭიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი, რომელიც სრულად იყო ჩაფლული სამუშაოში, გამოირჩეოდა უნივერსალური განათლებითა, შრომის უნარითა და რკინის დისციპლინით. ეს იყო ფელდმარშალი, გრაფი ჰელმუტ ფონ მოლტკე.[341] იგი უმეტესად თვითონ ამზადებდა ბრიგადებისა და დივიზიების მეთაურებს და თვითოეული პრუსიული კორპუსისა და არმიის სარდლის უკანაც განათლებული შტაბის უფროსი იდგა. და აი ახლა, მოლტკეს იდეებითა და პრინციპებითაა გაჯერებული მთელი პრუსიული არმიის სული.[342] იგი ომში ხედავს ღმერთის მიერ დაკანონებულ მსოფლიო წესრიგში არსებულ გაუხსნელ რგოლს და დარწმუნებულია, რომ ომი, როგორც ამას კლაუზევიცი ასწავლიდა, წარმოადგენს პოლიტიკის უკანასკნელ საშუალებას, რის შედეგადაც იგი შესაძლებელია კანონიერი გახდეს.[343]

1866 წლის 2 ივნისს პესიმისტურად განწყობილი მეფე ვილჰელმ I სამეფო დადგენილებით პირველად ანიჭებს ფლდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს, გენერალური შტაბის უფროსს, „ომის დროს" მკაფიოდ გარკვეულ თანამდებობას, რითაც ზღუდავს საკუთარი თავის, უზენაესი ძალის მატარებლის, სუვერენის სამეთაურო ძალაუფლებას. მოლტკე, პრუსიის არმიის გენშტაბის უფროსი და საბრძოლო ოპერაციების დამგეგმავი, საკუთარ თავზე იღებს საომარი კამპანიის ხელმძღვანელობას.[344] ასეთი რამ ჯერ სამხედრო ისტორიაში არ მომხდარა. ზოგადად, სამხედრო ოპერაციების გეგმა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მრავალ წინააღმდეგობას ხვდება და მრავალნაირად იცვლება. მოლტკეს მიერ შემუშავებული საომარი მოქმედებების სტრატეგიული გეგმა მოიცავდა მოწინააღმდეგის ფლანგებიდან გარშემოვლასა და ბრძოლაში მისი ჯარების გარემოცვას.[345] შემდეგ კი, მის განადგურებას ულმობელ საალყო ბრძოლაში.

---

341 ჰელმუტ ფონ მოლტკე (ჰელმუტ კარლ ბერნჰარდ ფონ მოლტკე – მოლტკე უფროსი) (გერმ. Helmuth Karl Bernhard von Moltke) (1800-1891წ.წ.) – დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პრუსიის არმიის გენერალი და გერმანიის იმპერიის ფელდმარშალი, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ჰელმუტ ფონ მოლტკე-უმცროსის ბიძა. XIX საუკუნის უდიდესი სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგოსი. პრუსიის სამხედრო აკადემიის რექტორი და ომის კოლეჯის დამაარსებელი. პრუსიისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შემქმნელი. სამხედრო საქმეში ოპერაციების დაგეგმვის პროცედურებისა და სამხედრო თამაშების შემომტანი. XIX საუკუნის ახალი გერმანული და ევროპული აზრისა და სტრატეგიული შეტევითი კონცეფციის ავტორი. ჯარების სტრატეგიული მარშისა და მოკლევადიანი ომების წარმოების აპოლოგეტი. დანიის (1864), ავსტრიისა (1866) და საფრანგეთის (1870-1871) წინააღმდეგ შემუშავებული საომარი გეგმებისა და ამ ომებში მიღწეული ტრიუმფალური გამარჯვებების ავტორი. ოტო ფონ ბის-მარკთან და ალბრეხტ ფონ რონთან ერთად გერმანიის ახალი იმპერიის, II რაიხის შემქმნელი. პრუსიული სამხედრო რევოლუციის ფუძემდებელი. 1867-1891 წლებში გერმანიის რაიხსტაგის დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის თემაზე გამოცემული რამოდენიმე წიგნის ავტორი. I მსოფლიო ომის ძირითადი სამხედრო სტრატეგიის თეორიული საფუძვლების ავტორი. კარლ ფონ კლაუზევიცთან და ალფრედ ფონ შლიფენთან ერთად ითვლება XIX საუკუნისა და თანამედროვე ეპოქის უდიდეს სამხედრო თეორეტიკოსად.

342 მოლტკე შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე უფრო გამჭრიახი და მნიშვნელოვანი ევროპელი სამხედრო მოღვაწე ნაპოლეონის ეპოქასა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. კლაუზევიცი იყო უფრო ღრმა ფილოსოფიურად მოაზროვნე, თუმცა მოლტკე მეტად გამორჩეული იყო არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების ორგანიზებაში, სტრატეგიულ დაგეგმვასა და საშტაბო დოკუმენტების შემუშავებაში, არამედ ჯარების ოპერატიულ სარდლობაში. იგი აერთიანებდა თავის უნარებს და სწორად აანალიზებდა თუ რა იყო და რა არ იყო შესაძლებელი ომებსა და საომარ კამპანიებში.

343 მოლტკე წერდა: „სტრატეგიას არ გააჩნია სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ იბრძოლოს იმ უმაღლესი მიზნის მისაღწევად რასაც გარემოებები მოგვიტანს. სტრატეგიასა და დიპლომატიას შორის კოოპერაციის სუკეთესო გზა ისაა, რომ იღვაწო მხოლოდ პოლიტიკური შედეგისათვის, მაგრამ აკეთო ეს სრულიად დამოუკიდებლად"... ზოგადად, ომის შესახებ კი, იგი ამბობდა: „ომი ღმერთისგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩინდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა. ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა..."

344 პრუსიელთა მიერ ავსტრიასთან საომარი მოქმედებების საწარმოებლად ფორმირებულ იქნა სამი – 1-ლი, მე-2 და ე.წ. „ელბის" არმია.

345 მოლტკემ განავითარა მტრის ფლანგიდან შემოვლის კონცეფცია, რომელიც ხორციელდებოდა ერთ უწყვეტ სტრატეგიულ-ოპერაციულ მოქმედებებად და მოიცავდა ძალთა მობილიზაციას, ცალკეულ შენაერთებად გადაადგილებას, სივრცის მოცემულ წერტილსა და დროის მოცემულ მომენტში მათ კონცენტრირებას და ბრძოლას.

არსებული სტრატეგიული სურათი კი ასეთია – ავსტრიელთა ძირითადი ძალა დგას ბოჰემიაში, ამიტომ მოლტკე აყალიბებს ძირითადი დარტყმის მიმართულებას: პრუსიის ჯარის ექვსი მეშვიდედი მიემართება ბოჰემიისკენ, მიუხედავად პროვინციების მეტ-ნაკლები დაცულობისა, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს შეტევა. ეს ნიშნავს შენაერთებისა და არმიების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას თითქმის სამასკილომეტრიან უზარმაზარ რკალში, საქსონიიდან ქვემო სილეზიამდე. რადგან ისინი თავიდანვე არ გაერთიანდნენ ერთ არმიად და სამ ნაწილად გაიყვნენ, ისინი გადაყავთ რკინიგზით, მათი მართვა კი, ტელეგრაფის მეშვეობით ხორციელდება. მოლტკეს გეგმით შენაერთები უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთობლივი მოქმედებისთვის ზუსტად წინასწარ განსაზღვრულ გადამწყვეტ ადგილზე, ბრძოლის ველზე, მანამდე კი უნდა ემოქმედათ მოლტკესეული დევიზის გათვალისწინებით: „ცალკეულად მარშირება და ერთობლივად ბრძოლა!“[346]

ჯარების მართვის ეს ინოვაციური მეთოდი მანამდე არც ერთ ქვეყანას და არც ერთ მხედართმთავარს არ გამოუყენებია. ოპერაციის ეს გაბედული გეგმა მნიშვნელოვან რისკებსაც შეიცავდა. პრუსიელთა თითოეული არმია რიცხოვნობითა და საცეცხლე ძალით ნაკლები იყო, ვიდრე მთლიანად ავსტრიის შეიარაღებული ძალები. და რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი დროულად არ შეერთდებოდნენ იქ, სადაც ბრძოლა უნდა დაწყებულიყო?

როცა პრუსიელთა ჯარის სამი კოლონა, რომელთა თავმოყრის წერტილი იყო გიჩინი, შეთანხმებისამებრ, ბოჰემიაში სამი მხრიდან შეიჭრა და ახალი საბრძოლო ტექნიკისა და ახალი ნემსიანი შაშხანის წყალობით საწყის ბრძოლებში წარმატებებს მიაღწიეს, ავსტრიელების სტრატეგიაც იცვლება. მათი მთავარსარდალი, გენერალი ლუდვიგ ფონ ბენედეკი[347], ძველი სკოლის გამოცდილი მეომარი, ტაქტიკურ მოქნილობას იჩენს და კონიგრაცთან, ელბას დასავლეთ სანაპიროზე, მეტად ხელსაყრელ, ტყით დაფარულ მთიან ტერიტორიაზე იკავებს ძლიერ თავდაცვით პოზიციებს. სხვა არჩევანი მას უბრალოდ არა აქვს, რადგან უკვე მომხდარ ბრძოლებში პრუსიული იარაღის უპირატესობამ დაანახა, რომ პრუსიის მსროლელთა ხაზზე შეტევა, პრუსიელთა მიერ წარმოებული ცეცხლის მაღალი სიმკვრივის გამო, ავსტრიელთათვის დიდი დანაკარგებით მთავრდება. ამიტომ ბენედეკს სურს, ამ თავდაცვითი პოზიციით პრუსიელების საშიში იარაღი უვნებლად აქციოს და იმას მიაღწიოს, რომ დასავლეთიდან მომავალ ორივე პრუსიულ არმიას, (1-ლი არმია პრინც ფრიდრიხ კარლის სარდლობით და ელბას არმია ებერჰარდ

სტრატეგიული ინიციატივის თავიდანვე ხელში აღებით მისი მიზანი იყო მოწინააღმდეგის ძალების ნაწილობრივ ან სრულ ალყაში მოქცევა და მისი არმიის განადგურება დიდ და გადამწყვეტ ულმობელ საალყო ბრძოლაში – Vernichtungs an Keselchlacht.

346 სლოგანი – „ცალკეულად მარშირება და ერთობლივად ბრძოლა!“ – მოლტკეს სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენდა. 1865 წლისათვის იგი წერდა: „სამხედრო ქვედანაყოფების ზომის გაზრდასთან ერთად იზრდება მობილურობასთან დაკავშირებული პრობლემები; შეუძლებელია არმიის ერთ კორპუსზე მეტის გადაყვანა ერთი გზით ერთსა და იმავე დღეს... ამდენად, არმიის დაყოფა კორპუსებად და მათი თავმოყრა კონკრეტული მიზნის გარეშე შეცდომაა. არმიის მუდმივად თავმოყრა მხოლოდ უზრუნველყოფის მოტივით უხერხულობებს ქმნის და თითქმის შეუძლებელია. ამდენად, არმიის თავმოყრა უშუალოდ ბრძოლამდე არ უნდა მოხდეს და ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია. თავმოყრილ არმიას უკვე აღარ შეუძლია დიდ მანძილებზე მარშირება, მას მხოლოდ ბრძოლის ველზე გადაადგილება შეუძლია. მარშირებისთვის, არმია თავდაპირველად უნდა დაიყოს ნაწილებად, რაც მტრის მხრიდან საშიშროებას ზრდის. იმდენად, რამდენადაც ბრძოლისთვის აუცილებელია მთელი ჯარის კონცენტრირება, სტრატეგიის არსი მდგომარეობს არმიის ნაწილებად მარშების ორგანიზებასა და შესაფერის მომენტში მათ კონცენტრირებაში.”

347 ლუდვიგ ავგუსტ რიტერ ფონ ბენედეკი (გერმ. Ludwig August Ritter von Benedek) (1804-1881წ.წ.) – უნგრული წარმოშობის ავსტრიელი მხედართმთავარი, ფელიცხმაისტერი. ასევე ცნობილია ლაიოშ ბენედეკის სახელით. 1840 წლიდან მაიორი და მთავარსარდლის ადიუტანტი გალიციაში, 1846 წლიდან პოლკოვნიკი, 1849 წლიდან – გენერალი. 1857 წლიდან კორპუსის სარდალი. 1859 წლიდან გენერალ-ფელიცხმაისტერი და ავსტრიის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი. პრუსიასთან ომის დაწყებისას დაინიშნა ბოჰემიაში გაშლილი ავსტრიელთა ჩრდილოეთის არმიის სარდლად. 1860 წლიდან უნგრეთის გენერალ-გუბერნატორი. 1866 წლის 3 ივნისს კონიგრაცთან განცდილი მარცხის შემდეგ, მოხერხებული მანევრებით შეძლო თავისი არმიის ნაწილის გადარჩენა სრული განადგურებისაგან. იგი დაუყოვნებლივ იქნა განთავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, მისი ადგილი კი ერცჰერცოგ ალბრეხტმა დაიკავა. თავის გენერლებთან ერთად მისი საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს, თუმცა მოგვიანებით იმპერატორის განკარგულებით საქმის წარმოება შეწყდა.

ფონ ბიტენფელდის[348] სარდლობით), რომლებიც ავსტრიელთა თავდაცვის ხაზს შეუტევენ, რაც შეიძლება დიდი ზარალი განაცდევინოს.

ამავე დროს, ბენედეკის სტრატეგიული ჩანაფიქრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრუსიელთა მე-2 არმიას, მომავალი პრინცის, ფრიდრიხ ვილჰელმის მეთაურობით, რომელიც მისი აზრით, ჯერ კიდევ შორს, სადღაც ჩრდილოეთით დგას, უპირატესი ძალებით მიაყენოს დარტყმა.

ამ თვალსაზრისით ბენედეკმა კარგად შეარჩია ბრძოლის ველი, რადგან გორაკის ფერდობიდან მას შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს თავისი არტილერია. წინა დღეს მან სრულყოფილად ჩაატარა ბრძოლის ველის რეკოგნოსცირება და მეზარბაზნეებმაც სროლის დისტანციები მონიშნეს. მან იცის, რომ კარგად მომზადებული ბრძოლის ველი შემდგომ მოქმედებებს გაუადვილებს. ბრძოლის მსვლელობისას დროის მფლანგველი „გამიზვნა“ საჭირო აღარ იქნება.

1866 წლის 3 ივლისის ცივ, წვიმიან დღეს, კონიგრაცთან ბრძოლა სწორედ ისე იწყება, როგორც ეს ბენედეკს წარმოედგინა: შეტევაზე გადასული პრუსიელი გრენადერები ავსტრიელთა არტილერიის ხშირ და ზუსტად დამიზნებულ დაბომბვაში ხვდებიან. სოფელ სადოვამდე და ცისტოვემდე წინ მიიწევდნენ, შემდეგ კი იძულებულნი გახდნენ საათობით ეცადათ, ისე, რომ ვერ შეძლეს გადამწყვეტი ტერიტორიის დაკავება. მიუხედავად ტყის ხშირი საფარისა, გორაკზე გადაადგილება პრუსიელთათვის მაინც არ იყო საკმარისად უსაფრთხო მოწინააღმდეგის ჭურვებისგან თავის დასაცავად. აქ შეუძლებელი იყო პრუსიელების ნემსიანი შაშხანის სრული ზემოქმედების ეფექტის ჩვენება. ავსტრიელთა არტილერიის მომაკვდინებელი ცეცხლისგან გაქცეული პრუსიელები ტყეს აფარებენ თავს, მაგრამ აქ მათ ხეებს უკან დამალული მოწინააღმდეგის სამთო-მსროლელები დახვდნენ და მთლიანად ამოხოცეს. პრუსიელების მხარეს დანაკარგი ძალიან დიდი იყო – პრუსიელთა თითქმის მთელი პოლკი განადგურდა. ბენედეკი კმაყოფილია, საბრძოლო მოქმედებები მისი ჩანაფიქრის შესაბამისად ვითარდება.

დღის პირველ ნახევარში უკვე ისე ჩანდა, რომ ავსტრიელები ამ ბრძოლას მოიგებდნენ. ბენედეკმაც ირწმუნა, რომ მისმა სტრატეგიამ და საბრძოლო გეგმამ გაამართლა. მაგრამ ეს შეცდომაა. პრუსიელებზე მცირე ტაქტიკური უპირატესობის მოპოვების შემდეგ ავსტრიელთა სარდალი შეცდომას უშვებს. ნაცვლად იმისა, რომ მიღწეული ტაქტიკური უპირატესობა განევითარებინა და გადამწყვეტი კონტრშეტევით პრუსიელები საკუთარი პოზიციებიდან განედევნა, იგი პასიურობს და თავდაცვით პოზიციებზე რჩება, რადგან დარწმუნებულია, რომ საკმარისი დრო აქვს თავისი გამაგრებული ადგილიდან პრუსიელების გასანადგურებლად. ბენედეკის შეცდომა სწორედ მის თავდაჯერებულობაშია. აღწერილი მოვლენები ასე ვითარდებოდა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მომავალი პრინცის, ფრიდრიხ ვილჰელმის მე-2 არმია მარჯვენა ფლანგთან მიაღწევდა ბრძოლის ველს. ბენედეკმა იცის, რომ პრუსიელთა ეს არმია არსებობს და ბრძოლის ველისკენ მოემართება, მაგრამ, მისი ვარაუდით, ის ჯერ კიდევ ძალიან შორსაა და ამიტომ სიმშვიდეს ინარჩუნებს. მაღლობზე გაშენებულ სოფელ ჩლუმში, სადაც ბენედეკის მარჯვენა ფლანგია გამაგრებული, პოზიციას იკავებს ავსტრიელთა პატარა დანაყოფი გრაფ ედელსჰაიმის მეთაურობით. ბენედეკი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთიდან მას საფრთხე ჯერ არ ემუქრება, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს მისი შეცდომა.

---

[348] კარლ ებერჰარდ ჰერვარდ ფონ ბიტენფელდი (გერმ. Karl Eberhard Herwarth von Bittenfeld) (1796-1884.წწ.) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო ოფიცერი, გენერალ-ფელდმარშალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1811 წელს. აქტიურად მონაწილეობდა ნაპოლეონის ეპოქის ომებში. 1848 წლიდან პოლკოვნიკი, 1852 წლიდან გენერალ-მაიორი. 1856 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1860 წლიდან უკვე ინფანტერიის გენერალია და სარდლობს პრუსიის არმიის VII კორპუსს. დანიასთან ომში სარდლობდა პრუსიის არმიას, მაშინ როცა პრუსიის პრინცი ფრიდრიხ კარლი წარმოადგენდა მოკავშირეთა ჯარების უმაღლეს მთავარსარდალს. ავსტრიასთან ომში ელბის არმიის სარდალია. მისი დასრულების შემდეგ უბრუნდება VII კორპუსს, 1867-1870 წლებში კი ხდება რიხსტაგის წევრი. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ხელმძღვანელობდა რეზერვის ორგანიზებისა და ფრონტის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის საკითხებს. 1971 წელს ენიჭება გენერალ-ფელდმარშლის წოდება.

პრუსიელთა მე-2 არმია 1-ლი არმიისგან, სადაც მეფე იმყოფებოდა გენერალური შტაბის უფროსთან ერთად, იღებს შეტყობინებას დახმარების საჭიროების შესახებ და სწრაფად უახლოვდება მას ფორსირებული მარშით. პრინც ვილჰელმს ორი არჩევანი აქვს: ან გაემართოს გრძელი გზით ჩრდილოეთის მიმართულებით, რათა 1-ლი არმიის პოზიციას ზურგიდან მიუახლოვდეს და ამგვარად გააძლიეროს არმია, ან აირჩიოს მოკლე გზა, რათა შეუტიოს აღმოსავლეთით განლაგებულ ავსტრიელთა ფლანგს. პრინცი ფრიდრიხ კარლი გადაწყვეტს, რაც შეიძლება სწრაფად ჩაერთოს ბრძოლაში. მისი ქვედანაყოფები და შენაერთები იღებენ ბრძანებას, კურსი აიღონ სოფელ ჩლუმის სიმაღლეზე მდებარე ხეების კორომისაკენ. ის ფაქტი, რომ ეს ადგილი ავსტრიელთა პოზიციის აქილევსის ქუსლია, პრუსიელებმა არ იციან.

ზუსტად იმ დროს, როცა სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ბრძოლა ავსტრიელებისთვის ხელსაყრელად მიმდინარეობს, ოპერატიული ვითარება იცვლება. 14 საათისათვის, პრუსიელები ბენედეკის ზურგს უახლოვდებიან, მსგავსად ბლიუხერის გამოჩენისა ნაპოლეონის ფლანგზე ვატერლოოსთან, და პრუსიელთა ნაკლებად გამაგრებულ პოზიციას უტევენ ჩლუმთან. ბენედეკის შეცდომის შედეგები უფრო ნათლად მაშინ იჩენს თავს, როცა გრაფი ედელსჰაიმი, მიუხედავად ბრძანებისა, თავის ჯართან ერთად ტოვებს მითითებულ ადგილს და სხვა პოზიციაზე გადადის. ჩლუმი მომენტალურად აღმოჩნდება პრუსიელების ხელში.[349]

ბენედეკის ძირითადი ძალები ისეა ჩათრეული პრუსიელთა ორივე არმიასთან ბრძოლაში, რომ მოკლებულია შესაძლებლობას რეაგირება მოახდინოს ფლანგზე შექმნილ საფრთხეზე. ბოლოს და ბოლოს, იგი ხვდება შექმნილი მდგომარეობის სიმძიმეს და თავის რეზერვს აგზავნის ჩლუმისკენ. აქ კი მათ ცეცხლს უხსნიან პრუსიელები თავიანთი ნემსიანი შაშხანებიდან, რომელთა ზემოქმედებაც ამ ტერიტორიაზე უფრო ეფექტურია. ავსტრიელები უკან იხევენ. ისინი იმეორებენ შეტევას, მაგრამ ამაოდ, პრუსიელები ინარჩუნებენ ჩლუმის პოზიციებს. ავსტრიელთა მდგომარეობა ნელ-ნელა მძიმდება, ისინი ვერ ახერხებენ ჩლუმის უკან დაბრუნებას, მათი ყველა შეტევა დიდი დანაკარგებით სრულდება. ხოლო როცა პრუსიელთა არტილერია გამანადგურებელ ფლანგურ ცეცხლს უხსნის ავსტრიელთა ძირითად ძალებს, ისინი მოწინააღმდეგის ჯვარედინ ცეცხლში ხვდებიან. ეს უკვე ბრძოლის კულმინციური წერტილია, ავსტრიელთა მდგომარეობა უიმედო ხდება და ისინი უკანდახევას იწყებენ. ბენედეკი ხვდება თავის შეცდომას და ცდილობს, რომ ორგანიზებული და თანმიმდევრული უკანდახევით გადაარჩინოს ის მაინც, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ არის შესაძლებელი. მას ბრძოლაში შეჰყავს კავალერია, რა-თა დაფაროს ქვეითი ჯარის უკანდახევა, მაგრამ მოლტკესაც ჰყავს რეზერვში კავალერია. ისიც რთავს მათ ბრძოლაში, რათა გაქცეულ მოწინააღმდეგეს უკან დაედევნოს და ალყა შემოარტყას მას.

ეს იყო სამხედრო ისტორიაში კავალერისტების უკანასკნელი უდიდესი ბრძოლა, სადაც კონიგრაცი ხანგრძლივი სამხედრო ტრადიციების მწვერვალად ითვლება.[350] აქ

---

[349] ჩლუმის პოზიციები მხოლოდ კაპიტან ვან დერ გრობენის ბატარეას არ დაუტოვებია. შემდეგში ავსტრიელთა ამ ქვედანაყოფს „შეწირულთა ბატარეა" უწოდეს. ვან დერ გრობენის ბატარეის რვა ზარბაზანი ჩლუმის ჩრდილო-დასავლეთით, ტყესთან იყო განლაგებული. დაახლოებით 15 საათსა და 10 წუთზე, მაშინ, როცა გაცხადდა, რომ პრუსიელები შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ ავსტრიელთა არმიას ჩლუმის მხრიდან, კაპიტანმა სასწრაფოდ შეუცვალა პოზიცია თავის ბატარეას და ცეცხლი გაუხსნა პრუსიელებს. მათ დაახლოებით ათი გასროლა მოასწრეს პრუსიელთა მხარეს, სანამ მოწინააღმდეგის ცეცხლმა საბოლოოდ არ ჩააჩუმა გრობენის ბატარეა. თუმცა, ეს ათი გასროლაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პრუსიელთა ავანგარდი შეეჩერებინათ, ხოლო ავსტრიელთა ჯარის ძირითად ნაწილს უდანაკარგოდ დაეხია უკან. ბატარეის მეთაური, კაპიტანი ვან დერ გრობენი, უფროსი ლეიტენანტი ჰაინრიხ ვოლფი, 52 ავსტრიელი ჯარისკაცი და 68 ცხენი ამ თავგანწირულ ბრძოლას შეეწირა. მამაცი კაპიტანი სიკვდილის შემდეგ მარია ტერეზიას საბრძოლო ორდენით დაჯილდოვდა.

[350] ავტორი აქ აშკარად ცდება. რა თქმა უნდა, კონიგრაცთან გამართული ავსტრიელ და პრუსიელ კავალერისტთა ბრძოლა თავისი მასშტაბებით მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ იგი მაინც არ ყოფილა „სამხედრო ისტორიაში კავალერისტების უკანასკნელი უდიდესი ბრძოლა". სინამდვილეში „სამხედრო ისტორიაში კავალერისტების უკანასკნელ უდიდეს ბრძოლას" ადგილი ჰქონდა გაცილებით გვიან, ამ ამბებიდან 54 წლის შემდეგ, 1920 წელს, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის მსვლელობისას. 1920 წლის 31 აგვისტოს სოფელ კომაროვოსთან

მოხდა კავალერისტების სისხლისმღვრელი შეჯახება, იმის მსგავსი, რასაც 1815 წლის 18 ივნისს ჰქონდა ადგილი, მარშალ ნეის კავალერიის ცნობილი შეჯახების დროს ველინგტონის კავალერიასთან ვატერლოოს ბრძოლაში. ისტორია თითქოს განმეორდა. აქაც, 51 წლის შემდეგ, როგორც მარშალმა ნეიმ მოახერხა ბრიტანელების „უკუგდება", ისეთივე „წარმატებით" ვერ შეძლო პრუსიელების კავალერიამ ავსტრიელთა ჯარის განადგურება. თავგანწირვით მებრძოლ არტილერიასთან ერთად, ავსტრიელთა კავალერიამაც მოახერხა პრუსიელების წინსვლის შეჩერება და იმის უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ბრძოლის ველიდან სამხრეთის მიმართულებით ავსტრიელების ჯარის ძირითადი ნაწილის გაყვანა.[351] მაგრამ ეს სავსებით არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ავსტრიელები დამარცხდნენ.

კონიგრაცთან ბრძოლაში მოლტკეს სამხედრო აზრმა და სტრატეგიამ თავისი დიდი უპირატესობა აჩვენა. ფაქტია, რომ პრუსიის გენერალური შტაბის მიერ კარგად დაგეგმილ, მართულ და აღსრულებულ საომარ კამპანიას ავსტრიელებმა ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს. პრუსიელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ არნახული გამარჯვების აღსანიშნავად, მეფე ვილჰელმ I-მა პრინც ფრიდრიხ ვილჰელმს, პირდაპირ ბრძოლის ველზე გადასცა ორდენი „Pour le Mérite".

ავსტრო-უნგრეთის დიდ იმპერიაში შემავალი სახელმწიფოების სამხედრო ძალა სამკვირიანი ომის ერთადერთ ბრძოლაში იშლება. ევროპის სამხედრო ისტორიაში ეს იყო პირველი უდიდესი ბრძოლა, რომელიც მოიგო არა ჯარების სარდალმა, არა უშულოდ სამ-ხედრო მეთაურმა ან მონარქმა, არამედ გენერალური შტაბის უფროსმა. ამ ხანმოკლე ომში ავსტრიელთა მარცხი იმდენად მძიმე აღმოჩნდა მათთვის, რომ ომის შემდგომი გაგრძელება მათ უპერსპექტივოდ ჩათვალეს.[352] იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა შემდგომი საბრძოლო და ტერიტორიული დანაკარგები და, უპირველეს ყოვლისა, პრუსიელთა მიერ ვენის სამარცხვინო დაკავება, ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოზეფი, რომელიც აქამდე ბრძოლის გაგრძელების მომხრე იყო, უყოყმანოდ დათანხმდა დაუყოვნებლივ კაპიტულაციაზე. ავსტრია დანებდა და ამით საკუთარი თავი გადაირჩინა. ნებისმიერ შემ-თხვევაში, იგი გერმანიის გარეშეც იარსებებდა.[353]

1866 წლის 23 აგვისტოს პრუსიასა და ავსტრიას შორის პრაღის ზავი დაიდო. პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ს სურდა მრისხანე მოწინააღმდეგის სამაგალითო დასჯა და მისი ტერიტორიების მასშტაბური ანექსია. ვილჰელმის ჩანაფიქრით ბოჰემიის ნაწილი, გერმანულენოვანი სუდეტების რაიონი და ეგერი პრუსიული უნდა გამხდარიყო, ხოლო

თანამედროვეობის უდიდესი საკავალერიო ბრძოლა გაიმართა, სადაც რუსეთის სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, სემიონ ბუდიონის 1-ლი ცხენოსანი არმია პოლონელი გენერლის, იულიუშ რუმელის 1-ლ ცხენოსან დივიზიას დაუპირისპირდა. საერთო ჯამში, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომის ამ ბრძოლაში კავალერიის 10 ათასიანი შენაერთი იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად დიდი რიცხობრივი უპირატესობისა (7000 ხმალი 2000-ის წინააღმდეგ) წითლების 1-მა ცხენოსანმა არმიამ სასტიკი მარცხი განიცადა. მათმა დანაკარგებმა 4000 შეადგინა რუმელის კავალერისტების 500-ის წინააღმდეგ.

351 ავსტრიელთა არმიის სუსტ წერტილს მისი პირადი შემადგენლობის მრავალეროვნულობა წარმოადგენდა. იმპერიაში შემავალი ხალხების დიდ ნაწილს არ სურდა ჰაბსბურგებისთვის ეომათ. ასობით და ათასობით იტალიელი, რუმინელი და ხორვატი ჯარისკაცი პირდაპირ ბრძოლის ველიდან გარბოდა და დეზერტირობდა.

352 ავსტრიის არმიამ მოკავშირე საქსონელთა ჩათვლით, ბრძოლაში მოკლულებისა და დაჭრილების სახით 15 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო ტყვეებისა და დეზერტირების სახით – 28 ათასი. ეს რიცხვი ხუთჯერ მეტი იყო პრუსიელთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რომელთა დანაკარგები 9 ათას კაცს და 116 (ზოგიერთი მონაცემით 187) ზარბაზანს არ აღემატებოდა. მიუხედავად ასეთი დიდი უპირატესობისა, პრუსიელებმა მაინც მისცეს საშუალება ავსტრიელებს, რომ თავი დაეღწიათ პრუსიელთა დევნისაგან და საკუთარი არმიის დიდი ნაწილი გადაერჩინათ.

353 ავსტრიის არმიას ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა დაკარგული ბრძოლისუნარიანობა. მათ შეეძლოთ ვენასა და პრესბურგთან (დღევანდელი ბრატისლავა) თავდაცვის ზღუდის მოწყობა და პრუსიელთათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ იმპერიის შიგნით არსებულმა მძიმე სიტუაციამ აიძულა ფრანც იოზეფი, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები დაეწყო პრუსიასთან. ვილჰელმ I-ისა და ჰელმუტ ფონ მოლტკეს მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, იგივეს ითხოვდა ბისმარკიც, რომელიც საკმარისად თვლიდა ავსტრიის გასვლას გერმანული კავშირიდან. ამ ომის შეწყვეტით საფრანგეთიც დაინტერესებული იყო, რადგან მას არ აწყობდა ავსტრიის დასუსტება. უკვე 26 ივლისს ნიკოლსბურგში (უშუალოდ ავსტრიის საზღვართან მდებარე დღევანდელი ჩეხეთის პატარა ქალაქი მიკულოვი) ხელი მოეწერა წინასწარ საზავო ხელშეკრულებას.

საქსონიისა და ბავარიის სამეფოს უნდა დაეთმო ძველი ჰოჰენცოლერნის მხარეები, ანსბახი და ბაიროითი. მაგრამ ოტო ფონ ბისმარკი სხვანაირად ფიქრობს. იგი პირველ რიგში იმის საფრთხეს ხედავს, რომ პრუსიელების ნებისმიერი ტერიტორიული ექსპანსია სამხრეთ გერმანიისკენ მისი მეზობლების ერთობლივ რეაგირებას გამოიწვევდა. ეს კი სიტუაციას გაამძაფრებდა და მოსალოდნელი კრიზისი შესაძლოა დიდ ევროპულ ომში გადაზრდილიყო. იგი ცდილობს, მეფესთან და გენერალურ შტაბთან ძლიერი, შეუპოვარი დისკურსით გაიტანოს თავისი და მიაღწიოს იმას, რომ ავსტრიასთან, რომელშიც ის მომავალ მოკავშირეს ხედავს, მშვიდობა შეინარჩუნოს.

ბისმარკის გეგმით ავსტრიამ საჭიროა მხოლოდ ომის დროს პრუსიისათვის მიყენებული ზარალი, 20 მილიონი ტალერი გადაიხადოს, ხოლო ვენეციის პროვინცია იტალიას უნდა დაუთმოს. შლეზვიგ-ჰოლშტაინის მიწა კი, პრუსიისა უნდა გახდეს. მაგრამ ავსტრიის იმპერატორი თავს იკავებს ბისმარკის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე და ორივე ამ პირობის მიღებაზე უარს აცხადებს. ამასობაში პრუსიელები იკავებენ შუალედურ ტერიტორიებს მათ კუთვნილ სამფლობელოებს შორის: ესენია ჰანოვერი, კურჰესენი, ნასაუს საჰერცოგო, ჰესენ-ჰამბურგის საგრაფო და დამოუკიდებელი ქალაქი ფრანკფურტი.

ამგვარად, პრუსია ერთიან სახელმწიფოდ ყალიბდება. პრუსიის სამეფოს განკარგულებაში მისი შექმნის დღიდან პირველად ექცევა დაუნაწევრებელი სახელმწიფო ტერიტორიები კენიგსბერგიდან საარბრიუკენამდე. 1866 წლის 18 აგვისტოს პრუსიის ლიდერობით ჩრდილოეთ მაინის ყველა ქვეყანა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირად ერთიანდება, რომელსაც ავსტრია უპირობოდ აღიარებს. გერმანიის კავშირი იშლება, პრაქტიკულად ავსტრია გერმანიას გამოეყოფა. ძალიან მნიშვნლოვანი ისტორიული ფაქტია. ამ მომენტიდან დაწყებული, მომავალში გერმანული პოლიტიკის მართვა არა ვენიდან, არამედ ბერლინიდან განხორციელდება.[354]

[354] კონიგრაცის (სადოვის) ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. აქ ნათლად დადასტურდა სახაზინო ნაწილიდან დასატენი ნემსიანი შაშხანის აშკარა უპირატესობა ლულიდან დასატენ პატრუქიან ფიუზილთან შედარებით. ამ ბრძოლამ აჩვენა სამხედრო მანევრების განხორციელების ეფექტურობა, რაც პირველ რიგში მოწინააღმდეგის ჯარების დიდი მასების გარშემორტყმაში გამოიხატებოდა. ეს გამოცდილება შემდგომში განზოგადდა და კონცეპტუალურად ჩამოყალიბდა სამხედრო ხელოვნების პრუსიული სკოლის, პირველ რიგში კი, ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის მიერ შემუშავებული სტრატეგიის ხახით, რაც წარმატებით გამოიყენებოდა XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ომების მსვლელობისას.

ვილჰელმ I
(1797-1888)

ოტო ფონ ბისმარკი
(1815-1898)

ჰელმუტ ფონ მოლტკე
(1800-1891)

ალბრეხტ ფონ რონი
(1803-1879)

პრინცი ფრიდრიხ კარლი
(1828-1885)

ებერჰარდ ფონ ბიტენფელდი
(1796-1884)

ფრანც იოზეფ I
(1830-1916)

ლუდვიგ ფონ ბენედეკი
(1804-1881)

ვილჰელმ I ბისმარკთან და მოლტკესთან ერთად

ავსტრიელთა მძიმე საარტილერიო ბატარეა. 1864 წელი.
საომარი მოქმედებების შესახებ გადაღებული ერთ-ერთი პირველი ფოტო

დანიელთა მე-8 ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები შეტევაში. 1864 წლის 18 აპრილი. ვილჰელმ დოზენსტენდის ნახატი

იუტლანდიის ნახევარკუნძული და შლეზვიგ-ჰოლშტაინი

შლეზვიგ-ჰოლშტაინის ომი. 1864 წლის 19 აპრილი. გამარჯვებული პრუსიელები. საომარი მოქმედებების შესახებ გადაღებული ერთ-ერთი პირველი ფოტო

პრუსიული ქვედანაყოფი

ავსტრიელი ქვეითი, კავალერისტი და არტილერისტი

დრაიზეს 1841 წლის მოდელის ნემსიანი შაშხანა
("Leichtes Perkussionsgewehr M/41")



დრაიზეს 1865 წლის მოდელის ნემსიანი შაშხანა

კონიგრაცის ველის პანორამული ხედი

სამხედრო კოალიციები და 1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომის მიმდინარეობა

კონიგრაცის ბრძოლა. პრინცი ფრიდრიხ კარლი ესალმება თავის ჯარს

პრუსიელთა ბატარეა

ავსტრიული ქვედანაყოფი

პრუსიელი ქვეითები ცეცხლის ხაზზე

პრუსიელი ქვეითები კონიგრაცის ბრძოლაში

პრუსიელი ეგერები

ავსტრიელთა და საქსონელთა არტილერია კონიგრაცის ბრძოლაში.
1866 წლის 3 ივლისი

კაპიტან ვან დერ გრობენის „შეწირულთა ბატარეა". ბრძოლის უკანასკნელი წუთები. კარლ როხლინგის ნახატი

კონიგრაცის ბრძოლაში პრინც ანტონ ფონ ჰოჰენცოლერნის სასიკვდილოდ დაჭრა, 1866 წლის 3 ივლისი. მიღებული ჭრილობების გამო პრინცი 33 დღეში გარდაიცვალა

საკავალერიო იერიში კონიგრაცის ბრძოლაში.
ალექსანდრ ფონ ბენსას ნახატი. 1866 წელი





ოპერატიული ვითარება დილით



ოპერატიული ვითარება ნაშუადღევს



ოპერატიული ვითარება საღამოს



პრუსიელთა და ავსტრიელთა საკავალერიო ბრძოლა. 1866 წლის 3 ივლისი.
ანტონ ფონ კოზაკის ნახატი

ბრძოლის შემდეგ

კონიგრაცის ბრძოლა. ემილ ჰუნტენის ნახატი. პრუსიის მეფე ვილჰელმ I, თავის შვილს, კრონპრინც ფრიდრიხ ვილჰელმს, გამარჯვების მოპოვებისათვის გადასცემს საბრძოლო ჯილდოს. მარცხნივ, ზურგით ჩვენსკენ, ჰელმუტ ფონ მოლტკე. გერმანიის ისტორიის მუზეუმი, ბერლინი.

გამარჯვებულთა ზეიმი

ავსტრია-პრუსიის ომში პრუსიელთა გამარჯვების აღსანიშნავად გამართული აღლუმი. ბერლინი, 1866 წლის 21 სექტემბერი

ავსტრია-პრუსიის ომის პოლიტიკური შედეგები

კონიგრაცის ბრძოლაში ჩლუმთან გმირულად დაღუპული „შეწირულთა ბატარეის"
მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი

§3.8. შებრუნებული ფრონტი
(ვიონვილი, 1870 წლის 16 აგვისტო)

1870 წლის ზაფხულში დაწყებული გერმანულ-ფრანგული კრიზისის საფუძველი, რომელიც ივლისში უკვე ომში გადაიზარდა, გოლო მანის[355] სიტყვებით რომ ვთქვათ „ისე უჩვეულოდ უგუნური იყო, რომ სამარცხვინოც კია მისი გახსენება“. ნამდვილად ვეთანხმებით ავტორის ამ ნააზრევს. ეს დიდი პოლიტიკური კაზუსი კი მართლაც იმდენად დაუჯერებელია, რომ საჭიროა ნერვების მოთოკვა მისი არსის დაწვრილებითი განხილვისას. გერმანულ-საფრანგული კრიზისის დეტალები იმ პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა წინდაუხედაობას ააშკარავებენ, რომლებმაც საკუთარი მოსახლეობისა და ჯარისკაცების ხარჯზე სისხლიანი ომი გააჩაღეს.

ესპანეთის რევოლუციისა და 1868 წელს დედოფალ იზაბელას ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, ესპანეთის დროებითი მთავრობა ახალ მეფეს ეძებს.[356] მათ აზრად მოსდით, ზიგმარინგენელი ჰოჰენცოლერნების კათოლიკური შტოდან გამოსულ სამხრეთ გერმანელ არისტოკრატს და მომავალ პრინცს, ლეოპოლდს შესთავაზონ, ხომ არ სურს მას ესპანეთის ტახტის დაკავება. ლეოპოლდს ეს იდეა იზიდავს. ბისმარკი მხარს უჭერს ამ გეგმას პრუსიის მეფე ვილჰელმ I-თან ერთად, რადგან იგი პრუსიისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მოტანისა და ასევე „ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის“ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტიას იძლევა. ამ მომენტისათვის გერმანიის იმპერია, მეორე რაიხი, ჯერ კიდევ არ არსებობს, იგი მხოლოდ 1871 წელს, საფრანგეთთან ომის დასრულებისა და ზავის დადების შემდეგ შეიქმნება. ამჯერად კი, მხოლოდ პრუსიის სამეფოზე შეგვიძლია ვისაუბროთ.

ჰოჰენცოლერნების დინასტიის გერმანელი კანდიდატის მიერ ესპანეთის სამეფო ტახტის დაკავების შესახებ ცნობას პარიზის საზოგადოების მეტად შეშფოთებული და ქედმაღლური რეაქცია მოსდევს. ისინი აშკარად გრძნობენ გერმანია-ესპანეთის კავშირის საფრთხეს და ამისათვის ისტორიას იშველიებენ. მათ აშინებთ „კარლოს V-ის ახალი იმპერიის“ შექმნა და საფრანგეთის ბლოკადა.[357] ასეთ შემთხვევაში საფრანგეთი გერმანულ რკალში მოექცევა.

საფრანგეთის მთავრობა მტკიცე კურსს ირჩევს. საქმე არ ეხება მხოლოდ იმას, რომ ხელი შეუშალონ ლეოპოლდის ესპანეთის მეფედ არჩევას. საფრანგეთის გეგმები ცოტა უფრო შორსაც მიდის – მათ პრუსიელების დამორჩილება სურთ. მდგომარეობა ნელ-ნელა მწვავდება და ფრანგულ-პრუსიული ურთიერთობები იძაბება. საჭიროა სიტუაციის განმუხტვა და ესპანეთის ტახტის პრედენდენტი, ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი

---

[355] ანგელუს (გოლო) მანი (გერმ. Angelus Gottfried Thomas Mann) (1909-1994.წ.წ) – გერმანელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, მწერალი და ესეისტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თომას მანის მეორე ვაჟი.

[356] აქ ესპანეთის 1920-1823 წლების რევოლუციასა და დედოფალ იზაბელა II-ზეა საუბარი. ესპანეთში დაწყებული სოციალური და ეკონომიკური კრიზისის გამო დედოფალს არმიაც გადაუდგა, რაც მალე საყოველთაო რევოლუციაში გადაიზარდა. 1868 წელს დედოფალი იზაბელა II ტახტიდან იქნა ჩამოგდებული. იგი საფრანგეთში გაიქცა, სადაც გულთბილად მიიღეს იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ და მისმა მზეთუნახავმა მეუღლემ, იმპერატრიცა ევგენია პალაფოქს დე მონტიხომ.

[357] კარლოს V ჰაბსბურგი (ლათ. Carolus V, ნიდერ. Karel V, გერმ. Karl V, ფრანგ. Charles V) (1500-1558წ.წ.) – ფილიპე IV ბურგუნდიელისა (იგივე კასტილიის მეფე ფილიპე I ლამაზის) და ესპანელი ინფანტა ხუანას შვილი. ესპანეთის (კასტილიისა და არაგონის) მეფე 1516 წლიდან კარლოს I-ის სახელით, გერმანიის მეფე 1519 წლიდან, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1519 წლიდან (კურთხეულ იქნა პაპი კლიმენტ VII-ის მიერ 1530 წელს). XVI საუკუნის მეორე ნახევრის ევროპის უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომის პაპის მიერ იმპერატორად კურთხეული უკანასკნელი მონარქი და ბოლო იმპერატორი, რომელმაც ტრიუმფი მოაწყო რომში. სწორედ კარლოს V-ის მეფობის დროს დაიწყო ესპანეთის აღმავლობისა და მისი მსოფლიო იმპერიად გადაქცევის პროცესი. კარლოს V-ის ესპანეთი წამყვან როლს თამაშობდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში. ამ დროს მოხდა ფერნანდო მაგელანის ექსპედიციის ორგანიზება, კარლოს V-ის მეფობის დროს დაიწყო ფერნანდო კორტესის მიერ მექსიკის, ხოლო ფრანცისკო პისაროს მიერ ინკთა იმპერიის დაპყრობა. საფრანგეთთან მიმართებაშიც კარლოს V აშკარად აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა. 1524 წელს ესპანელთა ჯარი შეიჭრა პროვანსში და აიღო მარსელი, ხოლო 1525 წელს ფავიასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ფრანგი რაინდები, თვით საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I კი, ტყვედ იქნა აყვანილი.

მოქმედებას იწყებს. ფრანგების მკაცრი პროტესტის გათვალისწინებით, იგი ვილჰელმის რჩევას დაუჯერებს და უარს იტყვის შეთავაზებულ გვირგვინზე. თითქოს ყველაფერი რიგზეა და კრიზისიც ამოწურულია, მაგრამ ეს დიპლომატიური ნაბიჯი მაინც არ აკმაყოფილებს ფრანგებს, ისინი მაინც აღშფოთებულები არიან. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პრუსიის პოლიტიკურ წრეებშიც არ არის ერთსულოვნება. ბისმარკს სხვა მოსაზრებები გააჩნია.

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები პრუსიის მეფისგან იმის გარანტიას ითხოვენ, რომ ისინი მომავალშიც არ წამოაყენებენ ასეთ კანდიდატურას. ეს მოთხოვნა საფრანგეთს იზოლაციაში აქცევს ევროპისგან. იმდენად ბუნდოვანი და გაუგებარი სიტუაციაა, რომ დანარჩენი ევროპული ქვეყნების მთავრობები ზუსტად ვერც გარკვეულან საქმის არსში. ჯერ-ჯერობით ისინი მოლოდინის რეჟიმში არიან. პრუსია კი შეურაცხყოფილია, მას არ შეუძლია თავის მართლების პოზაში ყოფნა და არც სურს ისეთი დაპირების მიცემა, რომელიც დანაშაულის აღიარების ტოლფასი იქნება. ვილჰელმ I, რომელიც ამ მომენტისათვის სამკურნალოდ ბად-ემსში იმყოფება, უარყოფს ფრანგების ამ ახალ, მედიდურ მოთხოვნას და ბრძანებს საფრანგეთის ელჩს გადასცენ, რომ „მას მეტი არც არაფერი აქვს სათქმელი“.

ბისმარკისთვის გაგზავნილი კონფიდენციალური ტელეგრამა, რომელიც დეტალურად ასახავს ამ შემთხვევას სტილისტურად გაუმართავი საკანცელარიო გერმანული ენით, ცნობილი ხდება, როგორც „ემსის დეპეშა“. ბისმარკი ამოკლებს ამ დეპეშის ტექსტს და უფრო ამძაფრებს მას ისე, რომ ფრანგების მოთხოვნებზე უარის თქმა რაც შეიძლება მწვავედ იყოს აღქმული. იგი ადგენს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საგაზეთო სტატიას, რომელიც გერმანიაში ბომბივით ფეთქდება. დამახინჯებული დეპეშა არის ის ხრიკი, რომლის მეშვეობითაც ბისმარკს ფრანგების პროვოცირება სურს. ბისმარკი თავის დასახულ მიზანს აღწევს. პრუსიელებისათვის შექმნილი მდგომარეობა მწვავდება, რადგან 1870 წლიდან საფრანგეთი და ავსტრია, რომლებმაც დაიფიცეს, რომ შურს იძიებდნენ 1866 წლის ომში დამარცხებისთვის, მოლაპარაკებებს აწარმოებენ სამხედრო კავშირის შექმნის მიზნით.

ბისმარკის თვალსაზრისით, ომი საფრანგეთთან გარდაუვალია, რადგან გერმანული მიწების უნიფიკაცია და გერმანიის ერთიანი იმპერიის შექმნა მხოლოდ საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ იქნება შესაძლებელი.[358] ბისმარკს სურს გარისკოს და ომი აწარმოოს საფრანგეთთან. იგი დარწმუნებულია, რომ ომს მოიგებენ, რადგან პრუსიელთა არმია უფრო ძლიერია. მან იცის საფრანგეთის არმიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ, თანაც იგი უფრო მცირერიცხოვანი და ბრძოლისუუნარაა, ვიდრე პრუსიის არმია. საფრანგეთის ჯარში ჯარისკაცების გაწვევა უსისტემოდ და შემთხვევითი შერჩევის გზით ხდება, რადგან არ არსებობს საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. რაც მთავარია, საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნია თანამედროვე გენერალური შტაბი.[359] გარდა ამისა, ფრანგების არტილერია პრუსიელთა არტილერიაზე უფრო სუსტია.[360]

---

[358] აქ ელზას-ლოტარინგიის გერმანული მიწებზეა საუბარი, რომელიც საფრანგეთს ოცდაათწლიანი ომის დასრულების შემდეგ, 1848 წელს გადაეცა ვესტფალიის ზავის პირობებით.

[359] გაწვევის სისტემის არ არსებობასთან ერთად ფრანგულ სამხედრო ორგანიზაციას სხვა უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. გენერალური შტაბის არქონასთან ერთად, საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელობის დიდი ნაკლი, გვარდიული ნაწილების გარდა, მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების მწყობრი სტრუქტურის, კერძოდ, კორპუსებისა და დივიზიების არარსებობა იყო. მათი ფორმირება მხოლოდ საომარი მოქმედებების დაწყების წინ ვერ უზრუნველყოფდა სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების შეთანხმებულ და მწყობრ მოქმედებებს. საფრანგეთს არ გააჩნდა საომარი მოქმედებების მკაფიო გეგმები. ნაუცბათევად შემუშავებული გეგმა კი უამრავ შეცდომასა და უზუსტობას შეიცავდა – ჯარების მობილიზაციისა და შენაერთების გაშლის არარეალური ვადები, გერმანული კოალიციის დაშლაზე იმედების დამყარება, საკუთარ პოლიტიკუ მოკავშირეებზე გათვლის გაკეთება და სხვა. უმნიშვნელოვნესი ფაქტორი იყო ისიც, რომ ფრანგულ არმიაში კორუფცია სუფევდა. ასობით არმიაში გასაწვევი ახალგაზრდა სხვადასხვა გზებით თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს – იხდიდა ფულს ან უბრალოდ დეზერტირობდა. საბრძოლო სულისკვეთებაც, შესაბამისად, დაბალი იყო.

[360] 1858 წელს პრუსიამ იყიდა და შეიარაღებაში მიიღო პირველი 312 ცალი კრუპის სისტემის ფოლადისლულიანი ქვემეხი, რომელიც ყველა ბალისტიკური მაჩვენებლით მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფრანგების ბრინჯაოსლულიან არტილერიას. ეს იყო ახალი ერის დასაწყისი საარტილერიო საქმეში. პრუსია პირველი სახელმწიფო იყო ევროპაში, რომელიც ბრინჯაოსლულიანი არტილერიიდან უფრო თანამედროვე ტექნოლოგიურ იარაღზე გადავიდა. 1870

საზოგადოებრივი ისტერიით წაქეზებული საფრანგეთის მთავრობა აკეთებს ზუსტად იმას, რასაც ბისმარკი ელოდება. შემდგომი მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. 1870 წლის 19 ივლისს საფრანგეთი ომს უცხადებს პრუსიას. საფრანგეთის იმპერატორს, ნაპოლეონ III-ს[361] უკანდასახევი გზები მოჭრილი აქვს. შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით იგი დასუსტებულია და ცდილობს ყურადღება გარე საფრთხეებზე გადაიტანოს. ქვეყნის პრესტიჟის დაცვას იგი ამ გზით აპირებს. ეს კი, დიდი შეცდომაა. ამგვარად, მთელი ეს პოლიტიკური ინსინუაციები და მისი თანმდევი პერიპეტიები ძალიან მოკლე დროში განაპირობებენ ახალი ომის დაწყებას ევროპაში, რომლისთვისაც მზად არ არიან არც საფრანგეთი და არც პრუსია.

პოლიტიკურ ინტრიგებზე აგორებულ ამ ბრძოლას გერმანელებისათვის ეროვნული ომის ხასიათი აქვს, რომელშიც პრუსია მარტო არ არის. გერმანიის ოთხი სამხრეთული პროვინცია, ასევე ბავარია, თვლიან, რომ ამ აგორებულ კონფლიქტში კავშირის ჩარევაა საჭირო. ისინი მზადყოფნას აცხადებენ საერთო-გერმანული საქმისათვის, უერთდებიან ჩრდილოეთ გერმანიის კავშირს და თავიანთი ჯარებიც გამოჰყავთ. პრუსიის მეფე ვილჰელმ I საკუთარ თავზე იღებს ჯარების მთავარსარდლობას. ისტორიული მომენტია. დიდი ხნის შემდეგ გერმანიის ყველა სამხედრო ძალა პირველად დგას ერთად. პრუსიის შეიარა-ღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ისევე როგორც 1864 წელს, დანიასთან და 1866 წელს, ავსტრიასთან ომის დროს, ჰელმუტ ფონ მოლტკეა, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე და სტრატეგოსი.

27 ივლისს მეფე მთელი პრუსიისთვის ლოცვისა და მონანიების დღეს ადგენს და 31 ივლისს ჯართან მიდის. ნაპოლეონ III თავის ჯარისკაცებს ჩვეულებრივი სამხედრო მოწოდებით მიმართავს:

„რომელი ქუჩაც არ უნდა ავირჩიოთ საზღვრის იქით, ის ჩვენი მამების სახელოვან ნაკვალევთან მიგვიყვანს.“ იგი ისეა დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში, რომ მის ჯარს ზურგჩანთაში მხოლოდ გერმანული რაიონების რუკები უდევს, ხოლო ფრანგული არ არის დატანილი. და ეს არცაა გასაკვირი. ფრანგული ჯარი ხომ მსოფლიოში საუკეთესოა? ცოტა ხნის წინ არ გამოავლინა მან თავისი ძალა და საბრძოლო მომზადების მაღალი დონე მექსიკაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ყირიმსა და ჩრდილოეთ იტალიაში ბრძოლების დროს? ამ საკითხთან დაკავშირებით, ბრიტანელებიც იზიარებენ მის შეხედულებას. ლონდონის „თაიმსი“ წერდა: „პრუსიელთა ჯარის ამჟამინდელი პრობლემა წვრთნისა და გადაადგილების სისტემაა. პირველივე სერიოზული შეხვედრა ფრანგულ ჯართან ისეთივე საბედისწერო აღმოჩნდება პრუსიელთა ჯარისათვის, როგორც ეს იენის ბრძოლისას იყო დიდი ნაპოლეონის დროს. ფრანგები დაბრკოლებების გარეშე მიადგებიან ბერლინს“. ასეთი მოსაზრებები შეცდომაა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რეალობასთან.

პარიზის ქუჩებში ხმამაღალი შეძახილები გაისმის: „ბერლინისაკენ!“ მთელ საფრან-გეთში ძალიან მალე გავრცელდა გაუგონარი ჭორი და ყველამ დაიჯერა, რომ სამი ოქროსქსოვილგადაკრული კუბო შტაბიდან დიდი პატივით გაგზავნეს გერმანიაში პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ის, მომავალი პრინცისა და მოგვიანებით იმპერატორ ფრიდრიხ III-ის, ასევე ჰელმუტ ფონ მოლტკეს ცხედრებით. ფრანგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ

წლისათვის ფრანგული არმია მხოლოდ მოძველებულ ბრინჯაოსლულიან, ლა-გიტის სიტემის არტილერიას ფლობდა, რომელიც თავისი ბალისტიკური, საცეცხლე და საექსპლოატაციო მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა კრუპის არტილერიას. პრუსიელთა არტილერიის სროლის მანძილი ორჯერ აღემატებოდა ფრანგულისას. მთავარი კი ის იყო, რომ კრუპის ქვემეხები სახაზინო ნაწილიდან იტენებოდნენ, ამიტომ, პრუსიული არტილერიის სწრაფსროლაც გაცილებით უფრო მაღალი იყო.

361 ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე (ფრანგ. Louis-Napoléon Bonaparte) (1808-1873წ.წ.) – საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტი 1848-1852 წლებში და საფრანგეთის მეორე იმპერიის იმპერატორი ნაპოლეონ III-ის სახელით 1852-1870 წლებში. დიდი ნაპოლეონ ბონაპარტეს ძმის და ნიდერლანდების მეფის, ლუის შვილი. იგი იყო ფრანგული სახელმწიფოს პირველი მმართველი, რომელიც საყოველთაო არჩევნების გზით პრეზიდენტის ტიტულს ფლობდა და ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი, 2017 წელს საფრანგეთის პრეზიდენტად არჩეულ ემანუელ მაკრონამდე. ამავე დროს, იგი წარმოადგენდა საფრანგეთის სახელმწიფოს სათავეში ყველაზე ხანგრძლივი ვადით მყოფ ხელისუფალს ფრანგული რევოლუციის პერიოდიდან.

პრუსიას და მთელ გერმანიას დაამარცხებდნენ.[362] ეს ნაპოლეონ III-ისა და მთლიანად საფრანგეთის მიერ დაშვებული ფატალური შეცდომა იყო, რომელიც ძალიან მალე გამოვლინდება. გერმანული მხარე კი ასე არ ყოფილა შეპყრობილი გამარჯვების რწმენით.[363] ერთი ინგლისელი ამტკიცებდა: „მართალია გერმანელები ომს უფრო ნაკლები ენთუზიაზმით მიესალმებიან ვიდრე პარიზის მოსახლეობა, მაგრამ ეს ხდება სერიოზულობის უფრო ღრმა შეგრძნებითა და მორალური ვალდებულებებით. მათ ეს ომი არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ უაღრესად სამართლიან ომად მიაჩნიათ."

ეს ომი მთლიანად გერმანიის მოსახლეობას უნდა გადაეტანა. მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით მოხდა თავდასხმა გერმანიაზე, როდესაც საფრანგეთმა მას ომი გამოუცხადა. სინამდვილეში კი გერმანიის არმია მაშინვე გადავიდა შეტევაზე. უჩვეულო ტექნიკური სიზუსტით და მოულოდნელი სისწრაფით გადაადგილდნენ ისინი ახალი რკინიგზის საშუალებით საფრანგეთის საზღვრებისაკენ და სწრაფად შეუტიეს ფრანგებს, რასაც დღეს ალბათ „ელვისებურ ომს" – ბლიცკრიგს დაარქმევდნენ. მოლტკეს ოპერაციის გეგმა ისეთივე ნათელი და მარტივი იყო, როგორც თავად მისი პიროვნება. მისი მიზანი პარიზი იყო. მოწინააღმდეგეზე დაუყოვნებლივ უნდა მიიტანონ იერიში და ჩრდილოეთის ვიწრო ტერიტორიისკენ მიიმწყვდიონ. ხელიდან არ უნდა გაუშვან სტრატეგიული ინიციატივა და საკუთარი ძალები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაქსაქსონ. ძალთა კონცენტრაციით დარტყმის მთავარ მიმართულებაზე შეტევის ტემპი არ უნდა დაეცეს, რათა შეტევა მუდმივი რაოდენობრივი უპირატესობით განვითარდეს. სიფრთხილის გამო პრუსიელებმა ოპერაციაში მონაწილე საარმიო კორპუსები სათითაოდ განალაგეს დანიისა და ავსტრიის საზღვრებთან, რადგან არავინ იცოდა, როგორ მოიქცეოდა ეს ორი ქვეყანა. დანიელებს ჯერ კიდევ ვერ მოენელებინათ შლეზვიგ-ჰოლშტაინის დაკარგვა. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებში კი, ძლიერი ფრანგული სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამოჩენა, ასევე ქვეყნის ჩრდილოეთში ფრანგი საზღვაო ქვეითების გადმოსხმაც არ იყო გამორიცხული. ამავდროულად სამი მთავარი გერმანული არმია დაუბრკოლებლად მიიწევდა წინ, საფრანგეთისკენ. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და დიდი გაჭირვებით მოახერხეს მოლტკეს ბრძანების შესრულება თანაბარ დონეზე. გენერალ-ფელდმარშალ შტაინმიცის[364] 1-ლი

---

[362] ამ პერიოდისათვის საფრანგეთის არმიის შეიარაღებაში მიღებულ იქნა ფრანგი ინჟინრის, ანტუან შასპოს მიერ 1866 წელს შექმნილი „1866 წლის ნიმუშის შასპოს სისტემის შაშხანა", რომელიც თავისი საცეცხლე, ბალისტიკური და საექსპლოატაციო მახასიათებლებით მნიშვნელოვნად აღემატებოდა პრუსიელთა 1841 და 1849 წლების ნიმუშის დრაიზეს სისტემის შაშხანას. გარდა ამისა, ფრანგებს გააჩნდათ აგრეთვე განსაკუთრებული იარაღი, ე.წ. „მიტრალოზა", 25 ლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი – ტყვიამფრქვევის „წინაპარი", რომლის მსგავსსაც პრუსიელები არ ფლობდნენ. სწორედ ამ ტექნიკური და ტექნოლოგიური უპირატესობის გათვალისწინებით იმედოვნებდნენ ფრანგები პრუსიელებზე გამარჯვების მოპოვებას. მაგრამ აქ იყო ერთი „მაგრამ"... თავის დროზე მიტრალოზა იმდენად გასაიდუმლოებული იარაღი იყო, რომ იგი ფრანგული არმიის შეიარაღებაში არ იქნა მიღებული და მისი მარაგები წლების განმავლობაში გასაიდუმლოებულ საწყობებში ინახებოდა. მაგრამ როცა დადგა მისი ჯარებში დარიგებისა და საბრძოლო გამოყენების აუცილებლობა, ფრანგები კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ძალიან მცირე იყო იმ ჯარისკაცთა რაოდენობა, რომლებმაც მიტრალოზას საბრძოლო გამოყენება იცოდნენ.

[363] პრუსიის არმიის მთავარი ნაკლი მისი შეიარაღების საკითხი იყო. უკვე 20 წელია რაც პრუსიელთა შეიარაღებაში დრაიზეს 1841 და 1849 წლების ნიმუშის შაშხანები იყო, რომელიც თავისი ყველა მაჩვენებლით ჩამოუვარდებოდა ფრანგულ შასპოს. პრუსიელები დრაიზეს შაშხანას ერთი მიზეზით არ ხსნიდნენ შეიარაღებიდან – მან ძალიან კარგად გამოაჩინა თავისი შესაძლებლობები ავსტრიელებთან ომში, 1866 წელს. მაგრამ ამ მოვლენებიდან უკვე ხუთი წელი იყო გასული და ფრანგებმაც შეიარაღებაში გაცილებით უკეთესი იარაღი მიიღეს, ვიდრე ეს პრუსიელებს გააჩნდათ. პრუსიელთა მიერ განსაკუთრებული ყურადღება იმაზე იქნა გამახვილებული, რომ დრაიზეს შაშხანის მსხვილი კალიბრი – 15,43მმ, მძიმე დაზიანებებს იწვევდა მოწინააღმდეგეში, განსაკუთრებით ახლო ბრძოლაში, ამიტომ პრუსიელთა სამხედრო უწყებაში თვლიდნენ, რომ ეს შაშხანა სავსებით შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ პრუსიული დრაიზე ყველა მაჩვენებლით ჩამოუვარდებოდა ფრანგულ შასპოს, ამ უკანასკნელით ფრანგული ჯარის მხოლოდ 25-30% იყო შეიარაღებული.

[364] კარლ ფრიდრიხ ფონ შტაინმიცი (გერმ. Karl Friedrich von Steinmetz) (1796-1877წ.წ.) – პრუსიელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, გენერალ-ფელდმარშალი. ნაპოლეონის ეპოქის ომების, აგრეთვე 1864 წლის ავსტრო-პრუსო-დანიის, 1866 წლის ავსტრია-პრუსიის და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომების მონაწილე. 1813 წლიდან ლეიტენანტია, 1828 წლიდან – კაპიტანი. 1839 წლიდან მეთაურობს ბატალიონს და ენიჭება მაიორის სამხედრო წოდება. 1848 წელს იღებს პოდპოლკოვნიკის ჩინს. 1851 წლიდან ინიშნება ბერლინის კადეტთა კორპუსის უფროსად. 1854 წლიდან პოლკოვნიკი და მაგდებურგის სამხედრო კომენდანტია. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის, ნახევარი წლის შემდეგ კი, გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1862 წლიდან კორპუსის სარდალია. თავი გამოიჩინა

არმია, პრუსიელთა შეტევითი მოქმედებების მარჯვენა ფრთა, გერმანული საბრძოლო წყობით უნდა მობრუნებულიყო სამხრეთით მეცთან და გაერთიანებულიყო პრინც ფრიდრიხ-კარლის მე-2 და კრონპრინც ფრიდრიხ ვილჰელმის მე-3 არმიებთან. მათი მიზანი ვერდენისა და მაასის სანაპიროების დაკავება იყო.

გერმანელების მოქმედების საწინააღმდეგოდ, ფრანგები, რომლებისგანაც მთელი მსოფლიო ელოდებოდა, რომ პირველები გადაკვეთდნენ საზღვარს, წარმოუდგენლად ნელა და დაუდევრად მოქმედებდნენ. ჯარისკაცების უდისციპლინობა კი ძალიან მალე საყოველთაო ქაოსში გადაიზარდა. პირველივე საზღვრისპირა ბრძოლაში ვაისენბურგთან, ჩრდილოეთ ელზასში ვიურტთან და ლოტარინგიაში, შპიხერნთან გამართულ ბრძოლებში, ისინი დამარცხდნენ. როცა 1870 წლის 14 აგვისტოს გერმანელებმა მეცთან კოლომბეს ბრძოლაშიც გაიმარჯვეს, ნაპოლეონ III-მ გადაწყვიტა, თავისი ჯარი მარნასთან შეეკრიბა, რათა გერმანელებისათვის პარიზში შესასვლელი გზა გადაეკეტა. ამ მიზნის მისაღწევად რაინის არმია, მარშალ ბაზენის[365] მეთაურობით უნდა დაძრულიყო მეციდან და ქვეყანაში შესულიყო, იქ კი მას შეუერთდებოდა მარშალ მაკ-მაჰონის[366] ჯარი.

ბოლოს და ბოლოს ფრანგებმა მოახერხეს თავიანთი ძალების თავმოყრა და გაერთიანება. ერთიანი ძალისხმევით მათ გერმანელებისათვის პარიზისკენ მიმავალი გზის გადაკეტვაც შეძლეს. ასეთ ვითარებაში პრუსიელთა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმის ბედი, წარმატებით აღსრულდებოდა იგი თუ არა, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. მარშალი ბაზენი ჯმუხი, არაელეგანტური კაცი, ვულგარული ჩვევებით, ფრანგი მემარცხენეების გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ის, რამაც იგი ჩვეულებრივი ჯარისკაციდან მარშლად აქცია, იყო მოსმენის, მაგრამ არა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. იმპერატორის სიახლოვეს იგი ისე იქცეოდა, როგორც საჭურისი.

ომის საწყისი ბრძოლებით შეშფოთებული ნაპოლეონ III თავისი ჯარისკენ მიიჩქარის და პარიზში აღარ ბრუნდება. ამ ამბებამდე რამდენიმე ათეული წლის წინ, ნაპოლეონ III-ის ბიძა, დიდი ნაპოლეონ ბონაპარტე აცხადებდა: „ომისთვის არაფერია ისე საზიანო, როგორც დროის დაკარგვა, რადგან დრო არის ის ერთადერთი, რომლის უკან დაბრუნებაც შეუძლებელია.“ მაგრამ ფრანგული არმიის მოქმედებებიდან ისე ჩანდა, რომ

1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომის ნახოდის, სკალიცესა და შვაინშედელეს, განსაკუთრებით კი, კონიგრაცის ბრძოლებში. ამის შემდგომ ჰელმუტ ფონ მოლტკესთან ერთად ითვლებოდა პრუსიის ერთ-ერთ ბრწყინვალე მხედართმთავრად. 1870 წელს, საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისას ინიშნება პრუსიელთა 1-ლი არმიის სარდლად, მაგრამ გრაველოტის ბრძოლაში განიცადა დიდი დანაკარგები, რის გამოც მისი არმია პრინც ფრიდრიხ კარლის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადაიყვანეს. მეცის ბრძოლის შემდეგ კი, საბოლოოდ ჩამოაშორეს საომარ მოქმედებათა თეატრს და დანიშნეს პოზნანის გენერალ-გუბერნატორდ. ომის დასრულებისთანავე მიენიჭა გენერალ-ფელდმარშლის წოდება.

365 ფრანსუა-აშილ ბაზენი (ფრანგ. François-Achille Bazaine) (1811-1888წ.წ.) – ფრანგი მხედართმთავარი, 1864 წლიდან საფრანგეთის მარშალი. ალჟირის (1835), ესპანეთის (1837), ყირიმის (1853-1856), ავსტრო-იტალო-საფრანგეთის (1859), მექსიკის (1862-1867) და საფრანგეთ-პრუსიის ომების მონაწილე. საფრანგეთ-პრუსიის ომის მსვლელობისას, 1870 წლის 27 ოქტომბერს იგი და მისი 170 ათასიანი არმია დანებდა და ტყვედ ჩაბარდა პრუსიელებს. მისმა კაპიტულაციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ფრანგულ საზოგადოებაში და იგი დაადანაშაულეს არა მარტო სიმხდალესა და უუნარობაში, არამედ სამშობლოს ღალატშიც. 1872 წელს, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე იგი დააპატიმრეს და გადასცეს სამხედრო სასამართლოს, რომელმაც საზოგადობრივი აზრის ზეწოლით მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. თუმცა, სასამართლოს პრეზიდიუმის წევრების შუამდგომლობის საფუძველზე, პრეზიდენტმა მაკ-მაჰონმა სიკვდილით დასჯა 20 წლიანი პატიმრობით შეუცვალა. 1874 წლის 10 აგვისტოს იგი გარბის საპატიმროდან და თავს აფარებს მადრიდს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1888 წელს.

366 მარი ედემ პატრის მორის დე მაკ-მაჰონი (ფრანგ. Marie Edme Patrice Maurice, Count de MacMahon) (1808-1893წ.წ.) – გრაფი, მაჯენტის ჰერცოგი, ფრანგი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის სენატორი 1856-1870 წლებში, საფრანგეთის მარშალი 1859 წლიდან. იდეურად დაჯერებული მონარქისტი, დათანხმდა საფრანგეთის დროებით პრეზიდენტობას მესამე რესპუბლიკის პერიოდში, 1873-1879 წლებში, თუმცა დარჩა ხელისუფლებაში რესპუბლიკური კონსტიტუციის მიღების შემდეგაც. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მის სახელთანაა დაკავშირებული ფრანგების მიერ განცდილი ორი დიდი მარცხი: ვიორტთან, სადაც მაკ-მაჰონმა თავისი 1-ლი საარმიო კორპუსის ნახევარზე მეტი დაკარგა, და სედანთან, სადაც ფრანგულმა არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და მძიმედ დაჭრილი მაკ-მაჰონი ტყვედაც ჩავარდა. ამ მარცხმა ფაქტობრივად განაპირობა კიდეც საფრანგეთის საბოლოო დამარცხება. მიუხედავად მისი არასახარბიელო სამხედრო წარსულისა, 1873 წლის 24 მარტს იგი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად იქნა არჩეული.

მარშალ ბაზენს ნაპოლეონის ეს მოსაზრება არაფრად მიაჩნია. იგი მაინც ყოყმანობს და ძვირფას დროს უსაგნოდ ფლანგავს. მისი სარდლობა სუსტი და გაუბედავია. ბოლოს და ბოლოს, მისი ჯარი ვესტენისკენ 15 აგვისტოს, დილის 10 საათზე იღებს გეზს. კავალერია კი ვიონვილამდე მიდის, მეციდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით.

მაგრამ გერმანელებიც უშვებენ შეცდომას სიტუაციის გაანალიზებაში. კერძოდ, ისინი ვარაუდობენ, რომ მოწინააღმდეგე ვესტენიდან მოშორებით იმყოფება. პრუსიის მე-2 არმიის სარდალი, პრინცი კარლ-ფრიდრიხი ვითარების შეფასებისას მხედველობაში იღებს პრუსიის მასშტაბებს და უბრძანებს თავისი შვიდი კორპუსიდან ხუთს, მეცი-ვერდენის გზით ვესტენისკენ გადაადგილებას, რათა იქ მოიხელთონ ფრანგები. მას აზრადაც არ მოსდის ის, რომ ბაზენის არმია შესაძლოა ისევ მეცთან იდგეს. თუმცა იგი მაინც ითვალისწინებს ფრანგული ჯარის შეგვიანებას, რომელიც იძულებულია გაჩერდეს III და IX კორპუსების გამო, რადგან მათ ჩრდილო-დასავლეთისკენ იბრუნეს პირი, ზუსტად მარშალ ბაზენის არმიის თოფებისა და ზარბაზნებისკენ.

ისე მოხდა, რომ მარს ლა ტურსა და გრაველოტს შორის ვერდენისკენ მიმავალ გზაზე პრუსიელებმა მცდარად და გაუაზრებლად უღალატეს საკუთარ პრინციპებს. 1870 წლის 16 აგვისტოს გენერალ-ლეიტენანტ ფონ ალვენსლებენის[367] კორპუსი ფრანგების ხუთ კორპუსს ხვდება, მათ შორის, გვარდიულ კორპუსს. როცა პრუსიელთა კორპუსის მე-6 საკავალერიო დივიზია გამოდის მოზელის ხეობიდან და აღწევს მეცის დასავლეთით მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვან მაღალ პლატოს, ფრანგების ქვეითი ჯარი მაშინვე შეტევაზე გადადის. პრუსიელთა მე-5 საკავალერიო დივიზია დასახმარებლად მიდის და III კორპუსის ორი ქვეითი დივიზიაც მალევე უერთდება მათ. მიუხედავად ამისა, გენერალ ფონ ალვენსლებენის მდგომარეობა მაინც უიმედოა, ფრანგთა რიცხობრივი უპირატესობა ცოცხალ ძალაში აშკარაა. ისიც ცხადია, რომ შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ძალთა თანაფარდობას შეუძლია უზრუნველყოს პრუსიელთა ფრანგებზე გამარჯვება. მაგრამ პრუსიელმა გენერალმა ეს არ იცის. მან ზუსტად არც კი იცის, რა სიძლიერისაა მოწინააღმდეგე. როგორც ჩანს, ფრანგთა მხოლოდ შეგვიანებული ჯარი არ დგას იქ. ამიტომ ფონ ალვენსლებენი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ბაზენის მთელი რაინის არმია დგას მის წინ. მაშასადამე, მისმა კორპუსმა უნდა იბრძოლოს მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე და ამავე დროს შებრუნდეს აღმოსავლეთით, გერმანიისკენ მიმართული ფრონტით, იმის მაგივრად, რომ იარაღი მიმართოს ვესტენისკენ, საფრანგეთის გულისაკენ.

პრუსიელი გენერალი დიდი დილემის წინაშე დადგა. დაიხიოს უკან და ასე გადაარჩინოს თავისი კორპუსი თუ შეტევაზე გადავიდეს? ძალიან რთულად გადასაწყვეტი საკითხია.

საკუთარი ჯარის მაღალ საბრძოლო სულისკვეთებასა და ბრძოლისუნარიანობაზე დაყრდნობით, გენერალი ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას ირჩევს – შეტევას! როგორც მოგვიანებით განმარტავდა, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას იგი შეეცადა „ძალების ფიზიკური შეუსაბამობა შეტევის მორალური ძალით გაეთანაბრებინა“. ამ ამბებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ, ინგლისელი ისტორიკოსი ჰოვარდი[368] გაკვირვებით აღნიშნავს: „ბრძოლის

---

[367] კონსტანტინ ფონ ალვენსლებენი (გერმ. Constantin von Alvensleben) (1809-1892წ.წ.) – XIX საუკუნის ცნობილი პრუსიელი და გერმანელი მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი. 1864 წლის დანია-პრუსიის, 1866 წლის ავსტრია-პრუსიისა და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომების აქტიური მონაწილე. 1827 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1852 წლიდან პრუსიის არმიის მიორია, 1858 წლიდან პოდპოლკოვნიკი, ხოლო 1860 წლიდან – პოლკოვნიკი. 1861 წელს ინიშნება გრენადერთა 1-ლი გვარდიული პოლკის მეთაურად. დანია-პრუსიის ომის დასრულებისას ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1866 წელს მე-2 გვარდიული ბრიგადის მეთაურია, კონიგრაცის წარმატებული ბრძოლის შემდეგ კი, ჯილდოვდება პრუსიის უმაღლესი საბრძოლო ორდენით "Pour le Mérite" და ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისას ინიშნება მე-3 სარმიო კორპუსის სარდლად, სადაც განსაკუთრებით გამოჩნდა მისი სამხედრო ნიჭი და მხედრული სიმამაცე. მისმა გაბედულმა მოქმედებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ომის საბოლოო შედეგები. მიღწეული წარმატებების გამო მიენიჭა ინფანტერიის გენერლის წოდება და დაჯილდოვდა „შავი არწივის" ორდენით. იმპერტორმა ვილჰელმ I-მა მისი სახელი მეცის ერთ-ერთ ფორტს უწოდა, ხოლო იმპრატორმა ვილჰელმ II-მ – მე-3 საარმიო კორპუსში შემავალ 52-ე ქვეით პოლკს.

[368] სერ მაიკლ ელიოტ ჰოვარდი (ინგლ. Sir Michael Eliot Howard) (1922-) – ცნობილი ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსი და ომების ისტორიის პროფესორი, ბიტანეთის არმიის კაპიტანი, სოუვილის კოლეჯის პროფესორ-

ველზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა რთული აღმოჩნდეს, რადგან ეს ხდება სწრაფად და საჭიროა მისი საბოლოოდ დამტკიცება.“

პრუსიელთა ქვეითი ჯარის მე-5 დივიზია ფრონტალურად უტევს ფრანგების II კორპუსს და დიდ დანაკარგებს განიცდის. ოფიცრების უმეტესობა ბრძოლის ველზე ეცემა. ერთ-ერთი ბატალიონი ყველა ოფიცერს კარგავს. ბატალიონის ფელდფებელი[369] და უმცროსი ოფიცერი საკუთარ თავზე იღებენ მეთაურობას. პრუსიელთა ჯარმა პირველადი შოკი დაძლია და თავს უკვე კარგად იცავს. მარცხენა ფლანგზე, მათ დასახმარებლად, ქვეითი ჯარის მე-6 დივიზია ერთვება ბრძოლაში. პრუსიელთა მხრიდან მსხვერპლი ძალიან დიდია. მიუხედავად ამისა, იგი იკავებს აღმოსავლეთით ტერიტორიას და ფრანგებს ვიონვილიდან აძევებს. დაახლოებით 15 საათისათვის პრუსიელთა შეტევითი მოქმედებები წყდება. ბრძოლა თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს. ფონ ალვენსლებენს რეზერვი აღარ ჰყავს, მისი არტილერიაც უკვე მთლიანად ბრძოლაშია ჩართული. ფრანგები ძალებს იკრებენ და კონტრიერიშისთვის ემზადებიან. მათი ბატარეა მომაკვდინებელ ცეცხლს აფრქვევს და ფარავს პრუსიელთა ქვეით ჯარს.

ახლა კი თავი უნდა გაწიროს გენერალ-მაორ ფონ ბრედოს უკვე დასუსტებულმა საკავალერიო ბრიგადამ. ალბერშტადტის კირასირების მე-7 პოლკი, მაიორ გრაფ ფონ შმეტოვის მეთაურობით და ალტმარკელი ულანების მე-16 პოლკის დაახლოებით რვაასი მხედარი უიმედო კონტრშეტევაზე გადადის. ეს ბრძოლა „ბრედოს ბრიგადის სასიკვდილო ჭენებად” იქცევა, სადაც ოთხას მხედარზე მეტი დაეცემა, მაგრამ წარმატებას მაინც მიაღწევენ – შუბებითა და ხმლებით გაანადგურებენ ფრანგების შენაერთს. ფრანგების ფრონტის ხაზი გაირღვა, და მათ უკან დაიხიეს აღმოსავლეთისკენ. ფონ ალვენსლებენმა დროში მოიგო. ძალიან მალე მათ მთლიანად შეუერთდება X კორპუსი. მანამდე კი მან უნდა წარმართოს ბრძოლა.

ახლა უკვე ფრანგების ჯერია, ამჯერად ისინი შეცდებიან ოპერატიული ვითარების შეფასებაში. იმ დროს, როცა გერმანელებს დაშვებული შეცდომა შედარებით იაფი დაუჯდათ, ანუ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დადებითად იმოქმედა მათზე, შეცდომა, რომელსაც ბაზენი დაუშვებს, პირიქით, მძიმე შედეგებთან იქნება დაკავშირებული. თავის მხრივ, არც ბაზენმა იცის, თუ ვინ დგას მის პირისპირ და რა სიძლიერისაა მოწინააღმდეგე. არადა, სწორედ ახლა იყო ის მომენტი, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა. ფრანგული კავალერია შეტევაზე უნდა გადასულიყო აქამდე რეზერვში მყოფი IV კორპუსის მხარდაჭერით. მაგრამ ბაზენი ყოყმანობს გადაწყვეტილების მიღებაში და ხელიდან უშვებს გამარჯვების მიღწევის უეჭველ შანსს. იგი გადაჭარბებულად აფასებს მოწინააღმდეგის ძალებს და სწორედ ამაში უშვებს შეცდომას. ავსტრიელთა სარდალი თავისი გადაწყვეტილების გასამართლებელ არგუმენტსაც ადვილად პოულობს – როდის შეუტევიათ გერმანელებს ასე გაბედულად შებრუნებული ფრონტით? – თავის თავს უსვამს იგი შეკითხვას.

საბოლოოდ, ბაზენი გადაწყვეტს, რომ არ გარისკოს, სიფრთხილე გამოიჩინოს და დამხმარე ძალების მოსვლამდე აქტიური მოქმედებებისაგან თავი შეიკავოს. იგი არ ჩქარობს და თავდაცვაში რჩება. მისი განზრახვა, ვესტენში შეუერთდეს სხვა ფრანგულ კორპუსებს, ჩასაფუშადაა განწირული.[370]

ემერიტუსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ახალი ისტორიის სამეფო კათედრის პროფესორი, იელის უნივერისტეტის სამხედრო და საზღვაო ისტორიის პროფესორი, ლონდონის კინგს კოლეჯის ომების ისტორიის დეპარტამენტის დამაარსებელი. ცნობილი ბრიტანული ჟურნალი, Financial Times აღნიშნავდა, რომ იგი წარმოადგენდა „ბრიტანეთის უდიდეს ცოცხალ ისტორიკოსს”.

369 პრუსიის, ავსტრიის, გერმანიისა და რუსეთის არმიებში არსებული უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი.

370 ერთი შეხედვით ტაქტიკური თვალსაზრისით ეს უმნიშვნელო ბრძოლა, სტრატეგიული თვალსაზრისით გერმანული მხარის მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა – მათ უკან დასახევი გზა გადაუკეტეს ბაზენის ჯარებს ვერდენისა და შემდეგ პარიზისაკენ, ამავე დროს დაემუქრნენ ჩრდილოეთის გზას დონკურისაკენ. იმის მაგივრად, რომ ესარგებლა თავისი უპირატესობით და შეეტია მოწინააღმდეგისათვის, ბაზენმა ბრძოლის პასიური ტაქტიკა აირჩია. თავისი ჯარები მან უკან დახია და ისინი, მისი აზრით შეუვალ პოზიციებზე, მეცთან გადაიყვანა. ამასობაში პრუსიელთა 1-ლი და მე-2 არმიები, რიცხოვნობით 250 ათასი კაცი, გამალებით მოიწევდნენ წინ და 18

ვიონვილში მიღწეული გამარჯვება გერმანელებსაც ძვირად უჯდებათ. ამ ბრძოლაში მათი სამი გენერალი, თხუთმეტი პოლკოვნიკი და ოცდათხუთმეტი მაიორი იღუპება. სიკვდილის პირასაა ფონ ბისმარკის ორივე ვაჟიც.[371] მაგრამ ეს გამარჯვება, როგორც ორი დღის შემდეგ გრაველოტთან და სენ-პრივასთან გამართული მეცის მესამე ბრძოლა, მთლიანად საფრანგეთ-პრუსიის ომის მოგების წინაპირობას ქმნის. ეს ბრძოლები ნაპოლეონისეული იმპერიის დასასრულს მოასწავებს. მეცის ბრძოლებიდან ვიონვილი არის ვილჰელმ I-ისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, ვინაიდან სწორედ მასში ხედავს იგი „მთელი ომის ერთ-ერთ საგმირო საქმეს“.

საფრანგეთ-პრუსიის ომი საბოლოოდ სექტემბრის დასაწყისში, სედანთან პრუსიელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდება, სადაც პრუსიელები ფრანგულ არმიას ალყას შემოარტყამენ და ასოც ათას ჯარისკაცს, მათ შორის, იმპერატორ ნაპოლეონ III-საც ტყვედ ჩაიგდებენ.

1871 წლის 18 იანვარს ვერსალში გერმანიის ახალი იმპერიის, მეორე რაიხის შექმნა ცხადდება, პრუსიის მეფე ვილჰელმ I კი, მეორე რაიხის იმპერატორი ხდება. იანვრის ბოლოს პარიზი კაპიტულაციაზე თანხმდება და საბრძოლო მოქმედებებიც წყდება, ომი სრულდება.[372] საფრანგეთი კარგავს გერმანულენოვან ელზასს და ლოტარინგიის ნაწილს. ამავე დროს იგი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს პრუსიას ხუთი მილიარდი ფრანკის კომპენსაცია.[373] მართლაც ასტრონომიული თანხაა, მაგრამ ეს მაინც ზომიერი ზავი იყო იმ პირობებთან შედარებით, რომელიც 1807 წელს ნაპოლეონმა დააკისრა პრუსიელებს, ხოლო მოგვიანებით, უკვე I მსოფლიო ომის დასრულებისას, 1919 წელს, ვერსალში, მოკავშირეებმა – დამარცხებულ გერმანიასა და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკს.

აგვისტოსათვის ჩაებნენ ფრანგებთან ბრძოლაში სენ-პრივთან და გრაველოტთან. ფრანგების მარცხენა ფლანგი განადგურებულ იქნა, რის გამოც მათ უკანდასახევი უკანასკნელი გზაც მოეჭრათ.

[371] აქ ოტო ფონ ბისმარკის ვაჟებზე – ჰერბერტსა და ვილჰელმზეა საუბარი, რომლებიც მაშინ შესაბამისად, 22 და 19 წლისანი იყვნენ. საბოლოოდ, ორივენი გამოჯანმრთელდნენ და დაუბრუნდნენ სამოქალაქო ცხოვრებას. ჰერბერტი 1886-1890 წლებში II რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრად მსახურობდა, გარდაიცვალა 1904 წელს. ხოლო ვილჰელმი, რიხსტაგის წევრი იყო 1889-1890 წლებში, 1894 წლიდან კი, აღმოსავლეთ პრუსიის გუბერნატორი. გარდაიცვალა 1901 წელს.

[372] 1871 წლის 26 თებერვალს ვერსალში ხელი მოეწერა წინასაწარ სამშვიდობო ხელშეკრულებას. 1 მარტს პრუსიული ჯარები პარიზში შედიან და მისი ნაწილის ოკუპაციას ახდენენ. ხოლო მას შემდეგ, რაც მოვიდა ცნობა საფრანგეთის ნაციონალური კრების მიერ სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, 3 მარტს პრუსიელთა ჯარები პარიზიდან გადიან. საბოლოოდ, სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი ფრანკფურტში მოეწერა 1871 წლის 10 მარტს. ამ აქტით 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი დასრულდა.

[373] საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ომისშემდგომი საფრანგეთის ტერიტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სურათზე. ამ ომით საფრანგეთის მრავალსაუკუნოვანი მონარქიის ხანა დასრულდა. იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ დაკარგა ტახტი, სახელმწიფოს სათავეში კი, ადოლფ ტიერი მოვიდა. იგი მესამე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელიც პარიზის კომუნის შემდეგ იქნა გამოცხადებული. ომის მსვლელობაში საფრანგეთის სამხედრო-ტექნიკური დანაკარგები ძალიან დიდი იყო – 1835 ერთეული საველე არტილერია, 5373 ერთეული საალყო არტილერია, 600 ათასზე მეტი შაშხანა. კოლოსალური იყო ადამიანური დანაკარგებიც – 757 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის თითქმის ნახევარი მილიონი ტყვე. მოკლულ იქნა 300 ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა. ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების პირობებით ყოფილი იმპერია გერმანიას უთმობდა ელზასსა და ლოტარინგიას, ანუ, 1,6 მილიონ ადამიანს, რაც საფრანგეთის მთელი მოსახლეობის 4,3%-ს შეადგენდა. ამ ოლქებში იყო თავმოყრილი მთელი საფრანგეთის სამთო-მეტალურგიული წიაღისეულისა და ნედლეულის 20%. 1871 წლის 18 იანვარს ბისმარკმა და ვილჰელმ I-მა გერმანიის გაერთიანება და მეორე იმპერიის, მეორე რაიხის შექმნა გამოაცხადეს. პრუსიის მეფე ვილჰელმ I კი, იმპერატორად იწოდა. ბისმარკის ოცნება ახდა. იმპერიის შემადგენლობაში სწრაფად შევიდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც იმ დროისათვის არ იმყოფებოდნენ ჩრდილოგერმანულ კავშირში – პირველ რიგში ბავარია და სხვა წვრილი სამხრეთგერმანული სახელმწიფოები. ავსტრია არ შესულა ერთიანი გერმანიის შემადგენლობაში. საფრანგეთმა კონტრიბუციის სახით იმ დროისათვის ასტრონომიული თანხა – ხუთი მილიარდი ფრანკი გადაუხადა გერმანიას, რაც გერმანიის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მყარი საფუძველი გახდა. ამის შემდგომ, კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი სახელმწიფოში ყველაზე პოპულარული კაცი გახდა, პრუსიულმა სამხედრო სკოლამ კი, ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს ხელმძღვანელობით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უძლეველობა. ევროპის კონტინენტზე ახალი მძლავრი სახელმწიფო – გერმანიის იმპერია გაჩნდა, რომლის ტერიტორიაც უკვე 540857 კვ.კმ-ს შეადგენდა 41 მილიონზე მეტი მოსახლეობითა და 1 მილიონიანი არმიით.

ნაპოლეონ III
(1808-1873)

იზაბელა II
(1830-1904)

ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი
(1835-1905)

ფრანსუა ბაზენი
(1811-1888)

პატრის დე მაკ-მაჰონი
(1808-1893)

ფრიდრიხ ვილჰელმი
(1831-1888)

კარლ ფონ შტაინმიცი
(1796-1877)

ჰელმუტ ფონ მოლტკე
(1800-1891)

კონსტანტინ ფონ ალვენსლებენი
(1809-1892)

ვილჰელმ I და საფრანგეთის ელჩი ვინსენტ ბენედეტი
ბად-ემსის რკინიგზის სადგურზე



ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის (ყავისფერი), გერმანიის სამხრეთ
სახელმწიფოებისა (ნარინჯისფერი) და ელზას-ლოტარინგიის რუკა (ყვითელი)

ფრანგი რეზერვისტების მობილიზაცია

პრუსიელი ქვეითები

ფრანგული შაშხანა „შასპო"
1866 წლის მოდელი

ფრანგული „მიტრალოზა"

ფრანგი ჯარისკაცები მიტრალოზასთან

ფრანგების ბრინჯაოსლულიანი არტილერია

კრუპის პირველი მსხვილსერიანი სახაზინო ნაწილიდან დასატენი ფოლადისლულიანი ქვემეხი – **Feldkanone C/61**. პრუსიის არმიის შეიარაღებაში მიღებულ იქნა 1861 წელს

პრუსიელი ოფიცრები რეკოგნოსცირებაზე

ფრანგი ქვეითები



პრუსიელი ულანები

პრუსიელი ქვეითები

Die Hessen am Bois de la Cusse. (Schlacht bei Saint-Privat) 18. August 1870.

Original von R. Knötel.

კირასირები შეტევაში

მარს ლა ტურის ბრძოლა, 1870 წლის 16 აგვისტო

ფრანგების კავალერიას ტყვედ აჰყავს ბავარიელი ქვეითები

გრაველოტის ბრძოლა. „საქსონელი ეგერების მე-9 ბატალიონი შეტევაში”.
ერნსტ ციმერის ნახატი

პრუსიული გვარდიელები შეტევაში. კარლ ფონ რობლინგის ნახატი

ფრანგების უკანდახევა



პარიზზე შეტევა პრუსიელთა გრაველოტის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ.
გერმანელი არტილერისტები ესალმებიან გენერალ ფონ მოლტკეს.
ანტონ ფონ ვერნერის ნახატი

ვილჰელმ I სედანთან

ოტო ფონ ბისმარკი და ტყვედ აყვანილი ნაპოლეონ III

პრუსიული არტილერიის პოზიციები პარიზის მისადგომებთან

პარიზელები ალყაში

პარიზი ალყაში

პარიზის საარტილერიო დაბომბვა

პრუსიელთა არტილერიის მიერ დაბომბილი პარიზი

გენერალი ფონ მოლტკე თავის შტაბთან ერთად
თვალყურს ადევნებს პარიზის დაბომბვას

ფრანგული ჯარის განიარაღება

1871 წლის 18 იანვარი. ვერსალის სასახლეში გერმანიის გაერთიანებისა და იმპერიის გამოცხადება. სურათზე ჩანან კაიზერი ვილჰელმი, კრონპრინცი ფრიდრიხ ვილჰელმი, სამხედრო მინისტრი ალბრეხტ ფონ რონი, რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, გენშტაბის უფროსი ჰელმუტ ფონ მოლტკე.

1873 წლის 2 სექტემბერს ბერლინში დაიდგა მონუმენტური სვეტი 1864 წლის პრუსია-დანიის, 1866 წლის ავსტრია-პრუსიის და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომებში პრუსიელთა გამარჯვებების უკვდავსაყოფად.

§3.9. რუსული ფლოტის საბედისწერო მოგზაურობა (ცუშიმა, 1905 წლის 27-28 მაისი)

1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, რუსულმა ფლოტმა განსაკუთრებული ოპერაცია ჩაატარა[374]. ამ ოპერაციამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმ ომის საბოლოო შედეგებზე, რომელიც სავსე იყო სერიოზული შეცდომებითა და არასწორი დასკვნებით.[375]

1894-1895 წლებში მიმდინარე საომარი კამპანიის მსვლელობისას, დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნიმუშის მიხედვით შექმნილი ფლოტის წყალობით, ჩინეთის შეიარაღებულ ძალებზე მყისიერი გამარჯვების შემდეგ, სწრაფად მზარდი იაპონია შორეული აღმოსავლეთის რეგიონში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. მალე იგი ყვითელ ზღვასაც დაეპატრონა. მაგრამ იაპონიამ რუსეთს უკან დაუბრუნა ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე მდებარე მნიშვნელოვანი სამხედრო ნავსადგური პორტ-არტური და ამით პოზიციები დათმო რეგიონში.[376] იაპონიის შემდგომი ტერიტორიული ექსპანსია ამით არ დასრულებულა. 1904 წლის დასაწყისში იაპონია გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადის. იგი ხელში იღებს ინიციატივას, თავისი შენაერთებით იკავებს კორეას, იჭრება მანჯურიაში და ალყაში აქცევს პორტ-არტურს.[377] 1904 წლის 27 იანვარს იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალები, იაპონიის გაერთიანებული ფლოტის სარდლის, ადმირალ ტოგოს[378] მეთაურობით,

---

[374] ავტორი აქ არასწორად მიუთითებს რუსეთ-იაპონიის ომის მიმდინარეობის თარიღს. რუსეთ-იაპონიის ომი, რუსეთისა და იაპონიის იმპერიებს შორის დაწყებული სამხედრო დაპირისპირება – იყო მანჯურიასა და კორეაზე კონტროლის მოსაპოვებლად დაწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი, რომელიც 1904 წლის 27 იანვრიდან 1905 წლის 23 აგვისტომდე მიმდინარეობდა.

[375] აქ რუსეთ-იაპონიის ომის შესახებაა საუბარი. ომების ისტორიაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ იგი წარმოადგენდა XX საუკუნის პირველ დიდ ომს, სადაც გამოყენებულ იქნა იმ დროისათვის არსებული უახლესი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. კერძოდ, შორსმსროლელი და მსხვილკალიბრიანი არტილერია, ჯავშნოსანი პრედრედნოუტის კლასის ხომალდები, საესკადრო კატარღები და ნაღმოსნები. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, რუსეთ-იაპონიის ომი იყო იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო დაპირისპირება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორი აზიური იმპერია აღმოჩნდა.

[376] 1898 წლის 15 მარტს რუსულ-ჩინურმა კონვენციამ 25 წლიანი არენდით გადასცა ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე მდებარე საპორტო ქალაქი პორტ-არტური (დღევანდელი ჩინეთის ქალაქი დალიანი) რუსეთს, ამ ვადის გაგრძელების უფლებით. პორტ-არტურის გადაცემით რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა წყნარი ოკეანის აუზში გაუყინავი პორტი მიიღო ყვითელ ზღვაში. პირველები აქ რუსეთის არმიის აღმოსავლეთ ციმბირის მე-9 მსროლელი პოლკის ჯარისკაცები გადმოსხდნენ. 1898 წლის 16 მარტს კი, რუსული დროშა აფრიალდა. ამის შემდეგ, პორტ-არტური რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარი ბაზა გახდა.

[377] ზოგადად, რუსეთ-იაპონიის ომის უმნიშვნელოვანეს მიზეზს რუსეთის იმპერიის ექსპანსია წარმოადგენდა შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ ამ ომის უშუალო მიზეზად რუსების მიერ ლიაოდუნის ნახევარკუნძულის ანექსია იქცა, რომელიც ადრე იაპონიას ჰქონდა ოკუპირებული. ამ ფაქტმა იაპონიის არმიასა და ფლოტში გატარებული სამხედრო რეფორმების დაჩქარება და იაპონიიის მილიტარიზაციის პროვოცირება გამოიწვია. იაპონიის აგრესიულმა მოქმედებებმა რუსული საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ამ მოვლენაზე განსხვავებული იყო. მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უყოყმანოდ იაპონიის მხარე დაიკავეს. იმ დროისათვის რუსეთის მოკავშირე საფრანგეთის პოზიცია კი, ნეიტრალური იყო. XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის მოკავშირეობა საფრანგეთს გერმანიის გაძლიერების ნეიტრალიზაციისთვის ესაჭიროებოდა. მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან სულ მცირე ხანში საფრანგეთმაც პრობრიტანული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რამაც რუსულ-ფრანგული ურთიერთობების გაციებას შეუწყო ხელი. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გერმანიამ ამ ომში რუსეთისადმი მეგობრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აირჩია.

[378] ჰაიჰაჩირო ტოგო (1848-1934.წ.წ) – იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების თვალსაჩინო მოღვაწე, იაპონიის იმპერიის ფლოტის მარშალი 1913 წლიდან, რუსეთ-იაპონიის ომში იაპონიის გაერთიანებული ფლოტის სარდალი. 1871 წელს შევიდა ტოკიოს საზღვაო სასწავლებელში, 1872 წელს კი, სხვა თერთმეტ კადეტთან ერთად სასწავლებლად დიდ ბრიტანეთში იქნა წარგზავნილი, სადაც შვიდი წელი გაატარა. ამ პერიოდში შეასრულა დედამიწის გარშემო საზღვაო ვოიაჟი ბრიტანული გემი „ჰემფშირის" ბორტზე. მათემატიკას სწავლობდა კემბრიჯში, სამხედრო-საზღვაო საქმის საიდუმლოებებს კი, პორტსმუტის დიდი ბრიტანეთის საზღვაო აკადემიასა და გრინვიჩის სამხედრო-საზღვაო კოლეჯში ეუფლებოდა. 1896 წელს ტოგო სასებოს უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სკოლის უფროსი გახდა, 1898 წელს კი, ვიცე-ადმირალის სამხედრო წოდება მიიღო. 1903 წელს დაინიშნა იაპონიის გაერთიანებული ფლოტის სარდლად, რომელსაც უცვლელად სარდლობდა რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში. 1913 წელს მიენიჭა ფლოტის ადმირალ-მარშლის საპატიო წოდება. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. 1914-1924 წლებში იყო იაპონიის პრინცისა და მომავალი იმპერატორის, ხიროხიტოს ერთ-ერთი აღმზრდელი. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჰაიჰაჩირო ტოგო პენსიაში გადის.

ომის გამოცხადების გარეშე, ნაღმოსანი გემებით[379] მოულოდნელად უტევენ ამ მნიშვნელოვან სამხედრო პორტს და ძირავენ ღუზაზე მდგარ თითქმის ყველა რუსულ გემს. მაგრამ პრუსიული ჯარის ნიმუშის მიხედვით შექმნილ და ორგანიზებულ იაპონელთა ჯარს პორტ-არტურის აღება უჭირს. იგი ამაოდ ცდილობს ამ მეტად მნიშვნელოვანი პორტის დაკავებას. რუსების მიერ პორტ-არტური კარგადაა გამაგრებული. მისი დაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლებში იაპონური სამხედრო შენაერთები დიდ დანაკარგებს განიცდიან.

რუსები მედგრად იცავენ ქალაქს და ციხესიმაგრის, მაგრამ მათი რესურსებიც არ არის საკმარისი ხანგრძლივი თავდაცვითი საალყო ბრძოლების საწარმოებლად. პორტ-არტურის შესანარჩუნებლად მათ სასწრაფოდ ესაჭიროებათ სამხედრო აღჭურვილობით, სხვა მატერიალური საშუალებებითა და ცოცხალი ძალით დახმარება. შორეული აღმოსავლეთის რუსული ესკადრის მცდელობა, 1904 წლის აგვისტოში ალყა მოხსნას სიმაგრეს, კრახით სრულდება. ხუთი რუსული სამხედრო გემი იაპონელთა წინააღმდეგ საზღვაო ბრძოლაში ნადგურდება, ხოლო ესკადრის მეთაური ადმირალი სასიკვდილოდ იჭრება.[380]

შორეულ პეტერბურგში იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ბლოკირებული პორტ-არტურის დასახმარებლად ბალტიის ფლოტი, იმპერიის უკანასკნელი საზღვაო რეზერვი გაგზავნონ.[381] ბალტიის ზღვაში ბაზირებული თანამედროვე რუსული სახაზო გემები[382] – „თავადი სუვოროვი“, „ალექსანდრ III“, „ბოროდინო“ და „ორიოლი“, 15 000 ტონა წყალწყვისაა.[383] მათი საგემბანო არტილერიის მთავარი კალიბრი 254მმ-ია, დამხმარე კალიბრი 152მმ, ჯავშნის სისქე 194მმ-მდეა, სიჩქარე კი, 18 კვანძი. საერთო ჯამში, ეს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი საბრძოლო ძალაა და ყველა მაჩვენებლებით მათ უნდა

---

379 ნაღმოსანი – მცირე წყალწყვის მქონე წყალზედა მცურავი საშუალება, რომლის შეიარაღების მთავარ ტიპს საზღვაო ტორპედოები წარმოადგენს. ნაღმოსნების საბრძოლო ტაქტიკის ხასიათი მისი იარაღის, ტორპედოების დანიშნულებასა და გამოყენების თავისებურებებზე იყო დაფუძნებული. ჯავშნოსნებსა და სხვა სახის დიდ ხომალდებზე თავდასხმა მცირე ზომის, სწრაფი და მანევრული ნაღმოსნებით ხდებოდა, რომელთა განადგურებაც საგემბანე არტილერიით საკმაოდ რთული იყო. ამავე დროს, ნაღმოსნების ტაქტიკური გამოყენება მოქმედების მცირე რადიუსისა და ამინდზე დამოკიდებულების გამო შეზღუდული იყო.

380 აქ საუბარია გერმანული წარმომავლობის რუს კონტრ-ადმირალ ვილჰელმ კარლოვიჩ ვიტეფტზე. რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, 1904 წლის 3 აპრილს იგი დაინიშნა რუსეთის იმპერიის წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლად, 22 აპრილიდან კი, უფროსი ფლაგმანისა და წყნარი ოკეანის ფლოტის 1-ლი ესკადრის სარდლის მოვალეობის შემსრულებლად. დაიღუპა 1904 წლის 28 ივლისს, ყვითელ ზღვაში.

381 ომის დაწყების პირველ ეტაპზე იაპონიამ სტრატეგიული ინიციატივა ჩაიგდო ხელში და მნიშვნელოვან უპირატესობასაც მიაღწია რუსულ ესკადრაზე. ასეთ რთულ ვითარებში რუსული ფლოტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წყნარი ოკეანის ესკადრის გაძლიერების შესახებ. ბალტიის დამხმარე ესკადრის ფორმირება და მომზადება კრონშტადტსა და რეველში მიმდინარეობდა. რუსეთის საზღვაო ხელმძღვანელობის გეგმა ითვალისწინებდა შორეულ აღმოსავლეთში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ხომალდთა ძირითადი კლასების მიხედვით, რომელსაც შედეგად პორტ-არტურის დებლოკირება და იაპონიის კოუმუნიკაციების გადაჭრა უნდა მოჰყოლოდა ყვითელ ზღვაში. შემდგომში უნდა მომხდარიყო იაპონიის სახმელეთო ძალების ბლოკირება პორტ-არტურთან და მანჯურიაში. საბოლოოდ კი, რუსეთის იმპერიის სახმელეთო ჯარებს, რომლის კონცენტრაციაც ტრანსციმბირული რკინიგზის გამოყენებით უკვე მიმდინარეობდა მანჯურიაში, უნდა გაენადგურებინათ იაპონელთა შენაერთები.

382 სახაზო გემი (ინგლ. Battleship) – XX საუკუნის ყველაზე მძლავრი საარტილერიო ჯავშნოსანი გემების კლასი. II მსოფლიო ომამდე სახაზო გემები წარმოადგენდნენ საზღვაო სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების სიძლიერის სიმბოლოს, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სახელმწიფოს ბატონობას ზღვების საომარ მოქმედებათა თეატრებზე. სახაზო გემების დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის გემებზე, და პირველ რიგში, მსგავსი კლასის ხომალდებისთვის მძლავრი საარტილერიო დარტყმების მიყენება, აგრეთვე მოწინააღმდეგის სტრატეგიული დანიშნულების სანაპირო ნაგებობებისა და ინფრასტუქტურის განადგურება, და საკუთარი შენაერთების საბრძოლო ძალის სტრატეგიული მდგრადობის შენარჩუნება. სახაზო გემების მონაცემები შემდეგი იყო: წყალწყვა 20-70 ათასი ტონა, სიგრძე 150-280მ, მთავარი კალიბრი 280-460მმ, ეკიპაჟი – 1500-2800 კაცი.

383 „თავადი სუვოროვი” – რუსული საიმპერატორო ფლოტის საესკადრო ჯავშნოსანი. იგი წარმოადგენდა ვიცე-ადმირალ ზინობი როჟესტვენსკის სარდლობით ფორმირებული რუსული ფლოტის საფლაგმანო ხომალდს. წყალში ჩაიშვა 1902 წელს, საბრძოლო მწყობრში შევიდა 1904 წლიდან. იგი წარმოადგენდა „ბოროდინოს” ტიპის საესკადრო ჯავშნოსნების სერიის რიგით მეოთხე და წყალწყვით ყველაზე დიდ საზღვაო ხომალდს. მისი ჯავშნის სისქე 38მმ იყო. ხომალდის მთავარ კალიბრს შეადგენდა წინა ნაწილში განლაგებული 305მმ-იანი ორი ქვემეხი, ხოლო საშუალო კალიბრს – 152მმ-იანი 12 ქვემეხი. გარდა ამისა, აღჭურვილი იყო 1897 წლის ნიმუშის 381მმ-იანი სატორპედო აპარატებით. ეკიპაჟი 780 კაცი.

შეძლონ რუსების წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა. გარდა ამისა, ბალტიის ფლოტის ამ სახაზო გემებს უნდა შეურთდეს კიდევ ერთი დიდი და სამი პატარა კრეისერი, ასევე რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი გემი.

ბალტიის ზღვის ფლოტის სარდალს, ვიცე-ადმირალ როჟესტვენსკის[384], მეფის გულფიცხ რჩეულს, აშინებს ლოჯისტიკური უზრუნველყოფის პრობლემები თითქმის დედამიწის გარშემოწერილობის ნახევარ მანძილზე ხანგრძლივი მოგზაურობის პირობებში. მაგრამ მეფე ნიკოლოზ II[385] და სამეფო კარის გავლენიანი წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ეს ოპერაცია რუსებისათვის წარმატებულად აღსრულდება და პორტ-არტურის ალყის მოხსნა დროულად იქნება შესაძლებელი. მთავარი დროის ფაქტორია, მთავარია ყველაფერი სწრაფად მოგვარდეს. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, რადგან რუსულ ფლოტში ყველაფერი ვერაა რიგზე. საქმე იმაშია, რომ ეკიპაჟები სახელდახელოდ გაწვეული მატროსებისა და ჯარისკაცებისგან შედგებიან, რომლებსაც ჯერ-ჯერობით უჭირთ შეთანხმებულად მოქმედება. ერთობლივი მანევრების ჩასატარებლად კი, დრო აღარ რჩება. მათ არც ერთხელ არ ჰქონიათ სწავლება ზღვაოსნობასა და სამწყობრო გადაადგილებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამედროვე ტაქტიკური დონის სწავლებებზე, საზღვაო ბრძოლის ელემენტებზე, ქვემეხებისა და ცეცხლის მართვის რთული სისტემების გამოყენებაზე. ასეა თუ ისეა, გადაწყვეტილება მიღებულია და ყველაფერი ახლა ამ საბრძოლო გეგმის აღსრულებაზე არის დამოკიდებული. 1904 წლის 15 ოქტომბერს ორმოცდაორი გემისგან შემდგარი რუსული ფლოტის ფორმირება ტოვებს რუსეთის ბალტიის საზღვაო პორტ ლიბაუს[386] და ღია ზღვაში გადის. ბორტზე განწყობა თავიდანვე უიმედოა.

ცურვის პირველსავე დღეებში რუსულ ესკადრას ავარიების გადატანა უხდება. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსული გემების ეკიპაჟებს უკვე აქ ელანდებათ მოწინააღმდეგე, იაპონური ნაღმოსნების თავდასხმის შიში უკვე ბალტიის ზღვაში გასვლისას ჩნდება. 21 ოქტომბრის ღამეს ესკადრა ჩრდილოეთის ზღვის უდიდეს მეჩეჩს აღწევს ცამეტიოდე მეტრი სიღრმის წყლით. მოულოდნელად ფორმირების ბოლოში მყოფი გემი იტყობინება, რომ იგი რკალშია მოქცეული და მათ ყოველი მხრიდან ნაღმოსნები მოჰყვებიან. ესკადრის თავში მოქცეული პატარა გემები დილის ნისლში სასიგნალო რაკეტას ისვრიან. რუსული სამხედრო გემების ბორტზე იმდენად დიდია მღელვარება, რომ ესკადრის მეთაური დაუყოვნებლივ ბრძანებს ცეცხლის გახსნას, მათ შორის სახაზო გემების მთავარი კალიბრებიდან. ათი წუთის განმავლობაში რუსები ფლოტის ქვემეხების ყველა ლულიდან ისვრიან. ეს შეცდომაა, რუსების მიერ დაშვებული პირველი არასასიამოვნო შეცდომა, რომელსაც ისინი ძალიან მალე მიხვდებიან. მოჩვენებითი ნაღმოსნები

---

384 აქ ავტორი მცირე უზუსტობს უშვებს. ვიცე-ადმირალ ზინობი პეტროვიჩ როჟესტვენსკის ამ მომენტისათვის არა ბალტიის ზღვის ფლოტის სარდლის, არამედ რუსეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა. ვიცე-ადმირალ ზინობი როჟესტვენსკი ამავე დროს გენერალ-ადიუტანტი იყო.

385 ნიკოლოზ II (1868-1918წ.წ.) – რუსეთის იმპერიის უკანასკნელი მონარქი და რომანოვების დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი, პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი მთავარი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. გარდა რუსული არმიის პოლკოვნიკის ჩინისა, ბრიტანელი მონარქების მიერ მინიჭებული ჰქონდა ბრიტანეთის ფლოტის ადმირალის (1908 წლიდან) და დიდი ბრიტანეთის არმიის ფელდმარშლის (1915 წლიდან) წოდებები. ნიკოლოზ II-ის მმართველობის პერიოდი აღინიშნა ერთის მხრივ რუსეთის იმპერიის ეკონომიკური განვითარების, და მეორეს მხრივ, საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობების გაზრდით, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით, რომელიც 1905-1907 წლების და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციებში გადაიზარდა. ამ პერიოდის რუსულ საგარეო პოლიტიკაში აღინიშნებოდა ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები, როგორიც იყო იმპერიის ექსპანსია შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიასთან ომის წარმოება, ასევე I მსოფლიო ომში ანტანტის სამხედრო ბლოკში გაერთიანება და აქტიური მონაწილეობა. ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამო და დროებითი მთავრობის მიერ ოჯახთან ერთად აყვანილ იქნა შინაპატიმრობაში. 1917 წლის ზაფხულში დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით ოჯახთან ერთად გადასახლებულ იქნა ტობოლსკში, 1918 წლის გაზაფხულს კი, ეკატერინბურგში, სადაც იმავე წლის ივლისში ოჯახთან ერთად დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

386 ლიბაუ – იგივე ლიბავა, დღევანდელი ლიეპაია, ლატვიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი-პორტი. ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონის ცენტრი და იმდროინდელი რუსეთის იმპერიის უმნიშვნელოვანესი გაუყინავი პორტი. რიგისა და დაუგავპილსის შემდეგ ლატვიის სიდიდით მესამე ქალაქი.

უწყინარი ინგლისური ტრაულერები აღმოჩნდებიან, რომლებიც რუსული ფლოტის საარტილერიო ცეცხლში მოჰყვნენ. ერთი თევზსაჭერი გემი იძირება, უამრავი მეთევზე წყალში ცურავს დაჭრილი. ყველა უბედურებასთან ერთად რუსული ესკადრის კრეისერ „ავრორასაც“ ხვდება ჭურვი საკუთარი გემებისგან.[387]

დიდი ბრიტანეთის საადმირალო დეპარტამენტი და ბრიტანული ფლოტი მზად არის განგაშის ასატეხად. ინგლისური პრესა ბობოქრობს „რუსული ცოფიანი ძაღლების ფლოტის“ ბარბაროსობაზე. დიდი ბრიტანეთის მთავრობა შემთხვევის საფუძვლიან საერთაშორისო გამოძიებასა და დამნაშავის მკაცრად დასჯას მოითხოვს. დიდი ბრიტანეთი ღირსებაშელახულია და იგი ახლა უფრო მეტად იხრება იაპონიისკენ, რომელთანაც 1902 წლიდან აქვს დადებული ხელშეკრულება. რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ II დათმობებზე მიდის და ბრიტანეთს მიყენებული ზარალის ფინანსურ ანაზღაურებას ჰპირდება.[388] მაგრამ ეს ნაბიჯი საქმეს უკვე ვეღარ შველის. რუსული ფლოტის ჯერ კიდევ არშემდგარი დიდება უმალ იმსხვრევა. აქედან მოყოლებული, იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა, მის მოგზაურობას პორტ-არტურამდე თან ახლავს სხვადახვა ქვეყნის პრესისა და მსოფლიო საზოგადოების გესლიანი ირონია. ბრიტანული სამხედრო გემებიც მზადყოფნაში არიან მოყვანილნი, ისინი დიდი სიფრთხილით ადევნებენ თვალყურს რუსული ფლოტის გადაადგილებას.

როჟესტვენსკის გემებს წინ ჰქონდათ გასავლელი თვრამეტი ათასი საზღვაო მილი, დედამიწის პერიმეტრის თითქმის სამი მეოთხედი. მათი ცურვის მარშრუტი კი, მართალაც არ არის მარტივი. ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების გავლით ისინი ჩინეთის ზღვაში უნდა შესულიყვნენ და შემდეგ გაეგრძელებინათ გზა ჩრდილოეთისაკენ. ამასთანავე, სამხედრო-საზღვაო ძალების ისტორიაში პირველად, გემები ნახშირით ღია ზღვაში უნდა მოემარაგებინათ, რაც მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისურ თევზსაჭერ სეინერებთან დაკავშირებული ინცინდენტების გამო რუსული ფლოტის რეპუტაცია უკვე ძალიან შელახული იყო, ამიტომ ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა რუსებს არ მისცეს უფლება გაჩერებულიყვნენ მათ ნავსადგურებში და აქ შეევსოთ თავისი საწვავის მარაგები.

ნორმალური სიჩქარით გადაადგილებისას რუსული გემების ამ ფორმირებას დღეში სამი ათასი ტონა ძვირადღირებული ნახშირი სჭირდება, მაღალი სიჩქარის შემთხვევაში კი – სამმაგი. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? მართალია, რუსეთი დიდი იმპერიაა, მაგრამ მას თავისი იმპერიის კონტინენტალური ტერიტორიების გარეთ საყრდენი პუნქტები არ გააჩნია. დიდი კოლონიური სახელმწიფოები კი, როგორიცაა მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი უარს ამბობენ მისი ნახშირით მომარაგებაზე. ასე რომ, რუსული ფლოტის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის იმპერიის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ გერმანული საზღვაო-სატრანსპორტო კომპანია „ჰამბურგ-ამერიკის ხაზი”[389] ეხმარება რუსულ ფლოტს და სამოცი გემით სამასორმოცი ათასი ტონა ნახშირი მიაქვს კარდიფიდან რუსულ საბრძოლო ერთეულებამდე. გერმანიის ახალგაზრდა იმპერიისათვის ეს ხელსაყრელი გარიგებაა. ამ საომარ კამპანიაში გერმანული რაიხი კარგად გამოიმუშავებს, რადგან ერთის მხრივ იგი რუსულ გემებს ამარაგებს ნახშირით, ხოლო მეორეს მხრივ, იაპონიის ფლოტსა და საველე არტილერიას აწვდის კრუპის ფირმის უახლესი ტიპის ქვემეხებს.

---

[387] ე.წ. „მეგობრული ცეცხლით” კრეისერ „ავრორაზე” ჭურვის მოხვედრების შედეგად დაიღუპა ხომალდის მღვდელი. ცხადია, ეს ინციდენტი ეკიპაჟის მიერ ცუდ ნიშნად იქნა მიღებული.

[388] ამ საზღვაო ინციდენტის გამო რუსეთს მართლაც მოუხდა დიდი ბრიტანეთისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა. კომპენსაცია 65 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო, რაც იმ დროისათვის ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა.

[389] „ჰამბურგ-ამერიკის ხაზი” (გერმ. Hamburg-Amerikanische Packetfahrt-Actien-Gesellschaft, ან მოკლედ HAPAG) – ჰამბურგ ამერიკის საზღვაო-სატრანსპორტო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დაარსდა 1847 წელს გერმანიაში, ჰამბურგში. მალე იგი გერმანიასა და შემდეგ მსოფლიოშიც უდიდესი საზღვაო-სატრანსპორტო კომპანია გახდა.

საერთაშორისო საზღვაო სამართლის მიხედვით, ნახშირის მიღება ნავსადგურში არ შეიძლება. გემები ღია ზღვაში, ამწეების გარეშე უნდა დაიტვირთნონ, ამიტომ რუსული ფლოტის გადაადგილება მნიშვნელოვნად ყოვნდება. ეკიპაჟებმა თვითონ უნდა ჩაყარონ ნიჩბებით ნახშირი გემბანის ქვეშ სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ტრიუმებში, და ისიც ტროპიკულ სიცხეში. ეს არის მატროსებისა და ჯარისკაცების უსასტიკესი ექსპლუატაცია და ტყავის გაძრობა, რომელიც რუსულ ჯარში უკვე კარგა ხანია რაც დამკვიდრებული წესია. ეს დამკვიდრებული უზნეობა უფრო მეტად ამძიმებს მდგომარეობას და პირველ შედეგებამდე – უკიდურეს გადაღლამდე მიჰყავს რუსული ესკადრის მთელი პირადი შემადგენლობა. ტროპიკული კლიმატი კი განსაკუთრებით მძიმე გადასატანი აღმოჩნდა რუსი მეზღვაურებისა და ჯარისკაცებისათვის. რამდენიმე კაცი კვდება კიდეც. საბრძოლო ტაქტიკური ვარჯიშებისთვის დრო საერთოდ აღარ რჩება. გიბრალტარის სრუტესთან კიდევ ერთი ინცინდენტი ხდება. ტანჟერში რუსები მომდევნო შეცდომას უშვებენ – ზღვაში გასვლისას ისინი შეცდომით ჭრიან მაროკოდან ევროპისკენ მიმავალ ტელეგრაფის კაბელს. მთელი მსოფლიო პრესა ყალყზე დგას და ისევ ერთ ამბავს ტეხს. ერთი რამ ნათელია – ამ ოპერაციას ნამდვილად არა სდევს ბედის ვარსკვლავი თან.

აქვე ადმირალი როჟესტვენსკი საინტერესო გადაწყვეტილებას იღებს. იგი ორ ნაწილად ჰყოფს თავის ფორმირებას, შესაძლოა იმიტომაც, რომ ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ძალების მხრიდან დავის მიზეზების ძებნა და მომაბეზრებელი თვალთვალი აიცილოს თავიდან. შედარებით სწრაფმავალი გემები, მათ შორის, ახალი საბრძოლო ერთეულები, აფრიკის კონტინენტს უვლიან გარშემო, ამ დროს კი, ძველმა საბრძოლო გემებმა სუეცის არხის გავლით უნდა გაცურონ წინ.[390] ადმირალის ჩანაფიქრი ასეთია – მადაგასკარის ჩრდილოეთ ნაწილთან საზღვაო აკვატორიაში ისინი კვლავ უნდა გაერთიანდნენ. სწორედ ამ დროს მოდის შეტყობინება იმის შესახებ, რომ პორტ-არტურმა 1905 წლის იანვრის დასაწყისში კაპიტულაცია გამოაცხადა.[391] პორტ-არტურის დაცემასთან ერთად იაპონელებმა ჩაძირეს აგრეთვე მის ყურეში გარე რეიდზე მდგარი რუსული ხომალდებიც. იაპონელებმაც განიცადეს საბრძოლო დანაკარგები – საზღვაო ნაღმებზე ორი იაპონური კრეისერი აფეთქდა. თუმცა ეს მდგომარეობა სულაც არ ცვლის საერთო სურათს. ფაქტობრივად, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის (რუსეთის ბალტიის ფლოტის წყნარი ოკეანის I ესკადრა) ფლოტმა არსებობა შეწყვიტა.

პორტ-არტურის დაცემა კარდინალურად ცვლის არსებულ სურათს. და აქ ისმება კითხვები: რა იქნება შემდეგ? გაგრძელდება თუ შეწყდება რუსების უკვე უმიზნოდ ქცეული საზღვაო ექსპედიცია? როგორი იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის საადმირალოსა და მთავარი სამხედრო-საზღვაო შტაბის გადაწყვეტილება?

რუსეთის სამხედრო უწყებაშიც ვერ გარკვეულან ბოლომდე თუ როგორი იქნება შემდგომი მოქმედებების თანმიმდევრობა. და საერთოდ, გაგრძელდება თუ არა ეს საოკეანო ექსპედიცია? უკვე ორი თვეა რაც რუსული ფლოტი უმოქმედოდ დგას ღუზაზე მადაგასკა-რთან ახლოს. მალე ცხადი ხდება რომ ექსპედიცია გაგრძელდება, უფრო მეტიც, მეფე ტელეგრაფით აცნობებს როჟესტვენსკის, რომ რუსული ფლოტის მესამე ფორმირება, ე.წ. „რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტის მესამე ესკადრა", ადმირალ ნიკოლაი ნებოგატოვის მეთაურობით, 1905 წლის 18 თებერვალს გამოემგზავრა კრონშტადტიდან და მადაგასკარისკენ მიემართება. ამოცანა გასაგებია – რუსული ფლოტის სამივე ფორმირება უნდა შეერთდეს, შემდეგ კი, მათ ერთად უდა გაცურონ წყნარი ოკეანის რუსული

---

[390] რუსული ესკადრის ამ ჯგუფს 25 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის პერიოდში უერთდება აგრეთვე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც რუსული ესკადრის ძირითად ჯგუფს კუნძულ კრეტასთან შეუერთდნენ. ჯგუფმა კრეტა 8 ნოემბერს დატოვა და მადაგასკარს 15 დეკემბერს მიაღწია.

[391] პორტ-არტურის დაცვა რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე გრძელ საომარ კამპანიას წარმოადგენდა. პორტ-არტურის ალყის დროს ფართოდ გამოიყენებოდა იარაღის ისეთი ახალი სახეობები, როგორიც იყო მსხვილკალიბრიანი 11 დუიმიანი მორტირები და სწრაფმსროლი ჰაუბიცები, მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევები და გადამღობი მავთულხლართები, აგრეთვე ხელყუმბარები. ამავე დროს, პორტ-არტური გახდა ახალი ტიპის საარტილერიო იარაღის – ნაღმსატყორცნის დაბადების ადგილი.

ნავსადგურის, ვლადივოსტოკისკენ. რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ამ გზით იმედოვნებდა ფლოტის გაძლიერებას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება რუსების მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომაა.

რეალობაში საქმე გეგმის საწინააღმდეგოდ წარიმართა. ძველმა გემებმა სვლა უფრო მეტად შეანელეს და ბოლოს საერთოდ გაჩერდნენ. ფლოტის გაზრდითა და გაძლიერებით ოფიცრებისა და ეკიპაჟების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების ნაცვლად მივიღეთ საწინააღმდეგო სურათი – საექსპედიციო ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება ნულოვან მაჩვენებლამდე ეცემა. ასეთ ვითარებაში რუსული ფლოტი ტაქტიკურ სწავლებებს იწყებს. საზღვაო ბრძოლის ტაქტიკური სქემების დამუშავება და საბრძოლო სროლების სწავლება კატასტროფულად დაბალ დონეზე მიმდინარეობს. ამ სწავლების დროს კიდევ ერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რაც ძალიან ჰგავს ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ ინცინდენტს – რუსული საზღვაო შენაერთის საფლაგმანო ხომალდი, ,,თავადი სუვორივი'', საგემბანე არტილერიის მთავარი კალიბრიდან შეცდომით საკუთარ კრეისერს უხსნის ცეცხლს.

როცა ვიცე-ადმირალ როჟესტვენსკისთან მუკდენთან გამართულ სახმელეთო ბრძოლაში რუსების დამარცხების შესახებ შეტყობინება მივიდა, მადაგასკართან გაჩერებული სამხედრო გემების ეკიპაჟები უკვე ბუნტის დაწყებას აპირებდნენ.[392] როჟესტვენსკის არ გააჩნია არანაირი სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დაუყოვნებლივ დაიძრას. გაერთიანებული რუსული ფლოტის გემებმა მაისის დასაწყისში ისევ დიდი ხნით ჩაუშვეს ღუზები ჩრდილოეთ ინდოჩინეთის ყურეში, რათა იქ დაეცადათ მესამე ფორმირების გემებისათვის.

1905 წლის 25 მაისისათვის გაერთიანებული რუსული ფლოტი საბოლოოდ შეიკრიბა და ორმოცდათორმეტმა გემმა გეზი ჩრდილოეთის მიმართულებით, იაპონიის ზღვისკენ აიღო. ორი დღის შემდეგ მათ იაპონელთა საყარაულო გემი აღმოაჩენს. ადმირალი ტოგო ბრძანებს, სისტემატურად მოახსენონ რუსული ფლოტის კურსის შესახებ. ადმირალ როჟესტვენსკის არა აქვს არავითარი საბრძოლო გეგმა და არც თათბირებს არ მართავს თავის შტაბთან და ესკადრის გემების კაპიტნებთან. ერთი კი ცხადია, რომ ამ ხანგრძლივი ექსპედიციის დანიშნულების ბოლო წერტილი ვლადივოსტოკია. მაგრამ როგორ უნდა მივიდეს რუსული ფლოტი იქამდე? რუს ადმირალს შემდგომი ცურვის მარშრუტიც კი არა აქვს ბოლომდე დაზუსტებული. აქ ორი არჩევანი არსებობს: ან წავიდეს მოკლე გზით, პირდაპირ კორეის სრუტისა და კუნძულ ცუშიმას გავლით, ან აღმოსავლეთიდან შემოაუაროს იაპონიის მთავარ კუნძულებს და ისე ჩააღწიოს ვლადივოსტოკამდე.

ორი შესაძლებლობიდან რუსი ადმირალი პირველს, უმოკლეს გზას ირჩევს. იგი ვარაუდობს, რომ იაპონელები შესაძლოა მოტყუვდნენ, თუ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, წრიული გზით გააგზავნის თავისი ფლოტის ორ სამხედრო გემს.[393]

---

[392] მუკდენის ბრძოლა წარმოადგენდა რუსეთ-იაპონიის ომის ყველაზე მასშტაბურ, ხანგრძლივ და სისხლიან ბრძოლას. ამავე დროს იგი იყო დაპირისპირებულ მხარეთა შორის მიმდინარე სახმელეთო ბრძოლების უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. მუკდენის ბრძოლა მიმდინარეობდა 150კმ საერთო სიგრძის მქონე ფრონტზე. რუსულ და იაპონურ მხარეებს შესაბამისად სარდლობდნენ გენერალი ალექსეი კუროპატკინი და მარშალი ივაო ოიამა. ორივე მხრიდან ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ნახევარ მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 2,5 ათასი საარტილერიო დანადგარი და 250 ტყვიამფრქვევი. ჯამური ადამიანური დანაკარგები 160 ათას კაცს შეადგენდა, ანუ, ბრძოლაში მონაწილე მთელი პირადი შემადგენლობის 30%. საომარი სტატისტიკისა და სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით კი, ეს უზარმაზარი და ყოვლად გაუმართლებელი დანაკარგებია. I მსოფლიო ომის ბრძოლებამდე და მის საომარ კამპანიებამდე, თავისი მასშტაბებითა და ადამიანური დანაკარგებით, მუკდენი ალბათ უდიდეს ბრძოლას წარმოადგენდა ომების ისტორიის კუთხით. დღეს მუკდენი ქალაქი შენიანია, ჩინეთის პროვინცია ლიაონინის ადმინისტრაციული ცენტრი.

[393] ადმირალი ჰაიჰაჩირო ტოგო, რომლის მთავარი ძალებიც კუნძულ ცუშიმასთან იყო ბაზირებული, იმ დაშვებას აკეთებდა, რომ რუსული ესკადრა ცუშიმასთან გაივლიდა. ამიტომ მან საზღვაო აკვატორიის ამ ზონაში დამხმარე კრეისერების სადაზვერვო ესკადრა განალაგა, რომლებსაც ტოგოს შტაბისათვის დროულად უნდა გადაეცათ შეტყობინება რუსული ესკადრის გამოჩენის შესახებ. იგი იმასაც არ გამორიცხავდა, რომ მოწინააღმდეგის გემები

მაგრამ რუსი ადმირალი ისევ შეცდომას უშვებს. ამჯერად, ეს უნებლიე შეცდომაა და მისი ვარაუდებიც არ გამართლდება. საქმე იმაშია, რომ იაპონელები ამ გემებს საერთოდ ვერ აღმოაჩენენ და ამიტომ ცრუ კვალსაც არ გაჰყვებიან. იაპონიის ფლოტს ჩასაფრებული პოზიცია უკავია კორეის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან და რუსული ფლოტის გამოჩენას ელის.

ბოლოს და ბოლოს, რუსული ფლოტი ცუშიმას სრუტეს უახლოვდება. როცა ოთხმოცდაათი საზღვაო მილის დაშორებით რუსული ფლოტის პირველი გემები გამოჩნდებიან, იაპონელები საბრძოლო მზადყოფნაში მოდიან. ფაქტობრივად, იაპონელები თავიდანვე იგდებენ ხელში ინიციატივას. ამ დროს კი, რუსები მოწინააღმდეგის გემების ადგილმდებარეობის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ფლობენ, რადგან ისინი დაზვერვას არ ატარებენ.

1905 წლის 27 მაისის დილას რუსული ფლოტი ცუშიმას სრუტეში მიემართება საბრძოლო წყობით ორმაგ კილვატერულ კოლონაში[394], კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკიცე კურსით ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. დანიშნულების ადგილი – ვლადივოსტოკი. სიჩქარე არ არის ძალიან მაღალი, რადგან როჟესტვენსკის უნდა რომ თვალყური ადევნოს ნელა მოძრავ გემებს თავის ესკადრაში.[395] საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული იაპონელი ადმირალი ტოგო თავის საფლაგმანო გემზე „მიკასა“[396] აყენებს ნიშანს – “Z”: „სამშობლოს მომავალი ან დაღუპვა დამოკიდებულია ამ ბრძოლაზე. დაე, თვითოეულმა შეძლებისდაგვარად მოიხადოს ვალი.“ ეს მოწოდება ნელსონის ბრძანებას გვახსენებს ტრაფალგარის ბრძოლის წინ. ამასთან, ტოგომ გააკეთა ისეთი რამ, რაც თავის დროზე თვით ჰორაციო ნელსონსაც კი შეუძლებლად მიაჩნდა. მან თავისი ფლოტის ორგანიზაცია შეცვალა და მსგავსი ტიპისა და კლასის გემები დამოუკიდებელ საბრძოლო ერთეულებად გააერთიანა.

სხვა სრუტეებითაც ისარგებლებდნენ, სადაც ასევე იქნა გაგზავნილი სადაზვერვო ხომალდები. ამავე დროს, 2 აპრილისათვის იაპონელებმა ვლადივოსტოკთან საზღვაო ნაღმების გადამღობი ზოლი მოაწყვეს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ენერგიული და სრულფასოვანი მოქმედებებით იაპონელებმა სრულად მოახდინეს რუსული ესკადრის მოახლოების ყველა შესაძლო მარშრუტის ბლოკირება.

394 საზღვაო ხომალდების კილვატერული წყობა არის წყობა, როდესაც გემები მკაცრად ერთმანეთის კიჩოს მიუყვებიან. კილვატერულ წყობაში მცურავი გემების სიჩქარე გათანაბრებულია და მათ შორის არსებული დისტანციებიც მკაცრად არის დაცული. ეს წყობა ფორმირებისა და მართვისათვის სამარშო სვლის ყველაზე მარტივ სახეობას წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც სიჩქარეების გათანაბრების შემდეგ ყოველი უკანა ხომალდისათვის საკმარისია კურსის გასწორება წინ მიმავალი ხომალდის კიჩოზე. კილვატერული წყობა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება გემების კოლონის ცურვისას ვიწრო ადგილებში, ფარვატერებში და დანაღმული ველების ფორსირებისას. თავისი სიმარტივის გამო იგი სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება, სადაც კი ეს არის შესაძლებელი.

395 ვიცე-ადმირალ როჟესტვენსკის მიერ თავისი ესკადრის წინაშე დასმული ამოცანა ნაკლებად შეესაბამებოდა იმ დროისათვის არსებულ სტრატეგიულ ვითარებას. ამ კონტექსტში რუსული ესკადრის ამოცანას შეადგენდა ჩრდილოეთისაკენ გაჭრა, ამასთან მოწინააღმდეგესთან არა ბრძოლის წარმოება, არამედ მისგან თავის დაღწევა. ასე რომ, რუსების არჩევანი ისევ და ისევ პასიური მოქმედებების ტაქტიკას გულისხმობდა. ყველაზე გაუგებარი ის იყო, რომ რუსებს ტაქტიკური დაზვერვა არც ბრძოლის წინ, არც ბრძოლის განმავლობაში და არც ბრძოლის შემდეგ არ ჩაუტარებიათ. იმის გათვალისწინებით, რომ ბრძოლის ინიციატივა იაპონელთა ფლოტის მხარეს იქნებოდა, რუს ადმირალს თავისი გეგმის დეტალიზირება არ მოუხდენია და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებებით. მთავარ ამოცანად კი დასვა ჩრდილოეთისაკენ გარღვევა ნებისმიერ ფასად. ამ სქემაში კრეისერების, ნაღმოსნების, სატრანსპორტო და დამხმარე ხომალდების ადგილი და მოქმედებების თანმიმდევრობა გაწერილი არ იყო. მთავარი მითითება მოითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ ერთს – „ერთად ყოფნას“. ჯავშნოსნებს კი, ერთად შეკრულ ჯგუფში ისე უნდა ებრძოლათ მოწინააღმდეგესთან, რომ შეძლებისდაგვარად მაღალი ტემპით გადაადგილებულიყვნენ ჩრდილოეთის მიმართულებით.

396 „მიკასა“ – იაპონური პრედრედნოუტის კლასის ჯავშნოსანი ხომალდი, იაპონური ფლოტის ფლაგმანი. მისი მშენებლობა 1898 წელს დაიწყო დიდ ბრიტანეთში. წყალში ჩაუშვეს 1900 წელს, საბოლოო მწყობრში ჩადგა 1902 წლიდან. ხომალდის მაქსიმალური წყალწყვა 15979 ტონას შეადგენდა. ჯავშნის მაქსიმალური სისქე 29მმ. ხომალდის მთავარი კალიბრი შედგებოდა 305მმ-იანი ოთხი გრძელლულიანი ქვემეხისაგან. საბრძოლო კომპლექტი 90 ჭურვი თვითოეულ ქვემეხზე. „მიკასას“ 386კგ-იანი ჭურვის გასროლის სიჩქარე 762მ/წმ-ს შეადგენდა. საბრძოლო კომპლექტი შედგებოდა ჯავშანსაწინააღმდეგო, ფუგასური და მცირე რაოდენობით შრაპნელის ჭურვებისგან. ხომალდის ბორტებზე განლაგებული იყო აგრეთვე საშუალო კალიბრის 152მმ-იანი არტილერიის დაჯავშნული ბატარეა 130 ჭურვით თვითოეულ ქვემეხზე. თუ რუსულ ფლოტში უპირატესობა ენიჭებოდა ჯავშანსაწინააღმდეგო ჭურვებს, იაპონური ფლოტის პრიორიტეტი ფუგასური საბრძოლო კომპლექტი იყო.

27 მაისი რუსეთში ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევის დღეა,[397] ამიტომ ამ დღეს ყველა რუსულ გემზე წირვა ტარდება. ოფიცრები სვამენ შამპანურს, ეკიპაჟები კი იღებენ განსაკუთრებულ რაციონს – რომს.

დაახლოებით 2 საათზე რუსი ადმირალი თავის საფლაგმანო გემ „თავად სუვოროვს“ ცეცხლის გახსნის ბრძანებას აძლევს.[398] თვრამეტი კილომეტრის დისტანციაზე XX საუკუნის სახაზო გემების პირველი საზღვაო ბრძოლა იწყება. რუსების განკარგულებაშია დაახლოებით ორმოცდაერთი ქვემეხი და უკეთ შეჯავშნული სახაზო გემები. იაპონელების პატარა, მაგრამ მოძრავი და სწრაფი საბრძოლო გემები ოცდაშვიდი ქვემეხითაა აღჭურვილი, მაგრამ ეკიპაჟები კარგად გაწვრთნილია და მათი მოტივაციაც მაღალია. ადმირალი ტოგო კი, მართლაც შესანიშნავად მეთაურობდა ბრძოლას. გარდა ამისა, იგი ტაქტიკურ უპირატესობასაც ფლობს.[399] მან მოახერხა შეესრულებინა საზღვაო ბრძოლის კლასიკური მანევრი – „T-სებრი კვეთა”, რაც რუსული ფლოტის კურსის პერპენდიკულარულ გადაკვეთას ნიშნავდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.[400] იაპონურ გემებს მხოლოდ გვერდული პოზიციიდან შეეძლოთ სროლა. მათი ზალპი ზუსტად გათვლილი იყო, რუსულმა გემებმა კი ვერ შეძლეს საპასუხო ცეცხლის გახსნა იაპონელთა მიერ ჩატარებული მოხერხებული მანევრის გამო. წინა ხაზზე მდგარი რამდენიმე რუსული გემი დაზიანდა და ჩაიძირა. ყველაფერთან ერთად, მძიმე შედეგების მომტანი შეცდომის დაშვების გამო მათ ვერ მოახერხეს საკუთარი მსხვილკალიბრიანი საგემბანო არტილერიის შესაძლებლობების სრულად გამოყენებაც. საქმე იმაშია, რომ ტროპიკულ წყლებში ხანგრძლივი მოგზაურობის გამო, ეკიპაჟებმა დენთის ტენიანობის დონე ხელოვნურად აწიეს მაღლა, რათა მაღალი ტემპერატურების გამო თვითაალებისა და

---

397 1896 წლის 4 (27) მაისს მოსკოვის უსპენსკის ტაძარში საზეიმო და ხაზგასმულად პომპეზურ ვთარებაში შედგა მისი უდიდებულესობა იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა და იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნას (ფრედერიკა ლუიზა შარლოტა ვილჰელმინა პრუსიელი ჰოჰენცოლერნი) კორონაცია.

398 რუსული და იაპონური ფლოტების პირველი კონტაქტი 27 მაისის გამთენიისას მოხდა. პირველი რუსული გემი, რომელიც იაპონელთა მიერ კონტროლირებად საზღვაო სივრცეში შემოვიდა, საესკადრო ჯავშნოსანი „ორიოლი” იყო. დილის ბინდბუნდისა და კვამლის ფარდის გამო იაპონელებმა ბოლო მომენტში შეამჩნიეს იგი. ეს იყო იაპონური კრეისერი „სინანო-მარუ”. „ორიოლთან” ახლოს მისვლისას „სინანო-მარუმ” რუსული ესკადრის კიდევ 10 ხომალდი აღმოაჩინა. 04:28 საათზე იაპონური კრეისერის მეთაურმა, I რანგის კაპიტანმა ნარუკავამ თავისი ფლოტის შტაბს რადიოთი შემდეგი შინაარსის შეტყობინება გაუგზავნა: „მტერი 203-ე კვადრატშია”.

399 ადმირალ ჰაიჰაჩირო ტოგოს მიზანს რუსული ესკადრის განადგურება წარმოადგენდა. მისი საბრძოლო ტაქტიკა რუსული ხომალდების საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკის ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული. როგორც პრაქტიკა აჩვენებდა, რუსები უპირატესობას ბრძოლის თავდაცვით ტაქტიკას ანიჭებდნენ. ისინი ცურვის კილვატერულ კოლონებში მოძრაობდნენ, სადაც ჩართული იყო სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ნელა მცურავი გემებიც, რაც საბრძოლო ფორმირების საერთო სიჩქარის დაბლა დაწევას იწვევდა. რუსების ამ ტაქტიკას ტოგომ დაუპირისპირა მცირე სამანევრო ჯგუფების სწრაფი შეტევითი ტაქტიკა, რაც მას საშუალებას აძლევდა მაღალი სიჩქარისა და მანევრულობის გამო ხელსაყრელი კუთხით მიეტანა შეტევა მოწინააღმდეგეზე, პირველ რიგში კი, კოლონის თავსა და ბოლოზე. ეს შეტევები და ცეცხლის გახსნა, როგორც წესი, დიდი დისტანციებიდან ხორციელდებოდა. საცეცხლე ძალის გაზრდა კი იაპონელთა მიერ კარგად დამუშავებული და გამიზნული ჯგუფური ცეცხლით ხდებოდა. პირველი გასროლა ხდებოდა კოლონის თავში მყოფ ხომალდზე, რაც ერთგვარ მონიშვნას და ჯგუფის დანარჩენი ხომალდებისთვის მთავარი სამიზნის შერჩევას ნიშნავდა. ამის შემდეგ იხსნებოდა ცეცხლი იაპონური ხომალდების ყველა კალიბრებიდან და მოწინააღმდეგის ამ ხომალდის ირგვლივ იქმნებოდა ერთგვარი „მკვდარი ზონა”. იაპონელთა ეს ე.წ. „საცეცხლე ჯგუფი” უწყვეტად მანევრირებდა იქამდე, სანამ განწირული რუსული გემი, და პირველ რიგში, ჯავშნოსანი, საბოლოოდ არ განადგურდებოდა.

400 „T-სებრი კვეთა” წარმოადგენდა საზღვაო ბრძოლის კლასიკურ ტაქტიკას, რომელიც გავრცელებული იყო XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ერთი მხარის ხომალდთა ხაზი წინიდან პერპენდიკულარულად კვეთდა მოწინააღმდეგის ხომალდების სვლის კურსის ხაზს და საგემბანე არტილერიის ყველა კალიბრის ლულას მიმართავდა მოწინააღმდეგის ხომალდისაკენ, მაშინ როცა მოწინააღმდეგეს საპასუხო ცეცხლის გახსნა მხოლოდ გემის წინა ნაწილში მდგარი მცირე რაოდენობის ქვემეხებიდან შეეძლო. ბრძოლის ეს ტაქტიკა მას შემდეგ დაინერგა, რაც მოწინავე ქვეყნების ფლოტები ორთქლისძრავიანი და საგემბანე ქვემეხების მოძრავი კოშკურების მქონე ხომალდებით დაკომპლექტდა. თავისთავად ცხადია, აფროსანი ფლოტისა და უძრავი საგემბანო ზარბაზნების ეპოქაში საზღვაო ბრძოლის ასეთი ტაქტიკა გამოუსადეგარი იყო. მოგვიანებით, უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან „T-სებრმა კვეთამ” დაკარგა თავისი ეფექტურობა და მალე საერთოდ ამოღებულ იქნა მას შემდეგ, რაც საზღვაო ბრძოლის ძირითად იარაღად არა საგემბანე არტილერია, არამედ შორ დისტანციაზე მოქმედი მართვადი სარაკეტო სისტემები და საგემბანე ავიაცია იქცა.

აფეთქების საფრთხე შეემცირებინათ. ახლა კი, ამგვარმა ქმედებამ ის სავალალო შედეგი გამოიღო, რომ გასროლილი რუსული ჭურვების თითქმის ნახევარი საერთოდ არ აფეთქდა.

ადმირალი ტოგო კიდევ ერთ გაბედულ მანევრს ასრულებს: იაპონელთა ესკადრა ბრუნდება 180 გრადუსით, პარალელურად უწყვეტი ცეცხლით მოძრაობს რუსული გემების კურსის პერპენდიკულარულად და მათ აღმოსავლეთისკენ, ვლადივოსტოკის გზიდან შორს ერეკება. იაპონელები ექვსი კილომეტრი დისტანციიდან ორივე რუსულ საფლაგმანო გემს ცეცხლს უხსნიან. ერთი მათგანი, მეორე ესკადრის ფლაგმანი, ჯავშნოსანი „იმპერატორი ნიკოლაი I" მძიმედ ზიანდება, იძირება და თითქმის მთელ ეკიპაჟს იყოლებს თან. საზღვაო ბრძოლა გრძელდება. იაპონელთა მთავარ სამიზნეს ამჯერად რუსული ფლოტის ფლაგმანი წარმოადგენს. ზუსტი სროლებით იაპონელები ადმირალ როჟესტვენსკის საფლაგმანო გემ „თავად სუვოროვსაც" აფეთქებენ. იგი იძირება, მისი ეკიპაჟი კი გადარჩენას ცდილობს. ადმირალი როჟესტვენსკი მძიმედაა დაჭრილი.[401] იგი საზღაურს იხდის წინა დღით დაშვებული შეცდომის გამო.

საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მეორე ფორმირების მეთაურის დაღუპვის ფაქტი როჟესტვენსკიმ დამალა. იგი ფიქრობდა, რომ ასე აჯობებდა, რადგან, თავიანთი მეთაურის სიკვდილის ამბის გაგება ჯარისკაცებს მორალურად გატეხდა. მაგრამ არც ადმირალმა ნებოგატოვმა, მესამე ფორმირების მეთაურმა იცის ამის შესახებ რაიმე და ამიტომაც არ შეუძლია მისთვის გათვალისწინებული მეთაურის მოადგილის პოსტის დაკავება. საქმე იქამდე მიდის, რომ ბრძოლის გადამწყვეტ საათებში რუსული ფლოტი სრულიად უმეთაუროდ რჩება, რადგან ადმირალი როჟესტვენსკი მძიმედაა დაჭრილი, მეორე ესკადრის მეთაური გარდაცვლილია, ხოლო მესამე ესკადრის მეთაური, ადმირალი ნებოგატოვი არავითარ ინფორმაციას არ ფლობს ამის შესახებ. რუსულ გემებზე ქაოსი და თავშეუკავებელი პანიკა იწყება. მართვა მოშლილია, ხოლო ის რუსული გემები, რომელთა კაპიტნებიც შეეცადნენ ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აეღოთ, იაპონელთა ჭურვებით მიყენებული დაზიანებების გამო ჩაიძირნენ.

რუსების დანაკარგები თავზარდამცემია – მათი ფლოტის ძირითადი ნაწილი განადგურებულია, დაახლოებით ხუთი ათასი დაღუპული მეზღვაური კი, ზღვის ფსკერზე წევს. მხოლოდ ღამე იხსნის რუსული ფლოტის დარჩენილ ნაწილს სრული განადგურებისაგან. მაგრამ ადმირალი ტოგო სიბნელეშიც აგრძელებს ბრძოლას თავისი ნაღმოსნებით და რუსების სხვა საბრძოლო ერთეულებსაც ძირავს. ამ საშინელ კატასტროფას ღამის საფარქვეშ მხოლოდ ხუთი რუსული გემი დააღწევს თავს – ორი სახაზო გემი, ორი შეჯავშნული სანაპირო დაცვის გემი და ერთიც – კრეისერი.[402]

28 მაისის გამთენიისას იაპონელთა ძირითადი ძალები ამ გემებსაც აღმოაჩენენ და ალყას შემოარტყამენ მათ. მდგომარეობა მართლაც გამოუვალია და რუსებიც ბრძოლას წყვეტენ. ადმირალი ნებოგატოვი ნებდება. იაპონელებს თითქმის ექვსი ათასი რუსი ტყვე უვარდებათ ხელში.[403] იაპონელთა ფლოტის საბრძოლო დანაკარგები შეუდარებლად მცირეა – მხოლოდ სამი ნაღმოსანი და ასათი მეზღვაური.[404]

---

401 ძლიერად დაზიანებული რუსული ესკადრის საფლაგმანო ხომალდის „თავად სუვოროვის" ბორტიდან თავში დაჭრილი ადმირალ როჟესტვენსკის გადაყვანა გაჭირვებით ხერხდება ნაღმოსან „ბედოვის" ბორტზე. რუსული ესკადრა კი ბრძოლის დაწყებიდან 20 წუთში მართვას კარგავს. მეორე დღეს რუსი ადმირალი დანებდება და ტყვედ ჩაბარდება იაპონელებს. რუსული საესკადრო ნაღმოსანი კი, იაპონური ფლოტის საკუთრება გახდება.

402 ამ გემებს შორის იყო რუსული ლეგენდარული კრეისერი „ავრორაც". ამ გემებმა თავს ბრძოლიდან გაქცევით უშველეს. მათ კურსი მანილასაკენ აიღეს, რომელიც იმ დროისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. 20 მაისს, მანილას პორტში შესვლის შემდეგ რუსული გემები ინტერნირებულ იქნენ ამერიკის ხელისუფლების მიერ, რომლებიც 1906 წლის მარტში ბალტიკაში დაბრუნდნენ.

403 რუსულმა ესკადრამ მოკლულებისა და დამხრჩვალი ეკიპაჟების სახით დაკარგა 209 ოფიცერი, 75 მიჩმანი და 4761 მატროსი, სულ – 5045 კაცი. დაიჭრა 172 ოფიცერი, 13 მიჩმანი და 178 მატროსი. იაპონელთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი 7282 კაცი, მათ შორის ორი ადმირალი, რუსული ესკადრის სარდლის, ვიცე-ადმირალ ზინობი როჟესტვენსკის ჩათვლით. ინტერნირებულ გემებზე დარჩა 2110 კაცი. ცუშიმას ბრძოლის წინ რუსული ესკადრის მოლიანი პირადი შემადგენლობა 16170 კაცს შეადგენდა, აქედან მხოლოდ 870-მა მიაღწია ვლადივოსტოკს. ბრძოლაში მონაწილე 38 რუსული გემიდან იაპონელებმა ჩაძირეს 21 ხომალდი (7 ჯავშნოსანი, 3 შეჯავშნული კრეისერი, 2 კრეისერი, 1 დამხმარე კრეისერი, 5 საესკადრო ნაღმოსანი, 3 სატრანსპორტო ხომალდი. იაპონელებს

ცუშიმას ბრძოლა დასრულდა. მისი შედეგები რუსებისათვის დამანგრეველი იყო. იაპონელებმა რუსული ფლოტი გაანადგურეს. ეს იყო საზღვაო ბრძოლების ისტორიაში მოპოვებული ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება, რომლის განჭვრეტაც წინასწარ იყო შესაძლებელი რუსების მხრიდან დაშვებული უმძიმესი შეცდომების, არასწორი შეფასებებისა და გაუმართლებელი გადწყვეტილებების მთელი ჯაჭვის გათვალისწინებით.[405]

ცუშიმას კატასტროფამ დამღუპველად იმოქმედა მთლიანად რუსი ხალხისა და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის სულისკვეთებაზე. ზაფხულში ოდესაში რუს მატროსთა ბუნტმა იფეთქა, უპირველეს ყოვლისა, ჯავშნოსან კრეისერ „პოტიომკინზე“. მალე ეს ბუნტი რევოლუციაში გადაიზარდა.

ცუშიმას ბრძოლის დასრულებით რუსეთ-იაპონიის ომიც დასრულდა. რუსეთი დამარცხდა.[406] საბოლოოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტის[407] შუამავლობით, 1905 წლის ოქტომბერში დაპირისპირებულმა მხარეებმა პორტსმუტში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. რუსეთმა აღიარა იაპონიის ინტერესები კორეასა და წყნარი ოკეანს სანაპიროებზე. გარდა ამისა, უარი თქვა ჩრდილო განედის 50 გრადუსის სამხრეთით მდებარე კუნძულ სახალინის ნაწილზე. ხოლო იაპონიამ თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრი აღასრულა. მან მიაღწია მძლავრი იმპერიის დონეს და შორეულ აღმოსავლეთში გაბატონებულ სახელმწიფოდ იქცა.[408]

დანებდა ან ალაფად იქნა მოპოვებული 4 ჯავშნოსანი, 1 საესკადრო ნაღმოსანი, 2 გემი-ჰოსპიტალი. ინტერნირებულ იქნა 6 ხომალდი). საერთო ჯამში, ცუშიმას ბრძოლა რუსული საიმპერატორო ფლოტის განადგურებითა და სრული კატასტროფით დასრულდა.

404 იაპონელთა მხრიდან ბრძოლაში დაიღუპა 116 და დაიჭრა 538 კაცი. იაპონელებმა სულ სამი ხომალდი დაკარგეს – საესკადრო ნაღმოსნები №34, №35 და №69.

405 ცუშიმას ბრძოლაში რუსული ფლოტის გამანადგურებელი მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესკადრის გემების გადაადგილების დაბალი სიჩქარე იყო, სულ 9 კვანძი. ასევე, კოლონის კილვატერული წყობის მოუქნელობა. ტოგომ კარგად ისარგებლა ამით და ბრძოლის სწორი ტაქტიკა აირჩია. მან მოხერხებულად განახორციელა „T-სებრი კვეთა" რუსული კოლონის თავში და ნელ-ნელა, მიყოლებით გაანადგურა რუსული გემები თავისი სახაზო გემებისა და ნაღმოსნების კონცენტრირებული ცეცხლით. რუსების მარცხის ერთ-ერთი მიზეზი მათი საბრძოლო მასალის მაღალი ტენიანობაც იყო, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საპასუხო ცეცხლის ეფექტურობა.

406 რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხებამ რუსეთი დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტიდან ობიექტად გადააქცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საგარეო პოლიტიკა უფრო დამოკიდებული გახდა. რუსეთის, როგორც სამხედრო იმპერიის პრესტიჟი დაკარგულ იქნა. იმპერია, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მესამე ფლოტს ფლობდა და თითქმის მთლიანად დაკარგა იგი, მეორეხარისხოვან საზღვაო სახელმწიფოდ იქცა, ისევე, როგორც თავის დროზე ავსტრო-უნგრეთი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თვალში რუსეთის პრესტიჟის დაცემამ მსოფლიოში ძალთა ბალანსი დაარღვია, რაც მომავალი I მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზთაგანი გახდა. ცუშიმას ბრძოლასა და მთლიანად რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებამ და უზარმაზარმა მატერიალურმა დანაკარგებმა, არანაკლებ 500 მილიონი რუბლისა, დიდი გავლენა იქონია რუსეთის იმპერიაში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებზეც, რაც პირველ რიგში რომანოვების დინასტიის დისკრედიტაციასა და რევოლუციური მოძრაობის ზრდაში გამოიხატა.

407 თეოდორ (თედი) რუზველტი (ინგლ. Theodore Roosevelt) (1858-1919წ.წ.) – ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების 25-ე ვიცე-პრეზიდენტი და 26-ე პრეზიდენტი 1901-1909 წლებში. რესპუბლიკური პარტიის წევრი. 1906 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. 1895 წელს ქალაქ ნიუ-იორკის პოლიციის შეფი. 1897 წლიდან პრეზიდენტ უილიამ მაკ-კინლის ადმინისტრაციაში იყო სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოადგილე. 1898 წლის ამერიკის შეერთებული შტატები-ესპანეთის ომის აქტიური მონაწილე, კუბაში მოქმედი საკავალერიო პოლკი „მამაცი მხედრების" მეთაური, არმიის პოლკოვნიკი. 1899-1900 წლებში ეკავა ნიუ-იორკის გუბერნატორის პოსტი.

408 იაპონიისა და ყველა აზიელი ხალხებისათვის ეს ომი ახალი ეპოქის პირველი დიდი გამარჯვება იყო, სადაც სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე დაყრდნობით აზიურმა სახელმწიფომ „ევროპული ქვეყანა" დაამარცხა. ცუშიმას გამარჯვებამ იაპონია მსოფლიოში მეექვსე საზღვაო სახელმწიფოდ აქცია. ამ საკითხში არც თუ უკანასკნელი როლი ალაფად მოპოვებულმა რუსული ფლოტის გემებმაც ითამაშეს. იაპონიის წვდომამ კორეისა და ჩინეთის რესურსებზე კი, მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი გადაქცევა განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ამავე დროს, იაპონური სამხედრო ელიტის გონებაში მუსირება დაიწყო იმ აზრმა, რომ მძლავრი ფლოტის ქონის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ფლოტების დამარცხება და წყნარი ოკეანის აუზის პირველხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა. იმპერატორ მუცუხიტო მეიძის მმართველობის პერიოდში იაპონია დამსახურებულად ტკბებოდა თავისი მატროსების სიმამაცისა და მეთაურთა ბრძნული სარდლობის ნაყოფით, მაგრამ ნელ-ნელა იგი იმ გზაზე დგებოდა, რამაც ამომავალი მზის ქვეყანა II მსოფლიო ომში მიღწეულ პირველ გამარჯვებებამდე და საბოლოოდ სრულ დამარცხებამდე მიიყვანა.

ნიკოლოზ II
(1868-1918)

მუცუხიტო მეიძი
(1852-1912)

თეოდორ რუზველტი
(1858-1919)

ზინობი როჟესტვენსკი
(1848-1909)

ნიკოლაი ნებოგატოვი
(1849-1922)

ჰაიჰაჩირო ტოგო
(1848-1934)

რუსეთის წყნარი ოკეანის II ესკადრის გემები პორტ-არტურის ყურეში რეიდზე





პორტ-არტურის ყურეში რეიდზე მდგარი რუსული გემების
დაბომბვა იაპონელთა არტილერიის მიერ





რუსული ფლოტის ფლაგმანი, საესკადრო ჯავშნოსანი „თავადი სუვოროვი"



იაპონური ფლოტის ფლაგმანი, პრედრედნოუტის კლასის საბრძოლო ხომალდი „მიკასა”



ვიცე-ადმირალ ნებოგატოვის ესკადრის ფლაგმანი, ჯავშნოსანი „იმპერატორი ნიკოლაი I”



რუსული ესკადრა კილვატერულ წყობაში



ჯავშნოსანი „საგამი" იაპონური ესკადრის სათავეში



კრეისერი „კასუგა”

კრეისერ „ავრორას” მატროსები ქვანახშირით დატვირთვის სამუშაოზე შესვენების დროს

ჯავშნოსანი „ორიოლი". პირველი რუსული ხომალდი,
რომელიც ცუშიმას ბრძოლაში ჩაება



კრეისერი „ავრორა"



რუსული ესკადრა ცუშიმას (კორეის) ყურის მისადგომებთან



რუსული და იაპონური ფლოტის გემების ცურვის
მარშრუტები ცუშიმას ბრძოლის წინ

ადმირალი ტოგო „მიკასას" ბორტზე ცუშიმას ბრძოლის წინ.
ფლაგშტოკზე აღმართულია ნიშანი "Z"

ნიშანი "Z" – „სამშობლოს მომავალი ან დაღუპვა დამოკიდებულია ამ ბრძოლაზე.
დაე, თვითოეულმა შეძლებისდაგვარად მოიხადოს ვალი."

ცუშიმას ბრძოლის საერთო პანორამული ხედი

ЦУСИМСКОЕ МОРСКОЕ СРАЖЕНИЕ 14–15 (27–28) МАЯ 1905 г.





„ლურჯები” „წითლების” მიმართ ატარებენ საზღვაო ბრძოლის კლასიკურ მანევრს „T-სებრი კვეთა” – ”Crossing the T”

რუსული საესკადრო ნაღმოსანი „სტერეგუშჩი” უტევს იაპონურ ჯავშნოსან „ფუძის”



იაპონელთა მიერ ცუშიმას ბრძოლაში ჩაძირული პირველი რუსული გემი, კრეისერი „ოსლიაბია"

კრეისერი „ვარიაგი"



იაპონელთა მიერ განადგურებული რუსული საესკადრო ჯავშნოსანი „ორიოლი”



БРОНЕНОСЕЦЪ «ЦЕСАРЕВИЧЪ» ПОСЛѢ БОЯ ВЪ ЦЗИНДАО.

ჯავშნოსანი „ცესარევიჩი” ბრძოლის შემდეგ



ჯავშნოსანი „ნავარინი” – პირველი „ნორმალური” რუსული ჯავშნოსანი. ჰქონდა კლასიკური მთავარი კალიბრის ოთხქვემეხიანი მძიმე შეიარაღება (305მმ) წინა გემბანსა და კიჩოზე განლაგებულ ორ კოშკურაზე. გარდა ამისა, საშუალო კალიბრის (152მმ) ბატარეები ცენტრალურ ნაწილში. წყალში ჩაიშვა 1881 წელს და წარმოადგენდა ბალტიის ფლოტის რიგით მეოთხე ჯავშნოსანს. მისი აშენებისას გათვალისწინებული იქნა როგორც რუსული, ასევე ევროპული, და კერძოდ, ბრიტანული გემთმშენებლობის მოწინავე გამოცდილება. მის პროტოტიპს წარმოადგენდა იმ დროისათვის უახლესი „ტრაფალგარის” ტიპის ჯავშნოსანი.



ესეც ჯავშნოსანი „ნავარინია". ცუშიმას ბრძოლაში მისი ეკიპაჟის 681 წევრიდან მხოლოდ 3 კაცი გადარჩა



ნაღმოსანი „ბედოვი". იაპონელებს მის ბორტზე გადასული რუსული ფლოტის სარდალი, ადმირალი როჟესტვენსკი ჩაუვარდა ტყვედ

რუსული მსუბუქი კრეისერი „იზუმრუდი” ცუშიმას ბრძოლის შემდეგ



რუსული კრეისერი „ოლეგი” საბრძოლო დაზიანებებით

რუსული დელეგაცია პორტსმუტში. სხედან ს. ვიტე და ბარონი რ. როზენი

პორტსმუტის სამშვიდობო მოლაპარაკებები. რუსული მხარე (მარცხნივ): კოროსტოვეცი, ნაბოკოვი, ვიტე, როზენი, პლანსონი. იაპონური მხარე (მარჯვნივ): ადაჩი, ოჩიეი, კომურა, ტაკანა, სატო

ისტორიულ წყაროებში სამხედრო მოქმედებების შესახებ ასახული მცდარი წარმოდგენები

ცნობილი ფაქტია და ახალს არაფერს ვიტყვით თუ აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ისტორიის სფეროში არსებული მთელი რიგი შემთხვევები და მოვლენები წყაროებში არასრულად და უფრო მეტიც, დამახინჯებულად არის მოთხრობილი. ამ ჩანაწერების სიმცდარე მხოლოდ გვიანდელმა მეცნიერულმა კვლევებმა გამოააშკარავა. ასევე არსებობს ისეთი შემთხვევები, რომელთა შესახებაც მოსახლეობის ცნობიერებაში ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებით შეუსაბამო წარმოდგენებია დამკვიდრებული. ფაქტი ისაა, რომ სამხედრო ისტორიის სფეროში ფართოდ გავრცელებული შეცდომების გარკვეული ნაწილი დღესაც მყარად აგრძელებს არსებობას. რამდენიმე ასეთ მაგალითზე გვექნება სწორედ ახლა საუბარი.

პირველი – ძვ.წ. 480 წლის თერმოპილეს ბრძოლასა და ვიწრო გასასვლელში სპარტელი მეომრების დაღუპვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე დღეისათვის არასწორი მოსაზრებებია გავრცელებული. ანტიკური პოეზიის გავლენით ხალხს დღესაც სჯერა, რომ სპარტელები, ამ ბრძოლის გმირი ბერძენი მეომრები მხოლოდ სამასნი არიან, „ემორჩილებიან იმას, რასაც კანონი ბრძანებს“, იხოცებიან სპარსელ ჯარისკაცებთან უთანასწორო ბრძოლაში და უმიზნოდ იღებენ მსხვერპლს ათენისთვის. ფაქტობრივად კი, ამ ბრძოლაში ბერძენთა მხრიდან გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის მეომარი მონაწილეობდა, ვიდრე ეს დღევანდელ ისტორიოგრაფიაში არის მიღებული. კერძოდ, შვიდასი თესპიელი და ოთხასი თებელი. გარდა ამისა, სპარტელთა თითოეულ მეომარს თან ახლდა შვიდი მონა, ასე რომ მეომართა რაოდენობას ემატება კიდევ ორი ათას ასი სახელმწიფო მონა.

საერთო ჯამში, თერმოპილესთან ბრძოლაში ოთხი ათასი ადამიანი დაიღუპა და არა მხოლოდ სამასი სპარტელი. პოეზიისა და სასცენო ხელოვნების „აღმოჩენაა“ მოღალატე ეფიალტეც. მთაში მიმავალი ბილიკის არსებობა, რომლის საშუალებითაც, ჰეროდოტეს გადმოცემით, სპარსელებმა გვერდი აუარეს ვიწრო გასასვლელის მცველებს, ცნობილი იყო ასევე სპარსელების მხარეს მებრძოლი მალოსელებისა და თესალიელებისთვისაც. ასე რომ, „საიდუმლო” ბილიკის აღმოჩენისა და მისი გამოყენების საქმეში ქსერქსეს სულ არ სჭირდებოდა გამცემის დახმარება. მისთვის ისედაც ყველაფერი ცნობილი იყო.

მეორე – ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ პტოლემაიოსთა დინასტიის მიერ დაარსებული ცნობილი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში, რომელიც დაახლოებით ოთხასი ათას ხელნაწერს მოიცავდა, ხანძრის შედეგად განადგურდა. არსებობს არაერთი ვარაუდი იმის შესახებ, რომ არაბებმა ჩაიდინეს ეს სამარცხვინო საქმე, როდესაც 642 წელს ამრუს[409] მეთაურობით მათ ალექსანდრია დაიპყრეს. ეს ამბავი შუა საუკუნეების ორმა მწერალმა აღწერა. არასწორი ცნობების მიხედვით, დანაშაული არაბებს ბრალდებათ. თითქოს ხალიფა ომარს[410] გამოუცხადებია, რომ წიგნები უსარგებლოა, თუკი მათი შინაარსი ყურანს არ

[409] ამრუ იბნ-ასი – აბუ აბდულაჰ ამრ იბნ ალ-ას ალ-ყურაში (არაბ. العاص بن عمرو) (573-664წ.წ.) – VII საუკუნის ცნობილი არაბი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. თავდაპირველად მუჰამედ წინასწარმეტყველის სწავლების დიდი მოწინააღმდეგ, შემდეგ კი მისი მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული და დაჯერებული მიმდევარი. ამრუ მექის ყურაიშიტების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერი იყო, რომელიც მუსლიმების წინააღმდეგ მოქმედებდა. მუსლიმთა მექადან მედინაში გადასახლების შემდეგ მონაწილეობდა მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბადრის, უხუდის და რვას ბრძოლებში. საბოლოოდ, 629 წელს მიიღო ისლამი.

[410] ხალიფა ომარი (ომარ I), აბუ ჰაფეზ უმარ იბნ ალ-ჰატაბ ალ-ადავი (არაბ. العدوي الخطاب بن عمر حفص أبو القرشي) (585-644წ.წ.) – მუჰამედ წინასწარმეტყველის შემდეგ არაბთა სახალიფოს მეორე ხალიფა 634-644

ემთხვევაო. და თუ არ ემთხვევა, მაშინ საზიანოა და შესაბამისად, უნდა განადგურდესო.[411] ამის საფუძველზე, ქალაქის ოთხი ათასი აბაზანის გასაცხელებლად ბიბლიოთეკა ვითომდაც ექვსი თვის განმავლობაში ამარაგებდა ქალაქში დანთებულ კოცონებს წიგნებით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სინამდვილეში ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკა რომაელებმა, და კერძოდ, იულიუს კეისრის ჯარმა გაანადგურა, რომელმაც ქალაქის დაპყრობისთვის გამართული ბრძოლის დროს ხანძარი გაუჩინა ნავსადგურის ნაგებობებსა და ბიბლიოთეკას.[412]

მესამე – საუკუნეების განმავლობაში გერმანიის ქალაქ ნაუმბურგში, 28 ივლისს მოედანზე ბავშვები იკრიბებიან, რათა შეძახილებით აღნიშნონ ალუბლის დღესასწაული და იყვირონ: „ვიქტორია, ჰუსიტების[413] ომი!“[414] 1801 წელს გერმანელი პოეტი ავგუსტ ფონ კოცებუ[415] მოგზაურობისას მონაწილეობას იღებს ზაფხულის ამ დღესასწაულში. ამის შემდეგ იგი წერს პიესას „ჰუსიტები, 1432 წელს ნაუმბურგთან“, რომელსაც მუსიკალურად ააჟღერებს კარლ მარია ფონ ვებერი.[416] 1832 წელს იქმნება მსგავსი სახელწოდების ხალხური სიმღერა, რომელსაც არსებითად თავისი წვლილი შეაქვს შეცდომის კიდევ უფრო გავრცელებაში და რომლიდანაც „ვიგებთ“, რომ თურმე ჰუსიტებს დაუპყრიათ ქალაქი ნაუმბურგი. ეს შემთხვევაც ისტორიის მორიგი გაყალბებაა.

სინამდვილეში ჰუსიტები ნაუმბურგში არასოდეს ყოფილან, ქალაქი ალყაში არ მოუქცევიათ და არც ბავშვების თხოვნის გამო არ დაუხევიათ უკან. მართალია, 1432 წელს ჰუსიტებმა გაახშირეს ყაჩაღური თავდასხმები, მაგრამ მხოლოდ ბრანდენბურგის ბაზარზე. ნაუმბურგის ალუბლის დღესასწაული კი სასტიკი მოწინააღმდეგისგან

წლებში. არაბული სამყაროს გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მუჰამედის თანამოაზრე და თანამებრძოლი. თანატომელთაგან გამოირჩეოდა დიდი სიმაღლით, ლამაზი გარეგნობითა და ღია ფერის სახის კანით. ატარებდა გრძელ წვერ-ულვაშს, რომელსაც ინით იღებავდა. იყო მკაცრი, დაუნდობელი და საოცრად ენერგიული კაცი. პირადად მეთაურობდა არაბთა საბრძოლო რაზმებს, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და ისლამისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. დამსახურებულად მოიპოვა ახალგაზრდა ისლამური სახელმწიფოსა და ისლამური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის სტატუსი.

411 ამავე ლეგენდის თანახმად, ხალიფა ომარს დაუმატებია: „და თუ ამ წიგნებში იმაზეა საუბარი, რასაც ყურანი გვასწავლის, მაშინ ისინი უსარგებლოა. ამიტომ, ორივე შემთხვევაში ეს წიგნები უნდა განადგურდესო”.

412 ეს საკითხი ცალსახად გადაწყვეტილი და ბოლომდე ნათელი არ არის. ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკის განადგურებას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა ეპოქებსა და პერსონებს უკავშირებენ. ასე მაგალითად, პლუტარქე იულიუს კეისარს ადანაშაულებს, ედუარდ გიბონი – ქრისტიანებს, გრიგოლ ბარ-ებრეი – მუსლიმებს, თანამედროვე ბრიტანული ენციკლოპედიის ავტორები კი – ლუციუს დომიციუს ავრელიანუსს, ახ.წ. 270-275 წლებში რომის იმპერატორს.

413 ჰუსიტები (ჩეხ. Fusité) – XV საუკუნის დასაწყისში ჩეხეთში დაწყებული რეფორმატორული რელიგიური მოძრაობა, რომლის დასახელებაც დაკავშირებულია მისი ლიდერის, იან ჰუსის სახელთან. ამ მოძრაობამ 1419 წლიდან რევოლუციური ფორმები მიიღო.

414 გადმოცემის თანახმად, ქალაქ ნაუმბურგში ყოველი წლის 27 ივნისს ალუბლის დღეს აღნიშნავენ. ეს დღესასწაული, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მხოლოდ ნაუმბურგში აღინიშნება, ქალაქის ალყაში მოქცევის ძველ გადმოცემას უკავშირდება: „1432 წელს ჰუსიტებმა, რომელთაც ანდრია პროკოფი ხელმძღვანელობდა, ალყაში მოაქციეს ქალაქი ნაუმბურგი. – რატომ მისცა თქვენმა ეპისკოპოსმა ხმა თავად იან ჰუსს?! – ასეთი ბრალდებით მიმართეს ჰუსიტებმა ქალაქის მესვეურთ. ქალაქის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ქალაქის სიმაგრის კედლებს მიღმა თეთრებში ჩაცმული ბავშვები გამოიყვანა და შეწყალება თხოვა მომხდურთ. პროკოფი ალუბლებით გაუმასპინძლდა ბავშვებს, ქალაქის ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა, თან თავისი ჯარიც წაიყვანა. ამ დღის შემდეგ ნაუმბურგში ყოველი წლის 27 ივნისს ჰუსიტური ალუბლის დღე (Hussiten-Kirschenfest) აღინიშნება. უხსოვარი დროიდან ამ დღეს ეწყობა გრანდიოზული მსვლელობა, რომელსაც რაინდის აღჭურვილობაში ჩაცმული ბავშვები მიუძღვიან წინ. მათ ალუბლით სავსე კალათები მიაქვთ თან და ტროტუარზე მყოფ ხალხს ურიგებენ.

415 ავგუსტ ფონ კოცებუ (გერმ. August Friedrich Ferdinand von Kotzebue) (1761-1819წ.წ.) – დიდი გერმანელი დრამატურგი და რომანისტი, ბერლინის გაზეთების გამომცემელი და პუბლიცისტი. შემდეგ ვენის სამეფო თეატრის დირექტორი, სადაც მრავალი დრამა დაწერა, რომლებიც თავისი სიუჟეტითა და სცენურობით დიდ მოწონებას იმსახურებდა უბრალო ხალხში. თავის დროზე ავგუსტ ფონ კოცებუ იმდენად წარმატებული იყო, რომ იგი თავისი პოპულარობით გოეთესა და შილერსაც კი სჯობნიდა.

416 კარლ მარია ფონ ვებერი (გერ. Carl Maria August von Weber) (1786-1826წ.წ.) – გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და მუსიკალური მწერალი, გერმანული რომანტიული ოპერის დამარსებელი. რიჰარდ ვაგნერის წინამორბედი.

გადარჩენას უნდა უმადლოდეს სხვა შემთხვევას, სახელდობრ, შვედი გენერლის, ჰანს ქრისტოფ ფონ კონიგსმარკის მიერ ქალაქისათვის შემორტყმული ალყის წარმატებით მოგერიებას 1642 წელს.[417]

მეოთხე – პოეტებს მიეწერება ასევე ოცდაათწლიანი ომის შესახებ სხვა შეცდომების გავრცელებაც. ძალიან ბევრ ადამიანს დღემდე სჯერა, რომ გრაფმა ტილიმ 1631 წლის 20 მაისს, მაგდებურგის აღების დროს ქალაქი დაანგრია და გაძარცვა. ესეც მცდარი მოსაზრებაა. ამ დანაშაულში გარკვეული წილი ფრიდრიხ შილერს მიუძღვის, რომელიც ტილის ათქმევინებს, თითქოს ოფიცრები მას სთხოვენ ძარცვა-გლეჯვისა და ნგრევის შეჩერებას: „დადგება დრო, როცა მე გონს მოვეგები. ჯარისკაცს უნდა გააჩნდეს რაღაც მოტივი მოქმედებისა და უკან დახევისათვის.“

სინამდვილეში ტილის არანაირი ინტერესი არ ამოძრავებდა საიმისოდ, რომ ქალაქი დაენგრია. ქალაქის მესვეურებმა შესთავაზეს მას ხელუხლებელი დაეტოვებინა ქალაქი და თავის საყრდენ პუნქტად გამოეყენებინა იგი შემდგომი სამხედრო ოპერაციებისთვის. გრაფი ტილიც ამ აზრისაა. იგი ბრძანებს მშიერი ხალხისათვის პურის დარიგებას, როდესაც ცხენის ჭენებით შემოუვლის გვამებით დაფარულ ქუჩებს. უფრო მეტიც, გრაფი ტილი საყვედურობს მოწინააღმდეგის დატყვევებულ ჯარისკაცებს იმისათვის, რომ მათ ცუდად დაიცვეს ქალაქი.

რეალობაში გრაფ ტილის არ უბრძანებია არც ქალაქ მაგდებურგის დანგრევა და არც მისი ძარცვა-გლეჯა. მას არც სხვისთვის მიუცია ამაზე ნებართვა.

მეხუთე – ფრიდრიხ დიდის[418] არმიასა და მის თანამედროვეთა სამხედრო მოღვაწეობაზე მოსახლეობის ცნობიერებაში დღესაც არასწორი წარმოდგენაა გაბატონებული. პრუსიელი ჯარისკაცი ითვლება დისციპლინირებულ, მოვალეობის გრძნობით აღსავსე და უფროსებისადმი მორჩილი ხელქვეითის უმაღლეს გამოხატულებად, რომელიც თავისი მეთაურისა და მეფის ერთგულია და ბრძოლაში მთელი მონდომებითა და შთაგონებით ერთვება. მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. პრუსიის არმიაში დამყარებული გასაოცარი დისციპლინა ძირითადად ჯოხითა და შპიცრუტენით[419] დასჯის შიშით აიხსნებოდა. დეზერტირობის შემთხვევებმა საოცრად იმატა, განსაკუთრებით, 1756-1763 წლების პერიოდში.[420] ფრიდრიხ დიდის არმიაში დეზერტირობის შედეგად სახელგანთქმულმა პოლკმა საერთო ჯამში, 1525 ჯარისკაცი, ოცდათორმეტი მუსიკოსი, ოთხმოცდაცამეტი უმცროსი ოფიცერი და სამი ოფიცერი დაკარგა. გარდა ამისა, ასოცდაათმა ჯარისკაცმა მოიკლა თავი, ოცდაცხრა კი, სიკვდილით დასაჯეს. არც ისინი გამოირჩეოდნენ დიდი გამბედაობითა და სიმამაცით. მაგალითად, 1757 წელს პრაღის ბრძოლაში ფრიდრიხ დიდის ძალიან ბევრი ოფიცერი და ასევე ერთი ადიუტანტი ბრძოლის დროს გორაკს უკან დაიმალა.

1760 წელს ტორგაუსთან გამართულ ბრძოლაში პრუსიელთა ჯარმა ბრძოლაში კი არ მიიღო მონაწილეობა, არამედ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. აქ იმალებოდნენ ისინი რამდენიმე ავსტრიელ ჯარისკაცთან ერთად, რომლებმაც ასევე გაქცევით უშველეს თავს და მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც ბრძოლა დამთავრდა.

---

[417] აქ ე.წ. „ოცდაათწლიანი ომის” სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ პერიპეტიებზეა საუბარი, რომელიც 1618-1648 წლებში მიმდინარეობდა.

[418] აქ პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ჰოჰენცოლერნზეა საუბარი.

[419] ტირიფის წვრილი წკნელებისაგან დაწნული გრძელი და მოქნილი მათრახი, რომელიც გამოიყენებოდა ურჩების დასასჯელად XVII-XIX საუკუნეების ევროპაში.

[420] აქ საუბარი ე.წ. „შვიდწლიან ომს” ეხება, რომელიც XVIII საუკუნის მსოფლიოსა და ახალი ერის უდიდეს სამხედრო კონფლიქტს წარმოადგენდა.

მეექვსე – პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ფართოდ გავრცელდა „ზურგში დანის ჩარტყმის“ თეზისი. ბევრ გერმანელს სჯეროდათ პროპაგანდისა, რის მიხედვითაც თითქოსდა დაუმარცხებელი გერმანიის არმიის წინააღმდეგობის ძალა დასუსტდა არა ფრონტებზე გარეშე მტრებთან ბრძოლის გამო, არამედ 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად. „ციურიხელების ახალი გაზეთის“ ლონდონელი კორესპონდენტი 1918 წლის 17 დეკემბერს წერდა: „რაც შეეხება გერმანიის არმიას, მის მდგომარეობის შესახებ არსებული საყოველთაო თვალსაზრისის ერთ სიტყვაში გაერთიანებაა შესაძლებელი: მას სამოქალაქო მოსახლეობამ „დანა ჩაარტყა ზურგში.“ მემარცხენე სოციალისტების მიმართ წაყენებული ეს ბრალდება მოხერხებულ იარაღად იქცა მემარჯვენე პარტიათა იდეოლოგებისათვის. მაგრამ ეს თეზისი სრულიად მცდარი აღმოჩნდა და იგი უარყო კიდეც საგამოძიებო კომისიამ 1925 წელს.

გერმანიის პირველ მსოფლიო ომში სამხედრო მარცხის მიზეზები გაცილებით რთული და მრავალწახნაგოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, და იგი დადგენილია. მიუხედავად ამისა, „ზურგში დანის ჩარტყმის“ თეზისი ცოცხალი რჩებოდა მეორე მსოფლიო ომამდელი გერმანული მოსახლეობის ცნობიერებაში.

მეშვიდე – ასევე არსებობას აგრძელებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელებული მოსაზრება, რომ 1940 წლის მაისის ბოლოს ჰიტლერმა შეგნებულად გაუშვა დიუნკერკთან გარემოცული ინგლისელთა ჯარის ბირთვი, რათა ჩერჩილი დათმობებზე წასულიყო და ზავი დაედო გერმანიასთან. წლების განმავლობაში რამდენიმე გენერალი და სამხედრო ისტორიკოსი ამას დაჟინებით ამტკიცებდნენ კიდეც. დღეისათვის ამ ომისშემდგომ ლეგენდას უკვე უარყოფენ. ვერმახტის გადაწყვეტილება ის იყო, რომ დიუნკერკის ალყაში მოქცეული ბრიტანული და ფრანგული შენაერთები უნდა განადგურებულიყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებული გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი გაცემული ბრძანებები ნათლად და ცალსახად ადასტურებენ მათი განადგურების ჩანაფიქრს.

საქმე იმაშია, რომ გერინგის[421] მფრინავებმა უბრალოდ ვერ მოახერხეს ამ ბრძანებების შესრულება, ესაა და ეს. ასე, რომ დიუნკერკს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა ჰიტლერის მიერ გამოვლენილი რაინდული ჟესტისა.

მერვე – საერთოდ, მეორე მსოფლიო ომი და მაშინ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები თუ პროცესები ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმისა და ცდომილების სათავე გახდა. ეს უპირველეს ყოვლისა, გერმანელ ხალხს და მის მოსახლეობის ცნობიერებაში გაჩენილ წარმოდგენებსა თუ ლეგენდებს შეეხება. ეს მოსაზრება, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ თითქოს ჰიტლერის გერმანია Wunderwaffe–ს (საოცარი იარაღი) წარმოებისას ატომური ბომბის შექმნის აუცილებლობის წინაშე დადგა. ცნობილი ფაქტია,

---

[421] ჰერმან ვილჰელმ გერინგი (გერმ. Hermann Wilhelm Göring) (1893-1946წ.წ.) – ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1922 წლიდან და მისი ერთ-ერთი ლიდერი. ადოლფ ჰიტლერის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ავიაციის კაპიტანი, მფრინავი-ასი. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ 1923 წლის 9 ნოემბერს მიუნხენში მოწყობილი არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. რაიხსტაგის თავმჯდომარე 1932 წლის 30 აგვისტოდან. იმპერიის ავიაციის რაიხსმინისტრი, მესამე რაიხის რაიხსმარშალი, გერმანიის საიდუმლო სახელმწიფო პოლიციის (გესტაპო) შემქმნელი, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მოიერიშეთა ჯარების გრუპენფიურერი. ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ფიგურა, იმპერიის „მეორე კაცი”. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გასამართლდა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ, ცნობილი იქნა ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავედ და მიესაჯა სიკვდილი, მაგრამ სასჯელის აღსრულებამდე ერთი დღით ადრე, 1946 წლის 15 ოქტომბერს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

რომ გერმანელმა მეცნიერებმა ოტო ჰანმა და ფრიც შტრასმანმა 1938 წელს თეორიულად დაამტკიცეს ატომბირთვის გაყოფის შესაძლებლობა და ამით საფუძველი ჩაუყარეს გერმანიის ბირთვული კვლევების პროგრამის განვითარებას, რომელსაც 1941 წლამდე დახმარებას უწევდა ქვეითი ჯარის საარტილერიო-ტექნიკური მომარაგების განყოფილება. მაგრამ ჰიტლერმა ეს პროგრამა არ მიიღო, რადგან ძალიან ეჩქარებოდა. მას სწრაფი წარმატება სჭირდებოდა და ამიტომ უფრო რეალურ მიმართულებას, სარაკეტო შეიარაღების განვითარებას მიანიჭა უპირატესობა. ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, გერმანიაში ბირთვული საწვავის სამრეწველო წესით დამუშავება არ დაწყებულა, ატომური ბომბის შექმნა კი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. გერმანელი მეცნიერების განკარგულებაში 1942 წელს საკმარისი რაოდენობის მძიმე წყალი[422] იყო, ასე რომ, შესაძლებელი იყო ბირთვული რეაქტორის შექმნა და მისი მოქმედებაში მოყვანა. მაგრამ მხოლოდ საწარმოო სიმძლავრეები და ფინანსური შესაძლებლობა არ იყო საკმარისი ატომური ბომბის შესაქმენლად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამისათვის სამასი ათასამდე მეცნიერი, ინჟინერი და სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტი ჩართო ამ სამუშაოებში. პროექტის დასაფინანსებლად კი, დაახლოებით ორ მილიონი დოლარი გამოყო.[423] ასეთ გიგანტურ რესურსებს გერმანიის იმპერია არ ფლობდა. ასე რომ, იმდრონდელი გერმანიისათვის ფიქრიც კი ზედმეტი იყო ატომური ბომბის შექმნასა და გამოყენებაზე.

მეცხრე – ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ გერმანიის ელიტარული Waffen-SS-ის შენაერთები ყოველთვის დაკომპლექტებული იყო ფანატიკოსი და გამორჩეული ჯარისკაცებით, მამაცი და სასტიკი მებრძოლებით, რომლებიც კარგი მომზადებით, მსოფლმხედველობრივი რწმენით, მოწესრიგებული მართვის სტილითა და პირველი კლასის შეიარაღებით ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდნენ ფრონტზე. ძირითადში ასეც იყო, და ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევების ჩამოთვლაც, სადაც ესესელთა მიერ გამოვლენილი თვისებები სულაც არ შეესაბამებოდა ზემოთ აღწერილ მათ დახასიათებას. 1941 წლის 2 ივლისს, ფინეთის ფრონტზე, სს-ის „ჩრდილოეთის“ საბრძოლო ჯგუფში ხდება ინციდენტი, რომელიც სამხედრო ისტორიაში „სალას ფიასკოს“ სახელით შევიდა. ბრძოლაში ჩართულ სს-ის შენაერთს, ფინეთისა და გერმანიის საარმიო დივიზიებთან ერთად ფინეთის ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა დაეკავებინა რუსეთის საყრდენი პუნქტი ქალაქ სალასთან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შენაერთში შემავალი სს-ის ხუთი ბატალიონის გამოცდილი ჯარისკაცები – თავდაჯე-რებული ნაცისტები, პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად იყვნენ მომზადებულები და არა საომარი მოქმედებების საწარმოებლად. მათი გამოყენება აქამდე შემოიფარგლებოდა საკონცენტრაციო ბანაკის საყარაულო განყოფილების ბრძანებების შესრულებითა და დაუცველი სამოქალაქო პირების დასჯით. როდესაც მათ სცადეს სალას დაპყრობა, რუსებმა საპასუხო იერიშით უპასუხეს. სს-ის ჯარისკაცები ამჯერად შიშმა მოიცვა.

---

422 მძიმე წყალი – ამ ტერმინს, როგორც წესი, ხმარობენ მძიმეწყალბადიანი წყლის აღსანიშნავად. ამ ნივთიერების მეორე დასახელებაა „დეითერიუმის ჟანგი“ ან „დეითერიუმის ოქსიდი“. მძიმეწყალბადიანი წყლის მოლეკულა და მისი ქიმიური ფორმულა იგივეა რაც ჩვეულებრივი წყლის ფორმულა – ჟანგბადის ერთი ატომი და წყალბადის ორი ატომი. მაგრამ ჩვეულებრივი წყალბადის ატომის ორი მსუბუქი იზოტოპის, პროთიუმისგან განსხვავებით, დეითერიუმის ოქსიდი შეიცავს წყალბადის ატომის ორ მძიმე იზოტოპს – დეითერიუმს. ამ მოლეკულის ჟანგბადის იზოტოპური შემადგენლობა კი ისეთივეა, როგორიც ჰაერის შემადგენლობაში შემავალი ჟანგბადის ატომის იზოტოპური შემადგენლობა. ჩვეულებრივი წყლის ქიმიური ფორმულისგან განსხვავებით – H_2O, „მძიმე წყლის“ ფორმულა ასე იწერება – D_2O, თუმცა გარეგნულად და ფიზიკური თვისებებით მძიმე წყალი არ განსხვავდება ჩვეულებრივი წყლისგან. ისიც უსუნო, უფერო და უგემური სითხეა.

423 დღევანდელ კურსთან შედარებით იმდროინდელი აშშ დოლარის კურსი 50-ჯერ უფრო მყარი იყო. ე.ი. ატომური ბომბის შექმნის, ე.წ. „მანჰეტენის პროექტის“ დასაფინანსებლად აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა დღევანდელი 100 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური იყო.

როგორც ჰიმლერს[424] მოახსენეს, თვითმხილველების ცნობით, მათ იარაღი სასოწარკვეთილი შეძახილებით დაყარეს: „რუსული ტანკები მოდიან!“ და გაიქცნენ გერმანული არტილერიის ხაზის გავლით. სს-ის რამდენიმე ჯარისკაცი კი ტყვედ ჩაბარდა, მიუხედავად ჰიმლერის განმეორებითი კატეგორიული ბრძანებისა, ებრძოლათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

სს-ის საბრძოლო ჯგუფი სრულ განადგურებას მხოლოდ ფინელებისა და ვერმახტის დივიზიის ბრძოლაში მამაცური ჩარევის შედეგად გადაურჩა. ამ სამარცხვინო დამარცხების შემდეგ სს-ის ამ ბატალიონს დროებით შლიან.

მეათე – ბრძოლა ატლანტიკისათვის 1943 წლის აპრილი-მაისის თვეებში კულმინაციას აღწევს. „მგლის ხროვის“ ტაქტიკით მოქმედი გერმანული წყალქვეშა ნავები დიდ ზარალს განიცდიან მოკავშირეთა გემების ქარავნებთან ბრძოლაში.[425] სხვა წყალქვეშა ნავებთან ერთად U-404-იც უტევს მოკავშირეთა ქარავანს ნიუფაუნდლენდის აღმოსავლეთით, რომელსაც ბადრაგი იცავს, მათ შორის, რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი, ასევე საბადრაგო ავიამზიდი „ბითერი“. 1943 წლის 25 აპრილს, დილით, U-404-ის კაპიტანი, მესამე რანგის კაპიტანი ოტო ფონ ბიულოვი რადიოგრამით აცნობებს გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალს, გროსადმირალ[426] კარლ დენიცს,[427] AK 4737 კვადრატში ამერიკულ ავიამზიდ „რეინჯერზე“ თავდასხმის შესახებ. გერმანული წყალქვეშა ნავიდან მისი მიმართულებით ხუთ ტორპედოს უშვებენ. 12 საათსა და 37 წუთზე დენიცი პასუხობს: „კარგი, კარგი. მოგვახსენეთ, არის თუ არა ავიამზიდი თქვენი შეფასებით ჩაძირული.“ ბიულოვი პასუხობს რადიოგრამით: „სავარაუდოდ, ავიამზიდი ჩაძირულია, რადგანაც საუკეთესო ხილვადობის მიუხედავად, არ შეგვინიშნავს რაიმე სახის თავდაცვითი მოქმედებები მოხვედრების შემდეგ. ეჭვი არ არის, რომ ავიამზიდმა მძიმე დაზიანებები განიცადა. მისი ძებნა უშედეგოდ დამთავრდა“. იგივეს ვკითხულობთ საბორტო ჟურნალშიც. ცოტა ხანში კაპიტანი ბიულოვი მილოცვას იღებს უმაღლესი ინსტანციისგან:

---

424 ჰაინრიხ ლუიტპოლდ ჰიმლერი (გერმ. Heinrich Luitpold Himmler) (1900-1945წ.წ.) – მესამე რაიხისა და ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1923 წლიდან. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ 1923 წლის 9 ნოემბერს მიუნხენში მოწყობილი არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე, სადაც დაიჭრა კიდეც. სს-ის რაიხსფიურერი 1929 წლიდან და სს-ის ჯარების სარდალი. 290 მებრძოლისაგან შემდგარი სს-ის პირველი ბატალიონი გადააქცია მილიონიან უმძლავრეს სამხედრო ორგანიზაციად. 1933 წელს ეკავა რაიხსლაიტერის, 1942-1943 წლებში იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, ხოლო 1943-1945 წლებში გერმანიის შინაგან საქმეთა რაიხსმინისტრის თანამდებობები. მესამე რაიხის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლიდერი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნისა და ჰოლოკოსტის მთავარი ორგანიზატორი.

425 ომის პირველივე წელს ადმირალმა კარლ დენიცმა, გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის წინააღმდეგ გაჩაღებული წყალქვეშა ომი ბრიტანეთს მალე დააჩოქებდა, რადგან ეს კუნძულოვანი სახელმწიფო მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საზღვაო გადაზიდვებზე. მან წყალქვეშა ნავების ბრძოლის ახალი, ე.წ. „მგლების ხროვის“ ტაქტიკა შეიმუშავა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ წყალქვეშა ნავებს მასიურად უნდა მიეტანათ სატორპედო და სხვა სახის იერიში სავაჭრო და სამხედრო ხომალდებზე, შემდეგ კი განცალკევებულ და ჩამორჩენილ ხომალდებს უნდა დასხმოდნენ ჯგუფურად თავს. მან გამოთვალა, რომ ამ ბრძოლის საწარმოებლად და მოსაგებად გერმანიის ფლოტს ესაჭიროებოდა ახალი ტიპის (Tipe VII) 300 წყალქვეშა ნავი. ბრძოლის ეს ტაქტიკა კარდინალურად განსხვავდებოდა აქამდე არსებული ტაქტიკისაგან, რაც გულისხმობდა ცალკეული წყალქვეშა ნავის პორტთან ახლოს ჩასაფრებაში ყოფნას და თავდასხმების განხორციელებას პორტში შემავალ ან გამავალ გემებზე. ამ ტაქტიკის პიონერები ბრიტანელები იყვნენ, რომლებიც წარმატებით იყენებდნენ მას I მსოფლიო ომის დროს ბალტიის ზღვასა და ბოსფორში.

426 გროსადმირალი (გერმ. Grossadmiral) – უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წოდება ავსტრო-უნგრეთში (1867-1918), გერმანიის იმპერიაში, II რაიხში (1871-1918) და III რაიხში (1933-1945). შეესაბამებოდა სახმელეთო ჯარების გენერალ-ფელდმარშლის წოდებას.

427 კარლ დენიცი (გერმ. Karl Dönitz) (1891-1980წ.წ.) – გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, ზღვაოსანი. გროს ადმირალი 1943 წლიდან, III რაიხის წყალქვეშა ფლოტის სარდალი 1939-1943 წლებში, ნაცისტთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი 1943-1945 წლებში, ჰიტლერის მემკვიდრე, III რაიხის სახელმწიფო მეთაური – რაიხსპრეზიდენტი და ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი 1945 წლის 30 აპრილიდან იმავე წლის 23 მაისამდე. უკანასკნელი რაიხსპრეზიდენტი და უკანასკნელი ადამიანი, რომელიც ატარებდა გროს ადმირალის – ფლოტის მთავარსარდლის უმაღლეს სამხედრო წოდებას.

„ჩვენი ხალხის მომავლისთვის ბრძოლაში გმირული წვლილის შეტანისთვის მადლობის ნიშნად როგორც გერმანიის ვერმახტის 234-ე წევრს, განიჭებთ მუხის ფოთოლს, რაინდის რკინის ჯვრის შემადგენელ ნაწილს. ადოლფ ჰიტლერი.“

ამ წარმატებას მეორე დღეს დენიცსაც ულოცავენ. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ „რეინჯერის“ ან სხვა ავიამზიდის ჩაძირვის შესახებ გადმოცემული ცნობა არასწორია. როგორც ჩანს, ბიულოვი თავს დაესხა საბადრაგო ავიამზიდ „ბითერს“. წყალქვეშა ნავიდან გაშვებული ტორპედოები მოწინააღმდეგის გემს მოხვდა, მაგრამ ისინი არ აფეთქებულა, რადგან ავიამზიდს არც კი შეუნიშნავს ეს თავდასხმა. ჩაძირვის შესახებ არაფერია ნახსენები ბრიტანულ და ამერიკულ დოკუმენტებშიც. დენიცი ეთანხმება ამ ინფორმაციას და გაბრაზებულია მისი სწრაფად გავრცელების გამო. არასწორ შეტყობინებას მოწინააღმდეგის გემებისა ჩაძირვისა და თვითმფრინავების ჩამოგდების შესახებ, როგორც სამხედრო-საზღვაო ძალებში, ისე სამხედრო-საჰაერო ძალებში ხშირად ვხვდებით, თუმცა ამგვარი სენსაციური ჩანაწერის არსებობა საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში გამონაკლისს წარმოადგენს. კაპიტან ბიულოვს შეუძლია შეინარჩუნოს რაინდის „მუხის ფოთოლი“, მაგრამ უნდა დათმოს U-404-ის კაპიტნობა.

მეთერთმეტე – 1943 წლის აპრილში გერმანიის კავშირგაბმულობის სამსახური ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ შემდეგ ინფორმაციას ავრცელებს: „გერმანიის კავშირგაბმულობის ჯარისკაცებმა ვიტებსკისკენ მიმავალ გზაზე, სოფელ კატინთან აღმოაჩინეს რვა საერთო სასაფლაო პოლონეთის არმიისა და ვერმახტის ათასობით მოკლული ოფიცრით”. გებელსი შესანიშნავად იყენებს ამ აღმოჩენას ანტიბოლშევიკური პროპაგანდისთვის. გერმანელები ამტკიცებენ, რომ 1939 წელს საბჭოთა ჯარის აღმოსავლეთ პოლონეთში შესვლისას პოლონელი ოფიცრები ტყვედ აიყვანეს და საბჭოთა სადაზვერვო და შინაგან საქმეთა სამსახურებმა ისინი პისტოლეტიდან კეფაში სროლით დახოცეს. მაგრამ მათ არავინ უჯერებს, დასავლეთელი მოკავშირეებიც კი, რადგან საბჭოთა კავშირი ადანაშაულებს გერმანელ ნაცისტებს, რომ ისინი არიან პასუხისმგებლები ამ მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე. სხვა დროს, გერმანელთა მიერ გავრცელებული მსგავსი სახის ინფორმაცია გებელსის ჩვეულებრივი პროპაგანდისტული ხრიკი იყო. აქ კი, შეცდომაში შეყვანილი მსოფლიო საზოგადოების თვალში ნაცისტები არიან დამნაშავეები ომის დამთავრებიდან ათწლეულების შემდეგაც კი. მაგრამ რეალობა განსხვავებულია და სინამდვილე სულ სხვაგვარად გამოიყურება.

საზარელი აღმოჩენიდან რამდენიმე თვეში გერმანიის ინიციატივით იკრიბება ექიმების საექსპერტო კომისია, რომლებიც კვეთენ რამდენიმე გვამს და ადგენენ, რომ 4143 ამოთხრილი პოლონელი ოფიცერი და ჯარისკაცი უკვე მინიმუმ სამი წელია, რაც გარდაცვლილია. გერმანელებმა კი, სმოლენსკი 1941 წლის ივლისში დაიპყრეს. მიუხედავად ამისა, 1946 წლის თებერვალში ნიურნბერგში გამართულ პროცესზე საბჭოთა სამხედრო პროკურატურა ხელახლა დაჟინებით ცდილობდა, კატინის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გერმანელებისათვის გადაებრალებინა. მიუხედავად იმისა, რომ მან ეს ვერ მოახერხა, 60-70-იან წლებშიც საბჭოთა პრესა აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ ეს საშინელი აქტი „ჰიტლერის ჯალათების“ მიერ იყო ჩადენილი.

ასეთი მდგომარეობა 1990 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე საბჭოთა მთავრობამ, გორბაჩოვის[428] ხელმძღვანელობით, საკმარისზე მეტი მტკიცებულებების არსებობის გათვა-

[428] მიხაილ სერგეევიჩ გორბაჩოვი (რუს. Михаи́л Серге́евич Горбачёв) (1931-) – საბჭოთა და რუსი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. საბჭოთა სახელმწიფოს მერვე და უკანასკნელი მეთაური. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გენერალური მდივანი 1985-1991 წლებში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელი თავმჯდომარე 1988-1990 წლებში, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი 1990-1991 წლებში. სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების კავალერი. 1990 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში.

ლისწინებით, არ აღიარა საბჭოელების ბრალი ამ დანაშაულის ჩადენაში. საქმე კი ძალიან მარტივად იყო – სტალინმა ბრძანა კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია. 1992 წლის 14 ოქტომბერს რუსები პოლონეთის მთავრობას გადასცემენ დოკუმენტებს, რომელშიც წარმოდგენილია ნამდვილ დამნაშავეთა გვარები. რეალობა შემზარავი იყო – ამ საშინელ დანაშაულში სტალინის გარდა, მთელი სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობა იყო ჩარეული.

მეთორმეტე – მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იქმნება სათავგადასავლო ლეგენდები იმის თაობაზე, არის თუ არა ადოლფ ჰიტლერი ნამდვილად მკვდარი, თუ იგი კვლავ ცოცხალია? რადგან მისი გვამი არასოდეს უნახავთ, ჰიტლერის ცოცხლად გადარჩენის ამბავიც ძალიან გახმაურდა, თუმცა ამ ხმებს მოკავშირეთა ამერიკული და ბრიტანული სარდლობები არ იზიარებდნენ. 1945 წლის 6 ივნისს, დასავლეთელი მოკავშირეების საპირისპიროდ, სტალინი აცხადებს, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია ჰიტლერის ცოცხლად დარჩენის ამბავი. 1945 წლის ივლისში, პოტსდამის კონფერენციაზე იგი ამტკიცებს, რომ სავარაუდოდ, ჰიტლერი ესპანეთში იმყოფება, მას შემდეგ, რაც მან მოახერხა ბერლინის ტირგარტენიდან[429], ჩაკეტილი ქალაქიდან თვითმფრინავით გაქცევა. მაგრამ სტალინმა, დიდი ხანია იცის, რომ ჰიტლერის ბერლინიდან თავის დაღწევის ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. საბჭოთა მხარემ ბერლინის აღების შემდეგ გამოიკვლია იმპერიის კანცელარიის ბაღში აღმოჩენილი დამწვარ-დანახშირებული გვამის ნაშთები და კარგად გადარჩენილი კბილების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ საქმე ნამდვილად „ფიურერს“ ეხებოდა. მან თავი 1945 წლის 30 აპრილს, თავის ბუნკერში, მარჯვენა საფეთქელში პისტოლეტის გასროლით მოიკლა. მაგრამ სტალინის ინტერესებში ჰიტლერის ცოცხლად გადარჩენის თეორიის მხარდაჭერა შედის. სამხედრო კავშირი არ უნდა დაიშალოს და ამიტომ საჭიროა ზეწოლის გაძლიერება სახელმწიფოებზე, რომლებიც ძალიან ახლოს არიან იმასთან, რომ დასავლეთელ მოკავშირეებს შეუერთდნენ. ესენი უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი სამხედროები არიან, რომლებიც ხმებს უჯერებენ და მოუწოდებენ ჰიტლერის დევნისაკენ. ჰყვებიან, რომ თითქოსდა ჰიტლერი წყალქვეშა ნავით გაიქცა. ზოგიერთის მტკიცებით, ბუნკერში მისი ორეული დაიღუპა, ნამდვილი ჰიტლერი კი სადღაც არგენტინაში, კოლუმბიაში, პალესტინაში ან იაპონიაში იმყოფება.

სხვა ვერსიებით, იგი თითქოსდა V-2 რაკეტით[430] ააფეთქეს, იმალებოდა კიფჰოიზერში[431] ან ქირურგებმა პლასტიკური ოპერაციის საშუალებით შეუცვალეს გარეგნობა ბერლინის ერთ-ერთ სარდაფში. სხვა გადმოცემებით, იგი სადღაც შვეიცარიის მთებში ცხოვრობს როგორც უბრალო მწყემსი, ან როგორც ბერი – იტალიაში. ზოგიერთი იმასაც უშვებდა, რომ ჰიტლერს საბჭოთა კავშირი მალავდა, იგი მოსკოვში იმყოფებოდა და საბჭოელების მრჩეველი იყო. სხვებს სჯეროდათ, რომ ჰიტლერი ერთ-ერთ არაბულ სახელმწიფოს აფარებდა თავს და არაბულ საზოგადოებას უჭერდა მხარს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი მოსაზრება კი ისე ჟღერდა, რომ ნამდვილი ჰიტლერი ჯერ კიდევ 1944 წლის 20 ივლისს დაიღუპა მორიგი საჰაერო თავდასხმის შედეგად და

---

429 ტირგარტენი (გერმ. Tiergarten) – სიტყვასიტყვით „ზოოლოგიური პარკი” – ბერლინის მიტეს ადმინისტარციულ ოლქში შემავალი ქალაქის რაიონი და ბერლინის 210 ჰა ფართობის მქონე უდიდესი პარკი.

430 ფაუ-2 (გერმ. V-2 — Vergeltungswaffe-2, „შურისძიების იარაღი”, მეორე დასახელებაა A-4, Aggregat-4) – გერმანელი გამომგონებლისა და კონსტრუქტორის, ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტა. პირველი საცდელი გაშვება განხორციელდა 1942 წლის მარტში, ხოლო პირველი საბრძოლო გაშვება – 1944 წლის 8 სექტემბერს. ვერმახტის მიერ შეიარაღებაში მიღებულ იქნა II მსოფლიო ომის დასასრულს. ძირითადში გამოიყენებოდა ლონდონისა და სხვა ბრიტანული ქალაქების დასაბომბად. სულ გაშვებულ იქნა 3225 ცალი ფაუ-2 ტიპის რაკეტა.

431 კიფჰოიზერი (გერმ. Kyffhäuser) – ტიურინგიაში მდებარე ტყით დაფარული მთიანი მასივი, შუა გერმანიის მთათა სისტემის ნაწილი.

ამის შემდეგ ბუნკერში მისი ადგილი ნიჭიერმა მსახიობმა დაიკავა. სხვა ლეგენდა კიდევ უფრო დაუჯერებელი იყო – თითქოსდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ჯერ კიდევ 1919 წელს, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებმა მიუნხენში თავისი სპეციალური აგენტი შეაგზავნა გერმანიის ტოტალური განადგურების მიზნით. თითქოს პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცი ჰიტლერი ტყვედ აიყვანეს, ინგლისში გაიტაცეს, ხოლო მის ადგილას, გერმანიაში, სპეციალური აგენტი, მისი იდენტური პიროვნება შეგზავნეს. 1945 წელს კი, ნამდვილი ჰიტლერი თითქოსდა ისევ ბერლინში დააბრუნეს და ფიურერის ბუნკერთან ახლოს მოკლეს. როგორც ვხედავთ, უამრავი, ერთმანეთზე უფრო დაუჯერებელი ვერსიების მთელი კასკადია.

და კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე წარმოუდგენელი და ფანტასტიკას მიკუთვნებული ცნობა: 1987 წელს, ერთ-ერთი ჩილელი დიპლომატი თავის წიგნში წერდა, რომ ჰიტლერი თავისი ეპოქის დადგომას ანტარქტიკის ქვეშ ელოდება, რათა ხელსაყრელი ვითარების დადგომისთანავე უკან დაბრუნდეს.

ასეთი არის სამხედრო მოვლენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ასახული მცდარი წარმოდგენების მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი.

ომში შეცდომების დაშვების ძირითადი მიზეზები

ომი არ არის მხოლოდ ძალისმიერი ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე საკუთარი ჩანაფიქრის იძულების წესით შესასრულებლად. ის არის იმავდროულად განუსაზღვრელისა და მოულოდნელის, ასევე ორმხრივი უთანხმოებისა და ხშირად – ქაოსის სფერო. ეს ფაქტორები შესანიშნავად განმარტა კლაუზევიცმა თავის ცნობილ წიგნში „ომის შესახებ". შეიძლება ითქვას, რომ ომის განუსაზღვრელობა და მოულოდნელობა, ომის ბურუსი და მისი არასაიმედოობა ყველა სახის ცდომილების წყაროს წარმოადგენს. ანტიკური ხანიდან დაწყებული დღემდე, ხშირად ასე წყდებოდა ომისა და ლაშქრობების შედეგები და ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე ომის დასრულება არა მანქანებზე, არამედ ადამიანებზე, მათი მისწრაფებებისა და სურვილების ძალაზე იქნება დამოკიდებული.

ომებში დაშვებული შეცდომები, როგორც წესი, ყოველთვის მსგავსია. საკვირველი ის არის, რომ სამხედრო მეთაურებმა არაფერი ისწავლეს თავიანთი წინამორბედების შეცდომებიდან. თუმცა მეტისმეტად ძნელია სასიკვდილო საფრთხის ცენტრში ყოფნისას მდგომარეობის სწორად შეფასება და მოწინააღმდეგის რეაქციის წინასწარ სწორად განჭვრეტა. ამდენად, ომი ჭადრაკის იმ რთულ პარტიას ემსგავსება, რომელშიც ის იმარჯვებს, ვინც სწორად მოქმედებს, ხოლო მეორე მხარე შეცდომას უშვებს. ომი არ არის დროის მოსაკლავი გართობა, მხოლოდ წადილი გამბედაობისა და მოხერხებულობის გამოჩენისა. კლაუზევიცის ფორმულირებით, ეს არის სერიოზული საშუალება სერიოზული მიზნების მისაღწევად.

არც თანამედროვე ომები იმართება მენეჯმენტის მეთოდით. თუ რა შეცდომებისა და არასწორი შეფასებების დაშვებაა შესაძლებელი, ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის ორივე ომში. პირველი ომი ამერიკელებმა შეწყვიტეს ძალიან ადრე და არასწორი მოსაზრებების საფუძველზე, მეორე ომი კი, ამერიკელებმა მოიგეს დიდი უპირატესობით 2003 წლის გაზაფხულზე, რამდენიმე კვირაში, ბრწყინვალე შედეგებით და დაამტკიცეს ბევრი სკეპტიკოსისა და ომის მოწინააღმდეგის მოსაზრებების სიმცდარე, რომლებიც ვარაუდობდნენ მასიურ და ხანგრძლივ სისხლისღვრას. მაგრამ ეფუძნება კი ამ სამხედრო შეჯახების მიზეზი ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინისთვის ძალაუფლების ჩამორთმევის ცნობილი მიზეზი შეცდომას?

ფაქტი ისაა, რომ ერაყის წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებების მთავარი მიზეზი ბიოლოგიური საბრძოლო ნივთიერებები და თავზარდამცემი ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, რომლებიც ვითომდაც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო სადამ ჰუსეინის განკარგულებაში, დღემდე არ აღმოუჩენიათ. საეჭვო ნივთიერებები მცენარეების შესაწამლი შხამქიმიკატები გამოდგა. სავარაუდოდ მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებლებად მიჩნეული მობილური ლაბორატორიები კი – ნახევრადმისაბმელების ჩვეულებრივი საწევრები.

ომში შეცდომების დაშვებისა და ბრძოლის მიმდინარეობისას არასწორი გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი მიზეზები საშუალებას იძლევა, რომ ისინი გავაერთიანოთ და სისტემაში რვა პუნქტად მოვიყვანოთ. შემდგომში მათ ხელახლა გავაჟღერებთ და მოკლედ მიმოვიხილავთ კონკრეტული მაგალითებით. სამაგალითო შემთხვევების უმეტესობა სათითაოდაა წარმოდგენილი აქ აღწერილ შემთხვევებში. ამას ემატება რამდენიმე ახალი მაგალითი.

1. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა

სამხედრო ხრიკი არის უძველესი საბრძოლო საშუალება – ფარული ჩანაფიქრი, ცბიერი განზრახვა, რომელიც უბიძგებს შეცდომის დაშვებისკენ დაპირისპირებულ მხარეს, ვის წინააღმდეგაც ხდება მისი გამოყენება. მოხერხებული და ცბიერი პიროვნება აიძულებს იმას, ვისი მოტყუებაც სურს, რომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. კლაუზევიცი ხრიკს უწოდებს „ოინბაზურ მოქმედებას“, რომელიც მოითხოვს დროისა და ძალების მნიშვნელოვან დანახარჯს. იგი ასევე იმის გაფრთხილებას იძლევა, რომ მნიშვნელოვანი ძალები ხანგრძლივი დროით მხოლოდ მოჩვენებით გამოიყენონ, რადგან ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ ეს ხერხი შეიძლება ამაო გამოდგეს და ეს ძალები არ აღმოჩნდნენ საჭირო ადგილზე საჭირო დროს. რაც უფრო სუსტია სტრატეგიული მართვის განკარგულებაში მყოფი ძალები, მით უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ გამარჯვების მისაღწევად სამხედრო ეშმაკობის გამოყენებაზე. როდესაც სუსტებისა და პატარებისთვის სამხედრო ხრიკის გამოყენება უკანასკნელ საშუალებად იქცევა, მაშინ გამოსავალი არამც და არამც არ უნდა ვეძიოთ გამბედავ, მაგრამ უშედეგო დარტყმაში, რათა სამხედრო ეშმაკობამ ადგილი არ დაუთმოს სიმამაცეს და საშინელი შედეგები არ მივიღოთ.

ამის თვალსაჩინო მაგალითებს სამხედრო ისტორია გვაძლევს. ესაა დაახლოებით სამი ათასი წლის წინ მომხდარი ამბავი. სწორედ ეს ამბავია საფუძველი ყველა ეპოქის ადამიანის, და უპირველეს ყოვლისა, პოეტების დაინტერესების საგანი. იგივე ამბავი დაედო საფუძვლად ანტიკურ კულტურას, რომლითაც კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში იყო მოხიბლული. ამავე მასშტაბით ეხება ეს არქეოლოგების მცდელობას – დაადგინონ, ეფუძნება თუ არა ანტიკური პოეზია ნამდვილ ისტორიულ მოვლენებს. ეს არის შთამაგონებელ მოვლენად ქცეული „ტროას ცხენის“, ანუ ოდისევსის სამხედრო ეშმაკობების ამბავი, რომელიც უკვე საუკუნეებია ცოცხლობს.

ტროას ომი ათი წელია, რაც გრძელდება. ტროა ჯერ კიდევ უძლებს ალყას. ბერძნები ვერ ახერხებენ ქალაქის გალავნის გარღვევასა და ქალაქის დაპყრობას. ერთი შეხედვით, ომი წაგებულია. მაშინ მოხერხებული ოდისევსი ეშმაკურ გეგმას ადგენს. იგი ბრძანებს დაახლოებით ქალაქის ჭიშკრის სიმაღლის ხის ცხენის აგებასა და ქალაქის გალავანთან მიყვანას. ცხენის მუცელში მამაცი ბერძენი მეომრები იმალებიან, ოდისევსიც მათთანაა. ბერძნების გემები უშვებენ აფრებს და უახლოესი კუნძულის უკან იმალებიან. მხოლოდ ბერძენი სინონი რჩება ადგილზე. მან უნდა დაარწმუნოს ტროელები იმაში, რომ ცხენი შეიყვანონ ქალაქში, როგორც ათენას საჩუქარი. მეფე პრიამოსი იჯერებს ამ თვალთმაქცობას და ბრძანებს, გაარღვიონ ქალაქის გალავანი და ცხენი შიგნით შეიყვანონ. ის არ უსმენს თავისი ქალიშვილის, კასანდრასა და უმაღლესი ქურუმის, ლაოკოონის გაფრთხილებას, რომელიც თავის მეფეს ეუბნება, რომ მას ეშინია ბერძნების მაშინაც კი, როდესაც ისინი საჩუქარს ჩუქნიან. ტროელებს ცხენი მიჰყავთ ტაძრამდე და ზეიმობენ მშვიდობის დამყარებას. მაგრამ ღამით ცხენიდან გადმოდიან ბერძენი მეომრები და ხოცავენ უკან დაბრუნებულ ჯართან ერთად მძინარე ტროელებს. მომდევნო დღეს ტროადან მხოლოდ დამწვარი ნანგრევების გროვაღა რჩება. ტროელების დამღუპველმა შეცდომამ ისინი სრულ განადგურებამდე მიიყვანა.

სამხედრო ხრიკების გამოყენებით მოწინააღმდეგის მოტყუებით ძალიან ბევრი ბრძოლის შედეგი გადაწყვეტილა, რომელთაგან ზოგიერთმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. სპარსელები მარცხდებიან ძვ.წ. 480 წელს სალამინის ყურეში თემისტოკლეს მიერ სამხედრო ხრიკის გამოყენების შედეგად, ისევე როგორც ახ.წ. 9 წელს ვარუსის რომაული ლეგიონები ტევტობურგის ტყესთან ბრძოლაში – ხერუსკების ცრუ მანევრის წყალობით.

აღმოსავლეთ ევროპაში შეჭრისას მონღოლები იყენებენ პართიელების ძველ სამხედრო ხერხსა და 1241 წლის 10 აპრილს ლეგნიცის ბრძოლაში გაითამაშებენ

გაქცევას. ისინი ჩასაფრებაში იტყუებენ დადევნებული გერმანელი რაინდების არმიას და ერთიანად ანადგურებენ მას.

საჩვენებელი ცრუ შეტევებიც ასევე სამხედრო ეშმაკობების რიგს განეკუთვნება. 1757 წელს ლეითენთან ფრიდრიხ დიდი ბრძოლას უგებს რიცხობრივად აღმატებულ ავსტრიელებს, რადგან შეცდომაში შეჰყავს ისინი გაბედული მანევრით, ერთი წლის შემდეგ კი თვითონ ხდება ჰოხკირხთან სამხედრო ეშმაკობის მსხვერპლი.

მეორე მსოფლიო ომში სახელგანთქმული „ყვითელი გეგმა“ ეხმარება გერმანელებს ფრანგებზე სწრაფი გამარჯვების მოპოვებაში, რადგან მოკავშირეებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მოწინააღმდეგის მოქმედ სტრატეგიულ გეგმაზე. როდესაც ისინი მიხვდებიან თავიანთ შეცდომას, უკვე გვიანია – ბრძოლა და ომი წაგებულია.

2. რაოდენობის არასწორი შეფასება

კლაუზევიცის მიხედვით, რიცხობრივი უპირატესობა, როგორც სტრატეგიაში, ასევე ტაქტიკაში, გამარჯვების საყოველთაო პრინციპია და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბრძოლაში. საკუთარი სიძლიერისა (რიცხობრივი უპირატესობისა) და ბრძოლისუნარიანობის გადაჭარბებულად შეფასება, ასევე მოწინააღმდეგის ძალების არასათანადოდ შეფასება, ომებისა და ბრძოლების წარმოებაში დაშვებულ შეცდომებს განაპირობებს.

როდესაც 1167 წლის მაისში გერმანელთა საღვთო რომის იმპერიის ჯარების ავანგარდი რაინჰოლდ ფონ დასელის მეთაურობით კარგად გამაგრებულ რომამდე აღწევს, ქალაქის მცველები რიცხობრივად ოცჯერ უფრო მეტნი არიან. უპირატესობისა და მოსალოდნელი გამარჯვების იმედით რომაელი ჯარები ტოვებენ გამაგრებას და მათი განადგურებაც აქედან იწყება.

1758, 1760 და 1807 წლებში მოწინააღმდეგე ვერ ახერხებს კოლბერგის ციხესიმაგრის აღებას, რადგან არასწორად ფასდება ქალაქის დამცველთა ბრძოლისუნარიანობა და მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. ოდნავ მოგვიანებით, 1812 წელს, მოსკოვზე გალაშქრებისას, ნაპოლეონ ბონაპარტე არასწორად აფასებს რუსების თავდაცვისუნარიანობას, ისევე როგორც 1815 წელს ვატერლოოს ბრძოლაში ველინგტონის თავდაცვის უნარს.

მოწინააღმდეგის რაოდენობის არასწორ შეფასებაში 1876 წელს შეცდომას უშვებს პატივმოყვარე და ეგოისტი უფროსი ლეიტენანტი ჯორჯ კასტერი ინდიელთა სიუსა და შაიენის ტომების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ლითლ-ბიგჰორნის გახმაურებულ ბრძოლაში. კასტერი, რომელიც ვესტ პოინტის აკადემიაში ოფიცრობის ოცდათოთხმეტ კანდიდატს შორის უკანასკნელ ადგილს იკავებს, უდავოდ ყველაზე უვარგის და უუნარო მეთაურად ითვლება მათ შორის, ვისაც კი ოდესმე უხელმძღვანელია ჯარისკაცებისთვის ბრძოლაში. ლეგენდამ კი მისგან ქერაკულულებიანი გმირი შექმნა, რომელიც მე-7 უკვდავი საკავალერიო პოლკის დროშის ქვეშ თავგანწირვით იბრძვის კაპიტან „ცოფიანი ცხენის“ წინააღმდეგ და საკუთარ სიცოცხლეს წირავს. კასტერი თავის თავს ანიჭებს გენერლის ჩინს და აკერინებს საკუთარ უნიფორმას ხავერდის, ოქროსა და ზიზილ-პიპილოებისგან. ხალხს თავადვე აიძულებს მასზე ილაპარაკონ, როდესაც ბრძანებს ასი შაიენელის ამოჟლეტის, ასევე ქალებისა და ბავშვების დახოცვას. 1876 წლის ივნისში კასტერი მიუძღვის სამი კოლონიდან ერთ-ერთს, რომელიც გადაადგილდება ლითლ-ბიგჰორნის ინდიელების ბანაკისკენ. ბანაკში იმყოფება თხუთმეტი ათასი ადამიანი, მათ შორის, სიუსა და შაიენის ხუთ-ექვს ბრძოლაში გამოცდილი მეომარი. მაგრამ კასტერს არ სურს ამის აღიარება. ის ყურს არ უგდებს მზვერავების გაფრთხილებას, არ დაანთოს ბანაკში კოცონი და არ გასცეს საკუთარი ადგილმდებარეობა. იგი ტრაბახობს იმით, რომ მისი კავალერიის ნაწილი ინდიელებს სხვისი დახმარების გარეშე გაანადგურებს. სიუს

ინდიელებმა დიდი ხანია უკვე აღმოაჩინეს კასტერის ბანაკი და ალყა შემოარტყეს მას. მოულოდნელი შეტევის საფრთხე ახლოსაა. როდესაც რამდენიმე ინდიელი ოთხით მიაჭენებს ცხენს, კასტერი ფიქრობს, რომ ისინი გარბიან და, მეთაურის ბრძანების მიუხედავად, არ იმოქმედოს დამოუკიდებლად, შეტევის გადაწყვეტილებას იღებს. მას ხელახლა აფრთხილებენ ინდიელი მზვერავები და ცდილობენ, დაარწმუნონ, რომ შეცდომას უშვებს. მოწინააღმდეგე ათჯერ უფრო ძლიერია და ასეთ შემთხვევაში თავდასხმა უაზრობაა. მაგრამ კასტერი არ უსმენს მათ და თავის ქვედანაყოფს ყოფს სამ ნაწილად, რომლებმაც ბანაკს უნდა შეუტიონ სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. მაიორ რენოს ასთორმეტ მებრძოლს სიუს ინდიელები ისევე უკუაგდებენ, როგორც კაპიტან ბენთინის ასოცდახუთ კაცს. კასტერი ყოველგვარი დახმარების გარეშე თავისი ათეულით უტევს ჩრდილოეთიდან. სიუს მთავარი ძალები ერეკებიან მათ გორაკისკენ, ალყაში აქცევენ და უკანასკნელ კაცამდე ანადგურებენ. ცხედრებს ტანსაცმელს ხდიან და სკალპს აძრობენ. ძალზე იშვიათად წაუყვანია ასე ბრმად სიკვდილზე თავდაჯერებულ ოფიცერს თავისი ჯარისკაცები.

ჰიტლერიც მსგავს შეცდომას უშვებს 1941 წლის ივნისში, ოპერაცია „ბარბაროსას“ მიმდინარეობისას, როცა რუსეთზე ლაშქრობა კატასტროფით მთავრდება. 1944 წლის ბოლოსაც გადაჭარბებით აფასებდა ჰიტლერი საკუთარ შესაძლებლობებს და ვერმახტის ძალებს არდენზე შეტევისას, ხოლო თავდაცვაზე გადასული ამერიკელთა ჯარის ბრძოლისუნარიანობას პირიქით – არასაკმარისად. ეს შეცდომა გერმანიას ძალიან ძვირად დაუჯდა.

ინდოჩინეთის პირველი ომის მსვლელობისას, 1954 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის კოლონიური ჯარების სარდლობა დიენ ბიენ ფუს ბრძოლაში დარწმუნებულია, რომ ვიეტკონგის მებრძოლები სუსტები არიან საიმისოდ, რომ ციხესიმაგრე აიღონ და ამიტომ უარყოფს შეთავაზებულ დახმარებას. ეს არის მოწინააღმდეგის გროტესკული ვერშეფასება. დიენ ბიენ ფუს ფრანგული სიმაგრე და მისი სამხედრო გარნიზონი რამდენიმე კვირაში ეცემა.

მსგავს საშინელ შეცდომას უშვებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და დაზვერვის ცენტრალური სააგენტო 1961 წლის აპრილში, კუბაში ემიგრანტი კუბელების საინტერვენციო ჯარის გადასხმისას. ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ ფიდელ კასტროს ჯარების რაოდენობასა და მათ ბრძოლისუნარიანობას. „ღორების ყურეში“ დესანტის გადასხმა სრული სამხედრო ფიასკოთი სრულდება.

3. ოპერატიული ვითარების არასწორი შეფასება

ხშირად სამხედრო მეთაურობა შეცდომას უშვებს ფაქტობრივი ოპერატიული ვითარების შეფასებისას და შედეგად არასწორ გადაწყვეტილებას იღებს.

რომაელების წინააღმდეგ აქციუმთან საზღვაო ბრძოლაში კლეოპატრა ძალზე ნაადრევად მიიჩნევს ბრძოლას წაგებულად. მხოლოდ ეგვიპტური გემების ნაჩქარევად გაქცევა იწვევს ოქტავიანეს წინააღმდეგ ანტონიუსის საბოლოო დამარცხებას.

როდესაც კონსტანტინე ძვ.წ. 312 წელს თავისი პატარა არმიით მიიკვლევს გზას გამაგრებული რომისკენ, კატაპულტებისა და საალყო მანქანების გარეშე, მას ქალაქის დაპყრობის არანაირი შანსი არ აქვს. მაგრამ მაქსენტიუსი თავის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ტოვებს დაცულ გალავანს და კონსტანტინეს ღია ველზე ხვდება, რადგან ის არასწორად ფიქრობს, რომ მოსახლეობა აპირებს მის წინააღმდეგ აჯანყებას. იგი სრულიად არასწორად აფასებს შექმნილ ვითარებას.

ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის „უძლეველი არმადა“ 1588 წელს მთლიანად დაიპყრობდა ინგლისს, თავდაპირველად კალესკენ რომ არ გაეცურა დანარჩენი ქვედანაყოფების

ასაყვანად, არამედ პირდაპირი კურსი აეღო ლონდონის სამხრეთით ინგლისის სანაპიროს-კენ. ხოლო როდესაც 1601 წელს ესპანეთის ფლოტი ირლანდიას უახლოვდებოდა ჰიუ ო'ნილის ირლანდიელ ჯარისკაცებთან შესაერთებლად, ინგლისის ჯარის დამარცხება გარდაუვალი იყო კინსეილთან, ირლანდიის მხედართმთავარს შეცდომით რომ არ ევარაუდა ესპანელების გადმოსხმის ადგილი და სამხრეთისკენ არ გადაადგილებულიყო, ჩრდილოეთის ნაცვლად.

ოცდაათწლიან ომში, 1632 წელს, ლიუცენის ბრძოლაში ვალენშტაინი შიშობდა, რომ მისი იმპერისტების არმია ვეღარ გაიმარჯვებდა მას შემდეგ, რაც პაპენჰაიმი თავის ცხენოსნებთან ერთად დროულად მივიდოდა ბრძოლის ველზე და შვედების მიერ შევიწრო-ებული მარცხენა ფლანგი გადარჩებოდა. მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ვითარება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს – სწორედ შვედური კავალერიის რეზერვის გამოყენებამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

1740 წელს ფრიდრიხ დიდის სილეზიაზე თავდასხმის შედეგად დასუსტებული და ავადმყოფი, დიდების წყურვილით შეპყრობილი ავსტრიის იმპერატორი იოზეფ II, 1788 წელს სათავეში უდგება თავის ჯარს და ოსმალების წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი თავს „კაცობრიობისათვის შურისმაძიებლად" აცხადებს და იქადნება, რომ „გაანთავისუფლებს მსოფლიოს ბარბაროსული მოდგმისგან". მაგრამ ლაშქრობის დასაწყისშივე აშკარა ხდება გარდაუვალი კატასტროფისაკენ სწრაფვა. ადგილობრივი მცხოვრებლების გაფრთხილებების მიუხედავად, ავსტრიელები ბელგრადთან ბანაკდებიან, სადაც მალარია მძვინვარებს. ძალიან მოკლე დროში ასსამოცდათორმეტი ათასი ჯარისკაცი ავადდება, ოცდაცამეტი ათასი კი, იღუპება. როდესაც იმპერატორი შეიტყობს, რომ ოსმალთა არმია დიდი ვეზირის მეთაურობით მისკენ მიემართება, იგი მის შესახვედრად ნახევარი ჯარით დაიძვრება, რათა ქალაქ კარანსებეს მახლობლად გამართოს ბრძოლა.

ავსტრიელთა ქვეითი ჯარი მწყობრით, ჰუსარების პოლკის გვერდით გადაადგილ-დება. ღამით ისინი მიაღწევენ კარანსებეს მახლობლად მდებარე ხიდს, კარდაკარ მოსიარულე მოვაჭრეების დასახლებასთან. ჰუსარები შნაპსის საყიდლად ჩერდებიან. ქვეითი ჯარის ჯარისკაცები ამას ხედავენ და სურთ იმავეს გაკეთება, მაგრამ ჰუსარები მათ უკან აბრუნებენ. თავგასულ თანამებრძოლებზე გაბრაზებული ქვეითი ჯარისკაცები ჰაერში ისვრიან და ხმამაღლა, ჰუსარების შესაშინებლად ყვირიან: „თურქები! თურქები!" უკან ჩამორჩენილი კოლონა, რომელიც ჯერ კიდევ ხიდზე გადაადგილდება, პანიკაში ვარდება და ჯარისკაცები სიბნელეში ერთმანეთს ესვრიან. ავსტრიელთა ჯარი შეცდომით ფიქრობს, რომ ხაფანგში აღმოჩნდა და მათ თავს ოსმალთა არმია დაესხა, რომელიც სინამდვილეში ჯერ კიდევ შორსაა. იწყება სასტიკი ბრძოლა და ათასობით ჯარისკაცი იღუპება. ქვემეხებს ტოვებენ, საზიდრები ყირავდება და ყველგან ისმის შეძახილები: „თურქები აქ არიან, ყველაფერი დამთავრდა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!" როდესაც თენდება, ყველასათვის ნათელი ხდება ამ კატასტროფის მასშტაბები. თითქოსდა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ ათი ათას კაცზე მეტია დაღუპული და დაჭრილი საკუთარი თანამებრძოლების მიერ. და ეს არ იყო სამხედრო ისტორიაში ვითარების არასწორად შეფასებით გამოწვეული ერთადერთი შემთხვევა.

თვით სამხედრო გენიოსი ნაპოლეონიც კი უშვებდა მსგავს შეცდომებს. 1815 წელს ვატერლოოს ბრძოლაში მას სჯეროდა, რომ ნაშუადღევს, მარჯვენა ფლანგზე გამოჩენილი მარშალ გრუშის ოცდაცამეტი ათასი ჯარისკაცი სასტიკი ბრძოლის შედეგს მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. მაგრამ ნაპოლეონი შეცდა. ისინი მარშალ გრუშის ჯარის-კაცები კი არა, არამედ მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ. მარშალ ბლიუხერის პრუსიელთა კორპუსი ერთვებოდა ბრძოლაში.

საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის მსვლელობისას, პრუსიის მე-2 არმიის სარდალი, პრინცი ფრიდრიხ კარლიც არასწორად აფასებდა ოპერატიულ ვითარებას და 1870 წლის აგვისტოში ვიონვილის ბრძოლაში აგზავნის თავისი არმიის

ხუთ კორპუსს დასავლეთისკენ, რათა იქ დახვდნენ ფრანგებს. მას აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლებელია, მარშალ ბაზენის მთელი არმია იდგეს აღმოსავლეთში მეცთან.

1914 წლის აგვისტოში ფრანგებისთვის სასწაული ხდება, როდესაც ორი ძლევამოსილი გერმანული არმია მარნასთან მოულოდნელად იხევს უკან და უეჭველ გამარჯვებას უშვებს ხელიდან, რადგან თითოეული მათგანი არასწორად ვარაუდობს, რომ ვეღარ შეძლებს ბრძოლის გაგრძელებას. აღმოსავლეთის ფრონტზე თავდაპირველ გამარჯვებებზე დაყრდნობით, იმავე თვეში რუსები ვარაუდობენ, რომ გერმანელთა ჯარი უკან დაიხევს დასავლეთისკენ. მაგრამ რუსები ცდებოდნენ. გერმანელთა მე-8 არმია მიმართულებას იცვლის, ორმხრივი გარშემორტყმით ალყაში აქცევს სამსონოვის არმიას ტანენბერგთან და ანადგურებს მას.

1915 წლის 25–26 სექტემბერს ინგლისელების დიდი მსხვერპლით დასრულებული შეტევები იპრთან გამართულ ბრძოლაში, რომელიც სამხედრო ისტორიაში ლუზის ხოცვა-ჟლეტის სახელით შევიდა, ოპერატიული ვითარების არასწორ შეფასებას ეფუძნება. სურათი კი ასეთია: საფრანგეთის ქვანახშირის რაიონის წიდის მთებსა და მაღაროების სოფლებს შორის, დილის 6 საათზე ექვსი ბრიტანული დივიზია გერმანელების კარგად გამაგრებული პოზიციების მიმართულებით მიიწევს წინ. მძიმე არტილერიის არქონის გამო გერმანელები მომწამლავ გაზს იყენებენ. მწვანე და ყვითელი კვამლის ღრუბლები ნეიტრალურ ზონამდე აღწევენ და აირწინაღებით შეტევაზე გადასული ჯარის ხილვადობას აბრკოლებენ. ბრიტანელი ჯარისკაცები მალე იკარგებიან ქლორიანი გაზის შეუღწევად ნისლში. შუადღისთვის ბრიტანელი გენერალი, დუგლას ჰეიგი გადაწყვეტს რეზერვის გამოყენებას, რათა გამარჯვება უზრუნველყოს. გერმანელები პირველი დარტყმისთანავე დამარცხდებიან, – არწმუნებს იგი თავის მხედართმთავარს, ფელდმარშალ ფრენჩს.[432] იგი გულისხმობს ძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებას, რაც ვითარების სრულიად არასწორი შეფასებაა.

ამ დროს კი, გერმანელები ნამდვილად არ აპირებენ დამარცხებას. საგულდაგულოდ მოწყობილ, ეკლიანი მავთულხლართებით შემოვლებულ სანგრებში, ისინი თავდაცვისთვის კარგად მომზადებულები ელოდებიან მოწინააღმდეგის შემდგომ შემოტევას. 26 სექტემბერს, დილის 11 საათზე, იერიშზე ბრიტანელთა 21-ე და 24-ე დივიზიები გადმოდიან. მათ საერთოდ არა აქვთ საბრძოლო გამოცდილება. კოკისპირულ წვიმაში და ცარიელი კუჭით გადაადგილდებიან ფრონტისაკენ თვრამეტი საათის განმავლობაში ახალგაზრდა ჯარისკაცები, უმეტესად, სიბნელეში, გეოგრაფიული რუკისა და მხარდაჭერის გარეშე. მათ ზუსტად არც კი იციან, სად მდებარეობს მათი სამიზნე. მათ უჩვენეს მხოლოდ არაზუსტი საორიენტაციო პუნქტები, როგორიცაა, მაგალითად, სიმაღლე 70. ბრიტანელები მარშირებენ ათ რიგად, თითო რიგში ათასი კაცით.

გერმანელები გაკვირვებულები არიან. ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებენ. არასოდეს უნახავთ ასე დაკომპლექტებული ჯარისკაცების მასა და ასე ორგანიზებული შეტევითი წყობა, რომელიც წინ მოიწევდეს ტყვიამფრქვევების მიმართულებით. ისინი საუკეთესო სამიზნეები არიან. რამდენიმე ჯარისკაცი აღწევს ერთი მეტრი სიმაღლისა და ექვსი მეტრი სიღრმის ეკლიანი მავთულხლართების ზონას და ამაოდ ცდილობს სრულიად გამოუსადეგარი მაკრატლით მის გადაჭრას. გერმანელები ცეცხლს ხსნიან. ათასობით ბრიტანელი ჯარისკაცი ეცემა ტყვიამფრქვევების ცეცხლით. ძალიან ბევრი გერმანელი წყვეტს ცეცხლს იმის დანახვისთანავე, თუ როგორ იხევენ უკან, საწყისი პუნქტისაკენ საგრძნობლად შემცირებული ბრიტანული დივიზიები. ბრძოლის შედეგები მართლაც გამაოგნებელია. ათი ათასი ბრიტანელი ჯარისკაციდან ბრძოლის ველზე შვიდი ათას რვაას სამოცდაერთი ჯარისკაცი და სამას ოთხმოცდახუთი ოფიცერი რჩება. გერმანელების

[432] ჯონ დენტონ პინკსტონ ფრენჩი (ინგლ. John Denton Pinkstone French) (1852-1925წ.წ.) – ბრიტანელი ოფიცერი. იპრის პირველი გრაფი სერ ჯონ ფრენჩის სახელით 1901-დან 1916 წლამდე, ხოლო ვიკონტ ფრენჩის სახელით 1916-1922 წლებში. დიდი ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი. I მსოფლიო ომში ბრიტანეთის საექსპედიციო ჯარების სარდალი ევროპაში. 1918 წლიდან ირლანდიის გუბერნატორი.

მხარეს კი საერთოდ არ ყოფილა დანაკარგი. სამხედრო ისტორიაში მსგავსი შეუსაბამო ფაქტი არ მოიძებნება, თუმცა ლუზის უაზრო ხოცვა-ჟლეტა უფრო დიდი სისხლისღვრის წინამორბედია.

1917 წლის აპრილში თითქმის ორმოცდაათი ბრძოლით გადაღლილი და რევოლუციური იდეებით შეპყრობილი ფრანგული დივიზიები ავჯანყების ზღვარზე იმყოფებიან. მათი პირადი შემადგენლობა უარს აცხადებს ბრძანებების შესრულებასა და ბრძოლის გაგრძელებაზე. ამ დროს კი, ფრონტის ხაზსა და პარიზს შორის მხოლოდ ორი ფრანგული დივიზია დგას. გერმანელებს შეუძლიათ შეტევაზე გადასვლა და სწრაფი თავდასხმით მთელი საფრანგეთის დაპყრობა ძლიერი წინააღმდეგობის გარეშე. მაგრამ გერმანელები ყოყმანობენ, ისინი არ იყენებენ ხელსაყრელ სიტუაციას და ხელიდან უშვებენ უტყური გამარჯვების მიღწევის ერთჯერად შანსს. საფრანგეთი გადარჩება და I მსოფლიო ომიც კიდევ ერთნახევარი სისხლიანი წელიწადი გაგრძელდება.

1944 წლის ზაფხულში ჰიტლერი, ისევე როგორც მისი გენერლები, დარწმუნებულები არიან, რომ მოკავშირეების მიერ კონტინენტზე დესანტის გადმოსხმა პა დე კალეშია მოსალოდნელი. ამიტომ საფრანგეთის ტერიტორიაზე გაშლილი ვერმახტის ჯარების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სატანკო დივიზიები, მზადყოფნაში სწორედ აღნიშნულ ადგილას არიან და არა ნორმანდიაში, სადაც ფაქტობრივად განხორციელდება კიდეც მოკავშირეთა ჯარების დესანტის გადმოსხმა 6 ივნისს, გერმანელებისათვის გაუთვალისწინებელ დროს.

1950-1951 წლების ზამთარში, კორეის ომის მსვლელობისას, ამერიკელები წარ-მატებით მიიწევენ ჩრდილოეთ კორეისკენ და ჩინეთის სასაზღვრო მდინარე იალუზე გასვლასაც გეგმავენ. ამ დროს კი, გენერალი მაკარტური[433] არწმუნებს აშშ-ს პრეზიდენტს,[434] რომ საბრძოლო მოქმედებები მალე დასრულდება და ჩინეთის მხრიდან ინტერვენცია არ წარმოადგენს მოსალოდნელ საფრთხეს. მან არ იცის, რომ ჩრდილოეთ კორეაში უკვე შეიჭრა დაახლოებით ასი ათასი ჩინელი ჯარისკაცი, ე.წ. „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია", რომელიც ამერიკელებს, მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გარეშე სამხედრო ისტორიაში პირველად, საშინლად დაამარცხებენ სასაზღვრო მდინარე იალუსთან გამართულ ბრძოლაში. შემდეგ კი, უკან, სამხრეთ კორეის ტერი-ტორიაზე დაახევინებენ.

4. მოწინააღმდეგის წინდაუხედაობა

სამხედრო ისტორიაში არსებობს იმის საკმარისი მაგალითები, რომ მეომარი მხარე მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში სრულიად შეცბუნებული რჩება. ის ფიქრობს, რომ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგის მოულოდნელი, სწრაფი

---

433 დუგლას მაკარტური (ინგლ. Douglas MacArthur) (1880-1964წ.წ.) – შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი სამხედრო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი სამხედრო მეთაური და სარდალი, აშშ-ს არმიის ხუთვარსკვლავიანი გენერალი და ფილიპინების არმიის ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომებისა და კორეის ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი. სხვადასხვა ორდენებისა და საბრძოლო მედლების კავალერი. 1930-იან წლებში ეკავა აშშ-ს არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა, II მსოფლიო ომის დაწყებამდე ფილიპინების გენერალ-გუბერნატორი, ხოლო II მსოფლიო ომის დროს წარმოადგენდა აშშ-ს ჯარების სარდალს წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე. სწორედ მან მიიღო 1945 წლის 2 სექტემბერს სახაზო გემ „მისურის" ბორტზე იაპონელთა უსიტყვო კაპიტულაცია. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იაპონიის გენერალ-გუბერნატორი და 1950 წელს კორეაში გაეროს ეგიდით შეყვანილი მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი. ერთ-ერთი იმ ხუთი ხუთვარსკვლავიან გენერალთაგანი, რომელიც ოდესმე ყოფილა აშშ-ს ისტორიაში და ფილიპინების არმიის ერთადერთი ფელდმარშალი.

434 აქ ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტზე, ჰარი ტრუმენზეა (Harry Truman) საუბარი.

მოქმედება მას მარცხს განაცდევინებს. ჩანაფიქრის ფარულობა და მოქმედებების სისწრაფე მოულოდნელობის გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენს. „თუ მოხერხდება მისი შესრულება უმაღლეს დონეზე, – ამბობს კლაუზევიცი, – შედეგად მივიღებთ მოწინააღმ-დეგის დაბნეულობასა და მისი საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითებას.“

1740-1741 წლების ზამთარში, სულ ახლახან გამეფებული პრუსიის ახალგაზრდა და ამბიციური მეფე, ფრიდრიხ II ბედავს ჰაბსბურგების ზესახელმწიფოზე, ავსტრიაზე თავდასხმას. ამას არავინ ელოდა. 1740 წლის დეკემბერში პრუსიული ჯარების სილეზიაში შეჭრა ავსტრიელებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. პრუსიელები სილეზიას იპყრობენ, ამ დრო კი, ავსტრიის არმიის მთავარი ძალები უნგრეთში იყო განლაგებული.

დაუჯერებელი ეშმაკობა ხდება 1805 წლის ნოემბერში, ვენაში ნაპოლეონის ჯარების შესვლისას. მარშალ ლანის[435] V კორპუსი და მარშალ მიურატის[436] ექვსი საკავალერიო დივიზია „დიდი არმიის“ (Grande Armée) ავანგარდში იმყოფება. მდინარე დუნაი, როგორც ბუნებრივი ბარიერი, ისე კეტავს გზას. ავსტრიელები რამდენიმე ხიდს აფეთქებენ. მაგრამ ღია ქალაქად გამოცხადებული ვენის ჩრდილოეთით მდებარე თაბორის ხიდი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს. იგი შედგება მთელი რიგი ხის კონსტრუქციებისა და დამბებისგან, რომელზეც მთავარი ქუჩა გადის ტყით დაფარული კუნძულისა და პატარა არხების გასწვრივ. ხიდის უკანასკნელი თაღი, კუნძულ ვოლფაუდან ჩრდილოეთ ნაპირამდე, ხუთასი მეტრი სიგრძისაა. ფიცარზე აწყვია შეშა, ჩალა და დენთი. ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხიდის მახლობლად, დგას ავსტრიის სარეზერვო კორპუსი, ხანშიშესული გენერალ-ლეიტენანტის, თავად აუერშპერგის[437] მეთაურობით, რომელიც ამ დავალების შესასრულებლად დააბრუნეს სამსახურში. ავსტრიელთა მძიმე ბატარეა კეტავს ხიდის ჩრდილოეთ მისასვლელს. თუ ფრანგებს სურთ სწრაფად გადაადგილება, მათ აუცილებლად დასჭირდებათ ეს ხიდი.

1805 წლის 13 ნოემბერს ხიდზე გაოგნებული ავსტრიელი გენერალ-ადიუტანტის თვალწინ მარშით გადაადგილდებიან გენერალი ბელიარი[438], მარშალი ლანი და მარშალი მიურატი თავიანთი ზიზილ-პიპილოებიანი უნიფორმებით და უცხადებენ ავსტრიელი ყარაულების უფროს ოფიცერს, ჰუსარების მეთაურს, გერინგერს, რომ ომი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ზავის დადებით დამთავრდა და ახლა ხიდი ფრანგებს ეკუთვნის. მარ-

---

435 ჟან ლანი (ფრანგ. Jean Lannes) (1769-1809წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და სარდალი, მონტენბლოს 1-ლი ჰერცოგი, იმპერიის მარშალი, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების აქტიური მონაწილე. ნაპოლეონ ბონაპარტე მის შესახებ ამბობდა: „ლანს სიმამაცე ჭკუაზე მეტი ჰქნდა, მაგრამ წონასწორობის მისაღწევად მისი გონება დღითი-დღე იზრდებოდა. მე იგი პიგმეად აღმოვაჩინე და გიგანტად დავკარგე”. 1796-1797 წლების იტალიის კამპანიაში ლანმა ორჯერ იხსნა ნაპოლეონი სიკვდილისაგან. მისი სახელი ამოკვეთილია პარიზის ტრიუმფალურ თაღზე.

436 იოაჰიმ (ჟოაკიმ) მიურატი (ფრანგ. Joachim Murat) (1767-1815წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და სარდალი, ბერგის დიდი ჰერცოგი 1806-1808 წლებში და ნეაპოლის მეფე 1808-1815 წლებში, იმპერიის მარშალი, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების აქტიური მონაწილე. ნაპოლეონ ბონაპარტეს სიძე, მისი უმცროსი დის, კაროლინა ბონაპარტეს ქმარი. 1812 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა იგი გერმანიაში მოქმედი ფრანგული ჯარების მთავარსარდლად დანიშნა, მაგრამ მიურატმა მალე თვითნებურად დატოვა ეს თანამდებობა და სამხრეთ იტალიაში დაბრუნდა. 1814 წელს გადავიდა ნაპოლეონის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. 1815 წელს, ნაპოლეონის ხელისუფლებაში ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ შეეცადა დაბრუნებულიყო მასთან, მაგრამ ნაპოლეონმა იგი აღარ მიიღო. ნაპოლეონი მის შესახებ ამბობდა: „არ არსებობდა მასზე უფრო გაბედული, უშიშარი და ბრწყინვალე კავალერიის მეთაური... იგი ჩემი მარჯვენა ხელი იყო, მაგრამ თავის თავს მიცემული, მთელ ენერგიას კარგავდა. იგი ყველაზე მამაცი ადამიანი იყო ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. ბრძოლის ველზე ნამდვილი რაინდივით მოქმედებდა, მაგრამ კაბინეტში უტვინო და მერყევი ბაქია იყო”.

437 კარლ ფონ აუერშპერგი (გერმ. Karel von Auersperg) (1740-1822წ.წ.) – ავსტრიელი მხედართმთავარი, თავადი, ფელდმარშალ-ლეიტენანტი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1758 წელს. მონაწილეობდა ავსტრიის მიერ წარმოებულ ომებში. 1788-1790 წლებში მეთაურობდა პოლკს. 1790 წლიდან გენერალ-მაიორია. 1793 წელს ნიდერლანდებში მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა. 1795 წელს დაბრუნდა ავსტრიაში, 1796 წელს მიენიჭა ფელდმარშალ-ლეიტენანატის წოდება.

438 ალექსანდერ პიერ ჟულიენ დე ბელიარი (ფრანგ. Alexandre Pierre Julienne de Bélair) (1747-1819წ.წ.) – საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების ერთ-ერთი სამხედრო მეთაური. პარიზის დაცვის რევოლუციური არმიის მთავარი სამხედრო ინჟინერი. ბრიგადის გენერალი 1793 წლიდან და ეროვნული გვარდიის პარიზის ლეგიონის მეთაური. შემდგომში ნაპოლეონის „დიდი არმიის” (Grande Armée) საინჟინრო სამსახურის უფროსი.

შალი მიურატი, ფიცხი, გამბედავი გასკონელი, მოწინააღმდეგის ქვემეხს უახლოვდება და ზედ სიცილით ჯდება. ფრანგები მას ბაძავენ, ავსტრიელებს ხელს უქნევენ და ყვირიან, რომ ისინი კარგი მეგობრები არიან. ისინი ჭრიან ფითილებს და ადვილად აალებად ნივთიერებას მდინარეში ყრიან. გაბედული ტყუილი საოცარი ძალით მოქმედებს, რადგან გამოძახებული გენერალი აუერშპერგი ეჭვსაც არ იღებს. როგორც ოფიცერი, მარშალი მიურატი მას აძლევს პატიოსან სიტყვას, რომ საომარი მოქმედებები დასრულებულია და იგი ავსტრიელებს ნებას რთავს, დაბრკოლების გარეშე დაიხიონ უკან. მას ავსტრიული ბატარეის შენარჩუნება და ზარბაზნების დაუფლება სურს. აუერშპერგი მას უჯერებს. ეს არის ავსტრიელთა მიერ დაშვებული დაუჯერებელი შეცდომა, რომელიც რამდენიმე დღეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს აუსტერლიცთან ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებაში. ამ შეცდომის გამო, მოხუცებულ აუერშპერგს მოგვიანებით სამხედრო სასამართლოს წინაშე წარადგენენ და სიკვდილსაც მიუსჯიან, მაგრამ იმპერატორი მას შეიწყალებს. იგი საპყრობილეში გარდაიცვლება.

1941 წლის დეკემბერში ამერიკელებისთვის პერლ ჰარბორზე იაპონელების თავდასხმა ისევე მოულოდნელი იყო, როგორც 1944 წლის დეკემბერში, არდენზე, იგივე ამერიკელთა წინააღმდეგ გერმანელების მიერ განხორციელებული შეტევა. მაგრამ უკვე 1950 წელს ამერიკელები ახერხებენ ჩრდილოეთ კორეელებისათვის მსგავსი მოულოდნელი დარტყმის მიყენებას. სახიფათო ოპერაციის ჩასატარებლად სამოცდაათი ათასი ამერიკელი ჯარისკაცის გადმოსხმა ინჩხონთან, მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში, მოსალოდნელი დამარცხების თავიდან აცილების გარანტი ხდება.

იომ-ქიფურის ომში, 1973 წელს, ისრაელის ქებული სადაზვერვო სამსახურები და მოსახლეობა სახტად დატოვა ეგვიპტელთა მიერ ომის დაწყებამ და სუეცის არხზე მათმა თავდასხმამ. ომის პირველ ეტაპზე ეგვიპტელებმა ისრაელის ნაქები სატანკო ბატალიონები გაანადგურეს. არავის არ სჯეროდა, რომ ეგვიპტელებს ომის დაწყებისა და წარმოების საშუალება ექნებოდათ. არადა, თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე, ებრაელების უდიდესი დღესასწაულის დროს, იომ-ქიფურის დღეს, ისრაელის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი მოსალოდნელი ომის საფრთხის არსებობაზე საუბრობდა.

5. ჯარების არასწორი წყობა

ომში დაშვებული შეცდომების რიცხვშია ასევე საბრძოლოდ გამზადებული ჯარების არასწორი გაშლა და მათი წყობა.

ძვ.წ. 216 წელს კანეს ბრძოლა ამ შემთხვევის კლასიკური მაგალითია. ვარონმა რომაელების ქვეითი ჯარი განალაგა ცენტრში, ერთ პირდაპირ ხაზზე და ღრმა ეშელონებად, ისე რომ ფრონტი სიგანეში ბევრად უფრო მცირე იყო, ვიდრე სიღრმეში. იგი ვარაუდობდა, რომ ლეგიონერები ამ ხერხით ცენტრიდან ჰანიბალის კართაგენელების მიერ მოსალოდნელ დარტყმებს უკეთ შეაჩერებდნენ და შეძლებდნენ გარღვევის დაბრკოლებას. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა – რომაელების ქვეითი ჯარის გადაადგილების უნარი და სამანევრო სივრცე უკიდურესად შეიზღუდა და მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ჯარისკაცმა შეძლო საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის მიღება, რომაელთა ჯარის უმეტესი მასა კი, უმოქმედო აღმოჩნდა.

1798 წლის აგვისტოში, ფრანგთა მიერ ნილოსის შესართავთან გამართული აბუ-ქირის ბრძოლა ნელსონის ფლოტის წინააღმდეგ სხვაგვარად წარიმართებოდა და სხვა შედეგებით დასრულდებოდა, საფრანგეთის ფლოტის ადმირალს სხვაგვარად რომ განელა-გებინა თავისი ჩვიდმეტი სამხედრო გემი. მათ ღუზები ნახევარწრის ფორმის ყურეში სანაპიროდან მოშორებით ჩაუშვეს, ისე რომ რამდენიმე ბრიტანულმა გემმა მაინც შეძლო

თავისუფალ სივრცეში გასვლა და ფრანგებზე ორი მხრიდან იერიშის მიტანა. შედეგად, ბრიტანელებმა ფრანგული ფლოტი გაანადგურეს.

1866 წელს ავსტრია იძულებული გახდა პრუსიელების წინააღმდეგ ორ ფრონტზე ებრძოლა, რადგან იტალიელები პრუსიელების მოკავშირეები იყვნენ. ავსტრიელმა ერცჰერცოგმა ალბრეხტმა, ნიჭიერმა და გამოცდილმა მთავარსარდალმა, სამოცდათხუთმეტი ათასი ჯარისკაცით უნდა შეინარჩუნოს სამხრეთის ფრონტი, სადაც თავი მოუყრია ას სამოცდათხუთმეტიათას იტალიელს ორი არმიით ვენეციის რეგიონის დასაპყრობად. მათ სარდლებს გენერლები ლამარმორა და ჩალდინი წარმოადგენენ. მაგრამ, რადგან აქვე იმყოფება იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელე II[439] ჯართან ერთად, დასაწყისშივე გაურკვეველია, ვინ იქნება საბოლოოდ ორი მოკავშირე არმიის მთავარსარდალი. ისინი მარშირებენ არაკოორდინირებულად, არ აქვთ ერთმანეთთან სატელეგრაფო კავშირი და არ იციან, ზუსტად სად იმყოფება ავსტრიის არმია, ან რა აქვს მას განზრახული. იტალიელები წინ დაზვერვის გარეშე, თანაც არასწორი განლაგებით მიიწევენ. საკავალერიო პოლკები არ იმყოფებიან წინ და არც ფლანგზე არიან განლაგებული, სადაც მათ შეეძლებათ მანევრის ორგანიზება. ისინი არიერგარდში იმყოფებიან. სწორედ ეს არის მათი მთავარი შეცდომა. როდესაც კუსტოცთან ღია ფლანგზე მოულოდნელად ჩნდებიან ავსტრიელები და შეტევაზე გადადიან, გენერალი ლამარმორა სრულიად გაოგნებულია. მისი თორმეტი დივიზიიდან უმეტესობა საერთოდ არ არის მზად ბრძოლისთვის, არმიას კი არ ჰყავს დანიშნული ხელმძღვანელობა. ძალიან მოკლე დროში იგი სამიათას ხუთას კაცს კარგავს და ბრძოლაც მისთვის კატასტროფით მთავრდება. იტალიელები იარაღს ყრიან და ბრძოლის ველიდან გარბიან.

6. შეცდომის დაშვება მოწინააღმდეგის ჯარების ადგილმდებარეობის განსაზღვრაში

ასეთი შეცდომა, რაც მოწინააღმდეგის ჯარების ადგილმდებარეობის არასწორ განსაზღვრაში მდგომარეობს, რომელიც ხშირად არასათანადო დაზვერვითაა განპირობებული, უმეტესად დამღუპველია და ბრძოლის საბოლოო შედეგებიც მასზეა დამოკიდებული.

ანტიკური ხანიდან ამის კლასიკური მაგალითია ჰანიბალი და ძვ.წ. 217 წელს ტრაზიმენოს ტბის ბრძოლა, რომელიც უმბრიის რეგიონში, ტიბრის დასავლეთით, დღევანდელი ქალაქ პერუჯას მახლობლად მდებარეობს. ჰანიბალმა თავი დააღწია კონსულ ფლამინიუსის[440] რომაული ლეგიონების დევნას და თავი შეაფარა ტბის ნაპირზე აღმართულ და ტყით დაფარულ ბორცვებს, რაშიც ხელს უწყობდა ასევე წყლის ზედაპირიდან წამოსული სქელი ნისლი. ჰანიბალის აფრიკულმა და იბერიულმა ჯარებმა რომაელებისგან შეუმჩნევლად ჩაკეტეს ხეობის შესართავი. ფლამინიუსს წარმოდგენა არა აქვს, სად იმყოფება მოწინააღმდეგის ჯარი. ჰანიბალი არ აგზავნის მზვერავს ტერიტორიის დასაზვერად, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ხილვადობა და ხეობის სივიწროვე მას სიფრთხილისკენ მოუწოდებს. რომაელები არხეინად მარშირებენ სანაპიროს გასწვრივ და

---

[439] ვიტორიო ემანუელე II (იტალ. Vittorio Emanuele II) (1820-1878 წ.წ.) – სავოის დინასტიის დიდი იტალიელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, იტალიის მონარქი. სარდინიის სამეფოს (პიემონტი) მეფე 1849 წლიდან, ახალი დროის გაერთიანებული იტალიის პირველი მეფე 1861 წლიდან, დედაქალაქით ტურინი, 1865 წლიდან – ფლორენცია, 1871 წლიდან – რომი. დაკრძალულია რომის პანთეონში. მის საფლავს ამშვენებს წარწერა "Padre Della Patria" (სამშობლოს მამა).

[440] გაიუს ფლამინიუსი (ლათ. Gaius Flaminius) (ძვ.წ. 260-217წ.წ.) – ძველი რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, რომის კონსული ძვ.წ. 223-217 წლებში. ძვ.წ. 223 წელს მდინარე პოსთან გაანადგურა იტალიაში შემოჭრილი გალთა ერთ-ერთი ტომი. ძვ.წ. 220 წელს რომში ააშენა ცირკი და გაიყვანა გზა, რომელიც რომს არიმინუმთან აერთებდა ეტრურიისა და უმბრიის გავლით. მეორე პუნიკური ომის მსვლელობისას, ძვ.წ. 217 წლის 22 ივნისს, ჰანიბალის მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში მოყვა ტრაზიმენოს ტბასთან, სადაც მისი არმია განადგურდა, თვითონ კი დაიღუპა.

ჩასაფრებისკენ, საკუთარ მარცხთან შესახვედრად დაჟინებით მიემართებიან. ჰანიბალის ჯარისკაცები მოულოდნელად გამოდიან ტყიდან, ჩამოდიან გორაკიდან და ერეკებიან რომაელებს ტბისკენ, სადაც ძალიან ბევრი იხრჩობა. რომაელთა თითქმის ოთხი ლეგიონი ნადგურდება. ბრწყინვალე გამარჯვება ჰანიბალს რჩება.

1866 წლის ივლისში ავსტრიელმა მხედართმთავარმა ბენედეკმა, პრუსიელების წინააღმდეგ კონიგრაცთან გამართული ბრძოლა თითქმის მოიგო. მან წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევა, მაგრამ კონტრიერიშზე გადასვლის ნაცვლად თავდაცვით პოზიციებზე დარჩა, რათა პრუსიელები თანდათან გაენადგურებინა თავისი არტილერიით. იგი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს მოპოვებული უპირატესობის რეალიზაციისათვის და პრუსიის მომავალი მეფის, კრონპრინც ვილჰელმის მე-2 არმია ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა მარჯვენა ფლანგისგან.

მაგრამ ბენედეკი ცდება. ვილჰელმის არმია მას ფორსირებული მარშით უახლოვდება და ბევრად უკეთაა გარკვეული სიტუაციაში, ვიდრე ეს ბენედეკს წარმოუდგენია გადაწყვეტილების მიღებისას. კრონპრინც ვილჰელმის პრუსიელთა მე-2 არმია ბრძოლაში ებმება და ბრძოლაც ავსტრიელებისათვის არასახარბიელოდ ვითარდება. საბოლოოდ, ისინი მარცხდებიან.

1905 წლის მაისში, რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, საბრძოლოდ გაწყობილი რუსული ფლოტი ინდოეთის ოკეანიდან ვლადივოსტოკისაკენ, ცუშიმასკენ მიემართება, თუმცა რუსმა ადმირალმა როჟესტვენსკიმ ზუსტად არ იცის, სადაა განლაგებული იაპონელთა ფლოტი. ამით იაპონელი ადმირალი ტოგო ტაქტიკურ უპირატესობას იღებს, რათა იაპონელთა სახაზო გემებმა საზღვაო ბრძოლის კლასიკური მანევრი „T-სებრი კვეთა“ შეასრულონ და რუსულ ფლოტს გადაუკეტონ გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ისინი ბორტებიდან ცეცხლს უხსნიან კილვატერული წყობით მომავალ რუსულ გემებს, რომელთაგან თითქმის ყველა იღუპება.

7. ბუნებრივი პირობების არასწორი შეფასება

ბუნების ძალების ზემოქმედება და მისი არასწორი შეფასება ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრძოლის მიმდინარეობაზე და ზოგჯერ მის შედეგებზეც კი. ფართო გაგებით კი, ამ ფაქტორს შეგვიძლია მივაკუთვნოთ კლიმატური პირობებით გამოწვეული დაავადებები.

ძვ.წ. 331 წელს გავგამელას ბრძოლა მეტისმეტად „მტვრიან ადგილმდებარეობაზე“ ჩატარდა. როდესაც სპარსელთა მეფე დარიოსი ძალიან მშრალ ტერიტორიაზე აგზავნის თავის რიცხობრივად ბევრად აღმატებულ სპარსელ ცხენოსნებსა და საბრძოლო ეტლებს ალექსანდრე მაკედონელის ცენტრზე თავდასხმისთვის, იგი არ ითვალისწინებს ბრძოლის დროს ჰაერში ავარდნილი ბუღის ფაქტორს. ავარდნილი მტვრის გამო რამდენიმე მეტრზე შეზღუდული ხილვადობა აბრკოლებს სპარსელთა კომუნიკაციას და ჯარების მართვას ისე, რომ საბრძოლო ეტლების შეტევა მხარდაჭერის გარეშე რჩება.

1336 წლის აგვისტოს ძლიერი წვიმების შედეგად დარჩენილია სინესტე, მისგან მომდინარე საფრთხეს კი არასწორად აფასებენ ფრანგი რაინდები კრესის ბრძოლის წინ. ისინი ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის არიან შემართულები. ამ დროს კი, ფრანგების მოკავშირე შიშის მომგვრელი გენუელი მეარბალეტეების არბალეტის ლამბები ისე დატენიანდა, რომ მათი დრეკადობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოქმედების სიშორე შემცირებულია, ხოლო ისრები ვეღარ აღწევენ ინგლისელების პოზიციებამდე. ასე, რომ ინგლისელები წარმატებულ კონტრიერიშზე გადადიან. საერთო ჯამში, კრესის ბრძოლა ინგლისელების გამარჯვებით სრულდება.

ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთი ნიდერლანდებში 1809 წელს 616 გემით სამოცდაათი ათასი საუკეთესოდ მომზადებული ჯარისკაცისგან შემდგარ საექსპედიციო კორპუსს აგზავნის. ამ უდიდესი სადესანტო ოპერაციით პირველ რიგში დაგეგმილია შელდაზე მდგომი ფრანგული ფლოტის განადგურება და დუნაიზე ფრანგების წინააღმდეგ უიმედოდ მებრძოლი ავსტრიელების დახმარება მეორე ფრონტის გახსნით. მაგრამ ინგლისელები უარს ამბობენ სათანადო სამედიცინო ზომების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ცნობილია კუნძულ ვალხერენზე გაბატონებული არაჯანსაღი კლიმატის შესახებ. დაბლობ, ზღვისგან მოწყვეტილ ადგილზე გადაჭიმულია ჭაობიანი ტერიტორია აყროლებული გუბეებით, რომელზეც კოღოების გუნდი ირევა.

1809 წლის აგვისტო ცხელი და ავდრიანია, ჭაობებზე კი, სქელი ნისლი დევს. შელდას შესართავთან გადმოსხმისას ინგლისელები აინუნშიც არ აგდებენ უამრავ კოღოს, რომლებიც მათ კბენენ და თავს აბეზრებენ. მათ არ იციან, რომ ისინი მალარიის გადამტანები არიან. მაშინ ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ დაავადების გავრცელებაში დიდ როლს ცუდი ჰაერი ასრულებდა, აქედან გამომდინარეობს ამ დაავადების სახელწოდებაც. ასეთ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ბრიტანელი ჯარისკაცები მაღალი სიცხითა და ძლიერი წყურვილით იტანჯებიან. ჭაობის ციებ-ცხელება, მალარია, მებრძოლთა რიგებს ცელავს.

6 აგვისტოსათვის უკვე ექვსას ოთხმოცდარვა ადამიანია დაავადებული, 3 სექტემბერს კი მათი რაოდენობა 8195-დე იზრდება. მართალია ბრიტანულ კორპუსს თან რამდენიმე ექიმი ახლავს და ცოტაოდენი ქინაქინაც აქვთ წამოღებული, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, ჭაობის ციებ-ცხელებით დაავადებულთა რიცხვი ძალიან დიდია. უკვე ოქტომბერისათვის ვალხერენზე განთავსებული ორმოცი ათასი ჯარისკაციდან, რომელიც ბრიტანეთის არმიის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს, ბრძოლისუნარიანი მხოლოდ ხუთი ათას ექვსას თექვსმეტი რჩება.

საბოლოოდ, ფრანგებთან გამართულ ბრძოლაში მხოლოდ ასექვსი ჯარისკაცი იღუპება, „შელდას ციებ-ცხელებისგან“ კი, ოთხი ათასზე მეტი. კატასტროფით დასრულებული ვალხერენის ექსპედიციის განადგურება წარმოადგენს უადვილეს გამარჯვებას, რაც კი ოდესმე მოუპოვებია ნაპოლეონს მნიშვნელოვანი რაოდენობის მოწინააღმდეგის ძალებზე.

მაგრამ სამი წლის შემდეგ თვითონ ნაპოლეონი შეცდება ბუნებრივი პირობების შეფასებაში. 1812 წელს რუსეთზე გალაშქრებისას ის არაფრად აგდებს გაფრთხილებას, რომ საჭიროა ყურადღების გამახვილება პოლონეთში არსებულ სრულიად დაბინძურებულ რაიონზე, სადაც ტიფის ეპიდემიის გავრცელების საფრთხე არსებობს.

1812 წლის ზაფხული უჩვეულოდ ცხელი და მშრალია. პოლონეთის ჭებში წყალი დაბინძურებულია. დაავადების ტიპი, რომელიც მკბენარებს გადააქვთ, ძალიანაა გავრცელებული იმ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც ფრანგების „დიდმა არმიამ" უნდა გაიაროს. მდინარე ნემანის გადალახვისას პირველი შემთხვევები იჩენს თავს, ივლისის ბოლოსათვის კი, დაახლოებით ოთხმოცი ათასი ადამიანი ავადდება და იღუპება. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი არ ჩერდება დაპყრობილ სმოლენსკში, როგორც ამას თავისი მარშლები ურჩევენ. იგი არასათანადოდ აფასებს დაავადებას, ისევე როგორც ქვეყნის სიდიდეს და ჯარისკაცებს არ აძლევს დასვენების საშუალებას – მას სურს ზამთრის დადგომამდე შევიდეს მოსკოვში.

სექტემბერში მისი ნახევარმილიონიანი ძლიერი არმია უკვე ასსამოც ათასამდე მცირდება. ხოლო მოსკოვთან მიახლოებისას მას მხოლოდ ოთხმოცდათხუთმეტი ათასი ჯანმრთელი ჯარისკაცი ჰყავს. მისი საბოლოო დამარცხება უკვე ბოროდინოს ბრძოლის წინაა გადაწყვეტილი. ძალიან ადრე დაწყებულ ცივ რუსულ ზამთარს შედეგად კატასტროფა მოსდევს.

სალაშქრო კამპანიის დასრულებისას ნაპოლეონის განკარგულებაში მხოლო ათი ათასი ჯარისკაციღა რჩება, რომელთაც ბრძოლა ჯერ არ წაუგიათ და ჯერ კიდევ

შეუძლიათ იარაღის ტარება. ბუნების ძალებისა და კლიმატური პირობების არასწორმა შეფასებამ ისტორიაში უდიდესი მარცხი განაპირობა.

8. არასწორი სტრატეგია

ცნობილი ფაქტია, რომ არა მხოლოდ ცალკეული ბრძოლების, არამედ მთლიანად საომარი კამპანიებისა და ომების წაგებაა შესაძლებელი არასწორად შერჩეული სტრატეგიების გამო.

ამ მოსაზრების ტიპიური მაგალითია I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე 1916 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე მიმდინარე ვერდენის ბრძოლა. გერმანიის შეიარღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ფალკენჰაინი[441] შეტევის გეგმას საფუძვლად უდებს იდეას, რომ საჭიროა ფრანგული არმიის დაუძლურება მისთვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენებით. ძალების სრულ დასუსტებამდე ამ საომარი კამპანიის მიზანი არის არა ტერიტორიების დაპყრობა, არამედ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, მისი გამოფიტვა და საბრძოლო სულისკვეთების დაცემა. მაგრამ ფალკენჰაინის გეგმა არ ამართლებს – გერმანელების მიერ განცდილი უმძიმესი დანაკარგები თითქმის ისეთივე დიდია, როგორც ფრანგული მხარისა. კამპანიის საბოლოო მიზნის, ვერდენის დაპყრობას კი, გერმანელები მაინც ვერ ახერხებენ.

II მსოფლიო ომის დროს, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის" საჰაერო კამპანიაში, რომელიც 1940 წლის სექტემბერში მიმდინარეობდა, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები კამპანიის მსვლელობისას ცვლიან თავიანთ სტრატეგიას და თავს ესხმიან ლონდონს, იმის მაგივრად, რომ გააგრძელონ წარმატებული შეტევები ინგლისის აეროდრომებზე, რადიოლოკაციურ სადგურებსა და სამრეწველო ინფრასტრუქტურაზე. ლონდონთან ერთად გერმანული ავიაციის მიერ ინგლისის სხვა ქალაქებიც იბომბება. ასეთი მოქმედებით გერმანელები ცდილობენ, სამაგიერო გადაუხადონ ბრიტანელებს გერმანული ქალაქების დაბომბვისათვის. მაგრამ გერმანელთა მიერ გატარებული ეს სტრატეგია შეცდომა იყო. მან სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. გერმანელთა ავიაცია დიდ დანაკლისებს განიცდის და საბოლოოდ, „ბრიტანეთისთვის ბრძოლა" ინგლისელების სასარგებლოდ სრულდება. გერმანელები მარცხდებიან.

---

[441] ერიხ გეორგ ანტონ ფონ ფალკენჰაინი (გერმ. Erich Georg Anton von Falkenhayn) (1861-1922წ.წ.) – ძველი პრუსიული არისტოკრატული ოჯახის წარმომადგენელი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1880 წელს. 1896-1903 წლებში მსახურობდა ჩინეთში. 1912 წლიდან გენერალ-მაიორია. I მსოფლიო ომის პერიოდის ცნობილი გერმანელი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე. პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მინისტრი 1913-1914 წლებში, გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი 1914 წლის სექტემბრიდან 1916 წლის 29 აგვისტომდე. გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან ვერდენის ოპერაციის ჩავარდნის, სომაზე მოკავშირეთა შეტევითი მოქმედებების დაწყებისა და აღმოსავლეთის ფრონტზე ბრუსილოვის გარღვევის გამო. სამხედრო თემატიკაზე დაწერილი რამდენიმე წიგნისა და ნაშრომის ავტორი.

დასკვნა

ომში დაშვებული შეცდომების სიმრავლიდან, ასევე მისგან გამომდინარე გამარჯ-ვებებისა და დამარცხებების მიზეზების საერთო ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, რაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ჩამოაყალიბა პლუტარქემ კიმბრებისა და ტევტონების შესახებ თავის გამონათქვამში: „არსებობს ძალაუფლება, რისი ნებითაც იღბალი და უიღბლობა ადამიანების ბედისწერას ცვლის.“ ამ თვალსაზრისით, ადამიანთა მიერ ომებში შეცდომების დაშვება საბედისწერო, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ერთი რამ აშკარაა. მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეებში, ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო საფუძვლიანად შეიცვლება ომების წარმოების ხერხები და საშუალებები. ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში ჩატარებულმა უკანასკნელმა ომებმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ხელი კი არ განსაზღვრავს უახლესი ტიპის იარაღის მართვას და რაკეტების მოძრაობას, არამედ ზემაღალი სიზუსტის ელექტრონული მოწყობილობები და ფრჩხილის სიგრძის მიკროჩიპები. დიდი ალბათობით, მოვა დრო, როცა ადამიანის ბუნებრივ ინტელექტს ხელოვნური ინტელექტი დაეწევა და, შესაძლებელია გაუსწროს კიდეც მას. დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს, სისუსტეებსა და სათნოებებს, მომავალში წარმართავენ ომებს კოსმოსური სივრცის ახალ საბრძოლო ველებზე და განზომილებებში. სავარაუდოდ, ისინი ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას. ტიპიური ადამიანური შეცდომები, რომლებიც აქ არის ჩამოთვლილი, მომავლის ომებში აღარ იარსებებს.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ ომი თავისთავად ეწინააღმდეგება ადამიანთა საზოგადოების კეთილდღეობას, თუმცა ნაკლებად არსებობს იმის იმედი, რომ მომავალში კაცობრიობა უარს იტყვის ომზე.

ოსვალდ შპენგლერი, თავის ნაშრომში „პოლიტიკის ფილოსოფია: ევროპის დაისი“, ომის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ხალხთა შორის „ბუნებრივ, რასობრივ განსხვავებებს” მიიჩნევს, როგორც „ცოცხალი ადამიანების ურთიერთობის საფუძველს“. მისი შეხედუ-ლებით, მსოფლიო მშვიდობა სხვა არაფერია, თუ არა „მთელი კაცობრიობის დამონება მცირე რაოდენობის მმართველობისადმი, გადამწყვეტი ბუნებრივი ძალის გაბატონებისა-თვის“. ერთობ უიმედო დასკვნებია. და მიუხედავად ამისა, შესაძლოა ამ პესიმისტურ თვალსაზრისშიც იმალებოდეს ადამიანის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომა და ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეიცვალოს – ყველა ომს მარადიული, ხანგრძლივი მშვიდობა ჩაენაცვლოს. ამას მომავალი გვიჩვენებს.

რედაქტორის ბოლოთქმა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წიგნის „სამხედრო შეცდომების ენციკ-ლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე" დასკვნით ნაწილში, მისი ავტორი, ჰანს-დიტერ ოტო წერს: „ერთი რამ აშკარაა. მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეებში, ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო საფუძვლიანად შეიცვლება ომების წარმოების ხერხები და საშუალებები. ჯერ კიდევ სპარ-სეთის ყურეში ჩატარებულმა უკანასკნელმა ომებმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ხელი კი არ განსაზღვრავს უახლესი ტიპის იარაღის მართვას და რაკეტების მოძრაობას, არამედ ზემაღალი სიზუსტის ელექტრონული მოწყობილობები და ფრჩხილის სიგრძის მიკროჩიპები. დიდი ალბათობით, მოვა დრო, როცა ადამიანის ბუნებრივ ინტელექტს დაეწევა ხელოვნური ინტელექტი და, შესაძლებელია გაუსწროს კიდეც მას. დამოუკიდებლად მოაზროვნე რობო-ტები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს, სისუსტეებსა და სათნოებებს, მომავალში წარმართავენ ომებს კოსმოსური სივრცის ახალ საბრძოლო ველებზე და განზომილებებში. სავარაუდოდ, ისინი ნაკლებ შეც-დომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას. ტიპიური ადამიანური შეცდომები, რომლებიც აქ არის ჩამოთვ-ლილი, მომავლის ომებში აღარ იარსებებს".

ავტორის მიერ გამოტანილი ეს დასკვნები, საკამათოა. დასმული პრობლემა კი, მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი.

დაწყებული XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კაცობრიობამ ისე შეაბიჯა ახალი თაობის ომების ეპოქაში, რომ თვითონაც ვერ მოასწრო იმის გააზრება, თუ რამდენად განსხვავებულ სივრცესა და რეალობაში აღმოჩნდა იგი. სპარსეთის ყურის ომებმა აჩვენეს, რომ მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილმა სამხედრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივი სამხედრო უპირატე-სობა მოიპოვეს მოწინააღმდეგე მხარეზე და მოკლე დროში გადაწყვიტეს მათ წინაშე მდგარი საბრძოლო ამოცანა. აქ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოალიციური ჯარების მოქმედებებზეა საუბარი. სულ მოკლე ხანში კომენტატორები სამხედრო ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილ ფენომენზე – პარადიგმულ არმიასა და „სამხედრო საქმეში ახალ რევოლუციაზეც" კი ალაპარაკდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ მოძღვრებას, რომ „რევოლუცია სამხედრო საქმეში, ორგანიზაციული, დოქტრინალური და ტექნოლოგიური ინოვაციების რთული, კომპლექსური ერთიანობაა ომის ან საომარი კამპანიე-ბის კონცეპტუალურად ახალი სისტემით წარმოებისათვის", თითქოსდა ყვე-ლაფერი რიგზე იყო, კომენტატორები სწორად აანალიზებდნენ მიმდინარე მოვლენებს და კაცობრიობა მართლაც ახალი, რიგით მეექვსე სამხედრო რევოლუციის კარიბჭესთან იდგა.

ზოგმა ავტორმა ახალი სამხედრო რევოლუციის უფრო დაზუსტებული და თანამედროვე ომების წარმოების პარადიგმული წესის ადაპტირებული განმარტებაც შემოგვთავაზა. ისინი „სამხედრო საქმეში რევოლუციის" განმარ-ტებას ასე აყალიბებდნენ, რომ ეს იყო „სამხედრო-ტექნიკური რევოლუცია,

შერწყმული მეთვალყურეობასთან, C3I სისტემასთან, პრეციზიულ სამხედრო აღჭურვილობასა და ახალ ოპერატიულ კონცეფციასთან, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ომს და უწყვეტ და სწრაფ მოქმედებას საომარ მოქმედებათა მთელ თეატრზე". C3I ინგლისური აბრევიატურაა და იგი ასე იშიფრება: C3, ანუ, სამი C კომპონენტი (Command, Control, Communication) – მართვა, კონტროლი და კავშირგაბმულობაა, ხოლო მეოთხე ელემენტი – I, (Intelligence) დაზვერვა, სადაზვერვო ინფორმაციაა.

არავინ დავობს იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა; მაგრამ დასმული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება და ფლობა არ არის საკმარისი. მისი რეალიზაცია ომებისა და საომარი კამპანიების დაგემვის, მართვისა და აღსრულების მთელ კონცეპტუალურ ჯაჭვს მოიცავს:

– მოწინააღმდეგის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ „სამიზნეებზე" ორიენტირებული ყოველმხრივი სადაზვერვო სისტემის გამართული მუშაობა შესაბამისი უკუქმედებების აღკვეთით;

– მოწინააღმდეგის C3I სისტემის მოშლა-მანიპულაცია;

– მოწინააღმდეგე მხარის მაღალი ღირებულების სამიზნეების აღმოჩენა-სროლის ინტეგრირებული სისტემები;

– მოქნილი საინფორმაციო-სადაზვერვო მონაცემთა ბაზა;

– ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სიმულაციური სისტემები;

1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი, ტეხასის შტატის გუბერნატორი, ჯონ უოლკერ ბუში აცხადებდა: „ომის წარმოების პროცესში ჩვენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მოწმენი ვართ. ძალა სულ უფრო მეტად და მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ მისი სიდიდით, არამედ მობილურობითა და სიჩქარით, მისი მიზანმიმართულობით. ზემოქმედება ინფორმაციულობით იზომება, უსაფრთხოება მოხერხებულობით მიიღწევა... და ჯარები ახდენენ მაღალი სიზუსტის მართვადი იარაღის ძალის დემონსტრირებას".

აშშ-ს მომავალი პრეზიდენტი თანამედროვე ომებში წარმატების მიღწევის საქმეში უახლესი ტექნოლოგიების დომინანტურ ფაქტორს უსვამდა ხაზს. მაგრამ დავფიქრდეთ, ნუთუ მხოლოდ ეს არის საკმარისი სამხედრო რევოლუციის დადგომისა და ომში გამარჯვების მისაღწევად? ნუთუ ადამიანური ფაქტორი უკვე მეორე პლანზე გადავიდა და მალე ომების წარმოება რობოტების საქმე იქნება, რომლებიც „ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას", როგორც ამას წინამდებარე წიგნის ავტორი აცხადებს?

თუ ზემოთ მოყვანილ სამხედრო რევოლუციის კლასიკურ განმარტებას ჩავუღრმავდებით, მასში სამი ძირითადი კომპონენტია ხაზგასმული – ტექნოლოგიური განვითარება, დოქტრინული (ან ოპერატიული) ინოვაცია და ორგანიზაციული ადაპტაცია; ვერც ერთ ამ კომპონენტში ვერ უკუვაგდებთ

ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ჩვენი ეს მოსაზრება განსაკუთრებით ბოლო ორ კომპონენტს ეხება.

ცნობილი ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსები და ანალიტიკოსები, უილიამსონ მურეი და მაკგრეგორ ნოქსი ერაყის ომისა და მასში კოალიციური ჯარების დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ამბობდნენ: ,,უმნიშვნელოვანესი მიზეზი კოალიციური ჯარების გამარჯვებისა ძევს დასავლეთის სამხედრო მანქანის ეფექტურობაში, რომელიც პირველად რომაელების მიერ, ხოლო XVII საუკუნეში ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი ევროპელების მიერ. ახალგაზრდა მებრძოლთა დისციპლინირებული საბრძოლო შენაერთები ხასიათდებოდნენ შეკრულობითა და ერთმანეთზე დამოკიდებულებით. მათი გამარჯვება კი, ერთმანეთისა და მეთაურთა მიმართ რწმენამ განსაზღვრა. შედეგად კი მივიღეთ შენაერთები, რომლებიც ემორჩილებიან არა მარტო საკუთარ მეთაურებს, არამედ სამოქალაქო ხელისუფლებასაც".

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ამ დასკვნას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ადამიანურ ფაქტორებზეა აქცენტები გაკეთებული, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აქ ისტორიისა და ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობაა ხაზგასმული.

უპირველეს ყოვლისა, ვერავითარი რევოლუცია ვერ მიიღწევა წარსულის სამხედრო კონცეფციებისა და შესაძლებლობების შესწავლის გარეშე – კერძოდ, უახლოესი წარსულის შესწავლის გარეშე. არ უნდა ვიფიქროთ, რომ წარსული მომავლისათვის გვთავაზობს ჩვენი შემდგომი მოქმედებების უნივერსალურ ალგორითმს ან რაიმე ისეთს, რაც უკუნში სინთლის უეცარ გამონათებას ჰგავს. მაგრამ ერთი რამ აშკარაა – ის სამხედრო ორგანიზაციები, რომლებმაც წამატებით განახორციელეს სამხედრო საქმეში რევოლუცია, წარსულის რეალისტურ გაგებასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მეორე – არ უნდა გვჯეროდეს, რომ ახალი კონცეფციები ან შესაძლებლობები უარყოფენ ომის ბუნების ფუნდამენტურ გაგებას. ომის ბურუსი, გაურკვევლობა და შემთხვევითობა ისევე დამახასიათებელი იქნება მომავალი ეპოქებისა და მომავლის ომებისათვის, როგორც ეს წარსულში იყო. ისტორია, ეჭვს გარეშეა, ითვალისწინებს ამ გამოცდილებას და თავისი ამოუწურავი მარაგიდან უმრავ საგულისხმო მაგალითს გვთავაზობს. მათთვის კი, ვინც ისტორიას სკეპტიკურად უყურებს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა ევოლუციური ბიოლოგია, კვანტური ფიზიკა და უთანამედროვესი მეთოდოლოგიით ჩატარებული ბირთვული კვლევები და ემპირიული დაკვირვებები – კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმას, რომ სავსებით სწორი იყო კლაუზევიცის ძირეული წრმოდგენა იმის შესახებ თუ როგორაა მოწყობილი სამყარო.

და ბოლოს, მესამე... მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი და წინაპირობაა სამხედრო რევოლუციისთვის, იგი მაინც მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენს ადამიანების ხელში. თუ მას დავუკავშირებთ წარსულისა და აწმყოს ნათლად გაგებას, ალბათ შევძლებთ გონივრული ბიძგი მივცეთ ჩვენში არსებულ შესაძლებ-

ლობებს და ამით მართლაც გავიდეთ მოწინავე პოზიციებზე, იქნებ, შემდეგ სამხედრო რევოლუციაზეც კი. ხოლო თუ უარვყოფთ ისტორიას და მის სწავლებას, გაურკვეველ და ბუნდოვან მომავალში გადავაბიჯებთ. და შესაძლებელია ისეთივე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა უბრალო რიგითი ჯარისკაცი პირველი მსოფლიო ომის ჯოჯოხეთის დროს.

ერთი რამ კი, დღესავით ნათელია და არა მგონია ეს საკითხი ვინმეში, თუნდაც ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ოპონენტში იწვევდეს ეჭვს. დღეისათვის საკამათო თემას არ წარმოადგენს ის ჭეშმარიტება, რომ მუდმივი და მარადიული პარადიგმული არმიები არ არსებობენ. ასევე არ არსებობენ ომებისა თუ ბრძოლების წარმოების უცვლელი პრინციპები. მიუხედავად უახლესი ტექნოლოგიების განვითარებისა და ახალი საომარი განზომილებების გაჩენისა, დღესაც ადამიანი, წმინდათ ადამიანური ფაქტორი გამოდის წინა პლანზე და სწორედ იგი წარმოადგენს ამა თუ იმ ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში დომინანტ მოთამაშეს, მის მთავარ ფიგურას. სულ უკანასკნელ ხანს, მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და სამხედრო კონფლიქტების სპეციფიკა ცალსახად მეტყველებენ ამაზე. ადამიანთა ჯგუფები და მარტივი სამხედრო ორგანიზაციები უახლეს ტექნოლოგიებსა და უმძლავრეს სამხედრო ორგანიზაციებს უპირისპირდებიან. შეიძლება ითქვას, რომ დღეს, XXI საუკუნეში უკვე ადამიანთა ჯგუფები და ცალკეული ინიდვიდებიც კი ითავსებენ სამხედრო ორგანიზაციის ფუნქციებს. საუბარი ომების მეოთხე თაობასა და თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ჰიბრიდულ და ასიმეტრიულ ომებზე გვაქვს, სადაც კარგად იკვეთება ადამიანური ფაქტორის გადამწყვეტი როლი.

თავის დროზე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სტრატეგოსი, თანამედროვე სამხედრო აზრისა და კონცეფციების, და დღევანდელი გენერალური შტაბის შემქმნელი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე ამბობდა, რომ ,,გამარჯვების არსი არა იარაღში, არამედ იმ ადამიანში უნდა ვეძებოთ, ვისაც ეს იარაღი უპყრია ხელთ''.

თანამედროვე ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი სახეობის – პარტიზანული ომის თეორიული საფუძვლების შემქმნელი, თანამედროვეობის დიდი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ახალი ჩინური სახელმწიფოს შემქმნელი და მეთაური მაო ძე დუნი კი, აცხადებდა: ,,ხშირად ამბობენ, რომ პარტიზანული ბრძოლა პრიმიტიულია. ეს სახიფათო განზოგადებაა, რომელიც მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა სამართლიანი. თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, პარადოქსი მაშინვე ცხადი გახდება. ხოლო გარეგნული პრიმიტიულობა გაცილებით უფრო რთულად მოგვეჩვენება, ვიდრე ატომური ან ისეთი ომი, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად საზღვაო და საჰაერო ძალები მონაწილეობენ. პარტიზანული ბრძოლა არ არის დამოკიდებული რთული მექანიკური მოწყობილობების გამართულ მუშაობაზე, ორგანიზებულ ლოჯისტიკასა და ელექტრონული სისტემების სიზუსტეზე. პარტიზანული ბრძოლა შესაძლებელია ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერი

კლიმატისა და ამინდის პირობებში, ნებისმიერ რელიეფსა და ლანდშაფტზე, მთაში და ბარში, ტყეში, ჭაობებში, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ამ ბრძოლის ძირითადი ელემენტი ადამიანია. იგი გაცილებით უფრო რთული ქმნილებაა, ვიდრე მის მიერ შექმნილი რომელიმე მანქანა – იგი დაჯილდოებულია აზროვნების უნარით, აქვს ემოციები, ნებისყოფა... ამიტომ პარტიზანული ბრძოლა ადამიანის როგორც დადებით, ასევე უარყოფით თვისებებს ემყარება. ამგვარი ბრძოლა ყოველთვის ჰუმანური როდია, თუმცა – ადამიანურია. ეს კი იმაზე გაცილებით მეტია, რაც ადამიანების ურთიერთგანადგურების სტრატეგიის შესახებ შეიძლება ითქვას".

სრულად ვიზიარებთ ზემოთ მოყვანილ ავტორთა მოსაზრებებს და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ მომავლის ომებშიც, რომელ სივრცეში და განზომილებაშიც არ უნდა წარიმართოს იგი, როგორც წარმატების, ასევე წრუმატებლობის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტი, ისევ და ისევ ადამიანი და ადამიანური ფაქტორი იქნება...

იმაში კი ნამდვილად ვეთანხმებით წიგნის ავტორს, რომ კომენტატორთა მიერ გამოთქმულ ყველაზე პესიმისტურ თვალსაზრისშიც კი, შეიძლება იმალებოდეს ადამიანის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი და ალბათ ყველაზე სასურველი შეცდომა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და სულ სხვა რეალობაში აღმოვჩნდეთ – ყველა ომს მარადიული, ხანგრძლივი მშვიდობა და საყოველთაო თანხმობა ჩაენაცვლოს. ამას მომავალი გვიჩვენებს...

არჩილ ჩაჩხიანი
თადარიგის პოლკოვნიკი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი.
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი.

ბიბლიოგრაფია

1. Hanson W. Baldwin, “Große Schlachten des 2. Weltkriegs’’, Lübbe Verlag, 2. Auflage 1977.
2. Friedemann Bedürftig, “Als Hitler die Atombombe baute”, Piper Verlag, München, 2003.
3. Cajus Bekker, “Angriffshöhe 4000”, Heyne TB, 3. Auflage 1973.
4. Nicolaus v. Below, “Als Hitlers Adjutant 1937-45”, v. Hase & Köhler Verlag, Mainz, 1980.
5. Geoffrey Bennet, “Die Skagerrakschlacht”, Heyne TB, 2. Auflage 1976.
6. Bruno Bleckmann, “Konstantin der Große”, Rowohlt TB, 1996.
7. Paul Carell, “Unternehmen Barbarossa”, Ullstein Verlag, 1963.
8. Paul Carrel, “Verbrannte Erde”, Ullstein Verlag, 1966.
9. Raymond Cartier, “Der Zweite Weltkrieg”, Band 1 und 2, Sonderausgabe Piper Verlag, München.
10. Manfred Claus, “Konstantin der Große und seine Zeit”. Beck’sche Reihe, München, 1996.
11. Robert Cowley (Herausg.), “Was wäre gewesen, wenn?”, Knaur Verlag, 2000.
12. Saul David, “Die größten Fehlschl ge der Militärgeschichte”, Heyne Verlag, München, 2. Auflage 2001.
13. Len Deighton, “Luftschlacht über England”, Heyne-TB, München, 1982.
14. “Der Zweite Weltkrieg”, Historische Collage 1938-1945, Band 1 bis 6, John Jahr Verlag, Hamburg, 1975.
15. Hellmut Diwald, “Der Kampf um die Weltmeere”, Droemer-Knaur, 1980.
16. Günter Dorn, Joachim Engelmann, “Die Schlachten Friedrichs des Großen”, Bechtermünz Verlag, 1996.
17. Christopher Duffy, “Die Schlacht bei Austerlitz”, Heine TB, 1979.
18. Erik Durschmied, “Wie Zufall und Dummheit Weltgeschichte schreiben”, Komer Verlag.
19. Hans-Jürgen Eitner, “Kolberg”, Edition q, Berlin, 1999.
20. Jürgen Elvert, “Geschichte Irlands”, DTV Wissenschaft, 2. Auflage 1996.
21. Paul Ettighoffer, “Verdun”, Universitas Verlag, 6. Auflage 1992.
22. Joachim C. Fest, “Hitler”, Ullstein Verlag, 2. Auflage 1973.
23. Stig Förster, Markus Pöhlmann, Dierk Walter (Herausgeber), “Schlachten der Weltgeschichte”, Verlag C.H. Beck, München, 2. Auflage 2002.
24. Adolf Galland, “Die Ersten und die Letzten”, Heyne TB, 4. Auflage 1974.
25. Michael Gannon, “Schwarzer Mai””, Econ Ullstein List Verlag, München, 1. Auflage 2001.
26. Joseph Goebbels, “Tagebücher”, Band 1-5, Erweiterte Sonderausgabe, Piper Verlag, München, 2. Auflage 2000.
27. Walter Görlitz, “Geschichte des preußischen Generalstabs”, Bechtermünz Verlag, Lizenzausgabe für Weltbildverlag, Augsburg, 1997.

28. Friedrich der Große, “Gedanken und Erinnerungen”, Werke, Briefe, Gespräche , Gedichte, Erlazze, Berichte, Phaidon Verlag, Essen.
29. Sebastian Haffner, “Anmerkungen zu Hitler”, Kindler Verlag, 14. Auflage 1978.
30. Sebastian Haffner, Wolfgang Venohr, “Preußische Profile”, Ullstein Verlag, 1986.
31. William Lewis Hertslet, Winfrid Hofman, “Der Treppenwitz der Weltgeschichte”, Ullstein Verlag, 7. Auflage 1995.
32. Joe J. Heydecker, “Der große Krieg 1914-1918”, Ullstein TB-Verlag, 1976.
33. Joachim Hoffmann, “Stalins Vernichtungskrieg”, Herbig Verlag, 8. Auflage 2001.
34. Alistair Horne, “Der Frankreichfeldzug 1940”, Molden TB-Verlag, 1976.
35. Hans-Christian Huf (Herausg.), “Quo vadis”, Lübbe Verlag, 1997.
36. David Howarth, “’A near Run thing’ – The Day of Waterloo”, Collins, St. James Place London, 1968.
37. David Irving, “Hitler und seine Feldherren”, Ullstein Verlag, 1975.
38. David Irving, “Hitlers Weg zum Krieg”, Heyne TB Nr.5864, München, 1981.
39. John Keegan, “Das Antlitz des Krieges”, Campus Verlag, Frankfurt, 1991.
40. John Keegan, “Die Maske des Feldheern”, Beltz Quadriga Verlag, Weinheim, Berlin, 1997.
41. Helmuth Konrad von Keusgen, “Waterloo 1815”, Keusgen Verlag, 1997.
42. Hannsjoachim W. Koch, “Geschichte Preußens”, List Verlag.
43. Franz Kugler, “Geschichte Friedrichs des Großen”, Seemann Verlag, Leipzig, 1936.
44. Johannes Lehmann, “Die Staufer”, Goldmann TB, 1. Auflage 1981.
45. Kenneth Macksey, “Guderian”, Heyne TB Nr.5457, München, 1978.
46. A. S. Manfred, “Napoleon Bonaparte”, VEB Deutscher Verlag der Wissenschaften, 4. Auflage, Berlin, 1989.
47. Golo Mann, “Wallenstein”, Fischer Verlag, 5. Auflage 1994.
48. Golo Mann, Alfred Heuss (Herausg.), “Propyläen Weltgeschichte”, Ullstein Verlag, 1976.
49. Werner Maser, “Der Wortbruch”, Heyne Sachbuch 19/469, 3. Auflage 1997.
50. Oskar Meding, “Ein Vermächtnis Kaiser Wilhelm I.”, DVA, 1889.
51. Charles Messenger, “Blitzkrieg”, Bechtermünz/Weltbildverlag, Augsburg, 2000.
52. Theodor Mommsen, “Römische Geschichte”, Volksausgabe Safari-Verlag, Berlin.
53. Bernhard Law Viscount Montgomery of Alamein, “Weltgechichte der Schlachten und Kriege”, Band 1 und 2, DTV, 1975.
54. Hans-Dieter Otto, “Stunde der Frauen”, Soldi Verlag, Hamburg, 1. Auflage 1999.
55. Wolfgang Paul, “Die Schlacht um Moskau”, Heyne TB, 1978.
56. Henry Picker, “Tischgespräche im Führerhauptquartier”, Seewald Verlag, 3. Auflage 1976.

57. Janusz Piekalkiewicz, “Luftkrieg 1939-1945”, Heyne TB, München, 1982.
57. Heinrich Pleticha (Hrsg.), “Deutsche Geschichte”, Band 1-12, Bertelsmann, 1981.
58. Gerhard Prause, “Niemand hat Kolumbus ausgelacht”, Econ Verlag, Düsseldorf, 7. Auflage 1995.
59. Geoffrey Regan, “Militärische Blindgänger”, Komet Verlag, 1998.
60. Chris Scarre, “Die römischen Kaiser”, Econ Verlag, 1996.
61. Dr. Paul Schmidt, “Statist auf diplomatischer Bühne”, Athenäum-Verlag, Bonn, 1953.
62. Franz W. Seidler, Dieter Zeigert, “Die Führerhauptquartiere”, Herbig Verlag, München, 2000.
63. Roland Smelser, Enrico Syring (Herausg.), “Die Militärelite des Dritten Reiches”, Ullstein Verlag, 1995.
64. George H. Stein, “Geschichte der Waffen-SS”, Droste Verlag, Düsseldorf, Lizenzausgabe Panorama Verlag, Wiesbaden.
65. Raymond F. Toliver, Trevor J. Constable, “Adolf Galland”, Herbig Verlag, 1992.
66. Barbara Tuchman, “August 1914”, Fischer TB Verlag, 1990.
67. Franz Uhle-Wetter, “Höhe und Wendepunkte deutscher Militärgeschichte”, Mittler Verlag, 2000.
68. Wolfgang Venohr, “Fritz der König”, Lübbe Verlag, 2000.
69. H. D. L. Viereck, “Die römische Flotte”, Köhlers Verlagsgesellschaft, Hamburg, Lizenzausgabe, 1996.
70. Leopold Vrba, in: “Von Hitler zu Adenauer”, Verlag für geschichtliche Dokumentation, Hamburg.
71. Rudolf Wahl, “Friedrich Barbarossa”, Lizenzausgabe Bastei-Lübbe Verlag, 1978.
72. German Werth, “1916 – Schlachtfeld Verdun”, Brandenburgisches Verlagshaus, 1. Auflage 1994.
73. Chester Wilmot, “Der Kampf um Europa”, Alfred Metzler Verlag, 1. Auflage 1954.
74. Erich Winhold, in: “Krieg und Frieden, Weltgeschichte von 1945 bis zur Gegenwart”, Band 1 und 2, Jahr Verlag, Hamburg, 1976, Sonderausgabe für den Pawlak Verlag, Herrsching.
75. Christian Zentner, “Schlacht um England”, Ullstein TB Nr.33053, 1980.

Zeitschriften und Zeitungen:
1. “Das C-Waffen Phantom”, Hamburger Abendblatt vom 25. März 2003.
2. “Der endlose Blitzkrieg”, Spiegel Nr.30-35 (2003).

სახელთა საძიებელი

ა

აახენი 113;
აბელი 25;
აბვილი 179;
აბორდაჟი 74, 75, 76, 81, 185, 192;
აბუ-ქირი 301, 304, 306, 314, 315, 319, 440, 441;
აგელაუსი 29;
აგრიპა (მარკუს) 74, 75, 76, 86;
ადელაიდა 121;
ადელა შამპანელი 140;
ადრიანე (პუბლიუს ელიუს ტრაიანე) 237;
ადრიატიკის ზღვა 57, 60; 98, 101;
ავრელიანუსი (ლუციუს დომიციუს) 450;
ავსტრალია 152;
ავსტრია 213, 235, 251, 273, 301, 306, 325, 351, 352, 357, 358, 362, 370, 371, 374, 375, 379, 395, 398, 406, 439, 440;
ავსტრო-უნგრეთი 351, 357, 406;
ავღანეთი 306, 310;
აზენკური 181;
აზია 45, 75, 152, 153, 156;
ათენა პალადა 33, 458;
ათენი 29, 30, 32, 36, 423;
ათოსი 32;
აილენბურგი 222;
აკროპოლისი 34;
ალ ად დინ მუჰამედ II 152;
ალანები 152;
ალბერშტადტი 382;
ალემანები 99;
ალექსანდრა ფიოდოროვნა (ფრედერიკა ლუიზა შარლოტა ვილჰელმინა პრუსიელი ჰოჰენცოლერნი) 427;
ალექსანდრე III (ორლანდო ბანდინელი) 125, 126, 127, 129, 134, 136;
ალექსანდრია 77, 83, 311, 312, 313, 314, 449, 450;
ალვენსლებენი (კონსტანტინ ფონ) 399, 400, 401;
ალისო 86;
ალპები 57, 62, 98, 101, 126, 128;
ალჟირი 376;
ალტაელები 156;
ალტე ვესტე 221;
ალტმარკი 382;
ალ-ქაედა 24;
ვეი 224;
ამბრაკიის ყურე 74;
ამერიკა 21, 24, 153, 186, 188, 253, 355, 399, 402, 407, 408, 429, 430, 432, 433, 436, 439, 442, 443, 450, 451, 452;
ამრუ (აბუ აბდულაჰ ამრ იბნ ალ-ას ალ-ყურაში) 449;
ამუდარია 152;
ანატოლია 45;
ანდრაშ II 155;
ანთილი 77;
ანჟუ 139, 144;
ანჟუ-სიცილიელი (მარგარიტა) 173;
ანსბახი 374;
ანტარქტიკა 456;
ანტვერპენი 126, 185;
ანტონინუსები 237;
ანტონინუს პიუსი (ტიტუს ელიუს კეისარი ანტონინუსი) 237;
ანტონ ფონ ჰოჰენცოლერნი 386;
ანტონიუსი (მარკუს) 71, 72, 73, 74, 75, 77, 81, 436;
ანკონა 125, 127;
აპენინი (ნახევარკუნძული) 59, 60;
აპოლონი 31;
აპულია 57, 58;
არაბები 303, 425;
არაგონი 129, 189, 395;
არბალეტი 154, 172, 174, 178, 443;
არბელა 50;
არგენტინა 455;
არგოსი 32;
არდენი 21, 436, 440;
არეტინო (სპინელო) 134, 136;
არიაბიგნი 33, 41;
არიანე 45;
არიმინუმი 101, 466;
არიმინუმი (რიმინი) 98;

არისტანდრე 47;
არისტოტელე 25;
არმინიუსი 83, 85, 86, 87, 91, 94, 95;
არკებუზი 214, 216;
არმადა 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 196, 197, 199, 202, 203, 436;
არპადი 155;
არტემიზი 32;
არუნციუსი 75, 76;
ასპარი (დომენიკო) 133;
ატიკა 32;
ატლანტის ოკეანე 71, 192, 335, 402, 431;
აუგსბურგი 110;
აუერშპერგი 464;
აუერშტადტი 258, 289;
აუფიდი 57, 58;
აფრიკა 57, 60, 84, 100, 152, 375, 401, 442;
აქაია 32;
აქემენიდები 29, 30, 33, 36, 46, 48, 50;
აქვილეუსი 128;
აქვიტანია 140, 141, 142, 174, 175 183;
აქილევსი 45, 47, 373;
აქსბრიჯი (ჰენრი უილიამ პეჯეტი) 330, 335, 341;
აქციუმი 71 72, 75, 436;

ბ

ბაბილონი 50;
ბად-ემსი 396, 404;
ბადენი 368;
ბადრი 449;
ბავარია 109, 215, 219, 352, 375, 379;
ბაზანი (ალვარო დე) 185;
ბაზენი (ფრანსუა-აშილ) 376, 377, 378, 380, 437;
ბაზინა 102;
ბათო ყაენი 152, 155;
ბაიროითი 374;
ბალეარელები 57, 63;
ბალტიის ზღვა 215, 221, 253, 285, 290, 400, 401, 403, 407, 422, 431;
ბანდონი 205;
ბანტრი 210;
ბარ-ებრეი (გრიგოლ) 450;
ბასტილია 25;
ბატალიონი 17, 46, 215, 217, 237, 238, 254, 255, 265, 270, 271, 273, 285, 287, 289, 328, 331, 332, 378, 388, 403, 428, 429, 440;
ბატარეა 216, 217, 252, 271, 285, 342, 356, 360, 363, 365, 378, 436, 430;
ბატლერი (ლედი) 347;
ბაუცენი 277, 280;
ბაქტრია 45, 46, 48;
ბაღდადი 24, 153;
ბაშკირები 156;
ბეატრიქს ბურგუნდიელი 127, 131;
ბეთლემი 27;
ბელა III არპადი 155;
ბელა IV არპადი 154, 155, 167;
ბელგია 73, 139, 191, 338, 341, 363;
ბელგრადი 242, 461;
ბელიარი (ალექსანდერ პიერ ჟულიენ) 464;
ბენედეკი (ლუდვიგ ფონ) 355, 356, 359, 441, 442;
ბენედეტი (ვინსენტ) 404;
ბენთინი 460;
ბენსა (ალექსანდრ ფონ) 366;
ბერგამო 129;
ბერენიკა VI 74;
ბერთოლე (კლოდ-ლუი) 306;
ბერი (ედუარდ) 323;
ბერლინი 214, 235, 237, 251, 286, 287, 288, 306, 358, 367, 370, 375, 395, 398, 431;
ბერნჰარდ ფონ საქსენ-ვაიმარელი 214, 218, 220;
ბერტენდონე (მარტინ დე) 189;
ბერტიე (ლუი ალექსანდერ) 310, 337, 345;
ბესა 48, 50;
ბისმარკი (ოტო ედუარდ ფონ) 351, 352, 353, 357, 358, 359, 360, 373, 374, 379, 390, 394;
ბისმარკი (ვილჰელმ ფონ) 401;
ბისმარკი (ჰერბერტ ფონ) 401;
ბისტრიცა 258;
ბიტენფელდი (ებერჰარდ ჰერვარდ ფონ) 371, 376;
ბიულოვი (ოტო ფონ) 449, 450;
ბიულოვი (ფრიდრიხ ვილჰელმ) 340, 348;
ბლანკეტი (ჯონ) 305;
ბლიუხერი (გებჰარდ ფონ) 287, 326, 327, 331, 332, 335, 346, 356;
ბოდარტი (გასტონ) 277;
ბოლგარები 156;

ბოლესლავ II 159;
ბოლონია 129, 187;
ბონაპარტე (კაროლინა) 464;
ბონიტუსი 99;
ბორნე 259;
ბოროდინო 398, 443;
ბორტე 152;
ბოსკეტი (დომინიკ) 347;
ბოსფორი 32, 454;
ბოჰარნე (ეჟენ) 304;
ბოჰემია 216, 273, 354, 355;
ბრაიტენფელდი 221, 233;
ბრანდენბურგი 247, 257, 291, 338, 450, 480;
ბრანდერი 188, 189;
ბრანდი (იოჰან ქრისტოფ) 278;
ბრაუნი (ვერნერ ფონ) 445;
ბრაუნშვაიგი (ფრანც) 271, 272;
ბრედო (ფრიდრიხ ვილჰელმ ადალბერტ ფონ) 382;
ბრესლაუ 153, 239, 250, 252, 253, 254, 256, 257, 259;
ბრეტანი 144, 179;
ბრეშია 130;
ბრიგადა 216, 217, 218, 328, 332, 253, 302, 329, 332, 353, 378;
ბრიგი 241;
ბრიტანეთი 71, 98, 141, 151, 201, 251, 301, 302, 306, 314, 318, 319, 326, 333, 397, 400, 406, 427, 429, 431, 442, 443, 444;
ბრიტები 143, 178;
ბრიუგე 195;
ბრიუსელი 126, 327;
ბრუე (ფრანსუა-პოლ) 306, 308, 309, 311;
ბრუსილოვი (ალექსეი ალექსეევიჩი) 469;
ბრუსტვერი 139, 140;
ბრუტუსი (მარკუს იუნუს) 71, 84;
ბრუქტერები 85;
ბუდაპეშტი 158;
ბუდიონი (სემიონ) 357;
ბუვინი 142;
ბუკინგემი 305;
ბულგარეთი 156;
ბურბონები 341, 346;
ბურგუნდია 113, 133;
ბურჰარდ III 110;
ბუში (ჯორჯ უოლკერ) 26, 474;

გ

გავგამელა 45, 46, 48, 52, 53, 54, 442;
გაიარი 139, 140, 141, 142, 144, 145, 146, 147, 148;
გალათეა 71;
გალები 83, 98;
გალეონი 184, 186, 188, 189;
გალერა 186;
გალერიუსი 97;
გალია 83, 87, 98, 183, 213;
გასკონია 139, 440;
გებელსი (პაულ იოზეფ) 297, 299, 449, 454, 455;
გენუელები 173, 174, 175, 176, 443;
გერინგერი 440;
გერინგი (ჰერმან) 429;
გერიტსი 289;
გერმანელები 21, 83, 84, 85, 86, 87, 98, 100, 110, 111, 125, 128, 155, 214, 234, 288, 375, 376, 377, 378, 379, 430, 435, 438, 439, 444;
გერმანია 83, 84, 85, 116, 128, 172, 213, 216, 219, 235, 238, 351, 358, 373, 374, 375, 376, 379, 397, 400, 427, 428, 432, 436;
გიბონი (ედუარდ) 450;
გიბრალტარი 302, 303, 401;
გიომ ბრეტონელი 142;
გიჩინი 354;
გლენკოი 209;
გლოგაუ 235, 285;
გნაისენაუ (ნაიდჰარტ ფონ) 287, 288, 290, 299, 326, 331, 332;
გოეთე (იოჰან ვოლფგანგ ფონ) 23, 238;
გორბაჩოვი (მიხაილ სერგეევიჩი) 455;
გრაველოტი 377, 378, 379, 388, 389, 399;
გრაფი ტილი (იოჰან ცერკლას ფონ) 214, 215, 426;
გრენადერები 237, 241, 246, 255, 265, 271, 355;
გრიგოლ IX (ჰუგოლინო კონტი დე სენი) 154, 164;
გრინვიჩი 397;
გრო (ანტუან-ჟან) 312;

გრობენი (ვან დერ) 365;
გროსი (ანტუან-ჟან) 307;
გრუში (ემანუელ) 217, 327, 328, 331, 332, 334, 437;
გუსტავ ადოლფუსი 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 232, 233, 235;

დ

დავუ (ლუი ნიკოლა) 304;
დალმაცია 74, 159;
დანგანონი 209;
დანდალკი 209;
დანია 213, 306, 351, 353, 376, 395;
დანციგი 291, 294, 295;
დარიოსი 29, 33 43, 44, 45, 46, 52, 440;
დარუბანდი 152;
დაუგავპილსი 399;
დაუნი (ლეოპოლდ იოზეფ ფონ) 260, 263, 277, 278, 279, 280, 281, 340;
დევეროქსი (რობერტ) 202, 206;
დელბრუკი (ჰანს) 85, 86;
დელფო 31, 32, 38;
დემიდოვი 284;
დენიცი (კარლ) 453, 454;
დ'ერლონი (ჟან-ბატისტ დროუე) 339, 340, 341, 356;
დეტმოლდი 86;
დიენ ბიენ ფუ 21, 436;
დიდი ბრიტანეთი 71, 141, 151, 251, 301, 302, 306, 333, 397, 399, 400, 406, 427, 438, 443;
დიდჰაუ 260;
დივიზია 217, 253, 357, 328, 377, 378, 438, 439, 440;
დიოდორე სიცილიელი 30, 45;
დიოკლეტიანე (დიოკლუსი) (გაიუს ავრელიუს ვალერიუს) 99;
დიუნკერკი 186, 189, 427, 428, 432;
დიურერი (ალბრეხტ) 213;
დოდი (რობერტ) 316;
დოკრი (ჰენრი) 209;
დოლომიტი (დეოდათ) 306;
დოზენსტენდი (ვილჰელმ) 378;
დონი (კარლ) 266;
დონკური 383;
დორი 209;
დრაგუნები 214, 217, 236, 253, 255, 329;
დრაიზე (იოჰან ნიკოლაუს ფონ) 353, 361, 375;
დრედნოუტი 397, 403 410;
დრეზდენი 101, 273;
დრეიკი (ფრენსის) 183, 184, 187, 188, 190, 191, 203;
დრიზენი (გეორგ ვილჰელმ ფონ) 262;
დრუზუსი (კლავდიუს ნერონ) 83, 89;
დუბლინი 201;
დუემი (ჟან) 363;
დუკატი 186, 190, 204;
დუმანი 155, 159;
დუნაი 71, 83, 154, 352, 439, 442;
დურანი (ხოსე) 189;

ე

ეგეოსის ზღვა 29, 30;
ეგვიპტე 71, 72, 75, 302, 303, 305, 306, 311, 440;
ეგერი 276, 332, 358, 388;
ეგინა 30;
ედელსჰაიმი 372, 373;
ედუარდ III კაპეტინგი 171, 173, 176, 181, 182;
ევბეა 30;
ევრიბიადესი 32;
ევროპა 115, 116, 140, 151, 153, 154, 155, 156, 187, 190, 213, 214, 219, 235, 238, 241, 251, 273, 331, 351, 352, 353, 374, 375, 426, 427, 434;
ევფრატი 47, 85;
ევფორიონი 31;
ევსები 98;
ეკატერინბურგი 399;
ელადა 33, 36, 47;
ელბა (მდინარე) 83, 84, 87, 154, 351, 355;
ელბა (კუნძული) 325, 326, 333, 336;
ელდორადო 190;
ელზას-ლოტრინგია 325, 374, 381;
ელინები 34, 75;
ელისაბედ I ტიუდორი 183, 190, 191, 199, 201;
ელიდა 30;
ელეონორა აქვიტანელი 139;
ემსი 88, 396;
ეპირი 30;
ეპიკტეტი 237;

ერაყი 24, 436, 449, 451;
ესექსი 203;
ესკადრა 33, 302, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 407, 410, 411;
ესკადრონი 215, 218, 253, 255, 272, 273, 284;
ესპანეთი 71, 98, 183, 184, 185, 186, 189, 190, 202, 213, 214, 224, 272, 306, 373, 376, 406, 427, 430, 436;
ესუკატი 152;
ესქილე 29, 33, 34;
ეტრურია 466;
ეტრუსკები 96;
ეტოლია 30;
ეფიალტე 449;
ექსი (კუნძული) 346;

ვ

ვაიმარი 257;
ვალენშტაინი (ალბრეხტ ვენცელ) 219, 221, 222, 223, 224, 225, 226, 433, 461;
ვან დერ გრობენი 256;
ვავრი 341, 344, 345;
ვალდესი (დიეგო ფლორეს დე) 189;
ვალდესი (პედრო დე) 189;
ვალხერენი 467;
ვარიაგები 143;
ვარონი (გაიუს ტერენციუს) 58, 59, 63, 465;
ვასილეუსი (აქილევს) 43;
ვატერლოო 217, 253, 287, 325, 326, 327, 331, 332, 333, 339, 341, 342, 345, 347, 349, 356, 357, 435, 437;
ვატიკანი 103;
ვარუს (პუბლიუს კვინტილიუს) 83, 84, 85, 86, 87, 434;
ვებერი (კარლ მარია ფონ) 427;
ვედელი (კარლ ჰაინრიხ ფონ) 261;
ვეზერი 83, 86;
ვეილი (ალფრედ) 369;
ველხერენი 443;
ვენა 83, 155, 224, 235, 272, 352, 439;
ვენეცია 125, 128, 213; 366, 441, 453;
ველინგტონის ჰერცოგი (არტურ ველესლი) 287, 326, 327, 328, 329, 330, 332, 333, 334, 341, 346, 357, 435;
ვერდენი 23, 399, 400, 401, 469;
ვერინგენი (ქომელის ვან) 197;
ვერმახტი 288, 289, 429, 430, 436, 439;
ვერნერი (იოჰან პაულ ფონ) 238, 284, 285, 290, 389;
ვერნეტი (ჰორაციო) 348;
ვერონა 101, 125, 128;
ვერსალი 379, 394;
ვერუსი (ლუციუს) 101;
ვესტ პოინტი 435;
ვესტენი 381, 382;
ვესტფალია 113, 219, 224, 225, 237, 396;
ვიეტნამი 24;
ვივან-დენონი (დომინიკ) 334;
ვიკინგები 143;
ვილანი (ჯოვანი) 181;
ვილნევი (პიერ-შარლ დე) 305, 307;
ვიორტი 399;
ვიტე (სერგეი იულევიჩი) 427;
ვილჰელმ I ჰოჰენცოლერნი 354, 357, 358, 359, 360, 367, 373, 375, 379, 381, 390;
ვილჰელმინა 277;
ვინდობონი 83;
ვიონვილი 377, 381, 382, 383, 441;
ვიტ ჰარლენი 288;
ვიტებსკი 454;
ვიტეფტი (ვილჰელმ) 398;
ვიტკომბი (თომას) 314, 318;
ვიტორიო ემანუელე II 466;
ვიურცბურგი 131, 219;
ვიჩენცა 125, 129;
ვლადივოსტოკი 425, 426, 427, 428, 429, 466;
ვლახეთი 157;
ვოლგა 153;
ვოლფაუ 464;
ვოლფი (ჰაინრიხ) 356;
ვოლფსბერგი 295;
ვორმსი 111;
ვოშამპი 326;
ვურცბურგი 125;
ვუსტერი 153;

ზ

ზაგშუტცერი 252, 253, 254;
ზაიდლიცი (ფრიდრიხ) 280;
ზალცბურგელი (კონრად) 125;
ზალცბურგი 219;

ზევსი 31;
ზელანდია 195;
ზიბენაიხენი (ჰერმან ფონ) 133;

თ

თაბორი 329, 464;
თათრები 153, 155, 156;
თანკმარი 109;
თბილისი 312;
თებე 29, 30, 425;
თემისტოკლე 30, 31, 32, 33, 34, 36, 434;
თემუჩინი 151, 157;
თერმოპილე 32, 425;
თერმოპოლისი 32;
თოლუი 152;
თესალია 30, 46, 48, 425;
თესპია 30;
თომას მორი 185;
თრაკია 30;
თული (პიეტრო) 286;
თუმენი 94;
თურქები 437;
თუსნელდა 85, 91;

ი

იალუ 439;
იან ჰუსი 430;
იაპონია 397, 398, 399, 400, 401, 402, 406, 431, 442;
იაპონიის ზღვა 404;
იასბერენი 111, 121;
იბერია (ნახევარკუნძული) 59;
იბერიელები 57, 59;
იენა 27, 261, 293, 344;
იერუსალიმი 86, 144, 158;
იესო ქრისტე 86;
იზაბელა II 377, 384;
ილიადა 29;
ილირია 75, 77;
იმპერისტები 218, 226, 437;
ინგლისი 21, 106, 125, 139, 140, 141, 171, 172, 173, 175, 183, 184, 185, 186, 188, 190, 196, 201, 203, 204, 211, 213, 251, 301, 302, 400, 436, 437, 444;
ინდი 45;
ინდოეთი 153, 183, 251, 301, 302, 305, 306, 400, 427;
ინდოეთის ოკეანე 402;
ინდოჩინეთი 402, 436;
ინჩხონი 465;
იოანე XII (ოქტავიან ტუსკოლო) 111, 113;
იოანე (ჯონ) უმიწაწყლო 141, 142, 143, 149;
იომ-ქიფური 23, 465;
იონიის ზღვა 187;
იორკი 100, 110;
იპრი 462;
ირანი 152;
ირლანდია 129, 183, 184, 185, 189, 201, 202, 203, 204, 207, 208, 302, 326, 436, 462;
ირლანდიის რესპუბლიკური არმია 210, 217;
ისლანდია 143;
ისრაელი 21, 323, 431, 440;
ისუსი 45;
იტაკა 34;
იტალია 54, 57, 62, 81, 98, 100, 101, 109, 125, 126, 127, 128, 137, 155, 185, 286, 301, 302, 306, 307, 313, 351, 352, 357, 358, 375, 431, 441;
იუდეა 73, 86;
იუდენბერგი 261;
იუსტინე 45;
იუტლანდია (ნახევარკუნძული) 143, 379;

კ

კაენი 23;
კავკასია 155, 156;
კაზაკები 285, 288, 302;
კათოლიკური ლიგა 219, 220, 221, 222, 224, 225;
კალე 21, 185, 187, 188, 190, 203, 436, 439;
კალინინგრადი 288;
კალიფორნია 186;
კალკა 154, 156;
კალკშტაინი (ქრისტოფ ფონ) 143, 246;
კამბრონი (პიერ ჟაკ) 332, 335;
კამპო-ფორმიო 301;
კანადა 257;
კანე 57, 58, 59, 60, 65, 67, 69, 87, 256, 440;
კაპადოკიელები 45;
კარაბინერები 272;

კარანსებე 437;
კარდიფი 424;
კარე 328, 329, 330, 331, 332, 342;
კართაგენი 59, 60, 61, 62, 65, 465;
კარიბის ზღვა 253, 429;
კარიგფერგუსი 209;
კარლოს დიდი 100, 112;
კარლოს IV ჰაბსბურგი 283;
კარლოს V ჰაბსბურგი 184, 373;
კარლოს IX 215;
კაროლინგები 102, 144, 337, 464;
კარპატები 154, 155;
კასპიის ზღვა 45, 153;
კარტეჩი 187, 271, 284, 305, 332;
კასაბიანკა (ლიუკ) 310;
კასანდრა 434;
კასტერი (ჯორჯ) 435, 436;
კასტილია 129, 189, 191, 395;
კასიუს (გაიუს ლონგინუს) 71, 84;
კასტენი (ანდრე) 51;
კასტერი (ჯორჯ) 435, 436;
კატაპულტა 72, 74, 98, 141, 142, 162, 436;
კატინი 454;
კატრ ბრა 339;
კატრ ბრიში 327;
კეისარი (გაიუს იულიუს) 71, 76, 425, 450;
კესარიონი (ცეზარიონი) 71, 75;
კეიტი (ჯეიმს ფრენსის ედუარდ) 269, 271, 274, 279, 281;
კელერმანი (ფრანსუა-ეტიენ) 341, 343, 356;
კელერმანი (ფრანსუა-ქრისტოფ) 356;
კელტები 59, 61, 62, 143, 178, 207;
კენიგსბერგი 283, 358;
კენტი 187, 188, 190;
კერკირა 74;
კვანძი 187, 398, 405;
კვესტორი 57, 60;
კვიპროსი 47, 139;
კიევი 152;
კიკლადი 30;
კილვატერი 403, 404, 405, 411, 443;
კიმბრები 470;
კიმონო 30;
კინეგირი 29;
კინგი (ბერინგ ფონ დერ) 332;
კინსეილი 201, 203, 204, 209, 436;
კირასირი 214, 215, 217, 218, 222, 236, 264, 272, 329, 330, 352, 378, 386;
კიოლნი 130, 131, 219, 222, 291;
კიროსი 29, 44;
კიტიონი 47;
კიუსტრინი 294;
კიფერნბერგი 261;
კიფჰოიზერი 455;
კლარკი (ქრისტოფერ) 340;
კლაუზევიცი (კარლ გოტლიბ ფონ) 23, 253, 286, 335, 354, 433, 434, 435, 439;
კლებერი (ჟან-ბატისტ) 312;
კლიმენტ XII (ლორენცო კორსინი) 395;
კლეოპატრა 21, 71, 72, 74, 75, 76, 437, 441, 450;
კოზაკი (ანტონ ფონ) 390;
კომიცია 83;
კონტე (ნიკოლა) 306;
კნოტელი (რიჰარდ) 248, 249;
კობენცლე (იოჰან ლუდვიგ ჯოზეფ ფონ) 309;
კოლბახი (ვილჰელმ) 42;
კოლბერგი 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 296, 297, 298, 435;
კოლინი 280, 281;
კოლომანი 154;
კოლომბე 380;
კოლობჟეგი 291;
კოლუმბია 455;
კომაროვო 373;
კომურა ძიუტარო 427;
კონევი (ივან) 288;
კონიგრაცი 351, 355, 357, 362, 363, 364, 366, 367, 371, 398, 441;
კონიგსმარკი (ჰანს ქრისტოფ ფონ) 427;
კონსტანცია ნორმანელი 153;
კორველი (ვიდუკინდ) 110, 111;
კორვინი (მათიაშ) 242;
კორკი 203;
კორპუსი (შენაერთი) 199, 202, 218, 253, 255, 269, 284, 285, 287, 288, 295, 302, 303, 304, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 353, 354, 355, 374, 376, 377, 378, 437, 439, 442, 443;
კორსიკა 60, 345;
კორტონა (პიეტრო და) 54;
კონე (ლეონ) 329;
კონრად II 130;
კონრად ლოტარინგიელი („მწითური") 109, 110, 111;

კონსტანტინე I (კონსტანტინე დიდი) 97, 98, 99, 100, 101, 102, 104, 105, 106, 107, 436;
კონსტანტინოპოლი 303;
კონსტანციუსი (ქლორუსი) 99, 100, 104;
კონსული 57, 58, 59, 60, 71, 83, 235;
კორეა 21, 397, 402, 406, 414, 439, 440;
კორინთო 30, 31;
კორნუოლი 179;
კორტესი (ფერნანდო) 395;
კორფუ 304;
კოსენი 217;
კოტანტენი 179;
კოცებუ (ავგუსტ ფონ) 427;
კოხი (ოტო ალბერტ) 93;
კოჰორტა 86, 98;
კრაკოვი 158;
კრასუსი (მარკუს ლიცინიუს) 73;
კრემონა 129;
კრესი 171, 173, 174, 175, 176, 177, 180, 442;
კრეტა 312, 425;
კროკუსი 99;
კრონშტადტი 399, 402;
კროფტი (ერნსტ) 342, 344;
კრუპი 374, 384, 400;
კუბა 430, 460;
კუნერსდორფი 243;
კუროპატკინი (ალექსეი ნიკოლაევიჩ) 424;
კურფიურსტი 283;
კურციუსი 45, 46;
კურჰესენი 368, 375;
კუსტოცი 466;

ლ

ლა ბელ ალიანსი 339;
ლავრიონი 33;
ლამარმორა 465;
ლანი (ჟან) 310, 464;
ლანგობარდები 102;
ლანგენი (ზიგმუნდ ფონ) 271, 272, 281;
ლანსელი (სერჟიო) 59;
ლაონი 345;
ლასი (ფრანც მორის) 269;
ლასტმანი (პიტერ) 108;
ლატერანი 174;
ლაუენბურგი (ფრანც ალბრეხტ ფონ) 220, 223, 353;
ლაიფციგი 213, 216, 218, 273;
ლატვია 399;
ლა ჰეი-სენტი 341, 342, 344, 345, 352, 357;
ლეგატი 58, 84, 97;
ლეგიონი 57, 58, 59, 71, 72, 73, 75, 83, 84, 85, 86, 87, 90, 95, 97, 98, 99, 110, 111, 255, 434, 441;
ლეგნიცა 151, 153, 154, 166, 273;
ლეიბ-გვარდია 329;
ლეითენი 251, 252, 253, 255, 256, 259, 260, 263, 264, 265, 266, 267, 270, 327, 435;
ლელე 111, 121;
ლეონიდას I 32, 36;
ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი 373, 380;
ლეპანტო 187;
ლეპიდუსი (მარკუს) 73;
ლეჟანი (ლუი-ფრანსუა) 308;
ლესინგი (ჰოტჰოლდ ეფრაიმ) 287;
ლეფევრი (ფრანსუა ჟოზეფ) 337, 339;
ლიაოდუნი 421;
ლიაონინი 426;
ლიბიელები 58, 59;
ლიბურნა 72, 74, 77, 78;
ლიდო 128;
ლიეჟი 326;
ლითლ-ბიგჰორნი 435;
ლილი 329;
ლინკორი (სახაზო გემი) 284, 333;
ლიპე 86;
ლისაბონი 187, 188;
ლისიპუსი 51;
ლიუცენი 213, 216, 217, 218, 219, 224, 227, 230, 437;
ლობოზიცე 278;
ლოდი 130;
ლოკადაუ (ლუდვიგ მორის ფონ) 294, 295;
ლოისონი (ლუი ანრი) 286;
ლოკრიდა 90;
ლომბარდია 125, 127, 128;
ლონდონი 23, 193, 194, 241, 331, 397, 400, 451, 455, 460, 468, 469, 478;
ლუარა (მდინარე) 144;
ლუდენდორფი (ერიხ) 25;
ლუდოვიკო VIII ბურბონი 325;
ლუდოვიკო IX ბურბონი 155;
ლუდოვიკო XVI ბურბონი 308, 337;
ლუდოვიკო XVIII (ლუი სტანისლას ქსავიე) 337, 345;

ლუზი 462;
ლუთერი (მარტინ) 25;
ლუკჩესი 262;
ლუნი (თომას) 316, 318;
ლუტერბურგი (ფილიპ) 198;

მ

მაასი 398;
მაგდებურგი 113, 214, 226, 286, 294, 398, 426;
მაგელანი (ფერნანდო) 190, 395;
მაგონი 61;
მადაგასკარი 401, 402;
მადრიდი 53, 185, 378;
მაზაევსი 48;
მაიერ-სტეგლიცი (გეორგ) 303;
მაიერნიკი 254;
მაინი 139, 362;
მაინცი 109, 126, 219, 283;
მაისენი 121;
მაკარტური (დუგლას) 463;
მაკდონელი 332;
მაკედონელი (ალექსანდრე) 33, 49, 52, 54, 75, 442;
მაკ-კინლი (უილიამ) 430;
მაკ-მაჰონი (მარი ედემ პატრის მორის) 399, 403;
მაკქეი (დონალდ) 228;
მალბორგეტო 101;
მალოსელები 429;
მალტა 311, 314, 317;
მანი (გოლო-ანგელუს) 377;
მანილა 429;
მანტუა 129;
მანჯურია 155, 397, 398;
მარათონი 29, 30;
მარენგო 320;
მარია ტერეზია ჰაბსბურგი 242, 244, 246, 373;
მარიამ I სტიუარტი 203, 207;
მარკუს ავრელიუსი (ანტონინუსი) 97, 98, 237;
მარლო (ქრისტოფერ) 185;
მაო ძე დუნი 476;
მარათონი 29, 30;
მარსები 85;
მარსელი 395;
მარს ლა ტური 399, 411;
მარტენსი (ჰენრი) 340;
მარტყოფი 312;
მასენა (ანდრე) 302;
მარნა 21, 378, 441;
მაროკო 402;
მარტინ ლუთერი 27;
მაუნთჯოი (ჩარლზ ბლანტი) 202, 203, 204, 206, 208;
მაქსენტიუსი (მარკუს ავრელიუს ვალერიუს) 98, 99, 100, 101, 104, 105, 436;
მაქსიმიანე (ჰერკულიუს) 97;
მაქსიმილიან ბავარიელი 219;
მაჯენტა 399;
მეგარა 30;
მედინა 449;
მეზია 99;
მეკლენბურგი 213, 352;
მელიფონტი 210;
მენზელი (ადოლფ) 276, 279;
მეორე მსოფლიო ომი 26, 262, 296, 297, 346, 422, 430, 452, 454, 455, 456, 459, 463, 469;
მესოპოტამია 47;
მეფე არტური 178;
მექა 449;
მექსიკა 375, 376;
მეცი 376, 377, 378, 379, 399, 398, 437;
მიდია 45, 47;
მიკალე 36;
მიკულოვი 374;
მილანი 125, 129, 134;
მილტიადე 30;
მინდენი 86;
მიუნხენი 13, 241, 452, 456;
მიურატი (იოაჰიმ, ჟოაკიმ) 310, 439, 464;
მიშუკოვი (ზახარ) 284;
მოდენა 128;
მოლენდორფი (ვიქარდ იოაჰიმ ჰაინრიხ ფონ) 258;
მოლვიცი 235, 236, 238, 239, 244, 247, 248, 249;
მოლტკე (ჰელმუტ ფონ, უფროსი) 353, 354, 356, 357, 359, 360, 367, 375, 376, 381, 390, 393, 394, 395, 444, 450;
მოლუკა 186;
მომზენი (თეოდორ) 59, 84;
მონაკო 73;
მონჟი (გასპარ) 306;
მონსენი 128;

მონ სენ-ჟანი 339, 341, 343, 346;
მონტენბლო 464;
მონტმირეილი 326;
მონფორი (ანტუან) 336;
მონღოლები 151, 152, 153, 154, 155, 156, 162, 167, 435;
მორავია 159, 281;
მორზე (სამუელ) 369;
მორტიე (ედუარდ) 286;
მორტირა 187, 217, 283, 285;
მოსკოვი 315, 427, 456, 459, 468;
მოჰი 151, 155, 169;
მუკდენი 426;
მულვიო (მილვიო) 97, 98, 99, 100, 101, 102;
მურად ბეი 312, 313, 316;
მურეი (უილიამსონ) 475;
მუტონი (ჟორჟ) 340;
მუშკეტი 208, 214, 215, 217, 218, 221, 222, 255, 284, 328, 329, 347, 353;
მუცუხიტო (მეიძი) 430, 431;
მცირე აზია 33, 75;

ნ

ნადაშდი (ფრანც ლეოპოლდ ფონ) 259, 261;
ნაისე 241, 281;
ნაისი (ნიში) 97;
ნამნანსურენი საინ-ნოინ-ხან 155;
ნანტი 144, 345;
ნაპოლეონ ბონაპარტე 285, 286, 287, 288, 293, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 310, 311, 320, 322, 323, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 336, 337, 338, 397, 398, 464;
ნაპოლეონ III 325, 374, 375, 376, 377, 379, 380, 390;
ნარუკავა 403;
ნასაუ 375;
ნაუმბურგი 221, 450;
ნაღმოსანი (საესკადრო) 398, 404, 405, 417, 421, 430;
ნახოდი 298;
ნეაპოლი 189, 191, 311, 464;
ნებოგატოვი (ნიკოლაი) 401, 405, 407, 410;
ნეი (მიშელ) 325, 327, 329, 330, 331, 332, 335, 357, 373, 374, 379;
ნეიპერგი (ვილჰელმ რაინჰარდ ფონ) 242, 244, 246;
ნეიპერგი (ებერჰარდ ფრიდრიხ ფონ) 242;
ნელსონი (ჰორაციო) 303, 304, 305, 307, 313, 316, 319, 321, 322, 403, 440;
ნემანი 468;
ნერვუსი (მარკუს კოკცეუს) 237;
ნერონი (კლავდიუს დრუზუს) 85;
ნეტელბექი (იოაჰიმ) 287;
ნიდერლანდები 28, 130, 160, 189, 191, 192, 196, 224, 315, 338, 397, 464, 467;
ნიკოლოზ II 399, 400, 403, 407;
ნიკოპოლი 77;
ნიკოლსბურგი 374;
ნილოსი 301, 302, 314, 316, 318, 319, 321, 322, 440;
ნიპერნი 258;
ნიუ-იორკი 27, 430;
ნიურნბურგი 221, 224;
ნიურნბერგი 210, 228, 430;
ნიუფაუნდლენდი 453;
ნიშაპური 153;
ნობელი (ალფრედ) 62, 430;
ნორვეგია 143;
ნოიმარკტი 258;
ნორმანდია 139, 141, 142, 439;
ნორმანები 143;
ნორტჰემპონის გრაფი (უილიამ ბოგუნი) 179;
ნოქსი (მაკგრეგორ) 475;
ნოღაელები 156;
ნუმიდიელები 57, 58, 59;

ო

ოდენა 129;
ოდერი 290;
ოდესა 406, 410;
ოდისეა 29;
ოდისევსი 32, 270, 434;
ოიამა (ივაო) 406;
ოიდიპოსი 29;
ოკენდო (მიგელ დე) 189;
ოკინავა 21;
ოლაუ 241;
ოლიმპო 33;
ოლმუცი 277;
ოლსტერი 207, 208, 209, 210;

ომარ I (აბუ ჰაფეზ უმარ იბნ ალ-ჰატაბ ალ-ადავი) 449, 450;
ონონი 157;
ოპოლე 235, 237, 238;
ორკნეი 189;
ორმი (დანიელ) 319;
ოსმალეთი 192, 219, 242, 312, 461;
ოსტენდე 187;
ოტო I 109, 110, 111, 112, 113, 114, 116, 121, 130;
ოტო III 100;
ოტო IV 142;
ოფანტო 59;
ოქსენშერი (აქსელ) 224;
ოქტავია 71;
ოქტავიანე (ავგუსტუსი) 73, 74, 75, 76, 77, 79, 85, 86, 89, 100, 460;
ოქტავიანე (გაიუს) 71;
ოქტავიუსი (მარკუს) 73;
ოცდაათწლიანი ომი 213, 214, 218, 219, 225, 231, 283, 426;
ოჰაინი 333;

პ

პა დე კალე 463;
პადუა 129;
პავლე I 302;
პალატინი 102;
პალაფოქს დე მონტიხო (ევგენია) 395;
პალესტინა 158, 455;
პამპიცი 242;
პაპენჰაიმი (გოტფრიდ ჰაინრიხ) 215, 216, 217, 218, 221, 224, 227, 437;
პარიზი 155, 235, 301, 307, 325, 326, 332, 333, 348, 373, 375, 376, 377, 378, 379, 389, 391, 392, 393, 439;
პარმა 128, 185, 186, 188;
პარმის ჰერცოგი (ალესანდრო ფარნეზე) 21, 185, 187, 188, 189, 191, 193, 203, 205;
პარმენიონი 46, 48;
პარნასი 31,
პაროსი 30;
პატრიციუსი 57, 71, 84;
პასქალ III (გვიდო კრემელი) 125, 127;
პატერკულუსი (ველიუს) 86;
პაულუსი (ლუციუს ემილიუს) 57, 58, 59, 60, 63, 68;
პელოპონესი 32, 76;
პენე 220;
პენჯაბი 48;
პენია (ჯიაცინტ დე ლა) 277;
პერამა 29;
პერენი (კლოდ-ვიქტორ) 286;
პერლ ჰარბორი 465;
პერსეპოლისი 50;
პერუჯა 466;
პეტერბურგი 302, 398;
პიაჩენცა 128, 186;
პიემონტი 466;
პითია 31, 38;
პიკოკი (ნიკოლას) 314;
პიკოლომინი (ოტავიო) 224;
პინასი 189, 190;
პიპინ „მოკლე” 102;
პირეა 29, 31, 36;
პირველი მსოფლიო ომი 452, 457, 477;
პისარო (ფრანცისკო) 395;
პიუს VII (გრეგორიო ლუიჯი ბარნაბა კიარამონტი) 337;
პიქტონი (თომას) 341, 348, 363;
პიქტორი (კვინტუს ფაბიუს) 60;
პლანტაგენეტები 143, 145, 177;
პლანშენუა 340, 360;
პლატეა 32, 36;
პლიმუტი 193;
პლუტარქე 35, 47, 48, 74, 76, 77, 450, 471;
პო (მდინარე) 466;
პოზნანი 399;
პოლიბიუსი 60;
პოლკი 214, 215, 216, 217, 226, 235, 236, 251, 253, 354, 263, 264, 265, 270, 271, 272, 281, 327, 329, 330, 342, 355, 378, 379, 427, 435, 437, 441;
პოლონეთი 154, 155, 164, 214, 252, 284, 285, 358, 400, 431, 432, 445;
პომერანია 219, 225, 257, 261, 291, 292, 293, 294, 295, 296;
პომპეი 56;
პომპეუსი (გნეუს) 71;
პომპიანუსი (რურიციუს) 101;
პონსონბი (უილიამ) 341, 342, 363;
პონტიფიკოსი 71;
პორტ-არტური 397, 398, 399, 401, 407, 408;
პორტსმუტი 419, 428, 445;
პორტუგალია 185, 204, 214, 252;

პოტსდამი 258, 434;
პტოლემაიოსები 71, 72, 425;
პტოლემაიოს XII (ნეოს დიონისე) 74;
პტოლემაიოს XIII 74;
პრაღა 219, 237, 269, 358, 427;
პრედრედნოუტი 401, 407, 414;
პრესბურგი (ბრატისლავა) 374;
პრეტორი 57;
პრეტორიანელები 100, 101, 106;
პრიამოსი 434;
პრინსტონი 321;
პროვანსი 337, 395;
პროკონსული 83, 84;
პროკოფი (ანდრია) 427;
პროხოვიცე 258;
პრუსია 214, 235, 251, 272, 273, 283, 285, 287, 288, 306, 325, 351, 352, 355, 357, 358, 373, 374, 375, 395, 398, 399, 427;
პუატიე 139;
პუნიკური ომები 57, 58, 59, 60, 65, 68, 83;

ჟ

ჟერომი (ჟან-ლეონ) 76, 311;
ჟუკოვი (გიორგი) 288;
ჟუნო (ჯან ანდოშ) 304;

რ

რადაქსდორფი 262;
რავა (ჯუზეპე) 66, 107;
რაინი 71, 83, 84, 87, 89, 283 376, 377;
რაინჰოლდ ფონ დასელი 126, 127, 134, 435;
რაიხსტაგი 109, 283, 353;
რანკე (ლეოპოლდ ფონ) 26;
რეველი 422;
რეკალდო (ხუან მარტინეს დე) 189;
რელი (უოლტერ) 184;
რემერი 243;
რენო 436;
რვა 449;
რიჩარდ I ლომგული პლანტაგენეტი 143, 144, 145, 146, 147;
რიგა 399;
რიმინი 101;
როდევიცი 279;
როზენი (რომან რომანოვიჩი) 427;
როზენბერგი 242;
რომანო (რუჯერი) 189;
რომანო (ჯულიანო) 103;
რომანოვები 399, 406, 410;
რომელი (ერვინ) 310;
რომი 56, 59, 60, 62, 73, 74, 77, 83, 85, 86, 87, 88, 89, 96, 99, 100, 101, 102, 103, 109, 111, 115, 116, 117, 129, 130, 131, 132, 133, 145, 157, 160, 189, 191, 194, 196, 219, 395, 450, 460, 466;
რომულუსი 57;
რონი (ალბრეხტ ფონ) 352, 353, 359, 394;
როჟესტვენსკი (ზინობი პეტროვიჩ) 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 407, 421; 467;
როსბახი 257, 277;
როტენბერგი 243;
როხლინგი (კარლ) 244, 260, 264, 278, 280, 365, 388;
როჯერ დე ლეისი 141;
რუბრუკი (გილიომ დე) 154;
რუდოლფ შვაბიელი 109;
რუზველტი (თეოდორ) 430, 431;
რუმელი (იულიუშ) 373;
რუმიანცევი (პიოტრ) 209, 285, 288;
რუსეთი 213, 288, 302, 306, 325, 353, 357, 378, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 406, 407, 428, 436, 442, 443;

ს

საარბრიუკენი 375;
საბერძნეთი 29, 30, 31, 32, 33, 34, 45, 46, 75, 303;
სადამ ჰუსეინი 26, 433;
სადოვა 372, 375;
სალა 433;
სალადინი (სალაჰ ად დინ იბნ აიუბი) 141;
სალამინი 29, 31, 32, 33, 36, 39, 40, 41, 185, 432;
სამარყანდი 153;
სამსონოვი (ალექსანდრ) 462;
სანტა-კრუზი 185;
სარდინია 60, 466;
სარონი 29;
სასებო 419;

საფრანგეთი 109, 125, 139, 140, 141, 142, 171, 172, 173, 251, 301, 302, 303, 305, 306, 325, 330, 333, 337, 352, 373, 375, 376, 377, 379, 381, 395, 398, 399, 400, 436;
საქსა რუბრა 102;
საქსონია 113, 213, 214, 215, 218, 251, 269, 273, 352;
საღვთო რომის იმპერია 100, 109, 111, 113, 115, 125, 130, 137, 139, 183, 213, 215, 219, 231, 283, 373, 435;
საჰარა 83;
სეგესტი 85;
სეგიმერი 87;
სედანი 399, 402, 414;
სევერუსი (ფლავიუს) 100;
სენა (მდინარე) 144;
სენატორი 59, 62, 86, 99, 399;
სენ-პრივა 383;
სენ-მორისი (დევო) 363;
სერბეთი 97;
სერვილიუს გემინუსი 58;
სვეტონიუსი (გაიუს ტრანკვილუს) 89;
სიდნეი (ფილიპე) 190;
სიდონიას ჰერცოგი (ალონსო პერეს გე გუსმანი) 184, 188, 191;
სიკინოზი 32;
სიკიონი 32;
სილეზია 153, 236, 252, 253, 257, 274, 286, 355, 438, 440;
სინონი 458;
სირაკუზი 303;
სირია 72, 75, 84, 153, 305, 306;
სიუ 435, 436;
სიფსონელები 31;
სიცილია 30, 57, 125, 153, 155, 183;
სკალიცე 398;
სკანდინავია 143
სკვითები 45;
სლოცი (სებასტიან) 61;
სმოლენსკი 430, 443;
სოგდია 45;
სოვეტსკ 291;
სომა 179, 469;
სომერსეტი (რობერტ) 333, 339;
სომხები 45;
სპარსეთი 29, 30, 31, 32, 33, 34, 45, 48, 152, 307, 445;
სპარსეთის ყურე 156, 471, 473;
სპარტა 30, 31, 32, 33;
სტაბსი (გეორგ) 248;
სტალინი (იოსებ ბესარიონოვიჩ) 296, 299, 455, 479;
სუდეტები 374;
სუეცი 310, 419, 458;
სუბუდაი 152, 154, 155, 157, 161;
სუსა 50, 133, 140;
სულტი (ნიკოლა ჟან დე დიე) 345;
სფინქსი 322, 334;
სციპიონი (პუბლიუს კორნელიუს, „სციპიონ აფრიკელი") 60;

ტ

ტაკახირა კოგორო 427;
ტაკელაჟი 73, 189;
ტალეირანი (შარლ მორის დე) 329;
ტამპლიერები 153, 165;
ტანენბერგი 262, 462;
ტანჟერი 425;
ტარანი 73, 74, 139;
ტარსუსი 71;
ტაციტუსი (პუბლიუს კორნელიუს) 84;
ტევტობურგი 83, 87, 88, 90, 91, 92, 93, 95, 434;
ტევტონები 444;
ტემეშვარა 242;
ტემზა 193, 309;
ტენგრიზმი 152;
ტერბორხი (გერარდ) 235;
ტერციო 214, 216, 223;
ტიბერიუსი (კლავდიუს ნერონ) 83, 84, 89, 90;
ტიბეტი 151;
ტიბრი 98, 101, 127, 441;
ტიგროსი 47, 48;
ტიერი (მარი ჟოზეფ ლუი ადოლფ) 400;
ტილზიტი 288, 306;
ტილი (იოჰან ფონ) 222, 428;
ტილმანი (იოჰან ადოლფ ფონ) 331;
ტირგარტენი 439;
ტირონი 201, 202, 204, 267;
ტიურინგია 456;
ტობოლსკი 399;
ტოგო (ჰაიჰაჩირო) 421, 422, 426, 427, 428, 429, 430, 431, 439, 467;
ტონი (თეობალდ ვოლფ) 210;

ტორგაუ 222, 281, 445;
ტრაზიმენო 59, 67, 466;
ტრაიანე (მარკუს ულპიუს ნერვუსი) 237;
ტრამბალი (ჯონ) 68;
ტრანსილვანია 157, 159, 219;
ტრანშეა 283, 284;
ტრაფალგარი 311, 427, 445;
ტრებია 57, 60, 65;
ტრევიზო 130;
ტრიბუნი 60, 71, 97;
ტრირემა 33, 40, 79;
ტრირი 98, 219, 283;
ტროა 31, 34, 278, 458;
ტრუმენი (ჰარი) 439;
ტუველები 160;
ტულონი 311, 317;
ტურინი 101, 466;
ტუსკულუმი 126;

უ

უგედაი 152, 155;
უელსი 179, 180, 309;
უელსის პრინცი (ედუარდ ვუდსტოკი) 175, 176;
უილიამსონ მურეი 450;
ულან-ბატორი 170;
ულანი 329, 330, 352, 378;
ულმი 114;
ულრიხ აუგსბურგელი 110;
უმბრია 59, 466;
უნგრეთი 111, 121, 125, 153, 154, 155, 165, 235, 236, 351, 355, 439;
უნგრელები 109, 110, 111, 112, 120, 154, 155, 216;
უოლტერ რელი 184, 191;
უოტერფორდი 203;
უხუდი 449;

ფ

ფავია 132, 181, 395;
ფალანგა 45, 46, 47;
ფალკენჰაინი (ერიხ ფონ) 444;
ფარვატერი 29, 403;
ფაუ-2 440;
ფაუსტი 23, 238;
ფერარა 129;
ფერდინანდ II ჰაბსბურგი 226;
ფიდელ კასტრო 436;
ფილიპე VI ვალუა 171, 172, 173, 175, 176;
ფილიპე II მაკედონელი 46;
ფილიპ ოგიუსტი 140, 141, 142;
ფილიპე II ჰაბსბურგი 183, 184, 189, 191, 202, 203;
ფილიპე IV ბურგუნდიელი (იგივე კასტილიის მეფე ფილიპე I ლამაზი) 177, 395;
ფილიპე III ჰაბსბურგი 202, 205;
ფილიპვილი 345;
ფილიპი 73, 86;
ფილიპინები 251, 427, 439;
ფილიპოტო (ემანუელ) 329;
ფილოკლი 29;
ფილოტე 46;
ფინეთი 220, 406, 435;
ფინიკიელები 35, 59;
ფიუზილი 353, 358;
ფიურტი 113, 221;
ფლავიუსი (იოსებ) 84, 97, 98;
ფლამანდრია 130, 341;
ფლამინია 102;
ფლამინიუსი (გაიუს) 466;
ფლანდრია 173, 184, 185, 203;
ფლორენცია 93, 466;
ფლოტი 29, 30, 33, 34, 73, 74, 186, 187, 192, 285, 302, 303, 304, 306, 398, 399, 400, 402, 404, 405, 406, 407, 430;
ფლოტილია 303, 304;
ფოკიდა 30;
ფონტანე (თეოდორ) 219;
ფონტენბლო 325;
ფორსჰუფვუდი (სტენ) 333;
ფოუკი (ჯონ) 281;
ფრანკები 99, 110, 111;
ფრანკონია 214;
ფრანკფურტი 296, 367, 368, 375, 402, 479;
ფრანც იოზეფ I ჰაბსბურგი 351, 357;
ფრანც II ჰაბსბურგი 351;
ფრანცისკ I 395;
ფრანცისკ II 208;
ფრანც-სტეფანე (ავსტრიის მომავალი იმპერატორი ფრანც I) 242;
ფრეგატი 306, 307, 309, 310;
ფრენჩი (ჯონ დენტონ პინკსტონ) 462;
ფრიდლანდია 213, 215;

ფრიდრიხ ბარბაროსა 125, 127, 128, 129, 131, 132, 133, 135, 136, 137, 139, 153;
ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი 154, 156, 164;
ფრიდრიხ II დიდი ჰოჰენცოლერნი 141, 252, 257, 258, 260, 276, 279, 280, 285, 426, 427, 435, 437;
ფრიდრიხ კარლი 355, 356, 359, 363, 365, 399, 437;
ფრიდრიხ შილერი 25, 26, 99, 218, 426;
ფრობელვიცი 259;
ფრუასარი (ჟან) 181;
ფულრიდე (ფრიც) 288, 289;
ფურიე (ჟან-ბატისტ) 306;
ფუშე (ჯოზეფ) 333, 347;

ქ

ქაირო 303, 304, 305, 309, 311, 320, 322;
ქალმსტონი 198;
ქიდი (თომას) 190;
ქილიკია 48;
ქსერქსე 31, 32, 34, 35, 36, 39, 43, 449;
ქრისტიან ფონ ბუხი 130;
ქრისტინა ჰოლშტაინი 215;
ქრისტოფი (კურტ) 242;

ღ

ღორების ყურე 436;

ყ

ყარაყორუმი 153;
ყივჩაყები 152;
ყვითელი ზღვა 397, 398;
ყირგიზები 156;
ყირიმი 155, 375, 376;
ყირიმელი თათრები 169;
ყურაიშიტები 449;
ყურულთაი 155;

შ

შავი ზღვა 425;
შავი პრინცი (ედუარდ ვუდსტოკი) 174, 177, 182;
შაიენი 435;
შაიო 155, 159, 173;
შამანიზმი 153;
შამპობერი 326;
შარლერუა 345;
შასპო (ანტუან) 375, 383;
შელდა 442, 443;
შენიანი 426;
შეტლანდი 195;
შექსპირი (უილიამ) 190;
შვაბეთი 115, 125;
შვაიდნიცი 251, 255;
შვაინშედელე 398;
შვედეთი 215, 220, 221, 229, 253, 285;
შვეიცარია 71, 219, 431;
შვერინი (კურტ ფონ) 243, 244, 245, 246;
შვიდწლიანი ომი 243, 257, 260, 261, 277, 280, 281, 291, 293, 368, 451;
შიბანი 159;
შილი (ფერდინანდ ბაპტისტა ფონ) 287, 290;
შილერი (იოჰან ფრიდრიხ ფონ) 25, 26, 99, 218, 426;
შინჯიკაშვილი (იბრაჰიმ ბეი) 312, 313, 316;
შლეზვიგ-ჰოლშტაინი 367, 374, 379, 380, 398;
შლიფენი (ალფრედ ფონ) 25, 370, 375;
შონბერგი 260;
შოტლანდია 139, 141, 189, 201, 202, 213, 226, 269, 327, 329;
შპანდაუ 294;
შპიხერნი 388;
შპენგლერი (ოსვალდ) 23, 447;
შრაიერი (როზალი) 245;
შრაპნელი 271, 330, 403;
შტაინმიცი (კარლ ფონ) 398, 403;
შტანდარტი 58, 95, 27;
შტენცელი (ალფრედ) 36;
შტეტინი 283, 285, 286, 293;
შტირია 155;
შტრასმანი (ფრიც) 428;

ჩ

ჩალდინი 441;
ჩაღათაი 152, 330;
ჩერჩილი (უინსტონ ლეონარდ სპენსერ) 251, 427, 428;
ჩესტერი 179,
ჩეხეთი 219, 374;
ჩილე 431;

ჩინეთი 21, 151, 153, 161, 397, 400, 402, 406, 439;
ჩინეთის ზღვა 402;
ჩინგიზ ყაენი 151, 152, 155, 157, 169;
ჩიჩესტერი (არტურ) 209;
ჩლუმი 356;
ჩრდილოეთის ზღვა 191, 380, 404;
ჩუვაშები 156;

ცჳ

ცელიუსი 76;
ციმბირი 152, 154, 398;
ციმერი (ერნსტ) 392;
ცისტოვე 372;
ციტენი (ჰნს იოაჰიმ ფონ) 262, 280, 282;
ციცერონი 28, 73;
ცუშიმა 397, 402, 403, 405, 406, 413, 414, 415, 421, 422, 442;

ძ

ძიანი (სებასტიან) 128;

წ

წითელი ზღვა 301;
წმინდა ელენე 99, 104, 346, 364;
წმინდა მარკოზი 128;
წმინდა მიქაელი 111;
წმინდა ნიკოლა 128;
წმინდა პავლე 190;
წმინდა პეტრე 111, 127, 129;
წყნარი ოკეანე 152, 154, 399, 400, 403, 408, 409, 442;

ხ

ხალიფა ომარი 429;
ხასფელდი 216;
ხატები 87;
ხერსონესი 30;
ხერუსკები 83, 84, 85, 86, 92, 94, 434;
ხვარაზმი 152;
ხვარაზმშაჰი (ალ ად დინ მუჰამედ II) 152;
ხიროხიტო 397;
ხმელთაშუა ზღვა 33, 57, 75, 154, 188, 303, 304, 307, 308, 327;
ხორვატები 154, 216, 270;
ხულან-ხათუნი 152;

ჯ

ჯავშნოსანი (ხომალდი) 397, 398, 403, 404, 405, 406, 409, 410, 411, 413, 417, 420, 421;
ჯებე 152, 157;
ჯეიმს VI სტიუარტი (იგივე იაკობ VI შოტლანდიელი და იაკობ I ინგლისელი) 207, 211, 309;
ჯუჩი 330;

ჰ

ჰაბსბურგები 213, 219, 235, 357, 426, 439;
ჰავკები 85;
ჰაიფა 323;
ჰამბურგი 191, 360, 402;
ჰაიდე (სიგიზმუნდ ფონ დერ) 283, 284, 285, 290;
ჰაიზე (პაულ) 292;
ჰაინრიხ (გეორგი) 297, 299;
ჰაინრიხ ლომი 125;
ჰაინრიხ I 113;
ჰაინრიხ II 154, 155;
ჰალე 222;
ჰანი (ოტო) 428;
ჰამილკარი (ბარკა) 59;
ჰანიბალი (ბარკა) 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 67, 69, 89, 100, 122, 465, 466;
ჰანონი 59;
ჰანოვერი 341, 368, 375;
ჰარლენი (ვიტ) 290;
ჰარში (ოტო ლუდვიგ ფონ) 273, 277;
ჰასდრუბალი 58, 59;
ჰატცფელდი 222;
ჰეგელი (გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ) 25;
ჰეიგი (დუგლას) 462;
ჰელიოპოლისი 312;
ჰელქეთი 332;
ჰენრიხ VIII ტიუდორი 183, 191;
ჰენრიხ ჰოჰენცოლერნი 273;
ჰერაკლიტე 25;
ჰერდერი (იოჰან გოტფრიდ) 23;
ჰერმანები 85;
ჰეროდე 86;

ჰეროდოტე ჰალიკარნასელი 32, 33, 425;
ჰერკულესი 47;
ჰეფესტიონი 48;
ჰილდერიკ I 102;
ჰიმალაი 153;
ჰიმლერი (ჰაინრიხ ლუიტპოლდ) 453;
ჰინდუყუში 47, 156;
ჰიტლერი (ადოლფ) 21, 23, 288, 290, 297, 306, 427, 428, 429, 430, 431, 436, 439, 453, 456, 457, 461, 464, 480, 481;
ჰიუ ო'ნილი (ტირონის გრაფი) 207, 208, 209, 210, 211, 217, 461;
ჰლოდვიგი 102;
ჰოვარდი (სერ მაიკლ ელიოტ) 378;
ჰოლკი (ჰაინრიხ) 222;
ჰომეროსი 29, 34;
ჰოპლიტი 45, 47;
ჰოსპიტალიერები 153, 154;
ჰოუკინსი (ჯონ) 193;
ჰოფკრიგსტრატი 242;
ჰოხკირხი 269, 270, 271, 272, 273, 275, 278, 279, 280, 281, 435;
ჰოჰენშტაუფენები 125, 126, 153;
ჰოჰენცოლერნები 235, 238, 358, 366, 373, 380, 426;
ჰუგემონი 327, 328, 329;
ჰუგო დე პეინი 153;
ჰუგო კაპეტი 140, 143, 171;
ჰუგოლინო კონტი დე სენი 153;
ჰუნტენი (ემილ) 371;
ჰუსარები 214, 236, 238, 242, 243, 253, 254, 255, 258, 272, 273, 284, 287, 288, 340, 352, 437, 444;
ჰუსიტები 450;

UPC (უაკ)355.4+355.48+355.42
L-81

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
დ.ჰ. 7-50.16 საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
02.05.2018 წლის N344 ბრძანებით

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲡᲐᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝ-ᲡᲐᲨᲢᲐᲑᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

ᲰᲐᲜᲡ-ᲓᲘᲢᲔᲠ ᲝᲢᲝ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ

ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲝᲛᲐᲛᲓᲔ

ᲢᲝᲛᲘ I

ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲪᲣᲨᲘᲛᲐᲛᲓᲔ

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი: **თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩაჩხიანი**

სარედაქციო კოლეგია:
ისტორიის დოქტორი **არსენ გვიმრაძე**
ისტორიის დოქტორი **გოგი ცხოვრებაძე**

გამოცემის რედაქტორი **ქეთევან ოსეფაიშვილი**
მთარგმნელი **ლია დათინაშვილი**
სტილისტი **თინათინ პავლიაშვილი**
დამკაბადონებელი **სოფიო გოცაძე**
ტექნიკური რედაქტორი, პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**
ტექნიკური ჯგუფის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი **დავით ჩოგოვაძე**

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.
© არჩილ ჩაჩხიანი, 2018.

ISBN 978-9941-27-733-7 (ორივე ტომის)
ISBN 978-9941-27-734-4 (პირველი ტომის)

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის
აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი №1. 29.01.2018 წელი.

დაიბეჭდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიულ სამსახურში.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20.
ტელ.: +995 32 91-19-83
ფაქსი: +995 32 91-19-83
ტირაჟი: 340

2018